ISSN 0132-6023
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

# 8

1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

302

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

8

აგვისტო

1982

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## სსრკ 60 წელი

3. ვლადისლავ შოშინი, ილია ფონიაკოვი, ტატიანა ბეკი — ლექსები. თარგმნეს: ჯემალ აჯიაშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა, ტაგუ მებურიშვილმა
6. სერგეი ვორონინი, გენადი გორი — მოთხრობები. თარგმნეს: ჯაბა ასათიანმა, მზია გელაშვილმა

## პოეზია და პროზა

11. ვახტანგ ხარჩილავა — ლექსები
15. ემზარ ომანაშვილი — ზნე. მოთხრობა
21. ზაალ ებანოიძე — ლექსები
25. ზაზა ფირალიშვილი — ბალი. მოთხრობა
31. ირაკლი გაზაძე — ლექსები
33. ჯარჯი ფხოველი — რამეთუ მიწა ხარ. მოთხრობა
77. შაბურა არაბული — ლექსები
79. ავთანდილ ადეიშვილი — ალალი. მოთხრობა
87. ნოდარ ბართაია — ლექსები
89. ჯუმბერ ტიკარაძე — სასწაულები. რომანი. გაგრძელება

## წერილები

125. ზურაბ ჭავჭავაძე — რა გვაცინებს?!
131. თადეუშ რუჟევიჩი — შესაძლებელია მუზის შანტაჟი და რა მოაქვს ამას? თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

## გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

132. გურამ მეტრეველი — ბრესილის ტრაგედია

## ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

137. ბელა გამყრელიძე — საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიიდან

## ხელოვნება

146. ჯემალ ქარჩხაძე — ფანტაზია საკვირველ ფენომენზე
152. ანდრო ბუაჩიძე — რუსუდან ფეტვიაშვილი

## საინტერესო ამბების სამყაროში

154. შალვა საგაშვილი — ვინ აწყობს „პლანეტების პარადს?“

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი
თედო ბექიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე
გივი გეგეჭკორი
გურამ გვერდწითელი
რისმაგ გორდეზიანი
გიორგი გუბლია
ნოდარ დუმბაძე
მერაბ ელიოზიშვილი
ვაჟა ლორთქიფანიძე
ოტია პაჭკორია
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
ტარიელ ჭანტურია
რეზო ჭეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვლადისლავ შოშინი

### ზედაზენი

*ნიკოლოზ ტიხონოვს*

ისევ მივყვები ზედაზნის აღმართს,
მუქი ჩრდილები ერთმანეთს კვეთენ,
გაიშრიალა ნიავმა ლაღმა,
მალე დავლანდავ მონასტრის კედელს.

უხვევს და უხვევს ბილიკი მწვანე,
ტყეს გადაუცვამს ფოთლების თორი.
ცადაზიდულნი მიმზერენ მთანი,
შემოგარენი გაშლილან გორის.

ნისლის ფთილებით ბოლავს ხეები,
გზაჯვარედინიც გამოჩნდა მცხეთის,
მწვანედ ტორტმანებს კონცხი ვეება —
რიყრაყის ტბაში ტაატით შედის.

მთის წყაროს ერთხელ გავუგე გემო,
უცებ გაიხსნა ცა დაბურვილი,
მერე მივიწევ ზემოთ და ზემოთ,
ველარ მოვიკალ დიდი წყურვილი.

იმ დღიდან მაღალ მთას ვეტანები,
მიწაზე ყოფნა მექცა წუხილად,
უნდა ასრულდეს ჩემი ზმანება,
მჯერა, რომ მთიდან ვნახავ უხილავს.

ტვირთს ვიხსნი,
ოფლი საფეთქლებს ღარავს,
და მელიმება დაღლილს, კმაყოფილს;
გაღმა ფერდობზე ბალახობს ფარა —
თეთრი და შავი თუთის ნაყოფი.

თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა

ქ. მარქსის სახ. სახ. საჯ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ფონიაკოვი

## ჯვრის უღელტეხილი

თითქოს ყრმობის ჟამს უჩვეულო სიზმრად მეხილო, —
შეგავლებ თვალს და...
უეცარი შემიპყრობს ელდა.
სალამი შენდა, ნისლოვანო უღელტეხილო,
კავკასიონის ხერხემალო,
        სალამი შენდა!
ვიცი, ფიქრებო, ერთმანეთში დამებლანდებით,
რომც დავიარო დედამიწის ყველა კიდური, —
დამრჩება ეს გზა —
ჯადოსნური ნისლის ბლონდებით,
კლდის ქარაფიდან
        ქამანდივით
                გადმოკიდული.
...ბოლავდა ნისლი,
თუხთუხებდა უცხო მინდორი,
ცის კაბადონი იხსნებოდა ოქროს სკივრივით,
და თხემი შენი —
        ლაჟვარდებით გადაბინდული
მიწიდან ცისკენ მიიწევდა ნელი ლივლივით.
თავქუდმოგლეჯით გამორბოდნენ ნაკადულები,
მთა კი, —
შორი მთა სიჩუმეში თვლემდა ჩვეულად,
და სიბნელეში
მყინვარწვერის თეთრი მწვერვალი
მუზარადივით აიწვერა ანაზდეულად...
დამშვიდდი, სულო! —
როგორც ხედავ, არაფერია, —
ქარში გაწრთე თუ
        ქარაშოტში გამოგატარე:
უკვე ჩვენს თვალწინ ნისლოვანი ქარაფებია
და კავკასიონს
        მიუშვია თერგის სადავე...

თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტატიანა ბეკი

●

ცეროდენა და უმეცარი ვიყავი ოდეს,
გულანთებული ვკითხულობდი საძაგელ იხვის
ჭუჭულზე ზღაპარს,
დასასრული ყალბი რომ ჰქონდა,
არ ირწმუნებდა ცრუპენტელა იმ ფინალს ბრიყვიც.

აღიარება ვერაფერი არის ნუგეში,
რომ მე ვიყავი ართვალი და შეუხედავი.
მაგრამ მე მჯერა, ლამაზია თავად უხეში
ფაფარი ცხენის,
          მიაქროლებდა როცა მხედარი.

არ მომწონს ჩემი გარეგნობა არა და არა,
ვერ დაინახავ, დაატანო თვალს ძალა თუნდაც,
კვირტში სიმწვანეს, შავი გარსი რომელსაც ფარავს,
მშვენება მისი შეუმჩნევი დაგრჩება მუდამ.

თარგმნა ტაგუ მეგურიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგეი ვორონინი

# უსიყვარულო რომანი

ნოველა

— კამფეტები გყვარებიათ, თამარა იგნატიევნა...

— მეტი რა დამრჩენია ტიმოფეი ანდრეევიჩ...

ფანჯრის მიღმა ზამთარი იდგა. კარგა ხანია ასეთი დიდი ზამთარი არ ყოფილა. ჯერ კიდევ ოქტომბერში მოვარდა ქარი, ჩამოთოვა. გადაუღებლად ბარდნიდა და დღედაღამ ქარი უბერავდა. ფუჭი შრომა იქნებოდა ბილიკების გაკვალვა. გაძნელდა შარაგზამდე მისვლა. მერე ყინვებიც დაიჭირა.

სახლში ციოდა, ბევრსაც რომ ცდილიყვნენ, მაინც ვერ გაათბობდნენ. საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებდა: სახლი ორსართულიანია, თბილი იქნებაო. სინამდვილეში საცხოვრებლად მხოლოდ მეორე სართული ვარგოდა, პირველი კი პირუტყვის სადგომად თუ გამოდგებოდა, მაგრამ იქ ახლა სიცივეს დაეზრო კედლები. ყველგან ციოდა. სახლი დაფერდებულიყო. იატაკის ღრიჭოებში ქარი დანავარდობდა. ძველი იყო სახლი. ოდესღაც ფინელს ეკუთვნოდა. ომის შემდეგ გადმოსახლებულები იდგნენ, ახლა კი თამარა იგნატიევნა ცხოვრობდა.

— თანაც ძვირფასი კამფეტები გყვარებიათ...

— „ციყვი" ჩემი ერთადერთი სიყვარულია.

ქალი ჩაფიქრდა. იქნებ გაახსენდა, ხუთი წლის წინ როგორ გადაცვალა ერთი ოთახი და ამ სახლში გადმოვიდა... გადაბარა მიწა, თეთრი ფლოქსები დარგა. ზოგჯერ ლურჯ კოსტუმს ჩაიცვამდა, დაიხურავდა შლაპას, დაიჭერდა ხელჩანთას და შარაგზაზე გავიდოდა. კარგად ასხმული, ტანმაღალი ქალი იყო. შორიდან ახალგაზრდა ჩანს, ახლოდან ორმოცს გადაცილებული, — ასე ფიქრობდნენ ვაჟები, სახეზე ეწერათ. ქალი უსიტყვოდ ჩაჯდებოდა ავტობუსში და ცენტრამდე მგზავრობდა. დაესწრებოდა კინოს უკანასკნელ სეანსს და ისევ შინ ბრუნდებოდა.

მარტოობაში გადიოდა გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

ასე გავიდა ხუთი წელიწადი.

ნეტა რას ეძებდა როცა ქალაქს გამოეთხოვა? რა იპოვა? იპოვა კი?

ღმერთო, რა სწრაფმავალია სიცოცხლე! ასე გგონია, ვიღაცა ერეკება წუთებს. სურვილები სურვილებად დაურჩა. ისევ სიყვარულსა და სიცოცხლეზე ოცნებობს. ახალც იმავ თვალით შეჰყურებს ქვეყანას, როგორც ოცი წლის წინათ. ნეტა პირისახეს ასე ნაადრევად რა აბერებს? სხეულით ისე ახალგაზრდაა. მკერდი ჯერაც მკვრივი აქვს, სახე კი დაუბერდა. ბაგეთა კუთხეები ჩამოემჩვარა, ოდესაღაც ღიმილი რომ არ შორდებოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამ ძვირფასი კამფეტებით ხშირად ინებივრებთ თავს?

— ბარემ კარგი იქნებოდა, მაგრამ ხელფასზე და ავანსის აღებისას თუ გავბედავ...

ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს კანფეტების სიყვარულის გამო პატიებას ითხოვდა. იქნებ მართლაც ითხოვდა... ეს კაცი ხომ მისი ქმარი იყო. დიახ, ქმარი... გასულ ზაფხულს მეზობელ აგარაკზე გაიცნეს ერთმანეთი. კაციც მარტოხელა აღმოჩნდა. ახალგაზრდა არ ეთქმოდა. ორი წელიც და პენსიაზე გავიდოდა. რას იზამ, ეტყობა უფრო ახალგაზრდა ბედმა არ არგუნა. ქალს ახსოვდა ომში დაღუპული ჭაბუკის ახალგაზრდობა. იმან თავისი ახალგაზრდობაც თან წაიღო. ამ კაცს კი ქალის სიბერე ერგო. ქალსაც ხომ ამ კაცის სიბერე ხვდა წილად.

— არ იფიქროთ, გსაყვედურობდეთ, თამარა იგნატიევნა...

— მეტი არაფერი დამრჩენია, ტიმოფეი ანდრეევიჩ...

— არა, არა, ცუდად არ გამიგოთ, მიირთვით, თამარა იგნატიევნა, ღმერთმა შეგარგოთ...

ფანჯრის მიღმა ზამთარი იდგა. კარგა ხანია ასეთი დიდი ზამთარი არ ყოფილა.

თარგმნა **ჯაბა ასათიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენადი გორი

# ჯადოსნური ბერეტი

ერთი ჩვეულებრივი მაღაზია იყო და არა ჯადოსნური ფარდული.

ვიტრინაში ლურჯბერეტიანი პლასტმასის ყმაწვილი იდგა და იღიმებოდა. რაღაც ადამიანური დავლანდე ამ ღიმილში.

მწარე სინანულით გავიფიქრე: ოდესღაც მეც ხომ ახალგაზრდა ვიყავი.

იმავ წამს შეწყდა ფიქრი; თითქოს თავადაც ვერ ვირწმუნე.

— შევიდეთ, ვალოდია, ახალი ბერეტი იყიდე, ეგ მთლად გაგექუცა, — მითხრა ცოლმა.

შევედით.

გვარიანად ჩაპუტკუნებულმა, გულგრილმა და თოჯინასავით სახეგაქვავებულმა ქალიშვილმა ლურჯი ბერეტი მომაწოდა. მოვიზომე.

ცოლმა გაიცინა.

— თითქოს ათი წლით გაახალგაზრდავდი.

სარკეში ჩავიხედე. წარსულის უკუნიდან ჩემი ყმაწვილკაცობის დროინდელი სახე შემომცქეროდა.

ბერეტი მოვიხადე და ისევ სარკისაკენ გავაპარე თვალი — ამჯერად საკუთარი სახე დავინახე.

კვლავ დავიხურე ბერეტი — ისევ გავახალგაზრდავდი.

— გიხდება, — მითხრა ცოლმა, — თითქოს წლებს გაკლებს.

გამყიდველმა გოგონამ გულგრილი მზერა შემავლო და თოჯინასავით გაყინული ხმით მკითხა:

— ყიდულობთ? თუ რაიმე გეეჭვებათ, სხვა აიღეთ.

— არა, ამას ვიყიდი, თუმცა კი რაღაც მეეჭვება — ვუპასუხე მე.

მაღაზიიდან გამოვედი, ახალი ბერეტი დავიხურე, ძველი კი, მთლად გაქუცული, პალტოს ჯიბეში ჩავიჩურთე.

მე და ჩემი მეუღლე წუთით ვიტრინასთან შევდექით. პლასტმასის ყმაწვილი სადღაც გამქრალიყო, მის ნაცვლად ცისფერბერეტიანი ხნიერი კაცი იდგა. საკუთარ თავს მივამსგავსე.

— ხედავ, როგორ მგავს, — ვკითხე ცოლს.

მან შეხედა და გაიცინა.

— მართლაც გგავს. გამყიდველი იქნება ან გამგე.

— ვიტრინაში რას უნდა აკეთებდეს?

— არ ვიცი. მაგრამ ალბათ, ასეა საჭირო, ეგებ მანეკენებს ცვლის.

— მანეკენებს კი არა, მე მცვლის.

და საკუთარ თავზე მივუთითე.

— კაცი ვიტრინაში ყოველთვის მანეკენს წააგავს, განა არ შეგინიშნავს? — მითხრა ცოლმა.

— ცხადია, შემინიშნავს, მაგრამ ახლა სულ სხვა რამ შევნიშნე.

ცოლისათვის ალარაფერი მითქვამს. აქამდე ჯერარგანცდილი გრძნობა დამეუფლა — თითქოს შორიდან ვხედავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი საკუთარ თავს. ვიტრინიდან მოხუცმა გამიღიმა და თვალი ჩამიკრა.

— წავედით, — ხელი მომკიდა ცოლმა, — მერე რა მოხდა, თუ მაღაზიის გამგე შენ გგავს, ყველაფერს სასწაულივით ნუ აღიქვამ.

ქუჩაში მივდიოდი და ვგრძნობდი, როგორ მაკლდებოდა წლები. სარკე არსად იყო, მაგრამ გამვლელთა თვალებში ვხედავდი საკუთარ ანარეკლს. ქალიშვილები ჩუმ-ჩუმად აპარებდნენ ჩემსკენ თვალს, ისე მიცქეროდნენ, თითქოს მე კი არ მხედავდნენ, არამედ იმ სხვას, დიდი ხნის წინ რომ შთანთქა დროის დინებამ.

შინ მისულმა რატომღაც ლიფტით ასვლა არ ვისურვე, ერთი ამოსუნთქვით, ყმაწვილივით ავირბინე კიბე და მეექვსე სართულზე ლიფტით მომავალ ცოლს დაველოდე.

შესასვლელში ცნობისმოყვარეობამ მძლია და სარკეში ჩავიხედე. ძველი მეგობრების ხსოვნაში და გარდასული წლების ფოტოსურათებზე შემორჩენილი საკუთარი სახე შემომცქეროდა. წლების შემდეგ საკუთარ თავთან შეხვედრით მოგვრილმა გრძნობამ შემაშფოთა, თითქოს თვალდათვალ გამიორდა სხეული და ორივეს — წარსულისეულსაც და აწმყოსეულსაც — ენატრებოდათ ერთურთი.

ბერეტის მოხდისთანავე სარკეში ისევ ჩვეული სახე აირეკლა, ხელახლა ვპოვე თავი და სამოცი წლის კაცის ნაოჭებით დაღარული სახე დავინახე.

ბერეტს დავცქეროდი და ამ პარადოქსზე ვფიქრობდი, უბრალო და უეშმაკო მაუდის ნაჭრებს უცხო მკერავის ხელში დროის მანქანის ჯადოსნური თვისება შეეძინა და წამისუსწრაფესად გადავყავდი ერთი ასაკიდან მეორეში.

დიდხანს ვიდექი ასე და ბედის ამ მოულოდნელ წყალობაზე ვფიქრობდი.

ცოლმა სასადილო ოთახში მიხმო ჩაის დასალევად, ბერეტი კვლავ დავიხურე და აწმყოსთან შერწყმულ წარსულში აღმოვჩნდი.

ცოლი დაძაბული მიცქეროდა, თითქოს ისიც ჩემს წარსულს მიბრუნებული იყო და გარდასულის გახსენებას ლამობდა.

— ვალოდია, რა დაგემართა? — ჩურჩულით მკითხა მან, — ის ხარ... — სიტყვა გაუწყდა.

— ვინ?

— ისეთი, ერთმანეთი რომ გავიცანით.

— მერე რა მოხდა? დრომ უკუ იქცია პირი და მეცნიერებამ შორეული წარსული დაგვიბრუნა.

— არა. მხოლოდ შენ შეიცვალე. სხვა ყველაფერი უცვლელია.

— თუ ისურვებ შენც გაახალგაზრდავდები, — ვუთხარი და ლურჯი ბერეტი დავახურე.

ჩემი მეუღლე თვალსა და ხელს შუა გაახალგაზრდავდა, გადასხვაფერდა, მე კი ისევ დავბერდი.

— ღმერთო! ვალოდია, ამიხსენი, რა ხდება?

— სასწაული, — მშვიდად ვუპასუხე.

— ზღაპრების არ მჯერა. ისე ამიხსენი, რომ ლოგიკურიც იყოს და ბუნების კანონებს არ ეწინააღმდეგებოდეს.

— რად გინდა?

— როგორ თუ რად? გულს მაინც დავიმშვიდებ, ასე მგონია, სიზმარში ვარ.

— ეს სიზმარი არ არის, ვერა.

— აბა?

— სასწაული.

— სასწაულები არ ხდება.

— ვიცი, მეც გამიგია და წამიკითხავს. სკოლაშიც გავიარეთ. მაგრამ ეს განსაკუთრებული სასწაულია. ვიღაც თავის ჭკუაზე გვათამაშებს.

— ვინ?

— არც მე ვიცი! ალბათ, დრო. მე და შენ თითქოს მორევში მოვხვდით: დრო თავდაყირა გვაბზრიალებს, ხან წარსულისაკენ გვაბრუნებს, ხანაც სინამდვილისაკენ გვიქცევს პირს.

---

გენადი გორი

ჯადოსნური ბერეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რაღა შუაშია? — მკითხა ვერამ და ბერეტი მოიხადა.

მან ფაბრიკის დამღა მაჩვენა და შემდეგ ხმამაღლა წამიკითხა:

— „პლანეტა მარსი ჯადოსნური ბერეტების ფაბრიკა".

— განა მარსელებთან უკვე დავამყარეთ სავაჭრო ურთიერთობები? — გავოცდი მე.

— სულ ცოტა ხნის წინ „ეკონომიურ ცხოვრებაში" წავიკითხე, გზა ძალზე ძვირი დაჯდებაო.

ცოლმა ისევ თავზე დაიკოსა ბერეტი და გაიხუმრა:

— „ეკონომიური ცხოვრება" ძალზე ეკონომიურად უცქერის ცხოვრებას. მარსის ნაწარმი, როგორც ჩანს, უჩვეულო თვისებებით ხასიათდება.

ამას ბერეტი ადასტურებდა. წამისუსწრაფესად წარსულში გადაისროლა ჩემი მეუღლე და თუმცა იგი ჩემს გვერდით, მაგიდასთან იჯდა, ერთდროულად მოგონებადაც ქცეულიყო.

ვერა აქაც იყო და არც იყო. მე კი შორიდან ვუმზერდი მას, თითქოს ეკრანს შევცქეროდი.

— ძალზე გამოიცვალე და გაახალგაზრდავდი, ვერა, — ნაღველი შემომაწვა გულზე.

— არა, მე კი არ გამოვიცვალე, შენ დაბერდი და საბრალო მამაშენს დაემსგავსე. ნუთუ ეს შენა ხარ, ვალოდია?

ცოლს ბერეტი მოვხადე, თავად დავიხურე და ვიგრძენი, როგორ გადავეშვი წარსულში.

შემდეგ რა მოხდა? აი რა. ოცი წლის ყმაწვილად ვიქეცი, მაგიდასთან ვზივარ და ჩაის ვსვამ.

— ვინ ხართ? — ვეკითხები უცხო ქალს.

— შენი ცოლი ვარ — ვერა.

დაბნეული შევცქერი ხანშიშესულ, სანდომიან ქალს და ვერაფე[illegible] ნეტავ ცოლის შერთვა როდისღა მოვასწარი? ან ამ ბინაში როგორ აღმოვჩნდი? ალბათ, ეს ქალი ხუმრობს.

— სადა ვარ?

— საკუთარ ბინაში, მაიაკოვსკის ქუჩაზე. უკვე ოცდაათი წელია აქ ვცხოვრობთ.

ვდგები და ოთახს ვათვალიერებ. აი კაბინეტიც, თაროები, წიგნები. კედელზე სურათია, ზედ ფანჯარაა დახატული. სურათის გვერდით ნამდვილი ფანჯარაა. ფანჯარას ვუცქერ — დახატულსაც და ნამდვილსაც. ორივეგან ეზო და მეეზოვე მოჩანს. შემიძლია დავიფიცო, რომ ამ ეზოს პირველად ვხედავ. მთვარეულივით გამოვდივარ ბინიდან და კიბეზე ვეშვები. ქუჩა. ტაქსის გაჩერება. ქუჩის გაღმა საპარიკმახეროა. იქით მივდივარ, ბერეტს ვიხდი, მოლარეს ვაბარებ, დარბაზში შევდივარ და სავარძელში ვჯდები. მსუქანი, ხნიერი პარიკმახერი ქალი ლოყაზე საპონს მიქაფებს. სარკეში ჩემს ორეულს ვხედავ. სწრაფად მეცვლება სახე, — ვბერდები, თითქოს წუთები წლებად ქცეულანო.

სავარძლიდან წამოვდექი, პარიკმახერი ქალი დაბნეული მიმზერს, დამნაშავესავით იღიმება.

— რა დაგემართათ? როგორ გამოიცვალეთ. ვერაფერი გამიგია. ვიდრე წყლის მოსატანად წავიდოდი ამ სავარძელში ერთი ყმაწვილი იჯდა, მე მხოლოდ წუთით შევყოვნდი და იმ მოუთმენელი ყმაწვილის ნაცვლად თქვენ დამხვდით. რა მოხდა? — მკითხა მან.

— არაფერი, ყმაწვილი წავიდა, მე კი მისი ადგილი დავიკავე.

— სად წავიდა?

— იქნებ რაიმე სასწრაფო საქმე გაახსენდა.

თარგმნა **მზია გელაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია და პროზა

## ვახტანგ ხარჩილავა

### სიტყვები

მე იმ ერთადერთ სიტყვას დავეძებ,
ის ერთადერთი სიტყვა მიშველის.
სიტყვა ბგერებით გამოუთქმელი,
ლექსიკონებში აღუნიშვნელი.
რასაც ვერ დაშლის გრამატიკოსი
ფუძედ, თავსართად,
თემის ნიშნებად.
სიტყვა, რომელიც არ გაიყოფა
და მარცვალ-მარცვალ არ
დაიშლება.
სიტყვა, რომელსაც სიტყვით ვერ
ახსნი,
სიტყვით ვერ იტყვი და ვერც
გამოთქვამ,
სიტყვა, რომელიც შედგენილია
დილის შუქიდან და საღამოდან.
ის ჩვეულებრივ სიტყვების შუა
დევს პაუზად და
მრავალწერტილად.
დაბერებულან ჩვენი სიტყვები,
როგორ დაღლილან და
გაცვეთილან.
ვერ შეისწავლი მათ ფონეტიკით
და ვერც წერილად მისწერ
გულისსწორს.
ეს ის სიტყვაა, ხმამაღლა თქმული
სიტყვების იქით რასაც
ვგულისხმობთ.
მე იმ ერთადერთ სიტყვას დავეძებ,
ის ერთადერთი სიტყვა მიშველის.
სიტყვა ბგერებით გამოუთქმელი,
ლექსიკონებში აღუნიშვნელი.

### გარინდების და უქმობის ჟამი

გადახრუკული ზეცის დაბლობზე
დაეხეტება მგზავრი ეულად,
წვიმები უკვე ჩამოწვიმულან.
ჩამოწვიმულან, ჩამორხეულან.
ჩამოთოვლილა თოვლიც კანკალით,
თოვლიც კანკალით
ჩამოთრთოლვილა,
მეც ჩამოვწვიმდი, მეც ჩამოვთოვდი
და მეც წვიმა ვარ, და მეც თოვლი
ვარ.
მე აღარა ვარ ახლა ცოცხალი
და გისვენივარ კარზე ნეშტივით
თავზე მადგია ღამე-ყოფილი
დღე, მოხუცი და
თვალდაშრეტილი.
მე კვლავ აღვსდგები, შენ ისევ ნახავ
ჩემს გაცოცხლებას და ჩემს
აღდგომას,
იღაღადებენ კვლავაც ტაძრები,
რაც სათქმელი და საღაღადოა.
შენ ისევ ნახავ ჩემს ამწვანებას,
განედლდებიან ხმელი ტოტები,
ნუ შეგაშინებს ჩემი გარდაცვლა —
მე ხელმეორედ განვმეორდები.

არის წამები ხოლმე უქმობის
და გარინდების არის წამები,
როცა უეცრად გაყუჩდები და
თითქოს დროებით მიიცვალები.
მკვდარი ჰგონიხარ ყველას
რატომღაც,
დაგწრიალებენ თავზე მოყვრები,
შენ კი ისვენებ და კარგად იცი,
ცოტახნის შემდეგ რომ
გაცოცხლდები.
ხდება ასეც რომ დაიქანცები,
და მიგაქანებს დროის დინება,
ხელს გართმევენ და გესალმებიან,
შენ კი მკვდარი ხარ და გეცინება
დიდხანს დადიხარ ზამთრის ქალაქში
და ეფერები ხეებს გათოშილს
და არვინ იცის, შენ რომ მკვდარი ხარ
და სახლში წევხარ, შენს ცივ
საწოლში.
ამ სიცოცხლეში, ჩვენს სიცოცხლეში
სულ ცოცხლები რომ ვიყოთ
ყოველთვის,
რაიც სამყაროს ვერ უპოვია
ერთ სიცოცხლეში მოვიპოვებდით.
ვცოცხლობთ და ვსუნთქავთ, ვქმნით
და ვარსებობთ:
ალაგ-ალაგ და ნაწყვეტ-
ნაწყვეტად,
ათასში ერთხელ თუ გვესტუმრება
ნამდვილი ვნება და აღტაცება.
ნუ გეშინია, ნუ გეშინია,
ჯერ არ გამქრალა ჩემი ოცნება,
ახლა ცოტახნით ვკვდები, ძვირფასო,
და დაელოდე ჩემს გაცოცხლებას.

●

ათას წლის წინათ, აქ, ჩემს ეზოში
ვიღაც ცხოვრობდა,
მეჯოგე თუ აბჯრისმტვირთველი.
და რომ დაბრუნდეს ახლა იგი,
ათასწლის მერე.
გადმოიაროს საუკუნეთა მჭკნარი
ველები,
გამოფიტული ჩონჩხებით დაფარული
ხეობები
და რიჟრაჟისას მომადგეს კარზე.
ერთი მითხარით, რა ვუთხრა ან რა
ვუპასუხო?
ჩვენ სხვის სახლებში ვცხოვრობთ
ყველანი
და შიშით ველით
როდის მოვა სახლის პატრონი.

●

ადამიანი ურჩი ბავშვია —
წინ გადაურბენს თავის თავს ხოლმე,
წინ გადაურბენს თავის ცხოვრებას
და მომავლისკენ მიეჩქარება.
ადამიანიც, ოცნებასავით,
იქ მომავალში ცხოვრობს
ყოველთვის.
ხოლო საბრალო მისი ძმობილი—
მისი მეორე ნახევარი და განაყოფი,
ყოველდღიური საზრუნავით
განწამებული
უკან მისდევს და ძლივს მიათრევს
სულსა და სხეულს.
ჰოი, რამდენჯერ შემხვედრიან გზაზე
ისინი —
ერთი წინ მიდის,
მეორე კი ტირილ-ტირილით
უკან მისდევს და ველარ ეწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორშაბათიდან კვირამდე

ორშაბათიდან კვირამდე ერთი
მდინარე მიდის,
მივა და ბრუნდება უკან.
მდინარის ერთ ნაპირზე ერთი დედა
ტირის.
მეორეზე მეორე მოთქვამს,
თენდება ორშაბათი მთვარისფრად,
კიდევ შვიდჯერ უნდა დაინთოს
სანთელი.
შვიდჯერ უნდა ამოვიდეს მზე და
მთვარე—
შვიდი ასული და შვიდი ვაჟი.
შვიდივემ აქ უნდა ჩამოიაროს.
დედები სხედან გაღმა-გამოღმა,
თუთაშხა — მთვარის დღეა,
ჟაშხა — მზისა,
დანარჩენები ვარსკვლავებია,
ცის ეზოში მოფუსფუსენი.
ორშაბათიდან კვირამდე დიდი
მანძილია,
ყველა ვერ მიაღწევს ორშაბათიდან
კვირამდე —
ორშაბათიდან კვირამდე ვიბადებით,
ორშაბათიდან კვირამდე ვიხოცებით.
ორშაბათიდან კვირამდე ხდება
ყოველივე...
გაღმა-გამოღმა ნაპირებზე
ზის დღის დედა და ღამის დედა.
ორი საწყალი,
ორი საბრალო დედაბერი,
სიკვდილისგან დავიწყებული.

●

„მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან".
ტერენტი გრანელი.

სავსეა ხალხით სამყაროს ეზო,
დღეა. დეკემბრის, დღე არის ცივი.
აქედან გასვლას ვერავინ შესძლებს.
ვერვინ გასცდება საკუთარ ტკივილს.
საკუთარ ბედს და საკუთარ
სურვილს,
რომ უცხო მხარის ნათლით
გაოცდეს.

აქ იმარხება ხორციც და სულიც,
ამ უსასრულო სასაფლაოზე.
ერთი ცა ხურავს დიდსაც, მცირესაც,
ავსაც და კარგსაც ერთი ფასი აქვს.
რა ძველისძველი გადის პიესა.
რა ხმაურია, რა გნიასია.
...შენც აქ ყოფილხარ, ამათთან,
თურმე,

თავდავიწყებით ცეკვავ და მღერი.
შენც აქაური ღვინით დაგათვრეს,
ყალბი მძივებით მოგირთეს ყელი.
შენც ამათსავით გინდა შესცოდო,
იგემო ვნების ტკბილი წუთები.
ვერ გაგიყვანე მე ამ ეზოდან,
გაგიყვან, მაინც უკან ბრუნდები.
...ნუღარ მომიტანთ შეჩვეულ
მიხაკს,
ნუ გამაგონებთ ამ ნაცნობ მოტივს.
ის დილა მიყვარს, ის ღამე მიყვარს
ამ ეზოს კედლებს მიღმა რომ მოდის.
ეს ცა და მიწა, ეს მზე და მთვარე
ერთ სიცოცხლეში რამდენჯერ
ვნახო.

ის ქალი მიყვარს ამ ეზოს გარეთ,
ამ ეზოს იქით რომელიც სახლობს.
დრო მიდის, ავობს წვიმა და ქარი,
აქედან გასვლა ვერავინ შესძლო.
ჩაკეტილია გარედან კარი
და ჩუმად დრტვინავს სამყაროს ეზო.

## დაბადების დღე

დაბადების დღეს მილოცავენ
მეგობრები,
ვინც არ იცის
მართლა ამ დღეს დაბადებული
ვეგონები.
ჩვენ ყველანი ერთ დღეს დავიბადეთ—
ჩემი საწყალი ძმები და დები.
ჩვენ ყველანი ერთად დავიბადეთ,
მაგრამ რატომღაც ცალ-ცალკე
ვკვდებით.
მილიონ წლის წინათ, მილიარდ
წლის წინათ
ერთხელ დავიბადეთ და ვკვდებით
უამრავჯერ.

რამდენი ითოვა,
რამდენი იწვიმა,
რამდენ დღე და ღამეს ვუდარაჯეთ.
დაბადების დღეს მილოცავენ
მეგობრები,
ვინც არ იცის!
მართლა ჩვიდმეტ მარტს დაბადებული
ვეგონები.

●

ეჰ, გაზაფხულო, გაზაფხულო,
შემოდგომისას რა გინდოდა,
რატომ მოხვედი.
შემოდგომამდე როგორ გასძელი
გულს აქამომდე სად იოხებდი.
გადმოგივლია უსავანო ცხელი
ზაფხულის
უკაცური და უწყლო უდაბნო.
მაინც აქ მოხველ, მიწა ერთია,
მიწა ერთია და სამუდამო.
შენ მოდიოდი ტყე-ტყე, ველი-ველ,
ხვატსა და ხორშაკს და ცხელ
დღეებს თავს არიდებდი
და ვეღარ ცნობდი მინდვრებს
მშვენიერს
გადამწვარიყო ლურჯი
მინდვრები.
ტოტები, სადაც თვლემდი კვირტებად.
თავს იწონებდნენ მწიფე
ნაყოფით,
რომ მოდიოდი შემოდგომაში
რას გვიმტკიცებდი, გაზაფხულო,
რას უარყოფდი.
ჩემს შემოდგომას შენ რას უშველი
თან ვერ წამიყვან. შენთან მაინც
ვერ დავბრუნდები.
დახუნძლულია ჩემი რტოები
წლებით და წლებით — ყვავთა
გუნდებით.
შუაში გვიდევს მწირი მინდორი —
ზაფხული, სადაც ვერ იხარებს ეგ
სიყვარული.
ატუზულია წვიმების ქვეშ ჩემი
ქალაქი —
რუხი ღრუბლებით
გადაყავრული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ ომანაშვილი

# ზ ნ ე

ეზოს ბოლოში, ახვავებულ ფიჩხებთან, ბეჰემოთივით ვეება თეთრი ღორი კუდს არხეინად აქიცინებს და მოძიებულ, ჭიან ვაშლს წლაპაწლუპით შეექცევა. შიგადაშიგ პირს გამოთუთქულივით აფჩენს. ჩამჟაუნებულ წვენს იგემოვნებს და ნებიერი ღრუცუნით იქვე ჭერმის ხეს ექექება.

ცრიატი, ნისლიანი დილაა. ხან ფეტვივით წვნიკი ხორხოშელა მოხრიალებს, ხანაც ცის უბეში ერთბაშად თბუნდება და გულის გამაწვრილებლად ცრის და ცრის, თითქოსდა ჭონჭოხი ცა სუსხიანი ქარებით გადახვეტილ ნოემბრის გაბერწებულ თვეს მისტირისო.

სოფლის თავზე რუხი კვამლი გველეშაპივით გაწოლილა, ძირს, შარაგზებზე შეშით დასაპალნებულ ურმებს ზანტად მიათრევენ მელანო კამეჩები, ეზოებში კი ნაკრტენგაყიებული ქათმები საჩეხებში სასაცილოდ აყირავებულან. დაშვებული ბოლოებიდან წვეთს იეურავენ და ჩიჩახვგამობერილები უამინდობას ბალღებივით უჩივიან.

ჯალანდარიაანთ ეზოში ზედადგრებზე შემოდგმული აქაფქაფებული ქვაბები ვულკანებივით ღრჩოლავენ. ცეცხლს სათონეასთან ჩაცუცქული ვარდენა, მიფიცხებული მეზობლის კაცები ხაფი ხმით სოფლის ავკარგიანობაზე მუსაიფობენ.

მჭადაქვაზე უწყობს პირს შეჟანგებულ საკლავ დანას. ერთი თვის პატარძალი, ფთაქცეულივით ტანგავსილი ნუცია საყაურმე ხახვსა ჰკუწავს, ორი ვეება ჯამფილა უკვე გაუვსია და ახლა სუსხით ლოყებდაკვერილ ნიკა ბიჭს უჩიჩინებს დროზე გაფეროს ნაცარტუტით შამფურები...

— ომში ხო არ მიხვალ, ვარდენოო... მიდი დროზე დაიჭი.

შავი მიშა ყორანა თვალებს აბრიალებს, აწივწივებულ კუჭში გნიასი გაუდის, რიყის ქვა რომ ჩააყარონ მუცელში, იმასაც დაფქვავს და მოინელებს, ხან უკანაზურგს მიუშვერს აყალყულ ცეცხლს, ხანაც ლიპით ეფიცხება.

ვეებერთელა შავი ნაგაზი, იქვე კიბესთან ჰყუნტია და ამვლელსა თუ ჩამვლელს დაკვირვებით ადევნებს თვალს. ეზო ხრიოკია, უბალახო, მაგრამ სამაგიეროდ ბალჩა უკვე შერეულია და ქათმებს საწიწკარი არ ელევათ.

— ზოგჯერ ხორცი იგრე მამინდება, თუ შინ საკლავი არა მყავ, ართანში გავდივარ ხოლმე, მოყვრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს შავი მიშა და პირზე ნერწყვმომდგარი ნაღვერდალში იწიტება.

— კურდღელაურში ჩემ ნათლიმამას — განაგრძობს შავი მიშა. — ერთი წაბლა დეკეული ჰყავდა, იმი დანახვაზე, კაცოო... გამაძაგძაგებდა ხოლმე. გასულ მაისითვინ ბალღი გემეეგზავნა; გადმოდი, გულის წადილი უნდა შავასრულოო. გოგო გულხეთქებით ჩამოვარდა ბოლოზე და მითხრა. დისიონა ნათლიას, ეგრე და ეგრე დაუბარებიაო, მაშინვე დ.ვადე თავი და, რაღა მეტი გავაგრძელო, სამხრობისაა დაწყებული შუაღამემდე ნახევარი ფეშხვა გავათავეთ. შვიდმა კაცმა ვჭამევით და ვჭამევით. ჩუმასავით ხორცი ჰქონდა რძიანი. პირში დნებოდა დალოცვილი.

დამგელებულმა მსმენელებმა საბერველებივით ამოიქშინეს, ვითომ რატომ ჩვენც იქ არ ვიყავითო და შემდეგ გაბანჯგლული სახეები კვლავ ვარდენასაკენ მიიბრუნეს.

ვარდენას ამასობაში დაკრეჭილი სიმინდის ტარო აუღია ხელში, იღლიაში მამაპაპური, ადლიანი დანა ამოუჩრია და ლორს წინ წახრილი ნება-ნება ეპარება.

— ქუცი, ქუცი, ქუცი, ტუხ, ტუხ, ტუხ.

ლორი ერთიხანობა მიწამდე დაშვებულ ჩუმპეა უკანა ფეხით იქექავს, მერე არხეინად მოგორავს და მიღრუცუნობს. ფოლაქიან დინგა მაღლა ეწევა, ტაროს ხელიდან სტაცებს ვარდენას და უკან გაბრუნებას აპირებს, მაგრამ ქეჩოში მოთათუნე ხელსა გრძნობს და ერთ ადგილზე იყურსება, ფხანით ნაამებელი წელში იდრიკება, მერე გადაიფერდებს და ერთბაშად ვარდენას ფერხთით გულმინდობით იშოტება.

წუთის შემდეგ თხილის ლასტზე გაწოლილს, მდუღარეთი ჰფუფქავენ, დამკლავებული მეზობლის კაცები ხვადი კატებივით ესევიან, ბალანს ბლუჯა-ბლუჯა აცლიან და ხელებს შივნეულობაში დასტაქრებივით ურევენ.

შავი მიშა აკვერცხლებულ თვალს ადევნებს ფურივით დაჯიქნულ. ყელღაბუა ნუცას.

— რამოდოლაა, კაცოო... [illegible] ხომ არ გაიზარდა, მაგას თანგირას მეტი ვერავინაც ვერ გაჰხედნიდა.

— ენა დააყე, კაცოო... გაიხედნა და ეგ არი.

მიშა ენას ვერ აყენებს. — ეგენი რო ცუთანს შააბამენ ხოლმე, რამისარი ჩვენი სახლი თავხეც ჩამაიქცეს, ინდაურებს ქანდარაზე ფეხი უცდებათ, იგრე ირყევა ხოლმე იქაურობა.

— ენა დააყე, კაცოო... — კვლავ აფრთხილებენ მატაოცა მიშას მეზობლის კაცები.

— გვერდები ხო არ ეგეფხანა, თუქურმიშო, ი ნადირმა არ შაგასწროს ყური თორემა...

ი, ნადირი ამ ეზოკარის პატრონი ჯალანდარი თანგირა გახლავთ (იმისი ნათლობის სახელი თვით ბესა პაპასაც აღარ ახსოვს) თავად ნუცია მაღალი ქალია, მაგრამ გამხმარი მუხის მარგილივით უფაშრო, ალაწოდა ჯალანდრიანთ თანგირას კისრის მალამდეც ვერა სწვდება.

როდესაც პირველად შეჰყარეს ერთად ეს ორი ფერხორცით გამძლარი გოლიათი, თანგირას ნდომისაგან ერთბაშად ზნემ წამოუარა. ფეთიანივით გავარდა ეზოდან და იმ დილით ჰენებ-ჰენებით კაი ორი დღიური ნათესი გაახრა. მერე და მერე ქორწილამდე უფრო და უფრო უხშირა ზნემ და მგელდადევნებული აბლაყივით დაჯირითობდა ბილოებზე. მაგრამ სოფლის თავკაცების რჩევით, დათქმული ქორწილი ორი თვით ადრე გამართეს და სწორედ იმ დღიდან დაუფრთხეს ანგელოზები ძილის მოყვარულ ბესა პაპას.

— ნეტაი რას აბრაგუნებენ ამოდოლა ხანი, ემანდ ე, სახლი ჰერი თავზე არ ჩამამაქციონ მაგ გამჩენძაღლებმა მაგათა.

გამთენიამდე წრიალებდა ბესა პაპა მიწისპირა ოთახში, მაღლაურა ოთახში კი შეცისკრებამდე იდგა ერთი ვაიუშველებელი. კვნესოდა ტახტი. გუგუნებდა იატაკი, ცვიოდა ბათქაში. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გადაწყვიტა ბესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანამ უფროს შვილთან გადაბარგებულიყო.

— ღმერთმა გამრავლოთ შვილო და მეტი აღარ შამიძლიან. აღარა. ეგრე ყოჩაღად თუ მაიქცევით. ბაღლები რწყილებივით დაგესევიან. იგრე კი ახალი სახლის აშენება უთუოდ მოგიწევთ ვიდრემდე გადიგრილებდეთ. თორემა აი ნახეთ მე მიყივლია და, თუ ერთ ღამესაც ძაან გააძგრიალეთ საქანელა ყავარჯამიტი თავზე ჩემეგეფურტკნებათ.

დამორცხვებული თანგირა ცალყბად იღიმება. დაძარღვული, ბალანაფოჩებული მკლავები სათრებივით ჩამოუკიდავს, აყალო მიწასავით შავია და აყალო მიწის ბელტივით დიდი გულიც სიამით უძგერს გადამინდვრებულ გულმკერდში. უხარია მამის ეგეთი ღვთისნიერი გადაწყვეტილება, დღისით წამოქოჩრილ ვნებას შებინდებამდე ძლივს მიაგორებდა ხოლმე ტახტამდე, ეხლა კი ამის შემდეგ, ბურთი და მოედანი სრულიად იმის განკარგულებაში გადადიოდა.

— ჰო, მამი, როგორც შენ გინდოდეს, იგრე მაიქეცი.

ხმადამტკბარი თანგირა მამას უფონებს გასასვლელს და თანაც ცალი თვალი ულელტეხილივით ბეზარგანა ცოლისკენ გაურბის.

მშობლები მიდიან, ასპარეზი გოლიათებს რჩებათ, ღამეული საქმე ახლა დღისითაც გრძელდება. ჩვეულებრივ კვნესის ტახტი, გუგუნებს იატაკი, ცვივა ბათქაში, მაგრამ. საბედნიეროდ, დღისით შავმიშაანთ ინდაურები ქანდარაზე არა სხდებიან და აღარც ბაიბურში მოდიან, ეგრე არხეინად დარუყრუყებენ ეზოკარში.

ნუციამ ჩათუთქულ ყაურმას ჩაურია, ხახვი და წიწაკა ჩააყარა, ახირებულმა შავმა მიშამ თვალი ერთხელ კიდევ გააპარა წახრილი ქალისკენ.

— და, და, და, და, კაცოო... ერთი მაგი უბეში მაბანავა და მემრე თუნდაც კურდღელივით ჩამამატყაონ.

— ენა დააყე, კაცო... ჯუჯღუნებენ მიშას მესაიდუმლე კაცები და თვითონაც ორ ვენახა დედაკაცს მისცქერიან.

საგრძენებზე გაწყობილი მწვადი შხივის და თანდათან იბრაწება. ნაყარნუყარი ლეშით გამაძღარი ძაღლი ახლა ბოსტანში გადაცეცრავებული მიუნაუ-ლებს. ამინდი უფრო გაარჯლდა, მოჯირითებულმა ნიავმა ნისლი წამოხვეტა და აამაღლაურა. ახლახანს ხვავრიელად დაძრული ფიფქი გაპენტა. ქაობორბალა დაატრიალა და ერთბაშად შეჰირხლა ირგვლივ ყველაფერი.

თანგირა მარანში მორჩომილა თავის საქმეს და ახლა მკერდმოღიავებული, ფრიალო კლდესავით გამოდის ეზოში. დაკარწახებული, სველ-სველი მაჯებიდან ორთქლი ასდის და იმ კლდესავით უგრძნობელს, გაავებული სიცივე ვერაფერს აკლებს.

მარნისპირა ოთახში. გაშლილ მაგიდაზე ხორაგი და ნამუსრი ძვალი ყრია, წითელი ღვინით გაბასრულან ხელადები. ჯერ კიდევ შეუმჭკნარ ყურძენს, ოქროში ამოვლებულ ზამთრის გულაბს და მზით გამაძღარ ბროწეულს ლუყურტი ყაურმის ოხშივარში ფერი ეკარგებათ. ტკბილი, მწუთხე და მჟავე ერთმანეთში არეულა. მოქეიფეებს ჯერ კიდევ ამოუყორავი ფაშვები წინ წამოუგდიათ, ნესტოებდაბერილები ბუღებივით ქშინავენ. კბილებში გახირული ძარღვის ნაჩეჩი სალოკი თითით გამოაქვთ და დახარბებით ეტანებიან და ასკდებიან კერძეულს.

მუშტის სისქე მწვადები პირის ქარადაც არ ეყოთ, ორ-ორი ჯამი ყაურმა გადასანსლეს, ახლა მესამე ნამატს სვავებივით სძიძგნიან და დაჰხარიან.

---

**ემზარ ოშანაშვილი**

ზნე





ქ. მარქსის სახ. ... სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამადად თავდიდიაანთ მუცელკოდა მურტალა დაუსვიათ. ბალღობაში ბრაკონიერობდა მურტალა. კოკონა იხვივით დაძვრებოდა ალაზანზე და იმ არემარეში თევზი იგრე გააცია. ფეხზე შოსიარულეთ ვილა დაგიდევდათ. თვალის დასანახავად დაანატრულა ლოგინში მწოლიარე ავადმყოფებს. ბოლოს მაინც ერთ კარგ. გამრჯე კაცად დალვინდა და კარგი თამადის სახელიც გაითქვა მთელ სოფელში.

— ამ სტაქნით და დიდი გრძნობით, — ნება, ნება წნავს სიტყვის გოდორყურს მურტალა, რომ შემდეგში დაჭანრებული თანააუფრელები შიგ ჩაიტყუოა და ეშხიანი სადღეგრძელოთი გააბრუოს. — ამ სტაქნით და დიდი გრძნობით ჩვენ ობლებს გაუმარჯოს. ბოლოზე რომ მივდივარ ხოლმე დაკრეფილი, ფოთოლჩამოლონებული ვენახები პრიუტი ბალღებივით მეჩვენებიან, გაუკაცრიელებული საურმეები და ვაზები, ყელგამოჭრილი მეომრებივით შემომკვნესიან საბრალოთა. ამ სტაქანში დიახაც რო იმათი სისხლი ქაფქაფებს, სიცოცხლესა და ჯანს რომ უმატებს გლეხიკაცის მარჯვენასა, მოდით და, კაცებოო... იმ ჩვენ ყელგამოლადრულ ობლებს გაუმარჯოს, ეხლა იქ, ზვრებში უჩუმრად რო ელოდებიან გაზაფხულსა.

— ჰე, ჰე, ჰე, ჰე. ბა, ბა, ბა, ბა, რანაირი ლაპარაკი აქ კაცოო...

გაიძახიან ცრემლნარევი ხმით გულალალი გლეხკაცები და ჭიქებს შეშუპებული ტუჩებით დედის ძუძუსავით სათუთად ჰკოცნიან.

— მიწას უთქომ. — აგრძელებს სადღეგრძელოს მურტალა. — ზედ რაც გინდათ დამაყარეთ, ოღონდაც ჩემ კალთაზე უმაქნისო კაცი არ გააჭაჭანოთო.

— კიდე რა უთქომ, მურტალ, — არაცლის ლაპარკს ელიაანთ ალიველა უტრუხუნე. — ქვეყანა რაღაცას მოეწია და ის კიდევ თავისი სიზარმაცით ქალამნებით და დაკემსილი ტანისამოსით დაიარება.

— ენა დააყე. კაცოო... — აწყნარებენ გაფიცხებულ უტრუხუნეს, მურტალას სიბრძნით თავგასიებული გლეხკაცები.

— მე რაღას მიყურებს, რო.

— დააყე, კაცოო... საყურებელი ხარ და გიყურებს.

— ვაჰ, მაგისი ბედი, ჩემი რძალი რო აქ არი თორემაა... მაგას გადავაცეცხლებდი დილი არაყსა.

უტრუხუნეს რძალი ნუცია ჩანელებულ ლუმელთან აამფეხა სკამზე დაზვინულა და ჰყვინთავს.

— მიწას უთქომ, — გესლიანად აგრძელებს სიტყვას მურტალა და უტრუხუნეს გამართული თვალით აჩერდება.

— რა უთქომ, ლოკოო... ბარემარილა ამოქარე.

— დააცა, კაცოო... ხორხოცობენ გლეხკაცები.

— მიწას უთქომ...

— რა შაგიძვრა, მიკმინეე... შენ ხო არ გინდა ე, ხელადა გამოუშო.

ქამად მჯდარი თანგირა ხმაურზე ერთბაშად კისერს იღერს და თვალებით მზე ჩამოაქვს მაგიდაზე. ცნობის წადილმა ლამის იყო, ისიც გაათავა და ბოლოს და ბოლოს როგორც იყო, გაერია ნახირში.

— კაცი არა ხარ, მურტალავ, თქვე, კაცო, რა უთქომ.

— მიწას უთქომ, ჯან-ღონით მოსილი, ბოგანო და უპოვარი, არამც და არამც ჩემი გულის ლადარში არ ჩამაასვენოთო...

— ჰაატ, შე ჩემალალავ, მაინც როგო ჩემკენ გებრიცება თვალები.

უტრუხუნე მაჩვივით მიძვრება სუფრაზე. გლეხკაცები ხითხითებენ. შავი მიშა ბუივით გაბერილა, სიკვდილნაცემივით აფარფარებს ყორანა თვალებს და მაინც შეგრილებულ ყაურმაში უჩანდურებს პურის ნატეხს.

თანგირამ ერთბაშად მძინარე ცოლს შეასწრო თვალი და მეძებარივით გაილურსა. იმის შემხედვარე ბესა პაპას ელდა ეცა. — ემანდ ზნემ არ წამოუაროს. მალლა არ აიყვანოს ე გოგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავი მოჰქრას ვინლა ჩივის, ნაგვით გაგვივსებენ აქაურობასაო.

გულშესუყებულმა უტრუხუნემ ამაოდ იწრიალა, იწრიალა და ბოლოს რომ ველარას გახდა, ჭარხლის წნილს დამგელებული მიდგა, ამოწირპლულ თვალებს ბოროტად ალამუნებს, მურტალა გულზე ნაკვერცხალივით დასცემია, შემღვრეული გონებით მიზეზს ეძებს, რომ გაფრენილი ხელადით შუბლზე ყვავილების ბალჩა-ბალი გაუშენოს.

მურტალა თავის მხრივ ნაბდიძველის ფასსაც არ აძლევს უცხვირპირო უტრუხუნეს, ვითომც აქ არაფერიაო, ითამაანთ ჭყეტელას ეკითხება:

— რაო, რას ამბობენ, ჭყეტელ, არიო მთაში წიფელი?

— ემდურებიან.

— მაშ გლურჯიძიაანთ დათია ცოტა გაუჭერს ქამარსა.

— სხვებიც გაუჭერენ.

— ვიცი, ვიცი შენ და მამაშენიც გაუჭერთ. ერთი ფრახი ლორი მყავ, მამაშენ ითამას მუხლიკვირტავები დავუკოცნე, წაიყვა, მამაშორე, ლამი მთელი ოჯახი დაგვჭამოს-მეთქი, მაგრამ უარი მტკიცა.

— არ გაგიგონებდა.

— რათა, ვითომაო, რალა მე არ გამიგონებდა.

— რათაო და იმითვინაო, რომ თავჯდომარემ ზედ ცხვირი კეხზე დაუკაკუნა თითიკაუჭი ითამას, საჭმელი იგრეღაც ცოტაა, კერძო არ შაურიო ფერმი ლორსაო, თორემა დამზადებაში თუ ხორცი დამაკლდა, ლორი მაგივრად შენ და ჭყეტელას ჩაგაბარებთო.

ჩემი ნატვრაც ეგ იქნებოდა, — ხითხითებს მურტალა.

— ლოკოო... — იგესლება უტრუხუნე.

— ჩასაცუცქი ადგილი აღარ დაარჩინეს, ყველაფერი გადახნეს სავენახეთა. ლორი მთი პაერზე დაუდით, საქონელს კიდევა აქ მეავე-მეუვეს აჭმევენ, მბალი პური და ორნახადი არაყილა აკლიათ.

— ამასწინებზე ლაპარაკობდნენ, ტელევიზორები უნდა დაუდგან კერძო გომურებსა და ფერმებში ფერდებჩავარდნილ საქონელსაო, გულიშალავათითვინ ტელევიზორებითლა გაახსენებენ გადალორთქილ ნოლებსა და იალაღებსაო.

— ვირკეტაანთ შაქრია ჩიოდა, ლამის არი ჩვენი ნიშა ძროხა ლოგინში შამამიძვრეს, იგრე შაიჯავრა უტელევიზორო გომურიო.

— ხი, ხი, ხი, ხი, ხა, ხა, ხა, ხა — ხითხითებენ, ხარხარებენ გლეხკაცები. გარეთ ქარბუქი ტრიალებს. ცივა, გუნჯალ-გუნჯალ ფიფქებს ისვრის მოწეული ცა, ქარი მეყვსეულად აშარობს, ჯერ ნელი შრიალით უვლის არემარეს, შემდეგ ერთბაშად დაიბუბუნებს და შეპუდრულ ხეებს აკვნესებს და წელში ლუნავს.

— ვაცითვალ, მაიტა ეგ ჩონგური, გადმამაწოდე აქეთა.

მურტალა ვაცითვალას ჩამოართმევს ჩონგურს, ერთხანს ცერით უხმატკბილებს ლარებს ერთმანეთს, შემდეგ დაკოჟრილი თითებით აფხაკუნ-ჩამოაფხაკუნებს და ერთ ისეთ წიოკობას ასტეხს, საშუალო სმენის მქონე ადამიანს ჭვალგავლილივით აუვარდებოდა კრუნჩხვები.

— ლურჯას გაუდის თქერანი...

— და, და, და, და, ჰეეე...

— ურიათუბნი ბოლოზე ვარ დაკარგულიოოო...

— როგორი სიმღერა იცის, კაცოოო... მიდი, გენაცვალე, მიდი... მურტალა ძვალგადაყლაპული ინდაურივით აწონწორებს კისერს და ისე საზარლად ჰყივის, გეგონებათ, ალაზნის გაღმა მენახირეებს ეძახისო.

— ზაქი მწვადები ბევრია, ინდაურებიოოო...

— ბა, ბა, ბა, ბა, კაცოო. — ჰე, ჰე, ჰე, ჰაი შენ ჯიგარს ვენაცვალე, შენ ჯიგარსა. — ითუთქებიან მოქეიფეები.

ემზარ ოთანაშვილი

— ბერდენკას გააქ ხუილი, ვაიმე, გულიოო...

და ერთბაშად მოხდა ის მოსახდენი, რაც უნდა მომხდარიყო. თანგირა ფეთიანივით წამოვარდა სკამიდან, კარს ეცა და ეზო ეშმაკშემძვრალივით თვალის დახამხამებაში გადაიქროლა.

— აკი ვთქვი, წამოუვლის-მეთქი, — ბესა პაპამ სინანულით დააცანცარა თავი და მერე იქ მყოფთ ისეთი ძალით დაუჭიყვლა, რომ მურტალას ხმა თაგვის წრუწუნათ მოგეჩვენებოდათ.

— არიქათ, ბიჭებოო... თანგირას ზნემ წამოუარა, დაიჭით, — ყველანი მაშინვე ფაცხაფუცხით გაცვივდნენ გარეთ. ძილიდან ხელნაკრავივით გამორკვეულ ნუციას ეგონა ახლა კი დუშმანი დაგვაცხრა თავზეო და ისიც შეფეთებული გავარდა ეზოში.

დათოხილმა თანგირამ გრიგალივით ჩაუარა სანახიროს, სოფლიდან გავიდა და ალაზნისკენ მიმავალ შარაზე თვალშეუვლები სისწრაფით დუოთა თავი.

— არიქათ, ხალხნოო!.. თანგირას ზნემ წამოუარა, დაიჭით!

— ჰე, ჰე, ჰე, როგორ მიდის, კაცოო?..

— ბა, ბა, ბა, ბა, ე, რა ნახეს ჩემმა თვალებმა, კაცოო...

— აბა გაჰხედეთ, აბა გაჰხედეთ, თავი როგორ კედლი სანგრევი გირივით მიაქ კაცოო...

აგე იმ მთას თუ დაეძგერა, გაღმა არმავირში გავარდება, ეგ შობელძაღლი ეგა.

— აააა, ააა, აააა, აღარ შამიძლიან, კაცოო...

შავ მიშას თიაქარი ჩამოუვიდა და ერთბაშად გაქვავდა ადგილზე.

— მაგი ღმერთიც ვატირე, მაგას რა სატკივარიღა დეეწევა, მგონი ეხლა სანივრი ბოლოებზე მიაგლაჯუნებს.

თანგირამ სანივრი ბოლოებზე კი არა და, სახლუკან ჩაძეძვილ ღობეზე გადაავლაჯუნა. კიბე ბრაგაბრუგით აირბინა, როგორც კი ოთახში შევიდა და ნუციას ლოგინში დაიგულა, კარი შიგნიდან ჩარაზა.

— მოხველი?

— მოველი, მაშ არ მოველი. მე რომ შაგათთვინ მეცქირა, დილამდე აღარ წალაყუნდებოდნენ შინა.

— მოდი...

— ჰოდე!

გარეთ შავ მიშაანთ ინდაურები რუყრუყებენ. ქარაშოტი მიერეკება ნამქერს შარაზე და თეთრეულივით მიჰკეცავს. ცივა. ღამე უთუოდ უმთვარო იქნება, ახლა კი პირველ ბინდბუნდში იფუთნება ზამთრის ნიავით გათოშილი სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაალ ებანოიძე

## ფიქრი

1

ნიავის შრიალს
ახლავს მუსიკა, —
ნაზი ბურუსი — შემოძლეწილი
და იკითხება
ფოთლების ჩქამშიც
უღრანების გულისტკივილი...

წინ ტრამალია.
მღვრიე ორთქლი იწყებს ადგომას
და ცნაურდება შემოგარენი:

აგერ ბილიკიც —
მოლის ქარქაშით
ამოწვართული სატევარი...

გინდა თუ არა
გაჩნდება ფიქრი:
ვინ გაკვალა?
ან ვისი ნატვრა ამოწყაროვდა
ლორთქო ბალახის სურნელებად?

2

ხანდახან სარკმელს გამოაღებ
და სიბნელიდან
სიბნელეში გამოიხედავ.

რას იცოხნება შავი ღამე?
რა დაინახოს
ძეხორციელმა
ვარსკვლავების ჭუჭრუტანიდან?

ვიტყვით:

გაჰკვლია გზა-სავალი, —
ეს იმას ნიშნავს, ვინმე მავანმა
მოკვდავთა შორის
ერთი ადლით გაისახელა.

გავყვეთ სიუჟეტს:

შუადღის ხვატში,
წყლის ზედაპირზე
ერთი წამით მურწა ამოხტა.

როცა უკანვე დაბრუნებულს
ლიფსიტების ჯგრო დაეხვავა
და გარესკნელის ამბავს
ჰკითხავენ, —
რა უპასუხოს?!

იგივეობის ძაფი ლამბავს
სიცარიელეს
ორ ამბავს შორის.
ზიხარ მაშვრალი,
თითზე დახვეულ ძაფის ბოლოს
თანდათან არღვევ, —
სიგრძეს უმატებ:

მიაცოჯვილებს ჭიანჭველა
ხმიადის ნამცეცს,
მილიგრამებში ჩასატევარს,
მაგრამ, როდესაც
იქედან აქეთ გამოვხედავთ —
პურის ნამცეცი
ვეებერთელა აისბერგია.
. . .

არა! — ვიღაცამ
სივრცედ მონათლულ
უზარმაზარ ოკეანეში
ჩამოგვიკიდა პირობითობის
ანკესები
და ჩვენს ნაბიჯებს
სეკუნდანტივით უდარაჯებს.

●

ღამითმოსილი
კაცი ვიყავი,
ვწუხდი შორეთზე,
ჩემო ვარსკვლავო,
ბარდი,
გულიდან გაურიყავი
ახლაც დაღლილი
ფრთებით სავსაობს.

ნაყვარება
მიმწუხრი ახლაც
ფოთლების ლექზე
ვარდის ნათებას
და სულზე
ძველი ტკივილის დამღას
ახალიც
ბევრი მიემატება.

●

ცადაზვინული მთები,
ძირს — გავაკება, —
სიმბოლური „ანი“ და „ჰოე“
ამა ქვეყანად გაჩენილთათვის.

შეურიგდები ჩრდილში დგომას,
თუ შენაც ჰპოებ
ბილიკს, მზეზე რომ გამოგიყვანს?

მფრთხალი ლანდები —
ხიბლის გარეშე
დარჩენილი სამკაულები, —
ბორკილებია,
ვერ გირჩევ, ძმაო!

●

ჩათვლიმა ბოლოს,
ძნელი იყო მეტის ატანა,
თვალგახელილმა
ჩათვლიმა ბოლოს;
ნახა გამოღმა ანგელოსი,
გაღმა — სატანა,
ერთი სიკეთეს თესავდა და
მეორე — ბოროტს.

დახურა ღამე —
ლიდერინში ჩასმული წიგნი,
ჩამოაფარა
თაროებს ფარდა,
და დარჩა მაინც
უამრავი წვრილმანი შიგნით —
წასაკითხავი
ვარსკვლავებს გარდა.

●

ერთხელ ხილულის მონატრება
მოითხოვს სახელს,
უცხო არილით განათებულს,
რომ გაგვინელდეს სიმძიმილი
და თავი ჩვენი

ცხოვრებისაგან გარიყულად
არ მივიჩნიოთ.

ამოდ ნაქარგი მოლი ახლავს
იმ მონატრებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამშვენებული მზის სხივების
ლილო-ჭრილოთი.

ხელის მოცარვის გააზრებაც
საკმარისია,
რომ ტანზე
ეკლის ბუსუსებმა გამოგვაფინოს

ჩქამს ვაყურადებთ.
ქარის ფრთაში ვახვევთ იმედებს
და სიჯიუტით ვეშურებით,
საითაც იგი გვეგულება.

რაღა თქმა უნდა, ჩალუსკუმებულ
ორწოხებს გალმა
გასვლას მოითხოვს
ყველა ამგვარი ალტკინება.

მზადა ვართ?! —
მაშინ ორწოხებს იქეთ,
მიზნამდე კიდევ სევდის ბალია.
დაუმწიფებლად დარჩენილი
ვაზის მტევნებით.

არის საშველი! —
ჩვენმა მზერამ უნდა შეთვალოს
ის უმწიფარი ვენახები
სევდის ბალისა,
რომ გზა გაიხსნას —
ერთხელ ხილულის
ხელმეორედ დასანახავად
და გაგინელდეს სიმძიმილი
და თავი ჩვენი
ცხოვრებისაგან გარიყულად
არ მივიჩნიოთ.

●

„ძნელიაო“ თქვა კაცმა დანანებით,
მერე გაიმართა და თოხის ტარს
დაეყრდნო, —
მედასტურეს დააყურა...
ათასის ხმა დაუბრუნდა თანხმობის
ნიშნად.
მე ახლა შუა კაცი ვარ,
მარცხნივ თოხის ტარს დაყრდნობილ
ეს გლეხია.
მარჯვნივ —
ათასი მედასტურე.
ვითომ, რაზე უნდა ეთქვა „ძნელიაო“
ამ შარვალაკარწახებულ,
ღვთის თვალებიან მეყანეს?
სამყაროს რაობაზე დაფიქრდაო,
რომ შეგახსენოთ,
ირონიაგარეულ ღიმილს
ფარივით შემაგებებთ
და ზედ ჩემი სახელდახელოდ
მიკვლეული
აზრი — მახვილი
ნაპერწკლებს გააჩენს.

ახლახან ლარწყალს მიეყუდა.
სახეზეც შეიფათქუნა,
როცა შემობრუნდა
და ცას შესცინა,

მეგონა: მისი წვერმოძალებული სახე
მზის მინიერი მოდელი იყო.
ამ კაცმა იცის:
ჯალაბი უნდა არჩინოს —
ცოლი და შვილი;
და ძალიანაც რომ გაუჭირდეს,
თავს არ დაამადლის...

ლაბირინთს მივკვალავ,
ათასი „დაშვების“
უფლებას ვაძლევ თავს:
ყმაწვილკაცობისას გულისტოლს
ხომ არ დაშორეს
და ახლა, შარვალაკარწახებულმა და
ღვთის თვალებიანმა მეყანემ,
რაკილა თავი მარტო დაიგულა —
სარქველი ახადა სატკივარს.

ჩამდენს ერთი ცოდვა ადევს,
დამბრალებელს — ათასიო —
საჭიროების ჟამს შეგვახსენებს
ხალხი...
ვაი თუ ჩემი ვარაუდებიც
თევენს თვალში ღიმილს იწვევს
და მე ანცი ბიჭივით
ბალზე გასული
ტყემლის ტოტს ვეტანები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კი, დღე მიმწუხრისკენ
გადაღმერთილა
და საწიერზე
კალათიანი დედაკაცი არსად
ილანდება.

ვითომ ასეა?!
სადილი დაუგვიანეს და
თოხი დაუმძიმდა მეყანეს?!

დუმხართ?
რა მოგდით, თქვე კაი ხალხო.
მტერი ხომ არ გგონივართ? —

გადაკვრით მაინც მიმანიშნეთ
სიმართლე!
რაკიღა თანხმობა მიეცით და
ამით პრეტენზია განაცხადეთ
გაგებაზე, —
მე თქვენ გენდობით!

გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო —
ესეც გვახსოვს.

გამოტყდით! —
თუ ზრდილობის გულისათვის
დაემოწმეთ, —
ერთ ბანაკში ვყოფილვართ!

პასუხი!...
პასუხი!...
პასუხი!...

ცისკენ შემართულ,
შეკითხვაგარეულ ათასის
გამოხედვას
მეტი ძალა გააჩნია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ფირალიშვილი

# ბალი

ბალი ქალაქის განაპირას იყო გაშენებული. ამ მიდამოში ისეთი სიწყნარე სუფევდა, რომ შეუძლებელი იყო არ მოხიბლულიყავით და არ არის გასაკვირი ის უაღრესი კეთილგანწყობა და ურთიერთპატივისცემა, რომელიც ბალის მუდმივ სტუმართა, თუმცა კი უკეთესი იქნებოდა მეთქვა ბალში მუდმივ მომსვლელთა შორის იყო გამეფებული. წითურ ბილიკზე ფეხს დაადგამდით თუ არა, იგრძნობდით, რარიგ სათუთი წესრიგიანობით სუნთქავდა გარშემო ყველაფერი. წესრიგი ბატონობდა ყველაფერში: ყოველი მომსვლელის ყოველ საქციელში, ყოველ ბუჩქანრისა თუ ხეივანში. კაცს აღტაცება შეიპყრობდა. თითქოს მიწიერებას მოსწყდებოდა და პატრიარქალური სიმშვიდითა და კეთილგონიერებით შეიმოსებოდა, აქაურობის მართლზომიერება მოერგებოდა და დაამშვენებდა.

ბალის მუდმივი სტუმრები ხანში შესული, დარბაისელი ხალხი იყო, მრავლის მნახველი და ყოვლისგამომცდელი. მათ მოსმენას არაფერი სჯობდა. მათ მონათხრობში ისეთი იდილიური სრულქმნილება, სიწმინდე და განსაზღვრულობა იყო, რომ კაცს შვება მოეფინებოდა. ისეთი წარმოდგენა შეექმნებოდა, თითქოს ამ მოხუცებულებს თავისი სიცოცხლე სხვა, ზღაპრულ ხანასა და ქვეყანაში გაეტარებინოთ, სადაც საყოველთაოდ ცნობილი უმსგავსობანიც კი მეტად ხალასი, უანგაროდ ეშმაკური და უბიწო იყო, ყოველივე მკაცრად იყო განსაზღვრული — ყოველი ვითარებისა თუ ადამიანის წილი.

მშვენივრად იცოდნენ ერთმანეთის მოსმენა. მას არ ახსოვდა, ოდესმე მავანი მავანს შედავებოდა. ისე უსმენდნენ ერთმანეთს, თითქოს წინასწარ იცოდნენ, რასაც მოისმენდნენ, და მოხარულებიც იყვნენ ამის გამო; ვერავინ გაბედავდა ბალში გამეფებული, ერთხელ და სამუდამოდ მიღებული წესრიგის ხელყოფას. საკმარისი იყო, ოდნავ რამეში არ დამორჩილებოდით, მაშინვე გამორიყულად იგრძნობდით თავს. არავინ არაფერს იტყოდა უკმაყოფილების გამოსახატავად, თვითონ მიხვდებოდით ყველაფერს. მეტსაც ვიტყოდი, საჭირო არ იყო დანაშაულის ჩადენა, რომ გეგრძნოთ, თუ ამის შემდეგ როგორ შეიცვლებოდა თქვენს მიმართ დამოკიდებულება. ბალში შესვლისთანავე იგრძნობდით ამას, როგორც კი თვალს შეავლებდით ზურგზე ხელებშემოწყობილ, მშვიდად და თავაზიანად მოსაუბრე მოხუცებს, რომელთა დარბაისლურ გარეგნობას კეთილგონიერების დაღი დასტყობოდა.

სწორედ ამ წესრიგსა და მართლზომიერებაში გახვეული დააბიჯებდა იგიც. ერთი სული ჰქონდა, როდის მოათავებდა საქმეებს, რომ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის აყალმაყალსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არეულობას გამოსცილებოდა, ბაღის ნეტარ სიმშვიდეს ზიარებოდა და სკამზე მჯდომარეს, გარშემო შემოკრებილი დარბაისელი ხალხის საუბარი მოესმინა, ნეტარყუჩობაში ჩაფლულს ეგრძნო იმ ქვეყნიერების სიტკბოება, სადაც არაფერია უცნობი და გაურკვეველი.

უსიამოვნოდ ახსენდებოდა, რომ მალე დადგებოდა წუთი, როდესაც იქაურობას უნდა გაცლოდა და საერთო საცხოვრებლის მოზიმზიმე ყოფას დაბრუნებოდა. დროის ის მცირე მონაკვეთი, ბაღიდან წამოსვლით რომ იწყებოდა და ოთახში შესვლით თავდებოდა, აუტანლად ტანჯავდა. ერთი სული ჰქონდა, როდის გაივლიდა საერთო საცხოვრებლის ეზოს, სადაც აუცილებლად უნდა გადასწყდომოდა სიბნელეში მიმალულ წყვილებს, თავზარდამცემად ურიცხვ სიცილს რომ დაადევნებდნენ, როდის აირბენდა კიბეს, რომლის თავშიაც მუდამ არყისა და ხახვის სუნად აქოთებული დარაჯი იჯდა, ამაღლებულ, ზოგად თემებზე რომ უყვარდა ლაპარაკი, რადგან მობინადრეები განათლებულ ხალხად მიაჩნდა და ეშინოდა, თვითონ გაგრია არ გამოჩენილიყო; როდის გაივლიდა უსასრულოდ გაჭიმულ დერეფანს, რომლის ლამის ყოველი კარიდან ნასვამების აჯხორცი, ქინიანი ხმა და ქალების მოგუდული კისკისი ისმოდა. დერეფანს ისე იშვიათად თუ ჩაათავებდა, რომელიმე კარიდან ვინმეს თავი რომ არ გამოეყო და არ მიეპატიჟებინა. ვინ იცის, რა ხერხებით დაიძვრენდა ხოლმე თავს. ბოლოს, როგორც იქნებოდა, თავისი ოთახის კარსაც შეაღებდა. იქ მორცხვი და ჩუმი თანამობინადრე დახვდებოდა, ხმის ამოღებისა რომ ეშინოდა, თითქოს იმიტომ, რაიმე აიაულელე არ წამოსცდენოდა და სასაცილოდ არ გაეხადა თავი. იგი, როგორც წესი, ჩაის დაახვედრებდა ხოლმე. დაბალ მაგიდას მიუსხდებოდნენ, ფანჯრიდან სიბნელეში მანათობელ წერტილებს გასცქეროდნენ და ამგვარად, უხმო საუბრით ჩაათავებდნენ იმ დღის ნარჩენებს. თვითონ თუ ალაპარაკდებოდა და ისიც იშვიათად. იმ სიყვარულით ლაპარაკობდა, რასაც წესიერება ჰქვია. მტკიცედ და შეუვალად სჯეროდა, რომ წესიერი კაცი იყო, უფრო მეტიც, წესიერებას თავის მოვალეობად მიიჩნევდა, წინაპრებს რომ დაეკისრებინათ მისთვის და სჯეროდა, პირნათლად ასრულებდა ამ მოვალეობას. ვინ იცის, რანაირ ოცნებაში არ გაინავარდებდა! შემდეგ, აუცილებლად, ლაპარაკს გარეუბნის ბაღზე ჩამოაგდებდა და რა ფერებით შეამკობდა ხოლმე იქაურობას, როგორ სამოთხედ აღწერდა! ისე გამალებით ლაპარაკობდა, თითქოს ეშინოდა, რომ ცოტაც და, თანამობინადრე ლაპარაკს შეაწყვეტინებდა და ბოლომდე ვერ იტყოდა სათქმელს, თუმცა კი ის ჩუმი კაცი ამ დროს ოცნებაში ჩაძირული გატაცებით უსმენდა. მართალი თუ გნებავთ, არასდროს უთქვამს თავისი მორცხვი თანამობინადრისათვის, თუ სად მდებარეობდა ის ბაღი, რადგანაც გულის სიღრმეში ორი რამისა ეშინოდა: ჯერ ერთი, აფრთხობდა ის აზრი, რომ ამ სრულქმნილების განსახიერებად ქცეულ გარემოში თავისი საერთო საცხოვრებლის რომელიმე ბინადარს იხილავდა; მეორეც, ეშინოდა, რომ იქაურობა სხვისთვის ისე მომხიბლავი არ აღმოჩნდებოდა, როგორიც მისთვის იყო და, ის სხვა, თავისი ეჭვით მის გულშიაც ბზარს გააჩენდა. გარდა ამგვარი შიშებისა, გულის სიღრმეში მიაჩნდა, რომ ამ ბაღში ყოფნა მისი უპირატესობა იყო. ასე ეგონა, ბედისწერამ ისეთი ადგილი არგუნა ბაღის სახით, სადაც მისი სულის მთელს სიკეთესა და მშვენიერებას გასაქანი მისცემოდა. ბოლოს და ბოლოს ირწმუნა კიდეც, რომ ვინმე სხვა ვერც შეძლებდა ყოველივე იმის ხილვას, რისი დანახვაც, ღვთის მადლით, მას ხელეწიფებოდა.

თანამობინადრე გატაცებით უსმენდა და ემჩნეოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის წაიყვანდნენ თან, ან მიასწავლიდნენ იმ სამოთხეს, მაგრამ საქმეს აქამდე არ მიიყვანდა, დროულად ჩუმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა და უხმოდ, ფიქრებში ჩაათავებდა ხოლმე სათქმელს.

ვერა და ვერ წარმოიდგენდა, რომ ის გამოცხადება იმ ბალში ელოდა, სწორედ იქ, სადაც მოუთმენლად მიისწრაფოდა და სწორედ მას—კაცს, ვისთვისაც ის ბალი გარდუვალად აუცილებელი იყო.

დიახ, გადაჭრით შეეძლო ეთქვა, რომ იქაურობა არავისთვის არ იყო ისე საჭირო, როგორც მისთვის. ბალი რომ გადაეთხარათ, მოხუცებისათვის არაფერი შეიცვლებოდა, — არც მაშინ, იმ ბალის ადგილას უზარმაზარი შენობა რომ დაედგათ, თავისი სიტლანქითა და უსიცოცხლობით რომ წალეკავდა გარემოს. ისინი თავისთვის სხვა ადგილს გამოძებნიდნენ და განუმეორებელ ყოფას აღიდგენდნენ. მას კი ისე ეგონა, ერთი ხეც რომ დახვედროდა მოჭრილი, და ბალი ამგვარად ხელყოფილი, მისთვის ყველაფერი სამუდამოდ წაიბილწებოდა.

ბალისკენ მიმავალს გამუდმებით მისდევდა შიში, რომ იქაურობას შეცვლილს ან არცთუ მთლად ისეთს იხილავდა, როგორიც ეგულებოდა, მაგრამ დაფხვნილი აგურით დაფარულ ბილიკზე ფეხს დაადგამდა თუ არა, შიშს დაფერთხავდა და იქაურობის ნეტარ უშფოთველობაში ჩაიძირებოდა.

ბალი მისთვის ის ადგილი იყო, სადაც განუხრელად ხორციელდებოდა ის რასაც სრულქმნილება ჰქვია. იგი მისთვის სხეულის ყოველი ნაკვთივით აუცილებელი იყო და, გადაჭარბებულად ნუ მოგეჩვენებათ, თუ ვიტყვი, რომ მგონი მეტადაც სჭირდებოდა იქაურობა.

მომხდარი ისე მოულოდნელი და არასასურველი იყო, რომ თავიდან არც კი ირწმუნა მისი სინამდვილე.

როგორც მოგახსენეთ, დღის საქმეებიდან განთავისუფლდებოდა თუ არა, ბალისაკენ გასწევდა. იმჯერადაც ბალის დანახვისთანავე სიხარული მოეფინა გულზე. მას შემდეგ ბევრი იფიქრა და ვერასგზით ვერ აღმოაჩინა ოდნავი მინიშნება იმისა, თუ რა ელოდა. აშკარა ნიშანს ვერაფერს ხედავდა, ისეთს, ბალის შესასვლელშივე რომ გააფრთხილებდა, და შეაჩერებდა (წინ გადარბენილი შავი კატისა არ იყოს), მაგრამ ხანგამოშვებით მთელი არსებით იგრძნობდა ხოლმე, რომ ყოველივე სწორედ ასედაც უნდა მომხდარიყო. განა მხოლოდ იმ ერთ დღეზე, მთელს თავის ცხოვრებაზე თვალის მოვლება არწმუნებდა, რომ გარდაუვალობის გზაზე მიექანებოდა, თუმცა კი არ შეეძლო აეხსნა, რატომ ეჩვენებოდა ასე, იგრძნობდა ხოლმე, რომ ბედისწერა სწორედ ამ ამბისთვის ამწიფებდა მოვლენებს.

ბალი ცარიელი ჩანდა. ჯერ არავინ მისულიყო. ხელები ზურგზე დაიწყო და ნელი ნაბიჯით იწყო სეირნობა. ბილიკის ბოლოს შეჩერდა და უკან შებრუნდა. ბინდდებოდა. ისეთი სიჩუმე გამეფებულიყო, ისეთი დუმილი მოაწყდა, რომ შიშმა ტალღებად დაურბინა. მერე ფიქრობდა. ალბათ სწორედ ეს სიჩუმე იყო ნიშანი იმისა, რაც მელოდაო. ასე მოეჩვენა, თითქოს ბინდთან და სიჩუმესთან ერთად იდუმალი, ყრუ გუგუნი მოიწევდა მისკენ.

მარჯვნივ გაიხედა — სკამი ეგულებოდა იქ. შემკრთალმა დაინახა, რომ ვიღაც ორმოცს გადაცილებულ, შავგვრემან კაცს ფეხი ფეხზე გადაედო და ღიმილით, ლამის სიცილით უყურებდა. ეცნო მისი სახე, მაგრამ ვერა და ვერა გაიხსენა და, მთელი მისი არსება შეიპყრო აზრმა, რომ ეს კაცი არამც თუ ეცნობოდა, ძალიან ახლო ნაცნობი იყო მისი და მხოლოდ გონების გაჯიუტების გამო ვერ იხსენებდა მის ვინაობას.

— გამარჯობათ, — უნებურად მიესალმა, მერე თავი იძულებულად იგრძნო, ურთიერთობა განეგრძო და გაუბედავად წავიდა მისკენ.

უცნობი წამოდგა, ცერემონიულად, ნელა და მსუბუქად დაუკრა თავი, შემდეგ სათვალე მოიხსნა, მინებს სათითაოდ დააორთქლა და მკლავზე გაიწმინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და (პიჯაკის სამკლავე გაცვეთოდა), სათვალე ისევ ცხვირზე მოირგო და წელში მოხრილი რამდენიმე ნაბიჯით წინ წამოვიდა. საშუალო ტანის, ძვალწვრილი კაცი იყო, თმა უხეიროდ გასცვენოდა ალაგ-ალაგ, მონაცრისფრო სახის კანი ჰქონდა, თითქმის გამჭვირვალე, სახეზე ღიმილი არ იშორებდა. „ძალიან მეცნობა“, — გაიფიქრა ისევ.

— გამარჯობათ, — უპასუხა უცნობმა. — აქეთ მობრძანდით.

— სკამისკენ გაუძღვა, დასვა, თავად მარცხნივ მოუარა და გვერდით მიუჯდა — გულთან უფრო ახლოს ვიქნები, — ყალბი, თეატრალური თავაზით ლაპარაკობდა.

ბოლომდე ვერ მოიცილა აზრი, რომ უცნობი მასხრად იგდებდა, მაგრამ სათვალიანი ისე თავდაჯერებით ირჯებოდა, უნებურად დაემორჩილა და დაელოდა, როდის მიეცემოდა ხმის ამოღების საშუალება.

— გატყობთ, გეცნობით, ვერ მიმხვდარხართ კი საიდან, — მჟღერი ხმით დაიწყო სათვალიანმა. — მე ამ ბაღის ხშირი სტუმარი ვიყავი ერთ დროს, — ლაპარაკობდა და სახიდან მზერას არ აშორებდა. — კარგი ადგილია, თქვენც რამდენჯერმე მინახიხართ. მუდამ ჩუმად ისმენდით სხვების ლაპარაკს. მხიბლავდა თქვენი სიჩუმე. მართალი თუ გნებავთ, მიკვირდა რა საქმე უნდა გქონოდათ ამ ბებრებთან. მერე მივხვდი... — სათვალიანი გაჩუმდა. რალაცის თქმა ვერ გადაეწყვიტა. შემდეგ განაგრძო: — მივხვდი, მოხუცებმა შეძლეს-მეთქი მისი მოხიბლვა, ისე, როგორც ბევრი სხვა მოუხიბლავთ. გამოგიტყდებით და, მეც მათი ხიბლის ტყვეობაში ვიყავი ერთ დროს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ვგრძნობდი, რა სასაცილოები იყვნენ. ყოველი მათგანი საკუთარ თავს ისტორიის ფონზე განიხილავს, ეპოქის აუცილებელ ნაწილად თვლის.

— დიახ, — სიჩუმე უხერხულად ეჩვენა და თავი დაუქნია.

— ცოტა ხანს მოუსმენ კაცი და მიხვდები, როგორ შეთქმულან ქვეყნიერების წინააღმდეგ. დააკვირდებოდით, როგორ ეთანხმებიან ერთმანეთს, ეშველებიან, რომ საკუთარ სიცოცხლეზე სასურველი წარმოდგენა შეიქმნან, როგორ ცდილობენ წარმოიდგინონ, რომ ღირსებითა და უბიწოებით აღსავსე ცხოვრება გაუტარებიათ, — სათვალიანი გატაცებით ლაპარაკობდა.

— დიახ, — ისევ დაუქნია თავი. გრძნობდა, რომ თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ ეთანხმებოდა, მაგრამ ამ ბაღში კამათისათვის არ იყო მოსული. ერთი სული ჰქონდა, როდის დაინახავდა ვინმე ნაცნობს, რათა უკვე გაბეზრებული უცნობს მოშორებოდა. არვინ ჩანდა. სათვალიანს უფრო და უფრო ეშლებოდა ლაპარაკის სალერღელი: — საწყლებს მარტო ერთმანეთის დარწმუნება არ ჰყოფნით, რადგან გრძნობენ, რომ ერთმანეთისაგან მიღებული თანხმობა არცთუ ისე უანგაროა, ამიტომ მიგიღეს ასეთი ხალისით თავიანთ საზოგადოებაში. თქვენ მათთვის აუდიტორია ბრძანდებით. უნდა ნახოთ, რა მოუთმენლად გელიან ხოლმე. სწორედ თქვენი ყურადღება და თქვენი თანხმობა ასალკლდევებს მათ გამონაგონს.

იმ წუთას იგრძნო, რომ ეს კაცი თავისი ენის დაუნდობელი რატრატით სწორედ იმას უნადგურებდა, რაც წმიდათაწმიდად ჰქონდა მიჩნეული. ბრაზი მოერია. ვალდებული იყო, უსასოო მოხუცები დაეცვა, უფრო მეტიც, თავიც უნდა დაეცვა იმ შხამისაგან, ასე დაუზოგავად რომ აფრქვევდა მისი თანამოსაუბრე, დიახ, იგრძნო და, ნამდვილად შეიძლება თქმა, ეს აღმოჩენა სათვალიანის წამიერმა გამოხედვამ გააკეთებინა. მზერაში შიში გაუკრთა, შიში მისი ძალმოსილების მიმართ. შემდგომში უცნობს არ გასჭირვებია, ისევე მშვიდი დარჩენილიყო. სახეც არ შეცვლია იმ წამიერი გამოხედვისას, ისევ ძველებურად იღიმებოდა. ვინმე მესამე რომ ყოლიყო იქ, ვერაფერსაც ვერ შენიშნავდა, მას კი დანამდვილებით შეეძლო ეთქვა, რომ ყველაფრის თავიდათავი ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამიერი გამოხედვა იყო. იმ წამიდან დაიწყო ყოველივე.

— არა ბრძანდებით სწორი, — თვითონაც გაოცებული იყო იმ ძალმოსილებით, რომელიც, ღმერთმა უწყის, საიდან დასტყდომოდა თავს. მრისხანებამ თავით ფეხამდე დაუარა. — არა ბრძანდებით სწორი, — გაიმეორა.

სათვალიანი ისე შესცქეროდა. ჯერ კიდევ მოღიმარი, თითქოს შეცდომით ეთქვას რაიმე და ახლავე უნდა გამოესწორებინა.

— მოხუცები ცუდები არ არიან, — განაგრძო ისევ. იგრძნო, იმას არ ამბობდა, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ სხვა ვერაფერი მოისაზრა.

— ვერ გავიგე, — თქვა სათვალიანმა.

პასუხი არ გასცა, ღირსების გრძნობით აღვსილი შესცქეროდა. რაღაც საოცარი ამბავი იყო მის თავს. აქამდე არასოდეს მონდომებია, ასე მძლავრად დაეცვა საკუთარი სიმართლე. ძლიერებით აღვსილიყო.

— ესე იგი, მე ვტყუი, — თქვა სათვალიანმა. — გამოდის რომ მე უდანაშაულო ხალხს ვჭორავ.

— დიახ, — უპასუხა.

— სასაცილო ბრძანდებით, — უცნობი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მისკენ მიბრუნდა. დანამდვილებით შეეძლო ეთქვა, რომ სწორედ ამ დროს დაიგულა ორიოდე ნაბიჯის მოშორებით დაგდებული ჯოხი, თუმცა არც კი იცოდა, რატომ დაიგულა.

— თქვენისთანებისთვის ცემაა წამალი, — თქვა სათვალიანმა, განზე გაიხედა და ზიზღით დაჭყოლა: — ლენჩი!

მერე ფიქრობდა, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ყველაფერი მართლად, ხელმიწვდენით მართლად ხდებოდაო. მთელ ამ ამბავს თამაშის ელფერი ედო. კმაყოფილების აღმძვრელი ბრაზი (გუნებაში გაუღიმა კიდეც ამ ბრაზს.), რაღაც უცნაური, ცუღლუტი სიხარული და სასოწარკვეთა ერთად მიაწყდა. წამოდგა.

— რა ბრძანეთ? — ჰკითხა.

ბოროტი ნეტარებით გათანგულმა დაინახა, როგორ აიტაცა მისმა ხელმა ჯოხი და მოღიმარი უცნობის თავისაკენ გააქანა. ჯოხი ტკაცანით გადატყდა. ტკაცანი არ გაუგია. მიხვდა, მხოლოდ, რომ ასე უნდა ყოფილიყო. სათვალიანმა თავზე ხელი წაივლო, ჩაიჩოქა, თავი მიწაზე დადო, შემდეგ წამოიწია (რამაც განაცვიფრა, რადგან იმას ელოდა, როგორ დაეცემოდა უცნობი მიწაზე ყრუ ბრაგანით). ერთხანს ცალ მუხლზე დაყრდნობილი ოდნავ ირწეოდა, მერე ფეხზე წამოდგა, სათვალე მოიხსნა, დაათროთქლა, ცხვირსახოცით გაწმინდა, ისევ ცხვირზე მოირგო და მშვიდად გასწია ბაღის გასასვლელისაკენ, ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

გაოგნებულმა გაადევნა თვალი, მერე უცებ მიხვდა, რომ გასასვლელისაკენ მიმავალი აღარავინ ჩანდა. ხმაური შემოესმა. მისგან ორიოდე ნაბიჯზე დავარდნილ სხეულს ვილაცები შემოხვეოდნენ და ხმამაღლა ყაყანებდნენ. ჯერ მათთვის არ ეცალა. საკუთარ მეხსიერებაში ჩაძიებული მომხდარის მოწესრიგებას ლამობდა. თითქოს სიზმრისაგან ერკვეოდა და სიხარული და ბრძოლის ჟინი ნელნელა შიშად და დაბნეულობად გარდაიქმნა. მხარის ტკივილმა მიახვედრა, რომ განზე გაყვანას უპირებდნენ. მიახვედრა და უცებ საკუთარი ოთახი მოენატრა. მოენატრა თანამობინადრე. ახლა უკვე ჩაის მზადებაში რომ იყო გართული, ალბათ, საწოლის თავთან. სკამზე წესიერად მილაგებული წიგნები, ბაღი ქალაქის გარეუბანში რომ ეგულებოდა. სადაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წუთებს ატარებდა: იგივე მიწაზე იდგა, სახეებიც საოცრად ეცნობოდა, მაგრამ ეს ყველაფერი უბადრუკი ანარეკლიღა იყო იმისა, რაც ადრე აქ ეგულებოდა, მეტიც, უსაზღვროდ სასაცილოდ ეჩვენა ხეებიც, დაგრეხილი ბილიკებიც და აღშფოთებული წესიერების გამომხატველი მოხუცებიც, რომელთაც მომხდარმა საკუთარი დაობაი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სლური, კეთილზნიანი ბუნების გარეგამოვლინების საშუალება მისცა. მოეჩვენა და დამფრთხალმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა გასაქცევად, მაგრამ ძალაწართმეულმა მაშინვე გადაიფიქრა. მიწაზე დაგდებულ, მკვნესარე სხეულს ვეღარსად გაექცეოდა. სადაც უნდა წასულიყო, ხელახლა გათამაშდებოდა ეს ყველაფერი, სრულიად ისევე, მაცდური არასერიოზულობით, სათვალიანის ბრაზის მომგვრელი ღიმილით მოფენილი, დაუნდობლად ჭეშმარიტი სინამდვილე. წარსულში გაქცევის სურვილი კიდევ უფრო გაუმძაფრდა, როდესაც სულის სიღრმიდან გამოჟონილმა, გამოჭიატებულმა აზრმა იმძლავრა და ათი წლის მოჩხუბარი ბიჭივით მკერდგამობრექილი დაუდგა წინ; მიხვდა, რომ ჯოხის მოქნევით საქმე არ გაკეთებულა, რადგან, ახლა მთავარი უცნობი კი აღარ იყო, არამედ ეჭვის ის ეშმაკუნა, უცნობის გამოცხადების შემდეგ რომ ჩაუსახლდა სულში. საშინელება მაშინ დაიწყო, როდესაც გალახული გამლახველივით დაშორდა. გაოგნებული დაიარებოდა. საკუთარი ყოფა თავზარდამცემი მრავალფეროვნებით წარმოუდგებოდა ხოლმე მახინჯ ხილვად და ასე ეგონა, აღარასდროს დაბრუნდებოდა ზღაპრის და სინათლის ხანა.

მთელი შემდგომი ყოფა ეშმაკუნასთან ჭიდილი იყო. სხვა დროს არაფერში გამოუჩენია ისეთი სიჯიუტე და არ დაუხარჯავს იმდენი ძალა, რამდენიც ახლა. დილით გაიღვიძებდა თუ არა, პირველ რიგში იმის წარმოდგენას ცდილობდა, რომ რაც მოხდა, შემთხვევითი და უმნიშვნელო იყო და მას შემდეგ არაფერი შეცვლილიყო. რაც უფრო უმწეოდ გრძნობდა თავს, მით მეტ ძალას ახმარდა ამ აზრის საკუთარ არსებაში დამკვიდრებას და, მიუხედავად იმისა, რომ ფიქრობდა, ბაღში ხელახლა სრულიად შემთხვევით მოვხვდიო, გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ეს ამბავი გულმოდგინე ძალისხმევის შედეგი იყო. ბაღი უფრო აუცილებელი აღმოჩნდა მისთვის, ვიდრე მის გონებას ძალუძდა ამის წარმოდგენა.

ერთ საღამოს არეულ ფიქრებში გახვეული ქუჩებში დახეტიალობდა და დაღამებას ელოდა, რათა საერთო საცხოვრებელში მისულს ის მტანჯველი სამასიოდე ნაბიჯი გაევლო და თავის მდუმარე მეზობელთან ერთად ოთახში ჩაკეტილიყო. უეცრად გული შეუთრთოლდა: ბაღის სიახლოვეს იდგა. შიშმა და სიხარულმა გათანგა. ვერაფერი მოისაზრა. ნაბიჯის გადადგმა ვერ გაებედა, ბაღი არასდროს მოსჩვენებია ასეთი მაცდუნებელი, კეკლუცი და საშიში.

მქრქალი ნისლი სულ ოდნავ აბუნდოვნებდა ხეებისა და ბუჩქების კონტურებს, სულ ოდნავ და ამით იქაურობის მომხიბვლელობას აათმაგებდა. ადგილიდან ისე დაიძრა, ჯერ არც კი იცოდა, საით აპირებდა წასვლას.

მოხუცებს ერთი სკამის გარშემო მოეყარათ თავი და ჩუმად საუბრობდნენ. მოეჩვენა, თითქოს თავის ნეტარ მოგონებას შესცქეროდა ასეთი სიყვარულით და არა სინამდვილეს. ნელ-ნელა უახლოვდებოდა. შიში დაუნდობლად ეჭიდებოდა ფეხებზე, მაგრამ დამხვდურთა ღიმილიანმა სალამმა ეს შიშიც გაფანტა. „ჰო, — ფიქრობდა თან სალამს არიგებდა გარშემო, — აქაურობა ისევ ისეთი ნათელი და მშვიდია. მეც ისეთივე ვარ, ამ რამდენიმე ხნის წინათ რომ ვიყავი“. გუნებაში ნიშნის მოგებით მოუღერა მუშტი ეშმაკუნას, რომელიც საცოდავად მოკუნტულიყო და თითქოს ერთ წერტილში ჩამალვას თუ ჩაწრეტას ცდილობდა. „თავს იკატუნებს“, — მოულოდნელად გაიფიქრა, მაგრამ ახლა ამისათვის აღარ ეცალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ირაკლი ბაზაძე

●

შენ როდის გაჩნდი,
    მომიტანე ნეტავი როდის,
დაფნის სურნელი,
    სიხარული თბილი დაისის...
მე არ მივდივარ,
    მე აქა ვარ... აქვე დაგიცდი,
დრო მარადისი:
    დრო— ხერთვისი, დრო — ვანის
                                ლოდი.

როდის მოხვედი...
    გამომფინე თვალებში ცრემლი,
გამომაფხიზლე,
    მათრევინე ტვირთი გოლგოთის,
მეზმანა: ლბილი
    ლაჟვარდების კიბით მორბოდი,
როგორც აპრილი
    იმერეთში გამორბის ტყემლით.

როდის მოხვედი...
    დამადალე სიკვდილით შუბლი.
ამხსენი მკერდი.
    ჩამისახლე ცეცხლი მუდმივი,
მხვდება სახეში
ტლანქ დრაკონის მძიმე კუდივით
მოყვასის ჩემის
    სიყვარულიც... ზაკვაც და
                                შურიც.

### სადაც სიმღერაა ჩემი

*ლაშა თაბუკაშვილს*

სადაც მიწას ულრმესი ცის
ლურჯი ფერი დაჰფენია,
სადაც თეთრი მოწამეთა
ღმერთს უბიდან აფრენია,

სადაც სიმღერაა ჩემი,
სადაც ჩემი სინათლეა,
სადაც სიმშვიდეა ჩემი.
სადაც ჩემი სიმართლეა:

სადაც მე ვარ, ახლო ცაა,
ახლო შორი ფაზისია,
აქაც ძვლების მარაბდაა,
აქაც სისხლის კრწანისია...

იმერეთში მოგინატრე,
ბახუსს დარდი აბარია,
იმერეთი სიზმარია,
მარა უფრო ზლაპარია.

იმერეთში, სადაც მიწას
ცის სილურჯე დაჰფენია,
სადაც თეთრი მოწამეთა
ღმერთს უბიდან აფრენია.

სადაც ნაგვემ მაღალ ბჭეთა
თბილი ჩრდილის სიმძიმეა,
აქ ლაჟვარდის ყაშყაშია.
აქ სინათლის თიმთიმია.

თუკი ცრემლით დაგინახავს,
თუკი ცრემლით განგიცდია,
აქაც ძვლების მარაბდაა,
აქაც სისხლის კრწანისია;

აქ ყოველი ციერია,
უფრო ცისმიერადია,
უსაშველო უბისაა,
უსასრულო გელათია,

ტევრი მისი გრძნეულ ფერის
სიყვარულით მიბელია...
იმერეთი საქართველოს
ბიბლიური სიბერეა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მატარებლიდან

მე აღარც მახსოვს და არც ის ვიცი,
ჩემი იყავი, ჩემი თუ სხვისი...
ღია სარკმელში შემოვა ქარი
და მერე მალე დამტოვებს ისიც.

ანათებს მთვარე და მთვარით მთვრალი
დასტიან ქარში ჩრდილი ჩინართა
წამით გამოჩნდა სარკმლიდან მტკვარი
და მერე მტკვარიც გაუჩინარდა.

●

საით მიგყავარ...
მიყვარხარ და ბრმად მოგენდევი,
უნათლეს ნისლში
ჩაწოლილი შენი ეედები
მთვრალ დევებივით
ტორტმანებენ და რიალებენ
და ტყეებს ლურჯი
დროშებივით აფრიალებენ.

ჩემი ცრემლია
ჟამით-ჟამად ცეცხლზე ნარბენი,
სიცოცხლის ხეზე
ჩამოტეხილ-ჩამონაბელიც:

ჩემი ცრემლია
ვარსკვლავივით ნაკიაფევიც...
კაენის ცოდვა,
უცოდველი სისხლი აბელის

ცაში კვარჩხალებს,
დულს მიწაზე!.. ნაზი ხელები
თვალთ დამაფინე.
მახილვინე უცხო ფერები,
ცხადს ამაშორე —
კოშმარეთის გაკაფულ ყანას,
მომეცი ნანა,
მშობლიური მომეცი ნანა.

●

ვეძებ და ვეძებ
უსასრულოდ ვეძებ და ვეძებ,
ვეძებ მიწაზე,
ცაში ვეძებ და წყალზე ვეძებ;
მიწაზე — იმედს,
ცაში — ვარსკვლავს,
ოქროს თევზს — წყალზე
და, ბედის ბორბალს ჩაგრაგნილი
გზად მივდევ ასე.

ვეძებ და ვეძებ...
რუხი ვნება ჩამოეფინა
ქალაქს წვიმების...
აშრიალდნენ ლბილ
ფარდებივით...

ავხედე ზეცას —
აღარ იყო ცა ღვთაებრივი,
სხვა ფერი იცის
ცამ უმანკომ და ღვთაებრივმა.
გაშემოდგომდა.
აქარვისფრდა.
არე — მარეთა
მოწყენა ისე
ჩაგისახლა შიგნით — გარედან;
ისევ გაწვალა,
გიფათურა და გიწრიალა,
არ დაგაძინა
მისი ეჟვნის ცივმა წკრიალმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

# რამეთუ მიწა ხარ

1. „ეკალსა და კუროსთავსა აღმოგაცენებდეს იგი შენ და ბალახი ველისა სჭამო შენ. ოფლითა პირისა შენისაითა სჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიიქცე მიწად, რომლისგან შექმნილ ხარ, რამეთუ მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე...“

ძალოვნად ნატყორცნი ისრებივით ერჭობოდა ეს სიტყვები ყურებში, მხრებზე, ნეკნებში და წინ მიაქროლებდა — თითქოს ქარით გადალეწნული ტყე ეტლაშუნებოდა ანდა სეტყვანარევი წვიმის ტალღა სცემდა გამეტებით.

ჩაუქროლა გორაკებს, გაბარდულ ტყეს გასცდა და შორით მოლივებული ჭიშკარი დალანდა. იქით აღარ გეზი. ნახტომი. კიდევ ნახტომი. და აჰა: ზღურბლიც. ცქაფად გადაევლო ჭიშკრის ზღურბლს და შვება იგრძნო: ჩადგა წყევლის ხოშკაკალა. შიგნით, გორაკებს მიღმა, ყვავილითა და ნაყოფით დახუნძლული ბაღის ჩრდილოვანებში დარჩა განრისხებული ხმა...

თანდათან გამეჩხერდა ხეთა ლანდები. დაიწყო ქვიშრობი ველი, თითქოს ოაზისიდან უდაბნოში გადიოდა. უკან მოხედვა მოუნდა, მაგრამ ვერ შეძლო. ელდის დაჭიმული თოკები წინ ეწეოდნენ, მიაქანებდნენ. მაინც დაძაბა შემკრთალი სხეული და მიიხედა: ფერმკრთალ ნისლში იძირებოდა ყვავილითა და ნაყოფით დახუნძლული ბაღი. თვალი ჰკიდა: ჭიშკრის სიახლოვეს მრისხანედ აღმართულიყო ფრთოსანი ქერუბიმი...

ბოლო ნახტომიც მოზომა და აჰა: საშინელმა, მოულოდნელმა ტკივილმა მოურღვია პირისახე. უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ხმა შიგნით, გულგვამში ჩაუბრუნდა. ტკივილით განათებულმა გონებამ გაისიგრძეგანა, რომ რაღაც დიადი და ფასდაუდებელი დაკარგა. ეს გახლდათ სიწმინდისა და ელდის ერთობლივი, ჯერაც განუცდელი შეგრძნება, როგორც თვით გამაოგნებული ტკივილი, ტერფიდან რომ იწყებოდა და ზემოთ-ზემოთ ბარძაყისაკენ მიიწევდა, იტოტებოდა და მთელ სხეულში უვლიდა. წაიფორხილა, ჯაგმოდებული ტერასის მტვრიან კედელთან ჩაიჩოქა, გარინდდა, ტკივილს მიაყურადა. ტკივილი ედებოდა, ფლეთდა, აოგნებდა. ფეხს მოეჯაჯგურა, მოღუნა და სანამ ტერფზე დაიხედავდა, ტკივილით შეძრულ გონებას ფეხის ხმა მისწვდა. მიიხედა: ევა იყო. მუხლს დაეყრდნო, ცალი ხელით კიდევ მოღუნა ფეხი, დაიხედა: კუნელის ეკალი ყუნწამდე ჩასობოდა. ამგვარი რამ არც წარმოედგინა. იქ არც უფიქრია ამაზე, იქ ვერც იაზრებდა, რომ ამგვარი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო...

მჭმუნვარედ შეხედა აქოშინებულ დედაკაცს. ევამაც ჩაიჩოქა და ადამმა სულ ახლოდან შენიშნა, რომ ქალის თვალებში რაღაც შეუცნობელი ნისლი ჩაგუბებულიყო. იმ ნისლში გაარჩია თავისი მკრთალი, დეფორმირებული ლანდი — მოხრილი, დაჩიავებული. უხმოდ შეჰყურებდა ქალი და ადამმა დაინახა, რომ ევას თვალებიდან ამო-

იზნიქა ის ბურუსი, ამოიზარდა და წამწამებზე გადმოეკიდა წვეთ-წვეთად. თან ადამის ლანდი გადმოიტანა, გადმოაგორა. ქალი ტიროდა, მხრები უცახცახებდა, ჩამოღვარული ცრემლი ბალახბულახის ჯუბას უნამავდა.

ადამს ტკივილი გადაავიწყდა. რა გემართებაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ტერფი მიწას შეახო და კვლავ ტკივილმა გამსჭვალა, ჩაავლო ულმობელი ყბები და დაქაჩა: ადამი მიწაზე გაიშხლართა. ტერფიდან წამოსული ტკივილი გულში შეიკრა, შენივთდა, შეკოწოლდა და ლოდად იქცა, შედედდა, დამკვიდრდა. ადამმა ხელები აასავსავა, ჩამუხლული ქალის მხრებს წაეპოტინა, წამოდგომა სცადა, მაგრამ ტკივილის ახალმა, უკვე ლოდად ქცეულმა ტალღამ კვლავ მიწას მიაყინა.

პირი უშრებოდა. გარშემო უნუგეშოდ გაშლილიყო უდაბური ველი, მწარედ რომ კაწრავდა მზერას. შორს კი სამოთხის სიზმარი ილანდებოდა, უკვე გამოვლილი, ამბად ქცეული, დაუბრუნებელი.

ადამი გაჰყურებდა ქვიშრობებს, გვალვით დახეთქილ გორაკებს, აზლარბული ჩირგვების ბოლქვებს. მუხლებს უწვავდა ქვიშრობის ცხელი ზურგი. ოლროჩოლრო გზისნაპირები და ვერანი შემოგარე არაფერ სანუგეშოს არ ეუბნებოდა.

უკან დავბრუნდეთო, ჩაილუღლუღა, მაგრამ ქალს ვერ გააგონა — იგიც დაბნეული და სასოწარკვეთილი მოტვლეპილ, დასიცხულ გორაკებს გაჰყურებდა, თან ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. მაშინ ადამმა დაიღრიალა, უკან დავბრუნდეთო, მაგრამ ყელიდან მხოლოდ შემაძრწუნებელი ხავილი აღმოხდა, ეს იყო უსასოო ხმა, რომელმაც მომცრო გორაკებს გადაუარა, გადაკაწრა და ველის ბურუსიან სიშორეში განქარდა, განიბნა...

ამ ხავილმა გახია სიზმრის კალთა, გაარღვია ზმანების წრე და ავადმყოფურმა, დაღლილმა ცნობიერებამ თვალი აახამხამა, გაარჩია საგნების წამახული კონტურები, კედლის მოხაზულობა, სარკმლები...

ადამს გაეღვიძა.

ყველაფერი ისე ცხადად ედგა თვალწინ, რომ ეჭვიც კი გაუჩინა, მესიზმრა თუ გამახსენდაო. სიზმრისეული ლიბრი მალე დაიწმინდა და ადამის ფხიზელი თვალი პალატის მოქათქათე ჭერს მიებჯინა, მზერით აჩხვერა ჭერის ოთხკუთხედი, თითქოს ეს ოთხკუთხედი იყო იმ სივრცის გადამღობი, რომლითაც აქედან გაღწევას ცდილობდა. ჭერის ოთხკუთხედი ჯიუტ ხელს ეჭირა. მძლავრსა და ჯიუტ ხელს — იგი ადამის მზერის საპირისპიროდ აწვებოდა ულმობელი ძალით და პალატის სივრცეს წნეხავდა. ამ დროს უჰაერო სივრცის შეგრძნება ეუფლებოდა — ეხლაც უმწეო ქოშინი წამოიწყო. აიყალყა გულის მიდამოში გაქვავებული ტკივილი, აიძრა, დაიწყო ფეთქვა...

ადამის თვალი კედელზე დაეშვა, გადაჯახირდა კარადაზე, სკამებზე და ფანჯრის ღიობიდან დაეცა შემოდგომის მზით განათებულ ქალაქს — აზვავებულ ქუჩებს, ყვითელი ფერით გადალეკილ ბაღებს, სახურავებს... აირია, გაითქვიფა ჯანმრთელ, ბედნიერ სახეებში, შეაბიჯა ცხოვრების ლაბირინთებში, ნაცნობ გარემოში, შეტოპა თავის გუბეში...

— ერთი, ორი... ერთი, ორი... ერთი... — ფიზკულტურის მეთოდისტის ხმამ გადასხიპა ადამის ყურთასმენა, ძუნძულის რიტმი ჩაუბუდდა სახსრებში.

— ერთი, ორი... ერთი, ორი...

დალახვროს ეშმაკმა, პაციენტებს აძუნძულებს საავადმყოფოს ეზოში. მიბოძეთ იშემიის წამალი: ძუნძული, შემიფუთეთ. დალახვროს ეშმაკმა...

— ერთი, ორი... ერთი, ორი... აბა კურდღლებო!

მეთოდისტის ხმას ქოშინი მოსდევს, ფეხების ბაკუნი და ტყაპატყუპი. მერე ვიღაცის ზლუქუნი ირევა ამ ხმაში: ჩანს, წაიქცა.

სიზმრად ნანახი ევა დაუდგა თვალწინ — მოზლუქუნე, შიშველი. ადამს

გააყრუოლა, ტკივილმა გაკენწლა. სიზმარი ცხადის მოგონებას ერეოდა, ითქვეფებოდა, თვალწინ უტრიალებდა. ყურებში უწიოდა განრისხებული მდევრის ხმის ამაზრზენი ექო. ექო გულს ურევდა და თავბრუს ახვევდა...

საცაა თ. ექიმი შემოვა. მოუყვება ადამი წუხანდელ სიზმარს, ჩაუმარცვლავს სიზმრის დეტალებს. „ნევროზების კომპლექსი... შევცვალოთ სედუქსენი ეინოკტინით, თუმცა... თქვენ რას იტყვით?“ ვერაფერს ვერ იტყვის ადამი. იგი მაჯაზე იგრძნობს ექიმის ცივ ხელს. „პულსი შესანიშნავია... კოტა ძილიც მოვაწესრიგოთ...“ და ცივი ხელი ჰაერში გაურკვეველ ფიგურას მოხაზავს. იმ ფიგურის შუაგულში აინთება თ. ექიმის ღიმილი, მოიმედე. იდუმალი. ამ ღიმილს უკვე შეეჩვია ადამი. უკვე იცნობს, მაგრამ ვერაფრით აუხსნია. რატომა აქვს ექიმ ქალს ცივი ხელები...

თ. ფსიქოანალიზის იალოვნებავ, შენ ვერ ჩამახედებ იმ ჭაში, საიდანაც სიცივე მოწვეთავს ექიმის თითებში...

მუდამ მოწიწების, ქედმოხრილობის მორჩილი გრძნობა ეუფლებოდა თ. ექიმის შემოსვლისას. ცივი, ცივი, ნატიფი ხელები. სიცივის შეგრძნება მოაქვთ იმ ხელებს, ყინულს წურავენ ადამის დამძაბუნებულ გულ-გვამში. ისინი ქანაობენ. იხლართებიან ხმაში, საუბარში, ღიმილში... ცივი ხელები... იმ ხელებს თითქოს ყინულის სამაჯურები და ყინულის ბეჭდები ეკეთა...

ვერ იხსენებდა, როდის დაეუფლა ეს შეგრძნება. ალბათ ადრე, დიდი ხნის წინათ. მაშინ, კლდიდან რომ გადაიჩეხა ბავშვობაში და ორი კვირა ნესტიან პალატაში ეგდო, ანდა იქნება მაშინ... ანდა სხვა დროს.. ხვდებოდა, რომ ეს შეგრძნება ახალი არ იყო, ამ ქათქათა კედლებში არ დაწყებულა, არც თ. ექიმის შეხებით აძრულა. მისმა ნატიფმა ხელმა მხოლოდ გაალვიძა, გააცოცხლა ადამის მეხსიერებაში ჩათვლემილი, თვალმილულული რამ.

საცაა შემოვა, ცქაფად შემოაჯახუნებს კარს. ღიმილი გაანათებს პალატის ოთხკუთხედს და ადამი იგრძნობს ლოლუების შეხებას. ადამმა იცის, რომ თ. ექიმი უბრალოა. უბრალოა ყველა, ვისი მშველელი ხელიც კი მას შეხებია, იმ ბებიაქალიდან მოყოლებული, ვისმა ხელებმაც სულ პირველად აიტატეს უხსოვრობის წყვდიადიდან შემოქცეული, ვისმა თვალმაც პირველად გადაუარა პროფესიული დაკვირვებულობით. ვისი ხმაც სულ პირველად გაემსჭვალა ყურთასმენის დახშულ კედლებში...

— აა, წევხართ? რაღაც არ მომწონხართ დღეს. — იბნევა თ. ექიმის ხმა პალატის სივრცეში. ჭერზე. იატაკზე.— უძილობას ხომ არ უჩივით?

— არა... რა ვიცი. უხასიათობა. თანაც კოშმარები...

ექიმს უკვე ხელში უპყრია შენი მაჯა. მალე სტეტოსკოპიც დაგაბიჯებს გულზე. წნევის გასაზომი აპარატიც მოგიჩოჩდება. ქშუ! ქშუ! სსს! შენ, რა თქმა უნდა. არ იტყვი, რომ ყურებში გიდგას სიზმრად განაგონი წყევლის ექო. განრისხებული მდევრის ხმა. შენ მიჩუმათდები. გაირინდები. მაგრამ შენი მდევარი როდი დგას. იგი მსწრაფლად იმოკლებს მანძილს და მისი ხმაც. ხმა თუ ექო. სულ ახლოდან ჩაგესმის. მოგზუზუნებს და გფლეთს. განაწილებს თავისი ფხიანი ულმობლობით.

თ. ექიმის იმედიანი, ერთგული გამომეტყველება. ადამმა თავიდანვე შენიშნა: იმ ქალებს ჰგავდა, ულალატონი რომ არიან. წმინდანები. მაგრამ მათ არსებას სწორედ სიწმინდე არყევს. სიწმინდის დაუხარჯაობა. ულალატობის გვირგვინი მძიმეა მათთვის. და ეს გვირგვინიანი, ულალატო და ერთგული ითვლის შენს მაჯისცემას, ფიქრობს. ვარაუდობს. შენ კი ელი და ელი. თუმცა ლოდინიც აღარ შეგიძლია. ამ ოთხკუთხედში ლოდინი; უნდა გახვიდე. უნდა იარო, სანამ შეღამდება და სანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განრისხებული მდევრის ხმა დაირხევა შენს სიზმარში.

მაჯისცემას ითვლიან ცივი, ნატიფი თითები. თ. ექიმის ფიქრი შენს გულისცემას მიჰყვება, მისდევს სისხლის კოწოლებს. მზერას მიადევნებს მის წრიულ დინებას, ითვლის, ითვლის. გარშემო ყველაფერი, ჩვეულებრივ, თავისი რიგით ცხოვრობს, ჩვეული გზით მიედინება. დერეფნიდან ისმის ფეხის ხმა, ყაყანი. ვიღაც სლუკუნებს. „ერთი, ორი... ერთი, ორი...“ კედელს ელამუნება ფანჯრის ჭრილიდან შემოღწეული მზის ზოლი. „ერთი, ორი... ერთი, ორი...“

თ. ექიმი ფანჯრისაკენ მიდის, სინათლის ზოლი ეფინება პირისახეზე. ადამი ხედავს პროფილის ნატიფ ხაზებს: ნახევარწრეებს, სინუსოიდებს... ხაზებს მიღმა მოჩანს ცის კამკამა ნაგლეჯი, უფრო ქვემოთ კი — გაძარცულ ხეთა ტოტები. კოწიალებს ეული ფოთოლი. ილანდებიან კენწეროები, აქეთ-იქით რომ ლაყუნობენ ქარის ჩამოქროლისას. იმ ხეთა გადაღმიდან გუგუნითა და ხრჭიალით ნაზავი ხმა მოდის, ყოვლისმომცველი, ამაზრზენი — თითქოს დედამიწას ხერხავს მავანი გოლიათი.

ადამი გაჰყურებდა ლაჟვარდის ნაგლეჯს, იქით და იქით ყინულის ფერში რომ გადადიოდა და სიცივეს თესავდა მოხმაურე დილის შფოთში. დილის სუსხით აბურძგნილი ქალაქიც უფრო მსწრაფი და თავდაუზოგავი ჩანდა, თავბრუდამხვევად მობორიალე, აჩქარებული. და ტრიალებდა, ხმაურობდა, ილებდა და გასცემდა ყინულისფერი ლაჟვარდის ჭერქვეშ. ცის ამ ნაგლეჯს მთვარის სიშიშვლე და მიუსაფრობა აკლდა. მთვარისა, რომელიც თანაბრად ანათებდა ცოდვა-მადლით გაწონასწორებულ სამყაროს, გარდასულის აბალახებულ გზებსა და ახლად გაჭრილ, მოხმაურე მაგისტრალებს...

— ადამ, ცოტა უფრო გონებით შეხედეთ თქვენს მდგომარეობას, ბოლოს და ბოლოს, ხომ სამკურნალოდ მოხვედით, — ჩანდა, რომ თ. ექიმი გააღიზიანა ადამის ფიქრმა.

— ქალბატონო, მე მხოლოდ ვფიქრობდი...

— აა, თქვენ გაწერა არა მთხოვეთ?..

ალბათ ვთხოვეო, გაიფიქრა ადამმა. და კვლავ იმ ლაჟვარდის ნაგლეჯს გაეკიდა გონების თვალი, იმ ნაგლეჯს, ასე ძალიან რომ აკლდა მთვარის სიშიშვლე და მიუსაფრობა. რატომღაც თარაშ ემხვარი დაუდგა თვალწინ, წამებული, დროთა ხიდი. თავისი სიკვდილი ძველის წარმხოცველი, როგორც სკოლაში ამბობდა ხოლმე ლიტერატურის მასწავლებელი. ვინ იცის, ეგებ არც გამოჰკიდებია მთვარეს — ძველი ჩინელი პოეტივით, მთვარის დაჭერის მოლამე მდინარეში რომ დაიხრჩო, — მთვარეს არ გამოჰკიდებია, არხეინად გადაცურა ენგური და სიცოცხლის ბოლო დღეები რომელიმე კლინიკაში გაატარა... ან... ანდა ხომ შეიძლება... ჰო, ამბავს ბევრი დასასრული აქვს, მაგრამ ლამაზად და ბედნიერად იშვიათად მთავრდება. რა უცნაურია, რომ მწერლები ამბავს ლამაზად ამთავრებენ.

ცხოვრებას საძაგელი დასასრული აქვსო, ამბობდა პოლოლიკი, ნათავმჯდომარალი, მოხუცთა თავშესაფარში რომ მოინახულა ადამმა. რამდენი რამე მოუყვა მაშინ და ყველა ამბავი საძაგლად მთავრდებოდა... მაშ! მწერლები კი — ლამაზი დასასრულიო და სხვა და სხვა. კიდევ რა მოგართვათ?

პოლოლიკის გახსენებას ძველი სურათხატები აედევნა, გარდასულის ზურგი გამოკრთა ატალღული დროის ოკეანეში, ამომაღლდა, ამოიმართა.

დაირხა კოლ-ბის თავ-რე პოლოლიკის ომახიანი ხმა კოლ-ბის კანტორის ატალახებულ კიბეზე.

„ჩვენი ბებრების, ჩვენი ბაბუებისა და ბებიების სიცოცხლე ჩაქოლა ისტორიის მზაკვარმა ხელმა. ის ჩვენზეც შეიმართება, მაგრამ გლეხთა კოლექტივის ხერხემალი მაგარია, გაუძლებს. ოღონდ ეგაა, კუჭი აქვს კოლექტივს აუვსებელი... თქვენ, ამხანაგებო, შრომა

გძულთ, სიზარმაცემ გაგაპიროტყვათ. აბა, რასა ჰგავს ეს! წვიმაო, თოვლიო... ამინდს მე ხომ ვერ დავაწყნარებ, ყეყეჩებო! ზოგი ვირიშვილი საქმეს გაურბის; ქალებთან ღლაბუცით ვერ ავაყვავებთ გლეხურ კოლექტივს. ჩვენ ტიტველნი დავდგებით მომავლის წინაშე, მაშ!“

ფანატიკური შემართებით ნატყორცნი ეს ხოშკაკალა ყურებში ულაწუნებდა თავდახრილ გლეხებს, იდუმალი შიშით ავსებდა მათ ბნელ სამყაროს.

პოლოლიკი აგრძელებდა, ჰიმავდა თავის სიტყვას, თავდახრილი ბრბოს თავზე ფანტავდა ხოშკაკალას მანამდე, სანამ რომელიმე თავდახრილთაგანი თავს არ ასწევდა და გვარიანად შეუკურთხებდა. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ მოთმინების ფიალა აივსო. რომ თავ-რე პოლოლიკი უნდა გაჩუმდეს, თორემ...

იგი ფართხუნით გაუჩინარდებოდა კანტორის კარში. ბრბო კი ამოიგმინებდა, მიიწ-მოიწევდა და ზლაზვნით მიაშურებდა ატალახებულ ველებს, რათა მარტივად, თავისტეხისა და ზედმეტი ფიქრის გარეშე შებმოდა ნაღვლიანი და უნუგეშო შრომის ოკეანეს...

— როგორც გნებოთ... მე ვფიქრობ, რომ უმჯობესია თქვენი დარჩენა, ნევროპათოლოგიც გჭირდებათ... გასვლას ნუ იჩქარებთ. — ექიმის ფერმკრთალი ლანდი მშვიდად აიწურა, ჩაუარა ფანჯრის ღიობის შვეულად დახრილ სივრცეს და მშვიდი სვლით გაუჩინარდა მოყაყანე დერეფნის ბინდბუნდში. მისი მსუბუქი ნაბიჯი, ხელების ნატიფი მოძრაობა რაღაც დახვეწილს, მსახიობურს ახსენებდა, თითქოს პალატის იატაკზე კი არა, სცენაზე გადაევლოს, სადაც ათასი თვალი მისჩერებია. თ. ექიმის სვლას მხოლოდ ადამის მზერა მისდევს. იმის კვალზე დარჩა პალატის ნაღვლიანი სივრცე, ოთხკუთხედი სიცარიელე.

კვლავ პალატის კედლებს შემოუარა ადამის მზერამ, გადაუარა ფანჯრის ღიობს, კარადას, გვერდითა საწოლს, რომელზეც ძილქუშით დაბარდული და მოხროტინე ვინმეა დახვავებული. ძილით შეკოწიწებული ხორცის გროვა. მისი სიზმრის სქელ კედლებში ვერ შეაღწია ექიმისა და ადამის საუბარმა, ვერც დერეფნიდან დაძრული ქოთქოთი აღვიძებს. ვეება სხეული იბერება და იჩუტება, ადი-ჩადის, ფშვინავს, ხრიალებს.

ძილშია გარი... გარგანტუა. ის უკვე სიბერის კართან იდგა და სიბერის კვალობაზე გულსაც უჩიოდა. რაბლეს წალდით გამოჩორკნილი. უდედო პირმშო. წიგნიდან გადმოსული. იმკურნალებს და ჰაიდა: ისევ წიგნს მიაშურებს. ამ კედლებს ხომ არ შეაბერდება!

ადამს მეორე გარი გაახსენდა — გალერი. ისიც ავადმყოფი. ბევრსა ჰგონია, რომ იგი ისევ წიგნის თაროზეა წამოსკუპებული. ვერ მივართვი! ისიც ჩამოვიდა და ქალაქში დაძუნძულებს. მგლის სუნი მცემს... ჯანდაბას! რა დროს ესაა. თუმცა სადღა არ წავა შენი ავადმყოფი ფიქრი, სადღა არ შეიხედავს, როცა მეზობელი საწოლიდან დაძრული ხროტინი არ გასვენებს. ხვრინავს სქემატური პერსონაჟი. რა ქნას: ასეთი ეყოლა მამა მწერალს — ტლანქი, მუცელოხერი, იდიოტი, უბიოგრაფიო...

მიწყდა თ. ექიმის ფეხის ხმა. წავიდა, წაიყოლა შორეული ციალი, აკრიფა, მოქათქათე ხელებით წაიღო. დაგაშორა რაღაც სითბო, პირი მოუკრა სივრცის ბუშტს და წაიღო, წაიყოლა. იმ სივრცის გულისგულიდან, მისი მოციალე წიაღიდან დაძრული სიტყვები ოთახის სიცარიელეშია გაბნეული, დარიალებენ, დაქრიან, მაგრამ შენამდე ვერ აღწევენ. ისინი სულ სხვა სითბოს გიმზადებენ, ნეტარების ქაფში გახვევენ. შენ კი სულ სხვაგვარად ალაპარაკებ, ფიქრში ასაუბრებ, ბაგეებზე აწებებ გამოგონილ აბდაუბდას: „როგორც გნებოს“ და სხვა. და სხვა... არა, ასე არ იტყვის; ალბათ სულ სხვა რამ აღმოხდება, უფრო წყობილი და დამარწმუნებელი ხმა, უფრო კეთილი სიტყვა. შენ ფიქრობ, რომ ფაკულტეტის სემი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარებზე ნასწავლი ფრაზებით გესაუბრება, იმედს გიღვივებს...

იგი წავიდა, ნარნარად გაიარა დერეფნის ბინდი, განქარდა, გაიყოლა შავი თმის კუნაპეტი, წაიშალა მიამიტურად მოქანავე მხრების მოხაზულობა.

2. საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, სულ ფიქრობდა, რომ რაღაც მოუხელთებელს გამოეკიდა, უსხეულოსა და ძლიერს, რასაც იდუმალი ძალით მიჰყავდა ბნელი წიაღისაკენ, მახსოვრობის კედლის მიღმა რომ გაშლილიყო. ეს იყო აღმართი, რომელზეც ხათხა-იოგას საფეხურების მორგებას ცდილობდა. საქმეში მეთოდისტი ქალის მიმქრალი ხმა უხმარებოდა, ჯერაც ყურებში რომ ედგა შორეულ ექოდ.

ქალის ხელები ზემოთ მიიწევენ, თითქოს ზედაპირზე ამოტივტივებას ცდილობენო. „ყურადღება გადაგვაქვს ჭიპზე. ვიწყებთ ჩასუნთქვას... კიდევ, კიდევ, უფრო ღრმად... ამოსუნთქვა!.. ყურადღება ჩემკენ...“ ამაზე ადრეც უფიქრია. ჯუდამ მოუტანა ხათხა — იოგას მთელი არსენალი კომენტარებითა და ფოტოებით. „შენ ხომ იოგი ხარ“. „დამცინი, ძველო?..“ მაშინ კინაღამ შეეწირა ამ უცხო და მოუხელთებელი სიბრძნის ნაწილების შეცნობასა და გათავისებას. ეგონა, თითქოს ჩაძირული მატერიკის მწვერვალებს გადაეყარა და რამდენიმე მუჭა მიწითა და ქვების ნამსხვრევებით ცდილობდა იმ მატერიკის სიგრძე-სიგანის განსაზღვრასა და ამოცნობას, თანაც გულს ურევდა ამაზე ფიქრი და ეჭვით ავსებდა.

ამ ამბით გართულს ქამიქამ გულის ტკივილი დაუვლიდა, თითქოს ელვა დაიგრიხაო, უფორმა სინათლე ჩამოიძაბებოდა მეხსიერების ცაზე... ის სინათლე ქროლვით გამოვლილ გზის რომელიღაც ნაგლეჯს დაუყენებდა თვალწინ, გაანათლისებდა წამისად, მეხსიერების მზერას მოავლებდა და სახილველიც უმალ თვალს მიეფარებოდა ხოლმე, თითქოს უხილავ ხელს ეჭირა და გაუშვაო: სურათხატი სიბნელის უფსკრულებში ჩაიკრიფებოდა.

ხანაც შორზე შორიდან წამოვიდოდა ის ნათება, თვალუმალ გამოივლიდა უკიდეგანო სივრცეების გზას და ხსოვნის ოკეანეში რომელიღაც კუნძულს ააპარპალებდა, ააკიაფებდა, თითქოს ბნელეთის მარწუხებიდან უნდოდა იმ ეული მიწამყარის გამოხსნა, კაცთათვის უნდოდა მისი დაბრუნება, ხელახლა აღმოჩენა მეხსიერების ბინდში გადაკარგული კუნძულისა, ოკეანის ერთფეროვან ზედაპირზე რომ ხეტიალობდა და თავისი სიმარტოვითა და ერთადერთობით კაცთა საიმედო ნავთსაყუდალად ისახებოდა.

„იოგა გულით ავადმყოფის საქმე არაა, გამიგონე, შენ უნდა იძუნძულო“. ეს კვლავ თ. ექიმის ლანდი იძვრის ხსოვნის ჰორიზონტზე. მისი კეთილი მზერა მოაპობს სივრცის ქაფს და შენს წინ კიაფობს. გესმის დაყოვნებული, იმედიანი ხმა, თანდათან რომ მკრთალდება, სუსტდება და უკვალოდ იხაფრება — თითქოს სივრცის ნაპრალებს გასდის წყალივით, სიჩუმეს ერევა.

ქრება შორეული ექო და შენ ხვდები, რომ მარტო ხარ. სიმარტოვის ხანა. განა ამას არ ეძებდი? განა ამ მხარეს არ მოდიოდი ყოველთვის, როცა ამქვეყნიური აყალმაყალი შემოგეხვეოდა და საშველს აღარ გაძლევდა? განა აქეთკენ არ გამორბოდი? უკვე მიაგნე, ზიხარ ამ სიჩუმეში და შეუმჩნევლად ბერდები, გედება ჭირხლი, როგორც დაღლილ მეწისქვილეს, ხვიმირის სიახლოვეს რომ ჩამოსძინებია... თეთრია შენი სიზმარი. ამ სიზმარში ყველას შეუძლია კარის შემოხეთქება. აი, კარს უკვე ვიღაც მოადგა, შემოაღო, ზღურბლზე გადმოაბიჯა. ჯუდაა. ქალაღდების გროვა დაუიღლიავებია. კიდევ რამეს შემოგაჩეჩებს ხელში. გაუძელ, კურდღელო!

ევამ იხსნა: ცქაფად შემოვარდა, შემოფრიალდა კარის ღიობში, ცოტა ხანს იბორიალა ოთახში და სკამზე დაეშვა. მერელა შეამჩნია ჯუდა, მიესალმა, ჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხელზე ეამბორა. მერე ისიც ჩამოჯდა და სხვათა შორის თქვა.

— ჩარლი გარდაიცვალა, ჩაპლინი...

— დროული სიკვდილია, აბა ცას ხომ არ გამოეკერებოდა... თანაც სახელის სიმძიმე... ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი, — საუბარში ევა ჩაერთო. მისი ხმა ძალზე მიწიერად და ბუნებრივად გაისმოდა.

— ცხადია, მაგრამ მაინც მენანება... გახსოვს, რა შესანიშნავად თამაშობს „ციებ-ცხელებაში", უხადოდ. კი არ თამაშობს, ცხოვრობს. ადამ, ხომ გახსოვს?.. — ჯუდა მოგონებებში გადავარდა.

ადამი გულ გარეთ, სხვათა შორის უსმენდა. რაღაც შინაგანი სურვილი უვლიდა მთელ ტანში, დაუოკებელი სურვილი. ევას შეხედა. კონიაკი მოგვიტანეო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა. უფრო მწარე და მაგარი რამ მოუნდა.

— თითო არაყს გადავხუხავდით მე და ჯუდა...

მეორე ჭიქაზე გულისწვა დაეწყო. ჯუდა ლაყბობდა, ერთიმეორეში ირეოდა ზმანებები, ძენი, იოგა, სანსკრიტი, მაჰაბჰარატა... მაგრამ იმ ხმას ადამი ირიდებდა, გაურბოდა, გვერდზე ატარებდა. ჯუდა მიუხვდა.

— გადამეკარგა ადამი, გაითიშა და აღარ მისმენს... დაბრუნდი, შე ოხერო! — ხმამაღლა წამოიძახა ჯუდამ. ადამმა ყური მიუგდო, მაგრამ გულისწვა მოაწვა ისევ, საუბრის ხალისი დაუკარგა.

თითოც გადახუხეს და მიხვდა, რომ თვრებოდა. ეს განცდა ნაცნობი იყო — და ყოველთვის იმით იწყებოდა, რომ ადამი საუბრის ხასიათზე მოდიოდა. ეხლაც ხმამაღლა ალაპარაკდა ჩაპლინზე და კიდევ გადახუხა... კიდევ და კიდევ...

სიმთვრალე ცეცხლს უნთებდა სახსრებში, ფიქრს უმღვრევდა და ენას უჩლიქავდა. თითქოს ვიღაც მეორე იღვიძებდა მის არსებაში, ქაქანებდა და ცდილობდა მისგან თავის დაღწევას, გათავისუფლებას, მზეზე გამოსვლას. რა სისულელეებს ვროშავო, გაიფიქრებდა, მაგრამ ის ვიღაც მეორე ძლიერი იყო, ჯიუტობდა და მისი მცდელობა, მისი ფიქრი და ხელების ფათური, მისი წუხილი, — ყველაფერი უაზრო სიტყვების ნაკადად მოედინებოდა, ედებოდა ოთახს, ფანჯრებში მიძვრებოდა.

ადამს არ შეეძლო გაჩუმება, არც იმ მეორის მორჯულება შეეძლო და ლაქლაქებდა, სანამ ძილ-ბურანი არ მოაკითხავდა და ხელის გადასმით არ დაამშვიდებდა... ასე იყო ყოველთვის...

ახლაც გაიღვიძა იმ მეორემ. არყის ხმით ჩაქოლილი და დეფორმირებული ცნობიერება გზას უთმობდა მის ჭირვეულ ნააზრევს. გვერდზე გადადიოდა, თანაც ყვიროდა, შფოთავდა, არწმუნებდა.

საგნები ერთმანეთში ირეოდნენ, ითქვიფებოდნენ და ისევ თავთავიანთ ადგილებს იკავებდნენ. ჯუდას ლანდიც ორად გახლეჩას ლამობდა: მისი ორეული უკვე ფეხზე წამომდგარიყო და ლაქლაქებდა, ლაქლაქებდა. საუბარი ირეოდა, იხლართებოდა, სხვადასხვა მხარეს მიიწევდა, კვლავ ბრუნდებოდა და შენივთებული ერთიან ზუზუნად ედებოდა ოთახის სივრცეს.

ევას მობეზრდა [illegible] ლაქლაქი, კარის ღიობს მიაშურა. გაუჩინარდა. ადამმა ძახილი დაადევნა, მაგრამ ევა უკვე შორს იყო. ალბათ ყვავილებზე დაფარფატებს, მისდევს ბალახიან ველებს: ფრრრრ...

ჯუდამ ისევ ჩაპლინზე ჩამოაგდო სიტყვა, მაგრამ ადამი მოხერხებულად ისხლეტდა ამ ხოშკაკალს, იცილებდა ერთიმეორეში არეულ ტყუილსა და მართალს, ჭორების ნიაღვარს. მისი გონება, მისი გულისთვალი ევას კვალს მისდევდა. მიუყვებოდა ბალახოვან ველებს და უზრუნველი, ნეტარი წამიერთი ეუფლებოდა, სძირავდა პირველყოფილი სიამის მჭვირვალ ბურუსში. მიქრო-

და პეპელას კვალზე უფრო და უფრო შორს, უფრო და უფრო იქით...

ფრრრ... მიჰქრის ჭრელი პეპელა. მიფარფატებს სიზმრის ველებზე. მისდევს ადამის ფიქრი, მისდევს, მისდევს... იწელება სიზმარი, გრძელდება...

ადამი სავარძელს ჩამოყრდნობია, გაურკვეველი ღიმილი დასთამაშებს მძინარის პირისახეს. ჯუდას მაგიდაზე ჩამოუდვია თავი, სძინავს უშფოთველი ძილით — ალბათ ჩაპლინი ესიზმრება, ბებერი ჩაპლინი. ტელევიზორის ეკრანიდან გადმოსული. შესაძლოა სულაც არაფერი ესიზმრება, სძინავს ბნელი ძილით, მაგიდაზე შუბლითაა მილურსმული.

ადამი მისდევს: ფრრრ... ველი ველს ენაცვლება, გორაკი — გორაკს. ყვავილი. ყვავილები. მიფრინავს ჭრელი პეპელა ლაღად, ნებივრად. ადამი კი დაიღალა, მოეშვა, მოფამფალდა. მტკივან გულზე იდებს ხელს, შუბლიდან ოფლს იწურავს. დაისვენე. საბრალოვ. ჩამოჯექი. პეპელას მდევნელო. შეეშვი. დაე, იფრინოს.

სიზმარი თანდათან გაფერმკრთალდა, გაილია. ადამმა ცხადში ამოყვინთა. ჯუდა წასულა. ოთახში არყისა და ნამუსრევის მწკლარტე სუნი ტრიალებს. ადამის თვალი ბინდბუნდიდან გამოდის. იწმინდება საწიერი, თანდათან ნათელი ეფინება ოთახის კუთხე-კუნჭულებს. ფანჯარასთან ევას უმოძრაო, გაშეშებული ლანდი დგას. დაღლილა პეპელა. შემობრუნდა თავის წუთისოფელში. ადამის თვალმა მხრები მოუსინჯა. ევამ კი — მიცვალებულის ფერი გადევსო, ამდენი არ უნდა დაგელიაო, ხომ იცი შენი ამბავიო, ეგ საიდან მოეხეტა ეგ მუცელჩასახეთქიო და სხვა და სხვა...

ფანჯრის სიახლოვეს გარინდული ლანდი დაიძრა, ნაბიჯი გადადგა მძიმედ, ზოუხეშავად. ლანდის პირისახედან დაძრული სიტყვები ადამის გაბრუებულ თავის ქალას ხვრეტდა და შიგ ხრაშუნით იჭრებოდა — ეს შეგრძნება უსიამოდ ბურძგლავდა, თმას უყალყალებდა, კბილებს აქავებდა.

ადამს უმწეო გამომეტყველება ჰქონდა, გამხდარი, გალურჯებული ფეხები სკამზე შემოეწყო — ძარღვების ლურჯი ხაზებით დასერილი გაციებული ფეხები თითქოს მისი კი არ იყო, არამედ მეხსიერების ხეობებში ჩაბუდებული ნისლიდან დაძრულ ხატებას ეკუთვნოდა...

ადამის თვალწინ გიორგელას ლანდი ამოტივტივდა, შორეული ბავშვობის ნისლი გაიბლანდა, გარშემო შემოერტყა.

მჩხიბაობითა და მუცელოხრობით განთქმული გიორგელა კვდებოდა. ლაჭანში იწვა სასმელისგან გამოფქვული ბერიკაცი. კარის ღიობიდან გასცქეროდა დილის მზით მობანილ გორაკებს — თოვლეთის შემოგარეებს. ენას ველარ სძრავდა, ლაჭანთან მოჯარულ ნათესავებს ხელით ანიშნებდა, გარეთ გამიყვანეთო, მაგრამ ადგილიდან არავინ იძვროდა. ეს გარინდული და სასოწარკვეთილი ჩრდილები თითქოს სიყრუესა და სიბრმავეს შეეპყრო. რომელიღაც უძველესი ლოცვის სიტყვებს იმეორებდნენ და უმწეო მოლოდინით შეჰყურებდნენ გიორგელას თავთით მბჟუტავ კელაპტარს.

სანთლის ნაღვენთი ლაჭანში წვეთავდა. წინკარში ხალხი ფუსფუსებდა — მოსულიყვნენ თოვლეთის მკვიდრნი და გიორგელას უკანასკნელ ამოსუნთქვას უდარაჯებდნენ, ელოდნენ. წინკარში გაილანდა თავ-რე პოლოლიკიც. ხელეჩის მოწყვეტილი ქნევით შევიდა ჩაბინდულ გალიაკში, თავს დაადგა გიორგელას. თვალები გახსნა მომაკვდავმა და იმასაც ხელით ანიშნა, გარეთ გამიყვანეო.

პოლოლიკმა იღლიებში აუყარა ვეება ხელები, სანახევროდ გაციებული გიორგელა ლაჭანში წამოაჯინა. გადმოკიდა მომაკვდავმა გაძვალტყავებული, გალურჯებული ფეხები, უსიცოცხლო მზერა მოავლო გალიაკის კუთხე-კუნჭულებს. მისმა გამყინავმა მზერამ ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამსაც გადაუარა, მონუსხა, შეაკროთ. ის მზერა, ცივი, მავედრებელი გამოხედვა და ლურჯი ძარღვებით დასერილი ფეხები აღიბეჭდა ადამის ბავშვურ ცნობიერებაში... ჟამთა დენამ ვერ გადათხარა ის კვალი, ვერ ამოავსო სხვა რამ სახილველის კვალით... მაშინ ადამმა პირველად იხილა ძეკაცის აღსასრული.

ის, რაც დაბადების დღიდან გიორგელას პირუშუქ სხეულში იყო ჩათესილი, რაც მის არსებაში იზრდებოდა და მწიფდა, უცებ ხილული გახდა, სამზეოზე გამოვიდა, ამოიზარდა, წამით დაეპატრონა იმ სხეულსა და სულს, რომლებიც მას დაატარებდნენ და ზრდიდნენ — სიკვდილი წამოდგა დაძაბუნებული სხეულიდან, ხოლო გიორგელას სულგაყრილი ტანი იმის ფერხთით დარჩა, ლანდად ქცეული, გაყინული...

უხსოვრობის მოახლოების მაცნე წამმა პირქუში ზეიმით აღნიშნა თავისი ულმობელობა, თავისი კუთვნილი სივრცე აავსო, დაუშურველად მიიღო, მიითვალა ის, რაც ეკუთვნოდა, ხოლო ის, რასაც მთელი სიცოცხლე გზას უთმობდა, რასაც გვერდზე გადამდგარი უთვალთვალებდა, ეხლა ჩრდილში მოაქცია, ჩაწიხლა და თავისუფალ სირვცეს დაეუფლა, ააფრიალა ღამისფერი მოსასხამი...

გალიაკში ქვითინი დაირხა, თანდათან ამოავსო ოთხკუთხა სივრცე, გაძვრა კარის ღიობში და ორღობეებში გაიშალა, გახმიანდა თოვლეთის მკვიდრთა ეზოებში. ქვითინის ტალღამ სოფელს ჩამოუარა და მერე ისევ გიორგელას გალიაკიააკენ მობრუნდა გაზრდილი, მოთქმად და წივილ-კივილად ქცეული. შემოდგა გალიაკის წინკარში შავით მოსილი, პირისახის მხოკავი, მოზმუილე.

ადამი გალიაკის განჯინას შეჰყურებდა. ბინდბუნდში მოჩანდა ძველისძველი შებოლილ-შეჭვარტლული წიგნების ყუები. სამჩხიბავო წიგნები აქვსო, იქიდან იგებსო სოფლის ავ-კარგს — ეს [illegible] დადიოდა სოფელ-სოფელ.

ადამის თვალმა რიგრიგობით გადაუარა იმ წიგნებს. ეულად, უპატრონოდ გარინდულან განჯინის ბინდბუნდში, მათთვის არ გაისმის ეს ქვითინი და ვაი-ვაგლახი, ისინი თავის მდუმარე სამყაროში ცხოვრობენ უჩუმრად, ბედნიერად. იმათ ფერხთითა წევს გიორგელა, პერანგის გადაღეღილი საყელოდან მოუჩანს თეთრი ღინღლით დაფარული, ჩაბრუნებული მკერდი.

ხსოვნაში მოქუჩდა გიორგელას ნაამბობი, ერთიმეორეს წაება, ერთიანი სახილველი გაანათა.

— იქა ცხოვრობსო, გამიგონია, იქა ვნახეთო, ვეშახევის ტყეშიო. შებინდებულია, ვეშახევის ტყეში მივდივარ. აი, დიდი კლდე როა, ტუჩპირწამოგდებული, იმ კლდეს რო გაუსწორდი, ვხედავ, იქა დგას: ტერფებშებრუნებული, ბანჯგვლიანი, მკლავები მორებივით დაჰკიდავს. აქ რას აკეთებ, შე წყეულომეთქი, ვუთხარი. რას ვაკეთებ და აქა ვცხოვრობო, შემომიღრინა. ისე ამოიგმინა რო ფოთოლმა შრიალი დაიწყო. შევატყვე, უკვე დაბერებულიყო, თეთრი თმა ჰქონდა ყურებზე ჩამოფხატული. რა გქვიაო, კიდევ ამოიგმინა. გიორგელა მქვიაო. შენო, მე დევ-ბელელას მეძახიანო, აბა, ერთი ვიჭიდაოთო. კარგი-მეთქი. თან მუხლები გამიცივდა, თმა შრიალით გამექცა მაღლა-მაღლა. მოვიდა, მკერდზე მომაბჯინა ხელი და ვიგრძენი, რო ძვლებმა ჭახა-ჭუხი დაიწყო. ვახსენე ღმერთი... ეგ რა თქვიო. ღმერთი ვახსენე-მეთქი... უცბად გამიშვა ხელი, რაღაც ბუყბუყისნაირი ხმა გამოსცა, მარდად გადაევლო გოროხიან ფერდობს და ქვემოთ, არყიანის კორომში რო ფშაა, იმ ფშაში მოადინა ჩქაფანი... ეგ იყო და ეგა, აღარც მინახავს იმის მერე...

ჰყვებოდა გიორგელა. ხანდახან მკერდსაც მოიღიავებდა, ჩანგრეულ გულისფიცარს დამანახვებდა.

— იმ წყეულმა რო ხელი მომაბჯინა, იმისგანააო...

---

ჯარჯი ფხოველი
რამეთუ მიწა ხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამს სჯეროდა, ვერც წარმოედგინა, გიორგელას თუ შეეძლო სიცრუე. და ეხლა, სულგაყრილ გიორგელას მოლიავებულ მკერდზე დევის მუშტის ანაბეჭდს რომ ხედავდა, ის ამბავი ახსენდებოდა, ის ტყუილ-მართალი ედგა თვალწინ.

3. ხსოვნის შორეთში განათდა გიორგელას უკანასკნელი დღე, განათდა და ჩაქრა, მიინავლა, მიჩუმათდა. ადამს კვლავ ეცა ნასუფრალის მწკლარტე სუნი. ევას შეხედა. ქალი ტიროდა, მხრები უთრთოდა. მისი ბოლმა სკდებოდა, ირღვეოდა და იქიდან ცრემლი მოწვეთავდა. ცრემლს ზლუქუნის ხმა მოსდევდა. ეს ხმა ფხაჭნიდა ადამის თავის ქალას, უსხეპდა თვალების უაზრო სივრცეს, გამხდარ, დაძარღვულ ფეხებს რომ დასჩერებოდნენ. მალე ქვითინი მიწყდა, ევა აფუსფუსდა, ჩანდა, რომ მჩატდებოდა, კვლავ წასასვლელად ემზადებოდა. ოცნების ლაჟვარდი ჩაღვროდა თვალებში.

ადამს ამ ქალთან შეხვედრის პირველი წელი გაახსენდა. მაშინ ევამ არ იცოდა ამგვარი რამ, მაგრამ დღითი დღე იცვლებოდა, თითქოს ჭრელი, დალინლლული ფრთები ეზრდებოდა დღითი-დღე. და შემდეგ, როცა ფრენა შეძლო, როცა ოცნების სიხარულმა გაიტაცა, იგი გრიგალად იქცა, დაუოკებელ გრიგალად, რომლის შეჩერებაც ადამს უკვე აღარ შეეძლო. ო, ის დრო! შვებითა და იდუმალი ნეტარებით ავსებდა შეგრძნება მისი მოახლოებისა.

ააე იწყებოდა: კაკუნი, კაკუნი... მერე ოთახში შემოვარდებოდა, აიტაცებდა, ააფრიალებდა ყველაფერა, თითქოს ქარბორია შემოვარდაო, ატყდებოდა ჯახუნი, ფანჯრების წკრიალი. ბოლოს მოიქანცებოდა, მოილვენთებოდა, სარეცელს დააკვდებოდა. საწოლი ძველი იყო და უხეიროდ ლაყუნობდა ხოლმე.

შრებოდა, იწრიტებოდა ლტოლვის კალაპოტი. იხარჯებოდა ის, რასაც აქამდე მოჰყავდა ეს გრიგალი. მერე ძილქუში გაიფინებოდა. ხოლო კალაპოტი როცა კვლავ აივსებოდა და როცა მდინარე კვლავ თავისი გზით გაეშურებოდა — ისევ აყალყავდებოდა ის შეუცნობი გრიგალი, დატრიალდებოდა ქარბორია და კვლავ ნიაღვარში გადაეშვებოდნენ.

იხარჯებოდა, ნაფოტ-ნაფოტ ცვიოდა იმ ცეცხლზე, რითაც ქალის გათბობასა და განწმენდას ცდილობდა. ეწირებოდა ქარბორიის ჩამოქროლას. კარგად ხედავდა როგორ ეხვეოდა ნიაღვარში და ზვირთქაფის წიაღში. საკუთარი ცხოვრების ნანგრევებსაც ხედავდა და ნანგრევთა შორის მოტორტმანე ამ შემთხვევითობისა და მოულოდნელობების რკალიდან მეტისა და მეტის გამოწურვას ცდილობდა. ცდილობდა იმ ნეტარი წამების დახარჯვას, რომელთა შრიალის მოახლოებაც იტაცებდა და შეხვედრის სიამით აბორგებდა, თითქოს პირველად და უკანასკნელად ეგებებოდა თავის წილხვედრ სიკვდილს ანდა ბოლო სტრიქონს წერდა, რისთვისაც მთელი ცეცხლი და ნაღვერდალი უნდა გაეტანა.

ახლა, ნაბახუსევით ალესილი გონება იმ ნეტარ დროს აცხადებდა. ახლოს მოჰქონდა და გვერდიგვერდ აყენებდა ორ ქალს, ორ ევას, გარდასული დროის იმ მდინარეში ჩამდგარსა და დღევანდელს, მისი ამჟამინდელი მწუხრის მოყურიადე ევას, სარკესთან მიმდგარი ნამტირალევ თვალებს რომ იმშრალებდა, თან ბუზღუნებდა.

— კიდევ ეს გინდოდა? ისედაც ხომ ხედავ... ჩემთან მაინც არ იყო, ჩემს გვერდით...

— შენთვის განა სულ ერთი არ არის, არაყი მომკლავს თუ ლოდი დამეცემა, ანდა თუ ვინმე ავაზაკის წერა გავხდები?

— არა, სულ ერთი არაა...

— ძალზე გვიანია ერთგულების მტკიცება, ჩიორავ, თანაც მალიზიანებს ეს ლაილაი. გაათავო, ისა. სჯობია. — ადამმა გაფითრებული ხელები მოიფშვნიტა და ხმადაბლა განაგრძო: — ადრე მსიამოვნებდა ეს ლაქლაქი, თითქოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალასაც მმატებდა, ეხლა კი რა... თუმცა ყველაფერი ჩემი ბრალია...

— ჰაა!.. ნანობ განა! შენ დამაჩვიე, გამავებინე თავისუფლების ფასი, ფრთები მიბოძე. შენგანაა სხვა ქალებს რომ არა ვგავარ, მთელი დღე სამზარეულოს ტყვეობაში რომ არიან, საღამოს კი ქმრების ხასებია... იმათ არა ვგავარ და ესაა შენი ბრალი... ამას ნანობ ხომ?

— არა მაგრამ...

— რა არა?

— რა და, ისაა ჩემი ბრალი, რომ ეს ლაილაი აღარ მსიამოვნებს...

— განსაკუთრებით ეხლა, ნაბახუსევზე, არა?

ადამის პირისახეზე ზიზღის ჩრდილი აღიბეჭდა, მერე ის ჩრდილი შეიკრა, შეიკუმშა და თვალებში დაგუბდა.

— არ ვიცი... მომბეზრდა როგორღაც... მხოლოდ მორჩილება მსიამოვნებს; ალბათ, დავბერდი და იმიტომ.

— მაგრამ შენი თავისუფლება... სად წაიღე, სად დამარხე, რომელ სასაფლაოზე... არა, მაშინაც შენი ნიღაბი იყო, სინამდვილეში კი სულ სხვა იყავი, ეჭვების ბუდე... ცოდვილო...

— ოჰ, შენ კი უცოდველი ხარ, აი, — და ადამმა ქალის მზერის მიმართულებას გაადევნა თვალი. მზერა ლანგარზე დაწყობილ ვაშლებზე შეჩერდა, მერე ხსოვნის ბინდბუნდში ჩაყურყუმელავდა და ადამმა გაიგონა ქალის ყრუ ამოოხვრა, გულ-გვამიდან წამოსული კვნესა. — უცოდველი, წმინდანი...

— კარგი, კარგი... გირჩევნია თავს მიხედო მკვდრისფერი გადევს. შე საცოდავო...

ევა შებრუნდა და სარკეში შეაბიჯა. ჯადოსნური ალებავებით აიჭრელა პირისახე. წამწამებიც დაიმტვერა. მხატვრობის გაკვეთილი. ბუტბუტებდა, ხმა დაწურვოდა, დამჩატებოდა. ამ ბუტბუტს მალე კაბის შრიალი შეერევა, გაითქვიფება, ერთიან ფრიალად იქცევა და ევა გაფრინდება, წავა. თავისი ყვავილოვანი ელოდება, შამბნარი და უდაბური ველები. იფრინე, პეპელავ!

ადამმა ნათლად იგრძნო ნგრევის მოახლოვება, ნაღველი შემოაწვა, შემოდგომის მოწყენილობის მსგავსი, სიმარტოვისა და გარიყულობის ნისლით შებურა. ეს შეგრძნება თითქოს შორეულ დღეთა ანარეკლი იყო, შორეულ დღეთა ნაღველს ჰგავდა და შორს, ყრმობის ხანაში აბრუნებდა. იქით მიერეკებოდა, სადაც შემოდგომის თოვლეთი ჩანდა, წვიმებითა და ნისლით ჩაქალტამებული, ნაღვლიანი სოფელი...

...გაიწევდა ნისლი, გადაეფოფრებოდა წიფლნარის კორომებს. არემარე ამოიგანგლებოდა ქათქათა ფთილებში, გაუსახურდებოდა იოგვლივეთი, შიშის მომგვრელად გაიდუმალდებოდა ტყიანი არემარე. ჟამიჟამ მერეხი ჩამოეწვდებოდა ქანჩახებს, გაიზმუვლებდა, თითქოს ტყავი აახიაო დედამიწას. და დაცხრებოდა, ჩაინავლებოდა. სუნი და სულხუთი მოედებოდა არემარეს. მალე წვიმის თქეში გადაიტანდა, გადაწმენდდა ყოველივეს. თქრიალით გადაუვლიდა შეყვითლებულ ფოთლოვანს, ჩარეცხდა ნისლის კოტორებს, გააგრილებდა მერეხით ადუღებულ სივრცეს. აყეფდებოდა ღვარები. ახხამდა და ახხამდა. ტყვიისფერი ცა გადაფითრდებოდა ნაწვიმარზე, ხან მზეც ახამხამდებოდა — ღრუბელთა ღიობში გაიხიდებოდა ცისარტყელა.

ამ დროს მახლობელ სერებზე მწყემსების კივილი დაირხეოდა — ნადირმა თუ ჩაავლო საკბილოს... მერ კი შეღამების მოახლოებას ამცნობდა ქვენაქარი. „ჰეჰუეი!.. გაებმებოდა კივილი მომიჯნავე ფერმებში, გაისმოდა, გადაძახილ-გადმოძახილი. ამ საღამურ ხმებს მოჰყვებოდა ჰოტის ნელი კივილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ უკვე ღამე დამდგარიყო.

ჩამოძენძილ მწუხრში აბჟუტდებოდა სარკმლები, სანთლის სუნი დატრიალდებოდა სახლების კუთხე-კუნჭულებში, სუნი და სითბო, სიმშვიდისა და ნეტარი ძილბურანის მაუწყებელი. ნაღვლიანი

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღაპრებით რომ მიიწევდა სადღაც შორს, უსასრულოდ...

მაგრამ ეს ადრე იყო, ძალიან ადრე. ისე შორს ილანდებოდა ის წარსული, თითქოს პრეისტორიულ ხანაში ყოფილიყოს. იმ დროს სულ სხვა დაექვემდებარებამისა და სიძულვილის ხანა მოსდევდა, გალიბრული ბურუსის მსგავსად რომ იყო გაწოლილი ხსოვნის უკიდეო სივრცეში და გარდასულის ხილვას რომ აძნელებდა, ბინდისფერით მოსავდა და შლიდა, შლიდა.

იმ ბურუსის აქეთ იწყებოდა სულ სხვა სახილველი, ილანდებოდა სხვა ამბების წყება, რომლებმაც ამ ორი დევნილის — ადამისა და ევას ცხოვრება ჯოჯოხეთს დაამსგავსა.

ჯოჯოხეთის კედლები ძალზე მაგარი გახლდათ. თუმცა ადამის გულმოდგინება მაწვეთარი წყლის მსგავსად ხვრეტდა და გასასვლელს აკეთებდა. და გასასვლელი რომ უკვე ღია იყო, ამაში მაშინ დარწმუნდა, როცა ევამ პირისახეში შეაფურთხა.

— ფუტურო ხარ, ფუტურო. ეჭვით გამოხრული, ხელმოცარული... ცოდვილი. მარტო ენა და მეტი არაფერი. ოცი წელია მაჩანაგებ... მომბეზრდა ეს ოხრობა...

ადამი მიხვდა, რომ ამდენი ხანი ცარიელი სივრცის შეკვრას ცდილობდა, ცარიელ სივრცეს ამაგრებდა ხან მუქარით, ხან თამაშით, ხანაც დაპირებებით... და ამ სიცარიელეში ოჯახური ცეცხლის ბუტაფორიას ეფიცხებოდა. ეხლა კი დაირღვა, გაწყდა ყოველდღიურობის ნაცვეთი ჯაჭვი და ყველაფერი ამაოა: მუქარაც თამაშიც, დაპირებაც...

მოგონებად უნდა იქცეს ის, რასაც ოჯახი და კეთილდღეობა ერქვა და ამ მოგონების შესაწოვად და მისათვისებლად უკვე იწელება ხსოვნის გალიბრული სივრცე.

გასასვლელი უკვე ღია იყო და გასვლაც უმტკივნეულოდ შეიძლებოდა. მიდი, ადამ, მიდი! კარი ღიაა... შენი ფუტურო სხეული ამ კარში უნდა გაატიო. აუცილებლობის ძახილი კარებისაკენ ახედებდა და უცებ, წამისად რომ წამომდგარიყო და ფეხი გადაედგა, ალბათ ყველაფერი დამთავრდებოდა, ყველაფერს — ამ ჯოჯოხეთსაც და მახსოვრობაში მოკიაფე წარსულსაც — ზღვარი დაედებოდა. სხვა მხარეს, სხვა მიზნისაკენ გაიწევდა გულიც და თვალიც, მაგრამ ადამმა რომელიღაც მეორე ხმის კარნახით უღალატა აუცილებლობის ძახილს, დაახშო საბედისწერო ზარის გუგუნი, დაახანა მანამდე, სანამ ცოდვილის სასოწარმკვეთი და მიმტევებელი შეგრძნება არ დაეუფლა. და მიხვდა, რომ უჭირდა ამ ქალის მიტოვება, უჭირდა ევასთან გატარებული წლების გულიდან გადარეცხა, უჭირდა ცოდვის ლოდის გადაგორება.

როგორ უყვარდა ეს მეოცნებე სული. მაგრამ ყოველდღიურობის წვრილმანებმა, ურთიერთობებმა, სამსახურმა და კიდევ ათასმა რამემ ქალის ხასიათს სიჯიუტისა და მძვინვარების ხავსი გადააფარა, გაახეშეშა, დაუხშო ნათელი სარკმლები, ბნელი სული კი ჯოჯოხეთის მეკვლეა და აჰა, ისიც: ბჭენი ჯოჯოხეთისანი.

„ფუტურო ხარ ფუტურო, მარტო ენა და მეტი არაფეი... ხელმოცარული, ცოდვიანი. აბა გახედე შენს გზას..."

ადამი ხედავს ცოდვის ღრუბელს, მაგრამ ღრუბლის ქულებში მხოლოდ ძვირფასი სახეები ილანდებიან. ღრუბლის ჩრდილში ხედავს გამოვლილი გზის ნაწილებს, გზის ნაპირებს...

4. ევა კარის ღიობში გაიწურა, გაუჩინარდა. ადამის მზერა გაედევნა, მაგრამ თვალს მომიჯნავე ცათამბჯენი გადაელობა, გააჩერა, უკან შემოაბრუნა. მობრუნებული მზერის კვალდაკვალ სიმარტოვის შიშმა გადმოაბიჯა. აი, სულ ესა ხარ. ვერა და ვერ დაივიწყებ, რომ მარტო ხარ, დროის ლაბირინთებში და გზების აბლაბუდაში გახვეული. და ამ ნაღვლიან სიმარტოვეში მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია, რამაც ადამიანებისაკენ უნდა გაგახედოს.

შენ კი ესეც აღარ შეგიძლია, ბებერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ და იმიტომ. ასაკს რაღა მნიშვნელობა აქვს, თუნდაც ოცის იყო. ახალგაზრდა ისაა, ვისაც სიყვარული შეუძლია... მაშ!

პოლოლიკის თეთრწვერა ლანდმა გამოარღვია ხსოვნის ბურუსი. მოხუცთა თავშესაფარის კოტეჯები გაილანდა. იქ ინახულა ადამმა ნათავმჯდომარალი.

დაცვენილი ფოთლოვანი. მეჩხერი ხეივნის გასწვრივ მწვანედ შეღებილი სკამების წალიკი. ხეივნის ბოლოში ორი მოხუცი — ქალი და კაცი — მიფრატუნობს. შეჩერდებიან, საუბრობენ, კიდევ წავლენ. ნაპირის სკამს მიაღწიეს. ჩამოსხდნენ. ნელა საუბრობენ, ბებრულად. „ეგენი დაქორწინებას აპირებენ, ვაჟო... პოლოლიკი ადამს აკვირდება, მერე ნაპირის სკამისაკენ მიიწევს მისი თვალი. აქ ეგეთი რამ ადრეც მომხდარა. ჩემამდე. მეორე დღეს სასიძოს ჩვენი ჭირი წაუღია... მოდი და ამათ უკითხე ჭკუა. ჰა.. ჰა... ჰი...“ ქირქილებს პოლოლიკი.

ნაპირის სკამზე ორი ბებერი ზის. მიწას დაჰყურებენ. ერთ-ერთი, კაცი, დაცვენილ ფოთოლს ჯოხით ჩიჩქნის. ნელა საუბრობენ, ბებრულად...

სიმარტოვის შიშმა უკვე ადამის მუხლზე მოიკალათა. ფანჯრის ოთხკუთხედიდან განუწყვეტელი გუგუნი, ხრჭიალი, ქოთქოთი მოიწევს. დასალიერის ბინდბუნდ მოხაზულობას გაჰყურებს ადამი. ფანჯრის წინ ჭადრის ხე დგას. დამტვერილი, ტანდაშაშრული. უფრო იქით კოშკურა სახლები ასვეტილან. კიდევ იქით კვამლით შეზავებული სივრცეა, მდორედ რომ გაწოლილა ბინდბუნდ ჰორიზონტამდე. ესაა სმოგის უმოძრაო ტბა. ტბის ფსკერზე გრუხუნებს ტექნიკა, დროის პირმშო: ოხოხოხოხ!!!

ნასმურევზე გულს ურევდა ეს ხმაური. ასეა ხოლმე: დალევს და ყველაფერი უფსკრულში გადაიჩეხება: ქალაქიც, ხმაურიც, ევას ლანდიც... მეორე დღეს კი სულ ახლოს ესმის — თითქოს წინკარში გუგუნებდეს მანქანების, მოტოროლერების, მატარებლების გრძელი მწკრივი.

ამ ქალაქის ხსოვნაშია ჩაძირული შენი ცხოვრების დიდი ნაწილი. ქალაქის წარსულიცაა შენგან გამოვლილი დრო: დაფლეთილი, ნაჭერ-ნაჭერ დატოვებული გზებზე, გზის ნაპირებზე, მატარებლებში, მანქანებში, თვითმფრინავებში, კანცელარიებში. მიმობნეულია სხვადასხვა დაწესებულებათა იატაკებზე — უცხოდ, პირქუშად მაცქერალ კედელთა შორის.

ეხლა ზიხარ, გულს გირევს ქალაქის ხმაური. ალარსად გეჩქარება. სადღაა ის წარსული, დროის ულმობელ სვლას რომ გიცხადებდა; თავქუდმოგლეჯილს რომ მიგაქროლებდნენ უხილავი ნაპირისაკენ მსწრაფი დღეები და შენც წინ მიიწევდი დროის კვალდაკვალ. მიჯახირობდი, მიქროდი. დაგლალა დროის ქროლვამ და სიმშვიდე გენატრება...

თოვლეთი გაახსენდა, იქითკენ მიუწევდა გული. წყნარი, მდუმარების ფსკერზე გარინდული ტევრი, ღვთაებრივი სიმშვიდით შემკული ალაგი... ბილიკი გორაკს უახლოვდება. გორაკს რომ შემოუარა, ხილის ბაღი გამოჩნდა. ბაღის ჩრდილოვანში, ათქვირებულ ბალახბულახში დგას ფეხშიშველა ევა და ვაშლსა კბეჩს. როგორღაც ხარბად, სულმოუთქმელად კბეჩს, თითქოს მებაღის გამოჩენისა ეშინიაო.

— გემრიელია, ხომ... — ადამის თვალმა დახუნძლულ ტოტებს გადაუარა. ის იყო, ვაშლს უნდა ასწვდენოდა, რომ ევას სასოწარკვეთილი კივილი გაისმა. ადამი გადახტა... ბალახში გველის კუდი გაკრთა, ჩუმად, ნაირნაირად გასრიალდა და მიიმალა.

— ფეხზე გადამიარა, მგონი, — ევას აწეული ფეხი რძიაფრად ილვრება ბალახში.

— ანკარა იყო... უშხამო, — იცრუა ადამმა. — ეგენი ეფერებიან ადამიანებს, იცავენ კიდეც. ჰო... ალბათ, მოგეფერა, მოგელამუნა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სურათი სიზმარში ნანახივით ამოტივტივდა, მაგრამ სიზმრად ნანახს არა ჰგავდა: ცხადად ახსოვდა ყველაფერი: ბილიკის მიმართულება, ბალი, უხსენებლის რგოლების ფერი...

თოვლეთის მონატრებამ ამოატივტივა ის სურათხატი. პატრიარქალური სიმშვიდე, ბუნებითი მდუმარება. „სიმშვიდეა შენი წამალი, ნერვებს მოუარე". კვლავ ამოცურდა, მეხსიერების ჯანღიდან ამოიზარდა თ. ექიმის ლანდი: გამხდარი, წამებული პირისახე, ამობურცული ბაგეები. სისხლი. სისხლი... მხრებზე დაყრილი თმა, უხეში, ყორნისფერი. თითების ლოლუებიდან ჩამოწვეთილი ფრჩხილები. მტკიცე ხმა, ალაგალაგ ეჭვით გაბზარული. გაურჩეველი, ცივი გამოხედვა — ერთგულების უღელი...

ო, ღმერთო! აი, აქ, ქვემოთ... კიდევ ქვემოთ, ქვემოთ... მიწა იხსნება, მიწა სკდება, მიწა მეძახის... ლალების მხეფი მეხლება გულისფიცარზე... ამომიყვანე, მიხსენი, მოდი...

თ. ექიმი თავის ფიქრს ჩაშტერებია, ჩაჰკირკიტებს, მიდის თავისი ფიქრის ბნელ ლაბირინთში. ვერ გამჩნევს, სანამ შენს ლანდს არ წამოედება მისი მზერა.

5. წინკარში ჯახუნი გაისმა. ჩანს, ევა დაბრუნდა. შემოდი! შემოვა, აბა რა! აუ რი ხომ უნდა მოითქვას.

— შენ ისევ ზიხარ? ამდგარიყავი, ძვირფასო... რა საოცარი ამბები ხდება.. მიკო ქმრის გაჰპარვია, ვიღაც პროფესორს გაჰყოლია... ჰკუის კოლოფი...

ჰორების მკენკავი. ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუკრრრ! ადამი აღარ უსმენს. თუმცა იმის ფიქრში, მისი წარსულის ქუფრ მდინარეში, მსუახავ სინამდვილეში თანდათან იჭრება ჰორების ნაკადი. მოტკბო გემოს ტოვებს და ადამა გულზიდვის შეგრძნება ეუფლება.

„გაიპარებოდა, აბა, რა... ყველა ოჯახში ეს ჯოჯხეთი ტრიალებს. ხომ უნდა დაეღწიოს თავი..."

6. — ადამ, გთხოვთ, — და მიკომ რევერანსი გააკეთა, სწორედ ისე, ფრანგულ კინოებში რომ უნახავს, ბალზაკის რომანებში რომაა აღწერილი, თითქოს რომელიღაც პერსონაჟის პაროდირებას მიმართავსო, კაბის კალთა ცალ მხარეს განზიდა, მსუბუქი ბუქნი შეასრულა, — გაპრანჭვა არ დაიწყო ახლა... მოდი, გაიხსენე ახალგაზრდობა...

— შენც წამოიწყე, რაღა... სარგებლობ სტუმრების თავმდაბლობით, არც ეკითხები, უნდა თუ არა, — თვალი გაუყარა ბენიამინმა, მაგრამ ქმრის გამოხედვაში მიკომ მხოლოდ მორჩილება და სილბო დალანდა, მორჩილება და სილბო იყო ჩაფენილი სქელი ბენის გუგებში. და მიკომაც აისრულა სურვილი...

ადამი წამოდგა, სცადა ტანგოს რიტმს დამორჩილებოდა, აჰყოლოდა მაგნიტაფონის წყვდიადიდან დაძრულ ხმას, მაგრამ არ გამოუდიოდა. მიკო კი მშვენივრად ცეკვავდა, ვნებიანად, თავდაუზოგავად მისდევდა ოთახის სივრცეში დარხეულ ხმას, ისე ნატიფად და რბილად ცეკვავდა, რომ ადამსაც გადაედო ცეკვის განწყობილება. ისიც გადაეშვა რიტმია მოუხელთებელ მორევში, მკერდი მიუშვირა მუსიკის ზვირთქაფს, გაიბანა.

მერე ბენიამინიც წამოდგა. ევა გაიხმო და იმათაც ტანგოს ნარნარ დინებაში შეაბიჯეს.

— ყოჩაღ, ბენი, — თქვა მიკომ. ადამმა იქით გაიხედა. ევა ძალზე ტლანქად ცეკვავდა, როგორღაც უწადინოდ. ალბათ, სასმელმა თუ მოადუნაო, გაიფიქრა...

...ქალები კონიაკს წრუპავდნენ. ადამი და ბენიამინი მწერლობაზე საუბრობდნენ. ბენის განსაკუთრებით პოეზიაზე უყვარდა სიტყვის ჩამოგდება. პოეზია მისი გატაცება იყო, — როგორც ამბობდა, — მისი ცხოვრების ნაწილი. და ადამიც სარგებლობდა ამ სისუტით: უმალ პოეზიაზე ჩამოუგდებდა სიტყვას. ამ დროს ბენის ლვინიერ თვალებში ნაპერწკალი აკიაფდებოდა ხოლმე.

ადამმა ეხლაც პოეზიაზე თქვა რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბენიამინს მიავიწყდა სუფრაც, სტუმარიც, თავის გულის წადილს გაეკიდა აღგზნებული, ჩასდია მთელი გახელებით. პოეზიის ღვთაებრიობაზე საუბრობდა, იმის მარადიულ ნაპირებზე დაატარებდა თვალსა და გუმანს... და როცა მისი გახელება დაცხრა, როცა კვლავ რეალობის წრეში შემობრუნდა, ადამს მიუბრუნდა, თითქოს სხვათა შორის უთხრა:

—ევამ გამიმხილა თქვენი საიდუმლო, თქვენს მოთხრობებზე მიამბო...

ადამი უსიამოდ შეიშმუშნა, გულგვამში რაღაც აებურძგლა, მაგრამ რაიმე ხომ უნდა ეთქვა, ხომ არ დამუნჯდებოდა და გამოტეხილად თქვა:

— ჰო, ხანდახან ვწერ, თუმცა არაფერი გამომდის. ბევრჯერ ვიფიქრე, მივატოვებ, აღარ მივუბრუნდები ამ საქმესმეთქი, მაგამ ვერ შევძელი... სულ იქით მეწევა რაღაც...

— მერედა, მიგეტანა სადმე, შე კაცო... აი, ჩვენს რედაქციაში... გვაქვს პირველი მოთხრობის რუბრიკა...

— არა. მაგდენად არა ღირს. ვიცი, რომ მოთხრობების წერა ჩემი საქმე არაა, მაგრამ სხვაგვარადაც არ შემიძლია. ზოგჯერ ხსოვნაში დაწოლილი ბურუსი გაიხსნება ხოლმე და იქიდან ჩემი ახლობლები გამოდიან, ჩემი ნაცნობები და მეგობრები... აი. იმათზე ვწერ... ალბათ, არავისთვის არაა საინტერესო...

— საკვირველია... ეხლა ყველა რედაქციაში მიარბენინებს თუ რამე წამოსცდათ... თქვენც გეცადათ ბედი... აი, მე ზოგჯერ დაუბეჭდავი ლექსი მომენატრება. სამწუხაროდ, ყველაფერი დავბეჭდე, გამოვაჰენე და ეხლაც. როცა ახალს დავწერ ხოლმე, სულ რედაქციისაკენ გამირბის თვალი და გული. ერთი სული მაქვს, როდის მივიტან...

ბენიამინი ლიტერატურულ ჟურნალში მუშაობდა პოეზიის განყოფილების გამგედ. ლექსების რამდენიმე წიგნი ჰქონდა გამოცემული. უმღეროდა თანამედროვეობის ჰეროიკას, ადამიანის რომანტიკულ ბუნებას — ასე იუწყებოდნენ მისი წიგნების ანოტაციები...

ადამმა კვლავ ბენიამინსა და ევას შეავლო თვალი. ქალი დაქანცული ჩანდა. ავტომატურად, უწადინოდ იქნევდა ფეხებს, როკავდა სქელი ბენის გარშემო. მიკოც დაიღალა, მოითენთა, მთლად ყელზე ჩამოეკონწიალა. ადამმა გამლობი სიმხურვალე იგრძნო. ქალის სიახლოვემ სახსრები აუწვა. აკუწა...

ადამის ხსოვნის ბურუსი ქარის ფრთამ გადასხიპა, გადასწია, დაანაწევრა და ადამმა თითქოს ულელტეხილიდან დალანდა შორეულ მინდორზე უცხო რამ სახილველი — წარსულის სურათხატმა გამოანათა, თანდათან გამოიკვეთა, კონტურების მოხაზულობა დაეტყო.

...აკორდეონის გაწელილი ხმა ედებოდა მესრით შემოწერილ მოედანს. მესერს თავზე უვლიდა და ციმბირის წყალუხვი მდინარის ნაპირზე ჩამდუმარებული სოფლის შუკებს ეფინებოდა. ეს იყო მაწვევარი ხმა, რომელსაც ყოველ საღამოს აქეთ მოჰყავდა მთელი სოფელი, საცეკვაო მოედანზე აქუჩებდა. ერთიმეორეში ურევდა, აგურგუსალებდა.

საცეკვაო მოედანი იყო ერთადერთი ალაგი ამ მკაცრი მხარის შვილთა ყოფიერებას სიხარულის ტალღებით რომ პოხავდა, წამიერად ავიწყებდა ოფლითა და სისხლით მორწყულ ველებს, ტრაქტორების გუგუნში ჩაძირულ მიწამყარს. ნახირის ბღავილით წალეკილ ფერმებს. სადაც მათი ყოველდღიური ცხოვრება მიედინებოდა, ერთფეროვნად, უსიხარულოდ.

ადამი და ჯუდა სტუდენტურ არდადაგებზე ჩავიდნენ იმ სოფელში. მთელი ზაფხული იქ დაიხანეს. მიმზიდველი იყო გადაკარგულ მხარეში ყოფნა. თვალუწიერი ველებისა და წყალუხვი მდინარის შეგრძნება, აქამდე განუცდელი რამ ეუფლებოდა. ავსებდა და ისიდავდა იდუმალი ძალით...

გარმონის ხმა იწელებოდა. წყდებოდა. იგრიხებოდა მესრით შემოღობილ სივრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეში. იკლაკნებოდა. მიიწევდა შორეთის კიდევანის მოსავლელად, ტრამალის ზუგრზე იფანტებოდა, იბნეოდა.

ადამი წაბლისფერთმიანთან ცეკვავდა. ქალი მაღალი იყო, ალბათ, ასაკითაც ადამზე უფროსი იქნებოდა. სხარტად და მოქნილად მოძრაობდა. მალე დაიღალა და კისერზე ჩამოადო გადაჭდობილი მტევნები. ადამმა სულ ახლოს დაინახა მისი უაზრო, ცივი თვალები. ბაგეები კი საოცრად ქალური და მიმზიდველი ჰქონდა. წითლად გადატკეცილი, თითქოს სისხლი მიშხეფებიაო... წურბელები. ღმერთო, მიშველე!..

მაშინ გარმონის მოჩაქჩაქე რიტმით გაბრუებული ადამის ცნობიერებაში შეიჭრა მავანის ხმა, სულ ახლოს გახმიანდა სისინის მსგავსად, ყურები ამოუქოლა, ხალისი გადაუწურა.

— ეი, შენ, დაუკრეფავში არ გადახვიდე. აქ ციმბირია. ბრატ, ციმბირი!..

ადამმა მოხედა. გვერდით მროკავი წყვილი მიშტერებოდა, მათი მეჭველი მზერა გულგვამში უტრიალებდა, სულს უჩხრეკდა, ყინვის ბუსუსებს აყრიდა.

— რაო?

— რაო და... დანარჩენს იქ გეტყვი, — კაცმა გასასვლელისაკენ გაიშვირა კოტიტა ხელი. პირისახე სიბრაზისაგან წამოუწითლდა, კიდევ რაღაცის თქმა დააპირა. მაგრამ მეწყვილე ქალმა ტუჩპირზე მიაფარა ხელი. ადამმა მაინც გაარჩია მყრალი. მუჟიკური გინება...

ვერ მიმხვდარიყო, რა დააშავა. „ალბათ ცოლია მაგისი, ან საყვარელი, ვინ იცის..." ოტელო. ეჭვის ხვეული...

როგორც იქნა, გარმონმა ხმა გაკმინდა, პარტნიორი კიდევ ერთხელ მოეჭიდა. მძაფრად. უკანასკნელი ჟინით აასავსავა სხეული და შეჩერდა...

ადამი გასასვლელისაკენ გაემართა. და იქ, გასასვლელთან იყო, იმ კოტიტათითებიანმა პირდაპირ ცხვირში რომ აძგერა მუშტი — ერთხელ. მეორედ, მესამედ...

— ჩამოთრეულო ლორო, მე შენი!..

მეორე დღეა იქაურობა დატოვეს...

— რას ეტყვი, — ამშვიდებდა ჯუდა. — რა უნდა უთხრა, მთელი სიცოცხლე აქაა გამოკეტილი, მკაცრი კლიმატი და სივრცეების სიფართოვე ამძაფრებს საკუთრების შეგრძნებას... აბა, ერთი ათი წელი აქეთ იცხოვრე, შენც ასეთი გახდები. ჩვენი ამათი ანტიპოდები ვართ, იოლად შეველევით ხოლმე ჩვენსას...

ქარი ჩადგა და ბურუსმაც პირი შეიკრა. კვლავ ჩაყლაპა სახილველი, ჩაიხვია თავის ქუფრ ზვირთქაფში, ჩააყურყუმელავა...

მიკო ისევ გატაცებით ყვინთავდა ტანგოს ფაფუკ ქაფში. კაი ხანია, რაც ამ ქალს გაეცნო, მაგრამ ამგვარი გახელება არ შეუმჩნევია. დათვრა ალბათ, სასმელმა თავისი გაიტანაო, გაიფიქრა. ბენს გახედა. მისი ზანტი მიხრა-მოხრა, მისი ტლანქი მოძრაობა არაფრით არ ეხმიანებოდა მიკოს სიცქაფეს, მის მსუბუქ ზეალსვლას, ტანგოს რიტმში გადავარდნის უნარს... უცებ ქალი სულ ახლოს იგრძნო, სახსრები აუკუწა შორეულმა სიმხურვალემ... ღმერთო, მიშველე, მიხსენი!

კვლავ ზონზოროხა ბენის შეავლო თვალი. წაკითხული ჰქონდა მისი წიგნები. მარადიული ბუნების წიაღში მოწყენილი პიროვნების ამბავი. დამტკბარი სახილველი რომელიც ყოველ გვერდზე ერთ ფერში ისახებოდა, გადადიოდა ლექსიდან ლექსში, მოიწევდა ზემოთ და კვლავ ძირს ეშვებოდა ისე, რომ ძველსავე ფერსა და ფორმას ინარჩუნებდა. პოეტის წუხილიც იქ იღებდა სათავეს. ერთფეროვნების დაღი. მოწყენილი სიზიფოსი. რას იზამ, ეგრე მოგისაჯა წვეროსანმა. მაინც, რამდენი უნდა გამოსცე? იმის ლოდს გვერდები ემსხვრეოდა, ნაფოტდებოდა, ფორმას იცვლიდა. შენი აგური კი უცვლელია. უცვლელად გამოაღწია კალმის წვერს, რედაქტორის მახვილს, სტამბის ყბას... ამ წრეში ტრიალებს. მაინც კარგია, მშვენიერი სამშენებლო მასალა გამოვიდა. მიბოძეთ მთელი ტირაჟი. საქათმეს ვაშენებ... ჰოპ! ხელიდან ხელში. ცეცხლსაც კი გაუძლებს. შესანიშნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადაა გამომწვარი. ილლიაში აგურამოჩრილი პოეტი.

— მიკოა ჩემი პირველი მკითხველი. მაგას ვაბეჭდინებ რემინგტონზე. შლიგინით ჩამოყრის ხოლმე. თანაც ითვლის კიდეც, სტრიქონი არ გამორჩება, — აქამდე ჩამოცურდა ბენი. ხოხო! აი, სეირი! ცოლი წინასწარ უთვლის ჰონორარს. მანეთსაც ვერ ჩააძვრენს პისტონჩიკში. ჯოჯოხეთია, აბა, რაა! ვთქვათ და უცებ აღარ მოეწონა ის ლექსი. დახია ან საჭირო ადგილას იხმარა, ხომ დაირღვევა საოჯახო ბიუჯეტის წონასწორობა!..

მიკო მთლად მკერდზე აეწება. ჩამოქნილი ხელები მხარზე ჩამოადო, გამაოგნებელმა ალმურმა დაუბზარა ძვლები, გაჭოლა, გაარღვია... ღმერთო, ღმერთო...

მერე, როცა ტანგოს ხავერდი გაიცრიცა, როცა მუსიკა გაიფანტა, განქარდა, გასცდა ოთახის ოთხკუთხედს, ბენიამინი და ადამი კვლავ სასმელს მიუბრუნდნენ. ეს იყო მათი შეხვედრის ფინალი, ტრადიციული, ულალატო. სქელმა ბენმა დიდი ჭიქა შეავსო. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... სულ ასე მთავრდება — შეხვდებიან, იქაქანებენ, მერე... ღვაეთბრივი სითხე. ყელის დამშუშხავი.

ჩქარა გამოიბრუჟა სქელი ბენი. თვალების ფერი გაუქრა, გაეცრიცა. უცებ ზეზე წამოიჭრა.

— სადაა მეხუთე? აქ იყო. აი, აქ იჯდა. აად გადაიმალა, მე თქვენ გეკითხებით ჰა?

ტახტთან მივიდა, თავსახური ააგლიჯა. მერე საწოლებს ქვემოთ შეიხედა, გარდერობის კარი გამოაღო, ჩემოდანი გახსნა...

— სადაა მეხუთე, სად, სად?

ადამს ეჭვი აუფაჩუნდა: მართლა ხუთნი ხომ არ ვიყავითო, ისე დარწმუნებით ეძებდა ბენი, ისე დამაჯერებლად კითხულობდა... მაგრამ მეხუთე არსად იყო. სულ ოთხნი იყვნენ: ბენი + მიკო + ადამი + ევა = ოთხნი...

— სად წავიდა, სად გაქრა მეხუთე?

ბენი კვლავ მეხუთეს ეძებდა. მაგრამ ვინ იყო ის მეხუთე, ქალი თუ კაცი, რა ეცვა, როგორი პირისახე ჰქონდა, ეს არც ბენიმ იცოდა და არც დანარჩენებმა... ქალების გაკვირვება ხარხარმა შეცვალა...

მეხუთე გაქრა. გადაიმალა. კარის ღრიჭოში გაიწურა, უჩინმაჩინის ქუდოსანი...

7. „მიკო სახლიდან წასულა. პროფესორს გაჰყოლია..."

ის პროფესორი იყო მეხუთე. იქ, იმ მაგიდასთან კი არა, ამ ქალაქში იყო, სადღაც მოფარებულში იყო და მაშინ სწორედ მისი გამოჩენის შიში აიყალყა სქელი ბენის დაბინდულ არსებაში. ეჭვის ლანდი წამოიმართა, წამოდგა.

„წავიდოდა. აბა, რას იზამდა. ჯოჯოხეთში მხოლოდ ჰონორარის მოლოდინით ვერ დააკავებ. თანაც ის მეხუთე უკვე შენს კარზეა. შენს ნაბიჯებს უთვალთვალებს".

— ათეიზმის პროფესორს გაყოლია. — დააზუსტა ევამ და ადამმა იაზრა, რომ ქალი ყველაფერი დაწვრილებით აეკენკა, — რა უნდა ექნა, ყელში ამოუვიდა სქელი ბენი...

ის პროფესორი კი ალბათ სულ სხვაა. თანაც ათეისტი. მაგრამ იმ მეხუთეს ვერც ის დააღწევს თავს. იმასაც კარზე ადგას, ელოდება, უთვალთვალებს. მუშტია იმის გამბრუნებელი. თანაც მწარე იქნება ათეისტის მუშტი. დაუზოგავი, უშეღავათო... არა კაც ჰკლა... ბენიც ამიტომ დაეძებდა მეხუთეს. ყნოსვამ უღალატა, ვერ მიაგნო. კოტიტათითებიანმა ციმბირელმა კი ძალზე კარგად გაართვა თავი ამ საქმეს: ადამა პირდაპირ ცხვირ-პირში აძგერა მუშტი — ერთხელ, მეორედ, მესამედ...

ევამ სიგარეტი გადმოიღო. მოუკიდა, ღრმად მოქაჩა.

„ჯანდაბას ამისი თავი. მთლად მამაკაცივით ეწევა, ხშირ-ხშირად. ღრმა

---

**ჯარჯი ფხოველი**

რამეთუ მიწა ხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაფაზებით. ხმაც დაუბოხდა. სიგარეტმა იცის...."

ევა სამზარეულოსაკენ წავიდა. კვამლის შლეიფი აედევნა. გაისმა წყლის ჩხრიალი.

„ფილტვებს მოუსპობდა უთავბოლო წევა. სულ აილო ხელი თავის თავზე. თუმცა ჯანმრთელობაც რა ჯანდაბად უნდა. ბერწია. უშვილძირო. აბოლებს. ელოდება სიბერეს. სხვა რაღა შეუძლია ამ ხნის ქალს. თავისი კუთვნილი სიამე უკვე გამოსწურა ცხოვრებას. სიტუაციებს. შემთხვევითობებს..."

ევამ ფინჯნით წყალი გამოიტანა, ფრთხილად გადაიარა იატაკზე, მაღლა აწეული ფინჯნით, თითქოს ჩათქმული ჰქონდა, რომ ერთი წვეთი არ დაეღვარა. რაფაზე დადგმულ ქოთნებთან მივიდა. კაქტუსებს დააწვეთა ერთი მეორეს. მესამეს.

„ადრე ასეთი რამეები სძულდა. ეხლა კი გული მოუბრუნდა, უვლის მცენარებს..."

ერთ-ერთს ხელი მოუსვა ბუსუსებზე.

„ეფერება კიდეც..."

კვლავ სამზარეულოსაკენ შებრუნდა.

„რა საოცარია, ბოლო დროს ანეკდოტების მოყოლაც დაიწყო, ადრე კი ძალზე სძულდა. თანაც მშვენივრად ყვება, სასაცილოდ. კარგი მთხრობელი დადგებოდა, აი... დაკარგული ტალანტი..."

მაცივრის კარი გაჯახუნდა — ყრუდ, რბილად. ჭიქამ გაიწკრიალა.

„სვამს კიდეც ცოტა-ცოტას, ჩუმჩუმად..."

ადამმა კვლავ გულისრევა იგრძნო. შუბლზე ოფლმა გამოაყარა.

„გაივლის, ნაბახუსევზე იცის ხოლმე..."

ევამ სამზარეულოს კარი გამოიჯახუნა. იატაკზე რაღაცას დაეხარა. მოლიავებული ხალათიდან შიშველი მკერდი ამოუგორდა.

„...ა სიძაგლობაა. შევეჩვიე. თითქოს ქალობის რაიმე ნატამალიც კი აღარ სცხია. არა და. ესაა მთელი ცხოვრება. ადრე კი რა მიმზიდველი იყო, პირდაპირ ცეცხლს ანთებდა... ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეთქმის, მაგრამ შენი გაოცების უნარი კი დაკარგა. შენც თავი მოაბეზრე... აი, შვილი რომ ჰყოლოდა, მაშინ კი სულ სხვანაირი იქნებოდა. უფრო თბილი, ალერსიანი... ევამ შვა კაენ... რა შვილი ეყოლებოდა! ეხლა კი ბედმა გაუღიმა, ბერწია. ძმის მკვლელის დედობას ხომ ასე სჯობს... საშინელებაა, როცა გაზრდის და მერე მიხვდება, რომ ბალღამი უტარებია მუცლით..."

ევა სავარძელს ჩამოეყრდნო. მწიფექერისფერი თმა მეჩხერად ჩამოეშალა მხრებზე. ისევ მიკოზე ჩამოაგდო სიტყვა.

ადამი არ უსმენდა. თავის ფიქრს ჩასდევდა გულგვამში, ხსოვნის უსახელო ოკეანეს ნაპირებზედ დაბოტებდა. ფიქრი იწელებოდა, გრძელდებოდა...

„მეც აუტანელი გავხდი, ამან უფრო გაამწარა, სულ გარე-გარე დადის, სულ იქით უჭირავს თვალი..."

ფიქრი მიდიოდა, იბურძგლებოდა, სივდებოდა.

„განუხორციელებელი სურვილები, სტრესის მექანიზმი". თ. ექიმის ლანდმა გადაიარა ფანჯრის რაფაზე და ევას ზურგს უკან გაუჩინარდა. „ცხოვრება ისე უნდა მოაწყო, რომ აირიდო." სიტყვები თ. ექიმის კვალზე დარჩა.

ადამმა გაარღვია ფიქრის წრე. ფანჯარას გაუშტო მზერა. იქ, ფანჯრის წინ, სავარძელში ვიღაც უცხო ქალი ზის. უნდა შეეკითხოს, აქ რა გინდაო, მაგრამ ევას ზიზღნარევი ხმა გაისმის.

— სულ გამოგაჩერჩეტა არაყმა, მთლად მიგლუულა და გამოგაყრუა. ამდგარიყავი მაინც, ჩაგეცვა...

„ღმერთო, ჩემო, როგორ შევძულდი".

რას ეტყვი. ეს სიძულვილი ხომ თვითონ გამოკვერე, თვითონ გამოხასკვე. გაამაგრე. ალბათ ესაა შენი ხვედრი. ყველა ქალში ამ ცეცხლს აქრობდი, მაგრამ ვერაფერს გახდი. სიძულვილის ცეცხლს მხოლოდ სიყვარული აქრობს, ხოლო სიყვარული როცა აღარაა, მაშინ მხოლოდ სიძულვილი რჩება. ჰოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენც აქამდე მოგყვა, შენი ჯოჯოხეთის ნაწილად იქცა. არც მაგის ბრალი არაა. ბოლმამ დაანაფოტა, გამოფიტა, გამოაშრო. თუმცა ოცნების ხალისი კი შერჩა, გარე-გარე სიარულის სურვილი...

ადამი წამოდგა, ფანჯრისაკენ უნდოდა ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ თვალებში შავი ბურთები აუთამაშდა, სიბნელე აუგორდა... ისევ სავარძელზე დაეშვა. მზერა გაიწვდინა მოქოთქოთე ქალაქზე დაცემულ ბურუსისაკენ.

ეს აკვნესებული ქალაქი, ეს დამტვერილი ჭადრის ხე, ეს ხმაური თითქოს სხვა სამყაროს ეკუთვნოდა. ევაც იმ სამყაროს ბინადარი იყო, ბუნდოვანი სამყაროს პერსონაჟი.

— მე უნდა წავიდე. თოვლეთში წავალ, მომენატრა. შენ კი — როგორც გინდა, — ხმა დაქუცმაცდა ოთახის სივრცეში.

ევას წამწამები გაუვარდისფრდა. ოცნებაში თუ გადავარდაო, გაიფიქრა ადამმა. იქნება ერთად წავსულიყავითო, ესეც იაზრა, მაგრამ ქალის ხმამ შუაზე გადაუკვნიტა ფიქრი.

— მე აქ დავრჩები, აქ მირჩევნია...

და ადამმა ცხადად დაინახა, რომ ხსნა მოახლოებულიყო, მაგრამ როგორ ძნელია ის, რაც აუცილებლობადაა ქცეული. როგორ ძნელია და როგორ აუსრულებელი. თუმცა, რაც ერთი შეხედვით საძნელოდ ჩანდა, უკვე რეალობის ზღვართახაა მისული და შენ ნაბიჯი უნდა გადადგა.

ადამი ფეხზე წამოდგა.

8. ავტოსადგურის ბრტყელი შენობა თავლას ჩამოჰგავდა. ოღონდ მოსაცდელის ფართო და ნათელი ფანჯრები აქარწყლებდნენ ამ წარმოდგენას. სკამებზე მეჩხრად ისხდნენ მგზავრები, მდუმარედ ისხდნენ, მაგრამ მაინც ქოთქოთი და ყაყანი იდგა. გაურკვეველ ზუზუნში მკვეთრად იამოდა ქალის ხრიწიანი ხმა: „გადაი, გადაი, ბრიტვა..." ეს გახლდათ ნახევრად ტიტველი, გაზინთულ ჭრელჭრულებში გახვეული ბოშა ქალი. ჩაძინებული ბავშვი აეტატა და წელში გაზნექილი გაჰკიოდა. ლუკმისათვის იბრძვის ფსკერის ქალღმერთი.

კუთხეში მიმდგარი მილიციელი მოთმინებადაკარგული კაცის იერით იმზირდა ბოშას ლაქლაქს და ნერვულად იმშუშნებოდა, იმ ტყიერივით, რომელმაც თავის ბუნაგში სხვა ნადირს მოუსწრო და აღარ იცის, განდევნოს თუ შეიგუოს.

ადამი ნაპირის სკამზე ჩამოჯდა. გვერდით კოლტს თამაშობდა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. ისმოდა ქაღალდის ტყაპუნი. ამ ორთა გარშემო დაგუბებულ სიმშვიდეს რომ ფლეთდა. არც ერთი ხმას არ იღებდა, თითქოს ფლიოტს თამაშობენო.

კედელზე მოხატული სტენდის გვერდით სხვადასხვა ფერის ვიმპელები გამოეფინათ, უფრო იქით კი უზარმაზარი საათი ეკიდა, მოსკოვის დროს რომ აჩვენებდა.

— ვნიმანიე! ჩერეზ პიატ მინუტ ატპრავლიაეტსია ავტობუს...

ადამი ბარგს დაეხსნა. სადგომისაკენ წავიდა... ავტობუსში როგორც კი ავიდა, უმალ სულისწრაფობის ნაცნობი განცდა დაეუფლა. რა გაუძლებს ამ ჩქარ წუთსო, გაიფიქრა და დასავლეთით გაიხედა. თვალს ქალაქის ბოლში ამართული ფუნიკულიორის პლატო გადაეღობა. ნაძვნარით შებუმბლულ ბექობს შიშველ დამლოდ აჩნდა ტრამვაის ხაზი. მარჯვნივ ეკლესიის გუმბათი ელავდა, მეჩხერი ტყიდან ამოჩხვერილი, ზემოთ კი ბილიკთა ნაგლეჯები ილანდებოდენ კორომებს შორის.

სინახულის მოწოლა იგრძნო. სინანულით ავსებდა ფუნიკულიორის პლატოს სურათხატი: თვალი ებღაუჭებოდა პლატოს ფერთხთით გაშლილ ქუჩაბანდებს, ქანგისფერ უბნებს, დატალღულ გორაკებზე შეცოცებულ კოხტაზებს, აქა-იქ-ტანაყრილ ცათამბჯენებს.

ეს იყო შეგუებული რელიეფი, რომლის სიახლოვე და ნათესაობა აქამდე თითქოს არც უგრძვნია. თითქოს ვერ ამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩნევდა თანდათან რომ იზრდებოდა ის რაღაც, რაც კრავდა და აერთებდა ამ ქალაქთან. და ის რაღაც რომ მტკიცე ყოფილა, ამას ახლა გრძნობდა.

როგორ შეუმჩნევლად შეჩვევია, როგორ დანათესავებია ამ ქანგისფერ უბნებს, ამ მოყაყანე, ურიცხვ ენაზე მოსაუბრე ქუჩებს და მძაფრი, ნედლი სუნით დაყურსული ბაზრების ალიაქოთს.

შენვან განუწილველი ყოფილა ის, რაც ყოველდღიურობის ენაზე ელაგა, რაც გალიზიანებდა და გბუღძგლავდა ხოლმე.

მოყრიამულე ქალაქის გულში გრჩება რაღაც ნათელი და ტკივილიანი, მეორედ მოუწევნელი და დაუბრუნებელი რამ სიყვარულისა და სიძულვილის ნაფოტები. ის, რაც შენს გვერდით იდგა მაშინ, როცა ამ განშორებისათვის ემზადებოდი. შენი ცხოვრების ნაწილია ამ ქალაქის წარსული, იმათი ცხოვრებისაც, ვინც ქალაქის ყოველდღიურობას ბოძად შესდგომია. წარსული მეხსიერებაშია გაქვავებული. მისი ამოტეხა განშორებას არ შეუძლია. იმ ლოდს მხოლოდ მქროლავი დროის ნერწყვი გაადნობს, ალოკავს, გაათხელებს. მაგრამ ეს შემდეგ მოხდება. ჯერ კი მხოლოდ განშორების სინანული ელამუნება მეხსიერების კლდეს, ჯერ მხოლოდ სინანული ეცოტავება, ეფოფრება...

ვის არ შეხვედრია ამ ქალაქში...

გაფიცვინებული მილიონერი, ცა ქუდად რომ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.

მართლიოს გულის ფეთქვის მოყურიადე ინტელიგენტი, თითის წვერებზე მოსიარულე...

ლოთი...

ჯიბის ქურდი...

განგსტერი.

მათხოვარი.

ნარცისი და...

თანამგრძნობელი, ცრემლმორეული თვალიც უნახავს და მოყვასის დაააკლავად აღმართული ნაჯახიც.

შრომის ზღვაში გადაშვებული, დაუშურველი ხალხიც მრავლად შეხვედრია და პეწენიკი ფრანტიც...

ამათი იყო ეს ქალაქი. ისინი ქმნიდნენ ერთიან, მთლიან ორგანიზმს, ძველისძველი ეკლესიებისა და ნანგრევების რელიეფს რომ შენივთებოდა. რომელიმე იმათგანი რომ მოეკვეთა, რომ მოეშორა და გადაეგდო, ქალაქს რაღაც დააკლდებოდა, დაირღვეოდა მთლიანი რამ, რასაც ფესვი გაედგა ყოფიერების საძირკველში. ის ფესვი ადამის ხსოვნასაც სწვდებოდა, მისთვისაც მოუცილებელი იყო.

დამღლელმა ფიქრმა დაამძიმა, ოფლი გამოაყარა. მოუცილებელია, მაგრამ მაინც გაურბიხარ, შორდები. აქ, გზაჯვარედინების შფოთში და ვაივაგლახში რჩება შენი მოგონებების ეკლიანი ტყე. აქაა ჩაქვავებული, ჩაყინული შენი წარსულის ნამტვრევები. აქ ჩავლილმა დრომ დაჩხვლიტა, გაახეიბრა შენი ცხოვრება... და განა მარტო შენი, სხვებიც თავის წარსულს უთვალთვალებენ, თავის მოგონებებს ჩასცქერენ ამ ქალაქის ნაპრალებში, თავის გარდასულს უყურებენ ეკრანებზე გათამაშებულს, წიგნებად აკინძულს... საკუთარი წარსულის მონატრებას მიჰყავთ ისინი თეატრში, კინოში... აჩერებს წიგნის მაღაზიების ვიტრინებთან. მიბოძეთ მაგარყდიანი წარსული. რაო? გათავდა? ააა! მაშ, აი, ეს. ერთი ცალი. 45 კაპ. ინებეთ!..

აქ. გულის ჯიბეში მიდევს, ამოვიღებ, გადავშლი. 45 კაპიკად შეძენილი წარსული. სიუჟეტიანი. რაღაც არ მახსოვს: ვითომ აქეთი სიუჟეტი ჰქონდა? წინასწარგათვლილი... არა. უფრო დაულაგებელი იყო. შემთხვევებია კრებული: უაზანძო, უმელოდიო, გულის დამღლელი, დამანაფოტებელი... ნაყიდი სულ სხვაა. მე რომ მახსოვს, იმას არა ჰგავს. მაშ, მატყუებთ? მხატვრული ტყუილი. ხოხო! თქვენს ქათმებს დაუყარეთ ეგ საკენკი...

ბევრი რამ მისცა ამ ქალაქმა, ბევრ რამეზე ხელიც აღებინა, მაგრამ მაინც მადლობელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვიდობით, პირქუშო მხარევ! მოზეიმევ და მოგუგუნევ, აჩქარებულო, დაძაგრულო, ცათამბჯენებო, ქოხმახებო... თქვენ გეჭირათ ჩემი მაჯა, თქვენ მასწავლეთ ცხოვრების ზვირთქაფში ტრიალი, თქვენ მაგემეთ სიხარული და მწუხარება უფრო მეტი... და სანამ სული მიდგას, სანამ ჩემს ხსოვნას მარადისობის ლიბრი არ დაფქავს, თქვენც ჩემთან ივლით ამ ქვეყანაზე...

9. ძრავა ნელ-ნელა ათუხთუხდა, ძალა მოიკრიბა და მერე სადღაც უკან დაიხროტინა. თითქოს სულს ითქვამსო, კვლავ შეურბილდა ხმა... ავტობუსმა ნელა შემოუარა ტაქსების მწკრივს, გზაჯვარედინი გადაჭრა და გზატკეცილზე გავიდა.

— ო, რა ცხელა ეს ოხერი, — მისწვდა გვერდით მჯდომის ხმა. მელოტი იყო, ჩაფიქვინებული.

— ჰო, ცხელა, — გამოეპასუხა მელოტს, თანაც გაუხარდა გრძელი ფიქრიდან რომ გამოძვრა, — სულ ასე იცის ამ დროს, წვიმებს მოსდევს ხოლმე...

ავტობუსმა ჩამოიტოვა ქალაქგარეთის ცათამბჯენები, მწვანოვანი გორაკებიც ჩამოფურცლა. გორაკებს ღრანტეები შეენაცვლა. ღრანტეებიც ჩათავდა და ჩირგვნარიანი ფერდობის ხერხემლიდან ეკლესიამ გამოანათა.

ეს ისე უცებ მოხდა, თითქოს ფარდა გადასწიესო. ბევრჯერ გაუვლია ამ გზაზე, მაგრამ ეს ეფექტი, ეს მოულოდნელობა არ შეუმჩნევია. უძველესი ნაოსტატარი. რწმენისა და ეფექტის გზაჯვარედინი. გორაკი. გორაკი. ღრანტოვანი ადგილი და უცებ: ეკლესია. მომნუსხველად რომ გაიელვებს ჩირგვნარებისა და ღრანტეების მერე. გამოკრთება, გაირინდება და თვალი ეჩვევა ნანგრევის ხაზებს, ტატნობზე გალანდულ კუთხეებს, გუმბათებს.

— იქ სიგრილე იქნება. აი, — მელოტმა შორეული მთებისაკენ გაიშვირა ხელი. — იქ ღირს ეხლა...

მელოტი ჯერ მთებზე ყვებოდა. მერე პოლიტიკაზე გადავიდა. ადამი თითქოს უსმენდა, მაგრამ ცნობიერება ირიდებდა, იშორებდა ბანალური ცნებების ნიაღვარს, სხაპასხუპით რომ მოიწევდა მელოტის ბაგეებიდან.

მალე დიდი მდინარის ხეობაც დაიწყო. ფართო ჭალაზე, რომელსაც მდინარის დელტა უფრო ეთქმოდა. პატარა, მაგრამ ძველისძველი ქალაქის ბჭეები გამოჩნდა. კოპწია, ორსართულიანი ოდასახლები. ალაგ-ალაგ რკინა-ბეტონის მაღლივი კონსტრუქციები და უფრო მეჩხრად — ძველი, წყლისფერი ხავსით დაფარული ეკლესიები. წყლისფრად გალიბრული გუმბათები, ნაპრალოვანი სარკმლები.

ხეობა თანდათან დავიწროვდა. მდინარე სულ ახლოსაა, ახლოს მოიქაფება, თითქოს მაგისტრალის ბეტონის კიდეებს ებჯინება. ასკდება ქაფმორეული და უხვევს, ირკალება, გაშლილი სივრცისაკენ მიდის.

ლორლიანი კალაპოტი ალაგ-ალაგ ჭორომებად ამოზრდილა. გადარეცხილი რიყე, წყალდიდობის ჟამს მთლიანად რომ ფარავს დიდი მდინარე, გამშრალა და გამოფიტულა ზაფხულის გვალვაში. ეხლა მთავარ კალაპოტსაც მეჩხერადღა ტბორავს წყალი, ზარმაცად ლოკავს ჩამოშვავებულ ნაპირებს, ტრიალებს მოსახვევებში, ქაფს იდებს ტუჩ-პირზე, წვალობს...

სათავედან მოყოლებული — იქ დიდი მდინარეა კუდი სულ პატარა წყაროა. ნაპრალიდან რომ მოიწურება, კბილისმტეხავი, თეთრად ჰკიდია კლდოვან ჩხატეებს, გზადაგზა იერთებს ზვავების მონაწურ წყალს და იზრდება. თანდათან მდინარეს ემსგავსება და როცა გაივაკებს, როცა ხეობაში დაეცემა, უკვე მდინარეა. უკვე მდინარე ეთქმის — ტყიან ჭალებს მოსდევს, გარეუვლის წამოშვერილ მთის ძირებს. კლაკვნით მიარღვევს შამბნარითა და ლიანებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბარდულ ტყეს, ლადრავს და ანგრევს თიხნარ ნაპირებს.

ხან ხეთა კორომს მოეფარება, ხანაც გზატკეცილის გაყოლებით ალაპლაპდება და მაშინ გზის ყრუ გუგუნში იკარგება მისი მარადიული ხმა: გაბმული შხუილი.

მშობლიურია ეს ხმა. აკვნიდან რომ მოსდევს ადამის მეხსიერებას და ყოველთვის, როცა დიდი მდინარის ხეობას ეწვევა, ისე აყურადებს ამ ხმას, თითქოს შორეულ ბავშვობაში გაგონილ, დაუვიწყარ სიმფონიის იამენდეს.

გზატკეცილი ხეობის ვიწროებს მისდევდა. შორეული მუსიკის ხმაში ირეოდა ხსოვნის ნისლიანი სივრცე და ისრუტავდა არა მარტო ადამის ცხოვრებას, არა მარტო სიზმრის დარად გადავლილი ყოფნის წამიერს, არამედ — მიწამყაროსაც. ხლვების გლუვი ხვეულებით გარემოვლილ სამყაროს, რომლის ერთ ნაჭერსაც სამშობლო ერქვა. მიწის ამ ნაწილთან, მდინარეებითა და ავტომაგისტრალებით დასერილ სივრცესთან ჰკრავდა და აერთიანებდა ისეთი რამ, რისი სახელისათვისაც ვერ მიეგნო... ამგვარი გრძნობა მოხუცი მშობლებისა და უმწეო ბავშვების ხილვისას დაეუფლებოდა. მშობლიურობის უტეხი ალევდა. სიბრალული და კიდევ რაღაც...

ამ ხეობასაც, მიწის ამ ნაწილსაც ისრუტავს შენი ხსოვნის სივრცე თავის მთებიანად და მდინარეებიანად, ცოცხლებიანად და მკვდრებიანად... შენი ხსოვნა წარსულის სკივრი. გარდასულის ავლადიდება. შენშია დაბუდებული წარსულია მარცვლები. წარსულის რელიეფი. შენ მოგაქვს ის, რასაც სამყარო იშორებს, ირეცხავს ძველ კვალს და ცვალებადი იერით გადადის დღიდან დღეში. წამიდან წამში.

10. თოვლეთის ხილვაც ამას ადასტურებდა. წარხოცილიყო ძველი. გადარეცხილიყო. ფერნაცვალი თოვლეთი ძნელად. მაგრამ ჯიუტად იჭერდა ძველის ალაგს, მკვიდრდებოდა ხსოვნის გალიბული სივრცის ფსკერზე. იკარგებოდა.

ქავდებოდა... მაგრამ იქ, ხსოვნის მხარეში ძველი თოვლეთის ორღობეებიც ხმიანებდნენ, ნაციხარის გორაკებზე ამოზიდული ნანგრევები ილანდებოდა და დიდი მდინარის ხეობის ყელიდან გადმოკიდებული ჩანჩქერი ლაპლაპებდა.

თოვლეთი. კლდოვან გრეხილებში შეხიზნული, თითქოს სამყაროს ხმაურსა და თვალთვალს გაქცევიათ, თავისთვის მიყუჩებული, მიმალული... მაგრამ ჟამთა სვლას ვერსად დაემალები. სასტიკმა დრომ აქაც, ამ გრეხილთა შორისაც გაითამაშა ტრაგედია. აქაც დატოვა თავისი ბრჭყალის ანაბეჭდები.

თოვლეთი თითქოს შენს თვალწინ დაეშვა, დაგორდა დალმართის ქანჩახებზე, ჩაიხაფრა უფსკრულთა ცივ სიბნელეში. და იქიდან, იმ სიბნელიდან ეხლა მხოლოდ სასომიხდილი ლანდებილა შემოგცქერიან. ცოდვით, სისხლითა და უპატიური საქმით ხელგასვრილი ლანდები — ისინი, ვინც სულაც არ ყოფილან ამგვარი რამისთვის გაჩენილნი.

მათი მარტივი და ეული ცხოვრება დაიმსხვრა ბედისწერის პირველივე კედელთან. დაიბზარა მათი კერიის სიმყუდროვე და ისინიც, შიშჩამდგარნი და განწირულნი, გადაეშვნენ ტრაგედიის არენაზე, ევნენ, დაინაცრნენ.

გახსოვს განწირული, ბედისწერის ფლოქვებით გადათქერილი სახეები. იმათი ნაშიერი ხარ, იმათი ცოდვამადლია მზიდავი, მათი სნებია და სიამის სიმძიმით, წელში მოხრილი, იმ ლანდებით ოფლის წვეთი. მკვლელობის, ძარცვის, პროსტიტუციისა და ლალატია მდინარის ნათრევი ნაფოტი.

მწარე და მეჭველია მათი მზერა, მათი სიტყვა, ალესილი, ორპირი. გლაოავს და გკუწავს მათი გამოხედვა, გაქუცმაცებს. შენს ხსოვნას ჩაჰკირკიტებენ, შენს სიზმრებს ჩასცქერენ. თითქოს თავისი ბედკრული ცხოვრების ნაკვალევის ამოკორტნას, ამოშლას ცდილობენ შენი მეხსიერებიდან, ამოძირკვასა და ამოთხრას მათი ტანჯვის ანაბეჭდისას...

კვლავ შეეხო შენი ტერფი იმათ გა-

თელილ გზაწვრილებს, კვლავ დაადგი ფეხი მოგონებად ქცეულ მიწაზე და ისინი თითქოს შეიშმუშნენ, ამოძრავდნენ შენს ხსოვნაში გაქვავებული ჩრდილები, შეხედეს ერთიმეორეს, თითქოს გაჩერებული კინოკადრი ამოძრავდა, მიიწმოიწიეს, აფუსფუსდნენ.

სალამი აჩრდილნო! მე ვარ ის, ვინც ხელისკიდებით გადმოგყავდით გრეხილთა ქანჩხებზე. უფსკრულთა შავი მზერით დაზაფრულს რომ მამშვიდებდით და მერეც, როცა მხოლოდ ხსოვნაში დაბინადრდა თქვენი კრებული, მრავალჯერ ამეფარეთ და დამიცავით ცხოვრების ზვირთთაგან.

წვიმამ და თოვლმა წაშალა თქვენი ნაგზაური. ჟამმა გადარეცხა თქვენი ცხენების ნაფლოქვარები და იმავე ჟამმა, დაუნდობმა და შეუბრალებელმა, არც ნაფლოქვარში ამოსულ ყვავილს დააყენა კარგი დღე: ისიც ჩახრუკა და ამოახმო.

დაიწვა თქვენი საფლავის გორაკებიც, დადაბლდა, ჩაბრუნდა. დალპა, დაფუტუროვდა მუხისა და უთხოვრის ჯვრები, ჩაიშალა ბალახბულახში. და ისეა სასაფლაოს გორი, თითქოს დასაბამიდან დღემდე პირგაურღვეველი იყოს.

ხსოვნის ქუქრუტანიდან გამყურებ იმ აჩრდილეულ სამყაროს. არც ბეღელა, არც მზისო ბებერი, არც გიორგელა, არც სოლო ყაჩაღი, არც მამალა, არც სხვები არ გადმოსულან შენს გზაზე, არ უძახიათ ვაი-უშველებელი, არ გამოჰკიდებიან შენი ხსოვნის გზას ზარითა და საყვედურების ძახილით — ესაო, ისაო, მტყუანისა და მართლის გაურჩეველი ხარო... თავისთვის შეიძრნენ, აფუსფუსდნენ და ჩაგიარეს. წყნარად, თავდახრილებმა. ზოგმა გამოჯვება გადმოგძახა, ზოგმა ხელი დაგიქნია. კიდევ ერთხელ დაგენახვნენ და მერე გვერდზე მიდგნენ, გზა დააგდეს, გაუჩინარდნენ უხსოვრობის ლიბრში. თითქოს გზის ნაპირის ჯაგებში და ბუჩქებში მიიმალნენ, გაუსახურდნენ. ეგ იყო და ეგა: დაგენახვნენ და მორჩა: წავიდნენ და ·წავიდნენ...

სახლი, ეზო-კარი, სასაფლაო, მეზობელი, მტერი და მოყვარე — რაღაც [illegible] რუნებს, მოახედებს, უხსოვრობიდან გამოიხმობს, რომ კიდევ ერთხელ ნაგვა[illegible] [illegible] ბით დადრეკილი მხრები, [illegible] მახვილი მზერა.

არც აბალახებულ, გაყამირებულ მამულებში დარჩენილა მათი გუთნეულის კვალი. ბალახს მოუსწორებია გორამდე, ამოუვსია. გაუკერია მიწის ჭრილობები, მალამოდ დასდებია.

„მიწას ნუ გაახალვათებ, თორემ შენს კვალს არ შეინახავს. მიწას ნუ გაახალვათებ... მიწასა და ქალს..." შორით [illegible] რება კირილე გუთნისდედის ხმა. [illegible] მოემართება ექოდ ქცეული, [illegible] ხსოვნის შორეთს მოჰკვალავა [illegible] გუთნისდედას გიყენებს თვალწინ...

ფეხშიშველი მისდევდა გუთნეულს ფეხიაგულებითა ზელდა ნოტიო მიწას, აქუცმაცებდა, ფშვნიდა. კვალზე კოლობოხი რომ დარჩებოდა, ხარ-გუთანს დააყენებდა, მიბრუნდებოდა, [illegible] გაძვალულ ხელებს, კოლბოხს გადააყარავებდა, აფშრუკავდა...

ალარც იმისი კვალია სადმე, გაყამირებულ მიწას იაეთი ფერი ადევს, თითქოს არასდროს აქ არავის გაუვლია.

არც გადახნულ მიწას სცოდნია კვალის შენახვა!

ო, რა ჯიუტი, რა შეუვალი ხარ, მიწავ! მიიღებ და აღმოაცენებ, და [illegible] ხარია, მაგრამ სიხარულის [illegible] ღრმა ნაოჭებში მალავ. გულმოდგინედ ინახავ უფსკრულთა ქუფრ ხიბლებს...

მაცდურიც ხარ: შენს ტანზე წუთისოფლის ყოველი დატყობა [illegible] სებს ადამიანს. თითქოს პირამიდის საძირკველი ჭრიდეს, მარადიული ხაგების საძირკვლის... შენ კი [illegible] წორებ. ამოავსებ. გადაიფენ ბალახისა და ფოთლის, წვიმისა და თოვლის ხელით...

ჯარჯი ფხოველი
რამეთუ მიწა ხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. წარსულისაკენ პირმიქცეული მიეშურებოდა, მისდევდა იმ ჟამს, ხსოვნის სივრცეში რომ გაფენილიყო, გაშლილიყო, და ძნელი ასახელი ჩანდა თავისი დაქსაქსულობის გამო. მეხსიერება კრებდა, აერთიანებდა თოვლეთის ფერდაკარგულ რელიეფს და სურათი ცოცხლდებოდა, კვლავ ძველ იერს იბრუნებდა, ფერ-ხორცით იმოსებოდა.

მიწურებსა და ოროლობეებს მიღმა, სოფლის განაპირას კოლმეურნეობის კანტორა იდგა. პირქუში შენობის კედლებზე ლოზუნგები აეწებათ.

თავ-რე პოლოლიკსაც კი გადავიწყებოდა ეს უხსოვარი დროის წარწერები, ოდესღაც დიდ სამყაროში დატრიალებული ამბების ექოდ რომ შემოჭრილიყვნენ კანტორის კედლებში და მოითხოვდნენ ბრძოლას, მოქმედებას...

ვისთან უნდა ებრძოლათ პოლოლიკსა და თემსოფელს? იმათ ერთადერთი მტერი ჰყავდათ: სოლო ყაჩაღი; თანაც ის ერთადერთი მტერი მოუხელთებელი და უჩინარი იყო. ის კი არა და, მართლა იყო თუ არა სოლო ყაჩაღი, ისიც არავინ იცოდა, რადგან იმისი ნაავკაცარი კაი ხანია აღარავის სმენოდა.

სიძულვილით კი ბევრი ვინმე სძულდა თავ-რე პოლოლიკს: ლოთი და მჩხიბავი გიორგელა, ენატლიკინა მზისო ბებერი... არც კირილე გუთნისდედა ეხატებოდა გულზე, მაგრამ კირილე გამრჯე და ოფლისმღვრელი იყო, ჭიანჭველასავით გულმოდგინე, თანაც ამაყი და სიტყვაშეუკადრებელი.

ვინ იცის, ეგებ არცა სძულდა ესენი, უბრალოდ ასე ჩანდა, მაგრამ სოლო ყაჩაღი რომ უპირველეს მტრად მიაჩნდა, ეს უკვე აღარ იყო საეჭვო.

სოლო ყაჩაღის წამიერმა გამოჩენამ და მისმა აღსასრულმა გააშიშვლა პოლოლიკის სულის კუნჭულები, მოანგრია ის ჯებირები, ბოლმას რომ ამაგრებდა...

ეს ამბავი სთველის მიწურულს მოხდა, იმ დროს, როცა თოვლეთელებს შემოდგომის მოსავალი აღებული და დაბინავებული ჰქონდათ ხოლმე და მაკაცები დილიდან საღამომდე ან ღრეობდნენ, ანდა საფიხვნოში ისხდნენ და ჰყვებოდნენ სოფლის ტყუილსა და მართალს.

ადამმა მაშინ პირველად ნახა გატყიურებული ნათესავი — სოლო ყაჩაღი. იგი საქარის გორის ულრანიდან გამოვიდა — დახავსებული, მოტეხილი... თოფს ჯოხივით მოიბჯენდა, მოფრატუნობდა. საფიხვნოში ჩამომსხდრებს შორიდან დაუძახა, გამარჯობათო, მაგრამ არავინ გაპასუხებია, არც არავის შეუხედავს. ისინი მიწას დაჰყურებდნენ, იდუმალი შიში და ძორჩილება აღბეჭდოდათ პირისახეებზე. გუმანით გრძნობდნენ, რომ ყაჩაღი უფრო და უფრო ახლოს მოდიოდა.

თოფი მიწაზე მიაგდო, საფიხვნოს კიდესთან ჩამოჯდა. ერთხანს დუმდა, სულს ითქვამდა, მერე ამოიგმინა და გმინვას ბებრული, მისუსტებული ხმა ამოაყოლა.

— დავილალე. ან შემირიგეთ ან მომკალით. ბევრი სიავე ვქენი, მაგრამ არც მე დამადგა კარგი დღე: სახლი გადამიწვით, ქონება გამინიავეთ... ტყეში აღარ დამედგომება, უკვე ბებერი ვარ... ბებერი...

ოფლის წვეთები ეკიდა მეჩხერ წვერზე, მუქი წვეთები. წვრილი, გამჭოლი თვალები მორჩილად უელავდა. ადამს მაშინ მოეჩვენა, თითქოს იმ თვალებში ხანძრის ენები ტრიალებდნენ, იწვოდა სოლოს სახლი, ხანძრის გარშემო პოლოლიკი დააბიჯებდა, ხანდახან გოროზად გაიხედავდა საქარის გორის ულრანისაკენ, სადაც სოფლის ამომგდები ყაჩაღი ეგულებოდა.

ტრიალებს ხანძარი, იქნევს ენებს, ტკაცუნობს... და ორი ანთებული თვალი, ორი ნაღვერდალი იყურება საფიხვნოსაკენ...

სოლო საქარის გორის ტყიდან დასცქეროდა ხანძარს; თანდათან გადნა და ჩაიკეცა სახლის სახურავი, ჩაიჩუმქრა, მერე ხანძრის ენამ ბოსელიც ალოკა, ლობეებიც.

ყაჩაღს დიდხანს ედგა თვალებში იმ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხანძრის ნათება, დიდხანს ჩაესმოდა საბძლის თავხეებისა და სახურავის ჭახაჭუხი. იმ ცეცხლის შეგრძნება მხოლოდ გვიან გაუქრა, ძალიან გვიან. მას აქეთ, რაც დიდი მდინარის ჭალაში პოლოლიკის ცოლი გააბახა. ეს იყო მისი უკანასკნელი ნაავკაცარი.

...გზა დიდი მდინარის ჭალისაკენ უხვევდა, მიიწურებოდა თხმელების გადმოხრილ ტოტებქვეშ, ლიანებითა და ბალახბულახით შებურულ ვიწროებს მისდევდა.

ქალი ცხენით მიდიოდა. რიყის ქვებზე ჭახუნობდა დანალული ქაჩაჩი, უსიამო ხმას გამოსცემდა.

ყაჩალი ლიანებით დაბურულ ვიწროში გადაუდგა, დაფრთხალ ცხენს გზა მოუჭრა, ალვირში ჩაავლო ხელი. გაოგნებულ ქალს ხელი მოუთათუნა, ნუ გეშინიაო. ცხენი თხმელების კორომში შეიყვანა. ჩამოსვა გაფითრებული დედაკაცი, ნეშოზე მიაწვინა.

გაოგნებული და გათელილი დედაკაცი რომ წამოდგა, სოლო ყაჩალი უკვე შორს იყო. შეურაცხყოფისა და სიმწრის ცეცხლი ჩამქრალიყო იმის ჭროლა თვალებში. ის ცეცხლი მოიშორა. იმ ქალის სხეულში დაანთო, იმის თვალებში ააპარპალა, რომ პოლოლიკს მიუტანოს, პოლოლიკს დაუნთოს კერაზე.

ქალი გრძნობდა, რომ სახლამდე ვერ მიაწევდა, დაბუგავდა, დაფერფლავდა ის ცეცხლი. მდინარისაკენ გაიხედა, სულ ახლოს მოათამაშებდა ქაფიან ტალღებს. ამ ცეცხლს მხოლოდ მდინარე ჩააქრობსო, გაიფიქრა და თხმელის ტოტს მოეჭიდა, მდინარისაკენ გადადგა ნაბიჯი...

ერთი თვის მერე იპოვა პოლოლიკმა ცოლის დამახინჯებული და წაბილწული გვამი. ერთი თვის მერე დაუბრუნა მდინარემ ძვალი და თიხა — ის, რაც საგვარეულო სასაფლაოს უნდა მიელო...

ყველაფერი იაზრა თავ-რე პოლოლიკმა, ყველაფერს მიხვდა. მაგრამ კვნესაც კი არ აღმოხდომია, არც ცრემლი უნახავს ვინმეს იმის თვალზე. დროსა ქვად ექცია თავმჯდომარის გული...

ხმას არავინ იღებდა, მთელი საფიხვნო დუმილში გადავარდნილიყო. სოლო ყაჩალი ამაოდ ელოდა თუნდაც ერთ სიტყვას თანასოფლელებისა. ნათესავების ხმას, თავდახრილი, თვალით მიწას დაბჯენილი.

თავი რომ ასწია, საფიხვნოში უკვე აღარავინ იყო. მხოლოდ დიდრონ კუნძებსა და ლოდებს წამოედო იმისი ანთებული მზერა. მთელს სოფელში ჩამიჩუმი არ ისმოდა. არც გარეთ ჭაჭანებდა ვინმე. მხოლოდ საღამოხანს აახმაურა ორღობეები სოფლის ნახირის შემოსვლამ, მერე ყველაფერი მიწყნარდა. გაირინდა...

განთიადისას ჩამქრალ. ჩამდუმარებულ სოფელში თოფის ლაწანი გაისმა. ხმას ძაღლების ღავღავი გაეპასუხა. აქაიქ ლანდები დაიძრა და მალე მთელი სოფელი სოლო ყაჩალის გვამის წინ იდგა.

საფიხვნოში ასისხლია ტბა ბრუნავდა, ირკალებოდა, ხავსმოდებულ კედლებს ეშხეფებოდა. აქაფებული ტალღები საფიხვნოს ნაგავს ატივტივებდა: ერთიმეორეში ალუფხულიყო ასანთის კოლოფები. სიგარეტის ნამწვები. ძუის გორგლები, ცხენის ფუტური თავიაქალა. თივისა და ჩალის ნაფშვენი... სისხლს საფიხვნოს კუნძებიც აეყოლავა. სისხლი თითქოს ყველაფრის გადარეცხას ლამობდა. თითქოს ამ ნაავკაცარის წამლა აწადიაო, სოლო ყაჩალს რომ ჩაედინა. იმას რომ მიაწეროდა ხალხი ტყუილსა და მართალს. იმ ამბების გადარეცხვას ლამობდა, იმ ცოდვა-ბრალის წამლა აწყუროდა. ბორგავდა, ტალღებს ახეთქებდა ხავსმოდებულ კედლება, გატკეპნილ ორღობებს ლოკავდა.

იქვე სოლო ყაჩალის გვამი ეგდო, დაპატარავებული, გამდნარი, თითქოს მიწამ შეიწოვაო. ჩვრებში გამოხვეული ძვლებიდან და დაბურდული თმა-წვერიდან ორი ჩამქრალი ნაღვერდალი მისჩერებოდა სისხამის ცას. გვამიდან სისხლის ტბისაკენ მიიკლაკნებოდა სის-

ხლის უკვე დამშრალი კალაპოტი, მე-წამული კვალი.

ცოდვა ძლეულიყო, გადაერეცხა სის-ხლით ტბას და სოფლის წინ ესვენა ქალთა ბერიკაცი, მათი სისხლი და ხორ-ცი უკვე შერიგებული, ამქვეყნიური ცოდვა-მადლის მზიდავი...

მალე თავ-რე პოლოლიკიც გამოჩნდა. მზერით გაზვრიტა ნაყაჩაღარის შუბლი და საზიზღარი გინება წარმოთქვა. მის წინ ეგდო მისი და სოფლის დაუძინე-ბელი მტერი, ვისი შიშიც ყინულივით გაქვავებულიყო პოლოლიკის არსებაში.

ფეხით შედგომა მოუნდომა, მაგრამ არ აცალეს გვამის წაბილწვა. მერე სი-ახლის ტბაში შეერია, მეწამულმა შხეფ-მა გადაუარა ხელებზე, მხრებზე, პირი-სახეზე...

მაგრამ იქნება ასე სულაც არ მოხდა? იქნება მეხსიერებამ გადააბრუნა ყოვე-ლივე? ეგებ სულაც არაფერი უთქვამს. უბრალოდ მოვიდა. სოფელს მუქარის მზერა გაუყარა, გარეკა შეშინებული ბრბო სათიხვნოს სიმყუდროვიდან და ლამაზად დაელოდა, რომ კბილი გაეკრა მათი ძვლადიდებისათვის. მაგრამ მოდა-ოჯე თვალმა არ აცალა. ცია გახსნის ვამს ტყვიამ მიწაზე მიაკერა...

ანდა, შესაძლოა, დაჩაჩანაკებული და ასეთით გულგასენილი სიკვდილის სა-ძებნელად მოვიდა აქ...

თავ-რე პოლოლიკს წინ დაუგდო ვა-ჟისი იარაღი. პატრონტაშიც მოიხსნა. ძირს მიაგდო. ყრუდ გაიჯახუნა წვერწა-მახული ვაზნებით გამოტენილმა პატ-რონტაშმა. თვითონ ნაბადზე მიწვა, და-ელოდა...

თავ-რე პოლოლიკმა თოფი ხელში შე-ათამაშა. შურისგების ალი გადაეფინა მის სახეზე. სათიხვნოში მახლობთ მი-აწვდინა მზერა. მერე ნაბადზე წამო-წოლილ სოლოს დახედა. უძრავად იწ-ვა, მშვიდად. არც შიში ემჩნეოდა და არც სხვა რამ განცდა... როცა მიხვდა, ხაცვა დამახლისო, ნაბადი თავზე გადა-აფარა.

თავ-რემ პირველი ტყვია მუცელში გაუყარა, თითქმის ზედ მიადო თოფის წვერი, ისე ახლოს, რომ იარაღმა ხმაცკი არ გამოსცა. თოფის ხმა, ტყვიის კვალდაკვალ, სოლოს მუცელში მიიკარ-გა, იქ გაიხიდა: კიდევ მოუნაცვლა პო-ლოლიკმა. ჭახანი გაისმა, ტყვიამ ძვა-ლი გატეხა, დაანაფოტა, ტკივილმა მორ-კალა, მოღუნა სოლოს სხეული, თითქოს წამოწევა დააპირაო... ახლა მხარ-ბეჭ-ში აძგერა თავ-რემ: ერთი, მეორე...

ნაბადი აიწია, მთელ სიგრძეზე ასავ-სავდა, გამოჩნდა წვეროსანი, გაფითრე-ბული სახე. ჩამქრალი, აწ უკვე განწმენ-დილი მზერა სათიხვნოს გადაავლო, თოვლეთის ეზოებს მოატარა და საქარის გორის ულრანისაკენ გაგზავნა. ყაჩაღის თვალებში ნაღველი აკიაფდა, საოცრად გამომეტყველი და საჩინო ნაღველი, სიკვდილის წინ რომ ეწვევა ხოლმე ად-ამიანს, მისთვის ყველაზე ახლობელთან გამოთხოვებისას... მერე თანდათან გა-უმუქდა მზერა, დაებინდა თვალსაწიე-რი, გაულამისფრდა...

თავი დაუშვა ნესტიან მიწაზე. და ის იყო: დაცხრილული სამოსელიდან შრიალით გამოხეთქა სისხლის კოწოლ-მა, ნაბადი გატბორა, სათიხვნოს კედ-ლებს მიეშხეფა...

12. თოვლეთის შარაგზაზე მიდის ად-ამი. ნაცნობი ორღობეები. აქა-იქ ძვე-ლისძველი ბანურა სახლებიც შემორ-ჩენილა. ახსოვს: აი, იქით, მეორე შე-სახვევთან ბელელას სახლი დგას. ძვე-ლი, გლუვკედლიანი სახლი. ფანჯრებად სათოფურივით გაჭრილი ნაპრალები აქვს. ციხე-სიმაგრე გეგონება.

მისასვლელ ბილიკზე მოძალებული ბალახბულახი მოწმობს, რომ დიდიხა-ნია, რაც აქ არავის გაუვლია. სინანუ-ლით გახედა ჩალამებულ ნაპრალა ფანჯ-რებს. მორღვეულ ჭიშკარს მოეჯაჯგურა.

ხსოვნას გადაეფინა ნათელი სახილ-ველი. ორღობეში მოდის ბელელა, და-კუნთული, მკერდამობურცული. ბავშვე-ბის ჯგრო მისდევს. ამიყვანე, ბელელო, მეც... მეც, ბელელო... მხარზე შემისვი, ბელელო... ბავშვებით დახუნძლული



ეროვნული ბიბლიოთეკა

აათავება ორღობეს, ისე რომ ერთხელაც არ შეისვენებს. ნაცისარის გორაკებისაკენ მიმავალი ბილიკი რომ იწყება, იქ ჩამოიფერთხავს. აბა, მოუსვით!.. ბელელო, მე წამიყვანე, რა! ადამი არ ჩამოდის, ებლაუქება ოფლიან კისერზე. ვერა, ხომ იცი, ბოშებთან მივდივარ; კუდიანები არიან ეგენი... ბავშვებსაც იპარავენ, ხომ იცი... აშინებს ბელელა... აბა, ჰაიტ!

მერე გზის ნაპირის ბუჩქნარიდან ადამი ხედავს ტყისკენ მიმავალ ბელელას. კისერზე მოხამარტალე ალქაჯი აზის, თმაგაშლილი, მოშიშვლებული ქათქათა ბარძაყები. მიქნევქნევობს, კისკისებს. ბელელას ბანჯგვლიან მკერდზე ფეხებს უტყაპუნებს. აჩუ! აჩუ! მოლელილო ძუძუ-მკერდი... აჩუ! აჩუ!..

ბელელამ ჩაქალტამებულ ულრანში შერგო თავი, უკან მოიტოვა გადათელილი შამბნარის დერეფანი. გაუჩინარდა ბოშათა ბანაკის მარბიელი, მოკიაკისე მძევალი.

ადამს გული ჩასწყდა, თითქოს მიათვის ვინმეს წაერთმია ბავშვური ხელით ნაჩორკნი შვილდისარი ან ქეიბური. იმ დღიდან დაიკლაკნა სიძულვილისა და ეჭვის გველი ადამის ცნობიერებაში. იმ წუთიდან, როცა თვალი ჰკიდა ბელელას კისერზე წამოსკუპებულ ალქაჯა. მტრული ლოდი შეიძრა ადამის გულგვამში და დიდი ხნის შემდეგ, როცა უკვე გააცნობიერა, რომ ეს ლოდი ეჭვად იყო სახელდებული, როცა ის ლოდი სულ უფრო მძიმე და აუტანელი გახდა. სულ იმ მტრული გრძნობის პირველი ამოძრავება ახსენდებოდა. თანაც იმ ლოდს აბრალებდა აუტანელი ხასიათია რომ იყო. თავისი ხელმოცარვების სათავესაც იქ ხედავდა და ეხლაც, ბელელას მორღვეულ ჰიშკართან მიმდგარს ეჭვის ის პირველი გაფაჩუნება დაუდგა თვალწინ.

შემდგომში, ბელელას უგზო-უკვლოდ გაქრობიდან დიდი ხნის შემდეგ, ბელელაზე მოთხრობის დაწერა რომ დააპირა, ისევ ის გრძნობა მოეძალა და გულგვამშიც კვლავ ლოდის სიმძიმე შეიგრძნო. ის სიმძიმე გაიწელა, გაიძ[illegible]ბა, უჩსენებელივით შემოეხვია. გული მოუწურა იმ ლოდის შეგრძნება, ეჭვის ის პირველი ამოძრავება თავისი ძალოვანებით გადაწონიდა სიბრალულსა და თანაგრძნობასაც, გატოტვილი და ფესვგადგმული იგი ადამის სულის ნაწილად ქცეულიყო, იძვროდა, იკლაკნებოდა.

იქნებ იმ ლოდის გადაგორება გინდოდა, ბელელაზე რომ წერდი, იქნებ იმ გველის ამოგლეჯა და მოხრჩობა გინდოდა?

## ბელელა და მდევარი

ჭალაკი გაილია. გორაკებისა და ჩირგვების ჩრდილები ფერდობზე წაგრძელდნენ.

ზურგჩანთა ქვებზე მიაგდო. ბილიკს თვალი გაადევნა: ალმართი თანდათან იწყებოდა, მიხოხავდა, ლორლიან ფერდობზე მიებლატებოდა, მაღლდებოდა და გადასახედის ბინდუბდში ათქვეფილ მრავალკუზა გრეხილთან უზარმაზარ ტაფობად ირკალებოდა. ტაფობს ზემოთ მტვრიანი ბილიკი მიცოდვილობდა. დალანდა: ისინი უკვე ზეკარს მისდგომოდნენ. ტატნობზე ჩანდა მოხრილი ლანდები — ერთი, ორი...

„ბელელამ აატარა, დიდი ხანია. კაი გზასაც გაივლიდნენ“. — ეს სიტყვები მზისო დედაბერმა გადმოფანტა ფანჯრიდან, თან ულელტეხილისაკენ მიმავალ შარაგზას გაჰყურებდა. სიტყვები ჩხრიალით მისწვდა მდევრის ყურთასმენას. ბოლმამ დაძაგრა. ეკლებით აევსო მთელი სხეული. ეკლებზე მზისო ბებერის ხმა იფლითებოდა: „დიდი ხანია. კაი გზასაც გაივლიდნე[illegible]“

უხმოდ შებრუნდ[illegible]ა გასწია. ყოველი ნაბიჯის გადადგმი[illegible] [illegible]კლებსა გრძნობდა მთელს სხეულში — ტერფებში, მხრებზე, ნეკნებში... [illegible]იდან მოყოლებუ-

ჯარჯი ფხოველი
რამეთუ მიწა ხარ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მისდევს და აჰა: გაილანდნენ გადასახსვლელთან...

მდევარი ახალგაზდა იყო. ამ ზაფხულს დიდი მდინარის ხეობის მოვლა გადაწყვიტა და ის ქალიც აიყოლია. თან მეცნიერული ზრახვებიცა ჰქონდა ორივეს: ეთნოგრაფები იყვნენ. იქნება რამე მოვიძიოთო, ფიქრობდნენ. ერთიმეორით გატაცებას კი უკვე გაევლო დიდი ხნის წინ და ეხლა უკვე შეგუებული ცოლ-ქმარივით იქცეოდნენ, თუმცა დაქორწინების ფიქრი არც ერთსა ჰქონდა და არც მეორეს.

აქ რომ ჩამოვიდნენ, ჯერ ძალზე მოსაწყენი ეჩვენათ, მერე კი, როცა მთელი ხეობა მოიარეს და ბევრი ნაცნობიც გაიჩინეს, დაწყნარდნენ კიდეც და საქმეც კარგად წავიდა. თანაც კაცმა აქ აღმოაჩინა, რომ ქალი თავის ადგილს იმკვიდრებდა მის ცხოვრებაში. თითქმის შეუყვარდა კიდეც სწორედ ისე, როგორც ადრე, პირველი შეხვედრისას...

კიდევ უსწორა თვალი გადასასვლელის კიდეს, მაგრამ იქ ეულად ამოჩრილი ლოდისა და რამდენიმე დაგვაჯული ჩირგვის გარდა, არაფერს წამოსდებია მისი მზერა. ზეკარიც გადაიარესო, გაიფიქრა და კვლავ ეკლებმა დაუსერეს სხეული. „მიერეკება ვირიშვილი...“

ბელელა თოვლეთში გაიცნეს. „აღმართი დაგქანცავდათ, — უთხრა ბელელამ. — შეისვენეთ. თანაც ეს გოგო“. ქალი მართლაც დაღლილი ჩანდა. ალისფერ სახეზე თმა ჩამოშლოდა. „იქნებ ღამეც აქ გაგეთიათ, ჰა?“ — ბელელას მსუნაგი მზერა საქალეთის ამ დაღლილი ყვავილისაკენ იხრებოდა, ყნოსავდა, გუმანით ამოწმებდა. ბლუჯით ისწორებდა გაფშეკილ ულვაშებს, წუნარად ქირქილებდა. „ჰა?“ — ჟამიჟამ გაყვითლებული კბილები გამოუკრთებოდა. „არ გირჩევთ წასვლას, უღელტეხილსაც ვერ მიაღწევთ, შემოგაღამდებათ...“

ნაბიჯი აუჩქარა, თითქოს ხელის აქნევით მოიშორა მოგონება. თავიდან განდევნა აკვიატებული ფიქრი, ხმა ჩაუწყვიტა ხსოვნაში ამოტივტივებულ ბელელას, ჩააქრო მისი ლოჯების ავბედითი ციმციმი. მზერა კვლავ ტატნობისაკენ გაექცა. „აღმართი დაგქანცავდათ... თანაც ეს გოგო...“ ხსოვნის დანისლული კუნჭულიდან კვლავ ბელელას ხმა მოისმა, მერე მისმა მზერამაც გამოჭრა ბინდი და მსუნაგი სიხარბით კვლავ დაღლილ ყვავილს მიაჩერდა... ბელელა. სახელიც კი ტლანქი და უხეში დაარქვეს. დევის სახელით დაამშვენეს მაგისი ბნელი არსება. მიგირბის. მიჰყავს თავისი მძევალი და შენც ლახტიანი გმირივით გამოჰკიდებიხარ. რაღა დროს ესაა. ის წუპაკი ხომ თავისით აედევნებოდა, მთლად მონუსხა მაგ ტყიურის მხარბეჭმა, მაგისმა ხორხოცმა დაატყვევა.

დევების მდევნელი კოპალას ამბავი გაახსენდა, მზისო დედაბერმა რომ ჩააწერინა:

„მჭედელმა ცეცხლისმფრქვეველი ლახტი გამოუჭედა კოპალას. იარაღს რომ აძლევდა უთხრა:

— ეცადე, ხელი არ აგიკანკალდეს. იმ ამყრალებულს რომ შეხვდები, შესაძლოა, არწყიო კიდეც. მთავარი კი მაინც ესაა: არ აკანკალდე, შიშმა არ გაგთელოს. მარჯვედ მოუქნიე. დანარჩენი კი ლახტის საქმეა. შეხედე, დიდებული გამოვიდა, აი!

მჭედელმა იარაღი სამჭედლოს ბოძს მოუქნია. გაკრთა ცეცხლი, ლახტმა ყრუ ლაწანი მოადინა ხმელი ბოძის ზურგზე, თითქმის შუამდე ჩასხიპა.

— აბა, შენ იცი. მთავარია, ხელი არ აგიკანკალდეს...

კოპალა უხმოდ შებრუნდა და სამჭედლოს წინაკარში მიიმალა... მიდიოდა, შიშველ ფეხის გულებს სიპები უსერავდა. ხმელი, გადამსხვრეული ჯოყრის ძირები ჩხვლეტდა ყოველი ნაბიჯის გადადგმისას. გზა მაღლა-მაღლა მიიწევდა. ზემოთ ნისლი იდგა. ორიოდე ნაბიჯზეც კი ვერაფერს გაარჩევდა კაცი.

მძიმედ მიაბიჯებდა, დაბერილ ყბებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფლის მარცვლები ეკიდა. კიდევ ერთი მაღლობიც და გზა უკვე თავქვე დაეშვება. ნისლი შეთხელდა, ქვემოთ, ქვემოთ დარჩა მოქათქათე ოკეანე. იქიდან ამოყვინთა ფეხშიშველმა და დაძონძილმა კოპალამ. ხელთ ახალთახალი ლახტი ეპყრა.

ნისლში მობანავე ქედებს გახედა. მშობელი მიწის აფუებული მკერდი. დევების სათარეშო. სიბრალულის რბილი მუშტი მოებჯინა ყელში. მერე ის მუშტი მრისხანებად იქცა და მგზავრი აენთო, დაიძაბა, ლახტს მოუჭირა ხელი. მწუხარებისა თუ ბოღმის ხმამ აუკანკალა ბაგეები: „ჰოი, შენ, ხმლის ქნევაში გაულეტილი თაობების სისხლით მორწყულო... დევთაგან ვნებული ქალებისა და მორჩილების ულლიანი კაცების, გაპარტახებული სოფლებისა და დაქცეული ციხე-ქალაქების დედავ...“

იქნებ სულაც არ უთქვამს არაფერი, ან იქნებ შეაგინა კიდეც. ანდა სულაც ჩუმად ივლიდა. ისეთ საქმეზე მიდიოდა, როცა მხოლოდ სიმამაცეზე ფიქრობს კაცი...

მდევარი ჩირგვს მოეჭიდა და ტაფობის კიდეზე შედგა ფეხი. იგრძნო, ზურგჩანთა უფრო და უფრო მძიმდებოდა. ზედმეტი ეჩვენებოდა ზურგჩანთაც, ბათინკებიც, წიგნებიც, ჩანაწერებიც...

სულ გაათგნა ლალატმა. ვისლა არ უგემია იგი. მერე და, რომელი მავრი შენა ხარ. წიგნებში ცხვირჩარგული და გამოხრული ლანდიღა ხარ. ქალი კი მთლად გადარია იმ ტყიურმა.

ზურგჩანთა ტაფობში მიაგდო. ბათინკები გაიხადა. ევამ გრილი მიწის შეხება, სასწაულებრივი ძალის მოვარდნა გირძნო, თითქოს მკლავებში გრიგალი მოიმწყვდია. „მაშინ გამცვალა, მაშინ მიღალატა, როცა უკვე შემიყვარდა, — ფიქრი ფიქრში გაინასკვა, — ეხლა კი რა...“ და მთელი ძალით გაენთო გზაზე...

ულრანის შუაგულს რომ მიაღწიეს, მიხვდნენ, გზის გაგრძელება უკვე უაზრო იყო. ქალი უცნაურად აწრიალდა, მის მოღლილ თვალებში ბელელა რაღაც ბუნდოვან შუქს ხედავდა. იმ შუქში ჭორფლად ეყარა ფოთლის ჩრდილი. ბელელა ერთხანს დაიბნა, მაგრამ არ შეიმჩნია... ჩამოუსვა ტორი მოღეღილ მკერდზე. თანთადან გაითავისა ერთი წვეთი სიბნელე, მიითვისა იდუმალი წყვდიადის ნაგლეჯი და ველური ღმუილით გადაეშვა იმ სიბნელის შესაცნობად — მუშტადშეკრული, მოუთვინიერებელი, დაძაგრული...

წამოდგომაში ბელელა დაეხმარა. ქალმა, როგორც იქნა, გამართა მუხლი და ბანცალით აედევნა ტყიურს, მორივით მრგვალ და მოუხეშავ ბარძაყებს რომ მიალაჯებდა დაღმართზე. ჩამოძენძილი ნისლი ტყე-ტყე მოიწევდა და საწიერს კეტავდა, ხოლო როცა ნისლი აიწურა და ქედის კალთებს გაეკრა, ხეობაში სოფლები დალანდეს. „სად ამოვსულვართ“. ქალს ისეთი შეგრძნება ავსებდა, თითქოს ნადირის დატორილი და გათელილი ყოფილიყოს, თუმცა სხეულში ბუნდოვანი სიამეც ჩაგუბებოდა და ამ სიამის ჟრუანტელით მოკალულ და მოთენთილ სახსრებს თანდათან იმორჩილებდა, თითქოს თავიდან სწავლობდა სიარულს...

ბილიკზე რომ გავიდნენ სასოწარმკვეთი შიში მოეძალა. კარგად იცოდა კაცის ხასიათი. გახელდება და მომკლავსო. ფიქრობდა, მაგრამ როცა მდევარი გამოჩნდა, გულგრილობამ შეიპყრო, თითქოს სულ ერთი იყო, კაცი რას მოიმოქმედებდა. გული კი დასწყდა, მდევარის დანახვაზე ბელელამ რომ მოქუსლა. შეძრწუნებული და გაოგნებული ელოდა კაცის მოახლოებას, იდუმალ ბურუსში თავშერგული, ენაჩავარდნილი...

— ხმა ამოიღე, მე შენ გეუბნები, —

ეროვნული

და კაცმა ორივე ხელი შემართა, — ხმა, შე!..

მაგრამ ქალი სულაც არ აპირებდა ხმის ამოღებას. მდევარს მაშინ მოეჩვენა, თითქოს თანდათან ვიწროვდებოდა სივრცე, მისი ირგვლივეთის სივრცე იკუმშებოდა, სულის რომელიღაც ჭუჭრუტანიდან მობერილი სიბრაზის ქარი წნეხავდა გარეშემოს და თითქოს სივრცის ამ შეკუმშული ბუშტის შუაგულში იდგა.

ქალი კი გარეთ იყო. გარედან ცდილობდა, რომ თავისი დუმილით წელში გაეტეხა კაცის პატივმოყვარეობა. ბუშტის კედელს აბჯენდა ჟინდამცხრალ მზერას, ჟამიჟამ პირისახეზე გადაჰკრავდა კმაყოფილების ნათელი, თითქოს იბრუნებდა, თუ ცდილობდა პირველყოფილი, უმანკო მზერის დაბრუნებას, მაგრამ ისე შორიდან, უხსოვრობის უფსკრულებიდან ეწეოდა წარსულის ამ ნათელს თავისი დაშლილი, დაფლეთილი არსებისაკენ, ისეთი სიღრმეებიდან ცდილობდა მის ამოთრევას, რომ მთელი სხეული მიუღწევლობისა და მოუხელთებლობის განცდით უთრთოდა. მოკუმული ბაგედან უაზრო ბუტბუტს სცრიდა, რომელიღაც გაურკვეველ სიტყვას მარცვლავდა.

ბუშტის კედელში მოძვრებოდა დაგლეჯილი ბგერები, სიტყვის ნაფოტები, რომელთა მოხელთებას, ერთად შეკვრას, შეკოწიწებას ცდილობდა კაცი, მაგრამ ქაოტური ბუყბუყისა, ხითხითისა და უაზრო ხმაურის შეგროვებას ახერხებდა მხოლოდ.

ქალის ბუტბუტი თანდათან არღვევდა ბუშტის კედელს და, როგორც იქნა, ამ ლუღლუღის ქაოსიდან ძლივს შეიკრა და ბუშტის კედელზე აკიაფდა: „მეზიზღებით... შენცა და ისიც, ორივენი...“

და კაცი კვლავ შურისძიების ქარმა აბურძგლა, შურისგების ქარმა აუყალყა თმა-წვერი...

ადამი ბელელას სახლის მორღვეულ ჭიშკართან იდგა. ფიქრი ინასკვებოდა, მოძრაობდა. შესაძლოა, არც მომხდარა ამგვარი რამ. თუნდაც მომხდარიყო ეს ამბავი შურისძიებად მაინც არ ღირდა. უბრალოდ, წყრომით შეხედავდნენ ერთიმეორეს და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. ამის გამო დევნა რა საჭირო იყო. მაგრამ ეს ამბავი ხომ ზმანებებისა და ოცნებების წრიდანაა გამოწურვილი, თუმცა ადამმა იცის, რომ ბელელა ასე მოიქცეოდა. ქალის შეცდენას კი რა უნდოდა აქ, ამ გადაკარგულ ალაგას...

მოგვიანებით ადამს მოთხრობის დასასრულმა გაუელვა თვალწინ.

## ბელელა და მდევარი

(დასასრული)

...მანქანების ნაკადი მიწყდა და მდევარმა გზატკეცილზე გადაირბინა. მძიმედ მიიქნევდა ცეცხლისმფრქვევ იარაღს. ლახტი მზეზე ლაპლაპებდა. მიხვდა: უკვე ქალაქს მოსდგომოდა. აქ გარეუბნის ქუჩა იწყებოდა. ამის იქით ფუთფუთებდა, ოხრავდა და ხმიანებდა უზარმაზარი ქალაქი.

„ბევრიც ეძებო, აქ ველარ იპოვი... წავიდა და ეგაა...“ ამის გაფიქრება იყო და: გაჩერებაზე აყალყულ ტყიურს მოჰკრა თვალი. ბელელა იყო, მაგრამ უფრო დევსა ჰგავდა — ტერფებშებრუნებული, ბანჯგვლიანი. ვიტრინაში გამოფენილ ჟურნალებს დაჰყურებდა. შუბლზე მრისხანედ გადმოკარკვლოდა საცრისოდენა ეული თვალი.

ბელელამაც დალანდა მდევარი, გაზეთების ჯიხურს ამოეფარა...

გამეტებით მოქნეულმა ლახტმა დაანაფოტა „სოიუზპეჩატის“ ჯიხური და ქვაფენილზე უზარმაზარი თვალი დაეცა, აფართხალდა, სანამ მომაკვდავი დევკაცის ღრიალი მიწყდებოდა, იგი, თითქოს პატრონს დაეძებსო, ტრიალებდა, გორავდა... მერე ჩაინავლა, ჩაიწრიტა, გაუფერულდა და ლურჯი ხაზებით აჭრელებულ გლობუსს დაემსგავსა.

მდევარმა ალასრულა საქმე. მერე ნისლით გაწებილ, ნალვლიან სიშორეში შე-

აბიჯა, თანდათან გაუჩინარდა, ჩაიკარგა ხსოვნის სივრცეში, გადნა, გაითქვიფა.

არც ეს მოთხრობა გამოუვიდა. აუსრულებელი სურვილები. „ნევროზი აუსრულებელი სურვილების შედეგია, ყველაფერი ამის გამოა ხოლმე...“ საფეთქლებზე მიეშხეფა თ. ექიმის ბაგეებიდან დაძრული ხმა.

აუსრულებელი, გადასხეპილი სურვილები. იმათ ალაგას ცივი სიმძიმეა დალექილი, ჟამიჟამ გამჭოლ ტკივილად რომ დაუვლის გულ-გვამში.

გაახსენდა, ბენმა რომ შეაცდინა, მოთხრობები რომ მიიტანა რედაქციაში.

— ადამ, რამდენი წელია, რაც წერთ, თუ გაიხსენებთ ერთი, — როგორღაც გამომცდელად ჩაეკითხა პ. ნადირაძე. ადამმა მოთხრობების თავფურცელს შეავლო თვალი. ათაურს ზემოთ წითელი ფლომასტერის კვალი. „განყ. გამგ. პ. ნადირაძეს. გაეცანით და უპასუხეთ. რედ...“ მერე პ. ნადირაძეს გაუსწორა მზერა. წვეროსანი იყო, გრძელთმიანი. — ალბათ არ მიწყენთ, ასეთ რამეს რომ გეკითხებით...

— ალბათ ოცი... შეაძლოა, მეტიც...

— როგორც ამ მოთხრობებიდან ჩანს, ნელ-ნელა ვითარდება თქვენი ხელწერა.. კიდევ კაი ხანი უნდა წეროთ, რომ სრულფასოვანი რამ შექმნათ, იმუშავეთ, გული ნუ გაიტეხთ... აბა, ჰე! — პ. ნადირაძემ ხელი გაუწოდა, თან პირისახეზე გაურკვეველი ღიმილი გადაეფინა...

ადამმა სიცარიელე იგრძნო, თითქოს უდაბნოში მიაბიჯებდა, მზისა და ცხელი ქარების მხურვალებით გამოფიტული. მერე იფიქრა, ხომ შეეძლო, ყველაფერი პირდაპირ ეთქვაო, დაუნდობლად ეთქვა, ის, რაც სიმართლეაო და ამ ფიქრმა დაამშვიდა.

მერე სქელი ბენი დაუდგა თვალწინ. „გამაბრიყვა იმ ოჯახქორმა, აბა. რა ჩემი საქმეა რედაქციებში წანწალი. გამოვტვინდი ამ ხნის კაცი, რაღა დროს ესაა...“

მას აქეთ აღარც ბენიამინი უნახავს. დაობლებული. ფრთამოტეხილი. მისი ახალი წიგნი კი წაიკითხა. დაკარგული სიყვარულის ცრემლი. უცრემლოდ ფონს ვერ გახვალ. ხომ შეიძლება, რომ უგულობა დაგწამონ. რა იცი, რაღა არ ხდება ამქვეყნად. უგულო პოეტი აბა ვის გაუგია. გულმა უნდა მოიწუროს ლექსი. გულისცემის რიტმი უნდა დაჰყვეს თან. ბენს ძალზე მოდუნებული გული აქვს, სუსტად მფეთქავი. რა ქნას, ცრემლით ანაზღაურებს. არაა სხვა საშველი...

მაშინ როგორ გამაბრიყვა იმ ოჯახქორმაო, გაიფიქრა და ბრაზი მოაწვა. ხელის აქნევით მოიცილა სქელი ბენის ლანდი. მორღვეულ ჭიშკარს გადაალაჯა. გამლილი მტევანით ჩამოახია მისავლელი ბილიკის თავზე გაბმული ობობას ქსელი. კარებს მიადგა. ჩაჟანგულ კლიტეს მოეჯაჯგურა. დაკეტილია ბელელას ციხე-სიმაგრე. თვითონ კი უხსოვრობაში მოგზაურობს.

13. — ადამს გაუმარჯოს! — ადამი მიბრუნდა. ჭიშკართან ვანო იდგა, მასწავლებელი. — საიდან? რა ქარმა გადმოგაგდო?

— ჩამოვედი ცოტა ხნით. მომენატრა აქაურობა. ხომ მშვიდობაა?..

— ვართ რა... შენ რასა იქმ? რაღაც-რაღაცებს მოვკარი ყური, მართალია, თუ...

ადამი ჯერ ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა, მერე იაზრა, ალბათ ევაზე თუ მესაუბრებაო, უნდა ეთქვა რაღაც. მაგრამ ისევ ვანომ გააგრძელა.

— საწყალი ბელელა, გახსოვს, ხომ? აქ რომ გავივლი, სევდა შემომაწვება ხოლმე... სევდა კი არა, ხსოვნის სიმძიმილი... მთელი ძალისხმევა მჭირდება ამის დასაძლევად...

ადამი ვერ იტანდა ამ პედაგოგიურ მაღალფარდოვანებას. ნეტავ, ეს „ძალისხმევა“ რაღააო, გაიფიქრა და მშვიდად თქვა:



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, უგზო-უკვლოდ დაიკარგაო, მართალია, არა?

— ეჰ, ვინ იცის, გადაიხვეწა საწყალი... იმასაც კი ამბობდნენ, ბოშებს გაჰყვაო, ბოშას ყვარობდაო. თითქოს ყუბანის მხარეს უნახავთ ბოშებთან. ვერავინ გაიგო მაგის ასავალ-დასავალი. თანაც სულ მალე ომიც დაიწყო... ვინ იცის, სად მოუსწრო... კაი ბერიკაცი კი იქნებოდა, კაი-კაი ამბებს მოყვებოდა... რაც იმას ქალები უნახავს...

— ვინ იცის... ეტყობა სიკვდილმა უწია. თორემ ახვაგან ვერ გასძლებდა; იქნება ომმაც მოუჭრა გზა, ანდა სხვა რაიმე ამბავმა შეიწირა, ხომ ხდება ასეთი რამე, — სინანული აიხლართა ადამის ხმაში. მერე ბელელა ამოცურდა ხსოვნის წყვდიადიდან და გვერდით დაუდგა. უსმენს ამათ საუბარს, მიწას დაჰყურებს. აქაა, შენს გვერდითაა, შენი ხსოვნის სივრცეს ავსებს. და რადგან გახსოვს, რადგან ხსოვნიდან არ გადარეცხილა, მაშასადამე, შენთანაა, შენს მეზობლად ცხოვრობს, გითვალთვალებს, გზვერავს...

14. თოვლეთში რომ ჩამოვიდა, იფიქრა, აქ გამოვიკეტები და სხვა მხარეს აღარ გავიხედავო. მაგრამ მალე მიხვდა, რომ არც ეს შეეძლო. თვალი სულ გარე-გარე გაურბოდა, ბავშვობაში გაზეპირებული ადგილებისაკენ მიიწევდა, ეფლობოდა სოფლის ავ-კარგში;

თოვლეთს შემოხარჯვოდა ძველი მარილი. ცეცხლიც მოჰკლებოდა და მისი ყოფიერება წყალგადასხმული ნაღვერდალივით შიშინებდა. ჩამოფხრეწილიყო უხსოვარი დროის კირით ნაგები სიმტკიცე, გადახსნილიყო, დარღვეულიყო კედლები და დიდი მდინარის ხეობის ჭალიკონი გადი-გამოდიოდა კედელთა ნაპრალებში.

ადამი ნაცნობ შემოგარეებს გაჰყურებდა. თვალი მიეშურებოდა ნაციხარის გორაკებისაკენ, სადაც ბოშათა ნაბანაკარზე შამბი და ეკალბარდი იგრიხებოდა.

ის ბანაკი ჯერაც ხმაურობს ადამის ხსოვნაში, თითქოს ნისლწაფარებული სიზმარივით ძნელად გასახსენებელი, მაგრამ მაინც ცოცხალი და მჩქეფარე თავისი დაუოკებელი ვნებებითა და ცეცხლოვანი სიმღერებით.

ახსოვს: იქით გარბოდა თოვლეთის თვალი, იქით მიიწევდა, მიგორავდა სოფლის იდუმალი, ადათებით შეზღუდული და ჩაქოლილი სწრაფვა. იქით მიეშურებოდა, რათა წამით მაინც გადაშვებულიყო თავისუფალი ყოფის მორევში, მოდარაჯე თვალის საწიერს იქით მოესინჯა ძალა და მარიფათი. მიდიოდა ბოშათა აჭრელებული კარვებისაკენ, მიდიოდა, რათა თავისუფალი ყოფის კოცონებს მიფიცხებოდა.

ხსოვნაა შორეთის ბინდი შორდება, ქარს მიაქვს, მიდენის. ქარი ნაციხარის გორაკებიდან უბერავს. და, ბინდი რომ გადაიწევს, ათასნაირი სახილველი ენთება...

...ბოშათა კარვებისაკენ გოროზად იყურება ჭარმაგი მამალა. წამოდგება, საფიხვნოს შუაგულზე გადაივლის, ხანდახან გულს ჩაიმჯილავს, ბოროტად უელავს ჭროლა თვალები... „მყაყში ჩავარდნენ ჩვენი ჯეილები... წაახდინეს ბოშებმა ჩვენი სოფელი, წაიბილწა ნაციხარის გორაკები, წახდა...“ რისხვით იმწვეტებს თვალებს, მისი მზერა ბოშების ბანაკს ერჭობა, ცეცხლს უკიდებს, შანთავს. და თვალს არ აშორებს, სანამ საბოლოო კარავსაც ხანძარი არ ჩაყლაპავს...

ადამის ხსოვნაში ხანძრით გადახერხილი ღამე ბჟუტავს. ალი ტრიალებს ბოშათა ბანაკის თავზე, გუგუნებს, ტკაცუნობს. წივილ-კივილი და გინება ითქვიფება ღამეში, სასოწარმკვეთი წივილი და ვაიუშველებელი... ცეცხლმა მოადნო ბანაკის კარვები და ჩარდახები. მხოლოდ ამის მერე მოშორდა მამალას მზერა ნაციხარის გორაკებს, თავის თავში ჩაბრუნდა, ჩაიძირა და ხანძრის საიდუმლოც თან ჩაიტანა.

სოფლის გუმანი უცთომელია ხოლმე და სოფელი არც ამჯერად შემცდარა: ეჭვის თვალი მამალას მიაჩერდა, იმის

გულ-გვამში გაძვრა, გაჰოლა, რათა იქ მიჩუმათებული საიდუმლო სამზეოზე გამოეტანა.

ნაცეხარის გორაკებზე დატრიალებული ხანძრის შემდეგ თოვლეთის არემარეში ბოშები ალარავის უნახავს. წავიდნენ, წყევლა-კრულვა და ქოქოლა გაიყოლეს. კვლავ ერთფეროვანი დღეები წაეწყო ერთიმეორეს, ცხოვრებაც კვლავ ძველებურ კალაპოტს გაჰყვა. სოფელს ხინჯად შემორჩა ნაავკაცარი. განსაკუთრებით ბელელას დაეტყო: პირქუში და მიუკარებელი გახდა...

იმ ამბავს კი სხვა ტრაგედია მიესართა და ამით ყველაფერი დავიწყებას მიეცა. ამ ტრაგედიის პერსონაჟი მამალა იყო.

15. მამალა აღმართზე აჰყავდათ, თვალებაკრული, ხელებგადანასკვული. კლდოვან ბილიკზე მიფოფხავდნენ. ბოლოს დადგნენ, სული მოითქვეს.

თვალსახვევი რომ მოხსნეს, მამალამ გოდორი დაინახა, კოხტად მოწნულ-მოგვირისტებული გოდორი. ერთი მხარე ჯერაც ამოსაწნავი იყო, ღიად დატოვებული და მამალამ იაზრა, რასაც უპირებდნენ. აქეთ რომ მოჰყავდათ, ფიქრობდა, ჩამომახრჩობენ ან ამკუწავენო; ასეთ რამეს კი როგორ მოიფიქრებდა. ხელებიც გაუხსნეს. ნაღვლიანად ჩაადევნა მზერა თოვლეთისაკენ დაძრულ დაღმართს. ეს იყო მისი უკანასკნელი გზა. განთიადის უძალო მზეში ლაპლაპებდა მონამული არემარე.

გვერდით ორი ბოშა ედგა. ერთი ახალგაზრდა, უწვერული, ხოლო მეორე წვეროსანი, მომელოტებული. მესამე იქით იდგა, ზურგშებრუნვილი...

გაძალიანებას აზრი არა ჰქონდა და გოდორში შეფოფხდა. წვეროსანი ბოშა გოდრის ღიობის ამოწვნას შეუდგა. ნელა ირჯებოდა. ამან გააცოფა მამალა. სასოწარკვეთილი ხმით იღრიალა, დაფხოჭნა გოდრის კედლები, მაგრამ წვეროსანი ოდნავადაც არ აჩქარებულა. ნელა აწნავდა წნელებს, კოხტად ამოჰყავდა. გოდორი პირს იკრავდა და [illegible] ლოს აბრეშუმის ჭიის პარკს დაემსგავსა, კოხტად მომრგვალებული...

სანამ ხელსა ჰკრავდნენ მამალამ კიდევ შეათვალიერა ბოშები. მესამეც ახლოს მოსულიყო, სულ ახლოს იდგა. მამალა გაოგნდა, ყელი გაუშრა ამის დანახვაზე: ის მესამე ბელელა იყო. თითქოს იმედის შუქმა გაუელვა, იქნება ამან არ გამწიროსო, გაიფიქრა. ცრემლი გადმოეკიდა თვალზე.

— ბელელო, ნუ დამღუპავ. შენ ხომ ნათესავი ხარ, მეზობელი, ამათი გულისათვის ნუ გამწირავ, ბიჭო, — გოდრიდან იცრებოდა მამალას აკანკალებული ხმა. — ჩემს ცოდვას ნუ დაიდებ, გაიგონე...

ბელელა უხმოდ დაჰყურებდა. და მის დუმილში შეუვალი სიმტკიცე შეიცნო მამალამ. ეს სიმტკიცე ადრეც უგრძვნია...

„...ეგ ქალი ჩემი საცოლეა“, — თქვა ბელელამ და მიწას დააჩერდა.

„შენ რა, რამდენი ნაბოზარიც გამოჩნდება, ყველას შენ უნდა მობანო სინდის-ნამუსი? — მამალას მარცხენა თვალის ქუთუთო აუთამაშდა, ასე ემართებოდა გაცხარების დროს. მერე ბელელას მკლავზე მოჰკიდა ხელი და მშვიდად გააგრძელა, — მთელი სოფლის ბალღები შენ დაგდევენ კუდში, სუყველამ იცის მაგ ქალს რომ დაათრევ დღისით-მზისით. ღამეს მაინც მოეფარე, მამაცხონებულო, — და ისევ აენთო, მარცხენა ქუთუთო კვლავ აუთამაშდა. — რაღას არ ჩაიდენენ შენი მოყურიადე ბიჭ-ბუჭები, შენ კი საბოზეთად აქციე თოვლეთი...“

„ჩემი საცოლეა, — ჩაურთო ბელელამ, ისე რომ თვალი მიწისთვის არ მოუშორებია, — საცოლეა და, რაც გინდა, ის იფიქრე...“

ამ მშვიდ ხმაში მამალამ შენიშნა სიმტკიცე, რომელსაც ის ვერ გატეხდა, ვერ გადალუნავდა და მოტყდა, მორ-

---

ჯარჯი ფხოველი
რამეთუ მიწა ხარ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილდა, ოღონდ ეგ იყო: კვლავ გოროზი მზერა გააძვრინა ნაციხარის გორაკებისაკენ. მერე წყნარად თქვა:

„სტუმარმა თავისი გზა უნდა იცოდესო, ხომ გაგიგონია. მაგათ ძალიან გაუტკბათ, ძალიან..."

„აქაურობა მარტო ჩემი და შენი ხომ არაა, — გაეპასუხა ბეღელა. — ყველასია, ყველას ეკუთვნის, სტუმარსაც და მასპინძელსაც... თანაც ეგენი მოხეტიალე ხალხია, აიყრებიან, წავლენ. სახლი მაგათ არ უნდათ და მიწა, აბა, რისთვის დარჩებიან..."

ბეღელა უხმოდ დასცქეროდა გოდორს საიდანაც მამალას ხმა მოძვრებოდა.

— იწამე ღმერთი, ბიჭო, იმ ნაბოზარის გულისთვის ნუ გამწირავ, — ტუჩპირი უცახცახებდა, მერე რომ დარწმუნდა, ვერაფერს გავხდებიო, გოდრის კედელი მოფხოჭნა. — გამწირე განა, ვირიშვილო, ნაბიჭვარო... აი, დედასა!..

ეს იყო უსასოო ხმა, თანდათან რომ დასუსტდა და სლოკინად იქცა. გატყდა მამალას გოროზი მზერა. თვალთაგან სინანულის ცრემლი გადმოუგორდა...

ბოშებმა გოდორი უცებ ააყირავეს. იგრძნო რომ სამყარო დატრიალდა, აგორდა. თავბრუ დაეხვა. ბოლოს თავბრუდამხვევმა ტრიალმა მთლად წაართვა რაიმეს მოაზრების უნარი. გონდაკარგული აწყდებოდა ლასტის კედლებს.

გოდორს მოგუდული გმინვა მიჰქონდა. გმინვა მიხტოდა, მიფრინავდა, თავზე ევლებოდა ფლატეებს, ენარცხებოდა ქარაფთა ხერხემლებს, ნაფოტდებოდა...

16. ღვარცოფის დამშრალ. დახეთქილ კალაპოტში ეგდო წნელის ნამტვრევებსა და ტოტების ნალეწებში ალუფხული. წითლად გაზინთული. სისხლი ჯერ კიდევ მოწვეთავდა. მოქონავდა, ეშხეფებოდა კიდობანა კლდეებს და ჩახვანჯულ, ჩახვეულ ფესვებს.

სულ ახლოს ღელე მოშხუოდა, მოძვრებოდა გადახავსულ ლოდებში. ჩაესმოდა ღელის ხმა, შორეული მდინარის შხუილით ჩაესმოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უდაბნოში ეგდო, მზის გულზე და წყურვილი აცლიდა საბოლოო ძალ-ღონეს, ჰქანცავდა...

ქამიქამ მდინარის ხმაც მიწყდებოდა და ყველაფერს შავი დუმილი გადაეფარებოდა ხოლმე, გადაალუსკუმებდა, ჩაყლაპავდა. ველარ გრძნობდა მზის მხურვალებას, არც სიცხის ბორბალი უხერხავდა კეფას. წყვდიადში, ცივ წყვდიადში ეშვებოდა... მერე იმ წყვდიადის სიგრილიდან, ამოყვინთავდა ისევ და მდინარის შორი შხუილით ისევ მიელამუნებოდა, კვლავ დატრიალდებოდა სიცხის ბორბალი, წყურვილი აუტკაცუნებდა ძვლებს...

და გადიოდა წლები, საუკუნეები და კვნესაც, წყურვილისა და ტკივილის კვნესა, წლობითა და საუკუნეობით მიდიოდა სოფლისკენ, მიიწევდა ზამთარ და ზაფხულ, გადადიოდა ჩამორღვეულ ბექობზე, მიჰკვალავდა შამბნარს, მიდიოდა მინდორ-მინდორ და ტყე-ტყე... და, როგორც იქნა სოფელს მიაღწია.

პირველად ცოლის ბაგეებში გახმიანდა, მერე მეზობლების ეზო-კარში შეაბიჯა და მთელს სოფელს მოედო, გაბმულ ყაყანად ქცეული.

სოფელი აედევნა იმ ხმას, ხმასა თუ ხმის გამოვლილ გზას, ჩაჰყვა ბექობებსა და შამბნარებს, იარა მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე... ღვარცოფის დამშრალ კალაპოტთან შედგა სოფელი. მსხვერპლს შეახო მაშველი ხელი და ის იყო: ღამეც დადგა.

თითქოს მოყვასის ხელის შეხებას ელოდაო, გაუქრა ძვლების მტეხავი წყურვილი, ჩადგა მდინარის შორეული შხუილი, გაჩერდა მზის ბორბალი, გაქვავდა მთელი სამყარო და ისიც ქვის ნამტვრევად იქცა, ცივ და გლუვ ნამტვრევად...

კვლავ სოფლის გზას დაადგა ბოშების შურისძიების მსხვერპლი, ქვადქცეული და უსულო...

17. ნაცნობი, ნათესავი, არემარის ბურუსი. შორეული ლიბრი, ხსოვნაში გაყინულ წლებს რომ გადაჰფენია, ყრმობის წლებს, როცა ვერაფრით ახერხებდა დიდი მდინარის ხეობის მიღმა გაშლილი სამყაროს წარმოდგენას, ხმაურიანი ქალაქების, ასფალტით დატბორილი გზებისა და მოგუგუნე ცათამბჯენების წარმოდგენას.

— ქალაქს არ მანახებ, ბელელო?

— კი. აი, ნახე... აბა ყური მომეც, აიწიე... მეორე ყურიც აიწიე... კიდევ, კიდევ... ჰა, ნახე?!

ადამი იჭაჭება, იწევს თითის წვერებზე, თუმცა ისეთს ვერაფერს ხედავს, ქალაქს რომ ჰგავდეს... თვალებში ნაციხარის გორაკები ებლანდება, გორაკების იქით შებურვილი და გაუვალი ტყე, შამბნარი...

...ბურუსიდან ბელელას ლანდმა გადმოაბიჯა, ამოიმართა. საქარის გორის ტყეში დგას, დამცხრალი, ჟინმობანილი. უხალისოდ დაჰყურებს მოქათქათე ბარძაყებს. ქალი წყნარად იცვამს. თავზე გადაივლო კაბა, ჩამოიწია, ჩამოიღადრა დაბწკალული ძუძუები. კაბა გლუვ, სლიპინა მუცელზე ჩამოეფინა... და კვლავ ნისლმა ჩაყლაპა ხსოვნის შორეთში აკიაფებული სახილველი...

ნისლი წევს საქარის გორის ტყეზე, ნისლითაა გალიბრული სოფლის შემოგარენი.

ცოტა რომ აიწიო, თითის წვერებზე რომ დადგე, იმ დიდ ხმაურიან ქვეყანასაც იხილავ, ნაციხარის გორაკებს იქით, შორს, შორს, წიწამურის ბურუსით მოცული, ნაღვლიანი ქედების დასავალთან რომაა გაშლილი. ამ ტყეს უნდა ასცდეს შენი თვალი, ამ ნისლს უნდა გადაუაროს.

ყველაფერი ნისლის სტომაქშია მოქცეული: არემარეც, დროც, ხალხიც, მდინარეც... ვერავის და ვერაფერს ვერ გამოიხმობ, ვერ გამოიყვან თავისი წყვდიადის ლაბირინთიდან, სიბრმავის დარბაზებიდან, ვერ გამოაცალკევებ განურჩევლობის ლიბრიდან.

თავისი ხსოვნის წიაღში თუ უხსოვრობის წყვდიადში ჩახედავ, ბურუსის ბუდეში მიაძვრენ მზერას, ჩასდევ, მიჰყვები. სახილველი სახილველს ენაცვლება, სურათს სურათი.

ნაციხარის გორაკებზე გადადის შენი თვალი, მაგრამ ციხის ნანგრევები იდუმალი, შიშისმომგვრელი გულჩახვეულობით თითქოს უკუაგდებენ მას. ხავსის ქვეშ მალავენ თავის საიდუმლოს, გაუმხელელ ამბავს. ირგვლივ სიმარტოვისა და მიუკარებლობის სუნი ტრიალებს. ლოდების გროვაში ფეხჩადგმული წიფლის ხეც კი ნაღვლიანად იყურება, თითქოს მომიჯნავე კორომს გასცქერის შურის თვალით, უბრად.

ადამი ხავსს მოეჭიდა, ფეხი მოინაცვლა ნაშალის ტერასზე, ზემოთ აებლატა.

მოსინჯა ჩალურჯებული, ქვად ქცეული დულაბი, მზითა და წვიმით ჩამობწკალული, გახეხილი.

ნანგრევთა დუმილი. თითქოს მარტო დუმილიც არაა. რაღაც შრიალსა თუ ჩიფჩიფს იერთებს ეს მორევი, ძრწოლით ავსებს.

ნანგრევებს მიღმა, ქალაზე გაკლაკნილი მაგისტრალიდან სულ სხვა ხმა მოდის, ნაცნობი, შეჩვეული ხმა. ის ხმა უერთდება ნანგრევების დუმილს, იმათ შრიალსა და ჩიფჩიფს ერთვის, ითქვიფება ნანგრევებისა და ტყის იდუმალ ხმებში.

ეს რაღაა? ხავსიან კოლბოხზე უხსენებლის პერანგი ჰკიდია, ჯვარედინი ხაზებით დასერილი, გადაქერცლილი. აქა ცხოვრობს... მიტოვებულ, გაპარტახებულ სახლებში და ციხეთა ნანგრევებში უყვარს დათეგრება. გადმოეკიდება გზის ნაპირის ლოდებზე და თბება, თბება. უყვარს ადამიანის ხელში გამოვლილი ქვა და სიპი — ყველაფერი, რასაც ადამიანის ოფლის წვეთი დასცემია, რასაც კალთა ტანჯვის კვალი ატყვია. ამ სახილველით ტკბება. მაცდური. ვაშლის მომტანი. სსსს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

18. თოვლეთის სანახებს ტურისტი მოგზაურების ხორხოცი ეფინება. კაწკავს. „წაილეკა ეს მყუდრო, პატრიარქალური მხარე და ალარსად წაგესვლება...“

ადამის ფიქრი სწვდება უხსოვრობის მიღმა გაქცეულ დროს, ებლაუჭება გაქვავებულ ჟამს, ფერფლადქცეული თაობების მეხსიერებას რომ წაუღია. გადაუტანია რეალობის გზიდან.

ვერა, შენ იმ დროს ვერ გამოიხმობ. ვერ გამოსწოვ დამარხული თავის ქალებიდან, ვერ გააცოცხლებ წარსულის თვალთა გუგებში მინავლულ სამყაროს, გაქვავებულ და უცვლელ ქვეყნიერებას. სხვა ჟამი გეკუთვნის, თოვლეთის ფერდობზე წამომართული ტურბაზის სართულებიდან დაძრული ხმაურითა და დიდი მდინარის ხეობაში გადაწოლილ ავტომაგისტრალზე გაფრენილი მანქანების გუგუნით ნაზავი დრო. შენი სიმშვიდეც ამ ხმაურის შუაგულშია დაფუძნებული. აქ უნდა ეძიო, აქ უნდა აღმოაჩინო. წარსულის ბუტაფორიულ გზებზე ყიალი მხოლოდ ილუზიაა, ფიქრის ლრუბელია, თანდათან რომ ქრება და რეალობის ეკლებით მოფენილ ფსკერს გიტოვებს.

სადღაა მოკრძალების ნატამალი. გესმის, რომ ზვაობს და ხორხოცებს მავანი გამვლელი, უცხო მიწაზე ზვაობს, სადაც დღეს პირველად დაადგა ფეხი. თოვლეთის ლამესა ფლეთს მისი ხმამაღალი ხარხარი. ლამე კი დუმს, ლამეც დუმს და მიწაც. დათმენის გაკვეთილი. მხოლოდ შენი ფიქრი იჯაგრება ამ ხმაზე და მხოლოდ ის გამშვიდებს, რომ შენც ისეთი ხარ. იმ ტურისტს ჰგავხარ, ვინც თავისი უნუგეშო შრომის წელიწადს ერთი თვე გამოგლიჯა და ცდილობს ბოლომდე შეიცნოს მისი სიამე. თავისუფლების ერთთვიური.

...ხუთნი იყვნენ. ნაციხარის გორაკებიდან ჩამოივაკეს და თოვლეთის გზას დაადგნენ. ქერა, ჰორფლიან პირისახეებზე ოფლის ცვარნამი მოსდებოდათ. ზურგჩანთების ქვეშ გალუნული ძუძუმკერდი. ქოშინებენ. მოათამაშებენ მოფამფალებულ დუნდულებს. ხესტიან გზაზე ჰყაპუნობს აწყობილი ნაბიჯი.

გზას დასჩერებოდნენ, ჩაჰკირკიტებდნენ, თითქოს არ იზიდავდა, თავისაკენ არ ახედებდა გზისნაპირების სახილველი წარმტაცი კორომები, დიდი ხეობის ყელში გადმოკიდებული ჩანჩქერი, აბალახებული და იავარქმნილი ნასახლარები. ისტორიის ნაფეხურები.

ადამი მიესალმა. უხმოდ მოიხედეს, თითქოს კაცის ხმამ გააკვირვათ.

— შევისვენოთ, გოგოებო...

შავგვრემანი შეჩერდა. დანარჩენებმაც ცოტა გაიარეს და დადგნენ. გზისნაპირის შამბნარში ჩამოიხსნეს ზურგჩანთები, წელში გაიმართნენ. ტანადები იყვნენ. ქერა პირისახეები ოდნავ შეემურა ზაფხულის მზეს.

— იქიდან, ხომ?

ადამმა ზეკარისაკენ გაიშვირა ხელი.

— კი. იქიდან...

უხალისოდ თქვა შავგვრემანმა. ალისფერ პირისახეზე ხელი ჩამოისვა და ზურგჩანთაზე გადაწვა. გულისპირთან თხელი მაისური კერტებმა გამოჩხვერეს.

მოგზაურობა სირცხვილის შეგრძნებას აღუნებს. აი, ასე მოლიავებულები გადაიშხლართებიან გზის ნაპირებზე. შენ კი... ჰოი, ეშმაკის ლამეულო ჩურჩულო და უხილავო მდინარევ, როგორ მაქეზებ, როგორ მითრევ, როგორ მეძახი. თანდათან მაცლი ფეხთაქვეშიდან ფსკერის ქვიშას, შეუმჩნევლად მიმაქანებ დაღმართზე, უხმოდ და შეუმჩნევლად...

— ალბათ, ნანგრევებზე ახვედით...

— კი. ვნახეთ, ლორლის გროვაა...

სივრცე გაკაწრა შავგრემანის უხალისო ხმამ. ჰო, ლორლის გროვაა, არა მარტო ნაციხარის გორაკებზე გარინდული ნანგრევები, არამედ მთელი წარსულიც. ლორლის გროვაა სამყარო, წარსულისა და დღევანდელის ხილული ნაპირები, ლორლის გროვაა მხოლოდ და მხოლოდ. ლორლის გროვაა და ეს ლორლი შენ უნდა აქციო ნაგებობად, ფორმა უნდა მიანიჭო, ააგო... და სანამ შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი არ შეეხება, სანამ ამ ღორღს არ დაეხრები, ასე იქნება დაყრილი და გამვლელ-გამომვლელისთვის — მხოლოდ ღორღის გროვა და მეტი არაფერი. ღორღის გროვა კი რას ეტყვის ამათ. არც ესენი ეუბნებიან რაიმეს ამ შემოგარეებს, ამ კორომებს, ამ გზას, ღორღის გროვას, ნანგრევებს. თავადაც რომელიღაც ძველისძველი ნაგებობის ნაშთები არიან. მოგორავენ. ტურისტული გზაა მათი კალაპოტი. ეხლა შეჩერდნენ და მიწას დააკვდნენ...

ადამმა პეპელას მოჰკრა თვალი. გარინდული ტევრის კენწეროთა ზემოთ გადაიფარფატა, გადაიქროლა ფრიალფრიალით. ევას ლანდი გაკრთა წარმოსახვის წყვდიადში. წამიერად გაკრთა და უმალ გაუჩინარდა. ლანდის კვალზე ფიქრი აენთო, გაიწელა, გაიძაბა. კვლავ შენში ცხოვრობს ევა. მოფრინავს პეპელა. ზანტად იქნევს ჩამოძენძილ ფრთებს. იხლიჩება წარსულის ლაჟვარდი, ისხიპება, იგრაგნება...

ვინ იცის, იქნებ გულიც მოუბრუნდა შენზე. საუკუნეები გავიდა მას აქეთ, რაც წამოხველი. რაღა არ ხდება ამდენი ხნის განმავლობაში. იმას კი გული მოუბრუნდა შენზე. ზის და გელის. გააქვავებდა მოლოდინი.

პოლოლიკის ხმა გადმოისმის უხსოვრობის გაღმიდან, ექოდ ქცეული ხმა. მოლოდინი ადამიანს აქვავებსო, ამბობდა ბერიკაცი, აი, მეც აღსასრულის მოლოდნმა გამაქვავაო... ასეთი ლოდინი სულ სხვაა, ვერაფერს შეადარებ. სიკვდილს ელოდება, ერთადერთსა და საკუთარს. განუმეორებელ სიკვდილს.

სულ სხვაა ევას მოლოდინი. დგას დახუნძლული ბაღის შუაგულში, ვაშლსა კბეჩს ხარბად, აჩქარებით, თითქოს მებაღის გამოჩენისა ეშინიაო. ატეხილ ბალახში რძესავით ილვრება შიშველი ფეხები. გელის, გელის...

ევას ლანდი გაიზარდა, უზარმაზარ პეპელად იქცა და მისი ფრთების ქვეშ აშრიალდა დაბინდული ულრანი. ადამი კვლავ ხსოვნის სივრცეს ჩააშტერდა და გაუკვირდა, ნეტავ, როგორ ეტევა ეს ფრთოსანი მეხსიერების ცისქვეშ, როგორ ჰყოფნის ეს პატარა სივრცე მის უზარმაზარ ფრთებსო. ფიქრი კვლავ ფიქრს გადაეკიდა, გაიშალა და ხსოვნის შორეთი გადაანათა. ის ჟამი გაანათლისა, როცა ევაზე იქორწინა, ის დრო გამოამზეურა, როცა ორი დევნილის ბედისწერა ერთად შეიკრა.

19. ქორწინების პირველი ზაფხული კოკტებელში გაატარეს. იქ იგრძნო პირველად, რომ ეს ქალი ბეზრდებოდა; როგორღაც მოყირჭდა, ყელში ამოუვიდა. ზღვის ბრალი თუაო, ფიქრობდა, რადგან ზღვაც ასევე მობეზრდა. ოთახში გამოიკეტა და შექსპირს ჩაუჯდა. დღე და ღამე კითხულობდა. ევა ზღვაზე იყო შეყვარებული. სულ პლაჟზე დაფარფატებდა. მზის გულზე იყო გადაშლილი. ადამი შექსპირს ჩაჰკირკიტებდა. ჩასცქეროდა ჯიუტად, დაჟინებით. შექსპირის დროში გადასახლდა.

ასე გრძელდებოდა ერთხანს, სანამ კარზე სრულიად სხვა ქალმა არ დაუკაკუნა. აკუნმა გაახსენა, რომ გარეთ ცხოვრება დუღდა. სამყარო მზის ქვეშ ბრუნავდა, ტრიალებდა, ბუნება ილებდა და გასცემდა. ქვეყანა დღევანდელი დღით ცხოვრობდა და ეს იყო ჩვეულებრივი რამ. აქ კი, შიგნით, ოთახის სიმყუდროვეში ადამი ფურცლავდა შექსპირის სულში გამოვლილ დროს და იმ დროის წრეში დატრიალებულ ქარიშხლებს მიაყოლებდა თვალს, ყნოსავდა. ჩასდევდა გარდასულის ამაზრზენ სახილველს, სამყაროს დრამას, უკვე მოგონებადქცეულსა და დაფერფლილს.

ქალმა რომ დაუკაკუნა, მაშინ მიხვდა, რომ თვითონაც შექსპირის დროში შეაბიჯა, მის წინ აირია ღალატითა და ვერაგობით ნიშანდებული ჟამი. ეს იყო სრულიად ახალი ცხოვრება. ხოლო ის, უკვე შეჩვეული და შეგუებული ყოფიერება, თითქოს ჭაობსა ჰგავდა, იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოხს, უმოძრაოდ რომ დგას და თანდათნ მყაყიერი ხავსით რომ იფარება.

თითქოს მხსნელი ხელი შეეხოო, ადამი მიჰყვა ყოფიერების ზარების გუგუნს, იმათ ხმას მისდია უკანასკნელ უფსკრულამდე, ფრიალომდე, რომლის იქით წასვლა უკვე აიკვდილსა და არდაბრუნებას ნიშნავდა.

უფსკრულთან შეჩერდა და უკან მოიხედა: უთვალავი წელი გასულიყო... რამდენი მთა გადავლო, რამდენი ბილიკი დაკეცა, რამდენი ზღვა გადალახა. და რა ტკბილი იყო, რა სანეტარო იყო ეს მგზავრობა...

ადამი დაბრუნდა. კარი შეაღო და ევას თვალებიდან დაძრულმა ნათებამ გააოგნა. იმის თვალებში ცეცხლი გიზგიზებდა. ცეცხლის ნათელი კედლებს ეფინებოდა, სარკმლების მინებზე ლაპლაპებდა. დააკვირდა: ქალს ბაგეებზე ეკლები ამოსვლოდა და, როცა ალაპარაკდა, ის ეკლები სიტყვებს აედევნენ, ზუზუნით მოფრინავდნენ და ადამს ესობოდნენ ყურებში, მხრებზე, საფეთქლებში...

რა უნდა ექნა, რითი გადაერეცხა ქალის მრისხანება? იფიქრა, რამეს მოვიგონებო, მაგრამ ბოლოს მაინც სიმართლის თქმა არჩია. მერე კი მიხვდა, რომ შეცდა, მაგრამ ამის გამო ქენჯნა არ უგრძვნია. იცოდა: ღალატიც იმ ცხოვრების ნაწილი იყო, რომლის შუაგულშიც უნდა ეტრიალა მთელი სიცოცხლე, თუმცა აღიარება იმ ამბისა, ცხოვრების წესად დამკვიდრება ყოვლად შეუძლებელი ჩანდა. ეს უკვე ევას პატივმოყვარეობისა და სიამაყის ხელყოფას ჰგავდა, მისი გრძნობების გადაქელვას ნიშნავდა.

იფიქრა: სიმართლე არ უნდა მეთქვაო. მამაკაცების უმეტესობას ხომ მთელი დუჟინი ტყუილები აქვს ასეთი სიტუაციისათვის გადანახული. წამალიც ესაა; ამ დროს მხოლოდ გულუბრყვილოდ მოყოლილი სიცრუეა, მხსნელად რომ მოევლინება ორივე მხარეს.

„მეგობარი შემხვდა... მერე კი, ხომ იცი, რა ძნელია თავის დაღწევა, სადღაც ჯანდაბაში წამიყვანა, გამოვიბრუქეთ..."

„ჩვენებურებს გადავეყარე, ქალაქგარეთ წამათრიეს მაგ ოხრებმა... ჩვენს მეზობლად ისვენებენ... გადმოვიპატიჟოთ. გინდა?.."

და ასე შემდეგ, ერთიდაიგივე ტყუილის მრავალი ვარიანტი...

მაგრამ ადამს არ უთქვამს არც პირველი, არც მეორე და არც სხვა რაიმე. სიმართლე თქვა: არ უნდოდა ცოლისათვის ტყუილი მიეხალა, სიმართლე უთხრა და იმ სიმართლის ფხაზე გადაიკვეთა ევას იმედი, მისი სიამაყისა და მოლოდინის ძაფები.

ოჯახური ჩათბუნების, სიამტკბილობის, შეგუების ქოხი შეინძრა, ათქაფუნდა, მყაყიერი ხავსი დაიტალღა, დასკდა.

ქოხის ნაპრალებიდან დაიძრა ის რაღაც, რაც მათი ცხოვრების თანამდევი გახდა, რაც ყოველდღიურობის ნაწილად იქცა და ორივე — ცოლიც და ქმარიც ისე შეეჩვია იმ რაღაცას, რომ უმისოდ ვერც წარმოედგინათ სიცოცხლე.

ეს იყო თანამდევი ეჭვის ხილული ნაპირი — ყვედრების, ამბოხისა და ნერვული კონვულსიების გრიგალში რომ ილანდებოდა. შემდგომში ორივე ცდილობდა იმ შიშველი ნაპირის დაფარვას. მის მიჩუმათებაა და ამის გამო ერთიმეორეს სიცრუესაც კი შებედავდნენ ხოლმე, მაგრამ ყველაფერი დღესავით ნათელი იყო: მათ სიახლოვეს, მათ არსებაში კრთოდა ეჭვის ნაპირის პირქუში რელიეფი და იმ ნაპირის ფარდას ხან ცოლი გადასწევდა, ხან ქმარი და ეს ამბავი უკვე მათი ცხოვრების ნაწილი გახდა ყოველდღიურობის ნაწილი, მოუცილებელი და უტყუარი რამ...

20. ვერაფრით ვერ დაივიწყა, ვერ ამოფხიკა გულისგულიდან ის მილიონი წელიწადი — ევასთან გატარებული დრო. იმ უხსოვარი დროის შეგრძნებაც ვერ მოიცილა, როცა ევას სახელიც კი

არ სმენოდა, მაგრამ მაშინაც მისი ცოდვის გამზიარებელი იყო, მისი ცხოვრების მონაწილე; ეხლა კი ხელი ჰკრა ყველაფერს, ზურგი შეაქცია. იოლი არ აღმოჩნდა ეს ამბავი... გაუძნელდა იმის უარყოფა, რაც მის ცხოვრებას შეხიდვოდა, რაც ამაგრებდა, აფხიზლებდა.

21. გზა კორომს მიუყვებოდა, მერე ჭალისაკენ უხვევდა, თავქვე მიიწევდა. ტურისტი ქალები თავდაღმართის დასაწყისში გაჩერდნენ. ადამს ხელი დაუქნიეს. „ესენი შენს სიმარტოვეს ვერ ამოავსებენ“. ნაღველი მოაწვა. ეს შეგრძნება თითქოს შორიდან, ჰორიზონტზე დახრილი ღრუბლის კალთიდან დაიძრა, გადმოიარა ბინდით გალიბრული ხეობა და ადამის საფეთქელზე აცოცდა.

მოულოდნელმა ცხელებამ დაუარა, აბურძგლა, თითქოს ეკლები გამოაყარაო. ამგვარი რამ მუსიკის მოსმენის ჟამს დამართნია. „მეცხრე სიმფონია“ გაახსენდა. გაახსენდა კი არა, ხსოვნის სივრცეში დაირხა ნაცნობი და სანეტარო ჰანგი — ჰორიზონტზე დახრილი ღრუბლებიდან წამოვიდა, სინანულის ეკლები გადმოაყარა, გადაეფინა, ჟრუანტელით აავსო.

თვალწინ გაიჭიმა ბინდით გალიბრული ხეობები, ქუფრი ხაზებით შემოწერილი ქედები და მაღლა: დაკალთული, დაფხრეწილი ღრუბლები... ეს იყო სამშობლო, „მეცხრე სიმფონიის“ ბურუსში რომ იკარგებოდა, თითქოს მოუხელთებელ ქაფში ჩაყვინთაო, და ისევ ჩნდებოდა, ილანდებოდა მსუბუქად მოხაზული გრეხილებითა და ბინდში გარინდული ხეობებით.

ნაბიჯი გადადგა. სულ ახლოს ულრანის კედელი გადაჭიმულიყო შავად, ღამისფრად. დამავალი მზის შუქში ობობას ქსელი კიაფობდა. დამსკდარი, გახეული მუხის ტოტიდან იწყებოდა, ქვევით მოცოცავდა, გარდიგარდმო იქსელებოდა, იგრიხებოდა, ეშვებოდა დაბლა-დაბლა, მიწისკენ. ქსელის შუაგულში გაფარჩხული ობობა ცახცახებდა. ჩერდებოდა, თითქოს მზის ჩასვლას აყურადებსო და ისევ ცახცახს იწყებდა. საღამოს რიტუალი.

იწურებოდა დღე. ულრანს მკვდრული სიჩუმე გადასწოლოდა — ერთიანად გაექვავა დღისა და ღამის გასაყარს, დაემდუმრა, დაესუდრა. მდუმარი სივრცე ჩამოწოლილიყო სოფელზე, გზაზე, გზის ნაპირებზე...

22. მზე გორის ფხაზე იდგა. რიტმულად ცახცახებდა ალმაცერ შუქზე მოკიაფე ობობას ქსელი... ქსელის შუაგულში გაფარჩხული ობობა პეპელას წუწნიდა...

სამყარო ცხოვრობდა, წვალობდა, სიცოცხლისა და სიკვდილის მონაცვლეობით ნიშანდებული ბუნება კვლავ აგრძელებდა თავის სისხლიან გზას აქ, სამყაროს ამ კუნჭულში, „მეცხრე სიმფონიის“ ტალღებში განბანილი, თვალშეუვალი, ამოუხსნელი.

წინ ბინდდაცემული ტყის კედელი გაჭიმულიყო. ეს ტყეა, ადამის ხსოვნაში რომ გაბარჯღულა, ფესვი გაუდგამს, ეს საუკუნოვანი ტყე, მოუცილებელი და მახლობელი. ხსოვნის მატერიკებზე ხარობს, იზრდება ეს ტყე. მისი ცხოვრება — გასწრებაზე შეჯიბრზე, ჯობნებაზე დაფუძნებული ყოფიერება შენშია და გიცხადებს ათასგვარ ნიუანსს; ულმობელობასა და შეუბრალებლობას ხედავ მის დაბურულ ვარჯებქვეშ.

ყლორტი ყლორტს ემტოქება, ფესვი ფესვს, ფოთოლი ფოთოლს... მაღლა-მაღლა მიიწევს ერთი, მიყელყელაობს, მეორეს მზესართმევს, ჩრდილში ახვევს. ჩაგრავს, აჩიავებს.

აგერ: დგას დაჩიავებული, ჩირგვად ქცეული წიფლის ხე, უზარმაზარი ხეების ფერთხთით გართხმული, წვრილტოტებიანი, ფერნაკლული, მსხვერპლი.

---

ჯარჯი ფხოველი
რამეთუ მიწა ხარ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაც თამაშდება ბუნებითი დრამა და შენა ხარ მისი მოყურიადე...

არა. არა ჰგავდა ეს სახილველი კალმის წვერით მოხატულ სურათხატებს. არც ფუნჯის მოსმით შექმნილ ხედებსა და სიტუაციებს, არც კინოაპარატის წინ გათამაშებულ ამბებსა და სიუჟეტებს. ნანახი სულ სხვაგვარი იყო და ადამი როგორც კი მჭვრეტელის ალაგას დადგებოდა, ის სახილველი, ის ბუნებითი ცხოვრება, ნამდვილი და უტყუარი ყოფიერება თითქოს ფერსა ჰკარგავდა, რომანებში ამოკითხულსა და კინოში ნანახს ემსგავსებოდა.

ცხოვრება ნამდვილი და უტყუარი მხოლოდ მაშინ იყო, როცა ადამი მის შუაგულში ტრიალებდა, როცა ყოფიერების ქაფში ბრუნავდა, როცა ჭვრეტისთვის არ ეცალა და როცა მალალმალალი, გიგანტური ხეების ჩრდილიდან გამოსვლას ლამობდა. ხოლო როგორც კი მუშტზე ჩამოდებდა ნიკაპს და მჭვრეტელად დაჯდებოდა, ცხოვრებაც კინოს კადრივით მიდიოდა, თამაშთამაშით, ნილბებით — თითქოს რომანების უთვალავ ფურცელთა შრიალში ამოკითხული ამბავის გაგრძელება იყო. ანდა საგამოფენო დარბაზებში აწებებული სურათების შორი ანარეკლი; სურათებისა, რომლებიც თავისი შემქმნელი ღმერთის ოსტატობას უფრო ამტკიცებდნენ, ვიდრე უტყუარობასა და ნამდვილობას.

წიგნები, ფილმები, სურათები, თითქოს წამში ცხადდებოდნენ, უეცარი გაელვებით ქმნიდნენ და წარმოსახავდნენ ცხოვრების წვრილმანებს, ანათლისებდნენ სამყაროს მარადიულ სურათს...

სინამდვილე კი წლობით გადიოდა ამ გზას, ზოზინით მიიწევდა, შეუმჩნევლად შემოწერდა საკუთარ ფორმას, პირისახეს, ჩრდილს, თამაშობდა თავისი ყოფიერების დრამას, უმაყურებლოდ, თავისთვის.

შენ ხომ მაყურებლისთვის ქმნიდი, მაყურებლისთვის ჩვენებას ცდილობდი, შემფასებლისთვის ჩვენება გსურდა, სასწორზე დადება გინდოდა იმისა, რასაც ცხოვრება ერქვა. ამიტომაც ეკარგებოდა ფასი, ფერი და სითბო აკლდებოდა შენი კალმის წვერიდან ჩამოწვეთილი მელნის წვეთში არეკლილ ცხოვრებას.

ჭეშმარიტება უმაყურებლოა. უზარმაზარი კორომის ფერხთით გართხმული, დაგვაჯული და დამარცხებული ჩირგვის სიმარტოვე არავის მზერას არ ელოდება. დგას თავისთვის, სტრესების გრიგალის დამტევი, მიუღწეველი სურვილების ნაცარში მლოცავი...

თ. ექიმის ლანდი აიძრა ბინდდაცემულ ტყეში, ჩაუარა გოროხიან ტაფობს და ბებერი წიფლის ილლიაში გაირინდა... ობობამ შეწყვიტა ცახცახი, ლანდისაკენ გაეშურა მოზომილად, მტკიცედ. ქსელის ძაფებზე რიტმულად გადაიარა, გადაიცეკვა და ნახტომი მოზომა: ცაპ! შშშ!.. ლანდი შრიალით გაუჩინარდა, განიბნა საღამური ტყის ბინდბუნდში. ობობამ პეპელას ჩაავლო მოკაუჭებული ყბები. ესეც ასრულებული სურვილი!

23. „...ნერვული ცხოვრება... ლოთობა და, ვინ იცის, კიდევ რა... აი, ასეთები ვართ, თანაც... — საწოლთან დგას ახალგაზრდა პროფესორი. ადამის მაჯა უჭირავს, — თქვენ, მეგობარო, სიმშვიდე გჭირდებათ... — მერე ავადმყოფობის ისტორიაში რაღაცას ინიშნავს და მეორე საწოლისაკენ მიდის, — თქვენ კი ბატონო გარი, წონაში უნდა დაიკლოთ, ცოტა შიმშილი, ცოტა წამლები, სირბილი... ისე, ინფარქტი ხუმრობა არ გეგონოთ, ბატონო ჩემო, თანაც საშინელი კარდიოსკლეროზი, — პროფესორი ხელში ათამაშებს კარდიოგრამის მოწითალო ლენტს. ეს ფერი გარისათვის ტაბუდ ქცეულა, აკრძალვასავით გაისმის პროფესორის ხმაც, რომლის იქით ფეხს ვერ გადადგამს. როგორ დაავადდა... ამაზე სულაც არა ფიქრობდა მამა მწერალი. მართლაც, ინფარქტი ხუმრობა ხომ არაა. არადა, ასეთი დაიბადა, რა ქნას. მუცელოხერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხუთი თვე ვიწექი შიმშილის ინსტიტუტში, მაგრამ მეშველა რამე? არაფერიც არა. აქაც კიდევ შიმშილი, ბატონო...

ტაბუირებული ხორცის ლურთ ნაჭერს დასცქერს გარი-გარგანტუა, უახლოვდება, ალმართა კოტიტა საცეცები... ცაპ! შშშ!..

ობობამ შეწყვიტა ცახცახი. ქსელის კიდეზე გამოწურული და გამოხრული პეპელას ნარჩენი კოწიალობს, ოდნავ ირხევა სალამოს ნიავზე.

ასე იცის: შებინდებისას ნიავი დაიძვრის დიდი მდინარის ხეობის ყელიდან. ღამებნელში კი ქარად იქცევა: უბერავს და უბერავს. იქნევს ულრანას კენწეროებს, ხლართავს, ისმის ჭახჭახი და ჭრიალი. აქა-იქ ტოტიც ჩამოტყდება, მიწაზე დაენარცხება, დანაფოტდება. აიტალღება ულრანის ზედაპირი, აიქოჩრება. მარტო დაგვაჯული ჩირგვი ვერ იგრძნობს ქარის კოწოლებს, ოღონდ ეგაა: ულრანიდან ჩამოსხლეტილი ქარის ფრთა ოდნავ თუ შეუთამაშებს წვრილ ფოთლოვანს, მსუბუქად შეარხევს.

ადამი მობრუნდა. ხეობას გააყოლა თვალი. ბინდს ჩაეყლაპა დიდი მდინარის ხეობის ყელი. ბინდბუნდი იწვა თოვლეთის შემოგარეზე. სოფლის გზაზე გადადგა ნაბიჯი, მუხლებში რალაც ცივი სიმძიმე იგრძნო. დავილალეო, გაიფიქრა. ჩაიხარა, ღრმად ამოისუნთქა და გზაზე გავიდა. ნაცნობი მოსახვევები, ნაცნობი ქვები, კორომები. მიდიოდა თავდახრილი, ფიქრში ჩაყვინთული. ხარბად აკვირდებოდა გზას, თითქოს საკუთარ კვალს შლიდა, ანადგურებდა იმ გზაზე.

ჰორიზონტზე ეულად ჩამომდგარი ხეები მოჩანდა. მარტოხეები, დასალიერზე აშვერილი, გაბარჯღული... განდეგილი ხეები.

[illegible] დგანან ალპურ ფერდობებზე, მარტონი. თითქოს ტყეს გამოჰქცევიანო. პრეისტორიული ულრანის ნაშთები. ტყე ქამთასვლამ გადაიყოლა და ფერდობებს ეს ძლიერი, დროსთან მორკინალი გოლიათები შემორჩნენ. დგანან მარტონი. ნახირი ან ფარა თუ შეეხიზნება იმათ ჩრდილებს ცხელ დღეებში. ემჩნევა კიდეც: ჩლიქით მოთხრილი მიწა, გაშიშვლებული, დამსკდარი ფესვები...

ხანდახან ქორიც ესტუმრება. ბუდეს დაიდებს კენწეროზე: მოლამბავს, მოაკოჭობებს... ხან კი ჩხიკვები შეესევიან: გააქვთ დაბერილი, მაძღარი რკო.

სულ ახლოს ჩანჩქერი ჩამოდის: ჩამოძაბული ფრიალო ქანჩახებზე, ჩამოშლილა. თეთრადა ლაპლაპებს, თითქოს ბროლის ქვით მოფენილი ბილიკი იყოს, ცისთვის შეყუდებული. გრგვინავს, თქაფუნობს მუხების ასწლოვან მეხსიერებაში, იბრძვის, ძვლებს უშიშვლებს დედამიწას, გულ-მკერდს უგრილებს.

ცხელ, ხვატიან დღეებში ჩანჩქერისაკენ ელრიცებათ თავ-კისერი... მზის გადახრისას ნიავწანწალა ჩამოუქროლებს, მიელამუნება იმათ ფოთლებს, მალამოდ დაედება, ააშრიალებს, გამოათრევს შუადღის ძილიდან.

სისხამზე, ნამის ჩამოყრის დროს, ეული ხეები ბუბუნს იწყებენ. ღიღინებენ განთიადის საგალობელს. ესაა ჩუმი და ძალოვანი სიმღერა. ამათ შემოინახეს, ამათ შემორჩათ და სისხამზე ამოაქვთ მერქნის წრეებიდან, ფესვთა ლაბირინთებიდან.

მღერიან მარტოხელები. გაისმის ყრუ ბუბუნი, მიწის გულიდან წამოსული, ფოთლოვან ზედაპირზე რომ მიეონავს, ყელყელაობს.

მაგრამ ტყემდე ვერ აღწევს მათი ხმა. უსარგებლოა მათი ღიღინი, ტყისთვის უსმინარი. ეს უკლავთ გულს. გამოუსადეგარნი არიან. ეს ბოლმა უხერხავს ფესვებს, საყრდენს აცლის. და ისინიც, ბებერი ხეები, თითოთითოდ ჭახანით ეცემიან ფერდობებზე, სკდებიან, ნაფოტდებიან.

იმ ხეებს დაგამსგავსა ცხოვრებამ. აღარავის არგიხარ, ხელს ვერავის გა-

---

ჯარჯი ფხოველი
რამეთუ მიწა ხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწვდი. მარტო ხარ, მარტო — ულრანიდან გამოქცეული.

თითქოს სიზმარში შეაბიჯა ადამმა: აენთო ყრმობის კუნძულები, ნაცნობი ხეობები და მწვერვალები გაილანდა. ყველაფერი უცვლელადაა: მდინარე, ტყე, ტყის ნაპირები. ზემოთ მარტოხეები დგანან.

შენც მარტო ხარ. იმ გზაზე მიიქნევ მოკვეთილ მუხლებს, ოდესმე სირბილით რომ გამოგივლია.

24. ხეობაში სიბნელე გაიხიდა, გალუსკუმდა, შედედდა. დამალამდათ, გაიფიქრა და ნაბიჯს აუჩქარა. ღამის სოფელში ნათურები აკიაფდა. „იქ უნდა დაბრუნდე, მაგრამ იქაც უცხო ხარ. ალარავის ჰირდები... შენი თოვლეთი სულეთშია, ისინი, ვინც შენს ხსოვნას ამაგრებს, უკვე აღარ არაინ... ალარავინაა, რომ შენთან ჩამოჯდეს, ორი სიტყვა გადმოგიგდოს... შენთვის ალარავის სცალია... ორომტრიალშია გახვეული მთელი სოფელი. გასწრებისა და მოხვეჭის ჟინს შეუპყრია...“

ძალიან იმედი კი ჰქონდა, როცა აქეთ დაბრუნება გადაწყვიტა. იმ ხალხის იმედი ჰქონდა, ვინც მხოლოდ ხსოვნაშია — ზოგი სასაფლაოს გორზე წევს, ზოგის ასავალ-დასავალი ბურუსში იკარგება, სხვები მსოფლიოს გზებზე გაფანტულან, უცხო მიწაში ლაპლაპებს აქაური ძვალი, უცხო მიწას ანოყიერებს. „შენ ვილას დაეძებ, ან აქეთ რა გინდოდა, ყველანი ხომ შენთან არიან, შენს ხსოვნაში დააბიჯებენ... აქ კი სიმარტოვეს შემოეყარე, ესა ყოფილა შენი მდევარი, სიმარტოვემ გაგრიყა, დაგაჩიავა, ჯაგივით უსარგებლო ხარ — ჩრდილიც კი არა გაქვს, ცხელ დღეებში ვინმეს რომ მიუჩრდილო...“

თავბრუსხვევა იგრძნო, მუხლები უფრო დაუმძიმდა. ჩაჯდა. სოფლის ცეცხლოვანი კიაფი სადღაც გაქრა. სიბნელეში გაითქვიფა. „რა მემართება ეს ოხერი...“ თვალში კვლავ სინათლე ჩაუდგა. მზერა გზის ნაპირზე მოატარა. ტყისპირი შეიცნო. ახლოს ტოტებჩამოხეთქილი ხე შენიშნა. იქით გაიწია. ხის ძირას ვეება ორმოს დაელო პირი. ორმოდან ბუზღუნი და ვიშვიში ისმოდა. ჩაიხედა. ფსკერზე მაწანწალა ეგდო, ეგდო, კი არა, იჯდა. ადამი რომ დაინახა, წამოხდა.

— ვლადიმირ, შენა? — შარვალი ხელით ეჭირა, საშინელი სანახავი იყო.

— არა. მე სხვა ვარ, სასეირნოდ გამოვედი, ადამი მქვია, — უთხრა ადამმა. — ცოტა მუხლებმა მიღალატა და შემაგვიანდა სოფელში დაბრუნება. თავბრუც მესხმის ეს ოხერი... ძალზე მეცნობით, ნეტავ, საიდან? შევხვდით, ალბათ, სადმე არა? — თან გაიფიქრა, ამ მაწანწალას სად უნდა შევხვედროდით.

— რაღაც არ მახსოვს... თუმცა შეუძლებელი არაფერია. მამაჩემი სამუელ ბეკეტია იმისი პირმშო ვარ. ესტრაგონი მქვია...

ადამს ღიმილმა გადაუარა პირისახეზე. გაახსენდა.

— მერე, მანდ რატომ ჩახვედი?

— აქ ისე... ვლადიმირს ველოდები. თოკი უნდა მოიტანოს...

— უთოკოდაც გავალთ იოლას, აბა, ახლოს მოიწი. — ადამმა ხელი ჩაუწოდა, ესტრაგონი ორმოს ფსკერზე ჩაჯდა და ისე აუშვირა ორივე ხელი.

—ეგრე ვერ ამომწვდები, ადექი და ისე...

— რომ ავდგე, შარვალი უნდა დავიჭირო, ხელს ვერ გავითავისუფლებ... ჩამძვრება.

—ააა! მაშ მაცალე, რამეს მოვიფიქრებ... დიდი ხანია უცდი?

— კი, დიდი ხანია... ვლადიმირი ახლა წავიდა. გოდო კი — დიდი ხნის წინათ... ჯერაც არა ჩანს, მილიონი წელი გავიდა მას აქეთ... ვინმე შეხვდებოდა და შეიქცევდა. ოხერი ვინმეა. ვერავის ენდობი ჩვენს დროში...

— რაკი ასეა, თოკს მე მოგიტან... მალე მოვალ, აგერაა სოფელი, ხელის გაწვდენაზე. იქნებ კიბეც მოვიძიო სადმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, თოკი მირჩევნია. ვინ იცის, კიდევ რაში გამომადგეს...

ადამმა სოფელს გახედა. სოფლის ლამეული ნათება კვლავ გაკრთა, ბურუსით მოსილი არემარეც კვლავ შეიცნო. „მოჩვენებები დამეწყო, ვიცოდე მაინც, რა მემართება...“ გზას დაადგა, ნელი, მოზომილი ნაბიჯით...

და უცებ: მოულოდნელმა, მშანთავმა ტკივილმა მოურღვია პირისახე, თითქოს ეკალი შეესოო — ტკივილი ტერფიდან დაიწყო, მერე ზემოთ და ზემოთ წამოვიდა, გაჩხვერა სხეული და გულთან დაგუბდა, გაინასკვა.

ბილიკზე ჩაიჩოქა. ტკივილმა გაარინდა, გაუშეშა მთელი სხეული. დაკარგა მიწამყარის შეგრძნება. გარეშემოში დაწოლილი ბურუსი თვალებში ჩაეფინა...

და როცა კვლავ დაუბრუნდა თვალის სინათლე და მიწაც იგრძნო, კვლავ სოფლისაკენ გაწვადა მზერა, მაგრამ ძალაწართმეულმა თვალმა სოფელს ვერ უწია, მზერა ბინდბუნდში გარინდულ ხეებს წამოედო და გაქვავდა. გაქვავებულმა მზერამ დალანდა, რომ ერთი ხე აიძრა, აცახცახდა და ადამისაკენ გამოემართა. ადამმა თვალი მოარიდა. „ისევ მოჩვენება...“ და როცა თავი ასწია, მწითურ კაცს მოჰკრა თვალი. კაცი უახლოვდებოდა, ორ ნაბიჯზე იყო. უზარმაზარ ტანზე ხავსი ჰქონდა გამოყრილი, ნაცრისფერი, ჩამოძენძილი ხავსი.

მწითურმა გაუღიმა. მერე ბაგეები აუცახცახდა და ადამის სმენას მისწვდა ყრუ ხმა, თითქოს მიწისქვეშეთიდან წამოდიან?

— საით გაგიწევია ამ სიბნელეში?

— არსად... აქა ვზივარ, ხომ ხედავ....

— ეს ხალხი ვინლაა, შენს უკან რომ მოდიან?

ადამმა მიიხედა: ბინდში გაარჩია ნაცნობი სახეები. სუყველანი აქ არიან — პოლოლიკი, ბელელა, გიორგელა, მამალა, მზისო, ჯუდა გარი-გარგანგანტუა, თ. ექიმი... ადამის კვალს მოსდევენ. სულ ახლოს არიან.

— ესენი ჩემი ხალხია, ჩემი მოდგმა...

მწითურის პირისახე დაიძაბა, დამანჭა, თითქოს ვერაფრით აეხსნა, რაც ადამმა უთხრა. როგორ უნდა ყოფილიყო ეს ჰარმაგი ხალხი მისი შთამომავლობა, მისი მოდგმა და კვლავ ჩაეკითხა.

— რა შეგმთხვევია, მწუხარებას რომ დაუსერავს შენი შუბლი. ჰმუნვის ნაპრალები რატომ გაგჩენია, ჰა?! — პათეტიკური ტონი გამოერია მწითურს ხმაში.

— როგორ გითხრა... გრძელი ამბავია... ცოდვილი ვარ. სამოთხიდან გაძევებული. უთვალავი წელიწადია აქა ვარ და ეგენი ჩემკენ მოდიან. ხომ ხედავ, ჯერაც ვერ მოაღწიეს... გრძელია ჩემი ამბავი. ადამი მქვია. ეგენიც ცოდვილები არიან. გაძევებულები. თავის ხვედრს მე მაბრალებენ, მეც და ევასაც, — ადამს მოეჩვენა, რომ დიდ საიდუმლოს უმხელდა, დიდი ხნის უთქმელ სიმართლეს ამბობდა და შვება იგრძნო...

— ევა ვინლაა?

— ჩემი მეუღლეა, ჩემი კანონიერი ცოლი, თუმცა ეხლა უკვე ცოლყოფილი ეთქმის...

მწითური შებრუნდა, ხელები უმწეოდ გაასავსავა, პირისახეზე ღრმა ფიქრის კვალი აღებექდა, თითქოს საკუთარ გულ-გვამს ჩააშტერდა, საკუთარ ფიქრში ჩაყვინთა. გაშლილ ხელისგულებზე წითელი ლაქები გამოუჩნდა, თითქოს სისხლი მოწვეთავსო. ადამმა კიდევ შეათვალიერა. ჩამოძენძილი მოსასხამი გადალელოდა და დახავსულ ნეკნებს შორის ალისფერი ჰრილობა აჩნდა, ჯერაც პირშეუკვრელი, სისხლით მოთხვრილი...

მერე მწითური თითქოს ნისლის ქულად იქცა, ბინდბუნდში აირია, ადამმა ცხადში ამოყვინთა. კვლავ ტკივილს მიაყურადა.

ტკივილი შეიკრა, გულზე შემოეხვია.

---

**ჯაჯი ფხოველი**
რამეთუ მიწა ხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ სოფლამდე მივაღწიოო, გაიფიქრა. ამ ფიქრს ჩაებღაუჭა, წამოდგომა სცადა. წამოიმართა.

შედედებულ ღამეში თითქოს ნათლის თვალი გაკრთა, თითქოს ციურმა შუქმა გადასხიპა წყვდიადის კალთები და წამით ნათელი გადაეფინა გარემემოს. და ამ ბნელის გულში დაღვრილ სინათლეში ადამმა თვალი ჰკიდა გაჩახჩახებულ კუთხეს, თითქოს ნაცნობი, შეჩვეული და სანეტარო ალაგი დაუდგა თვალწინ. გამოისახა წარმტაცი ყვავილეთი, ფეროვანი, დახუნძლული ბაღი, ნეტარი მხარე...

იქით გადადგა ნაბიჯი. ყველაფერი ნაცნობი იყო. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ოდესღაც უკვე გამოევლოს ეს გზა, თითქოს იმავე გზით უკან ბრუნდებოდა. ნაცნობი ჩირგვნარი, ტყე, ბილიკი... დახუნძლული მტილოვანი, მოყელყელავე ყვავილნარი...

ხელგაწვდილი მიაბიჯებდა, ნეტარებით გაუნათდა სხეული. აჰა: საცაა ბაღის კიდესაც დაადგამს ფეხს, შეეხება ყვავილოვანის ოქროვან წამწამებს. ცოტაც და... ადამი გაქვავდა: ტევრის კიდესთან, იქ, სადაც ბილიკი უხვევდა და ბაღის ჭიშკარში გადიოდა, მრისხანედ იდგა ფრთოსანი ქერუბიმი, ხელთ ქეიბური ეპყრა და ადამს უმიზნებდა.

შიშმა აბურძგლა. სინანულის ზვირთქაფი გადაევლო გულმკერდზე. სხვა დროს ალბათ წყნარად მოიაზრებდა, წინ წასულიყო, თუ უკან მიბრუნება სჯობდა, მაგრამ ახლა, ტკივილით გაოგნებული, მხოლოდ გაჩახჩახებული ბაღისაკენ მიმავალ ბილიკს ხედავდა, მხოლოდ ყვავილეთის კიდეს ამჩნევდა და კიდეზე გადმომდგარ ქერუბიმის ლანდს, გულცივად რომ იღებდა მიზანში... სხვა ყველაფერი ბინდში იყო გათქვეფილი, გამქრალი...

შიშის კედელს მიაწვა ადამი, გადაანგრია. ჭიშკრისაკენ დაიძრა მძიმედ, დანდობილი ნაბიჯით... ის იყო, ზღურბლზე უნდა დაედგა ფეხი, რომ ისარმა გაიშხუილა, მკერდში ეძგერა და ჰაერში აატრიალა. წამით კიდევ გაინათლისა მოჩახჩახე ყვავილეთი, დალანდა ხეთა ფეროვანი წვეროკინები და მორჩა: პირქვე დაასკდა გოროხიან მიწას...

თავზე გადმოემხო გაუკვალავი ღამე, თითქოს ერთ უზარამაზარ ლოდად იქცა მთელი სამყარო, უძრავ, უსაშველოდ მძიმე ლოდად და ზედ დააწვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შაბურა არაბული

●

მიარხეინობს არაგვი,
„სხვა მდინარეებს არა ჰგავს“,
„თერგი რბის, თერგი ღრიალებს“.
მაგრამ რამ გააარაგვა...
სხვას არ დაირქმევს არაგვი
არა სახელს და არა გვარს...

## გიგიტა

ბიძაის კაცო, როგორა ხარო,
მეტყოდა ხოლმე გიგიტა ბიძა
და ჭრილობებით აჭრელებულ თავზე
დაკოჟრილ ხელს გადაისვამდა...

ეს გამიხარდეთ იმედაის ნახმლევი
მჭირსო,
ეს თამარისძეთ აბიკაისა,
ეს ბაბურაულთ აკიაისაო...

მისი ნახმლევიც მრავალსა სჭირდა:
სნოელი ვარდა
(ხევის ბატონის შიოლას
შთამომავალი
ხეობაში ვერვინ ხელს რომ ვერ
უბრუნებდა)
გიგიტამ დაჭრა და დაარწმუნა,
რომ მჯობნის მჯობნი არ დაილევა...

უმცროსი ვიყავი და
ძმებიც მათამაშებდნენ,
შენ დაჰკარი და
დრამას ჩვენ მივცემთო...

რა უნდა მექნა,
ისეთი დრო იყო,
თუ არ შუღლობდი,
კაცად არვინ ჩაგაგდებდაო...

●

საგზლად ხმიადი ჩამიდეთ
ღადარში გამომცხვარი...
მწყემსი ვარ — ფარას მივყვები,
ფეხმოუკიდარ ფერდობებს
კბილით ჰკიდია ცხვარი...

დაცულლუტობენ ციკნები,
ციკნების ცქერით ვერთობი,
მწიფს ჟოლო და მოცხარი...
ჩვეულებრივი მიწაა,
არც ცაა საოცარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ვერავინ ვნახე და ვეფიცხები
ჩემი ნერვებით დანთებულ კოცონს.
შევყურებ ცას და დავყურებ მიწას.
ვილაცა მძულს და ვილაცა მომწონს.
ვმღერი და ვტირი თავდავიწყებით,
მხოლოდ სიკვდილის იმედით
ვცოცხლობ...

ალაგ თოვლია, ალაგ-ალაგ მზე,
ხელს ვართმევ ზოგჯერ სულით
საჭურისს...
ლექსებს ვწერ ზოგჯერ და დიდ
ქალაქზე
ათასი ნერვით ვარ მიჯაჭვული...

## სიზმარ-ცხადი

ხევისბერი ხევსურულ ხატობაში
დანას ყელში უყრის კრავს.

მე კი ვფიქრობ: კრავის სახით
ხორცშესხმულ სათნოებას კლავს...

პურზე ჭიქას პირს წაუქცევს
არაყიანს,
წმინდა სისხლით ხატის ქვებსა
რწყავს...

მზე იცინის მედღეობეთ თვალებში,
ქვაზე — თასი, თასში ლუდი დგას...

როგორც მსურდა, ისე ვერც მე ვერ
ვიცხოვრე
და წარსულის მოგონება მკლავს...
როდის, როდის ავაშენებ
სვეტიცხოველს,
როდის, როდის მომაჭრიან მკლავს?..

●

რატომ მეძახი, რაა მპირდები გარეთ, ეალაქო,
მე ჩემთვის ვზივარ და წიგნს ვკითხულობ...

ვათვალიერებ თეთრ კედლებზე
მხოლოდ ჩემთვის ხილულ სურათებს:
ჩემს დარიალებს,
ჩემს პარიზებს,
ჩემს ხევსურეთებს...
კაი კი იყო, ავტოებო ფერად-ფერადო,
მუსიკალური სიგნალებით
ჩემ ფიქრებში ხელს არ ურევდეთ...

რატომ მეძახი, რას მპირდები გარეთ, ქალაქო?
რა ზეიმზე მეპატიჟები?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ადეიშვილი

# ალალი

მისთვის გაწყრა ღმერთი და სახელოვნად ვერ მოევლინა ამ ქვეყანას. იყო თავისთვის, კენჭს კენჭზე არ დაადებდა, დღენიადაგ ლაჟვარდს შეჰყურებდა და მიმინოებს ითვლიდა. რომ გეკითხა, ახლა ჩვენს ქალაქში რამდენი მიმინო ირაობსო? გეტყოდა, ასე, ასამდეო. თუ ვისმეს ეჭვი შეეპარებოდა, ამდენი არ იქნებაო, იგი ბრაზით აილეწებოდა და თავის სიტყვის დასტურად ამ ქალაქის ფრინველთა მემატიანის ვანო პაატაშვილის დღიურებიდან ამოწერილ ცნობებს გააცხადებდა: რას ამბობ, წინათ, ჩპყ წელსა, ამ ჩვენს ქალაქში ყოველდღე ხუთასი მიმინო დაყიპყიპებდა და ახლა ასი როგორ არ იქნებაო?! ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, მაგრამ ერთ რამეზე ახირდა, მამის სახელით მომმართეთ აი, ასე: დავით სერგეის ძევო.

ხალხს მამის სახელის გარდა, არაფერს სთხოვდა და ქირქილ-ქირქილის სიგელ-გუჯარიც გაუთავისა. კაცია და გუნება... როცა სახეზე ნათელი ეფინა, უნდა მიმხვდარიყავი, რომ ვიღაცამ იგი დავით სერგეიჩად მოიხსენია...

მზე რომ ამოდოლაბდებოდა და დავითის დამლილულ სულს აათრთოლებდა, მისი თვალები ცის ტატნობს ზოლავდა, თვლიდა გეზელ მიმინოებს, მერე კი, როცა ქალაქი ელექტროგიტარასავით აყლარუნდებოდა, დავით სერგეის ძე ბაზრისკენ მიფარფატებდა. მოფლააუნე ფეხაალმლიდან დროდადრო მოტიტვლებული ფორთოხლისფერი ქუსლი ამოუვარდებოდა და ვაი-ვაგლახით ძლივს ჩაჩურთავდა უკან.

დავით სერგეის იე ბაზარში წყლით სავსე ლიტრიანი ბოთლით შევიდოდა. დახლზე ჩამორიგებულ სხვადასხვა ტევადობის არყის ბოთლებს აუვლ-ჩაუვლიდა, მეარყეებს მოწკურული თვალებით შესცქეროდა, ეძებდა გამოუცდელს, ანუ მისი თქმით, ხამს და როცა აღმოაჩენდა, თვალს თვალში გაუყრიდა, უტიფრად მიაჩერდებოდა, არყის ბოთლს ხელში აიღებდა და ერთი ჯანიანად შეანჯღრევდა. მერე კარგა ხანს ითვლიდა არყისგან მოგდებულ ჯაჭვის რგოლებს. როცა დავითი არყიან ბოთლს ხელებში ჩამიმარწუხებდა, გამყიდველი შეჰკივლებდა:

—რა გინდა მაგ არყისგან, მზეაცხუნებულმა გველმა ხომ არ დაგსუნთქა ან იქნება ჭინკებმა დაგცადეს და გონს ველარ მოდიხარ, მომშორდი, სადა მაქვს შენი ექიმობის თავი...

— ჩემო კუდრაჭავ, ისე კარგად მიექიმებ, რომა...

ამ სიტყვების გაგონებაზე არყის გამყიდველი დედაკაცი გაუთავებელ ვიშვიშს მოჰყვებოდა:

— რა უნდა ჩემგან, ქა, რომელი ხვითო გოგო მე მნახა, კუდრაჭათი რომ მეტოტება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კუდრაჭა, არაყა ჰყიდი? — არ ეხსნებოდა დავითი დედაკაცს.

— არა. შენი ბურძგლიანი თავ-პირის საცქერლად ვარ მოსული ამ დილაცვრიანზე!

— ვაა, ერთი შეხედეთ, ჩვენს ქალაქს მფრინავი თეფში რა დღით დამჯილდებია თავს!.. — დავითი მოწკურული თვალებით ცას მიაჩერდებოდა.

ამ სიცრუეს ისეთი არტისტული ხელოვნებით ასახიერებდა, რომ არყის გამყიდველი თვალებით ცას შეაცივდებოდა, ამით ისარგებლებდა დავითი და არყის ბოთლს უბეში ჩაიყუდებდა. არყის გამყიდველი ქალი კი, როცა ცაში ღრუბლებსაც ვერ დალანდავდა, თავს ტუქსავდა:

— ამ ბაზრის მაშხალამ როგორ შემაცდინა! — და როცა არყის ბოთლსაც მოინაკლისებდა, ისეთ კივილს გააბამდა, დაიჭით არყის ქურდიო, რომ ყველას ყურები ეწვოდა,

დავითი დასაძრომ ხვრელს რომ ვეღარ იპოვიდა, მკივან მეარყესთან მიცუხცუხდებოდა და მიუგურგულებდა:

— ქალო, მე ქურდი არა ვარ, მიმინო ვარ, მიმინო! მიმინო კი მტაცებელი, ანუ მომპოვებელი ფრინველია! — მერე დაუნჯებულ ხალხს თვალს შეავლებდა და თავის მართლებას იწყებდა: — მიმინო ვარ და ხელზე ამყვა, ამ სოფლის ტყაჭმა კი მთელი ბაზარი აიკლო წიოკობით, — აჰა, შენი არაყი! — და არყის ბოთლის მაგიერ დახლზე წყლიან ბოთლს დადგამდა, მერე ერთი კვირა ბაზარს აღარ ეკარებოდა.

დავით სერგეის ძე არაყს მარტოდმარტო გადაყლურწავდა, არავის უწილადებდა, ეგლა მაკლია, რომ ჩემი ნაჯაფარ-ნაშრომი ვიღაც მაწაუკას ჩავაცეცხლოო! აი, ასეთი წუწურაქი გახლავთ ჩვენი ლოთბაზარა.

ერთხელაც, როცა დავითი ბაზარში შევიდა და დახლზე ჩამომდგარ არყის ბოთლებს ჩამოუქროლა, ბაზართუფროსმა, ანუ ბაზარნიკმა როგორც მას ეძახდნენ, ყურში ჩაუყრანტალა:

— იფრთხილე, დავით სერგეიჩ! რაიონში მილიციის ახალი უფროსი დანიშნეს. ცოტა იფრთხილე, მე ხომ თვალებსა ვხუჭავ!..

დავითმა თავი გაიქნია, თითქო ბაზართუფროსის სიტყვებს ყურიდან იბერტყავსო, მერე დამცინავი ღიმილი ჩამოინილაბა და „მიმინოდ“ იქცა.

— კანონის სახელით დაკავებული ხარ, ბოლო მოელო შენს სამარცხვინო თარეშს, აბა, ჩქარა, ბოთლი მომაწოდე! — ბაზრის კარის ზღურბლთან ქეჩოში სტაცა ხელი უბნის რწმუნებულმა.

დავითს ხალხი შემოეალყა, არყიპარიას არ უყვარდა სხვათა მოწმეობით რომ ჰკიცხავდნენ, თავი მიმინო ეგონა და შემოჯარული ასარ-ბაზარა ხალხი გულის ფიცარზე არ ეხატა, გაფრენა უნდოდა, ამიტომაც თვალები ლაჟვარდს მიაპყრო.

— ამისთანები არიან, ქალაქს რომ არცხვენენ, შორს ჩვენგან არყიპარიები! — მხარი დაუჭირა ერთმა ხანში შესულმა კაცმა მილიციის რწმუნებულს, რომელიც ღრიჭოდ დარჩენილ ბაზრის კარს ისე აჰკვროდა, ერთი თვალის შევლებით კაცი იფიქრებდა, კარის ამონაზარდიაო.

— მილიციას შენი დახმარება არა სჭირდება, გაიარე, თუ სანახაობა გიტაცებს, ამასთან საქმეს მოვრჩები და შენთვის გედების ცეკვას შევასრულებ! — თავაუწევლად ხითხითებდა დავითი.

— მე ვიცი, რა გედების ცეკვასაც შეასრულებ, რა მიმინოცა ხარ, ისეთ გალიაში უნდა შეგაგოგმანონ! — მილიციის რწმუნებულმა დავით სერგეიჩს ქეჩოში წაქისტა.

— მაინც რაზე მიჭერ, ლადიკა უფროსო?

— იადონი ხარ და ოქროს გალიაში უნდა შეგაფრინონ, რომ ბუმბული არ გაგაცალონ, — უხსნიდა მილიციის რწმუნებული.

— ვერ გავიგე შენი ქათინაურები! რაზე მიჭერ?

— რაზე და, მთელი ქალაქი აალაპარაკე, არაყს იპარავს, ჩვენი რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრის პრესტიჟს ლახავსო. რა, საკმარისი არ არის?!

— ვაჰ, მთელი ჩემი სიცოცხლე სულ ამისი მეშინოდა! — თავზე ხელი შემოიკრა დავითმა.

— წამოდი, წამოდი! — ერთხელ კიდევ წაქისტა დავითი მილიციის რწმუნებულმა.

— იქნება ერთხელ კიდევ გეპატიებინათ ამ ჭარმაგი კაცისათვის! — ჩაერია მხრებახვეტილი ახალგაზრდა.

— მაინც, რატომ უნდა ვაპატიო? — ჰკითხა მილიციის რწმუნებულმა.

—ჯერ ერთი, ჭარმაგია და ციხე ვეღარ გამოასწორებს, მეორეც, ეს იქ, სადაც ეპატიჟებით, სულ გადაგირევთ ახალგაზრდა დამნაშავეებს!

— მთელი ორმოცი წელიწადია დავდევთ და ფაქტზე ძლივს წავასწარით, შენ კი გინდა, ვაპატიო; ან რომელი პროკურორი ხარ, ჩვენს საქმეში რომ ერევი?!

— მე იმიტომ ვერევი, რომ ქურდობა ფუნქციისა და არგუმენტისაგან შედგება, ანუ სუბიექტისა და ობიექტისაგან. არაყი ფუნქციაა, ეს ჭარმაგი კი არგუმენტია!

— არგუმენტი კი არა, ქურდია, არყიპარია!

— მე ქურდი არა ვარ, მიმინო ვარ!

მხრებახვეტილი ახალგაზრდა წამიერ დადუმდა, მერე კვლავ განაგრძო:

— ჰოდა, იმას ვამბობდი, არაყი ფუნქციაა, არგუმენტად კი ეს ჭარმაგი გვესახება. არგუმენტს სჭირდება ფუნქცია, ანუ ჭარმაგს — არაყი, მაგრამ არ არსებობს ტოლობა, ესე იგი, ფული, სამაგიეროდ არსებობს ფულის ექვივალენტი — თვალთმაქცობა-მოჯადოება, რომელსაც ეს ჭარმაგი კაცი ფლობს და ამ ხელოვნებით ცხოვრობს! ამხანაგებო, თვალთმაქცობა თვალმაქცობითვე აშკარავდება. თქვენც თვალთმაქცობით და არაჭეშმარიტი გზებით დანაშაული გახსენით, თუმცა ბაზარში სწორედ ამნაირი ხერხით უნდა გაიხსნას დანაშაული!..

— ამას არ უყურებთ, არყის ქურდზე ენა როგორ აიკაჭკაჭა! შენი გაგი-ჟებალა უნდა ჯამაათს?! აბა, დავით სერგეიჩ! გამიძეხი წინ, სანამ...

— ლადიკა უფროსო, რაღა დროს ჩემი ოთხი კედელია, ვერა მხედავ, ოთხი ფიცარი რომ მინდა?!

— მიდი, მიდი!

— ლადიკა უფროსო! იქიდან კოდნას ვერ გამოვიტან! იქ რა უნდა ვისწავლო?!

— ისწავლი სიბერემდეო, ხომ გაგიგია?! — ჩაიხითხითა მილიციის რწმუნებულმა.

— ლადიკა უფროსო, შენ ამ ტურტლიან ბაზარში კი არ უნდა დასუნსულებდე, ლექციებს უნდა კითხულობდე უნივერსიტეტში!

დავითმა ფეხისგული გულმოდგინედ მოიფხანა და ქირქილით ჩაილაპარაკა:

— ზედ ფეხისგულზე გამომივიდა ფრჩხილი, ეგეთი რამე გაგიგიათ? დროდადრო ამომდის ხოლმე და აი, ახლა თუ არ მოვიშორე, გული გამისკდება, დღეს ვერ წამოვალ შენთან, საპატიო მიზეზი მაქვს!

— ფეხისგულზე რქებიც რომ გამოგივიდეს, მაინც უნდა მიგიყვანო ჩვენს უფროსთან.

— დამეხსენ, ხალხთან მინდა ვიყო!

— ენა ჩაიგდე მაგ ამობუგულ მუცელში, ვინ მოგცა უფლება, რომ ხალხის გვერდით დადგე, შე მახინჯო, შენა!

მილიციის რწმუნებულმა თავისი ძლიერი ცერა თითი დავითს გაუპარსავ ნიკაპზე ამოსდო და კინაღამ შაურიანივით ჰაერში ამოაბზრიალა.

— ვინაა მახინჯი? — აიფოფრა დავითი, — მე თავის დროზე ქვის-მთლელი დათუკიშვილი დედიშობილა მაქანდაკებდა! კონჩხომონჩხრო ტანი რომ მქონოდა, ოსტატი ჩემი გულისათვის ქვას არ გააფუჭებდა.

— ლადიკა უფროსო, გაუშვი ეგ არყის წურბელა. დედაშვილობას გაფიცებ! ახლა გამახსენდა, ეს კაცი ჩემი

ალალი
ავთანდილ ადეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმრის შეგობარი რომაა. რა მოხდა, ხელზე აჰყვა ეს ჯანდასაწყევი არაყი, ჩემი არაყია! ამის გულისთვის ნუ დაიჭერთ, მეც ცოდვაში ნუ ჩამაყენებთ, ერთი ლიტრი არყისთვის მზის სხივთა ციაგის ცქერას ნუ მოუშლით! — თვალაწყლიანებული, ხილაბანდწაკრული დედაკაცი კინაღამ მუხლებში ჩაუვარდა მილიციის რწმუნებულს.

დავითი აბლაკივით იდგა, უხმო ცრემლში გაჰყინოდა გიშერივით თვალები.

— ლადიკა უფროსო, აპატიე!

— აპატიე!

— აპატიე!..

— ეგე, როგორც უნდა, ისე მოგექცეს ეს ჯამაათი! მე წავედი. ხალხმა აგხსნა უნამუსობის ბორკილი და ქუდიც მაგან დაგახუროს! მე რა ვიცი, იქნება ატარო! — უბნის რწმუნებულმა ხელი ჩაიქნია და დაუნჯებულ ხალხს გაერიდა.

— დავით, ლამდენი წლიცა ხარ? — ყასაბმა დინგომ ენა განგებ მოიჩლიქა.

— შენ რომ პირველად ერთი კილო ხორცის ნაცვლად რვაასი გრამი ამიწონე, ოცდახუთი წლისა ვიკავი. მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა! — ენა მოილევედა დავითმაც.

ხალხი დავითის ნათქვამზე ახითხითდა, არყიპარიამ ამით ისარგებლა და იქაურობას გაერიდა. მას მხრებახვეტილი ახალგაზრდა დაემგზავრა.

გზად პირაბოლმილი ბაზრის კაცები ეჭვინტებოდნენ და შეკითხვით ტვინს უჩხრეკდნენ.

— ცხოვრების მიმინოვ, რამდენჯაჭვიანი არაყი აითვისე დღესათვის?

— მიდით, საქმე ნახეთ. ვერ მატყობთ, სულში ნაკვერცხლები რომ მილაღლადებს! მიმინო ვარ და ხალხს ქურდი ვგონივარ! სად გაგონილა, რომ მიმინოს ბოთლი დაუნოძროს?! რა ჯამაათი მოაბიჯებს ამ დუნიაზე, მარტო იმაზე ჭკუაკოლოფობენ, როგორმე ზარნაშოსავით ჩავჩხავლოთ, აგაგულზარიანონ და სხვისი უმსგავსობით თავისი სიმახინჯე გაილამაზონ! არა, იქნება ვცდები? — შეეკითხა მხრებახვეტილ კაცს. მერე გაამხნევა: — ჰა, ნუ გეხათრება! — და ენა კვლავ მოილვედ-მოიქნია, — მე ის კაცი არა ვარ, თუ ქვებუდანობას გამიგებენ, პირკატანაცემმა ტანზე ყველაფერი შემოვიხიო, ეს როგორ გამიბედეთო! თუ კაცი ხარ, მითხარი, მართლა შეგეცოდე, თუ იმ ხალხივით, საკუთარი თავის წარმოჩენისათვის სიკეთე აიზურგე მაგ მხრებზე?! აი, იმ ხალხს რომ უყურებ, ერთმანეთი მასხარად ასაგდებად უნდათ, განა არ ვიცი, რა ტაფაზეც იხრაკებიან, ისიც ვიცი, რომ ამ ცხოვრების ბეღურები არიან, მეც შემეძლო ბეღურასავით ჟივჟივი, მაგრამ მიმინოს ყიპყიპი ვარჩიე! გინახავს მიმინო როგორ იტაცებს ჭინჭრაქას?.. ეს დიდი სანახაობაა! როგორც კი მიმინო ჯაგნარში ჭინჭრაქას დალანდავს, თვალები აენთება, საიდან ცაზე აიწევა, ლაჟვარდს შეაფრთიანებს, ცაში გაშეშდება, თვალხედვას გაეპარება, კაცი იფიქრებს, ცამ თუ ჩაყლაპაო, მერე კი გაიგებ გაკვეთილი ჰაერის შხუილს, ჭინჭრაქას აჭივჭივებას და ციდან გადმოფრიალებულ ჭინჭრაქას ბუმბულს დაინახავ! ჭინჭრაქაც საცოდავია, მაგრამ მიმინო მიმინოა! ერთხელ ჩემს თავს შევეკითხე, მიმინო რითი ავდება-მეთქი და ალოომ მიკარნახა: ეკალბარდებში ჯოჯო-ხვლიკებისა და ტურა-მელას კერძი ხდებაო.

დავითი შეჩერდა, ოკრობოკრო თითებით ფეხიაგული მოიფხანა.

— მართლა გაქვს ფეხიაგულზე ფრჩხილი ამოზრდილი? — ჰკითხა ტანახვეტილმა ახალგაზრდამ.

— ბაზრის ხალხს სალაპარაკო მიუგდე, თორემ ფრჩხილმა იცის, სად უნდა ამოიზარდოს! თუ კაცი ხარ, მიპასუხე, მართლა ქურდი გგონივარ? ჰერი, ჰა! მე როგორ მოვიპარავ! მიმინო ვარ!.. იცი, ადრე ამ ქალაქში რამდენი მიმინო დაფრინავდა? ეჰ, ნეტავი ვიცოდე, რომელ კაზე ირაობენ... მე თუ მკითხავ, მიმინო და ქორი ცას უხდება! აბა, ყვავი რა სალაყვარდო ფრინველია, ცასა ქუფრავს! აი, ყვავი, მართლა ქურდია, კაკლის ხიდან ჩამობრონწილს მოი-

ნისკარტებს და მიფარფატებს, მიმინო კი სულ სხვაა!..

— გინდა მიმინო მოგიყვანო? — ჰკითხა მხრებახვეტილმა ახალგაზრდამ.

— ეჰ, ნეტავი ამ ცერზე დამჯდარი ვნახო და მერე თუ გინდა, ყვავების ლეშად ვიქცე.

— სამეგრელოდან ჩამოგიყვან, ახლა კი ნახვამდის! — დაემშვიდობა მხრებახვეტილი.

— მოიცა, სახლამდე მიმაცილე, შენს გვერდით რომ მოვდივარ, ხალხი ქილიკს ველარ მიბედავს, უწმაწური შეკითხვებითაც ვერ მიჟუებენ ყურთასმენას, შენი მხრების ტორტმანი ბაზრის გალლეტილებს ამუნჯებს, თორემ აქამდე მათი დაცინვისაგან ნაქარალ ხესავით ვიდგებოდი შუაგულ ბაზარში.

გზაშესაყართან მრგვალი, თალოვანი სახლი რამდენიმე ქუჩას სალტესავით კრავდა. დავითი სწორედ ამ სახლთან შეჩერდა, ასფალტის პირზე მავთულის ბადეაკრულ ფანჯარასთან ჩაიმუხლა, ფანჯრიდან მიწურში გადაიხედა. წყვდიადს ეპყრა ყოველივე. დავითმა რკინის ბადურაში სალოკი თითი გააძვრინა, შუშას უწვდინა და წკიპურტი დააყარა. ტანარხეული, მხრებახვეტილი კაცი გაოგნებული მისჩერებოდა დავითს და საგონებელში იყო ჩავარდნილი, ამ კუნაპეტში ნეტავი ვის უხმობსო. დავითმა კაკუნი მაშინ შეწყვიტა, როცა მიწურის სარკმელთან ორი წყვილი თვალი აკვესდა, მერე ფანჯარაში მკრთალად გამოჩნდა წვერაეკლილი ორმოც წელს მიღწეული კაცის თავპირი.

— კოლა, რამდენი გიკლია გამოსვლას? — შეეკითხა დავითი.

— ხუთი დღე! — სიტყვებმა სიბნელიდან გამოაღწია.

— ამნისტია არ გეხება? — ხითხითებდა დავითი.

— არა, არა-მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა?!

— შეწყნარებასაც არ მიიღებ? — ქირქილებდა დავითი.

— არა, არა! — სიტყვები სიბნელეში ჩაინთქა.

— ვერაფერი გამიგია, რა ხდება? — იკითხა მხრებახვეტილმა კაცმა.

— არაფერია აქ გაუგებარი, ამ კაცს ჩაჯექ კოლას ეძახიან, საკუთარი დილეგი აქვს, და, როცა უნდა, მაშინ ჩაჯდება, ზის და ზის...

—კი მაგრამ, რატომ, რისთვის?

— აი, მაგალითად, თუ რაიმე ავხორცულს ან უსამართლოს გულში გაივლებს, პროკურორიც და მოსამართლეც თვითონვე არის, ადგება და თავს დილეგში ჩაიგდებს, ჩაჯექ კოლასთვის ვექილი არ არსებობს!

— ეს კაცი საღ ჭკუაზე არ უნდა იყოს!

— ეჰ, რა ვიცი, არავის ერჩის და, როცა „სასჯელს“ მოიხდის, სოფლიდან სოფლად კალატოზებს დაჰყვება და მორჩილად ემსახურება ხალხს, კოლას მუყაითობას ზარმაცმა რომ უყუროს, ისიც გაყოჩაღდება.

— იქნება კოლამ თავისთან შეგვიშვას, ერთი სული მაქვს გავიცნო!

— კი მაგრამ, რა ვუთხრა, ვის უნდა შენი გაცნობა-მეთქი.

— თორნიკე ბენდუქიძესთქო.

დავითს აღარაფერი უკითხია. წამახვილებული ნიკაპი აჯაგრულ მკერდში ჩარგო და ქიშკრისკენ დაიძრა, თორნიკეც მიჰყვა. მოტალახებული ეზო როცა გაიარეს, მათ საპირისპიროდ ძაღლი გამოყეფდა, დავითმა ერთი შეუწრუწუნა და ძაღლს კუდიააქიცინებინა. ჩაჯექ კოლამ ეს ნამდვილი ქართული ჯიშის ძაღლი ერთი კვირის მუშაობის საფასურად მიიღო თუში მეცხვარისგან, იმ ვარაუდით, რომ როცა კოლა თავის სანანობელში ჩაჯდებოდა, ძაღლს ერთგულად ედარაჯა, რათა კოლა გარეთ ვერ გამოსულიყო.

ძაღლი პირველ ხანობას ჩაჯექ კოლას გომურს დალურსული უდარაჯებდა, მერე კი, როცა მიხვდა, რომ ჩაჯექ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლა მისი მარჩენალი, ლუკმის მბოძებელი იყო, საკნის კარს აღარ უქაქანებდა. ძაღლის ამგვარ „პატივისცემაზე“ ჩაჯექ კოლა უარს ამბობდა, მისხალ-მისხალ იხდიდა „სასჯელს“.

— კოლა, გახსენ კარი! — შესძახა დავითმა.

— ჯერ დრო არ არის! — გომურიდან გამობუყბუყდა კოლას ხმა.

— გააღე კარი, ამინისტია შეგეხო! — თავისთვის კუჰკუჰებდა დავითი.

ანაზდად კარის რაზა-კოჭაკი აჩხაკუნდა, კარი განიხვნა და ჩაჯექ კოლას ნაჯაფარმა ხარის თვალებმა თორნიკეს გულში სევდა აანთო.

— ხომ ვარ ასე, რა გინდათ ჩემგან?! — ჩაჯექ კოლას მკერდიდან სიტყვები ამოუზრიალდა, თვალები მჯილით მოისრისა და გომურის შენისლული ბინდი მოიცილა.

— კოლა, იკმარე სასჯელი, ჩვენთან ჩაიმუხლე! კაი კაცი უნდა გაგაცნო, რა გგონია, შენი ჩაჯდომით რამე მოგვემატება? გამო გარეთ!

— რომ იცოდე, რაზე ვზივარ, წყალობად სიტყვასაც არ გაიმეტებდი.

— რაზეც გინდა, იმაზე იჯექი, დასაჭერი რომ იყო, ლადიკა უფროსი შენს თავს არავის დაანებებდა, მე რომ შენ ადგილზე ვიყო, კანონიერად ჩავჯდებოდი, ჭამა-სმაზე მაინც აღარ ვიფიქრებდი...

— თუ საიდუმლო არ არის, ჰკითხე, რატომ ჩაიგდო თავი? — ყურის ძირში წაუჩურჩულა თორნიკემ დავითს.

— კოლა, მაინც, არ გვეტყვი, რაზე ზიხარ? ცოდვის გამხელამ იქნება სასჯელი შეგიმსუბუქოს?!

— რაღაი არ იშლით, ხუთწუთიან პაემანზე გამოვალ, — თქვა ჩაჯექ კოლამ და გომურიდან გამოვიდა. ფრთებჩამოყრილ ბუსავით მოფართხუნებდა. მავთულბადის თეჯირთან შეჩერდა, ერთ მხარეს ჩამოჯდა, განაპირდა, დავითი და თორნიკე მეორე მხარეზე ჩამოსხდნენ.

თორნიკეს უკვე აღარ ელიმებოდა, საგონებელმა გული ჩაუთუთქა. რა

სჭირს ამ კაცს, ასე რომ გაიმეტა თავი? არა, იქნებ გიჟია! არა, ასეთი ჭკვიანი სულელები ჩემს დღეში არ შემხვედრია! ეჰ, კაცმა თუ რამე აიკვიატა, მერე ძნელია მისი მორჩენა და უკურნებელ სენში გადადის, კაცობრიობას შეუცნობლობის ავადმყოფობა ახლავს, ადამიანები თავს ჯანმრთელად იქამდე გრძნობენ, სანამ მავანი მისი თვალების ახელას არ შეეცდება... აზროვნების პროდუქტი ჭეშმარიტება არის და არა სხვა რამ! აი, როცა ამას იწამებს, სული და ხორცი ერთმანეთს ებრძვის და ადამიანი შეურაცხადი ხდება.

— ეს უცნობი რა კაცია, რა უნდა ჩემთან? — ჩაჯექ კოლამ იდუმალი ფიქრები შეარხია.

— ბაზარში გავიცანი, ჩემი ვექილია — თორნიკეს ეძახიან! — უპასუხა დავითმა.

— შენი არყის ქურდობას რა ვექილი სჭირდება, ყველამ იცის, რომ იპარავ!..

— მე მიმინო ვარ, მიმინო კი ქურდი არ არის! კოლა, თუ მართლა დასასჯელი ვარ, აგერ შენი გომური და ჩავჯდები, როცა ვიგრძნობ, რომ გამოვსწორდი, იმწამსვე გამოვალ გარეთ!

— არა, ჩემო დავით! ჩემს სანანობელს შენთვის ვერ გავიმეტებ!

— ცოტა ქრთამი რომ შემოგაძლიოთ, არც მაშინ იზამ, კოლა ბატონო?

— მე ცოდვიანო, ყველაფერი ფულზე არ გაიყიდება, მე თუ რამეს ვყიდი ფულზე, ეს ჩემი შრომაა! და, როცა შრომასთან ერთად სულის გაყიდვა მეწყება, აი, ეს სანანობელი მეცხადება მხსნელად... როცა ამ ყოფაში ვარ ხოლმე, ყველა ერთობ გაიძახის, წამოუარესო, მე გიჟი ვარ, აბა, რომელი ჭკვიანი გაივლებს გულში ოცნებას, ნეტავი შაშატულა მეფუნთუშის ცოლთან დამაწვინა და მეფუნთუშის ჩამუთაქებული ფულები მაფლანგვინაო...

— ცუდი რამ არ ინატრია, კოლა უფროსო, უიღბლო კაცს ნატვრის უფლება კი უნდა ჰქონდეს! — ქირქილებდა დავითი.

— ჩემო მნახველებო, ვთქვათ და ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვრა შემისრულდა, მერე თავი სად გამოვყო, თუ ხალხი თვალებს მოიბრმავებს, მე ხომ თვალის სინათლე არ დამიკარგავს და ნათელი თუ ამომიქრება. სინდისი დამღრღნის, სინდისი ხომ სულით იკვებება და სული ჰკლავს სინდისს... როგორ ფიქრობ, შიო მკერავმა გერის გაუპატიურება რომ შეირჩინა. შერჩება? არა, საკუთარი სინდისი არ აპატიებს, დაღრღნის, დააფორაჯებს მის სულს და გადმოაპურჭყებს. ცნობა მოგვევლინება. მოკვდაო! თქვენ სინდისი კაი რამე ხომ არ გგონიათ! სინდისის შესახლება საშინელებაა, ყველაფერი უნდა მოითმინო. მთელი ჩემი ცხოვრება სინდისს ვანებივრებ და დამინდობს თუ არა, არ ვიცი!

დავითა მავთულწნულის ბადეზე თავი მიედო, ენაამოცლილი სტვირივით ქსუტუნებდა.

— პაემანი დამთავრდა! —— გააფრთხილა იაინი ჩაჯექ კოლამ, ფეხზე წამოდგა და გომურში შევიდა.

თორნიკემ დავითი იდაყვით შეანჯღრია. დავითმა თვალები ააპარპალა, მოიმჯილა, ულვაში აიგრიხა, მერე თორნიკეს მიაჩერდა და ჰკითხა:

— სად არის ჩაჯექ კოლა?

— სადაც იყო, იქ!

— წავიდეთ, ვერავითარი ძალა ვეღარ გამოიყვანს გარეთ.

ჩაჯექ კოლას მნახველები როგორც კი ეზოდან გავიდნენ, გზად ორი ქალი შემოეფეთათ. ერთი ისე ახლოს მიიჭრა დავითთან, რომ ლამის იყო მკერდი მის ბანჯგვლიან მკერდს აძგერა.

— მოიცათ, ცოტა განზე გადექით. კაცი ვარ, განა მართლა თიხისგან ვარ ამოყვანილი, ერთხელაც გადავირევი და. — ახვიხვინდა დავითი.

— დავით, რა დროა ეგ არის! შენ ეს გვითხარი, ჩაჯექ კოლა რატომ ზის? — ჰკითხა მკერდაზამბარებულმა ქალმა.

— ჩაჯექ კოლაა და იმიტომ ზის!

— ეგ ისეთი კაცია, უმიზეზოდ არ ჩაჯდებოდა, აუცილებლად გეტყოდა, შენ კი გვიმალავ, რა ისეთი ხალხი გვნახე, რომ საიდუმლო ვერ შეგინახოთ, აბა, გაიხსენე, რა გითხრა!

დავითა ტუჩები ოდნავ განეხვნა და აბლუცუნდა:

— ჰოდა, ბევრი ველაპარაკე. ვემუდარე: მითხარი, რაზე დაიპატიმრე თავი, იქნება გიშველოთ-მეთქი... სულ თავს იქნევდა. არა და არაო. მაგრამ ბოლოს იაეთი სიტყვა ვუთხარი, რომ...

— მაინც რა სიტყვა უთხარი, შე გრძნეულო? — არ ეშვებოდნენ ქალები.

— რა აიტყვა და, სხვისი გულისთვის ზიხარ-მეთქი! ხომ არ გგონიათ, მართლა თვითონ იპატიმრებს თავს. ზევიდან, ზევიდან უგზავნიან განაჩენს, ჩვენც გვიგზავნიან, მაგრამ უარს ვამბობთ, პატივმოყვარეობა გჯაბნის. არა, ჩაჯექ კოლა ჭორისგან გასალახი კაცი არ არის!..

— ჩვენ როდი დავცინით, გვაინტერესებს, რატომ ზის. — არ ეშვებოდნენ დავითა ახუნდრუცებული ქალები.

— კოლას შაშატულა მეფუნთუშის ცოლთან დაწოლა უნატრია, გულში შაშატულა მოუკლავს და მისი ოქრო-ვერცხლი მოუხვეჭია!..

— ჩანს, შაშატულას ცოლს თათულას ოდეალაკ უმროუშია, თორემ ჩაჯექ კოლა პატიოსან ქალზე გულში სიბინძურეა არ გაივლებდა! — აფორიაქდა მკერდაზამბარებული ქალი.

— მაშა, ქალო! ეგ კის გამოც ჩაჯდა, ზოგი კახპად იქცა, ზოგიც ციხეში ჩასვეს!

. . .

— რატომ ზის კოლა? — ჩურჩულით კითხულობდნენ ქალები.

— შაშატულას ცოლთან უნატრია დაწოლა! — პასუხობდნენ კაცები.

უბნიდან უბანში გადადიოდა ჩაჯექ კოლას ნატვრის ამბავი და მთელი ქალაქი ხითხითებდა. ხითხითებდნენ არშიყი კაცები და ტელეფონით სიყვა-

ეროვნული

რულს ეფიცებოდნენ შაშატულას ცოლს.

შაშატულას კოლს კი მეტი რა უნდოდა. პატიოსნების ნაჭუჭი შემოიმტვრია და გედის ბუმბულივით ამსუბუქებული დაფთიალდა არშიყთა ცაზე. შაშატულაა სად ეცალა. აცხობდა და აცხობდა ფუნთუშს.

იმ ქალაქში, ადაც მე დავბინავდი, თხუთმეტსართულიანი სასტუმრო ამოჩრილიყო გორაზე. დღიდან აშენებისა, დავითი ყოველდღე გარშემო უვლიდა, შესვლა უნდოდა, შიგნით კი არავინ უშვებდა. დღენიადაგ კარიკაცს ერთაა და იმავეს შესთხოვდა:

— ამიშვი, მხოლოდ მაღლიდაან გადმოხედვა მინდა, — მეტი არაფერი, აინდრის გეფიცები!

— შენ და აინდრისი?! ნომრებიდან არაყი გინდა მოიპარო?!

— მე მიმინო ვარ, ქურდობას ჩემთან რა ხელი აქვს, მიმინომ ფრენა იცის!

ხვეწნა-მუდარით არყიპარიამ სასტუმროს ადმინისტრატორს თავი შეაცოდა და იმანაც სასტუმროს თავზე აუშვა. დავითი ლიფტში არ ჩამჯდარა, ისე აუყვა საფეხურებს, სართულს სართულზე ითვლიდა:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი... შვიდი, რვა... თერთმეტი... თოთხმეტი, თხუთმეტი! — და დავითი ბეტონის სახურავზე მოექცა, ქალაქს გადახედა, — ეს რა ლამაზი ყოფილა ჩემი ქალაქი! სულ რომ თვითონ დამყურებს, ახლა მე უნდა ვუცქირო მაღლიდან, წამიერ იყოს ჩემს ფეხქვეშ! ჰერი-ჰა! ქალაქში ბეღურები მომრავლებულან, სადღაა მიმინო?! სასაკლაოს ჭილყვავები დაატრიალებენ, დღეა ხორცს დაახვავებენ ბაზარში. მაშ, ქალაქის თავზე მიმინო არ უნდა დანავარდობდეს?!

. . . .

მთელი სასტუმროს მომსახურე პერსონალი გაოგნებული იყო, ეს რა დაგვემართა, სასტუმროს სახურავიდან კაცი გადმოგვიხტაო!

არავის უგლოვია დავითის გამიმინოება, მარტო იმაზე წუხდნენ, ჩაჯექ კოლას საიდუმლოს ვიღასგან შევიტყობთო.

ჩაჯექ კოლამ გულქვა ნაცნობების დაობებული სული ორმოც დღეს იგლოვა.

ადამიანი ორმოც დღეს სძლებს მშიერ-მწყურვალი! მერე კი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნომადი ბართაია

●

ისე ლამაზად
თენდება, ძმებო,
შაშვის, ისეთი, სიჩუმეში
გალობა ისმის,
წარმოიდგინეთ,
რა იქნება,
რომ გათენდება,
დაიწერება
დღეს მამულში
რამდენი ლექსი.

●

გინდა?
სუფსაში
რა გავიფიქრე,
ჩემო მკითხველო,
იმასაც გეტყვი:
პოეტი რომ ვარ,
კარგია,
მაგრამ
რატომ მხატვარი
არა ვარ-მეთქი.

●

მე ის წუთებიც მინახავს
და მე იმ წუთებს ვლოცავ,
პოეტი თავის ნათესავს
გულშემატკივრობს როცა.
პოეტი ბალახის ღერით
მემახსოვრება დიდხანს,
სასოფლო სამეურნეო
ინსტიტუტის წინ იდგა.
ხალხი, განმცდელი საოცრად
თავის სისხლის და ჯიშის,
პატარა აკაციების
ვერ ეტეოდა ჩრდილში.
იქ ყველამ იცნო პოეტი,
ყველას იმისი შურდა,
ვისი ამბავიც ამ ზომით
პოეტს მიჰქონდა გულთან...
მე ის წუთებიც მინახავს
და მე იმ წუთებს ვლოცავ,
პოეტი თავის ნათესავს
გულშემატკივრობს როცა.

●

ნეტავი ვინმემ გამაჩეროს,
მკითხოს,
რომელი საათია,
ან რომელიმე ქუჩა სად არის.
დაწვრილებით ვეტყვი ყველაფერს,
ცოტა ხანს თვალსაც გავაყოლებ.

●

ეს ახლა მოხდა ავტობუსში,
არ შემიძლია, ახლა არ ვთქვა,
რკინის სახელურს ხელი მოვკიდე,
რალაც წამებში რკინა გათბა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

•

გალაკტიონი გაძარცვეს,
პალტო და ქუდი წაართვეს...
ნეტავი იმას,
ვინც პალტო
გალაკტიონის ჩაიცვა,
ხელნაწერებით გაძეძგილ
ჯიბეში ხელი ჩაიყო.
სარკის წინ დადგა,
ოთახში
გაირ-გამოიარა.

•

ბედნიერი ხარ, თუ დამიჯერებ,
რომ ასე გიყვარს სამშობლო შენი,
რომ მოიპოვე იმის უფლება,
იხეტიალო ზაფხული მთელი.
უფრო ლამაზი რა უნდა იყოს,
უფრო ლამაზი იქნება რამე?
რომ მოიპოვე იმის უფლება,
ვარსკვლავების ქვეშ გეძინოს ღამე.
შარშან მთელი თვე თუშეთში იყავ,
შარშან თუშეთის არჩევდი ფერებს,
ოთხმოც მანეთად ნაყიდი ვირი
მანეთნახევრად გაყიდე მერე.
ბედნიერი ხარ, თუ დამიჯერებ,
რომ ასე გიყვარს სამშობლო შენ
რომ მოიპოვე იმის უფლება,
იხეტიალო ზაფხული მთელი.

## ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

მაინც სამხრეთის ქალაქში
ვცხოვრობთ,
რა უნდა იყოს ამაზე მეტი,
პატარა ენა
გამოეყო და
მკვდარივით ეგდო
ბალახზე ლეკვი.

•

ნეტავი ხშირად
მომიწევდეს
მგზავრობა აქეთ,
თვალს ვერ ვაცილებ
მერამდენედ
ვინ იცის ნანახს.
ლამის კისერი მომეღრიცოს,
არაფრის გამო,
ცოტა არ იყოს
მიყურებენ
ეჭვით მგზავრები.

•

ეს მოხდა ტაშკენტის აეროპორტში,
თუმცა მე რას გეტყვით ახალს,
გოგო ბიჭს აცილებდა,
ასეთი რამე არ მინახავს.
გოგოს შეღებილი თვალები ჰქონდა,
ცრემლი დიოდა ღაპაღუპით,
ხელში ყვავილები ეჭირა,
ასე — გეორგინა ოთხი თუ ხუთი.
მერე უცებ აწრიალდა,
ადგილს ეძებდა კეთილს ფრიად,
რომ კიდევ ერთხელ დაენახა,
რომ მისთვის ხელი დაექნია.
შორიდან შევცქეროდი ამ სურათს,
თვალები ჩანდა შავი, დიდი,
უკან ავედევნე იმ გოგოს,
კინაღამ მასავით მეც ავტირდი.
ეს მოხდა ტაშკენტის აეროპორტში,
სადაც არავის არ ვიცნობდი,
ისე გამიხარდა ცრემლის ნახვა,
უცებ რა მექნა არ ვიცოდი.

ჯუმბერ ტიკარაძე



რომანი

მეორე დღეს კი დრო ზოზინით მიდიოდა, ჭიანურდებოდა, იწელებოდა, ალარ დაადგა საშველი ლექციების დამთავრებას, ხოლო გედეონი თავის ფიქრებს დამარტოხელებული დამჯდარიყო ბოლო მერხზე, სხვა სტუდენტთაგან განცალკევებულ-განმარტოებული — უკანასკნელი ხანების ჩვეულება გახლდათ ესა და ეველინას წარეტაცა მთლიანად იგი, ჰო, ის ქალი დაჰპატრონებოდა და თუმცა არაფრად ეპრიანებოდა, დაძაბულიყო და აღელვებულიყო მაინც, დასჭიმვოდა ნერვები, დაჰფანტვოდა და არევ-დარეოდა უნარი ხალად აზროვნებისა, ამღვრეულ, დაბინდულ გონებაზე ლიბრი გადაჰკვროდა, არ იცოდა და ვერც განეჭვრიტა წინასწარ, რა მოხდებოდა რამდენიმე საათის შემდეგ, როგორც მდინარე ხის ნაფოტს, თავის ნებაზე ატრიალებდა, შესაძლებლობა იმისა, ოდნავადაც არ დაეჭვებულა, ღრმად გახლდათ დარწმუნებული თავიდანვე, როგორც კი ვარლამმა უთხრა, ეველინას სურს შენი გაცნობაო და ალღოთი იაზრა, —ტყუილუბრალოდ როდი დაინტერესდებოდა ქალი ვინმეთი — რომ მისი უნდა გამხდარიყო ეველინა. უამრავი და რჩეული თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული, განებივრებულ-გაამზიზებული დიაცი; თორემ ყველა როდი შეჰხედავდა და თავად გედეონსაც ახსოვდა, რამდენჯერაც კი მოუკრავს თვალი მისთვის, ერთხელ რაა, ერთხელაც არ შეუტოპავს თუნდ უბრალო ფიქრითაც და ოცნებითაც ისე შორს, როგორც მას შემდგომ, რაც ეველინას წადილი შეიტყო, ადრე კი შემთხვევის წყალობით თუ მოჰკრავდა თვალს. გაოცებას იყო იმისი ხილამაზითა და აშოლტილი ტანის წარმტაცი ხვეულებით, განცვიფრების გარდა სხვა რამ გრძნობა ერთხელაც არ აღძვრია, ისე შორეულ და მიუწვდომელ არსებად მიაჩნდა. ამასთან ერთად კი, რაც მომწიფებულიყო საამისოდ, არც ერთხელ არა ჰქონია საქმე მსგავსი ყაიდის დედაკაცთან და სწორედ ამიტომაც იმორჩილებდა და თავის ნებაზე აბზრიალებდა ის თბილი, წამლეკი მორევი... და ახლა, როცა მტკივნეულად ნელინელ და გულისგამაწვრილებელი სიდინჯით მიზონინებდა დრო, გეგონებოდა, არც მოძრაობდა და ვერც დაიძვროდა ვერასდროს ადგილიდან, გედეონი ეველინას ხედავდა კვლავ და კვლავ, ცხადად და გარკვევით ათრთოლდებოდა თვალწინ, ლალიც ახსენდებოდა დროდადრო, ძველი ჩვეულებისა თუ ინერციის წყალობით ხდებოდა ესა, უწყოდა, ეგრე უეცრად ვერ გადაივიწყებდა ლალის, ზანდაზან მაინც შეახსენებდა ხოლმე თავს და ლიზიანდებოდა კიდეც და ნახიამოვნებიც იყო, რაკილა იცოდა, სულ მალე დაუფარავად მიაბლიდა სათქმელს, სამუდამოდ ჩამოიცილებდა გზიდან, წარსულს დაუტოვებდა — იმ საძულველ წლებსა და დღეებს ჯერ კიდევ რომ არ გამქრალიყვნენ... ეველინა დახდგომოდა გედეონს თვალწინ, ლალი კი გაფერმკრთალებულიყო და მიცრეცილიყო, უფრო და უფრო ეკარგებოდა ელვარება, ნელნელა და თანდათან ეთქვიფებოდა ულიმღამო, ფერწასულ დღეებს გარდასულისას, ილეოდა და კარგავდა ნათელს, უფერულდებოდა იმ მომხიბვლელი, ულამაზესი ქალის კაშკაშა, თვალისმომჭრელ სინათლეში და განსაკუთრებით კი ის ჰგვრიდა სიამაყეს, რომ ეველინას თავისივე სურ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ცისკარი“, 1981 წ. № 11, 12; 1982 წ. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.

ვილით მოეწადინებია ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო დღესვე, ან სულ მალე...

და, აი, უკანასკნელი ლექციის გასრულების მაუწყებელი ზარიც დაირეკა, ლექტორი რომ გავიდა აუდიტორიიდან, ზლაზვნით წამოიმართა გედეონი, ყურადღება არ მიუქცევია თანაკურსელთა ჟრიამულისათვის, მერე კი დაინახა, რეზო გამოემართა მისკენ...

— გედეონ, — თვალები უბრწყინავდა რეზოს. — უჰ, რა პურმარილი მაქვს იცი, შინ? დღეს დილით მომივიდა სოფლიდან...

— აჰ, არა, — იუარა უმალვე გედეონმა, თანაც ცდილობდა მიეჩქმალა როგორმე ნერვებს რომ უშლიდა რეზოს ლაპარაკი, ხათრით არ იქცეოდა ასე, მოკრძალებაზე უფრო შიში აიძულებდა, — საქმე მაქვს...

„ბელას ვნახავ ამაღამ, —გაიფიქრა რეზომ, — მართლაცდა, რა დროს ღვინოა კაცმა რომ თქვას..." და რეზოს უცებ დაუდგა თვალწინ ბელა, მხოლოდ ეგ კი არა, სითბო-სურნელიც იგრძნო იმისი მოქნილი, სავსე სხეულისა... მართლაც ესტუმრა ახალშებინდებულზე რეზო ბელას: „ოჰ, გელოდი, — უთხრა ქალმა, აბრდღვიალდა, როგორც კი ეს წარმოსთქვა, — როგორ მომანატრე თავი, კიდევ კარგი, რომ მოხვედი, თორემ რა გაათენებდა ამაღამდელ ღამეს..." გაიღიმა მერე, საგულდაგულოდ რომ შეათვალიერა რეზო და საოცრად სათნო და ზედმეტად ქალური გახადა იმ წამიერმა ღიმებამ, ისეთი, როგორიც იყო ხოლმე თითქმის ყოველთვის ვაჟთან ყოფნისას. ღიმილი ჩამოიცილა შემდგომ და უცებ მიიბინდ-ჩაიბურუსა თვალები, უყურა ერთხანს, სათნოვდებოდა და სათნოვდებოდა უფრო და უფრო და ვაჟისაკენ გადადგა ნაბიჯი, მიდიოდა მხუბუქად: ლამაზად მიირხეოდა და ეტალღებოდა ის ჯადოსნური ხაზები სხეულისა, თვალს არ აცილებდა თან რეზოს და ნაცნობი, ძვირფასი ჟრუანტელი უვლიდა ტანში, რეზო კი იდგა და ელოდა, მსუბუქ და ამავე დროს თავგზისდამკარგავ სიმშვიდეს მინებებოდა... იმ ყინვიანი ღამის შემდგომ, შემთხვევით რომ შეხვდნენ ერთმანეთს რეზო და ბელა, ერთურთის გარდა, ვეღარავისთვის იცლიდნენ, მხოლოდ ერთმანეთისათვის არსებობდნენ ისინი იმ ღამის მერე და ქალმა შეიცნო ცხადად, მარტოოდენ რეზოსთვის იყო იგი დაბადებული, სხვა ყველაფერი არარაობა და უმნიშვნელო იყო, მხოლოდ ამ ვაჟისთვის მოვლენოდა ქვეყანას და ამის შეგრძნებამ ააფორიაქა, ჩაასევდიანა საშინლად, რადგან იცოდა აშკარად, ძალზე გვიანი იყო ყველაფერი...

რეზო კი მოაკითხავდა ხოლმე საღამოობით, ზოგჯერ შუაღლისასაც, რჩებოდა ქალთან ღამღამობით და დილით, როცა გამოიღვიძებდა, ბელა თვალგახელილი ხვდებოდა, დაბურუსებულცრემლაკიაფებული შემზერდა ვაჟს, თავდაპირველად იყო ასე. დრო რომ გავიდა, შემდგომით შემდგომ აღარ უხილავს ბელას თვალზე ცრემლი რეზოს... მაშინ კი, იმ პირველ ხანებში, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, ხმას არ იღებდა, იცოდა, რაც იყო საბაბი და განგებ ხჩადიოდა ამას, არ სურდა აცრემლების მიზეზზე საუბრის ჩამოგდება, სჯეროდა ზედმეტი იქნებოდა ცნობისმოყვარეობა, ქალის წარსულში ჩარევა, ხელოვნურსა და საშძიმოს, ალბათ ყალბსაც გახდიდა იმ წრფელსა და უშუალო ურთიერთობას...

ქალიც გრძნობდა ყოველივეს, არაფერი რჩებოდა შეუნიშნავი იმის მახვილ, დაკვირვებულ თვალსა და დიდებულ ალღოს და გული სწყდებოდა, რაკილა თავად ვერ ეთქვა ვერაფერი თავის წარსულზე, თანაც ჰქონდა რეზოს უფლება იმის გარდასულში ჩარევისა, ყველაფრის ნება ჰქონდა, ოღონდ მოესურვებია რამე...

და, მაინც დიდებულად გაუგო ქალ-ვაჟმა ერთურთს: ბელამ ნაღდი და მძლავრი სიყვარული, წამლეკ-გადამბუგველი და დამარბეველი, რომელიც დაგიმორჩილებს და დაგიმონებს მთლიანად და ტკბილზე უტკბილესია თავგზისდაკარგვა თუ მსხვერპლად ქცევა, საჭიროც რომ არის და აუცილებელიც, როცა აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ფიქრსა თუ განსჯას, რადგან შეუძლებელიცაა, იმ ყოვლმხრივ მძლავრი, ზედმეტად მამაკაცური ბუნების ვაჟთან შეიგრძნო და რაკილა შეიცნო, მინებდა ერთიანად, მონა-მორჩილად დაუდგა იმ დამღუპველ განცდას, არც ძალუძდა სხვაგვარად, უძლური იყო და უსუსური, ხოლო ყველაზე დიდი საშინელება ის გახლდათ, რომ იცოდა, ძალიან ნაგვიანევად შეხვედროდნენ ისა და რეზო ერთურთს, სწორედ ეს იყო მიზეზი იმ სევდანაღველისა თუ ცრემლისა, პირველ ხანებში რომ სტანჯავდა ქალს, ისიც ნათელი იყო ახლა, მხოლოდ რეზოსთვის მოვლენოდა ცოდვილ ქვეყანას, ამ ვაჟის სიყვარული ქცეულიყო მისი არსებობა-სიცოცხლის გამართლებადაც და დანიშნულებადაც და პირველ ხანებში, როცა საამოდ მოთენთავდა ხოლმე და გადაქანცავდა ვაჟთან სიახლოვე, სხეული რომ მოუდუნდებოდა და გააბრუებდა ძილ-ბურანი, მერე კი უდრტვინველ ფშვინვას გაიგონებდა რეზოსას, ნელინელ მოიკრებდა გონს, გაახელდა თვალს, ცეცხლი ედებოდა სხეულზე და იწვა ხოლმე სიბნელეში დარბეულ-უბედნიერესი, შესცქეროდა ვაჟს, ისმენდა იმის ღრმა, თანაბარ, მძლავრ სუნთქვას და ჩურჩულებდა თავისთვის, საალერსო სიტყვებს წარმოთქვამდა, ლოცულობდა თითქოს და მართლაც ლოცვა იყო ესა; ლოცვაზე გაცილებით უმეტესიც, ტრფიალისთვის აღვლენილ-შეწირული...

მტკივნეულად განიცდიდა ვაჟის მკვრივ, დაკუნთულ, მძლავრ სხეულს და ეკვროდა და ეხუტებოდა სათუთად, რომ არ გამოეღვიძებია და სითბო-სურნელსაც ისაკუთრებდა იმისი ტანისას, მერე კი დამამშვიდებლად ჩამოხწყდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდუღარე ცრემლი; ნელა იწყებდა ნელა უხმო ქვითინს, ბოლოს კი ამოუჭდებოდა გული, ვერაფრით ველარ იკავებდა თავს და ცრემლიც აღარ ჩერდებოდა, მოედინებოდა დილამდე, აი, ასე იყო ხოლმე პირველ ხანებში და კიდევ ერთი რამ, სიამოვნებდა და ამშვიდებდა ქალს ცრემლიცა და ის კუნაპეტი, მაგრამ მაინც სპეტაკი სიბნელეც, ხოლო გათენიისას, მაშინ, როდესაც სარკმლის მილმა ჩაყალტამებული სივრცე დაიწყებდა გამტრედისფერებას და იგრძნობდა, საცა იყო ძილს დაალწევდა თავს ვაჟი, ამოატრიალებდა ცრემლით დანამულ ბალიშს, მაგრამ ამაოდ, გამოღვიძებისთანავე ამჩნევდა რეზო, ნამტირალევი რომ იყო ბელა. შემჩნევით კი ამჩნევდა, მაგრამ მიზეზს არ ეკითხებოდა... ქალს კი გულით ეწადა ეკითხა საბაბი ცრემლისა, მაგრამ არა, რეზო გამოღვიძებისთანავე მოიმწყვდევდა მკლავებში ბელას, იცოდა ქალმა, ჰპირდებოდა იგი ვაჟს და მოზღვავებულ ბედნიერებას მინებდებოდა მაშინვე, ბედნიერებასაც განიცდიდა ერთდროულად და ტკივილგარეულ სინანულსაც, მთლად პირველ ხანებშიც და იმის მერეც და მხოლოდ ერთი რამ აღარდებდა ბელას, თრგუნავდა გამუდმებით — გვიან მოხულიყო რეზო, ძალზე ნაგვიანევად შეხვედროდა ერთმანეთს იმათი გზები, მაშინ, როცა უაზროდ შეეწირა ქალს უმანკოება-უბიწოება სხვისთვის. ჰო, სხვას დაახარჯა ის ორიოდ წუთი, სრულყოფილ დედაკაცად რომ აქცევს ხოლმე ქალს და უსაშინლეს ბოროტმოქმედებად და დანაშაულად მიაჩნდა ბელას, ორი მამაკაცის სარეცლის ავკარგის ერთიმეორესთან შედარება-აწონ-დაწონა რომ ძალუძდა, ესა სტანჯავდა გამუდმებით. მარტოდენ რეზოს სარეცლის სიტკბო-სიმწარე უნდა სცოდნოდა იმას...

ხოლო რეზოს არაფერი უკითხავს, ერთხელაც არ უხსენებია იმისი წარსული, ჩავლილი წლები და დღეები. მხოლოდ აწმყოსა ჰკმარობდა და, აი, ეს გახლდათ მტკივნეული და უკურნებელი საშინელება: ბელას უტყუარი ქალური ალღო — წინასწარმეტყველება კარნახობდა, რაც უნდა მომხდარიყო, ზედმეტი სიცხადით წარმოუსახავდა ამბებსა და მოვლენებს მერმისისას — იცოდა, დიდხანს ველარ იქნებოდა ვაჟი იმისი საკუთრება და ამიტომაც არ ერეოდა მის წარსულში, დღევანდელი დღეც ყოფნიდა, სწორედ ამის გამო ხდებოდა, ქალი მთლიანად რომ დამორჩილებოდა ტრფიალს და სიამოვნებდა არაადამიანური, თითქმის ძაღლური მორჩილება და რაკი უწყოდა წინასწარვე, რაც უნდა მომხდარიყო, ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ლიმონივით გამოეწურა ვაჟი, გამოეფიტა და დაეშრიტა, ყველაფერი წაერთმია სიყვარულისთვის, თუკი შეძლებდა, მაგრამ ამაზრზენი და საშინელი იყო, სინამდვილე, არ გამოსპარვია ბელას, რომ ერთი დედაკაცი ვერ დაშრეტდა რეზოს და რადაი გაეგებოდა, ყველა სიამტკბილობას ვერ დახტუუებდა სიყვარულს, თავზე შეფართხალდებოდა ხოლმე ვაჟის მკლავებში და მაშინ მხოლოდ ის ძვირფასი წუთები არსებობდა, სხვა ყველაფერი გამქრალიყო უკვალოდ, მივიწყებოდა, რაც კი ოდესმე მომხდარიყო და ისიც, რაც შემდგომში შემდგომ იარსებებდა და მხოლოდ ერთსღა ნატრობდა შეჩერებას დროისას, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო და სატცნებოდ აი, რა დარჩენოდა, რაკი სიკვდილი გარდუვალია, ამ დროს მაინც მეწყიოსო...

რეზო, ცოტა არ იყოს, განაწყენებული დაშორდა იმ დღეს გედეონს... ხოლო გედეონმა ლალის მოჰკრა თვალი — ინსტიტუტის ეზოდან გადიოდა მაშინ და როგორც კი დაინახა, რა ჭანდაბამ მოაქერქეტაო, გაიფიქრა... ჯერ იყო და თვალის არიდება სცადა, მაგრამ მიხვდა გვიანი იყო: ლალიმ თვალი ჰკიდა თუ არა, აღარ დაუყოვნებია, გამოემართა... ნელა მოემართებოდა გედეონისაკენ და რაც უფრო უახლოვდებოდა, ლამაზდებოდა მით უფრო, ღიმილიც უფრო სათნო უხდებოდა... გედეონი კი იდგა, ებჯეოდა თავბრუ, უმწეოდ აბამხამებდა წამწამებს და ელოდა ფერდაკარგული... „ომ, როგორ მომენატრე, რომ იცოდე...“ — ჩაესმა მერე ლალის ხმა... დაიძაბა უარესად, აცახცახებოდა მხრები, მუხლები, თუ სხეულის ყოველი ნაკვთი, ხოლო თვალებში მძულვარება ჩაბუდებოდა, მაგრამ ლალის დაკარგოდა უნარი ამის შემჩნევისა, გაპობოდა ბაგეები, თავი მაღლა აეღერა და ისე უმზერდა. გედეონმა კი ხმის ცახცახითა და ზიზღით გამოსცრა კბილთა შორის. წარმოუდგენელი რამ არის იმდაგვარი მძულვარების გამოხატვა, თითქმის შეუძლებელი და თვეების მანძილზე დაგროვილ და დაგუბებულ ბოღმასაც მისცა გასაქანი, ამოანთხია იმ სიტყვებთან ერთად: „მომბეზრდი, — თავადვე ველარ სცნობდა საკუთარ ხმას, თუმცა მგონი დაკვირვების უნარი წართმეული უნდა ჰქონოდა, ისე იყო აღელვებულიცა და წონასწორობადაკარგულიც, — ველარ უნდა მიხვდე, რომ მომბეზრდი საშინლად?...“

გვიან ჩასწვდა ლალი აგერ ახლახან ნათქვამ სიტყვებს გედეონისას, თავიდან ვერ იქნა, გონს ვერ მოგებულიყო, ჯერ, ვიდრე დაილაპარაკებდა რამეს, ცახცახი შენიშნა გედეონისა, დაინახა, როგორ უთრთოდა ტუჩები, მერე ისიც შეამჩნია, ხელის თითები და მუხლები რომ აუკანკალდა, ხოლო სახე ჩალურჯებოდა ერთთავად, იფიქრებდი, იგუდებაო, სუნთქვითაც ისე ქშინავდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ხშირად, ეტყობოდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა და უცებ რომ მიახალა, მომბეზრდიო, ლალის ჯერ კიდევ არ ჩამოსცილებოდა სახიდან გედეონის დანახვით გამოწვეული სათნო ღიმილი, თვალებშიც შერჩენოდა, ისევ უკიაფებდა, თუმცა შეშინებული იყო უკვე, დამფრ-

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხალიყო მაშინვე, როგორც კი გედეონის ის უეცარი ცვალებადობა შეამჩნია. მერე ხმა რომ ჩაესმა მისი, ისე ნელ-ნელა ჩამოხცილდა ღიმილი, თითქოს თანდათან ბნელდებოდა ირგვლივ, ჯელიბელ ისერიებოდა სივრცე, მაგრამ გონებამდე ჯერ კიდევ ვერ ჩაეღწია შინაარსს ნათქვამისას, ბოლოს ჩასწვდა მძიმე-მძიმედ ყოველივეს, ღიმილი გაქრობოდა უკვე სახეზე და აღარც თვალებში ჰქონდა ჩამდგარი, მერე და მერე, უფრო ცხადად და გამოკვეთილად ჩააღწია მის ცნობიერებამდე ყველაფერმა, მკვეთრად შემოეხაზა კონტურები აგერ ახლახან მომხდარს და თვალთა ბუგები გაუფართოვდა, წელანდელი ლამაზი ფერი წაერთვა ლაწვებზე, აშკარა იყო ახლა, ნებისყოფას ძაბავდა, რათა როგორმე შეეჩერებინა ნერვული თრთოლა, რომელიც საცა იყო, სხეულის ყოველ კუნთს მოედებოდა და თუმც ძნელზე ძნელი რამ იყო, შეძლო ლალიმ მაინც გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნება, არ დასტყობია შინაგანი აფორიაქება, ოღონდაც ეგ იყო, უცებ ცრემლი გაუკრთა თვალებში, მხოლოდ წამით და უმალვე გაიქრო უგზო-უკვლოდ და ამჯერად მტკივნეულ განცვიფრებას გამოხატავდა მისი გამომეტყველება. წამიც და, ტკივილნარევი გაოცების ნაცვლად სხვა რამ დაეტყო სახეზე. მაგრამ ზიზღი და მძულვარება არ ყოფილა ისა, უფრო გაცრუება იყო იმედებისა...

გედეონი კი დაკვირვებით შესცქეროდა ცვალებადობას ლალის სახის ნაკვთებისა და თვალებისას, მშვიდდებოდა თანდათან და ბოლოს გოგოს თვალებში ის იმედის გაცრუებით გამოწვეული სევდა რომ შეამჩნია, დაწყნარდა მთლიანად, დაეწმინდა გონება, ნერვულობის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა და თავს იტუქსავდა გუნებაში წელანდელი აღელვებისათვის, შინაგანი აფორიაქება რომ ვერ მიჩქმალა, წამისწინანდელი სისუსტის გამომჟღავნება აღარდებდა...

ხოლო ლალის კვლავ იმედთა გაცრუებით გამოწვეული ნაღველი დატყობოდა სახეზე, არადა არ მისძალება მძულვარებისა თუ ზიზღის გრძნობა. ფიქრით კი არაფრის ფიქრი არ ძალუძდა ახლა, ცდილობდა ოღონდ, როგორმე შეეკავებია თავი და არ აქვითინებულიყო, უმზირა კარგა ხანს გედეონს, პირველად მხოლოდ ახლაღა ხედავდა თითქოს, უფრო კი, დარწმუნებული იყო, უკანასკნელად ვუყურებო. შესცქეროდა, გაპობოდა ისევ ტუჩები, მისცრეცოდა ფერი სახისა, ბოლოს კი ოდნავგასაგონად ჩაიჩურჩულა: „ასე ხომ...“ ესა თქვა მხოლოდ, მეტი არაფერი და ისიც სურვილგარე წამოსცდა, თვალებში იმ წელანდელი იმედის გაცრუების გამომხატველი სევდის ნაცვლად, გედეონს რომ ეგონა, ზიზღით შემომხედავსო, სასოწარკვეთა აუკიაფდა უცებ, მაგრამ მხოლოდ ორიოდე წამით, შეძლო კვლავაც თავის შეკავება, თმა შეისწორა და კიდევ ერთხელ გაიმეორა ჩურჩულით: „ასე ხომ, ასე ხომ...“ და სასოწარკვეთა სიამაყემ შეუცვალა, — ჯიქურ შეხედა გედეონს, ამაყად გაიმართა წელში, მოკუმა გაპობილი ბაგეები, ხოლო თვალებში და სახეზე უცებ აუკიაფდა ქალური სიამაყე, შეუვალი, ჯოჯოხეთური. თვალი აარიდა მერე გედეონს, უცებ მოსწყვიტა მზერა, დაინაოჭა შუბლი, მიტრიალდა და უხმოდ გადადგა ნაბიჯი... ამაყად მიირხეოდა შემდგომ ლალი მზით აბრდღვრიალებულ ხალხით სავსე ქუჩაში, გედეონი კი შესცქეროდა, ანცვიფრებდა ის უცაბედი სიამაყე გოგოს რომ დაუფლებოდა, ამაყი ნაბიჯებიც იმისა და ეველინაზე ფიქრობდა...

ლალი კი თანდათან ეთქვიფებოდა გამვლელ-გამომვლელთ და მზით აბდღვრიალებულ სივრცეს, მიაბიჯებდა უმწეოზე უმწეო, უსუსურზე უსუსური გოგო, მაგრამ მაინც ამაყი... ხოლო გედეონს თვალწინ უნაზმირდებოდა და ენალვრებოდა გარდასულ დღეთა ავად მოსაგონარი ზმანება, უჩინარდებოდა ლალისთან ერთად...

რამდენიმე საათის შემდეგ კი, როცა შებინდებას ბევრი აღარაფერი უკლდა, ვარლამის ხმა ჩაესმა და შეცბა უცებ: „ოჰ, გედეონ, სიტყვის კაცი ყოფილხარ მართლაც, მე და ეველინას კი შეგვაგვიანდა ცოტა, — კეთილი ღიმილი მოჰფენოდა სახეზე ვარლამს, მერე კი ეველინას მიმართა, — იცნობდეთ ერთმანეთს...,

ქალი ღიმილით შესცქეროდა გედეონს, ცოტა არ იყოს ჯიქურ, თითქმის გამომწვევადაც, ხმა კი არ დაეძრა ჯერაც... ვერა და ვერ იქნა, ვერ გაუსწორა გედეონმა თვალი, შეხედა ერთი და თავი ჩაქინდრა უცებ და თავის თავზე ბრაზობდა, მერე კიდევ შეავლო მზერა, მაგრამ ამაოდ, დამფრთხალი ძაღლივით დახარა თვალები, ეველინამ კი უცებვე შენიშნა ეს და გადაიკისკისა... დამცინავად კისკისებდა თითქოს, ასე მოეჩვენა გედეონს და მერე ისევ ერთხელ შეხედა ქალს, მაგრამ მხოლოდ წამით, ხოლო ეველინას წამწამიც არ დაუხამხამებია, შესცქეროდა და იმ უკანასკნელი შეხედვის მერეც რომ დახარა თავი გედეონმა, ღიმილი გაიქრო უცებ, ჩამოიშორა სახიდან, ამოიოხრა ღრმად და მზერა აარიდა ვაჟს... გედეონმა კი მაშინღა შეხედა დაკვირვებით და მოეჩვენა, თითქოს გაწბილებული ჩანდა ეველინა. მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ კვლავაც ღიმილით შეავლო მზერა ქალმა: „ოჰ, როგორ მინდოდა თქვენი გაცნობა, როგორ, როგორ... ვერც წარმოიდგენთ, ახლა კი, კინოში წავიდეთ...“ აი, ასე გაიცნო გედეონმა ეველინა, ულამაზესი ქალი...

●

არ გამართლდა გლეხების ვარაუდი, ზამთარში, დიდთოვლობისას რომ გაიძახოდნენ, წრეულს ზაფხულიც კაი იქნება და პირნახულიც, ასე იცის ამფერმა გადაულებელმა თოვამო... თავს ინუგეშებდნენ თურმე გაჭიანურებული თოვლისაგან მოწყენილ-გაბეზრებულნი, მერე

გაირკვა ესა, ის მიზეზიან-ხუშტურა გაზაფხული რომ გავიდა; ჯერ იყო და, როცა თავჩალმართს ჩაუყვა მარტი, თოვლჭყაპმა და ამინდის წამდაუწუმ ცვალებადობამ დაუწვრილ-დაუმძიმათ გული: მზე გამოიხედავდა ჟამდაჟამ, ჩამოყვინთავდა მოქუფრული ციდან, ხანაც კი, როცა დარწმუნდებოდნენ, გაზაფხული მომძლავრდა და ეგ არი, გვეშველა, გამოკეთდა ამინდიო, ჯინაზე იქცეოდა თითქოს, საავდრო ღრუბელი შეესეოდა და გააფერმკრთალ-ჩამოამძიმებდა ცას, თოვლიც აღარ დააყოვნებდა, წამოვიდოდა წამსვე, მაგრამ ძალა გამოლეოდა, დნებოდა უმალ და ატალახებდა შარაგზა-ეზოკარმიდამოებსა თუ მთელ ცისქვეშეთს, წვიმასაც გამოურევდა ხოლმე დრო-დრო, აი, ეგრე ულიმლამოდ მიიცვალა ის გაზაფხული და როცა ირწმუნეს, ახლა კი ნალდად გადავრჩითო, ზაფხულმა აატორიაქ-არივ-დარია ხალხი და მაშინღა მიხვდნენ, ტყუილა ინუგეშებდნენ თურმე თავს დიდთოვლობისას, თუმცა შემოდგომამდე შორი იყო ჯერ კიდევ, მაგრამ გლეხკაცს ხელი ჩაექნია მაინც, გაცრუებოდა რწმენა-იმედი, რაკი იცოდა დიდებულად, დაალალატებდა ჰირნახული — წვიმდა გადაუღებლივ, ის შორეული, მარადიული თოვლით დაზვინული მთები და ერთ დროს კაშკაშა მაღალი მწვერვალები ზამთრისეული დღეებისა არ იყოს, აღარც ამჯერად ილანდებოდნენ, კვლავაც შეჭყუჟოდნენ სივრცეს, მოღრუბლულ-ჩამოჟალტამებულ, ფერგამკრთალ ცასა და სქელ, გაუვალამაზრზენ ჯანღ-ბურუსს.

გამუდმებულმა წვიმამ, კაეშნად რომ გასჯდომოდა არემარეს, ხეებიც დაანესტიან-ჩამოასევდიანა, ოღონდაც ერთი რამ სიკეთე კი მოიტანა, კიტრი შემოვიდა ბარაქიან-ხვავრიელად, მაგრამ დიდი ვერაფერი ნუგეში იყო გლეხკაცისათვის, თუმცაღა სევდანარევი ხუმრობა-ანცლობის გუნებაზე კი მოდგა, თავის ქება კიტრადაო, შეიხსენა. თომას გაახსენდა მაშინ პირველად ეგ ანდაზა: ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ ქართველი კაცის ამბავი, ცოტა წატრაბახება გვიყვარს ხოლმე და ის სოფელი ხომ არ იქნებოდა გამონაკლისი, შეხვდებოდნენ გლეხები ერთმანეთს და ერთი და იგივე ისმოდა სულ — არ იქნა. არ გამეიდარა, მარა კიტრია ჩემსას იმფერი, იმფერი რომე, რა გინდა, სულო და გულო, ავ თვალს არ ენახებაო... თომა იყო მხოლოდ ხმაგაკმენდილი და ეგონათ, არაფრად ვარგა თომაიე უკულმართის კიტრიო... ის კი ისმენდა ტრაბახს მეზობლებისას და აევსებოდა საცა იყო მოთმინების ფიალა, ითმინა, ითმინა და საშველი რომ აღარ დაადგათ, მოჭუტა თვალები, როგორც სჩვეოდა, გამჭოლი მზერა მიაპყრო მეზობლებს და დინჯის ხმით წარმოსთქვა: „თავის ქება კიტრადაო, თუ გაგიგონიენ თქვენ, აი, მასეა ახლა თქვენი საქმე, უბედურებო თქვენ, სიმინდი არ იქნება წროულს და ყურძენი, ჩამოლპა ცაი და ქვეყანა და თქვენც დაგალპობთ საცაა ამდენეთი წვიმა, თქვენ კი დაგიფჩენიენ პირი და ტრაბახობთ, ჩემი კიტრი და ჩემი კიტრიო. ფუი, ხალხი არ იყოთ თქვენ..."

ჩაქინდრეს გლეხებმა თავი მორცხვად და დანაშაულიც იგრძნეს, მერე კი ეპიდემიასავით მოედო სოფელს: თავის ქება კიტრადაო, გაიხმოდა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, იყო თუ არა საჭირო და იცინოდნენ სევდიანად...

დამძიმებულ-ჩამონესტიანებულიყო ჰაერი, ხოლო ის გადაუღებელი წვიმა უმურ გუნებაზე აყენებდა ადამიანს, არადა, მუშაობაც შეუძლებელი იყო ღვთის რისხვასა და კოკისპირულში, როგორმე რომ გადაეყოლებიათ გული... გათენებისთანავე ისმოდა დედაკაცების გულიანი წყევლა-კრულვა, დანდობა აღარ იყო, ქმარ-შვილსაც სწყევლიდნენ და ფრინველ-საქონელსაც, განსაკუთრებით კი ძაღლებსა და ღორებს — ძაღლებს, ვგონებ, ზედმეტად ერთგულნი რომ არიან იმიტომ და კუდის გამუდმებული ქიცინისათვის, ასეთები ვართ ჩვენა, ყველანი, ადამიანები, არ გვიყვარს მოსაბეზრებელი ერთგულება; ხოლო ღორებს, თავიანთი ღორული ხასიათისადა გამო... კაცებს კი სმის ხალისიც წართმეოდათ და დროსტარებისაც, ზამთარში სხვა იყო, ღვინოსაც გემო ჰქონდა მაშინ და პურმარილ-ქეიფღრეობასაც, ერთი კია, ხალხი ამჯერადაც, ისევ როგორც დიდთოვლობისას, ცისკენ იმზირებოდა, მით უმეტეს ღამ-ღამ, ეგება გვეშველოს, ვარსკვლავმა მოჭედოს ცის გუმბათიო. თუმცა თავდაპირველად იქცეოდნენ ასე, მერე კი ესეც მობეზრდათ, ჩაიქნიეს ხელი, ბედს დამორჩილდნენ... გალუმპულ, დასევდიანებულ ქათამს დამსგავსებოდა გარემო. წვიმდა კოკისპირულად და გადაუღებლივ, მაგრამ შემდგომ, როგორც ყველაფერს, ამინდის ახირება-ჭირვეულობასაც გამოუჩნდა დასასრული: აიხედა ერთ საღამოსაც სოფელმა ზევით და ამოისუნთქა განცხრომით, უამრავი წვრილი ვარსკვლავი შესეოდა ცას და ნელინელ, მომხიბვლელად მიცურავდა სავსე მთვარე. გამხიარულდა იმ საღამოს ხალხი და გამართლდა იმათი წინასწარმეტყველება, მცხუნვარე მზე ამოვიდა მეორე დილით, უთენიაზევე ამოიწვერ-ამოკაშკაშდნენ ის შორეული, მარადიული თოვლით დაფარული მთაგრეხილები თუ მაღალ მთათა მწვერვალები და გუნებაც მაშინვე გამოუკეთდა სოფელს, უმალ შეესია ხალხი ბაღ-ბოსტან-ყანა-ვენახებს, შრომა და ოფლის აშმორებული სუნი მონატრებოდა გლეხკაცს, და ნინუცა ხომ არ იქნებოდა გამონაკლისი, ხალისი შეემატა, თუმცა გაბეზრებულ-გატანჯულიყო ქალი, წლევანდელი ზამთრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დიდთოვლობამ, ადრეული გაზაფხულის გამუდმებულმა თოვლჭყაპმა და ზაფხულის დახაწყისის გადაუღებელმა წვიმამ სახსრები დაუავადა და ნინუცამ თავის სიცოცხლეში პირველად მაშინ გაიგონა იმ დაავადების აღმნიშვნელი სიტყვა — რევმატიზმი. იმ დილით კი გახალისებულიყო ისიც, მზე აბდღვრიალებდა გარემოს და სახსრებიც აღარა სტეხდა ისე მტკივნეულად.:.

— რაცხა გამიხარდება დღეს, — უთხრა აპოლოს, როგორც კი მზემ ჩამოაცხუნა, — გული მიგრძნობს და სიზმარიც მაქვს კაი, ნენა, ჩემი მონატრებული შვილი, — ჩამომდნარიყო უარესად ქალი, ალბათ სახსრების ბრალი თუ იყო, ახლა კი გედეონი დასდგომოდა თვალწინ და ფერი მოსვლოდა, — რაფერია ნეტე, რალა წროულს გოუშვეს იმ რაცხა პრაქტიკაზე თუ იხრობაზე, ჩამოსულიყო ერთი, დეისვენებდა...

ხოლო აპოლო ყანაში წასასვლელად ემზადებოდა, გამხიარულებული გამოიყურებოდა მაშინ, იმასაც გადასდებოდა სხვათა ხალისიანი განწყობილება: ჩქარ-ჩქარა უსვამდა ქლიბს თოხის პირს და ხანდახან ცოლს შეავლებდა მზერას, ხოლო ხმა რომ ჩაესმა ქალისა, ჩაფიქრდა, გაახსენდა, სიზმარი რომ ენახა წუხელ, სურდა მოგონებოდა როგორმე, მაგრამ ვერ იქნა, ვეღარ აღიდგინა, ისე კი დარწმუნებული იყო, კარგი სიზმარი ვნახეო და ცოლს უთხრა:

— მეც კაი სიზმარი მაქვს, ნინუცა, რაცხა გამიხარდება, შენი არ იყოს...

ნინუცა თავიდან ღიმილით უსმენდა აპოლოს, მერე კი უცებ მოიქუფრ-აიმრიზა და კაცს არ გამოჰპარვია, რა ჯანდაბა ეტაკაო, — გაიფიქრა და ქლიბი გაუსვა ისევ თოხს, თან მალიმალ გადახედავდა ქალს, ის კი ვეღარ მომდგარიყო გუნებაზე და იცოდა აპოლომ, აქაქანდებოდა საცა იყო, ცნობისმოყვარეობას დამორჩილებული ელოდა, რას იტყვისო, კარგა ხნის ლოდინი დასჭირდა, ვიდრე ნინუცა წამოიწყებდა ლაპარაკს:

— ჩამოსულიყო, რა იქნებოდა ვითამ გედეონი, თომაიეს ჯინაზე მაინც გვსტუმრებოდა, წერილიქი მივწერე, მარა რათ გინდა, ვერ მეიცალა ალბათ...

—თომაიეს ჯინაზე? — ყურადღებად იქცა აპოლო. — რავა, გითხრა რამე თომაიემ თუ? ხომ არ შეგხვედრია გზაზე, მაი უკულმართი...

— ამ, არა, — თქვა ნინუცამ — რა უნდა ეთხრობია, იმ დღის მერე რავა გავცემ ხმას, ტრაქტორისტობა ესტავლა, იგი აჯობებდაო, გედეონზე რომ თქვა. მარა, ბიჭი იყო მისი ჩამოსული წროულს, ჰოდა, ჩამეიარა გუშხამ ჩვენს ჭიშკართან თომაიე უკულმართმა, არ მივსალმებივარ, გამეიხედა ჩემკენ და ჩეიცინა ჩუმათაი, აბა, უხაროდა ალბათ, მისი დამთხვეული დოცენტი შვილი რომ ჩამოეთრა და გედეონი აღარ გვსტუმრებია ზამთარს მერე...

— ეჰ, არ თქვა მაი, ნინუცა, ხუთი წელია აღარ ჩამოსულა თომაიეს ბიჭი, წროულს მოახერხა რაცხაფრად და იგიც ორ დღეს დარჩა მარტო, გედეონი კი წელიწადში ორხელ ჩამოდის მაინც, ხომაა ასე, — ჩაფიქრდა აპოლო, თოხის პირს აუსვ-დაუსვა თითი, ფხა მოსინჯა, მერე ისე გადახედა ნინუცას, ეტყობოდა, რაღაც უნდა ეთხოვა, მიუხვდა ქალი: „რაცხას მეტყვის ახლა მაი დაწყევლილი, ყანაში წამომყევიო, არ მითხრას, თუ არა, გედვირიე და მაია...“ არც შემცდარა, — რას გეტყვი იცი ახლა, ნინუცა? მოდი, ქენი ერთი მადლი და წამომყევი დღეს სათოხარში, უცებ მოვრჩები საქმეს, მოვბრუნდეთ მერე, სახლკარს მივხედოთ, რას იტყვი, ხომ აჯობებს...

— აჰ, რას ჩივი, აპოლო, — თქვა ნინუცამ და საგონებელს ჩავარდა, რაიმე დამაჯერებელი მიზეზის პოვნა სურდა, ეზარებოდა ახლა ყანაში ყურყუტი და აპოლოს ცქერა, გაეღიმა ბოლოს. — ხომ გახლდი ამას წინათ, იმ თავსხმაში, აპოლო, ახლა კი შენ წაი მარტვა, მე კი ოჯახს მივხედავ, რა იცი, რა ხდება, ეგება გედეონი ჩამევიდეს დღეს...

მზე კი უფრო მაღლა და მაღლა ადიოდა, ანათებდა და კიდევ უფრო მეტად ხდიდა საჩინოს ამწვანებულ სივრცეს, განბანილსა და ხასხასას, იმ შორეულ მთაგრეხილებსა თუ მწვერვალებს, ახლომახლო გორაკებსა თუ ფერდობ-ბორცვებს, ჩამუქებულ მაღალ მთებსა და ყველაფერს ირგვლივ... თვალნათლივ ჩანდა, როგორ შრებოდა გადაუღებელი კოკისპირული წვიმებით დანესტიანებული მიწა და ხეები, ჰაერშიც აღარ ტრიალებდა ის მოსაბეზრებელ-ყელშიამოსული სუნი ნესტისა, გარემო ნელინელ და თანდათან იელინთებოდა მხურვალებით და თვალი რომ შეგევლო, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდა, თითქოს ლამაზად ენთო და გიზგიზებდა მთის ფერდობზე დაკონწიალებული ის კოპწია სოფელი,..

ნინუცა აპოლოს გასცქეროდა, ნასიამოვნები იყო ახლა დიაცი, რაღაი შინ დარჩენა მოეხერხებია, ხოლო აპოლოს თოხი გაედო მხარზე და მიდიოდა დინჯად, საერთოდ არ ჰყვარებია აჩქარება, ახლა კი სიარულზევე ემჩნეოდა, გუნება მოშხამოდა, ვერა და ვერ გადასჩვეოდა ცოლის თანდასწრებით მუშაობას, რასაც ვერაფრით ვერ შეგუებოდა ნინუცა, მიაბიჯებდა, დაჰკარგვოდა ხალისი შრომისა, მზის ამოსვლისთანავე რომ დაეუფლა და ამიტომაც თუ იყო, სიკვდილზე ფიქრობდა, კიდევ რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩენიაო, ამის ამოცნობა ეწადა...

ხოლო ნინუცა დიდხანს გასცქეროდა ქმარს კმაყოფილ-ნასიამოვნები და მერეც იქ იდგა ფეხმოუცვლელად, კაცი რომ გაუჩინარდა, გაშეშებულიყო ერთ ადგილზე ჩაფიქრებული და გონარეული, ბოლოს კი ღიმილმა გადაურბინა უცებ სახეზე: „რაღაც უნდა გამიხარდეს დღეს, გედეონი ჩამოვა ალბათ, დაუმთავრდა ეგება პრაქტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კა..." ეს რომ გაიფიქრა, გამოერკვა მაშინვე, თავი დაალწია გარინდებას, ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას ოდისაკენ და კარგა ხანს აღარ ჩამოხცილებია ის აკვიატებული ფიქრი, სურდა გამოეცნო წინასწარ, რა მოხდებოდა სულ მალე და ამიტომაც იყო, ვერა და ვერ დაუდო გული საქმეს, დაფრატუნობდა მთვარეულივით და, ცოტა არ იყოს, ღიზიანდებოდა კიდეც თანდათან, ნანობდა ახლა, ნეტავ აპოლოს გავყოლოდით...

ასე და ამ ყოფაში მოაღწია შუადღემ, ნინუცას კი სადილიც არ ჰქონდა გამზადებული ჯერ, ამგვარი რამ კი არა სჩვეოდა, მუყაითი დედაკაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი სოფლად, ეხლა კი მონუსხულს დამსგავსებოდა... ბოლოს, როგორც იქნა, სძლია თავს და საჭმლის დამზადებას შეუდგა — ააგიზგიზა ცეცხლი სამზადში, ჭადები დააცხო კეცზე და აფაცურდა თავისებურად, ორიოდ საათში მოითავა სამზადი და ოდაში ტრიალი და მერე ბოსტანში საქმიანობდა, სახიამოვნოდ თენთავდა მზისგულზე ტრიალსაქმიანობა... მზეს უკვე გაეშრო მიწა, ოდნავღა თუ იგრძნობოდა სინესტე და საღამომდე, ისიც გაქრებოდა ალბათ. მერე კი, შუადღე გადასული იქნებოდა კარგა ხნის, ფოსტალიონი რომ მიადგა ნინუცას ჭიშკარს, ქალი კვლავაც ბოსტანში საქმიანობდა, დაღლილიყო უკვე საკმაოზე მეტად, გასცლოდა ქანცი, მაგრამ არად აგდებდა, დილიდანვე აკვიატებული კარგის მოლოდინი ანუგეშებდა და ხალისსაც მატებდა. ისიც საქმე იყო, ხახსრების ტკივილი რომ აღარ ახსენებდა თავს... „ნინუცა", ჩაესმა უცებ და დაიძაბა. ცოტა ხნის შემდგომ კიდევ გაისმა:

— შინ ხარ, ქალო, ნინუცა, გამეიხედე ერთწამას...

— მობრძანდით, — დაიძახა როდის-როდის და ცქაფი ნაბიჯით გატუსტუსდა ბოსტნიდან, მერე კი, ფოსტალიონს რომ მოჰკრა თვალი, დაფრთხა: — მობრძანდით...

ხოლო ფოსტალიონმა ჭიშკარი შეაღო და კოჯლობ-ჩლახუნით აუყვა ეზოს, თანაც გულმოდგინედ იყურებოდა აქეთ-იქით, ბოლოს ნინუცას შეავლო მზერა: ქალი იდგა და გასცქეროდა, როგორ მოქანაობდა სვენებ-სვენებითა და ნება-ნება — „თუ დაადგეს ერთი საშველი, რა უნდა იყოს ახლა, ა? ამეილებდეს ერთი ხმას, მაი მოსახპობი, წერილი თუა გედეონის"...

საოცრად ჭიანურდებოდა დრო, ვიდრე ჭიშკრიდან ამოაღწევდა ფოსტალიონი და აჰა, შეჩერდა ქალთან, როგორც იქნა, და თქვა:

— დეპეშაა თბილისიდან...

ამჯერად წელანდელზე უარესად აირ-დაირია ქალი, სახსრების ტკივილმაც უმალ შეახსენა თავი, სახე აუვარვარდა მოულოდნელობისაგან, ხოლო შუბლი უცებ დაეცვარა ოფლის ხშირი წვეთებით. შეავლო მზერა ფოსტალიონს, როგორც კი ოდნავ მოეგო გონს, დაეჭვებულ-სასოწარკვეთილმა, ენა ჩავარდნოდა თითქოს, თან ფიქრითაც ველარაფერს ფიქრობდა. ფოსტალიონი კი იღიმებოდა და, როგორც ჩანდა, ხმის ამოღებას არ აპირებდა. ამან ხომ მთლად გადარია ნინუცა, აირია უარესად, წაერთვა უნარი აზროვნებისა და, როგორც ყოველთვის, მსგავსი ვითარებისას, როცა გაურკვეველი იყო ხოლმე რაიმე, ამჯერადაც წყევლის გუნებაზე მოდგა.

— ხომ მშვიდობაა, ა? — თვალი თვალში გაუყარა ფოსტალაიონს, — მითხარი ბარემა, შე კაცო...

— მშვიდობაა, აბა რაი, თითქოს ეზარებოდა სიტყვის დაძვრა. — დეპეშაა...

— დეპეშა? — ქალს ახლა უარესად გაუოფლიანდა შუბლი. — ვის უნდა გამოეგზავნა, ხომაა მშვიდობა...

— კია, კი, — ნაჩქარევად წამოიწყო ფოსტალიონმა, მხოლოდ ახლაღა მიხვდა იგი, რა დღეში ჩავარდნილიყო ქალი, შეათვალიერა გულდასმით, ის ხშირი ოფლის წვეთებიც კარგად შეამჩნია, შუბლი რომ დაეცვარა ქალისთვის და ცრემლიც, თვალებში რომ ჩასდგომოდა. — მშვიდობაა, ნინუცა, აბა, რაი, სასიხარულო ამბავი მოგიტანე, — კიდევ უფრო გულღიად გაუღიმა ფოსტალიონმა; — ცუდი ამბავი და უბედურება მტერს, თქვენ ღმერთმა გაშოროთ, ნინუცა ბატონო, ა, შე ქალო, რამ შეგაშინა, წაგიკითხავ ახლავე, გედეონის დეპეშაა, ისე, შვილი შენ და აპოლომ უნდა დეიკვეხნოთ მართლაც, გასახელათ ამ სიბერეში და მაია, — ამოიოხრა ფოსტალიონმა ღრმად. უშვილძიროდ გადაგვარებულიყო ეს კაცი და ამიტომაც ამოიოხრა ალბათ, მერე სევდა ჩამოიცილა, გაიღიმა ერთხელ კიდევ და დეპეშა ამოიღო ჩანთიდან, მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა, თან ხმაც დაიბოხ-გაიხავერდოვანა საგანგებოდ, — ოცდაცხრაში საღამოს ცხრა საათზე ტელევიზორში იქნება გადაცემა ჩემზე. გედეონი, — მიჩუმდა ერთხანს და განაგრძო: — აბა, რას ვამბობ მე, რავა გასახელათ მართლაც...

ხოლო ნინუცა აფორიაქებულიყო საშინლად, მოსმენით კი უსმენდა ფოსტალიონს და თავსაც უქნევდა თანხმობის ნიშნად, მაგრამ ის არ იცოდა, რას ლაპარაკობდა, თვალთაგან უკვე ღვარად სდიოდა ცრემლი, სახე ჩვეულებრივზე უფრო მეტად დანაოჭებოდა ახლა და იმ ნაოჭებს ჩაჰგუბებოდა და ღალმა-ღალმა ჩასდევდა ცრემლი, ნიკაპზეც ჩაედინებოდა და იქიდან კი წვეთწვეთად ეცემოდა დეპეშას, რომელიც მომჭკნარმიყვითლებულ თითებში ეკავა დედაკაცს და უაზროდ ჩასცქეროდა, სახეზე კი იმ ცრემლის მიუხედავად, ღიმილი მოჰფენოდა მაინც და ყველაფერი ერთად: ღიმილი და ცრემლი, დაღარულდანაოჭებული სახე, აცახცახებული მომჭკნარი თითები და უცნაური აფორიაქება შემზარავი გახლდათ, ამიტომაც იყო, ფოსტალიონმა ზიზღნარევი შიში იგრძნო, ხან ქალის დაღარულ სა-

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესა და ღიმჩამდგარ თვალებს შეავლებდა მზერას — ცრემლი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა ნინუცას—ხან კი დეპეშას ჩამჯკნარ, წვრილი, ძაფისებური ძარღვებით დაფარულ ხელში რომ ეკავა ქალს და თანდათან უძლიერდებოდა შიში ფოსტალიონს, ისე შემზარავად ეჩვენებოდა ის ჩია, სახედალარული აცრემლებულ-გაღიმებული ქალი და ალბათ საცა იყო, ჰიშკრისაკენ გადადგამდა ნაბიჯს. წავიდოდა ხმის ამოუღებლად, მაგრამ არა, შენიშნა, ცრემლი რომ შეიმშრალა ნინუცამ თავსაფრის ბოლოთი და, ამასთან ერთად, თითქოს ის ნაოჭებიც გაუქრა უცებ, წელან უეცრად რომ მისჯარვოდა ცრემლით დამბალ სახეზე, შუბლზეც გაქრობოდა ოფლის ხშირი წვეთები, ღიმილი კი ჯერაც არ ჩამოსცილებოდა და საოცრად კეთილ იერს აძლევდა, მეტყველსა და მომნუსხველს, გაოცებას იყო ფოსტალიონი ქალის ასეთი უეცარი ცვალებადობით. ნინუცას კი ხელის თითები უთრთოდა იმ დროს და გულდასმით ჩასცქეროდა დეპეშას.

— ტელევიზორში, აბა, კაცო? — წარმოსთქვა ბოლოს — ტელევიზორში გამოდის ჩემი შვილი...

— კი, — მიუგო ფოსტალიონმა. ამჯერად მის წინ კვლავაც ჩვეულებრივი ნინუცა დამდგარიყო, წლების მანძილზე რომ ბრძანდებოდა. — წავალ, ახლა მე, ნინუცა, თვარა, ქვეყნის საქმე მაქვს, კარგად იყავი...

— აჰ, — გამოერკვა უცებ ნინუცა. — რას ჩივი, შე კაცო, რა დროის წასვლაა ახლა, ასე უპატივცემოდ გაგიშვებ? არ იცოდე ვითამ ჩემი ამბავი...

— უჰ, უჰ, — აქოთქოთდა უცებ ფოსტალიონი, აფაცურდა კიდეც და უარის ნიშნად ცოცხლად გადაიქნია თავი რამდენჯერმე აქეთ-იქით, ხელებიც აასავსავა, თანხმობის ნიშანი უფრო იყო ამგვარი უარი. — ვერა, ნინუცა, ვერ დავლევ ვერაფრით ახლა მე, ხომ იცი შენც, საქმე რომ მაქვს ქვეყნის...

— არაყი მაინც დაგელია, შე კაცო, ვერ გაგიშობ ისე...

და ნინუცამ ნაბიჯი წადგა წინ, მიჰყვა ისიც კოჰლობით, რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, შეჩერდა და უკუიხედა ქალმა; ხან მასპინძლის ეზო-გარემოს ათვალიერებდა ფოსტალიონი გზადაგზა, ხანაც წინ მიმავალ ქალს და რაკი ახლა ხახელდახელო სუფრაზე უარის თქმა ზედმეტი იქნებოდა და ყალბიც, დინჯად წამოიწყო:

— არაყს ქი დავლევ, ნინუცა, ახლა მე, მართალი გითხრა, ნაქეიფარი ვარ წუხანდელი და გამომაკეთებს პაწეს...

სამიოდე ჰიქა არაყი გამოსცალა ფოსტალიონმა და დაემშვიდობა ნინუცას, ამჯერად უფრო კოჰლობითა და ბანცალ-ბანცალით დაადგა გზას. ჰიშკრამდე ჩააცილა ქალმა სტუმარი, შეჩერდა იქ, ჩაფიქრებულიყო და თვალმოუცილებლად გასცქეროდა მიმავალს, მაგრამ იმაზე როდი ფიქრობდა, შვილი დასდგომოდა თვალწინ, უცინოდა და უკაშკაშებდა სახე, მერე კი ირგვლივ ჩამოწოლილი სალამოსპირა მყუდროება სოფლისა მისმა ხმამ დაარღვია:

— პალიკო, უუუ... — გაჰკიოდა წვრილის ხმით, დაძაბულ-დაჰიმულიყო ერთიანად, პალიკო,უუუ!.. — მერე კი პასუხს რომ ვერ ელირსა, ხმადაბლა ნათქვამი წყევლა გაისმა მისი;— დაგაყრუა და დაგივსო მაი ყურები მამაზეციერმა და კვლავ აუმაღლა ხმას, — პალიკო, უუუ!..

— უუუ, ნინუცა ბიცოლა, რა გნებავს, — გაისმა კარგა ხნის ლოდინის შემდგომ ფერდობგადაღმიდან, — მოვდივარ, ნინუცა ბიცოლა...

ავარვარებული მოვარდა პალიკო, ჯანსაღი ფერი მოსდებოდა ოფლით დაცვარულ, წამოჭარხლებულ სახეზე, მოირბინა თუ არა, გამარჯობათ, ნინუცა ბიცოლაო, და ყურადღებით შეათვალიერა, რას მეტყვისო...

— პალიკო, ნენა, რა მინდა გითხრა ახლა იცი, შენ? — წამოიწყო ალერსიანად ნინუცამ, — სათხოვარი მაქვს რაცხა და ნუ დამზარდები, აგერ დეპეშა მივიღე გედეონის, ტელევიზორში გამოდის თურმე ხვალ, სალამოს ცხრა საათზე... მოი ერთი და, გადადი მეზობლებისას, გააგებინე ყველას მაი ამბავი...

— კი, ნინუცა ბიცოლა, — უმალ დასთანხმდა პალიკო, ის კარგი დღე გაახსენდა ზამთრისა, ჩურჩხელებით რომ გაუმასპინძლდა ნინუცა, გადავირბენ ახლავე....

— აჰ, ახლა არ გინდა, ნენა, დეისვენე პაწა ხანს, წამომყევი ერთი, კამფეტი მაქვს შენახული შენდა...

— რას გეტყვი იცი, პალიკო? — თქვა ნინუცამ, ჯიბეში რომ ჩაიყარა კამფეტი ბიჭმა, — გრძელი დღეა ახლა, ხომ იცი ზაფხულის ამბავი, ხალხი სათიბარში იქნება გაკრეფილი, არ აჯობებს ვითამ, ადგე და სალამოს გააგებიო გედეონის ამბავი მეზობლებს?..

— კი, ნინუცა ბიცოლა, სალამოს იყოს, — ჩაფიქრდა წამით პალიკო, — თომა ბიძიესაც გავაგებიო თუ...

— თომას? — მართლაც დიდი საფიქრალ-თავსამტვრევი გაუჩნდა ნინუცას: ორჭოფობდა, ხან გაუფერმკრთალდებოდა და ნაოჭებით დაეღვარებოდა სახე, ხან კი აულაჟღაჟდებოდა, სახსრების ტკივილიც შეახსენებდა ხანდახან თავს. „აპოლო მაინც ყოფილიყო, ვკითხავდი და მირჩევდა რაცხას“... ბოლოს გადაწყვიტა, როგორც იქნა, ორჭოფობა-მერყეობის შემდგომ, — უთხარი ბარემლა თომაიე უკულმართსაც, პალიკო, ნახოს მაგ წამხდარმაც, რავა გამოვა ჩემი გედეონი ტელევიზორში, პირველად მისას გადეირბინე აბა, და დააკვირდი ერთი, რაფრა მეიქცეს...

ხოლო მერე ერთი სული ჰქონდა ნინუცას აპოლოს მობრუნებამდე, უაზროდ წრიალებდა, ედებოდა ღობე-ყორეს, საქმეს კი ველარაფრით უდებდა გულს... დრო კი ნელა მიზოზინობდა და მიაგნო ბოლოს ნინუცამ გამოსავალს: ავიდა ოდაში და გედეონის წერილები ამოალაგა სკივრიდან, საგულდაგულოდ რომ ჰქონდა გადანახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, გაშალა მაგიდაზე, გავერთობი კითხვით, თან დროც მალე გავაო და მართლაც ისე ჩაითრია ბარათებმა, აპოლო აღარ გახსენებია. ბუტბუტითა და დამარცვლით კითხულობდა, სახე დამშვიდებული ჰქონდა იმ დროს, თითქოს ნათელი დაჰფენოდა ზედ, სიკეთის სხივი ჩასდგომოდა თვალებში და გალამაზებულიყო კიდეც უცნაურად, ის თვალზე მომდგარი ცრემლიც ამშვენებდა და ამოოხვრაც დროდადრო რომ გაისმოდა, ჩურჩულიც — ნენა, ჩემი მონატრებული შვილიო... აპოლოს ხმის გაგონებამ შეაწყვეტინა ის სასიამოვნო საქმიანობა ქალს...

— საჭმელი თუა, ქალო, საჭმელი! — ისმოდა ეზოდან, ქოთქოთებდა აპოლო დედაბერივით. — გამოგაშტერა და გამოგაყრუა, ნინუცა, მამაზეციერმა...

მაშინღა გამოერკვა ნინუცა, მკვირცხლად ჩაირბინა ეზოში, ხოლო აპოლო, მიუხედავად იმისა, საშინლად რომ იყო გაანჩხლებული, გააოცა ქალის საქციელმაც და იმის სიტყვებმაც...

— საჭმელი რავა არ იქნება, აპოლო, შე კაცო, — დამტკბარის ხმით მიმართა ქალმა, თან კი სიკეთე ელვრებოდა თვალთაგან, შეცვლილი ჩანდა დილას აქეთ, ემჩნეოდა ახლა აშკარად, გულით ეწადა რაიმე ესიამოვნებია ქმრისთვის, აპოლო კი ამგვარ ამბებს არ გახლდათ მიჩვეული, — მაგიზა იშლი ძარღვებს? როის იყო საჭმელი არ დამიხვედრებია შენდა, მაგი კი არა, რავარც ქი შეგაგვიანდა, ვიფიქრე, რაცხა ფარცაგი არ უნდა იყოს მის თავს-მეთქი, აბა, ვინანე ბევრი, წავყოლოდი სათოხარში, იქ რომ ვეყოლებოდი, საქმეს უფრო დაუდებდა გულს-მეთქი, წაგეხმარებოდი კიდეც პაწეს, გავახაზირებ ახლავე ვახშამს და სასიხარულო ამბავიც მაქვს ერთი...

ხოლო აპოლო, კარგა ხნის გადაჩვეული გახლდათ მსგავს საქციელს მეუღლისას, იმდღევანდელი ალერსიანი შეხვედრა, რომელსაც არ მოელოდა არაფრით, გარდასულიდან შემორჩენილიყო შემთხვევით, ჩავლილ-გამქრალი წლებისა იყო, როდინდელი, ახლა ბევრიც რომ ემტვრია თავი, ვერ გაიხსენებდა მაინც, ისე მისცემოდა მივიწყებას: ჰო, ძალზე დიდი ხნის წინათ იყო, დღევანდელსავით ტკბილად რომ ხვდებოდა ხოლმე ნინუცა სათოხარიდან თუ სხვა რამ საქმიდან შობრუნებულ გადაღლილ ქმარს, ქორწინების თავდაპირველ მივიწყებას გაყოლილ დღეებში და ისიც არცთუ ისე დიდხანს, მხოლოდ იქამდე, ვიდრე გედეონი მოევლინებოდა ქვეყანას, აი, მაშინ სჩვეოდა ნინუცას სევდანარევი, სათნო ალერსის გამორევა ხმაში, ქმარს როცა მიმართავდა ხოლმე, თავგზას რომ აკარგვინებდა ერთიანად და ტკბილ, თითქოსდა ზმანებისეულ მორევში ატივტივებდა და კაცს ალბათ ვერასდროს ველარ შეახსენებდა თავს გარდასული, იმდღევანდელი დღე რომ არა და ახლა ფერდაკარგული, ხნეულში ჟრუანტელგამჭდარი და აღფრთოვანებას მინებებული შეპყურებდა ცოლს. ქალი კი აკაშკაშებულიყო, იხევ ის მომხიბვლელი ღიმილი უნათებდა თვალებს, მარტოოდენ აპოლოსთვის განმიზნულ-განკუთვნილი და კაცს გარდასული შემოხვეოდა გარს, მივიწყებას გაყოლილი, მათი რობელა სურნელსა და ბურუსში დაძირული დღეები, ჩაფიქრებულიყო, ვერა და ვერ გაეხსენებია, როდის გამოურია ნინუცამ პირველად საუბარში წყევლა-კრულვა-უხეშობა... თავიდან კი, აი, მაშინ, როცა ამ ოჯახში შემოდგა ფეხი, სიტყვას არ დასძრავდა ღიმილგარე, ერთთავად თვალებში შესციცინებდა ქმარს, გამოცნობა სურდა, რა ესიამოვნებოდა და რაკი გულით ცდილობდა, როდი უჭირდა, ადვილად აღწევდა საწადელს; ყოველი საქციელი ახარებდა იმ ხანებში აპოლოს ცოლისა, ყველაზე მეტად კი ის ღიმილი, რომელიც თავგზას აკარგვინებდა, თუმცაღა გარიგებითა და მაჭანკლის მეშვეობით შეექმნათ ოჯახი, მაგრამ სიყვარულმა მერე და მერე დაარია ხელი აპოლოს და დაიმორჩილა კიდეც, მას შემდგომ, როცა მისი ცოლი გახდა ნინუცა, იქამდე კი მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი და ისიც შემთხვევით, ისე რომ არ დაჰკვირვებია მაშინ და ცხადია თავისთავად, იმის ავ-კარგს როგორღა შეაფასებდა, ოღონდაც ეგ კი დამახსოვრებოდა კარგად, ერთი ჩამომხმარ-ჩამომდნარი დედაკაცი რომ იყო, ცარიელა ძვალი და ტყავი, სხვა რამ ღირსება-ნაკლოვანება ქალისა არ აინტერესებდა მაშინ და, აი, გამოხდა ხანი და გაურიგა ერთმანეთს მაჭანკალმა ნინუცა და აპოლო და სიყვარულმაც მას შემდგომ მიაკითხა ცოლქმარს, ნამდვილმაცა და დამარბეველმაც, ალბათ იმიტომ, თავშენახულ-დაუხარჯავნი რომ გახლდნენ ამ მხრივ, იქამდე არცერთს არ განეცადა ეგ გრძნობა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, ასაკით კარგახნისანი ბრძანდებოდნენ.

სიყვარულით კი მართლაც მძაფრადა და თავდავიწყებით შეუყვარდათ ერთმანეთი, მტკივნეულადაც, ცხადზე უცხადესია, შეჩვევაც იქნებოდა ერთურთთან და შესაძლოა, აგრეთვე წლებისა და ასაკის მატებასთან ერთად, იძულებით მიძინებულ-მივიწყებული და ნაძალადევად ჩახშობილი გრძნობების, ვნებათა თუ ბუნებრივ სურვილ-მისწრაფებათა, რაც გინდა უწოდე, სულ ერთია ესა, ნაგვიანევი გამოღვიძებაც და ის ენერგია, ტრფიალს რომ ესაჭიროება, თავადაც რომ არ მოელოდნენ, საკმაოზე ჭარბად აღმოაჩნდათ და სწორედ აი, იმ ჟამებში მისჩვეოდა აპოლო საქმიანობისას ცოლთან ყოფნას: ყველგან თან დააპწიალებდა ნინუცას, წამით არ ჩამოიცილებდა გვერდიდან არც სათოხარში და არც იმდაგვარი საქმიანობის ჟამს, სადიაცოდ რომ არ ითვლება — ულრან ტყეშიაც წაუყვანია ხშირად, შეშის საჭრელად რომ წასულა და კურდღელზე სანადიროდაც, ოღონდ ეგ კია, ქალს არაფერს აკეთებიებდა, უბრალოდაც არ გაანძრევიებდა ხელს, ჰყოლოდა ოღონდაც ყოველთვის გვერდით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობისას ჟამდაჟამ შეევლო მზერა მისთვის. ამ ამბავმა კი მართლაც ლაზათიანი ჭორები და მითქმა-მოთქმა გამოიწვია სოფლად, არ ვიცი რისი ბრალია, იშვიათობა რომაა, ალბათ იმისი, ხალხს მაინცდამაინც როდი ეხატება გულზე ერთმანეთს გადაყოლილი და ერთურთისათვის დაზაფრულ-ჭკუადაკარგული ცოლ-ქმარი: დასცინოდნენ და აბიაბრუებდნენ კიდეც ზურგს უკან თანასოფლელნი ნინუცასა და აპოლოს, სარეცელი ვერ იმყოფინეს, ბალახი ახლომახლოში მაგათი გადათელილია ხულო და ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო და სოფელსაც ეწადა, იმათ ყურამდეც მიაღწია ხალხის ქილიკ-მასხრობამ, მაგრამ ამაოდ, ყურადღებასაც არ აქცევდა ცოლ-ქმარი მეზობელთა მითქმა-მოთქმასა და ჭორებს და სოფელსაც მეტი რაღა დარჩენოდა, შეეჩვია ადვილად ნინუცასა და აპოლოს თითქმის ყველგან ერთად გამოჩენას და დაცინვასაც უკლეს. ცოლ-ქმრის დრო კი სიამტკბილობასა და ერთურთის პატივისცემაში გადიოდა, მაგრამ შემდგომით შემდგომ თანდათანობით შეაჩვია ენა ნინუცამ აპოლოს წყევლა-კრულვასა თუ უბირად ხსენებას და ქმრისადმი განკუთვნილი ის ძველებური ღიმილიც ისე მისცა მივიწყებას, თითქოს არცა სჩვეოდა ოდესმე და აპოლო იმგვარად მიეჩვია მსგავს საქციელს ცოლისას, თითქოს სხვაგვარი რამ წარმოუდგენელი იყო... ის მუდმივი ღიმილი და ალერსგარეული ხმა ბღვერა-უხეშობით შესცვალა ნელ-ნელა ნინუცამ და აპოლოს არ გაჰკვირვებია, რადგან ვერც შეენიშნა როდის მომხდარიყო ამგვარი გარდაქმნა...

იმ დღეს კი, გალიზიანებული რომ მობრუნდა სათოხარიდან, წარსული გაახსენა აპოლოს ცოლის ღიმილმა და ალერსგარეულმა ხმამ, დაუდგა თვალწინ ცხადად გარდასული და შეცბუნდა, აუჩუყდა გული, ეგეც ცოტაა, ძლივს იკავებდა კაცი თვალს მომდგარ ცრემლს და ზლუქუნს, ყელში რომ გასჩხეროდა, სიყვარულითა და სითბოჩამდგარი თვალებით შეჰმზერდა ცოლს, მადლიერი, მძლავრად შეეჭანჭღარ-ჩაეთრია გარდასულ წლებსა და ამბებს, იმის გახსენება სურდა ამჯერად გულაჩვილებულსა და ტირილის გუნებაზე მომდგარს, როდის დამწყევლა პირველად ნინუცამო, თუმცა ამაოდ, მეხსიერებას ვერ შემოენახა მსგავსი რამ, მივიწყებოდა სამარადისოდ, მაგრამ მოზღვავებულ ბედნიერებას მინებებოდა მაინც აპოლო, ცოლის ცრემლმომდგარ-გაფართოებულ თვალთა მზერა აჯადოებდა, უბედნიერესი მამაკაცი ბრძანდებოდა. მერე კი, როცა შეიტყო მიზეზი მეუღლის იმდაგვარი საქციელისა, ნირი წაუხდა, მტკივნეულად ჩასწყდა გული აპოლოს, სინანული აუფართხალდა სულის სიღრმეში და ამასთან ერთად მძაფრმა, შემზარავმა ტკივილმა გაჰკრა მკერდის არეში, შიგნით, გახარებით კი გაეხარდა, რა თქმა უნდა, შვილის წარმატება, მაგრამ უცნაური რამ მოხდა მის თავს, რასაც ვერაფრით ვერ გაუმხელდა ვინმეს... გედეონის ამბავი რომ უამბო ნინუცამ, ქმარს ნიშანწყალი ვერ შეატყო სიხარულისა და [illegible] არ იყოს, განბილებული დარჩა ქალი, ხოლო აპოლო უბრად შეექცეოდა ვახშამს, უსიტყვოდ გამოსცალა სამიოდ ჭიქა არაყი, სიმწარე გვაშოროსო, არ უთქვამს, ნინუცა კი ელოდა, აი, საცაა გედეონზე დაიწყებს საუბარსო, მაგრამ არ გაუმართლდა მოლოდინი და იმასაც გადაედო წამით ქმრის განწყობილება: მოიქუფრა, საავდროდ შეჰყარა თხელი წარბები, სახსრებმაც უმალ დაუწყო ტეხა, მაგრამ შვილზე დაიწყო მერე ფიქრი და გუნებაზეც მყის მოდგა. ვახშმის შემდგომაც არ დასცდენია სიტყვა აპოლოს, იჯდა მოკუნტული, ერთ რომელიღაც ამოჩემებულ წერტილს მისჩერებოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა ცოლს, ეგ კი არა, ვგონებ ვერც ამჩნევდა მაშინ იმის არსებობას; ნინუცამ კი თეფშები აალაგა, დარეცხა, ამასობაში ჩამობნელდა კიდეც, შუქი ჩართო მერე ოთახში, წამით აპოლოს შეავლო მზერა, რომელიც კვლავ იმ ერთ რომელიღაც წერტილს შესცქეროდა, სიტყვა არ დასცდენია ქალს, ისე გამოჰფინა გაზეთები: ოთახი თოვლს აევსო და დაეფარა თითქოს, საითაც კი გაიხედავდი, გაზეთები იყო გაშლილი ყველგან — იატაკზე, ტახტზე, მაგიდაზე, სკამებსა თუ კიდევ სხვა ავეჯზე, სხვადასხვა დასახელებისა და ფორმატის უამრავ-უამრავი გაზეთი და ყოველი იმათგანიდან გედეონი ამოიმზირებოდა, ღრმად ჩაფიქრებული, თითქმის დასევდიანებულ-ნირწამხდარი შესცქეროდა მშობლებს და ოთახის ჭერსა თუ კედლებს, ბავშვობიდანვე ნაცნობსა და ახლობელს... გედეონის იმ აკვიატებული, ძვალრბილს გამჯდარი ჩვეულებისა არ იყოს, ცოლ-ქმარიც გაზეთებით ირთობდა ხოლმე თავს საღამოობით, როცა საქმიანობას მოითავებდნენ, ვახშმის შემდგომ, დასვენებისას, აუცილებელი რომ იყო ქანცგამცლელი შრომისა და ჯაფის მერე — გამოჰფენდნენ გაზეთებს, დაზედავდნენ გედეონის უამრავ სურათს და დაღლაც უმალ ჩამოსცილდებოდათ და ყოველდღიური საზრუნავიც გადაავიწყდებოდათ, შესცქეროდნენ და შესციცინებდნენ ბედნიერებას მინებებულნი გაზეთებიდან ამომზირალ ხატებას შვილისას და განცხრომას ემორჩილებოდნენ... ეგ ლამისეული საქმიანობა თუ გართობა საერთო გახლდათ როგორც შვილისათვის, ასევე მშობლებისათვის, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ერთურთისაგან დამოუკიდებლად მიეგნოთ ამ გასართობისთვის, ვინ უწყის და, ეგების ტელეპათიის მსგავსი რამ ხდებოდა, რა იცი, ყველაფერია მოსალოდნელი... მერე გაზეთებს რომ აალაგებდნენ, ფრთხილად, კრძალვითა და სათუთად, თითქოს რაიმე რიტუალს ასრულებდნენ, ვიდრე დასაძინებლად მიაკითხავდნენ ლოგინს, შვილზე საუბარს მიეცემოდნენ, უცნაურად დაწყნარებულნი და დამშვიდებულნი, რიდითა და ურთიერთ პატივისცემით განმსჭვალულნი ლაპარაკობდნენ და ლოგინში რომ ჩაწვებოდნენ, ვიდრე ძილი არ მიულულავდათ თვალებს კვლავ გედეონის ნიჭსა თუ უნარზე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრთა გაცვლა-გამოცვლა. განცვიფრებას გამოდნენ ყოველთვის ცოლიცა და ქმარიც, ნეტავ ვის უნდა დამსგავსებოდაო, რაკი თავად ისინი არც ერთი არ ექნა ღმერთს და ბოლოს ნინუცა იტყოდა აუცილებლად: „გამოცხადებული ბიძაჩემია მაი ბიჭი, ხომ გინახავს, აპოლო. შენ მისი სურათი. გედეონია სახეზე მთლად, მაგფერი ნიჭიერი იყო იგიც, უბედურ დღეზე დაბადებული და გამოყვა ბოვშვს სისხლში, — მერე ჩაფიქრდებოდა ნინუცა და აპოლომ იცოდა, რაც უნდა ეთქვა და ქალიც არ დააყოვნებდა; — ეჰ, ნეტაი იგი სულცხონებული იყოს ახლა ცოცხალი, აპოლო, ახალგაზრდა მოკტა მთლად. ცოლი არ ყოლებია, იგი რომ იყოს, რა გვიჭირდა მაშინ ჩვენ. მერე რაფერი მოხერხებული და ფულის გამკეთებელი იყო თუ იცი, ნენა, ნენა...“

შემდგომ კი იმ უკუღმართ თომაიესაც გადასწვდებოდნენ აუცილებლად, დაიმანჭებოდნენ ზიზღით და ნინუცა ერთხ თავისებურად მიაწყევლიდა: სიკვდილი და არ გადარჩენა თომაიე უკუღმართის, წაეთრეს და მისმა დამთხვეულმა დოცენტმა შვილმა ისწავლოს ტრაქტორისტობა, კაცი შვილად რომ არ უქნია ღმერთსო. ხოლო აპოლო უშვერ-უბირი სიტყვებით ამკობდა თომას დედ-მამის სულს, თავად იმასაც არ ინდობდა და კიდევ იმის ნათესაობა-ახლობლობას, თუ ჰყავდა საერთოდ. სულ ერთი იყო, ცოცხლები იყვნენ თუ მკვდრები და ნინუცა გაოცებას იყო ყოველთვის, ვერა და ვერ მოსულიყო გონს, საიდან იცოდა აპოლომ იმდენი უწმაწური სიტყვა. ამ წყევლა-კრულვა-ლანძღვა-გინებით მშვიდდებოდა ცოლქმარი და როდის-როდის იქნებოდა ძილს მინებდებოდნენ, დილით კი, უთენიაზევე, როგორც ტანთ ჩაიცვამდნენ, ნინუცა იტყოდა: „გედეონი ვნახე წუხელ სიზმრად, იმფერი იყო, იმფერი რომე, — და შესაფერის შედარებას რომ ვერ გამონახავდა, დააყოლებდა ფიქრის შემდგომ, — ცხადში რომაა, ვერა და ვერ მოსწყვეტდი თვალს...“

ხანდახან აპოლოც ნახულობდა სიზმარში შვილს, ოღონდაც ნინუცას მსგავსად ყოველდამ არა, მაგრამ ქალი რომ იტყოდა დილით, გედეონი მესიზმრა წუხელო, აპოლოც აჰყვებოდა, ეშინოდა, უსულგულობა არ დამწამოს ნიმუცამო და რომ არ ენილა, იტყოდა მაინც, მეც მესიზმრაო, ეს კი ნეტარებას ჰგვრიდა ნინუცას და ჩააცივდებოდა, მომიყევი, როგორ ნახეო, თანაც დიდის ამბით ხსნიდა აპოლოს სიზმრებს: „სულცხონებულმა ბებიაჩემმა მასწავლა სიზმრის ახსნა ბალნობაში...“ და, რა თქმა უნდა, ყოველთვის ბედნიერებისა და კარგის მომასწავებელი იყო იმათი სიზმრები... ხოლო იმ საღამოს, აპოლო არ აღფრთოვანებულა ჩვეულებისამებრ და დედაკაცს ეწყინა გუნებაში, იმანაც ჩახწყვიტა გული. წელან გედეონის გამოგზავნილი დეპეშა რომ არად ჩააგდო აპოლომ, გაბოროტებულმა უმზირა ერთხანს ქმარს, აწიბლდებოდა თანდათანობით და ყვავს ემსგავსებოდა, ის წყეული რევმატიზმიც უტევდა, ცოტა დარჩა, კინაღამ თავისებური წყევლა-კრულვა არ მიაყარა ქმარს, მაგრამ თავი შეიკავა ქალმა, მოითოკა როგორღაც ნერვები, უფრო კი სიბრალულის გრძნობამაც დასძლია, გადაღლილი იქნება საცოდავი, უნდა წავყოლოდი დღეს ყანაში, რა ჯანდაბამ გამაკერპაო... — დაიტუქსა თავი და გულიც უმალვე აუჩვილდა, დანამულ-დასევდიანებული თვალები მიაპყრო ქმარს, იმ წუთას აღარც ყვავს ჩამოჰგავდა და აღარც რევმატიზმი ახსოვდა, ცრემლმა კვლავაც სათნო და კეთილ დიაცად აქცია ნინუცა, წლებისწინანდელ ქალად, აპოლოსთვის კი არაფერი უთქვამს, ხოლო შემჩნევით ამჯერადაც შეამჩნია კაცმა კურცხალი ნინუცასი, მაგრამ კვლავ გაიფიქრა, ალბათ ისევ გედეონი გაახსენდებოდაო და ეწყინა გულის სიღრმეში. არადა, რომ სცოდნოდა, მხოლოდ მას რომ განეკუთვნებოდა ქალის ცრემლი, ალტაცება დარევდა ზელს უმალ, ამქვეყნად უბედნიერეს ადამიანთაგანი იქნებოდა... და წელანდელი შეცოდებისა თუ ცდუნებისაა არ იყოს, ამჯერადაც მტანჯველმა და დამამცირებელმა განცდამ შეიპყრო, რომელსაც ვერავის გაუმხელდა დედამიწის ზურგზე, გამხელა რა სათქმელია, როცა საშინელ დანაშაულად და მკრეხელობად მიაჩნდა, რა უბედურება მემართებაო, იტანჯავდა თავს და მართალიც იყო: იმ ღამეს თავის სიცოცხლეში პირველად მიიჩნია აპოლომ საკუთარი სისხლი და ხორცი — შვილი, მეტოქედ... იჯდა დადარდიანებულ, მოდუნებულ-მოშვებული, ხანდახან გულგარე მზერას შეავლებდა ცოლს, გაზეთებსაც ხჭიდებდა თვალს და თუმცა არ სურდა არაფრით, მაგრამ კვლავ მეტოქედ მიაჩნდა შვილი, ამცირებდა და ზოლმით ავსებდა ის უკუღმართი ფიქრები და განცდები, არადა, არ შეეძლო სხვაგვარად, უეცრად გაჩენილ სატკივარს მიესუსტებია, თავს ვერ მორეოდა... მერე კი უცებ ერთი შეხედვით თითქოს უმიზეზოდაც, ზორეული წლები დაუდგა თვალწინ — ბავშვობა და ის ხანაც, როცა მოსწავლე იყო: „ეჰ, არ მქონდა მაშინ პირობები და ხელის შეწყობა, — გაიფიქრა და ამოიოხრა ღრმად, ამოაყოლა გული, ნინუცამ კი ქმრის ამოოხვრის ხმა ჩაესმა თუ არა, დანაშაული იგრძნო, წავყოლოდი ყანაში, რა გაკერპება ვიცი ზოგჯერო და ტირილი მოუნდა, ხოლო აპოლო ისევ ფიქრს განაგრძობდა: — არ მქონდა ხელის შეწყობა, პირდა მაშინ ცხოვრებთვარა, კაცი ვიქნებოდი მეც ამქვეყნად. რაჟა, გედეონს თუ აღმოაჩნდა ნიჭი, მე გამონაკლისი ვარ თუ რაი, ჩემი სისხლი და ხორცი არაა იგიც? ბიძაჩემს დაემგვანაო, რომ დაუჩემებია ტუნტრუცა ნინუცეს ტყუილია მაი, მქონოდა დალაგებული ბავშვობა თვარა, გედეონის ნიჭი რა სახსენებელია...“ კიდევ ბევრი სხვა რამ ამდაგვარი აზრი აჩაჩანაკებდა იმ ღამით აპოლოს და განიცდიდა მწარედ: რა სისულელეები მომდის თავში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი ვარ ახლა ვითამ მეც? შვილისა რატომ უნდა მშურდესო... და ბოლოს იმითლა ინუგეშა თავი, არყის ბრალი იქნება, დაღლილზე მომეკიდა ალბათ, თორემ ასეთი ფიქრები არა და არ მომივიდოდაო... ხოლო სოფელი, იმ დროს, როცა აპოლო და ნინუცა გაშლილ გაზეთებს დასცქეროდნენ და თავთავიანთ ფიქრებს მინებებოდნენ, აღფრთოვანებას გაბლდა და განცვიფრებასაც, ლამის იყო ჭკუა დაეკარგა, ყოველ ოჯახში ხსენება ისმოდა იმ ღამით გედეონისა და უფრო მეტიც ქებათაქებაც, რა თქმა უნდა, იმ ყიამყრალ თომას არ გაჰკვირვებია არაფერი და სხვაგვარი რამ არც იყო მოსალოდნელი... პალიკომ ზალისითა და პირნათლად შეასრულა ნინუცას დავალება, მართალია, დიდი ზარმაც-უქნარა ვინმე ბრძანდებოდა, მაგრამ ტყუილად როდი თქმულა, ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო, თანაც ზამთრის ის დიდებული დღეც კარგად ახსოვდა, ნინუცასაგან ჩურჩხელები რომ მიიღო ჯილდოდ, ხოლო ახლანდელი კანფეტი იმ ძღვენზე ნაკლებად ღირებული როდი იყო...

შებინდდა თუ არა, როგორც კი ყანაში გასული სოფელი კერიას დაუბრუნდა თავისას, პირობისამებრ ჩამოუარა პალიკომ ხალხს... გაიოცეს და დაუჯერებელ სასწაულად მიიჩნიეს გედეონის ახალი წარმატება, გაიხარეს კიდეც გულით, კეთილმა ღიმილმა აუბდღვრიალათ თვალები და გულწრფელ ნეტარებასაც მინებდნენ: უყურებ შენო, — თქვენს დიდის ამბით და რიხით; — გაზეთი არ დარჩენილა დედამიწის ზურგზე, ჩვენი გედეონი რომ არ ეხსენებიოს და ახლა ხედავ, რას მოვესწარით, ტელევიზორშიც ვნახავთო... გახარებულ-აცეტებულიყო იმღამ სოფელი, დროდადრო ხავშვობასაც შეიხსენებდნენ გედეონისას, ვატყობდით მაშინათვე, კაცი რომ დადგებოდაო, — იჩემებდნენ, ნინუცას და აპოლოსაც ახამდნენ ქება-დიდებას და ნატრობდნენ, მალე მაინც მოდგებოდეს ხვალინდელი საღამოო, თომასაც გამკრავდნენ მერე კბილს, მაშინდელმა საქციელმა მაგ კაცისამ, გედეონზე რომ განაცხადა, ტრაქტორისტობა ესწავლა, საქმეს მაინც გააკეთებდაო, მხოლოდ ნინუცას და აპოლოს როდი მიაყენა შეურაცხყოფა, დამცირებულად გრძნობდა თავს იმ დღის შემდგომ მთელი სოფელი, იცოცხლე, მართლაც დიდი პატრიოტები და მამულიშვილები ბრძანდებოდნენ იმ სოფლის მკვიდრნი, თავიანთ კუთხეზე გადაყოლილ-შეყვარებულნი, ამ მხრივ სიმართლე თუ გნებავთ აჭარბებდნენ კიდეც ცოტათი, და ვერა და ვერ გადაივიწყებდნენ სილას, თომამ რომ სტკიცათ იმ დიდთოვლობისას, მაგრე ადვილად როდი ჩაყლაპავდა ხალხი შეურაცხყოფას, დადარაჯებოდნენ გაფაციცებით და ელოდნენ შესაფერის დროს, წარამარა ახსენებდათ თავს სურვილი სამაგიეროს მიზღვევისა, სოფელს ჯანსაღი ფერის ალაჟღაჟებულ ლოყაზე ჯერაც არ გაჰქრობოდა თომას ხუთივე თითის მკრთალი ნაკვალევი, ჰოდა, იგინებოდნენ და ილანძღებოდნენ იმ ღამით, გედეონის მორიგი წარმატების ამბავი რომ მიუტანათ პალიკომ, თომას შვილსაც გადასწვდებოდნენ ხოლმე ყამდაყამ, თუმცა იცოდნენ კარგად, იმას დანაშაულის მსგავსი რომ არაფერი მიუძღოდა, მაგრამ მიწასთან ასწორებდნენ მაინც: დოცენტი კია, მარა რად გინდა, ადამიანისშვილად არ უქნია ღმერთს, აბა, თუ გამოადგეს ერთი რაიმეთი სოფელს, ჰე, ვიცით მისი სიხხლისა და ჯიშის ამბავი, კაცად რავა იქცეოდაო...

ხოლო თომა, იმ დროს, როცა სოფელი იმის ლანძღვა-თათხვას მისცემოდა, მგონი ბაიბურსაც არ უნდა ყოფილიყო, თუმცა მაგ კაცისას ეგრე ჰაიჰარად რას გაიგებ, შესაძლოა, იცოდა კიდეც ყველაფერი, მაგრამ ვერ შეატყობდი, იჯდა არხეინად განათებულ ოთახში, როგორც ყოველთვის, მაშინაც ეშმაკურად აციმციმებოდა თვალები, დრო-დრო გამჭოლი ცეცხლი ჩაუდგებოდა შიგა, ერთი ბოთლი ღვინო მოედგა გვერდით და სვამდა განცხრომითა და ნება-ნებასვენებ-სვენებით, ამდაგვარი ჩვევა ჰქონდა, ცა რომ ჩამონგრეოდა თავზე. დღეში ერთ ბოთლ ღვინოზე მეტს არ დალევდა, კარგია, სისხლსაც გამიხურებს და გონებასაც დამიცინცხალებსო, იცოდა თქმა... შეექცეოდა თომა გემრიელად თავისივე ხელით დაწურულ ღვინოს და რა ფიქრი უტრიალებდა გონებაში, მე კი არა, დარწმუნებული ვარ, ქრისტეღმერთიც ვერ ამოიცნობდა... წელან კი პალიკომ რომ უთხრა, გედეონზე იქნება ხვალ გადაცემა ტელევიზორშიო, ყურიც არ შეუბერტყავს, ალბათ ზრდილობისათვის თუ იკითხა, რომელ გედეონზეო... „არ იცნობდეს ვითომ, ისე მეკითხება...“ — ეწყინა გულში პალიკოს და, ცოტა არ იყოს, თუმცა შიში და რიდი ჰქონდა თომასი, უკმეხად მიახალა, რომელზე და ნინუცა ბიცოლას გედეონზეო... ერთხანს სიტყვა არ დაუძრავს თომას, თვალი გაუშტერდა რატომღაც, ბოლოს კი დაინტერესდა: მერე მე რა უნდა ვქნაო... „რა და, ტელევიზორი ჩართე ხვალ, საღამოს ცხრა საათზე...“ — უთხრა პალიკომ. თომამ კი გულდასმით შეათვალიერა იგი, ისე, თითქოს აგერ ახლაღა ხედავდა პირველად, კი ჩავრთავ თუ გამახსენდაო, ეს იყო სულ... ხოლო სოფელი იმ ღამით წინასწარვე იჭერდა თადარიგს ხვალინდელი საღამოსათვის... ხუთიოდე ტელევიზორი ჰქონდა სულ მთის ფერდობზე ჩამოკონწიალებულ იმ კოპწია სოფელს და, რა თქმა უნდა, უტელევიზორო მეზობლობა, ახლომახლოში რომ ცხოვრობდა, იმ ტელევიზორიან ოჯახებს მიაკითხავდა, მხოლოდ ეგ კი არა, ტელევიზორის პატრონებმა არ დააყოვნეს და იმ ღამითვე გადაიპატიჟეს მეზობლები, ოღონდაც, ერთი რამ ვერ გაერკვიათ, არ იცოდნენ, თომას ტელევიზორს ვინ უყურებდა და ბოლოს ბევრი ფიქრის შემდგომ დაასკვნეს, კაციშვილი არ მიაკითხავს ალბათ და ეგდოს თომაიე უკულმართი მისდა, მის ბუნაგში მარტოდმარტო, კაცი რომ არ გაეკარება, რას იზამს, იმასაც ვნახავთო...

გათენდა მერე, ირიჟრაჟა, წინა დღისა არ იყ-

ოს, მზიანი ამინდი დაიჭირა ისევ, მიხვდა სოფელი, გამოდარებულიყო უკვე საბოლოოდ და სიხარული დაეუფლა ხალხს: ეგება გვიშველოს ღმერთმა, წლევანდელი ჭირნახული კარგი იყოს და გახალისებულნი შეესიენ ბაღ-ვენახებსა და სიმინდის ყანებს, აბრუებდა გლეხკაცს მზიანი ზაფხული და კარგი ტაროსი, რწმენას ჰმატებდა... და, აჰა, ბოლოს სალამოც შემობრძანდა და დაიძრნენ უტელევიზორონი ჯგუფ-ჯგუფად ტელევიზორიანი ოჯახებისაკენ: მობრძანდით, მეზობლებოო, ღიმილითა და თავაზიანი ხმით გაიძახოდნენ მასპინძლები, ფართოდ უღებდნენ ჭიშკარს სტუმრებს და თუმცა წინასწარ არ გაუმხელიათ, პურმარილის თადარიგიც დაეჭირათ თურმე; იცოდნენ მომსვლელებმა, ასეც რომ იქნებოდა, მაგრამ განგებ იქცეოდნენ ისე, ვითომ ბაიბურს არ იყვნენ, გამონაკლისი არც ერთი ტელევიზორიანი ოჯახი არ ყოფილა, თომას გარდა, ცხადია თავისთავად, იცოდა იმან წინასწარვე, კაციშვილი არ მოადგამს ჩემთან ფეხსო, მაგრამ მოლოდინიც რომ ჰქონოდა, ვიცი კარგად, არც მაშინ შეიწუხებდა თავს მაინცდამაინც, სახელდახელო სუფრითაც იოლად გამოვიდოდა...

ადრევე ეწვივნენ სტუმრები ტელევიზორიან ოჯახებს, გადაცემის დაწყებამდე საათზე მეტი დრო იქნებოდა დარჩენილი: სტუმარი ქალები დიასახლისებს შველოდნენ სუფრის გაწყობაში, ხოლო მამაკაცები ნებივრად წამოკოტრიალებულიყვნენ ეზოში, კოინდარზე, თანდათან უქრებოდათ დაღლილობა, აბოლებდნენ თუთუნს და ქვეყნის ავკარგსა, თავთავიანთ ოჯახებზე თუ სხვა ახალ ამბებზე საუბრით ირთობდნენ თავს, დინჯად და დარბაისლურად ირჯებოდნენ, როგორც სჩვეოდათ ხოლმე პურმარილისა თუ სხვა რამ სასიამოვნო ამბის მოლოდინისას, გახალისებულნი ჩანდნენ და ხანდახან დედაკაცებს შეავლებდნენ ხოლმე მზერას, რომელთაც საჭმელები აჰქონდათ სამზადიდან ოდაში და უფროდაუფრო ემატებოდათ ხალისი გულღია საუბრისა... ვის მივადგეთ ჩვენ ამაღამ ტელევიზორის საყურებლადო, ასეთი რამ ჰკითხა იმ დილით ნინუცამ აპოლოს. ჩაафიქრა აპოლო ამ შეკითხვამ, ნინუცამ კი თქვა:

— რას გეტყვი იცი ახლა მე შენ, აპოლო? — და უცებ ცბიერი ღიმილი ჩაუდგა თვალებში, რატომღაც გამომწვევად შესცქეროდა ქმარს, ბოლოს კი, როცა იაზრა, საცა იყო მოთმინების ფიალა აევსებოდა კაცს, ის ცბიერი ღიმილი არ ჩამოუცილებია, პირიქით, უფრო მეტად აღიბეჭდა სახეზე და ისე განაგრძო: — მოდი, აპოლო და, თომაიესას ვუყუროთ გადაცემას...

— თომაიესას? — შეცვლილის ხმით იკითხა აპოლომ და მოხდა ის, რასაც ნინუცა მოელოდა, კაცს ელდა ეცა უეცრად, ხომ არ მომეყურაო. ეს გაიფიქრა და წამწამები აეფახულა განცვიფრების ნიშნად, შეავლო ცოლს მზერა და როცა მიხვდა, სწორად გაეგო იმისი ნათქვამი, ხმას აუმაღლა, — გაგიჟდი, დედაკაცო, თუ რაია შენს თავს, იმ გადარეულ თომაიესას რავა მივალ[illegible]ლა მე...

ამის გაგონება იყო და, ის ღიმილი უფრო შეაცვდა სახეზე ნინუცას, დაცინვაც გაერია, გაუყარა თვალი თვალში ქმარს, გაასწორა მიწასთან იმ შეხედვით და გადააქნია მერე თავი, სინანული გამოხატა ამითი, აშკარად მიანიშნა, დიდი გაუგებარი ვინმე ხარო... აპოლოს კი გაცოფებას აღარაფერი უკლდა, დასძაბვოდა სახის ნაკვთები, ათრთოლებოდა ტუჩები, ხოლო ნინუცამ, დაკვირვებული ქალი გახლდათ საერთოდ, — მეზობლის დედაკაცები ამბობდნენ, რაც მიწის ზევითაა, ორი იმდენითი მიწაშიაო, — ახლაც კარგად შენიშნა ყოველივე და იმ დაცინვას, თვალთაგან რომ გამოუკრთოდა წყლან, სიმწარეც მიუმატა, რამაც უარესად განარისხა აპოლო, დამცირებულად იგრძნო თავი, რატომ, ვერ მიმხვდარიყო, არ ჰქონდა ანალიზისა თუ ფიქრის უნარი მაშინ, ის იყო უნდა ეყვირა, მაგრამ იგრძნო ქალმა, მეტისმეტად რომ შეეტოპა და დაასწრო:

— არაფერი გესმის შენ, აპოლო, ამ ქვეყნის და მე მაინც დამიჯერე, — დამცინავი ღიმილი არც ამჯერად ჩამოსცილებოდა და აშკარა იყო, უკვე ველარაფერი შეაკავებდა კაცს, ცოტაც და, აბდავლდებოდა და მერე რაიმე საშინელებასაც ჩაიდენდა, მაგრამ ნინუცამ სხაპასხუპითა და უჩვეულო ხალისით მიაყარა, სუნთქვაც კი შეუგუბდა ლაპარაკის დროს, ხოლო სახეზე მოლურჯო-მოშავო ფერი დაედო: — თომაიეს ტელევიზორში ვუყუროთ გედეონს, დამიჯერე, აპოლო, მტერი კია მაი უკულმართი და ღვთისგლახა ჩვენი, მარა ჯინაზე მივიდეთ მისას, გასკდება გულზე, დასაბმელი გახდება მთლად, გედეონს რომ დეინახავს..

აპოლო უცებ დაუბრუნდა თავის თავს, ფიქრს მიეძალა მყისვე, ღრმად აწონდაწონა გუნებაში ცოლის აზრი და მოხიბლა ნინუცას საზრიანობამ და შორსმჭვრეტელობამ, გულიც ჩასწყდა ამასთან ერთად, შეშურდა ცოლისა, მე როგორ ვერ მოვიფიქრე ამგვარი რამო..

ქალი კი დარწმუნებული იყო, თუ უარი მითხრა, ადვილად მოვტეხო; სიხარული დაუფლებოდა, ზეიმობდა წინასწარ, რაკი თვალნათლივ ხედავდა თომას, შურით გასიებულს და ნირწამხდარ-გაბოროტებულს, გედეონს რომ მოჰკრავდა თვალს ეკრანზე, ის შეშფოთება და აფორიაქებაც ახარებდა ახლა იმისი, მოულოდნელად რომ დარევდა ხელს, როგორც კი კარზე მიადგებოდნენ...

— კარგად მოგიფიქრებია, ხომ იცი შენ, ნინუცა, — თქვა აპოლომ, გაიბადრა ქალი ამ სიტყვების გაგონებისთანავე, თუმცა, იმან კი განაცვიფრა, აპოლო გულგარეთ რომ ლაპარაკობდა, დაღონებული, — თუ დაგვხვდა სახლში...

ჭიშკართან გამოეგება საგარეოდ გამოწყობილ ცოლ-ქმარს თომა, როგორც კი იმათი ძახილი ჩაესმა, გამოეპასუხა უმალ, მობრძან-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

დითო, თუმცა კაციშვილს არ მოელოდა იმ დღეს, საერთოდაც იშვითიად თუ მიაკითხავდა ვინმე. მკვირცხლად ჩამოირბინა ჭიშკართან, დაძაბულიყვნენ ნინუცა და აპოლო, აინტერესებდათ, რას მოიმოქმედებდა თომა მათი დანახვისას, შეეცვლებოდა თუ არა ნირი, სურდათ გულით განრისხება დასტყობოდა და დარწმუნებულნიც იყვნენ წინასწარვე, წახდება კაციო, ამიტომაც იყო გამხიარებულნი რომ მოდიოდნენ აქეთკენ და რაც უფრო უახლოვდებოდნენ თომას კარმიდამოს, განწყობილებაც დიდებული უხდებოდათ... მოტყუვდნენ: — ღიმილით შეეგება მასპინძელი ცოლ-ქმარს, გაბადრული და გახარებული გამოიყურებოდა, თუმცა ნინუცასა და აპოლოს მოეჩვენათ ეგრე, თორემ თომა ადვილად როდი დაიმჩნევდა გახარებასა თუ წყენას, იოლად შეეძლო თავისი სულიერი მდგომარეობის მიჩქმალვა და ახლა, ღიმილით რომ გამოეგება მოსულთ, გაწბილებულნი დარჩნენ ისინი, თითქმის დამცირებულნიცა და შეურაცხყოფილნიც, დაცინვადა და განასხვავებად მოეჩვენათ მასპინძლის ღიმილი, შესაძლოა, ეგრეც იყო...

თომა კი ერთ ხანს კიდევ შესცქეროდა ნირწამხდართ. ელოდა მოთმინებით, რას იტყვიანო, მაგრამ არც ერთს რომ არ დასცდენია სიტყვა, უფრო დაკვირვებით შეათვალიერა ისინი და თითქოს უფრო მეტადაც გაიბადრა: თავჩაქინდრულნი დამდგარიყვნენ მასპინძლის ჭიშკართან, აპოლო და ნინუცა. გუნებაში ახლა ცოლიც მიწასთან ასწორებდა თომაიე უკუღმართს და ქმარიც, უხერხულად ატუზულიყვნენ და აღარ იცოდნენ რა ეღონათ, რაკიღა მოსულიყვნენ ეუხერხულებოდათ ახლა უკან გაბრუნება. ახია ჩემზეო. — ფიქრობდა აპოლო, — არ ვიცოდე ვითომ ამ უკუღმართის ამბავი, რას ავუევი დედაკაცის ჭკუასო... ხოლო ნინუცა, სიკტილი და მოხპობა ჩემიო, და სხვა სიტყვებითაც იწყევლიდა თავს. ბოლოს კი როცა დაატყო, სიტყვის დაძვრას რომ არ აპირებდა არც ერთი, თომამ თქვა:

— შემობრძანდით ეზოში, მეზობლებო, რაზე შეწუხებულხართ...

თავიდან ნინუცამ წამოიწყო ლაპარაკი, ხოლო აპოლოს ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც უცხო დედაკაცი საუბრობდა, ისე იყო ქალი შეცვლილიცა და დამორცხვებულიც...

— ტელევიზორის საყურებლად გადმოვედით ახლა ჩვენ შენთან, — ამბობდა ნინუცა, — გედეონზეა დღეს გადაცემა, ქი იცი შენ მაი. გეტყოდა გუშინ პალიკო და ვიფიქრეთ, რაღა შორს წავიდეთ. — აგერაა თომა და გადავალთ მისასო...

— მაგიზა რას ბოდიშობთ მერე, — თქვა თომამ, — კარის მეზობლები გვქვია ჩვენ და აბა, სად წახვიდოდით, — ჭიშკარი შეაღო ამის თქმაზე, ერთხელ კიდევ შეათვალიერა ცოლ-ქმარი, იგრძნო ალბათ დიდებულად, არც ერთი რომ აღარ განეკუთვნებოდა თავის თავს, — შემობრძანდით, ჩავრთავ ახლავე ტელევიზორს, ისე, იცით თქვენ მგონი ჩემი ამბავი, ბევრი არაფერი მჯერავს მისი, თქვენი ხათრიზა თუ ვუყურებ ახლა...

და ეზოში შეუძღვა: წინ მასპინძელი მიაბიჯებდა, ნინუცა და აპოლო კი უკან ასჩანჩალებოდნენ მოდუნებულ-საქციელწამხდარნი და ორივე მათგანს ის სიტყვები ჩაესმოდა, აგერ ახლახან რომ თქვა თომამ, თქვენი ხათრით ვუყურებ ტელევიზორსო და უფრო მეტად გრძნობდნენ თავს შეურაცხყოფილად, ვიდრე წეღან, იმისმა ღიმილმა რომ ააფორიაქათ, ნინუცა გულიანად იწყევლებოდა, ხოლო აპოლო გინებასა და სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდა თომას მისამართით, ცოლსაც გადასწვდებოდა დროდადრო, ხან წინ მიმავალ მასპინძელს შეავლებდა მზერას, ხანაც ცოლს, გვერდით რომ მოსდევდა უფრო მეტად დაჩიავებულ-სახედამანჭული სიბრაზისაგანაც და იმისაგანაც ბოლმის გადმონთხევის საშუალება რომ წართმეოდა, აალწიეს ოდაში როგორც იქნა და, დაბრძანდითო, სკამებზე მიანიშნა თომამ, ტელევიზორი ჩართო მერე, როგორც კი აპოლო და ნინუცა ჩამოსხდნენ და არაყი გამოიტანა, ყველი და პური მოაყოლა სასმელს...

— მარტოხელა კაცი ვარ და, ხომ იცით თქვენ, უქალო ოჯახის ამბავი, — უგულოდ მოიბოდიშა, — რომ მცოდნოდა მესტუმრებოდით, უკეთ მოვემზადებოდი...

— აჰ, საბოდიშო რა გაქვს, თომა ბატონო, — თქვა ნინუცამ, საჭმელი აგერ ახლა ვჭამეთ მე და აპოლომ, — და ქმარს გადაუბღვირა, მიხვდა აპოლო, რასაც მოასწავებდა ცოლის მზერა, ღმერთი არ გაგიწყრეს, არაყი არ დალიოო, თომასაც არ გამოჰპარვია, ნინუცამ რო გადახედა აპოლოს და გაეღიმა. ისიც კარგად ჩასწვდენოდა მნიშვნელობას დედაკაცის საქციელისას, ხოლო ქალმა, თომას ღიმილს რომ მოჰკრა თვალი, როგორმე უნდა გავამწაროო აი ღვთისგლახაო, გაიფიქრა და განაგრძო; — წამოგვეღო რაცხა საჭმელი, რავა გადაგვავიწყდა აპოლო, ა...

— თქვენი საჭმელი რად მინდოდა მე, ნინუცა ბატონო, — უკმეხად შეაწყვეტინა თომამ, — ჩემიც მყოფნის თავზესაყრელად, თანაც იცი კარგად, ლორმუცელა მჭამელი რომ არ ვარ ზოგიერთსავით, — და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა აპოლოს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც აპოლო გახლდათ დიდი ჭამის მოყვარე, ეს რომ თქვა, არყით შეავსო ჭიქები; — სიმწარე გვაშოროს, აპოლო, მშვიდობას გაუმარჯოს და კიდო მეზობლობას ჩვენსას...

კაცებმა სულმოუთქმელად გამოსცალეს არაყი, ნინუცამ კი ერთხელ კიდევ გადაუბღვირა აპოლოს, მერე ორ-ორი ჭიქაც დალიეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრს მინებდნენ... თითქოს ეკლებზე ისხდნენ ნინუცა და აპოლო, ხოლო თომას ეშმაკურად მოეჭუტა თვალები, გადახედავდა ცოლ-ქმარს და უღიმოდა სახე, ვერ მიხვდებოდი ვერაფრით, ფიქრობდა თუ არა მაშინ რაიმეს, სტუმრები კი დარწმუნებულნი იყვნენ, დაგვცინის ეს უკუღმართიო და უფრო უარესად მისცემოდნენ ნაღველს — რა ეშმაკმა მოგვიყვანა ვითომ არ ვიცოდით თომას უკუღმართობაო...

ესენი აქ ამ ამბავს რომ იყვნენ, სამეზობლო უნდა გენახათ მაშინ: მართლაც დიდებული განწყობილება დაუფლებოდა სოფელს, გულიადა და ხელგაშლილად მასპინძლობდნენ სტუმრებს ტელევიზორიანი მეზობლები, სუფრები გაეშალათ უხვი და ნუგბარ საჭმელთა სუნი ტრიალებდა; ტელევიზორებიც ჩაერთოთ, შესცქეროდნენ ეკრანს და ელოდნენ სახეგაბადრულნი, აჰა, საცა არის გამოჩნდება ჩვენი გედეონიო, ნეტარება და განცხრომაც იმას ერქვა, გარეთ კი ნელ-ნელა იბინდებოდა, სიგრილე ჩამოწოლილიყო ირგვლივ, მზიანი დღის შემდგომ, თანდათან ამუქებდა ბინდი არემარეს... და, აი, ელირსნენ ბოლოს და ბოლოს, დიქტორი ქალი გამოჩნდა ჯერ ეკრანზე: არსებობენ უცნაური ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული ადამიანებიო, ამისი თქმა იყო და უმალ გედეონსაც მოჰკრეს თვალი — განაბა ტელევიზორებთან მისკუპებული სოფელი, აუთრთოლდა გული, მინებდა ექსტაზს, მოჯადოვდა; შესცქეროდნენ ეკრანს და თვალს ვერ სწყვეტდნენ გედეონს... „ნენა, ნენა, მეშველა და მაია", გაიფიქრა ნინუცამ როგორც კი გედეონსა და დიქტორ ქალს მოჰკრა თვალი, უცებ გადაურა წელანდელმა ალელვებამაც და უხერხულობამაც, რომელიც თომას დახვედრით გახლდათ გამოწვეული და აღარც შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, მაგრამ დამშვიდების სანაცვლოდ აფორიაქებულიყო და დაძაბულიყო, აწრიალდა ადგილზე, სახე ხიკეთემ აუვარვარა, თვალებში მხოლოდ სათნოება აუკიაფდა და კურცხალი მოერია უცებ, გაძნელდებოდა სიტყვის წარმოთქმა ცრემლებს შორის კი ტელევიზორის ეკრანი ისე უცნაურად ჩანდა, თევზი იყო თითქოს ნინუცა და კამკამა, ლურჯად შეფერადებული წყლის სიღრმიდან შესცქეროდა შვილსა და დიქტორ ქალს... ხელის თითები ათრთოლებოდა დედაკაცს და ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდა გარდა ტელევიზორის ეკრანისა, გალამაზებულიყო საოცრად და აპოლომ როცა შეავლო თვალი, სისხლი გაეყინა, ნინუცას ულირსად მიიჩნია თავი; ხოლო ქალს გული ნეტარებით ეკუმშებოდა, ყველაფერი სიამოვნებდა ახლა, ბოლოს კი იგრძნო, თუ ხმას არ ამოიღებდა, გაიგუდებოდა, შეუჩერდებოდა სუნთქვა; ეკრანზე კი დიქტორი ქალი და გედეონი აკაშკაშებულიყვნენ და როცა დიქტორის ხმა ჩაესმა — არსებობენ განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანებიო, როგორც იქნა, სძლია თავს, მოიკრიბა გონი, მიმოატარა ირგვლივ მზერა, თომას გადახედა ჯერ და უცებ თავადაც რომ არ მოელოდა და ვერც წარმოიდგენდა ვერასდროს, უცნაური სინაზითა და მოკრძალებით განიმსჭვალა ამ კაცის მიმართ. ისე შეებრალა, გული მტკივნეულად შეეკუმშა: „საცოდავი თომაიე, უბედურ დღეზე გაჩენილი მართლაც, მარტოობაში ამოხდება სული, სიკტილი მის დოცენტ შვილს, ვერ მიხედავს მამამისს?!" მერე აპოლოსაც შეავლო მზერა და ცრემლი შეაშრა თვალზე — გამოლენჩებულივით დამჯდარიყო იგი, თავჩაქინდრული და წელში წაკუნტული, ეკრანს არც შესცქეროდა და ნინუცას ბრაზი მიეძალა, სიკტილი შენი, აპოლო, რამ ჩაგაფიქრა ახლაო და კურცხალიც ამიტომ შეაშრა, არა და, არ შეეძლო წყევლა-კრულვა ამ ქალს მაშინ, როცა ცრემლი მიეძალებოდა, ბოლოს კი ეკრანისაკენ გაიშვირა თითი და წარმოსთქვა: „ჩემს გედეონზე ამბობს მაგას, ნენა, ნენა, რა ლამაზი ქალია მაი სასიკტილე, — დიქტორის მისამართით იყო ნათქვამი, — ქალის უნახავი გამხადა პირდაპირ..."

ეკრანზე კი გედეონის ქება-დიდება გაისმოდა. ეპითეტებსა და ლამაზ სიტყვებს არ იშურებდა დიქტორი ქალი, უამრავზე უამრავ მაგალითს იშველიებდა, ასახელებდა გედეონის მსგავსი უნარით დაჯილდოებულ ადამიანებს. გედეონი კი ჩაფიქრებული გამოიყურებოდა ეკრანიდანაც, მერე მოდგა იმისი ნიჭის დემონსტრაციის ჯერი და ჭკუა დაჰკარგა ტელევიზორებთან განაბულმა სოფელმა, კაცებიც გატრუნულიყვნენ და ქალებიც, მოხიბლულ-აღფრთოვანებულნი და მონუსხულნი გახლდნენ ყველანი, კაცებს ახლა ყველაფერი დავიწყებოდათ ამქვეყნიური და ისიც აღარ ახსოვდათ, გადაცემის გასრულების შემდგომ სუფრას რომ უნდა შემოსხდომოდნენ, ქალებს კი აღარც საჭორაოდ და სხვათა საქილიკოდ ეცალათ და აღარც მასპინძლის მიერ გაწყობილი სუფრის ასაწონ-დასაწონად...

ხოლო თომას კვლავ ეშმაკურად ასციმციმებოდა თვალები და ძნელზე უფრო საძნელო გამოსაცნობი გახლდათ აღფრთოვანებული იყო თუ, როგორც ყოველთვის, ქილიკისა და სიმართლის თქმის გუნებაზე მომდგარი, ვერა და ვერ ამოიცნობდი ამ კაცის ფიქრებს, ვიდრე თავად არ გამოააშკარავებდა ნააზრევს...

მისჩერებოდა გატრუნული და გაზალისებული სოფელი ტელევიზორებს, გედეონი კი, მიზეზი და საბაბი სოფლის იმდღევანდელი ზეაწეული განწყობილებისა და დროსტარება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღეგრძელოებისა, გადაცემის დამთავრების შემდეგ რომ დარევდა ხელს იქაურთ, სასწაულმოქმედს და[illegible]ოდა და არც გამოჰპარვია ხალხს ეგ ამბავი: სასტაულმოქმედია ჩვენი გედეონიო, ყველგან ასე თქვეს ტელევიზორიან ოჯახებში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიაღწნენ ამ დასკვნას, მხოლოდ თომას ოჯახში არ თქმულა მსგავსი რამ; თომა არ იტყოდა, რა თქმა უნდა, დუმდა იგი ისევ, დამცინავი გამომეტყველება აღბეჭდვოდა სახეზე, ხოლო ნინუცასა და აპოლოს ამგვარი რამის სათქმელად არა სცხელოდათ მაშინ: ნინუცას ხან ნეტარებისა და სიხარულის ცრემლი აუკიაფდებოდა თვალებში, ხანაც მინაზებული ხმით წარმოსთქვამდა, ნენა, ჩემი სასახელო შვილიო და ამის თქმაზე იქ მყოფთ გადახედავდა, როგორც კი თომას მოჰკრავდა თვალს, წელანდელისა არ იყოს, ამჯერადაც სიბრალული უკუმშავდა გულს, ებრალებოდა ეს მარტოსული, სოფლისგანაც და ერთადერთი ვაჟიშვილისაგანაც მოკვეთილი გლეხკაცი, რომელიც თუმც მხოლოდ თავის ახირებულ საქციელს მიეყვანა იმ დღემდე, მაგრამ საცოდავი იყო მაინც, ასე ფიქრობდა მაშინ ნინუცა — დიდებული განწყობილება რომ დაუფლებოდა, იმისი მწრალი იყო ამგვარი რამ, ხოლო, როცა ქმარს შეავლებდა მზერას, თუმცა აღარა სწყევლიდა ამჯერად, რადგან ცრემლს ალვარლვარებდა ნეტარებისას, გაოცება ეუფლებოდა, აპოლო ხანდახან თუ შეხედავდა ეკრანს და მაშინაც ისე უცებ ჩამოაცილებდა მზერას, თითქოს ამაზრზენ რაიმეს შესცქეროდა, წართმეოდა ფერი, მოკუნტულიყო შესაბრალისად და ისეთი გამომეტყველება ედო სახეზე, თითქოს ამ ქვეყნის არა გაეგებოდა რა და, ცოტა არ იყოს, ნინუცას, თუმცა საამისოდ არ ეცალა მაშინ, ნირი წახდენოდა მაინც. ტკივილნარევი განცვიფრება დაუფლებოდა...

აპოლოს კი, გუშინდელისა არ იყოს, სათოხარიდან მობრუნებულს ნინუცამ რომ დაახვედრა დეპეშა, დღესაც იმდაგვარი ფიქრები აკნინებდა სულიერად: ახლა, როცა მართლაც სახწაულებს სჩადიოდა ტელევიზორის ეკრანზე მისი ერთადერთი შვილი, სიხარულის ნაცვლად შური დაუფლებოდა, ჰო, ასე იყო, კაცს შურდა გედეონისა და ნინუცას გალამაზებაც აფორიაქებდა, ორივეს ულირსად მიაჩნდა თავი, შვილისაც და ცოლისაც და გუნებაში ლანძღვა-გინებას უთვლიდა თავის მშობლებს, კარგა დიდიხნის წასულები რომ გასლდნენ ამქვეყნიდან. ცოტაა ესეც, ახლა დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო ამაზრზენ ადგილად იმათი სამარადისო განსასვენებელი მიაჩნდა. ის დღეებიც დასდგომოდა თვალწინ, ისინი რომ მიიცვალნენ და ნანობდა, რა მაგლოვებდა მაშინ. თუკი ჰკუა მქონდა, მტრები მეხვენა თურმე კუბოშიო და გარდასულ დღეებზე, თავის განვლილ წლებსა და სიცოცხლეზე ფიქ[illegible]რავდა, ძალაუნებურად რომ მისძალებოდა, უფრო კი ეშინოდა, თომამ არ შემამჩნიოს, რადღეშიცა ვარ, თორემ მტრისას, შემიყრის სოფელს, საქვეყნოდ მომეჭრება თავიო... უგულოდ გადახედავდა ხოლმე ეკრანს და ცდილობდა გედეონისათვის აერიდებია თვალი როგორმე... მოსაწყვეტად გამზადებულ მიმჭკნარ-გადაყვითლებულ ფოთოლს დამსგავსებოდა აპოლო. გაჰყინვოდა თითქოს სისხლი ძარღვებში, თანაც ზარავდა ამგვარ ყოფას რომ ჩავარდნილიყო, მაგრამ სხვაგვარად მოქცევაც ნებისყოფას აღემატებოდა იმისას, უძლური იყო მოძალებულ უამურ ფიქრთა მოსათოკად, ყველაფერი სხვისი ნება-სურვილით ხდებოდა თითქოს და წარსულის ზმანებები ვერ ჩამოეშორებია: ახსენდებოდა ახლა, ყანაში რომ აგზავნიდნენ ხოლმე მშობლები სკოლიდან მობრუნებულს, მაშინ, როცა მისი ტოლსწორები მთასა და ბარს მოსდებოდნენ და ის მაშინდელი დაღლაც დარევდა ზელს ახლა ჟამდაჟამ. ყველაზე ცხადად სკოლა დასდგომოდა თვალწინ და მოაგონდა უცებ, გეოგრაფიაში რომ მიიღო ფრიადი, მისთვისაც მოულოდნელი იყო ეს გახსენება, წამოწითლდა სახეზე მაშინდელივით, კარგი დღე იყო მართლაც, კლასში არც ერთმა ბავშვმა არ იცოდა სად იყო მადაგასკარის კუნძული, აპოლომ კი აჩვენა რუკაზე და იმ კუნძულის ფართობიც დაასახელა... „რაფერ მიყვარდა გეოგრაფია, — — ფიქრობდა აპოლო, — იმ ჩემი სულძაღლებული დედ-მამის ბრალია ყოლისფერი თვარა, კაცი ვიქნებოდი ახლა მეც...“ იმ საღამოს გაახსენდა პირველად აპოლოს ის დიდებული დღე, ფრიადი რომ მიიღო გეოგრაფიაში და ნაღველმა უფრო მტკივნეულად დარია ხელი... მშობლებს ხომ ადანაშაულებდა და ადანაშაულებდა და არც ნინუცა მიაჩნდა ნაკლებ ბოროტმოქმედად, რა მრჯიდა რომ შევირთე ცოლად, ვყოფილიყავი ჩემდა და ჩემი თავიზა მიმეხედაო... მთელმა განვლილმა სიცოცხლემ ჩაურბინა თვალწინ აპოლოს, ყველაფერმა ერთად და ერთმანეთის მიყოლებით, როგორც მომხდარიყო ერთ დროს და იმისი ამოცნობა სურდა, ჩემი სულძაღლებული მშობლები და ნინუცა რომ არა, რა კაცი ვიქნებოდი ახლაო, მაგრამ ვერ წარმოიდგინა ვერაფრით, ისე კი თვალწინ დიდი ქალაქები დაუდგა, უცხონი და ხალხმრავალნი, აი, იქ, იქნებოდა, ცხადია, ჩემი ადგილიო...

ეკრანზე კი კვლავ ქებათაქება იყო გედეონისა და აპოლოს ერთი სული ჰქონდა გადაცემის დამთავრებამდე, მობეზრებოდა საზიზღრად და ბილწ, დამამაცირებელ ფიქრებს აძალებდა გედეონის მზერა... როგორ მიყვარდა გეოგრაფიაო, წარამარა იმეორებდა გუნებაში და ახსენდებოდა ახლა ნაირნაირი რუკები, — პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკური თუ ფიზიკური. ყველა ერთად, რაც კი არსებობს და გლობუსებიც, ყველაზე ცხადად მოხაზულობა მადაგასკარის კუნძულისა. გეოგრაფიის წიგნებიც დახდგომოდა თვალწინ, ოდესღაც, ბავშვობისას რომ ეხილა და სხვადასხვა ქვეყნებზეც ფიქრობდა. მაგრამ ამჟამად ვერც ერთი მათგანის სახელწოდება ვერ გაეხსენებინა, ისე იყო გონებაარეული და კვლავ დედ-მამის საფლავები დაინახა და ის დღეები, როცა ისინი მიიცვალნენ: „თქვენი ბრალია ყოლიფერი, თვარა, კაცი მერქმეოდა ახლა მეც, აზქვეყნად. რავა, ნიჭი მაკლდა მაშინ თუ უნარი, ჯოჯოხეთში იქნებით ალბათ. თქვე სულწაწყმედილებო, ჩემი საცოდაობით...“

მერე კი, გადაცემის დამთავრებას როცა ბევრი აღარაფერი უკლდა, ნინუცას ხმა რომ ჩაესმა: ნენა, რაფერ გვასახელა, აპოლო, ჩვენმა გედეონმაო. გარეთ გავარდნა მოუნდა. მაგრამ მოიკრიბა ნებისყოფა, მოერია, როგორც იქნა, მაცდუნებელ სურვილს, თუმცა საშინლად კი დაიძაბა. ნერვებიც დაეჭიმა მტკივნეულად და გაიფიქრა: „ცინგლიანმა უაზილარმა რავა უნდა მაჯობოს, ფუ, კაცი მქვია ახლა მეც ვითომ...“ ბოლოს, ვგონებ, აზროვნების უნარიც წაერთვა და რაიმეს გაფიქრებისაც. დაუმძიმდა და გაუუხეშდა სხეული, მოეჩვენა, თითქოს არაპროპორციულად გაზრდოდა თავი და ეზრდებოდა და ეზრდებოდა თვალდახელშუა. ისე ამძიმებდა უკვე, საცა იყო, კისრის მალებს ჩაუმსხვრევდა და ღრჭიალ-ღრჭიალით ჩაძვრებოდა მხრებში. აღარც წარსული ახსენებდა თავს და აღარც დღევანდელობა. ეგ იყო მხოლოდ, სძულდა საშინლად და ზარავდა თავისი თავი თუ ყველა და ყველაფერი, რაც კი იმის ცხოვრებას დაკავშირებოდა ერთ დროს. ყრუ, აუტანელი და შეურაცხმყოფელი ტკივილი უღრღნიდა სხეულის ყოველ ნაკვთსა თუ ნერვს, ყველაზე შემზარავი და ტანჯვისმომგვრელი კი სიძულვილი გახლდათ საკუთარი თავისა, ჯერაც რომ არ განეცადა არასდროს იმ საღამომდე...

მას შემდგომაც არაერთხელ ეწვევა და დააკნინ-დააჩაჩანაკებს აპოლოს მსგავსი ფიქრები თუ განცდები: სიძულვილი თავისი თავისა თუ წარსულისა, დღევანდელობისა და ირგვლივ მყოფი ადამიანებისა, — სულ ერთია, ახლობელნი იქნებიან თუ შორებელნი — და უსუსურობას გრძნობს ყოველთვის, ვერ მოერევა სადარდებელს, დამამშვიდებლად კი მსგავსი ვითარების ჟამს გეოგრაფია მოევლინება, გახსენება იმ წუთებისა, ფრიადი რომ მიიღო და კიდევ ხსოვნაში ცხადად შემორჩენილი გარეშემოხაზულობა მადაგასკარის კუნძულისა, მაგრამ დიდი ვერაფერი ნუგეში აღმოჩნდება, დარდი და ნაღველი დარევს იმ საღამოს შემდგომ აპოლოს ხელს, გამუდმებით თანაც და კარგა ხანს ველარ ჩამოიცილებს...

ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ნინუცამ ბარათი მისწერა გედეონს, დილიდანვე დაიწყო წერილის წერა. როგორც კი აპოლო გაისტუმრა ყანაში, აღგზნებული იყო ქალი მას მერე, რაც ის სატელევიზიო გადაცემა იხილა. წარამარა სწყევლიდა და სასიკვდილოდ იმეტებდა თომას, იმის მთელ საგვარეულოს, თუკი იყვნენ სადმე და მის დოცენტ შვილსაც... საღამომდე წერდა იმ დღეს ნინუცა შვილს წერილს და მერე, აპოლო რომ მობრუნდა სათიბარიდან, როგორც იქნა, დასვა წერტილი... „ჩემო საყვარელო და სასახელო შვილო გედეონ, აქითკენ ქი იცი ალბათ, შენს ნიჭზე ლაპარაკობს მთელი სოფელი, ნენა. შენს ქებაშია ცაი და ქვეყანა, ვიცი, მაქეთაც რომ გამორჩეული ეყოლება ხალხს. აწი რაღა მოგვკლავს აპოლოს და მე, შენ გაგვიტკბე და გაგვიმხიარულე აგი სიბერე. დღე არ გავა ისთე, შენ რომ არ გახსენონ სოფელში, ენატრები ყველას, შარას მისჩერებია ხალხი ეგება დაგვადგეს საშველი, გედეონი გამოჩდესო... გადირია სოფელი იმ დღეს, შენ რომ გამოხვედი ტელევიზორში, ნენა. ყველამ უყურა გადაცემას, სასწაული ნამდვილიო, ასთე თქვეს, აბა?! გვილოცავენ და გვილოცავენ მას მერე მე და აპოლოს: სასწაულმოქმედი ყოფილა დასტურ თქვენი გედეონი და მაია, მარტვა თქვენ კი არა, ყველა გვასახელა მაგ ბალანამო... ასეთი ამბებია აქითკენ, მარა, ერთსაც მოგწერ, ნენა, გედეონ, უნდა გეყურებია, რა დღეში ჩავარდა იგი ღვთისგლახა, გადარეული და უკულმართი თომა, გადარია მაგი მამაზეციერმა. მისას ვუყურებდით მე და აპოლო ტელევიზორს, ხომ იცი, რავარი ქრისტეს ფეხის მკვნეტელია მაი უბედურ დღეზე გაჩენილი. ჯერ ხმაი არ უთხრობია, შენ რომ დაგინახა, უმზირა და უმზირა ტელევიზორს, კილამ გადმოუცვივდა თვალები, დეიბღვირა მერე, რავარც იცის. ბოლოს, გადაცემა როგორც დამთავრდა, ვიფიქრეთ მე და უბედურმა მამაშენმა, ახლა ქი ადგება და მოგვილოცავსო. ნარა გაგიგონია? თქვა, რავარიცხა იცის ისთე, რაში გამოიყენებს მაგ ნიჭს თუ რაცხა ჯანდაბას, ტრაქტორისტობა ესწავლა ანდა შოფრობა, მაი უკეთესი იქნებოდა, ქვეყანასაც გამოადგებოდა, მის თავსაც და ოჯახსაცო... იცოცხლე, ნენა, ვწყევლე და ვწყევლე, მამაშენის ხასიათი ქი გეცოდინება, რავარი საცოდავია, ვეფერი ვერ უთხრა, იჯდა მისდა და ხმას არ იღებდა, მერე მე ვუთხარი თომაიე უკულმართს, კარქათ რომ ვწყევლე, მთელი სოფელი სასწაულმოქმედს ეძახის ჩემს გედეონს და ქალაქიც მასთეა, შენ რა წამოქცეთ მაი, შე არაკაცო-მეთქი. მარა, გაჩერდა გგონია თუ რაი, სასწაულმოქმედი კი არაო, რაცხა

---

ჯუმბერ ტიკარაძე

სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტაული სიტყვა თქვა, მარა ვერ ვიხსენებ ახლა ვერაფრით. მამაშენი მაინც იყოს აქანა. სათოხარშია წასული, გამახსენებდა. რა მითხრა იმ დაწყევლილმა... მამაშენიც ენდურის ახლა და მეც ვემდური, აღარ არის კაცი შურით, მისმა დოცენტმა შვილმა რომ ვერ ივარგა ვერც მისდა და ვერც ხალხისდა და შენ კი ქვეყანა აალაპარაკე. გაზეთი არ დარჩენილა, ნენა, შენ რომ არ ეხსენებიე და რადიო თუ ტელევიზორი. აწი და აწი უფრო კაი ამბები რომ მოხთება, ქი ვიცი მე კარგათ და რა მენაღვლება, რაც უნდა იხეუტურონ თომაიემ, ვინ უგდებს ყურს, გადაეკიდა მტრად სოფელი შენი გულობიზა, დასაკლავად არ დაენანებიენ. აწი მე ვიცი და ჩემმა ქალობამ, მეორედ თუ გაბედა და კიდო თქვა რამე, არ შევარჩენ არაფრის დიდებიზა...

სხვა რა მოგწერო, ნენა, აქითკენ ყველა კარგად ვართ, მოგვანატრე თავი ნამეტანი, რა ქნა. აღარ გითავდებიენ იგი პრაქტიკაჲ? თავს გოუფრთხილდი, ნენა, ხომ იცი, ქალაქია მაინც და. რას გეიგებ ეშმაკისას, გლახა ბიჭებს და ქუჩის გოგოებს რომ არ აყობი ქი ვიცი მაი, მარა ფრთხილად იყავი მაინც, შვილო... აგერ აპოლოც მოვიდა და შემახსენა, რა თქვა თომაიე უკუღმართმა გუშინ: სასწაულმოქმედი კი არა, ბიროტმოქმედია თქვენი გედეონიო, აბა, მაგას შევარჩენ ახლა მე, თუ რავა ფიქრობს. ისევ ამეშალა ახლა ძარღვები, რავარც ქი გევიხსენე... გიგზავნი ფულს, რვაი თუმნის მეტს ვერ ვახერხებთ ჯერე. შენ არ შეშინდე. სხვა ტროსაც არ მოგაკლებთ მე და აპოლო, თუ ცოცხალი ვიქენით, პატივისცემას, კარგად იყავი ახლა ჩემი გულის გამხარებელო, შვილო. გწერს შენი გატანჯული, მარა შენგან გაბედნიერებული დედა, ნინუცა...“

გლეხები კი მართლაც დიდ ამბავს იქვნენ იმ საღამოს. ტელეგადაცემა როგორც კი გასრულდა, აბა, რაღას დააყოვნებდნენ, სუფრებს შემოუსხდნენ. განწყობილება ხომ ჰქონდათ და ჰქონდათ ზეაწეული და, რაღა თქმა უნდა, სმა-ჭამასაც მიეცემოდა ვახი: პირველი ჭიქით გედეონი ადღეგრძელეს..

გვიანობამდე გაუგრძელდათ ღვინის სმა და მამაპაპური სადღეგრძელოები და მერე, შუაღამეს რომ გადასცილდა, დაემშვიდობნენ ერთურთს დამრჩენ-წამსვლელნი და ძალიან დიდხანს არღვევდა სოფლის ღამეულ მყუდროებას მთვრალი კაცების სიმღერა და ძაღლების ყეფა..

იმ დიდებული საღამოს მერე თითქმის ყოველდღიურად წამდაუწუმ გაისმოდა გედეონის ქება-დიდება, აპოლოცა და ნინუცაც აჰყავდათ ცამდე, თავიანთ შვილებს კი ერთ ვაიუშველებელს აწყვედნენ მშობლები, ჰქწარანი ზართ და უმაქნისნით...

ხოლო თომა კიდევ უფრო მეტად აითვალწუნა და შეიძულა სოფელმა: ნინუცას არ დაუყოვნებია, მეორე დილითვე მოჰფინა სამეზობლოს იმისი სიტყვები, სასწაულთმოქმედი კი არა, ბოროტმოქმედია გედეონიო, და გლეხებს განრისხებამ დარია ხელი — ყოველ ოჯახში ისმოდა თომას განუწყვეტელი წყევლა და გინება. დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს სოფელი, ხოლო თავად თომა კვლავაც ძველებურად ირჯებოდა, როგორც დაეკანონებია და წესად ექცია ერთ დროს — აინუნშიც არ აგდებდა მეზობელთა განრისხებას, უთენიაზევე გაუტევდა ყანისაკენ. შრომობდა მთელ დღეს. მაგრამ საქმეს თავს როდი აკლავდა, კაცმა ზომა და წონა უნდა იცოდეს ყველაფრისო, უყვარდა თქმა, საღამოზე კი, შინ რომ მობრუნდებოდა, დაისვენებდა ერთ ხანს, მოიდგამდა მერე გვერდით ლიტრა ღვინოს, მოჭუტავდა თვალებს, მოწკურავდა ეშმაკურად, შეექცეოდა არხეინად და მშვიდად, არცთუ ისე მდიდრულ, მაგრამ, მისი აზრით — საერთოდ, საკუთარი აზრი ჰქონდა თომას ამქვეყნად ყველაფერზე და ყოველივეზე, სხვისას არ დაიჯერებდა — სისხლისთვის, ხორცისთვის და გონებისთვისაც ფრიად საჭირო და მარგებელ პურ-ღვინოს, ზომა კი იცოდა ყოველთვის ჭამასმისა, მეიგავარაკე იყო ერთი, ზედმეტმა ჭამამ მოკლაო, უთქვამს ხშირად, როცა ღორმუცლობაზე ჩამოვარდებოდა საუბარი და ფიქრებს ასდევნებოდა თავისას, სხვათათვის ჩაუწვდომელს. დროდადრო ცეცხლს გადმოაფრქვევდა მოჭუტულ თვალთაგან და არაფერი სწამდა რეალურ-ამქვეყნიური, არც თავისი სოფლისა სჯეროდა რაიმე და არც კაცობრიობისა. თავისი გზა და მიზნები ჰქონდა თომას, ისეთი, ეშმაკიც რომ ვერ გაუგებდა ვერაფერს და, რაც მთავარზე უმთავრესია, კაციშვილს არ ჩამოჰგავდა, მე მგონი, მარტო იმ სოფელში კი არა, სადაც ცხოვრობდა, დედამიწის ზურგზეც; არც თავისი ცხოვრებისეული ნირით თუ აზრებით, არც წარსულით, არც აწმყოთი და არც მერმისით დაემსგავსებოდა ვინმეს. ამიტომაც თუ იყო ალბათ, მტრად და მოქიშპედ რომ გადაჰკიდებოდა სამეზობლო, თუმცა ვერა დაეკლოთ რა იმისთვის, როცა მოიპრიანებდა. მაშინ მიახლიდა სიმართლეს ყველას განურჩევლად —დიდსაც და პატარასაც და დინების საწინააღმდეგოდაც შეცურდებოდა ხოლმე ძალზე ხშირად. იმდაგვარი ვინმე როდი ბრძანდებოდა, ვისაც, მართლის თქმაი, ზურგში ქვაი, თუ მართლის მთქმელსო კეტი ჰკრესო და კიდევ სხვა რამ ამის მსგავსები აფრთხობს და აშინებს ან აჩანაკებს სულიერად. არა და არა, იმ ყაიდის ადამიანებს განეკუთვნებოდა, იშვიათობად რომ ქცეულან, გამონაკლისებად. ვისთვისაც მარტოოდენ მსგავსი ქვა-ლოდ-წუმბე-ტალახ-კეტი კი არა, გაცილებით უფრო უარესი, ტყვიაცაა ამქვეყნად მოსვლის გამართლება.

სამეზობლოს კი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო აღიზიანებდა და ჰკუას უკარგავდა თომას ყოველი საქციელი. სრულიად უწყინარიც კი და მისი აზრი რომ შეიტყეს გედეონზე — სასწაულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმოქმედი კი არა, ბოროტმოქმედიო. სოფელმა ქება-დიდებას უმატა გედეონისას და ნინუცასაც მეტი რაღა ენდომებოდა, უბედნიერეს არსებათაგანი იყო, ბედისა თუ ცხოვრების მადლიერი. ქება ჩაესმოდა წარამარა შვილისა და სხვა არა უნდოდა რა: გამოჰფენდა ხოლმე სიამოვნებით გედეონისეულ გაზეთებს, იქამდე შვილის ბარათების კითხვით ამოილამებდა თვალებს და გონებასაც გადაიქანცავდა, მერე კი ჩასცქეროდა მონუსხულივით გაზეთებს, ეალერსებოდა და ლოცავდა იქიდან ამომზირალ ჩაფიქრებულ ორეულებს გედეონისას და სიმშვიდე ეუფლებოდა, სულიერიცა და ფიზიკურიც. განიწმინდებოდა ხოლმე, განსპეტაკდებოდა ქალი იმ დროს შინაგანად, თვალთაგან გადმოღვრილი ნათელი კი ხვეწდა და ამშვენიერებდა გარეგნულად. ოღონდაც ეგ კია, ერთი რამ საზრუნავი აჰკვიატებოდა დედაკაცს იმ ხანებში, არ აძლევდა საშველსა თუ მოსვენებას, ტანჯავდა და სულის სიმწარედ ქცეულ რევმატიზმს, წლევანდელმა დიდთოვლობამ და გამუდმებულმა წვიმებმა რომ გაუჩინა, ერთოდა როგორღაც, გედეონზე ფიქრი შველოდა — როგორც კი სახსრები შეახსენებდა თავს, შვილი დაუდგებოდა თვალწინ მაშინვე, მაგრამ უფრო დიდ სატანჯველად სხვა რამ ჰქცეოდა ქალს, აპოლოს ბოლოდროინდელი საქციელი ანელებდა იმ აღტაცებას, შვილის გამო რომ დაუფლებოდა.

საერთოდ, დაკვირვების უნარითა და სხვათა ფიქრების ამოცნობით ჭარბად დაჯილდოებია ბუნებას ქალი და, აბა, ქმრის რაიმე უცნაურობა როგორ გამოეპარებოდა. შეამჩნია, ჩაფიქრებულ-ისტიბარგატეხილი დადიოდა ბოლო დროს აპოლო, ადრე არასდროს რომ არა სჩვეოდა იმდაგვარად, და თუმცა ქმრისათვის იშვიათად თუღა მოიცლიდა ხოლმე, მას შემდგომ, რაც გედეონი მოევლინოდა ქვეყანას, მაგრამ ახლა აფორიაქდა მაინც, სჯეროდა, რაღაც უბედურებაა აპოლოს თავზე, ცნობისმოყვარეობაც აკარგვინებდა თავგზას — ცნობისმოყვარე კი ოდითგანვე იყო, გათხოვებამდეც — მაგრამ ვერ ამოიხსნა ქმრის უცნაური საქციელი.

ხოლო აპოლო ბევრსა ცდილობდა, მაგრამ ვერ ჩამოეხსნოდა ერთხელ აკვიატებული: ცხვირმოუხოცავი უაზილარი რავა უნდა მჯობდესო. ეს ფიქრი უტრიალებდა წარამარა გონებაში, თან კი მძიმე დანაშაულსაც გრძნობდა როგორც შვილის, ასევე ცოლის მიმართ.

დილიდან საღამომდე მხოლოდ ეს ფიქრი სტანჯავდა და მერე ღამით, დასაძინებლად რომ დაწვებოდა, ძილსაც უფრთხობდა. ჩამოდნა და ჩამოხმა ათიოდ დღეში აპოლო. ლაპარაკის ხალისიც ხომ დაკარგა და დაკარგა. ეგ დიდი არაფერი, მარტოობა სურდა ნიადაგ, თავის თავთან და იმ უკუღმართ ფიქრებთან განცალკევება. ჰამის მადაც წაერთვა, საღამოობით კი, როცა ნინუცა გაზეთებს გამოჰფენდა, ჩაფიქრებული იჯდა აპოლო, და უცებ რომ გადმოღვრიდა ქალი სითბოს თვალთაგან და ნათელი აუკაშკაშებდა სახეს და გალამაზდებოდა და გასათხოვდებოდა დაუჯერებლად, ასეთან შეუფერებლადაც — მგონი აპოლოს ეჩვენებოდა ასე და ზედმეტი მოსდიოდა — მაშინვე უსიამო განცდა ეუფლებოდა კაცს, კვლავ იმგვარი რამ ემართებოდა, თომასთან რომ იგრძნო პირველად — ცოლის უღირსად და შეუფერებლად მიაჩნდა თავი და შეურაცხყოფილი რჩებოდა, კნინდებოდა შინაგანად, არც ოთახში გამოფენილ შვილის უამრავ ორეულთა მზერა ეპრიანებოდა, ფეხაკრეფით გავიდოდა კარში, შეეთქვიფებოდა სიბნელეს, ჰიშკართან, მოლზე დაჯდებოდა და უმალ გარდასული დღეები შეახსენებდა თავს, ყველაფერი ერთადა და ერთდროულად, განსაკუთრებით კი წლები ბავშვობისა და სკოლა... ისიც ცხადად დაუდგებოდა თვალწინ, სკოლიდან მობრუნებული მამამისს რომ მიჰყავდაა ხოლმე სათიბარსა თუ ტყეში და ილანძღავდა და იგინებდა მშობლების სულსა თუ სახსენებელს და იმათ საფლავებსაც უბირი სიტყვებით იხსენიებდა.

ერთადერთი შვება და განცხრომა წარსულზე ფიქრისას გეოგრაფიას მოჰქონდა, იმ წარმტაც დღეს, ხუთიანი რომ მიიღო. კუნძულ მადაგასკარის გახსენება ჩაუხევდიანებდა თვალებს, ხევდანარევ ღიმილსაც მოჰგვრიდა და ნატრობდა, უჰ, ერთი რუკა მომცა ახლა და მერე არაფერი მინდაო... რუკაზე ყანაში მუშაობისა თუ სხვა რამ საქმიანობის ჟამსაც ოცნებობდა ხოლმე, რად უნდოდა, რომ გეკითხა, ვერ გიპასუხებდა ვერაფრით. ქვეშეცნეულად სჯეროდა, იმ ლამაზი ოცნების მიღმა, რაღაც კარგი წინასწარმეტყველება იმალებოდა, ისეთი, რომელიც ძირფესვიანად შეცვლიდა იმის ცხოვრებას...

გვიან შებრუნდებოდა ხოლმე აპოლო შინ, მას შემდგომ, ნინუცას რომ გააბრუებდა და გადაჰქანცავდა შვილის უამრავი ჩაფიქრებული ორეულის მზერა და ალერსი: ქალს დაღლილი, ყვითელი ფერი ედო სახეზე და ისევ ისეთი იყო, როგორც ყოველთვის — ჩია, შეუხედავი, ასაფრენად გამზადებულ, შეშინებულ ყვავს ჩამოჰგავდა და აპოლოს მაშინღა ეწვეოდა შვებისმაგვარი განცდა: ერთი სული ჰქონდა, ხელი აექნია ცოლისთვის, უარესად რომ დაეფრთხო. დარწმუნებული იყო, ერთი ხელის აქნევაა საკმარისი და ნინუცა აფრინდება აუცილებლადო. იმგვარად ჩამოჰგავდა დამფრთხალსა და გადაყრუებულ ბებერ ყვავს ეტყობოდა. სახსრების ტკივილიც აწუხებდა. დამანჭვოდა და დანაოჭებოდა ჩვეულებრივზე უარესად სახისა თუ შუბლის კანი და თითქოს უფრო დაჩიავებულიყო კიდეც. ისიც ცხადი იყო, ასეთ დროს ქალი წყევლა-კრულვით იხსენიებდა გუნებაში წლევანდელი ზამთრის დიდთოვლობას, გამუდმებულ თოვლჭყაპებს გაზაფხულისას და ნაადრევი ზაფხულის უსაშველო წვიმებს...

აპოლოს კი შვება ეუფლებოდა, თან კი თავს

იტუქსავდა გუნებაზე მომდგარი: რამ მომაყვანა აი ჯოჯოხეთის მაშხალა, ნინუცა რომ არა, ხომ კაცი ვიქნებოდი მეც, ჩემი ცხვირმოუხოცავი ყაზილარი რავა მაჯობებდათ, მაგრამ წამიერი. მსწრაფწარმავალი იყო განცხრომა. რომელსაც ნინუცას ყვავთან მსგავსება ანიჭებდა აპოლოს ლამლამობით. დაძინების წინ. ხელის აქნევისა და ნინუცას დაფრთხობის სურვილიც უქრებოდა უკვალოდ. თუმცა სჯეროდა. ერთი ხელის აქნევა და, აფრინდებათ. მარტო ეგ კი არა, ისიც ეგონა, დაიყრანტალებდა კიდეც ყვავსავით, როგორც კი აფრინდებოდა და იცოდა წინასწარვე, ალლო აბვედრებდა. ერთი ღამეც მოდგებოდა და ველარ მოითოკავდა სურვილს — ხელს აუქნევდა ნინუცას. აშკარად ხედავდა, როგორ იქცეოდა დედაკაცი ყვავად, როგორ აფრინდებოდა დამფრთხალი და ყრანტალისა თუ ჩხავილის ხმაც ჩაესმოდა ყურში ყვავადქცეული ნინუცასი, მაგრამ ეს ყოველივე ცოტა ხნით თუ ახალისებდა. დანაშაულის გრძნობა მიეძალებოდა კვლავ და აუმღვრევდა სისხლსაც და აზრსაც. შვილისა როგორ უნდა მშურდესო, იტუქსავდა და გვარიანი სალანძღავი სიტყვებითაც ითათხავდა თავს.

ხოლო თუკი მოხდებოდა და გაბედავდა ნინუცა, შეეკითხებოდა რაიმეს, უცებვე იფეთქებდა აპოლო. წონასწორობასაც უმალ ჰკარგავდა, მყის მოჰყვებოდა უმიზეზო ყვირილს, უშვერ გინებასაც როდი აკლებდა ხელს, ქალი კი გაიტრუნებოდა. ხმის ამოღებას ვერა ბედავდა და აპოლოს განცვიფრებას იყო, ადვილად რომ უთმობდა ნინუცა. რა იცოდა, მხოლოდ სახსრების ტკივილის ბრალი რომ იყო მორჩილება: ქალს ლამლამობით უფრო ახსენებდა ხოლმე თავს დაავადება, და ქმრის დარდი აღარა ჰქონდა...

მერე ლოგინში იწვა ცოლ-ქმარი. არც ერთს ეძინა და არც მეორეს, ორივემ უწყოდა ესა: ნინუცას რევმატიზმი სტანჯავდა, აპოლოს კი ის თავისი აკვიატებული ფიქრი და სადარდებელი. უძილოდა და სევდიანად მიიპარებოდა ცოლ-ქმრის ღამეები, მტანჯველად და მტკივნეულად. ორიოდე საათით თუ წასთვლემდნენ ბოლო ხანებში. ისიც ღრმა ძილით როდი ეძინათ, წარამარა ახელდნენ თვალს დაფეთებულნი. სიმწრის ოფლით დანესტიანებულნი და მერე ისევ ძილ-ბურანს მიეცემოდნენ და ბოლოს დაადგებოდა, როგორც იქნებოდა, საშველი გათენებას, უნდილად ირიჟრაჟებდა და ისინი თითქმის ერთდროულად დააჭყეტდნენ თვალს, გაბეზრებულნი და მოთენთილნი, უძილო ღამითა და ძილ-ბურანის ავადმყოფური ზმანებებით გაუბადრუკებულნი. ზანტად ჩაიცვამდნენ ტანთ, უხალისოდ და იმ დღეებში აღარც ნინუცა ამბობდა ძველი ჩვეულების მსგავსად, წუხელ გედეონი ვნახე სიზმარშიო და არც აპოლო: რომ ეხილათ კიდეც. მაინც არ იტყოდნენ, ეკრძალვოდნენ შვილის ხსენებას, აპოლო, რა თქმა უნდა, შეგნებულად, ნინუცა კი ქვეშეცნეულად, თუმცაღა წარამარა გედეონი დასდგომოდათ თვალწინ...

ეროვნული

ტანთ რომ ჩაიცვამდნენ, ძალღუმ[illegible] ყვის უთქმელად შეექცეოდნენ საუზმეს. დასევდიანებულნი იყვნენ, თვალს არიდებდნენ ერთმანეთს დამნაშავეებივით, თითქოსდა ერცხვინებოდათ ერთმანეთისა. ნაწილობრივ ასეც იყო. დიდილობით, მიუხედავად უძილოდ გათენებული ღამისა, ნინუცა ყვავს აღარ ჩამოჰგავდა ხოლმე და აპოლოს კრძალვა მსჭვალავდა მეუღლისა. აი იმ სამარცხვინო ფიქრებისადა გამო, მისდა უნებურად თუ საუბედუროდ რომ აჰკვიატებოდა...

მერე, როცა მზე აიწვერებოდა, თოხს გაიდებდა მხარზე აპოლო, წაფრატუნდებოდა ნაავადმყოფარსავით, თუმცაღა შრომის ხალისი დაჰკარგვოდა საერთოდ გამრჯე გლეხს, რაკი საქმიანობის დროსაც არ ასვენებდა საქვეყნოდ გავარდნილი დიდება შვილისა თუ შურის გრძნობა. გარდაცვლილი მშობლებიც ახსენდებოდა ხშირად და დაბოლმილ-გაბოროტებული უთვლიდა ლანძღვა-გინებას წინაპრებსაც. ნაშიერსაც და ნინუცასაც... გაზარმაცებულიყო თანაც. თუმცა თავად ვერ ამჩნევდა. ანდა შესაძლოა. გრძნობდა კიდეც და არ ედარდებოდა. მაგრამ სოფელს ასი ყური და ასი თვალი ჰქონდა. რას გამოაპარებდი. ხედავდნენ. სხვა დროს სამიოდ საათს რომ ანდომებდა, იმგვარი საქმისათვის ხუთი დღეც აღარა ჰყოფნიდა აპოლოს, თუმცა როდი უკვირდათ. სხვა რამ სადარდებელი გასჩენოდა ხალხს: საშინელი გვალვები დაიჭირა მაშინ იმ ახლომახლოებში. ბაყაყის სახსენებელი გამქრალიყო ირგვლივ ყველგან. წამლადაც რომ დაგჭირვებოდა ვერ იშოვიდი ვერსად. არასდროს არა სჩვეოდა იმ ადგილებს მსგავსი სიცხე-პაპანაქება, გაზაფხულის მიწურულისა და ზაფხულის დამდეგის ყამინდელი გადაუღებელი წვიმები მოანაცვლა ჯოჯოხეთურმა ხვატ-პაპანაქებამ სოფელს, ყველაფერი საგულდაგულოდ გადაეხრუკა გარემემო გაბოროტებულ მზეს, ადვილი მოსალოდნელი იყო და, ღმერთმა ნუ ქნას, ერთ დღესაც ხანძრად აგიზგიზებულიყო ტყე, ყველგან რომ მოჩანდა ირგვლივ, თუ ხის სახლები.

გვალვამ საქონელიც შეაწუხა და ფრინველიც. გაუგონარი ამბები ხდებოდა — ღორებს ღორობა გადავიწყებოდათ თავიანთი, საჭმელ-სალაფავს და მუცლის ამოყორვას ჩრდილი ერჩივნათ, მაგრამ სად იყო, ხოლო დარეტიანებულ-დასიცხული ქათმები, ადამიანის მეშვეობითაც თუ აზელავდნენ ხოლმე ღმერთს, თორემ წყალს თავისით როგორ მიაგნებდნენ.

ცხადი შეიქნა ყველასათვის, იმ გაქიანურებული ზამთრის დიდთოვლობის, გაზაფხულის თოვლჭყაპების, ზაფხულის დასაწყისის კოკისპირულების და აწინდელი ხვატ-პაპანაქების შემდგომ, გაძვალტყავებულ-დაჩაჩანაკებული შემოდგომა შემოვიდოდა. სევდადა და აუტანელ ნაღველად იხრუკებოდა და იწვოდა ის ზაფხული და საერთოდ აღარ ლაპარაკობდნენ გლეხები ჰორნახულზე, მოსავალი რომ აღარ იქნებოდა, გაეგებოდათ დღიდებულად და აღარც შეშას იმარაგე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბდნენ ზამთრისთვის, არც კი ახსენდებოდათ თოვლი და ყინვა თუკი ელირსებოდათ ოდესმე და ცამდე მართალნი იყვნენ, ვერ დაადანაშაულებდი ვერაფრით: გვალვა ტვინს უხრუკავდა და სადად აზროვნების უნარს ართმევდა ადამიანს და აბა, ზამთრისთვის თადარიგის დაჭერას როგორღა მოიფიქრებდნენ...

აქლოშინებულსა და ენაგადმოგდებულ ძაღლებს რომ დადარებოდნენ ირგვლივ ყველანი, იმ დროს მხოლოდ თომა იყო თავდაჯერებულგულდაარხეინებული, კვლავაც ქილიკის გუნებაზე მოდგებოდა ხოლმე ხშირად და სიმართლესაც დაურიდებლად მიახლიდა პირში სამეზობლოს, როგორც კი დრო და საშუალება მიეცემოდა ამისა, ჩირადაც არ ულირდა თითქოს სოფლის სადარდებელ-სავაივაგლახო იმას, თავზევით ძაღლა რომ არ იყო, ალბათ იმიტომ და სალამოობითაც ჩვეულებრივ იქცეოდა, ძვალ-რბილში რომ გასჯდომოდა ისე — მოიდგამდა გვერდით ერთ ბოთლ ღვინოს, სისხლის დასაწმენდად და გონების დასაცინცხალებლად, მოჰუტავდა თვალებს, აედევნებოდა და შემოისევდა თავის უკუღმართ ფიქრებს და დიდის ამბით წრუპავდა სასმელს...

აი, ამდაგვარი ამბები ხდებოდა სოფლად იმ ხანებში და, აბა, აპოლოს გაზარმაცება თუ უქნარობა ვის დაადარდიანებდა, როცა თავიანთი საქმეებისთვისაც ვერ მოეცალათ.... ხოლო აპოლო იდგა ხოლმე ყანაში მზის გულზე, თოხის ტარს დაყრდნობილი, ღრმად ჩაფიქრებული, უხურდა და უდუღდა ტვინი, იმ მზისგანაც და თავისი ფიქრებისგანაც, სისხლი კი გასციებოდა ქვეწარმავალსავით, იფიქრებდი, სიამოვნებას ჰგვრის აუტანელი სიცხე-პაპანაქებაო, ვინ უწყის, ეგებ ეგრეც იყო და შეურაცხყოფილი გახლდათ ყოველთვის საკუთარი თავისა თუ ფიქრების გადამკიდე და აი, ერთხელაც, შუადღეს რომ გადასცილდა, ბევრი ჯახირისა თუ დავიდარაბის შემდგომ, გადაწყვიტა რატომღაც, ალბათ სულიერი სიმშვიდის მოპოვება რომ სურდა, იმიტომ, წავალ და ჩემი სულაძაღლებული დედ-მამის საფლავებს დავხედავო... შებინდებამდე ეს ახალი სურვილი აწვალებდა და როცა ღამემ დაისაკუთრა არემარე, ქურდულად დაადგა სასაფლაოს გზას, თანაც ისეთი განცდა დაჰპატრონებოდა, თითქოს უმძიმეს რამ ბოროტმოქმედებას სჩადიოდა, თუმცა დანაშაული იყო, თავისთავად ცხადია, და გაცილებით უმეტესიც, რასაც ის აპირებდა — მივალ ერთი და ხმამაღლა ჩავძახებ გინებას იმათ საფლავებსო, ფიქრობდა და, მიუხედავად ბილწი განზრახვისა, სინდისი როდი ჰქენჯნიდა, პირიქით, გახალისებულიყო, მაგრამ გარეგნულად არ ეტყობოდა ეგა. კვლავ ისე მოთენთილ-მოდუნებული მიაბიჯებდა, როგორც ყოველთვის, უკანასკნელ ხანებში...

ნათელი, კაშკაშა ღამე იყო, უწყვდიადო, მაგრამ მაინც ამაზრზენი და გულის ამრევი, მთელი დღისა არ იყოს, პაპანაქებად გიზგიზებდა ცაცა და დედამიწაც. აპოლო კი მალვით მიიპარებოდა სასაფლაოსაკენ, წამლეკ სურვილს დამორჩილებული და დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბებზე ფიქრობდა, ჩავლილ-გარდასულზე, ხოლო თოხი თოფივით გაედო მხარზე; ყუით ქვემოთ რატომღაც და იმ თეთრ ღამეში ჯარისკაცს დამსგავსებოდა, უჰ, არა, ნაჯარისკაცალს, დეზერტირს, ლაჩრად ქცეულსა და დამფრთხალ-დაჩაჩანაკებულს, ფეხებზე რომ დაუკიდნია ღირსება თავის არმიისა თუ სახელი სამშობლოსი, აუღერებია თავი და გამოქცეულა ბრძოლის ველიდან, მაგრამ წახდარა და გადედლებულა უარესად, რადაი კარგად მოეხსენება, არც მტერი დაინდობს და აღარც თავისიანი, თუკი ან ერთს ჩაუვარდა ხელთ, ანდა მეორეს...

მიდიოდა აპოლო ჩამოხუთულ ღამეში, ახსენდებოდა წარსული და როგორც კი გეოგრაფიასა და მადაგასკარის კუნძულს გაიხსენებდა, ღიმილი მოეფინებოდა სახეზე, გაყინული სისხლიც უცებ აუჩქროლდებოდა, მაგრამ ღიმილი, რომელიც უტკბილესი მოგონებით გახლდათ გამოწვეული, ბოროტი ცეცხლით უელვარებდა თვალებს, ხოლო სახე კაცისმკვლელისას მიუგავდა... იმ უჟმური, ავად სახსენებელი, წყეული წლების მოგონებაზე კი, როცა სკოლიდან მობრუნებულს სათოხარში თუ ტყეში და სხვა რამ საქმეზე წაიყვანდა მამამისი, კვლავ ეყინებოდა სისხლი, მსხვრევად, მყიფე ყინულად შეაცივდებოდა ძარღვებს და ტანში ზარავდა და აჟრიალებდა, ხოლო თვალთაგან წელანდელზე უფრო ამაზრზენ, ბოროტ ცეცხლს აკვესებდა და სახის ნაკვთებიც უმახინჯდებოდა...

აი, ეგრეთი ამბით მიაღწია სასაფლაოს და პირველსავე სამარის ბორცვთან შეჩერდა, უცებ შედგა, თითქოს სხვისი ბრძანებით, დაკვირვებით მიმოიხედა ირგვლივ და მერე თოხი დაახალა მიწას, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... თანდათან ემატებოდა ხალისი, ბოროტად ანთებოდა თვალები და ურტყამდა და ურტყამდა. იმდენ ხანს ურტყა თოხი მიწას, ვიდრე ტარი არ გადაულეწა ყუასთან, ქშინავდა თანაც ხმამაღლა. შემდგომ საფლავის ბორცვზე ჩამოჯდა. იყო იქ კარგა ხანს გატრუნული და დამფრთხალი და კიდევ უფრო მეტად ეყინებოდა სისხლი, სხეული ათრთოლებოდა ციებიანივით, მომაკვდავი იყო თითქოს, ხრიალით სუნთქავდა, დავიწყებოდა ყოველივე — წარსულიცა და დღევანდელობაც, წინაპრებიც, ის ერთადერთი ნაშიერიც და თავისი არსებობაც...

მერე როდის-როდის იყო შეიხსენა, რისთვისაც მოსულიყო აქა. დაფეთებული წამოხტა და მკვირცხლად დაუყვა საფლავებს, ქლოშინ-ქლოშინით ჩერდებოდა ყოველ სამარესთან, გულდასმით აკვირდებოდა პირქუშ ლოდებსა თუ ამობურცულ მიწას, თან კი თავისას ფიქრობდა კვლავაც: „კაცი ვარ ახლა ვითომ მეც? ფუ. საკუთარი ხორცის და სისხლის რავა უნდა მშურდეს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედ-მამას ხედავდა თვალნათლივ და ცხადლივ, — „თქვენი ბრალია ყოლიფერი, სულამძორებულებო თქვენ...“

დიდხანს იფრატუნა ერთი სამარიდან მეორემდე, მაგრამ ამაოდ, ვერ მიაგნო იმას, რისთვისაც ამოსულიყო სასაფლაოზე, თუმცა არ ეშვებოდა მაინც, დაძრწოდა ტყუილუბრალოდ და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა გამალებით, ისევ საფლავის ბორცვზე ჩამოჯდა მერე, სიქა რომ გააცალა ამაო ბორიალმა, მოწყვეტით დაეშვა, მუხლებმა უმტყუნა და მაშინღა იგრძნო დაღლაცა და ისიც, სიმწრის ცივი ოფლი რომ სდიოდა წურწურით. ტანისამოსი ისე დასველებოდა, გასაწური გამხდარიყო უკვე. თანაც ხმამაღლა ქლოშინებდა, ბოლმა და ბრაზი კი ზლარბივით რომ გასჩხეროდა ყელში, საცა იყო, სუნთქვას შეუკრავდა, ხოლო იმისი გონება გაფაციცებით მუშაობდა კვლავაც, მაგრამ ფუჭი იყო სურვილი, ვერა და ვერ გახსენებოდა, სად უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალული მშობლები. დაიძაბა მტკივნეულად, გახსენება დაიწყო იმ დღეებისა, ისინი რომ გარდაიცვალნენ: დიდი ხნის წინათ მიაბარა მშობლები მიწას აპოლომ, ჯერ მამა მოუკვდა, ორი წლის შემდგომ კი დედამისიც მიჰყვა იმის კვალს... ახლა საფლავის ბორცვზე ჩამომჯდარიყო აპოლო, ფიქრს მინებებული და დაძაბული, ცხადად ახსოვდა ის დარდი და მწუხარება, მაშინ რომ დაუფლებოდა, ახალგაზრდა ეთქმოდა, ცხოვრებაში აგერფეხშედგმული ყმაწვილი კაცი იყო და, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა კარგა ხანს მშობელთა კალთა თუ მზრუნველობა... მიჰყვა ფეხდაფეხ, ჩაუდგა კვალში და მისდია წარსულში დარჩენილ იმ დღეებს, ეგება მშობელთა სამარადისო ადგილ-სამყოფელთან ამომიყვანოსო: ცხადად დაუდგა თვალწინ წლების იქით მიმქრალ-მივიწყებული ყოველი წვრილმანი — ჯერ მამამისის კუბოსა და პროცესიას აედევნა, მერე კი დედისას, მიჰყვა და მისდია, ამოჰყვა სასაფლაოს კარიბჭემდე, მაგრამ კვლავაც ამაო წვალება ამოდგა ყველაფერი, კვალი უმალვე ქრებოდა, როგორც კი სასაფლაომდე მოაღწევდა.. რამდენჯერმე გაიმეორა ფიქრში ხსოვნას შემორჩენილი ის მაშინდელი გზაცა და უამრავი უბრალო თუ მნიშვნელოვანი დეტალი წარსულისა, ხან მამამისის კუბოსა და სამგლოვიარო პროცესიას ასძუნძულებოდა თავისი კარმიდამოდან სასაფლაოს კარიბჭემდე, ხან დედამისისას, თანაც ზუსტად ისე, როგორც მომხდარიყო ოდესღაც სინამდვილეში, მაგრამ ტყუილი გარჯა იყო, სასაფლაოს მოატანდა თუ არა, კვალი მაშინვე ეკარგებოდა.

დეტალები კი ცხადად დასდგომოდა თვალწინ, პირვანდელი ელვარება შენარჩუნებოდა ყოველივეს: მამამისს რომ კრძალავდნენ, წვიმდა იმ დღეს კოკისპირულად, შუადღიდანვე მოეხსნა ცას პირი და ახლა თვალნათლივ ხედავდა აპოლო სასაფლაოსკენ მიმავალ ატალახებულ შარაგზასა თუ წეროებივით მწკრივად მიმავალ გალუმპულ ადამიანებს, იმათ ნაფეხურებსაც, ტალახიან გზას რომ დამჩნეოდა და უმალვე რომ ავსებდა წვიმა და მიმავალთა ნაბიჯების ჭყაპა-ჭყუპის ხმაც ჩაესმოდა ყურში. ხოლო მეორე სამგლოვიარო პროცესიას როცა მოჰყვებოდა, ხვატი იდგა მაშინ და გლეხებს ბეჭები გაოფლიანებოდათ, შუბლიცა და პირისახეც დაცვაროდათ ოფლის ხშირი წვეთებით, ხედავდა ახლა მარილადქცეულ ოფლს ბეჭებსა და იღლიებში რომ დამჩნეოდათ გლეხებს, მომტირალთა მოთქმა-გლოვაც ისე ჩაესმოდა, თითქოს აგერ ახლა ისმენდა, წელთა გადაღმიდან აშკარად ატანდა ნაბიჯების ხმა სამგლოვიარო პროცესიას ადევნებული ადამიანებისა, გლეხიკაცების დარბაისლური, დინჯი საუბარი მიცვალებულთა კაიადამიანობასა და ცხოვრების არარაობაზე თუ სიცოცხლის წარმავლობაზე, მოთქმით ტირილი და წივილ-კივილი ჭირისუფალი დედაკაცებისა და ისიც ახსენდებოდა, ამაზრზენი და შემზარავი რომ იყო ის მოთქმა-ტირილი მოსასმენად. ახლა ისე აღარ ტირიან, მაშინ რომ იცოდნენო, ფიქრობდა და აგონდებოდა, თავადაც გულწრფელი ცრემლი რომ სდიოდა თვალთაგან... „სულელი ვიყავი, რას ვიკლავდი თავს, ჭკუა რომ მქონოდა ტაშ-ფანდურით უნდა დამესაფლავებია ის ჩემი ცოდვით სავსენი...:“

ტყუილუბრალოდ დაბორიალებდა გარდასულში, ვერ მიეღწია საწადელისთვის, როგორც კი მოატანდა კარიბჭემდე სასაფლაოსი, უმალ ქრებოდა ის კუბოებიც, სამგლოვიარო პროცესიაცა და სხვაც ყველაფერი დანარჩენი და ელდა ეცა უცებ აპოლოს, გაახსენდა აშკარად, ორივეჯერ დროშა რომ მიფრიალებდა პროცესიის თავში, იმ დროშის გახსენების გამო როდი ეცა ელდა, არა, მიზეზი სულ სხვა რამ გახლდათ, ახლა, სხვა უამრავ წვრილმანთან ერთად, ისიც მოაგონდა, რომ თომა იყო ორივეჯერ ის კაცი, რომელიც დროშას მიაფრიალებდა პროცესიის თავში და საერთოდაც იმას ევალებოდა მსგავსი ვითარების ჟამს მედროშეობა.

დაიზაფრა აპოლო, შემთხვევით გახსენებულმა დაზაფრა და გააბოროტა უარესად — თურმე ნუ იტყვი და, თომა მაშინაც გამოირჩეოდა თანასოფლელთაგან, ხოლო თავად აპოლო, როგორც ყველგან და ყოველთვის, ახალგაზრდობაშიც არ განსხვავებულა რაიმეთი სხვებისაგან... ჰო, ასე იყო. მიაბიჯებდა ხოლმე თომა სამგლოვიარო პროცესიათა თავში, თავდაჯერებული ადამიანის იერითა და საგანგებოდ დადინჯებული ნაბიჯით, თუმცა, ცხვირმოუხოცავი ყაზილარი არ ეთქმოდა, მაგრამ არცთუ ისე დიდი ასაკისა იყო, ამგვარად რომ გამორჩეულიყო თანატოლთაგან თუ სხვებისაგან, მიაფრიალებდა უზარმაზარ დროშას და უწყოდა დიდებულად, სხვა დანარჩენები, სურდათ თუ არა, იმის ნაბიჯს უნდა დამორჩილებოდნენ. ალბათ ამიტომაც თუ დაჰკრავდა სახეზე ამაყი ადამიანის იერი, ყველაფერზე ემჩნეოდა ესა, ყოველ მოქმედებაზე და აპოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც ახსენდებოდა, თვალები მაშინაც ცხიერად და ეშმაკურად რომ ჰქონდა ხოლმე მოწკურული; იცოდა ახლა აპოლომ, იმ ხანებშიც თავისას ფიქრობდა თომა და ცხადია თავისთავად, მიუწვდომელი იქნებოდა სხვათათვის იმისი უკუღმართი ფიქრები. მთავარი კი ის გახლდათ, რომ ყველანი მხოლოდ თომას ნაკარნახევი ნაბიჯით მიალაჯებდნენ, დაჩქარებულად დამოუკიდებლობა და, აშკარაა, ვერცა გრძნობდნენ ამას;. ისე მიჰყავდა ხალხი, როგორც მოისურვებდა, ააჩქარებდა პროცესიას ზოგჯერ, ზოგჯერ კი ზოზინზოზინით წაიყვანდა....

აპოლო კი ხამარეზე ჩამომჯდარიყო ისევ და, მიუხედავად აუტანელი სიცხისა, სხეულის ყოველი ნაკვთი ახძაგძაგებოდა, თომა დასგომოდა კვლავაც თვალწინ და თუმცა უბედურ და უკუღმართ კაცად კი მიაჩნდა, შურდა მაინც იმისი ჩავლილი ცხოვრებისა და ერთი რამ აოცებდა — რა საჭირო იყო მაშინ, მიცვალებულის დაკრძალვისას დროშა, ვერა და ვერ მიმხვდარიყო და იმისი გახსენება ეწადა, როდის მიუძღოდა სამგლოვიარო პროცესიას უკანასკნელად დროშა, მაგრამ ვერ გაიხსენა. თომას ეხსომება კარგადო, ფიქრობდა და, ცოტა არ იყოს, თუმცა იმის მაშინდელ მდგომარეობას არ შეეფერებოდა, ხუმრობანარევი მოგონებები აშლოდა, ახსენდებოდა, კულაკი რომ გარდაიცვალა ერთხელ ერთი მის მეზობლად, ხალხის მტრად იყო აღიარებული ის კაცი და სიმართლეც გახლდა, იცოდა სოფელმა, ადრე იქნებოდა თუ გვიან, ტყეს შეაფარებდა თავს, მთავრობასაც გადაეკიდებოდა მტრად და თანასოფლელებსაც, თუ არადა, დაიჭერდნენ აუცილებლად, ისეთი შავბნელი საქმეები ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ მოვლენათა ლოგიკურ განვითარებას დაასწრო იმ კაცმა და მიიცვალა... ამ ამბავს კი არავინ მოელოდა, ჯანმრთელი და ხალსალამათი ვინმე გახლდათ რადგან და აპოლოს თვალწინ დასდგომოდა ახლა იმ კულაკის სამგლოვიარო პროცესიაც თომა რომ მიუძღოდა წინ და განცვიფრებას იყო, მაშინ კი კაციშვილს არ გაჰკვირვებია, ჩვეულებრივ ამბად მიიჩნიეს...

მოგონებებს ახდევნებოდა აპოლო ისევ და ისევ, ტანი კი კვლავ უცახცახებდა, ყველაფერი ცხადად დასდგომოდა თვალწინ, ხოლო ის მთავარი, რისთვისაც მოსულიყო აქ, სასაფლაოზე და მერე შუაღამემდე დარჩენილიყო, გონებიდან ამოვარდნოდა, თომა ახსენდებოდა მხოლოდ და ამქვეყნად მარტოოდენ მისი შურდა, სხვებისაგან გამოსარჩევად იმდროინდელი მედროშეობის გარდა, ისიცა კმაროდა, ჩხუბისას მეზობლის დედაკაცები ერთმანეთს რომ მიაწყევლიდნენ ხოლმე, შენ მოგადგა თომაიე უკუღმართი კარზე მისი დროშითო... არცთუ ისე იშვიათად გაისმოდა ხოლმე ამგვარი წყევლა-კრულვა იმ ხანებში სოფლად, მოგეხსენებათ ალბათ, საცა მეზობლობაა, კინკლაობაც არის იქა...

მერე კი უცებ შეახსენდა აპოლოს, რისთვისაც ამოსულიყო სასაფლაოზე, წამოდგა და საფლავებს დაუყვა ისევ, ჩერდებოდა ყოველ მათგანთან, ათვალიერებდა დაკვირვებით, უფროდაუფრო ერთმეოდა გონიცა და უნარიც აზროვნებისა, იმ ერთ სურვილს დამორჩილებოდა მხოლოდ...

რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა სასაფლაო, თითქმის არც ერთი კუთხე-კუნჭული არ დარჩენია. შეათვალიერა გულდასმით ყველა ბორცვი თუ საფლავის ლოდი, იწყევლიდა დედ-მამის სულსა თუ სახსენებელს, სიკვდილის შემდგომაც მტანჯავთ, ის არ იკმარეთ, სიცოცხლე რომ მომიწამლეთო...

ღამე კი ნათელი იყო კვლავაც, თეთრი, ჩამოხუთული. სუნთქვა უჭირდა აპოლოს, ოფლი ადრინდელზე უარესად ჩამოსდიოდა, თუმცა ვერც გრძნობდა, არ ენაღვლებოდა არაფერი, ოღონდაც საწადელისთვის მიეღწია როგორმე, მაგრამ ამაოდ, შუაღამე გადასული იქნებოდა კარგა ხნის სასაფლაოს კარიბჭისაკენ რომ წაფრატუნდა, გზადაგზა კვლავაც საფლავებს დასცქეროდა, მაგრამ ამჯერად უხალისოდ, დარწმუნებული იყო უკვე, არაფერი გამოუვიდოდა.

სასაფლაოდან გასვლისას ტარგადატეხილ თოხს მოჰკრა თვალი, დაიხარა და აიღო, ათვალიერებდა დიდის ამბით მთვარის ნათელზე და გული ჩასწყდა — გლეხი უთოხოდ რაღა გლეხიაო და ხმამაღლა შეუკურთხა თავის მშობლებს: „თქვენი ბრალია ყველაფერი, სულძაღლებო თქვენ, თუ არა, გლეხი უნდა ვიყო ახლა მეც ვითომ? რავა, ნიჭი მაკლდა თუ რა, ეჰ, როგორ მიყვარდა გეოგრაფია!..“ და მადაგასკარის კუნძული აუცახცახდა მეხსიერებაში, სიამოვნება დაეუფლა და ტანშიც ტკბილი ჟრუოლა იგრძნო, ზუსტად იმგვარად, როგორც მაშინ, ძალიან დიდი ხნის წინათ, ფრიადი რომ მიიღო გეოგრაფიაში და ნეტავ ერთი რუკა მომცაო, ინატრა, მაგრამ გედეონი დაუდგა უმალვე თვალწინ და უკვალოდ გაუქრა მოგონებით გამოწვეული დიდებული განწყობილება...

მერე კი შეკრთა უცებ აპოლო, უკან მიბრუნდა, თითქოს ვიღაცამ დაუძახაო ისე, და შეთრთოლდა, მოეჩვენა, ოციოდე მეტრის დაშორებით კაცი იდგა თითქოს და შესცქეროდა. აერია გონი, თომას ჰგავდა ის მოჩვენება და იმ სიშორიდან კარგად მოჩანდა, გამჭოლი, სისხლისგამყინავი ცეცხლი რომ ჩასდგომოდა გუგებში, კატის თვალებივით კვესდა ბნელში თვალები მოლანდებისა და სახეზე აიფარა ხელები აპოლომ, ნერვული ცახცახი მოედო სხეულის ყოველ ნაკვთს ინისას, თან ფიქრობდა არეულ-დარეულად, თომას რა უნდა ახლა აქ, მიცვალებული ჰყავს ვინმე თუ რაო... და გაახსენდა, იმ კაცს, რომელმაც თომა გაზარდა, საერთოდ არ ჰქონდა საფლავი, ძვალიც ვერ იპოვა სოფელმა მისი.

მერე, კარგა ხნის შემდგომ ჩამოიცილა სახიდან ხელები და იქით გაიხედა კვლავაც, არავინ ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდა თეთრ ღამეში, ბორცვები იყო მხოლოდ და საფლავის პირქუში ლოდები, მომეჩვენაო, მიხვდა, „არა, რაღა მაინც ის უკუღმართი თომა მომელანდა!...“

სოფლის შარაზე მიაბიჯებდა მერე აპოლო, კაციშვილი არ ჭაჭანებდა ირგვლივ, დროდადრო უტაროთ თოხს დააჩერდებოდა და ამოიოხრებდა ღრმად, გლეხი უნდა მერქვას ახლა მეცო... გადაქანცულიყო საშინლად, ერთი სული ჰქონდა, ლოგინამდე მიეღწია, ღამისეულ მყუდროებას კი ხანდახან თუ დაარღვევდა დასიცხული ძაღლების უხალისო, უნდილი ყეფა, გახედავდნენ ძაღლები შარაზე მიმავალ ნაგვიანებ მგზავრს და ერთს წამოიყეფებდნენ ზარმაცად...

იმ დღის შემდგომ კარგა ხანს აღარ გახსენებია აპოლოს სასაფლაო და აღარც მშობლების სამარის ნახვის სურვილი დაჰბადებია, ეგ კი არა, თითქოს ამოვარდნოდა სამარადისოდ მეხსიერებიდან ის კოშმარული ღამე, სასაფლაოზე რომ დაბიჯებდა...

მაგრამ მოვა დრო და კვლავაც დარევს ხელს მშობელთა სამუდამო განსასვენებელი ადგილის ხილვის სურვილი...

ხოლო ნინუცა ძველებურად ირჯებოდა კვლავაც: დღისით გედეონის წერილებს კითხულობდა წამდაუწუმ, სალამოობით კი გაზეთებიდან ამომზირალ ორეულებს ჩასცქეროდა და ეალერსებოდა შვილისას, რევმატიზმი კი თითქოს უგზო-უკვლოდ ჩამოსცილებოდა, აღარ აწუხებდა სახსრები და იცოდა, რისი ბრალიც უნდა ყოფილიყო — კვლავაც შემზარავი გვალვა იდგა იმ ხანებში, თითქოს დღითიდღე უფრო ბოროტდებოდა და ბოროტდებოდა მზე, გადახრუკულიყო ირგვლივ ყველაფერი, ცოტაც და, ალბათ ხეებიც გადახმებოდნენ. იმ ჯოჯოხეთურმა სიცხე-პაპანაქებამ ერთი რამ სიკეთე მოიტანა, ნინუცას დაავადება განკურნა დროებით, გაეგებოდა დედაკაცს კარგად, დრო მოვიდოდა და კვლავაც შეახსენებდა თავს სახსრების ტკივილი, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო ბედისა, რაკი შვებასა გრძნობდა ბოლო დროს, მომავლის დარდი აღარა ჰქონდა, სჯეროდა, ბრწყინვალე იქნებოდა, ჯერაც რომ არ ღირსებოდა არასდროს, იმგვარად იცხოვრებდა, გამუდმებით გედეონზე ფიქრმა მიიყვანა ამ დასკვნამდე... მერე კი ერთი სურვილი გაუჩნდა ნინუცას და აპოლო მიხვდა უმალვე, რაღაც საფიქრებელი რომ აჰკვიატებოდა ქალს, დაელოდა მოთმინებით, თავადვე მეტყვისო, ენაზე მაინც არაფერი დაადგებოდა, იცოდა ესა...

იშვიათად თუ დაელაპარაკებოდნენ ერთმანეთს უკანასკნელ ხანს ნინუცა და აპოლო, დუმილს მისჩვეოდნენ. კაცს თავის სადარდებელი ჰქონდა, მაგრამ არც დიაცს გასჩენოდა ნაკლები სადავიდარაბო, თუმც ქმარს არ უმხელდა ჯერხანობით და ბოლო დროს უფრო ხშირად ემსგავსებოდა ასაფრენად გამზადებულ ბებერ, დამფრთხალ ყვავს. აპოლოს კი ნეტარებასა ჰგვრიდა ყვავთან მსგავსება ცოლისა და ამიტომაც იყო, არაფერს ეკითხებოდა, ერთი რამ კი იცოდა ცხადად, ბოლოს და ბოლოს ველარ მოითმენდა, უღალატებდა გამძლეობა ერთ დღესაც, ადგებოდა და ხელს აუქნევდა დედაკაცს; ამგვარად როცა ფიქრობდა ხოლმე, თვალნათლივ ხედავდა ყვავადქცეულ ნინუცას და უწინდელისა არ იყოს, ახლაც ყრანტალ-ჩხავილი ჩაესმოდა ყვავისა... ერთხელ კი, საღამოს, რომ მობრუნდა აპოლო შინ, იაზრა, დღეს მეტყვის ნინუცა სათქმელსო...

უბრად ივახშმა მაშინ ცოლ-ქმარმა, ბოლო დროის ჩვევისდა მიხედვით, მერე კი ეზოში ჩამომჯდარიყო აპოლო, ეგონა, ვახშმის შემდგომ კვლავაც გაშლიდა ნინუცა გაზეთებს და ამიტომაც გამოსულიყო კარში, მაგრამ მოტყუვდა, იმ ღამით სისხლში გამჯდარ ჩვეულებას უღალატა დედაკაცმა — გედეონისეული გაზეთები არ გამოუფენია... და, აი, აპოლოსკენ მიტუსტუსებდა ნინუცა, გვიან მოეგო კაცი გონს, მაშინ, როცა ყურის ძირში ჩაესმა ნაბიჯების ხმა ქალისა, მიიხედა მისკენ და შეცბუნდა, შიშმაც დარია ხელი, ისე ჩამოჰგავდა ამჯერად ნინუცა ყვავს, კინაღამ ხელი აუქნია აპოლომ, წასწია კიდეც მარჯვენა წინ და საცა იყო აიქნევდა, მაგრამ ლაპარაკი წამოიწყო ქალმა და აპოლომ მიივიწყა სურვილი ხელის აქნევის და ნინუცას დაფრთხობისა...

— აპოლო, საქმე მაქვს ერთი შენთან, —თქვა ნინუცამ, ალერსი გაურია ხმას, თან კი ღიმილით შეავლო მზერა ქმარს და აპოლოს ისე გალამაზებული ეჩვენა ქალი, კიდევ კარგი, ხელი რომ არ ავუქნიე წეღანო, გაიფიქრა, აჯადოებდა დედაკაცის ალერსიანი ხმაცა და იმისი სათნო ღიმილიც. იმან კი განაგრძო; — რაცხა მინდა გითხრა და, თუ ღმერთი გწამს, ყვირილი არ დეიწყო...

— თქვი მერე, შე ქალო, — აპოლო თვალს ვერ სწყვეტდა ცოლს, ის კი ღიმილს აფრქვევდა კვლავაც ქმრის უფრო მეტად მოსახიბლად და კარგა ხნის დუმილის მერეც რომ არ დაუძრავს სიტყვა, წააქეზა აპოლომ; — თქვი აწი, შე ქალო, ჭკვიანურს მიჩივი ეგებ რაცხას, ყვირილი არ დეიწყოო, რომ მაფრთხილებ...

— ხომ ხედავ, — წამოიწყო ნინუცამ ბოლოს, როგორც იქნა, კრძალვა დაუფლებოდა თანაც,— რამდენეთ ოჯახს აქვს ტელევიზორი ჩვენს სოფელში...

ამის თქმა იყო და, ღიმილიც ჩამოსცილდა ნინუცას, რიდიც და კრძალვაც, კვლავ ასაფრენად გამზადებულ ყვავს დაემსგავსა, თვალებში უმწეობასთან ერთად შიშიც დაეტყო, მაგრამ ამჯერად აღარ მოსულა აპოლო ხელის აქნევის გუნებაზე, მძიმედ ულრმავდებოდა შინაარსს ცოლის აგერ ახლახან ნათქვამისას...

— მერე, რა ვქნათ ჩვენ, სხვაიც ბევრი რამე აქვს სხვებს ჩვენ რომ არ გვაქვს იმფერი.

ეს რომ თქვა, აღელდა უცებ აპოლო, მიხვდა, რა სურვილი გასჩენოდა ქალს და, აჰა, აცხადდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინუცას წინასწარმეტყველება, ყვირილის გუნებაზე მოდგა მართლაც, ჯერ, ვიდრე აყვირდებოდა, თვალი შეავლო ნინუცას, მაგრამ შენიშნა. კვლავაც სათნოდ იღიმებოდა და აღარ უყვირია,
— ჰო, თქვი, ნინუცა, ბარემ, რაია რომ გამტანჯე, რა ვქნათ...

— რა და, — ხმა შეიცვალა უცებ ნინუცამ, სიკეთილი შენი, აპოლო, — კაცი კვლავაც ხელის აქნევის გუნებაზე მოდგა, ზიზღით შეავლო თვალი ცოლს, ნინუცამ კი, როგორც იმისი ზიზღით ანთებული თვალები დაინახა, ნაოჭები მოიმრავლა სახეზე და უფრო მეტი ხალისით ალაპარაკდა, ხოლო აპოლოს ეჩვენებოდა, უვავად ქცეულიყო თითქოს უკვე ქალი, მაგრამ მოჯადოებულიყო, თუმცა სურვილი კი ჰქონდა, მაინც ვერ აექნია ხელი ცოლისთვის, ერთხელ და სამუდამოდ რომ გათავისუფლებულიყო და ბრაზი ეძალებოდა, რაკი არ ძალუძდა სურვილისდა მიხედვით მოქცევა, იმგვარად, რისი ღირსიც იყო გაანჩხლებულ-გაბოროტებული დიაცი, — მოსპობა შენი, რომ დაგიფჩენია პირი და მეკითხები, რა უნდა ვქნათო, საცოდავო და უბედურო შენ, რა ვქნათ და ვიყიდოთ ტელევიზორი, — ხმა შეურბილდა ნინუცას, ამას აღარ მოელოდა აპოლო, ლაპარაკი რომ განაგრძო, მერედა მიხვდა მიზეზს ქალის უეცარი დაწყნარებისას, გედეონი ახსენა და ცხადია თავისთავად, სიბრაზე გაუქრებოდა და თვალებშიც ღიმილი ჩაუგუბდებოდა:
— რამდენჯერ იქნება გადაცემა ჩვენს გედეონზე აწი, აპოლო, ვინ იცის, — ხმა განაზებოდაა ქალს, სიკეთით სავსე დედაკაცად ქცეულიყო და აპოლოს გული შეუქანდა, როგორც კი მიხვდა, მე არ განმეკუთვნებოდა დიაცის ღიმილიო და კვლავაც შეშურდა შვილისა: „ცხვირმოუხოცავი ყაზილარი მაი, არა, რავა უნდა მჯობდეს ახლა ლაწირაკი..." გაიფიქრა და ხევდა მიეძალა, მაგრამ ამჯერად აღარც მშობლები გახსენებია და აღარც გეოგრაფია, შემდგომმაც კარგა ხანს დაეკარგება აპოლოს მეხსიერებას მშობლებიცა და ის კურთხეული დღეც, ფრიადი რომ მიიღო გეოგრაფიაში, ნინუცა კი დათაფლული ხმით განაგრძობდა: — ჰე, რამდენხელ იქნება კიდო გადაცემა ჩემს გედეონზე, ყოველთვის სხვისას ხომ არ ვუყურებთ, რას იტყვის სოფელი, ტელევიზორიზა ენანებიენ ფული იმფერი სასტაული შვილის პატრონსო, აბა, სოფლის ამბავი არ იცოდე ვითამ, ნართვა ერთი თომაიე უკუღმართი კმარა და არც სხვები იტყვიენ ბაკლებს, ჰოდა, აპოლო, — უფრო ნაზად ააჟღერა ნინუცამ ხმა, ადრე არასდროს რომ არ მოსწრებოდა აპოლო და იმისი ნახვა ღირდა მართლაც როგორ შესცქეროდა ცოლს მოხიბლულ-დამორცხვებული, ნათქვამიდან კი აზრი ვერ გამოეტანა და სურდა, სულ ასე ელაპარაკა ნინუცას, თავად კი ემზირა თვალმოუცილებლად, — ვიყიდოთ ტელევიზორი, რა დიდი ამბავია ახლა ვითამ მაი, თომაიე უკუღმართმა რავა უნდა გვაჯობოს. — ნინუცას არ გამოჰპარვია, მოხიბლული რომ უმზერდა ქმარი და ხალისი მიეცა, დარწმუნებულიყო, ადვილად გავიტანე ის, რაც ამდენ ხანს მაწვალებდაო: „დროზე უნდა გამემხილა აი ამბავი, — ფიქრობდა ქალი და კვლავ უწინდებურად შესცქეროდა ქმარს, ალერსად იღვენთებოდა, აპოლო კი ბაიბურს არ იყო, მხოლოდ მას რომ ეკუთვნოდა ნინუცას ღიმილი. კვლავ გედეონზე ფიქრობს და იმიტომ გალამაზდაო, ეგონა და გული სწყდებოდა, ხოლო ნინუცა თვალს არ აცილებდა. „მეთქვა აქამდე, კაი ჩურჩუტაი ვარ მეც, რაის მეშინოდა, ჩემზე ნაკლებად უყვარს ვითამ გედეონი თუ რაი..." მაგრამ აღარ დაადგა ალარაფრით საშველი აპოლოს ხმის ამოღებას, უმზირა ცოლს ერთ ხანობას და ღიმილი რომ გაუქრა იმას თვალებში, კისერი მიიღრიცა, ახლაღა უღრმავდებოდა ნინუცას ნათქვამის შინაარსს, ჩავარდნილიყო საგონებელს, ვერა და ვერ მოეგებულიყო გონს, როგორ გასჩენოდა დედაკაცს ამგვარი სურვილი, როცა იცოდა დიდებულად, რა სიმდიდრის პატრონები იყვნენ, თან შვილის რჩენაც არ უჯდებოდა პატარა ამბავი ოჯახს, ბევრი ფიქრის შემდგომ, ვაგიჟებულა და ეგ არისო, დაასკვნა, ნინუცა კი დარწმუნებული ბრძანდებოდა, ადვილად მივაღწიე საწადელსო, გახალისებულიყო, შვილი ელანდებოდა ისევ, მაგრამ იმგვარად კი არა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, ამჯერად ტელევიზორის ეკრანზე ხედავდა, ისევე, როგორც მაშინ, თონას სახლში და იმ ულამაზეს დიქტორ კალსაც უმზერდა, ხოლო აპოლო, რაც უფრო საგულდაგულოდ სწონიდა და ულრმავდებოდა ნინუცას საქციელს, რწმუნდებოდა უფრო, ჭუაზე გადასულაო, და ებრალებოდა წრფელი გულით ქალი, ახსენდებოდა ერთად გატარებული წლები, განსაკუთრებით პირველი ხანები კორწინებისა, ვინემ გედეონი მოევლინებოდა ქვეყანას, ალერსიანი ხმით რომ ესაუბრებოდა ხოლმე ნინუცა და ის მაშინდელი მომნუსხველი ჯადო ღიმილიც აჰკამკამებოდა თვალწინ, რომელიც მხოლოდ ქმრისთვის იყო განკუთვნილი და კიდევ ის აგონდებოდა, სათოხარსა თუ ტყეში რომ მიჰყავდა ხოლმე ნინუცა.

იმ წლების გახსენება კი, როდესაც გედეონი დაიბადა და ნინუცამ თანდათან და შეუმჩნევლად შეაჩვია ენა წუევლას და ღიმილიც დაიძვირა, რახან ყველაფერი შვილისთვის ემეტებოდა, ზარავდა აპოლოს...

გული როცა მოიოხა შვილზე ფიქრითა და ოცნებით, ქმრისთვის მოიცალა ნინუცამ მერე, გაახსენდა იმისი არსებობა და ღიმილი აღირსა, ღრმად ჩაფიქრებულიყო კაცი და შვება იგრძნო თავიდან ქალმა, ტელევიზორზე თუ ფიქრობს, აი, საცოდავი, რაფერ ვიყიდოთო, გაუელვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდგომ ალღომ მიახვედრა, ქმარს არ ეტელევიზორებოდა ახლა, სხვა რამ აფიქრებდა და ბრაზი მიეძალა, კვლავ მოდგა

---

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყევლის გუნებაზე, და როგორც ყოველთვის ასეთ დროს, წარბები შეჭყარა უცებ, ნაოჭებიც მოიმრავლა სახეზე თუ შუბლზე და, რადა თქმა უნდა, დამფრთხალ ყვავს დაემსგავსა. მაგრამ თავი შეიკავა ქალმა, შეაჩერა წყევლის კორიანტელი, ენაზე რომ მოხდგომოდა, იაზრა, წყევლითა და ჩხუბით მთლად წავახდენ საქმესო, რაკიღა ჯერაც არ გადასწყვეტოდა იმედი, იცადა ცოტა ხანსაც და მერე, როცა მოთმინება დაკარგა და ნერვებმაც უღალატა, მიაჩხავლა ქმარს: —

— თქვი ბარემ და დამაყენე საშველი, როის ვიყიდოთ....

აპოლო უმალ გამოერკვა, ჯიქურ შეავლო მზერა ქალს, მიხვდა ნინუცა, რასაც ნიშნავდა ქმრის ამდაგვარი გამოხედვა და ისიც აშკარა იყო, ტყუილად იწუხებდა თურმე თავს, ეგრე ადვილად ვერ მოადრეკდა კაცს ტელევიზორი კვლავაც მიუწვდომელ ოცნებად დარჩენოდა. უძილოდ გატეხილ ღამეებად...

აპოლომ კი თქვა:

— მერე ფული, შე ქალო, — განცვიფრებასაც გამოხატავდა იმისი ხმა, სასოწარკვეთასაც და შიშსაც, თან კი იმდაგვარად შესცქეროდა ცოლს, რომელსაც ნაოჭები მისჭარბებოდა სახეზე, აშკარა იყო, ებრალებოდა. — ტელევიზორი კი კაი, იცოცხლე, მარა, ფული?..

— მაგიზა დარდობ შენ, აპოლო? — თქვა ნინუცამ და სიცილი აუტყდა, წვრილი ხმით კისკისებდა, მაგრამ ცუდი მოსასმენი არ უნდა ყოფილიყო, რაკი სიამოვნებდა აპოლოს, — ფულიზა დარდობ, შე კაცო?! მაგას ეშველება რაცხა...

— რა უნდა ეშველოს, — გამოსცრა კბილთა შორის აპოლომ, იფიქრა, იფიქრა, ვერ მიაგნო მაინც გამოსავალს, ვერც ცოლის ფიქრთა მიმდინარეობა ამოეცნო, თუმცა წეღანდელივით აღარა დარდობდა ახლა, ჭკუაზე შემცდარაო, იცოდა დიდებულად, კარგა ხნის აწონ-დაწონილი ექნებოდა ნინუცას ის, რაც ცოტა ხნის შემდგომ უნდა გაემხილა, — სად იშოვი ფულს, ამ გაგანია სიცხეში...

— ფულს მოევლება, აპოლო, ოღონდ, დამიჯერე ამ ერთხელ, — მერყეობდა ჯერ, ეთქვა თუ არა სათქმელი, თუ შემდგომისათვის გადაედო, როცა უფრო დაწყნარებული იქნებოდა აპოლო. მაგრამ, რაც არის, არის, ბარემ ახლავე ვიტყვიო, გაიფიქრა, — მოევლება ფულს, შე კაცო, — ჯერ დინჯად წამოიწყო ქალმა, მერე კი განაგრძო სხაპასხუპით: — ძროხა გავყიდოთ და ტელევიზორი ვიყიდოთ...

აპოლო ამის გაგონებისთანავე შეთრთოლდა, აძაგძაგდა მერე და ქალმა იგრძნო, არ დააყოვნებდა, იყვირებდა, როდი შემცდარა, ვიდრე აპოლოს ხმას გაიგონებდა, დაინახა, ტუჩები რომ უთრთოდა, ცოტაც და ბლავილი გაისმა და შეკრთა დიაცი, არ მოელოდა არაფრით, ამგვარ ამბავს თუ დაალწევდა ქმარი, ის კი გაჰყვიროდა და გაჰყვიროდა, რაც ძალი და ღონე ერჩოდა და ალბათ მთელ სამეზობლოს ეხმოდა [illegible]ლოსი. მწარედ შეიგინა ჯერ, უშვერ-უწმაწური სიტყვები ააკორიანტელა, ამოუტრიალა დედ-მამის სულიცა და მთელი საგვარეულოც ნინუცას, ვისაც იცნობდა იმის საგვარეულოდან, ყოველ მათგანს გადასწვდა, სათითაოდ რომ შეამკო, მერე ესეც არ იკმარა და, აი, ამის შემდგომ მკვდრებს მისდგა ნინუცასას, ბიძამისით დაასრულა... ის ბიძა გაზლდათ ეგა, ნინუცა რომ ახსენებდა ხოლმე ქება-დიდებით, მთლად იმას დაედარა გედეონიო და ქალს შიში დაეუფლა, თავიდან როდი შეშინებია, როცა ბლავილი და ლანძღვა-გინება დაიწყო აპოლომ, არა, მერე წახდა, ბიძამისი რომ ახსენა, მიხვდა, ახლა აღარაფერს დაერიდებაო. დამფრთხალი შესცქეროდა ქმარს, გაფართოებოდა თვალები, სხეული კი, აპოლოსი არ იყოს, ამჯერად იმასაც აცახცახებოდა. ეგონა, აპოლო ხელის დარტყმასაც აღარ დაერიდებოდა და იზაფრებოდა უფრო და უფრო, ხოლო ის ბლაოდა. კისრის ძარღვები დაბერვოდა იმდენი ყვირილისაგან; ბოლოს კი გადაიქანცა და ხმაც ჩაუწყდა, მაგრამ ისევ განაგრძობდა თავისას, თუმცა ყვირილი აღარ ეთქმოდა, ხმა ჩახლეჩოდა და ქალმა იგრძნო, თუკი არ შეჩერდებოდა, ცოტაც და დაეცემოდა ალბათ გულწასული და დამშვიდება დაუწყო. ძნელი არ აღმოჩნდა იმის დაწყნარება, როგორც კი ალერსით წარმოთქმულ სიტყვებს მოჰკრა ყური ქალისას, უმალ გაკმინდა ხმა, მერე კი ცოლის ალერსით შემომზირალი თვალებიც რომ დაინახა და ხელიც რომ შეახო ნინუცამ, თავზე გადაუსვა, ეგებ გონს მოეგოს როგორმეო, დამშვიდდა, სიბრაზემაც გადაუარა უცებ, ბოლოს კი ხმადაბლა წამოიწყო ლაპარაკი, თითქოს თავის თავს ესაუბრებოდა, ნინუცამდე ვერ მიაღწია ჩურჩულით ნათქვამს აპოლოსას, იმისი ტუჩების მოძრაობაზე მიხვდა, რასაც ამბობდა, ეწყინა თუმცა ნინუცას, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს, დამფრთხალი იყო კვლავაც, გუნებაში კი იმუქრებოდა: მაცალე, გიჩვენებ სეირს, თუ ვყოფილვარ ქალი, არ შეგარჩენ ჩემიანების გინებას და ჩემსასაც გავიტანო. ამას რომ ფიქრობდა, მიხვდებით ალბათ, ისევ ასაფრენად გამზადებულ ყვავს დამსგავსებოდა, თუმცა აპოლოს ხელის აქნევის სურვილი არ მისძალებია, არ ეცალა მაშინ საამისოდ, ერთიანად გამოთიშულიყო ბლავილის მერე და აქეთ-იქით აცეცებდა არაფრისმთქმელ, გადარეცხილ, უაზრო თვალებს.

იმ დღის შემდგომ აპოლოს კარგა ხანს აღარ წამოუვლის სურვილი ხელის აქნევისა და ნინუცას დაფრთხობისა, გადაივიწყებს ერთხანობას, თუმცა ნინუცა არაერთხელ დაედარება დამფრთხალ ყვავს, ხოლო ჩურჩულით, ამგვარი რამ ჩაიჩურჩულა, მას შემდგომ, როცა უეცრად დააწყნარა ნინუცას ღიმილმა: „გააბდლდი, ქალო, ოჯახის მარჩენალი ძროხა გავყიდო და ტელევიზორი ვიყიდო?! რავა მოგიბრუნდა მაგის სათქმელად ენა!..“ მას შემდეგ რამდენიმე დღეს იყო ცოლ-ქმარი უხმოდ: აპოლო უთენიაზევე გარბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უანაში, ხოლო ნინუცა შინ ტრიალებდა და, აპოლონი არ იყოს, ისიც ველარ უდებდა გულს საქმეს, აღარც გაზეთებს გამოფენდა ხოლმე ლამღამობით და აღარც გედეონის ბარათების კითხვით ირთობდა თავს.

აპოლომ კი უმალვე შეამჩნია ცოლის ამგვარი საქციელი, ახლა კაცს იშვიათად თუ აკნინებდა ის აკვიატებული ფიქრები, თუმცა კვლავაც ძველებურად შურდა შვილისა, მაგრამ დანაშაულს აღარ გრძნობდა ამის გამო და არც ბოროტმოქმედად მიაჩნდა თავი, გამოპკეთებოდა გუნება, ისიც ახალისებდა, ნინუცას არც ერთხელ რომ აღარ გახსენებია იმდღევანდელი საუბარი და როცა ირწმუნა საბოლოოდ, ქალს ის აკვიატებული სურვილი გავუქრეო, ნინუცამ სწორედ მაშინ შეიხსენა თავისი: ტელევიზორი ვიყიდოთ და ვიყიდოთო, გაიძახოდა წარამარა და აპოლოს შინ შესვლა შესძულებოდა, მაგრამ მოიდრიკა ბოლოს, დაჰყვა დიაცის ნებას. როგორცა ჩანს, მართალი უთქვამთ, დედაკაცი და ეშმაკი ერთ დღეს შეუქმნია თუ გაუჩენია ღმერთსო და ვგონებ, ისიც ჭეშმარიტება უნდა იყოს, დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა ულელი ხარკამეჩი ვერ დააკავებსო... ერთ დილასაც, სიცხე-პაპანაქება ჩამოწოლილიყო მაშინაც, დაინახეს გლეხებმა, საგარეოდ გამოწყობილმა ნინუცამ და აპოლომ ძროხა გაიგდეს წინ და სადღაც წავიდნენ, გზადაგზა მეზობლებს ესალმებოდნენ დიდის ამბით, მაგრამ იმას კი აღარ ამბობდნენ, საით მიეშურებოდნენ უთენიაზე და არც სოფელს უკითხავს ესა, თუ სათქმელი აქვთ რაიმე, თავადვე თქვანო...

ჰოდა, საგონებელს ჩავარდა იმ დღეს სოფელი, ირგვლივ კი შემზარავი სიცხე იყო — იხრუკებოდა ცა და ქვეყანა. მაგრამ ხალხი უკვე შეგუებოდა ხუშტურ-ჭირვეულობას ბუნებისას, რაც მთავარია, აზროვნებითაც იმ დასიცხულ ქათმებს დადარებოდნენ, აღარც ჭირნახულზე დარდით იწუხებდნენ თავს და არც მაინცდამაინც ზამთრისთვის სამზადისი ედარდებოდათ, ბედს დამორჩილებოდნენ...

ცოლ-ქმრის იმდილანდელმა საქციელმა კი ცნობისმოყვარეობა გაუღიზიანათ, თომა არ დაინტერესებულა მხოლოდ, შესაძლოა, არც გაუგია ეს ამბავი, ან თუკი გაიგო, ნინუცასა და აპოლოს რაიმე მოქმედება როგორ განაცვიფრებდა, როცა გაცილებით დიდი ამბებიც არად მიაჩნდა.

ხოლო სხვები მსჯელობდნენ მთელ დღეს, მეზობელი მეზობელს გადახძახებდა წარამარა, ხომ არ გამოჩენილან ნინუცა და აპოლოო და იმედი რომ უცრუვდებოდათ, უფრო ემორჩილებოდნენ ცნობისმოყვარეობას. ბოლოს კი, დაადგა, როგორც იქნა, საშველი იმათ სადარდებელს და შვებითაც ამოისუნთქეს დილას აქეთ გაბეზრებულთაქანცულებმა: შებინდებას ბევრი აღარაფერი რომ არ უკლდა, დაინახა სოფელმა, ტელევიზორით ხელდამშვენებულნი მობრძანდებოდნენ შარაგზაზე ნინუცა და აპოლო, ის მეწველი. ოჯახის მარჩენალი ძროხა კი, რომლის ბადალი არ შეგხვდებოდა არსად სამეზობლოში, აღარსად ჩანდა...

არაფერი უკითხავთ ცოლ-ქმრისთვის მეზობლებს, მაგრამ ცნობისმოყვარეობის ჭიამ დილახდელზე უარესად აიშვა თავი — მსჯელობდნენ, რა უნდა მომხდარიყო და თავის აზრს გამოხატავდა ყველა. ერთი შეხედვით თითქმის ძნელი გამოსაცნობი არ უნდა ყოფილიყო ის ამბავი, მაგრამ როგორც წელან გითხარით, გამუდმებულმა სიცხე-პაპანაქებამ აზროვნების უნარი დაუკარგა ხალხს, თუმცა ბოლოს და ბოლოს მიაგნეს ჭეშმარიტებას, ისიც თომას წყალობით: ერთმანეთთან რომ ვერ მორიგდნენ გლეხები, უკულმართი თომა გაიხსენეს მერე, მაგას ეცოდინება, რაც მოხდაო და ყოველი მათგანი დაეთანხმა იმას, ვინც ეს აზრი გამოთქვა; შემდგომ კი გადაწყვიტეს, კაცი ეფრინათ თომასთან, ერთი გლეხი დაითანხმეს ძლივს, სხვებთან შედარებით თამამი რომ ბრძანდებოდა. თავიდან უარობდა თითქოს, მაგრამ მერე ხალისით გაეშურა დავალების შესასრულებლად... თომას კი ჩვეულებრივ მიუღია ის კაცი — არც აღფრთოვანებულა, თურმე, და არცა სწყენია მაინცდამაინც სტუმრის მისვლა, არც იმის ნათქვამს განუცვიფრებია და არც ნინუცასა და აპოლოს საქციელს... გაირკვა, თომას არაფერი სცოდნოდა, თუმცა რა იცი, ეგებ იცოდა კიდეც, რაც მომხდარიყო, მაგრამ განგებ იშტერებდა თავს, ასეთი რამ ხშირად სჩვეოდა იმას, ვითომც ბაიბურს არ იყო, რა ხდებოდა, ისე იქცეოდა ხოლმე ზოგჯერ, მეზობლები კი ამბობდნენ, ყოლისფერი იცის თომაიემ, განგებაი იშტერებს თავსო...

ხოლო იმ კაცისთვის, სოფელმა რომ მიუგზავნა, თომას ამგვარი რამ უთქვამს: შენც გამოგაშტერა ღმერთმა და სოფელიც, მაგიზა ან იმათ რავა გამოგაგზავნეს, ან თვითონ რაფერ მომადექი კარზე, ძროხა გაუყიდიათ ნინუცასა და აპოლოს და ტელევიზორი უყიდიათ, მაგის გამოცნობას რა დიდი ამბავი უნდოდაო...

შერცხვა თურმე იმ კაცს, მერე უთხრა მეზობლებს: კიდამ დევიწვი სირცხვილით, მაი რომ მითხრა თომაიე გადარეულმა, ვიფიქრე, ჩემით რავა ვერ მივხთი-მეთქი, ხოლო სოფელმა მაშინვე იწამა თომას ნათქვამი, ლიყები აუვარვარდათ გლეხებს, ჩვენ როგორ ვერ გამოვიცანით, თომაიე უკულმართის დახმარება რად გვინდოდაო და ზაფხულის ზვატ-პაპანაქებას დააბრალეს ამგვარი მიუხვედრელობა. ჭეშმარიტი აზრი იყო, არა სცდებოდნენ და მერე, რაკიღა სიმართლე გაირკვა, განსჯა იწყეს ნინუცას და აპოლოს საქციელისა, მართლაც დიდი კამათი და მსჯელობა ატყდა, ხმები ორად გაიყო, ვერა და ვერ შეთანხმდნენ, სწორად მოქცეულიყვნენ თუ არა ნინუცა და აპოლო, დიდხანს გასტანა სჯა-ბაასმა. სოფლის მოედანზე შეკრებილიყო იმ საღამოს გლეხობა

ჯუმბერ ტიკარაძე

სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ერთი გნიას-ხმაური და მტკიცება საკუთარი აზრისა, მართლაც რომ დადარბაისლებულიყო სოფელი და ეს მოულოდნელობა გახლდათ იმ გვალვიან ზაფხულში....

ბოლოს კი იმ კაცმა წამოიწყო, რომელიც თომასთან მიაგზავნა სოფელმა: გადარეულან ნინუცა და აპოლო, არ მეგონა ამფერი ჭკუამოკლენი თუ იყვნენ, თომამ თქვა.... და ისიც უბრძანებია თომას: „გლეხიზა ძროხაა მთავარი, ტელევიზორი რაია, აფერი, მათი ბოროტმოქმედი ბიჭის ბრალია მაი ამბავი, სასწაულმოქმედი რომ გონიენ, დალუპა და დააქცია ოჯახი...“ იმ უკულმართის აზრი როგორც კი მოისმინეს, გაიტრუნენ, საგონებელს ჩავარდა ყველა, ბოლოს დაასკვნეს — ჭკვიანურად მოიქცნენ აპოლო და ნინუცა, იმფერი შვილის პატრონებს, ძროხა რა ჯანდაბად უნდათ, ააშენებს ოჯახს გედეონიო... თომას ჯინაზე მიადგნენ ამ დასკვნას, თანაც ვერ ეპატიებიათ თავიანთი თავისათვის წელანდელი მიუხვედრელობა, როცა ვერა და ვერ ამოეცნოთ, რატომ მობრუნებულიყვნენ ნინუცა და აპოლო ტელევიზორით ხელდამშვენებულნი და სად გამქრალიყო ძროხა...

მერე, რაკი მოითავეს საქმე, დაიშალნენ კიდეც, მისაუბრობდნენ დინჯად შარაზე და ქებათა ქება გაისმოდა გედეონისა, ააშენებს მაი ბიჭი ოჯახსო და შენატროდნენ ნინუცასა და აპოლოს ბედს, ხოლო თომას ლანძღავდნენ და ასწორებდნენ მიწასთან, გედეონზე ცუდი როგორ წამოსცდაო...

თომა კი, როგორც ყოველთვის, მთელი დღის საქმიანობის შემდგომ, იმ საღამოსაც არხეინად იჯდა თავის ოდაში, მხუბუქ ვახშამსა და ერთ ბოთლ ღვინოს შეექცეოდა და ისე ეშმაკურად მიეჭუტა თვალები, ალბათ ყველაფერი კარგად იცოდა, რაც წელან ილაპარაკეს მოედანზე შეკრებილმა გლეხებმა და ისიც, რასაც ახლა მისაუბრობდნენ შარაგზაზე...

ხოლო ნინუცა და აპოლო ტელევიზორს მისკუპებოდნენ, ქალი კაშკაშებდა ერთთავად, ნენა, ახლა ერთი ჩემი გედეონი გამოჩნდებოდესო, ნატრობდა გულში და აშკარად იგრძნობოდა, იმედიც ჰქონდა შვილის დანახვისა, რამდენჯერმე ხმამაღლა წამოსცდა კიდეც, რასაც ფიქრობდა, აპოლო კი დალონებულიყო, დამძიმებოდა გუნება, დროდადრო თუ შეავლებდა მზერას ტელევიზორს, ცოლსაც გადახედავდა ხანდახან და გუნებაში ლანძღვა-გინებით იხსენიებდა თავის დაბადების დღესა და საათს, ნინუცას კი დედმამის სულს უტრიალებდა, ოჯახის მარჩენალი ძროხა დასდგომოდა თვალწინ, ზმუილიც ჩაესმოდა იმისი, თითქოს ევედრებოდა რაღაცას პირუტყვი, ხოლო ნინუცა რომ წამოიძახებდა ხოლმე, რა იქნება, ახლა ჩვენი გედეონი გამოჩნდებოდესო, უფრო უმძიმდებოდა გუნება, არც ამჯერად სიამოვნებდა შვილს რომ ახსენებდა ქალი და ღელავდა კიდეც. ვინ იცის, ეგებ მართლაც გამოჩნდეს გედეონიო და გაუელვებდა, ხოლმე რავა უნდა მჯობდესო...

მაგრამ მერე და მერე გუნებაზე მოდგა აპოლო, გახალისდა კიდეც, ღიმილით შესცქეროდა ეკრანს, ნინუცასკენ. გააპარებდა ზოგჯერ მზერას; უცხო ქალაქებსა და ქვეყნებზე ლაპარაკობდა დიქტორი, ჰყვებოდა რომელ კონტინენტზე, კუნძულსა თუ ოკეანეში რა მომხდარიყო და როგორც კი ნაცნობ ქალაქებსა და ქვეყნებს ახსენებდა ხალისდებოდა და ხალისდებოდა აპოლო...

ნინუცას კი წელანდელი აღფრთოვანება ჩამოსცილებოდა, ვერა და ვერ გაეგო, რას ლაპარაკობდა დიქტორი და იმასაც ვერ მიმხვდარიყო, რა ახარებდა აპოლოს...

იმ დღის შემდგომ დაღამება უხაროდა ცოლსაც და ქმარსაც, შესაღამოვდებოდა თუ არა, ტელევიზორს შემოუსკუპდებოდნენ უმალ, ზოგჯერ ვახშამიც არ ახსენდებოდათ, ნინუცა სულ ერთსა და იმავეს ნატრობდა, გედეონი გამოჩნდებოდეს ეკრანზე ნეტავო, მაგრამ ამაო იყო იმისი ოცნება, უცრუვდებოდა იმედი, ის კი თავისას არ იშლიდა მაინც, აგერ ახლა გამოჩნდება და აგერ ახლაო, ფიქრობდა და გაიძახოდა წარამარა აპოლო კი აიმრიზებოდა მყის, როგორც შვილს ახსენებდა ქალი და სახეც უმალვე მოეღუშებოდა.

ნინუცა იმ დღის მერე, რაც ტელევიზორი შეიძინეს, საერთოდ აღარ ჩამოჰგავდა ყვავს, ის ნაოჭებიც გაჰქრობოდა თითქოს სახესა და შუბლზე და გალამაზებულიყო კიდეც, რაც ყველაზე მთავარი და ნიშნეულია იმ უკანასკნელი დღეებისათვის. ქალი აღარ იწყევლებოდა ძველებურად, მაგრამ აპოლოსთვის ვერაფერი ნუგეში იყო, უწყოდა რადგან, გედეონი იყო მიზეზი ქალის ცვალებადობისა, შვება მხოლოდ მაშინ ეწვეოდა, დიქტორი უცხო ქვეყნებისა და ქალაქების ამბებს რომ ახსენებდა, გახალისდებოდა წამსვე, როგორც კი უცხო ადგილები აირეკლებოდა ეკრანზე და თავადაც ვერ მიმხვდარიყო მიზეზს ამისას. ერთი რამ კი შეუცდომლად იცოდა, რაღაც კარგი უნდა მომხდარიყო სულ მოკლე ხანში, მაგრამ რა, ვერ მოეგებულიყო გონს, კარგის წინასწარმეტყველება კი მხოლოდ მაშინ აეკვიატებოდა, როცა უცხო ქალაქებს და ქვეყნებს ახსენებდნენ ან უმზერდა, მთავარი კი ერთი რამაა, შვილისა აღარ შუროდა იმ დროს აპოლოს და ნინუცას ულირსადაც აღარ მიაჩნდა თავი, პირუკუ, უპირატესობას გრძნობდა ცოლის წინაშე... გვიანობამდე შესცქეროდნენ ხოლმე ისინი ტელევიზორს. ერთი იმისი იმედით, ეგება გედეონი გამოჩნდესო, მეორე კი, უცხო ქალაქები აირეკლება საცა არისო, თუმცა ნინუცას ვერ ახდენოდა ნატვრა-ოცნება. მაგრამ საკმაოდ მტკიცე ხასიათისა ბრძანდებოდა დედაკაცი და ჯიუტიც, არა და არ დასთმობდა, რასაც აიკვიატებდა, ანდა მთლად უბრალოდ მოისურვებდა. ყოველი მარცხის შემდგომ უფრო ჯიუტდებოდა, ეს კი გადაცემის დასრულების მერე გაირკვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ხოლმე — ხელს ჩაქნევის სანაცვლოდ ცეცხლი აუგიზგიზებდა თვალებს და ის ნატვრაც უფრო რეალური ეგონა... აპოლო კი უფრო ბედნიერი იყო ამ მხრივ, ყოველღამ შესცქეროდა ეკრანზე შორეულ ქალაქებსა თუ სახელმწიფოებს...

ნიადაგ ტელევიზორთან ჯდომამ კი ცოლიც გააზარმაცა და ქმარიც, თუმცა აპოლო მანამდეც გაზარმაცებული იყო — აი, იმ დღის შემდგომ, შვილისა რომ შეშურდა პირველად — მაგრამ მას მერე, რაც ტელევიზორი შეიძინეს, მთლად გაუქნარდა. ადრე დილდილობით თუკი უთენიაზევე წამოფრინდებოდნენ ხოლმე ცოლიცა და ქმარიც, ახლა ლოგინის მიტოვება ენანებოდათ ძილს დანატრებულებს, ნებივრობდნენ კარგა ხანს, როდისროდის ჩაიცვამდნენ ტანთ, უნდილად ისაუზმებდნენ მერე და შუადღის შემდგომ გაემართებოდა აპოლო სათოხარში თუ ციტრუსთა პლანტაციებში ან სხვა რამ საქმეზე და მთელ დღეს მხოლოდ უცხო სახელმწიფოებსა და ქალაქებზე ფიქრობდა; არც ნინუცა ყოფილა ნაკლებ დღეს — ამაღამ გამოჩნდება აუცილებლად გედეონი ეკრანზეო, ფიქრობდა თვალის გახელისთანავე და ეს იმედი თუ ოცნება თენთავდა, გახალისებულ-ალტყინებული იყო გამუდმებით, თითქოს ულამაზეს სიზმარს ნახულობდა...

ხოლო სოფელმა უმალვე შეამჩნია ნინუცასა და აპოლოს გაზარმაცება, თუმცა, წესითა და კანონით ცოლ-ქმრის დარდი არ უნდა ჰქონოდათ იმხანად გლეხებს, უმჯობესი იქნებოდა, ჭირნახულსა და თავიანთ თავზე ჩაფიქრებულიყვნენ, მაგრამ შეჰგუებოდნენ ყველაფერს, მეტი ძალა არ ჰქონდათ, გასართობს ეძებდნენ გვალვისაგან გაბეზრებულნი და ამიტომაც იყო ნინუცასა და აპოლოს რომ მიაქციეს ყურადღება და თითქმის ყველამ ერთდროულად დაასკვნა: მაგათ რა უჭირთ, სულაც რომ არ გაანძრიონ ხელი, ბედნიერად იქნებიან მაინც, ისეთი შვილი გამოზარდესო. ოღონდ ამჯერადაც მხოლოდ თომა იყო განსხვავებული აზრისა — გაუბრწყინდებოდა თვალები მყის, როგორც კი აპოლოსა და ნინუცას ახსენებდა ვინმე, ჯიქურ გადახედავდა მოსაუბრეთ, ჩააქინდრინებდა თავს, ჩაიქნევდა მერე ხელს ჩვეულებისამებრ და იტყოდა: წასულია ნინუცასა და აპოლოს საქმე, დაინგრა ოჯახი და ეგაა, იმ ბიჭის გადამკიდეო... ნინუცა და აპოლო კი არ დაგიდევდნენ ხალხის მითქმა-მოთქმას, ყურადღების ღირსად არ თვლიდნენ არც სოფლის აზრს და არც თომასას, უბედნიერესთაგანი იყვნენ ისინი უკანასკნელ დროს: ნინუცას ის აკვიატება არ ჩამოსცილებოდა და სწამდა, აუცხადდებოდა აუცილებლად საცა იყო ნანატრი, ხოლო აპოლოს კვლავაც მეტოქედ მიაჩნდა შვილი, მაგრამ დიდებულ გუნება-განწყობაზე ბრძანდებოდა მაინც — დიდის ამბით მოელოდა ხოლმე უცხო ქვეყნებისა და ქალაქების გამოჩენას ეკრანზე და იცოდა კარგად, რაღაც უნდა მომხდარიყო ისეთი, რაც ძირფესვიანად შეცვლიდა იმის ცხოვრებას, გაქრებოდა ძველი, კანონად ქცეულ — ძვალ-რბილს გამჯდარი, სამარადისოდ მიეცემოდა მივიწყებას და მის სანაცვლოდ სხვა, ახალი მოვიდოდა...

და, მართლაც არ გასცუდებია იმედი: ერთ საღამოსაც ჩვეულებრივ მიუსხდნენ ტელევიზორს, ყოველდღიურ საღამოს ჰგავდა ცოლ-ქმრისას მაშინდელიც — ნინუცა გამოჩენას მოელოდა გედეონისას და, როგორც ყოველთვის, ტელევიზორის შეძენის შემდგომ, გალამაზებულიყო ახლაც სათნო ნათელი ახციმციმებოდა თვალებში, ხოლო აპოლოს, ჩვეულებრივ, ცოლისა და შვილის უღირსად მიაჩნდა თავი კვლავაც, მაგრამ აღარ განიცდიდა მაინცდამაინც, აკვიატებული წინასწარმეტყველება მოვლენოდა მხსნელად...

ჰო, ყველაფერი ჩვეულებრივ მიმდინარეობდა, მაგრამ მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი რამ, რასაც ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა აპოლო და არც მოელოდა, კაშკაშებდა ეკრანი, ისე იყო, უცხო ქვეყნებზე უნდა დაწყებულიყო გადაცემა, ხოლო აპოლოს გული აჩქარებოდა და სისხლიც ძალუმად აჩქროლებოდა ძარღვებში, ტკბილ მოლოდინს გაებრუებია, მაგრამ, დიქტორმა გამოაცხადა მოულოდნელად, დღევანდელი გადაცემა სხვა დროისათვისაა გადატანილი, ახლა კი იმის სანაცვლოდ კინოფილმი იხილეთო და ბოდიში მოუხადა ტელემაყურებელთ...

გაოგნდა უცებ აპოლო, მაგრამ გაბრაზების მაგივრად სულ სხვა რამ განცდა დაეუფლა, მოგონებით გამოწვეული, სევდანარევი, მაგრამ მაინც ერუოლვისმომგვრელი განწყობილება. ყველაფრის ბრალი კი ის იყო, ამას მერეღა მიხვდა აპოლო, რამდენიმე საათის შემდგომ, როცა ძილი გაუკრთა და საგულდაგულოდ აწონ-დაწონა ყოველივე, რაც მომხდარიყო, დიქტორმა რომ გამოაცხადა კინოფილმი იხილეთო. კინოფილმის ხსენებამ, შორეული წლები მოაგონა, აი, ის ხანა, საერთოდ რომ ამოვარდნოდა მეხსიერებიდან — პირველად რომ დაუარა ერუოლა-ერუანტელად და განცვიფრებად კინემატოგრაფმა მთაში ატყორცნილ იმ კოპწია სოფელს, და გრძნობდა აპოლო ქვეშეცნეულად, საცა იყო აბდებოდა აკვიატებული წინასწარმეტყველება კარგი ამბისა, საშველს რომ უკარგავდა, მაგრამ ის არ იცოდა, თუკი სანუკვარ გეოგრაფიამდე და ოცნებადქცეულ რუკებამდე მიიყვანდა მოგონებები...

ცხადად და გარკვევით ახსენდებოდა ყოველივე იმღამ აპოლოს: ხმა დაირხა მაშინ სოფლად, გველირსა, რავარც იქნა, ჩვენთანაც მოუტანიათ კინოო... შვიდიოდე წლისა თუ იქნებოდა აპოლო იმხანად, ახსოვდა კარგად, სკოლაში არ დადიოდა ჯერ კიდევ და ისიც დიდებულად ახსენდებოდა, უფროსები უჩვეულო ზარზეიმით რომ ემზადებოდნენ საღამოსათვის, ბოლოს კი, როგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორც შებინდდა, გასძახა მეზობელმა მეზობელს და დიდის ამბით გაემართნენ კინოსურათის სანახავად ქალები და კაცები, გამოპრანჭულნი და საგანგებოდ დასერიოზულებულნი, ხოლო იქამდე, მთელი ის დღე ისე გავიდა, მარტოოდენ კინოს საოცრებაზე მსჯელობდა ხალხი, სხვა ყველა საზრუნავი მივიწყებოდათ, სამუშაო არც ერთს არ გახსენებია, გამოკეტილიყვნენ თავთავიანთ სახლებში და წინასწარვე სურდათ ამოცნობა იმისა, თუ რა მოხდებოდა საღამოს, როცა კინოსურათს იხილავდნენ...

ხოლო როგორც კი შებინდდა, კრძალვით გაეშურნენ უპატრონოდ მიტოვებული ძველისძველი ეკლესიისაკენ. უფროსები მიდიოდნენ მხოლოდ, თითქმის მთელი სოფელი დაიძრა კინოსურათის სანახავად, პატარები კი შინ დატოვეს, ვერ წარმოედგინათ შესაძლებლობა იმისა, ბავშვებიც რომ წაეყვანათ კინოში...

მეორე დღეს კი მართლაც დიდი ამბები ხდებოდა და აპოლოც, სხვა თანასოფლელი ბავშვების არ იყოს, მოაჯადოვა უფროსთა ნაამბობმა:

იმ დღესაც არ გახსენებიათ საქმე გლეხებს. ისხდნენ არხეინად სახლებში, გაბადრულნი და ალტყინებულნი, მინებებოდნენ ექსტაზს და საოცარზე საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ განცვიფრებულნი, თითქმის დამფრთხალნიც... „რას არ გამეიგონებენ, ბედავ? რავა მოვიფიქრებდი ამფერ ამბავს თუ მოვესწრებოდი. — ეუბნებოდა აპოლოს მამა სტუმრად გადმოსულ მეზობლის გლეხს, — აბა, დეიჯერებდი ვითამ, შენი თვალით რომ არ გეყურებია, ზეწარზე თუ დეიწყებდა სიარულს და სირბილს ადამიანი? — მერე ღიმილი მოადგებოდა სახეზე აპოლოს მამას,—რაფერ კოცნიდა იგი დასალუპი ციცა იმ ბიჭს, — ტუჩებს აწკლაპუნებდა ამას რომ ამბობდა, ნერწყვსა ულაპავდა და თვალებიც ცეცხლით ავსებოდა, დროდადრო მოკრძალებულად გადახედავდა ხოლმე ცოლს. დამნაშავესავით, — აბა რაფერ კოცნიდა"...

მერე აპოლოს დედაც ჩაერეოდა საუბარში. განცვიფრებას ვერ მალავდა ისიც და ახსენდებოდა ახლა აპოლოს, რომ მაშინ არ დაინტერესებულა უფროსთა ჩაამბობით. ცოტა ხნის მერე დაიწყო ფიქრი კინოზე, იმ მეზობლის გლეხმა რომ თქვა, რაფერ ატრიალებდა თომაიე გადარეული არღანსო... ცხადად გაახსენდა ახლა აპოლოს ის გლეხი, თომა რომ ახსენა მაშინ და იმისი ნათქვამიც აშკარად ჩაესმა ყურში:

უპატრონოდ რომ დაწანწალებდა ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფლად, თურმე იმ დროს უსწავლია თომას არღნის დაკვრაო...

შესცქეროდა ტელევიზორის ეკრანს აპოლო და გაოცებული იყო, ხედავ შენა? მაშინაც გამორჩეული ყოფილა თომა სხვებისაგან და როგორ გადამავიწყდაო... ხუთიოდე წლით თუ იქნებოდა თომა უფროსი აპოლოზე და იმ დღეს მთელი სოფელი მხოლოდ ერთს გაიძახოდა, რაფერ უკრავს და რაფერ უკრავს არღანსო, განცვიფრებას იყვნენ და აპოლომ სწორედ მაშინ ინატრა, ერთი მეც მაჩვენა კინო, რა მოხდებაო და მარტო იმას კი არა, სოფლის ყველა ბავშვს ეგ გაჩენოდა საოცნებოდ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვინ აღირსებდათ, ყოველღამ დადიოდნენ უფროსები კინოში, მარტოოდენ თავიანთი გასართობი ეგონათ, შვილებს კი შინ სტოვებდნენ და აღფრთოვანებაც ყოველი ახალი ფილმის ნახვის შემდგომ იზრდებოდა და იზრდებოდა და აპოლომ ნათლად გაიხსენა, სკოლას რომ დაუკავშირა მაშინ კინო...

უაზროდ მისჩერებოდა აპოლო ტელევიზორს და ვერ წარმოიდგენდა ვერაფრით, წარსულის ის შემთხვევითი გახსენება გეოგრაფიამდე თუ მიიყვანდა, რუკა და გეოგრაფია რატომღაც ამოვარდნოდა მეხსიერებიდან, არც ერთხელ აღარ გახსენებია ბოლო დროს, მას შემდგომ, რაც ტელევიზორი იყიდა. იმ საღამოს კი, ჰო, ახსენდებოდა, სკოლას რომ დაუკავშირა მაშინ კინო, იქ უჩვენებენ ალბათო და აი, ერთ დღესაც, სწავლა რომ დამთავრდა და სკოლის შენობა დაცარიელდა, მალვით შეიპარა ერთერთ კლასში, გაბრწყინებოდა თვალები სიხარულისაგან, მეშველა და ეგ არის, კინოს ვნახავო... კედელთან გაკრულ ქაღალდთან მივიდა მერე, სხვა ვერაფერი შენიშნა საგულისხმო: ორი წრე იყო შემოხაზული იმ ქაღალდზე, კრძალვით მიუახლოვდა, ფეხაკრეფით, ახწითლებოდა ერთთავად სახე, ხოლო გული გამალებით უცემდა. ნამდვილად ეს უნდა იყოს კინოო და შესცქეროდა თვალმოუცილებლივ ,ეგებ კაცები და ქალები დავინახო, როგორ დადიანო, მაგრამ არა, ვერაფერი შენიშნა ამის მაგვარი, ჯიუტად შესცქეროდა მაინც კედელზე გაკრულ ქაღალდს, ეგებ მე ვერ ვამჩნევ ადამიანებსო...

ახსენდებოდა აპოლოს წლების მიღმა დარჩენილი, მივიწყებით დანავლებული ამბები, კინოფილმის ხსენებამ რომ წამოუტივტივა გონებაში და სხეული აურუანტელებოდა, ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ, ვერც ნინუცასა და ვერც ტელევიზორის ეკრანს, ხოლო ფიქრი თანდათან ყალიბდებოდა და გამოკვეთილ ფორმასაც იძენდა, მაგრამ ვერ ამოიცნობდა ვერაფრით მაშინ, რა მოჰყვებოდა იმ გახსენებებს, ეგ კი იცოდა და სჯეროდა, კარგი რამ უნდა მომხდარიყო, ახდებოდა აუცილებლად აკვიატებული წინასწარმეტყველება...

ბოლოს და ბოლოს იხილა, როგორც იქნა, აპოლომ კინოსურათი — მიჩვდნენ უფროსები, ბავშვებისთვისაც რომ არ იქნებოდა ურიგო კინოს სასწაულთა ხილვა და ერთ დღესაც ეკლესიისაკენ წაიყვანეს მშობლებმა აპოლო, იქ მოეთავსებია მაშინ კლუბი სოფელს — ახლაც დიდებულად დასდგომოდა თვალწინ ის შორეული საღამო, ხალხით იყო გაჭედილი კლუბის დარბაზი, ირგვლივ კი ნაცნობები იყვნენ ყველანი — უფროსებიცა და მით უმეტეს, ბავშვები, წინ, ფარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თო თეთრი ზეწარი აეფარებიათ კედელზე და იმას შესცქეროდნენ გაფაციცებით, ხოლო თომა არხეინად დამდგარიყო არღანთან, დიდებულად შეგუებოდა თავის განსწკუთრებულ მდგომარეობას, იგრძნობოდა აშკარად, არ უკვირდა არაფერი, თითქოსდა ძალზე ჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა...

ბოლოს კი, როგორც იქნა, ჩაქრა ხინათლე და უმალ ამოძრავდნენ ადამიანთა ლანდები ზეწარზე, აპოლო ისე იყო აფორიაქებულიცა და დარცხვენილ-აღელვებულიც ბედნიერებისაგან, ვერაფრით ვერ მოგებულიყო გონს, ვერ გაეგო რა ხდებოდა ირგვლივ და უცებ მუსიკის ხმაც გაისმა: თომა უკრავდა არღანს, ხიზმრისეულ საბურველში გამოხვეულიყო და ჯადოსნურ ნისლში ატივტივებულიყო ყოველივე აპოლოსათვის და, აი, მოულოდნელად არღნის სახელურის ტრიალი შეწყვიტა თომამ და ლაპარაკი დაიწყო, თუმცა გარკვევითა და ხმამაღლა გამოთქვამდა სიტყვებს და დარბაზშიც სიწყნარე სუფევდა, რას ამბობდა, ვერ მიმხვდარიყო აპოლო, არადა, გაგება კი სურდა გულით თომას ნათქვამისა, მაგრამ ვერ გაებედა, უფროსებისათვის რომ ეკითხა, ისიც დიდ დაფასებად მიაჩნდა, კინოში რომ წამოეყვანათ და ეშინოდა მაშინ, რაიმე რომ ვიკითხო, რა იცი, ეგებ ბოლომდე არ მაყურებინონო...

ეკრანისათვის კი შეეგუებია ბოლოს და ბოლოს თვალი, ადამიანებსაც გარკვევით ხედავდა და ცხოველებსაც, სწრაფად რომ მოძრაობდნენ და სხვასაც ყველაფერს — სახლებს, მთებსა თუ ხეებს, რაც კი გამოჩნდებოდა ზეწარზე, ხოლო გული კვლავაც აჩქარებითა და სახიამოვნოდ ეკუმშებოდა სასწაულის მნახველს, რომელზეც მთლად უბრალო წარმოდგენაც არა ჰქონია იმ საღამომდე. აოცებდა ყველაფერი, ეკრანზე მომხდარიც, არღნის ხმაცა და თომას ლაპარაკიც, რომლის შინაარსს კვლავაც ვერ ჩახწვდენოდა...

თომა კი ხან მოულოდნელად შესწყვეტდა არღნის დაკვრას, ლაპარაკს იწყებდა, გატრუნულ-სულგანაბულნი უსმენდნენ დარბაზში მსხდომნი, ხან ისევ დაატრიალებდა არღნის სახელურს და როგორც მუსიკა მოეფინებოდა დარბაზს, რომელიმე უფროსთაგანი იტყოდა აუცილებლად: უყურებ შენ, რა ხდება თურმეო.

ბოლოს, როგორც იქნა, აღიქვა შინაარსი თომას მიერ ნათქვამი ერთ-ერთი წინადადებისა აპოლომ — შეწყვიტა არღნის დაკვრა თომამ და ხმამაღლა და გარკვევით წარმოთქვა, დამარცვლა კიდეც სიტყვები, უკეთ რომ გაეგოთ მსმენელთ: „ელისოა მაი ლამაზი ქალი, კაძახს რომ კოცნის ეგერ, ზეწარზე...“

ელისო ყოფილა უყურებ შენო, გაიკვირვა ვიღაცამ და კვლავაც მუსიკის ხმა გაისმა. აპოლო კი მას შემდგომ, რაც ყური მიაჩვია თომას ლაპარაკს, მიხვდა — ზეწარზე მომხდარ ამბებს უხსნიდა თურმე მაყურებელთ იგი...

მერე კი უცნაური რამ მოხდა სოფლად: ერთ დღესაც ხმა დაირხა, თომას უარი უთქვამს არღნის დაკვრაზე, რა გვეშველება აწი, როგორღა ვნახავთ კინოსო... — დადარდიანებულიყვნენ გლეხები.

როგორ თუ უარი უთქვამსო, ბრაზი და განცვიფრება ერთდროულად დაუფლებოდა სოფელს, ეს პირველი მოქმედება იყო თომასი, სოფლის გაოცება რომ გამოიწვია, ვინ რა იცოდა მაშინ, შემდგომით შემდგომ, დრო რომ გავიდოდა, კიდევ ხშირად განაცვიფრებდა ხალხს იმისი საქციელი...

მაინც რაფერ უთქვამს უარიო, კითხულობდნენ ცნობისმოყვარეობას მინებებულნი... „როგორ და, — თქვა ერთ-ერთმა გლეხმა, — თომაიე გადარეულს უთხრობია, არ მჯერავს მე მაი, ზეწარზე რომ დაპროწიალობენ ქალები და კაცები დ ერთმანეთს კოცნიან, ტყუილიაო, აბა!..“ რეიზა არ მჯერავს თუ იციო, ჰკითხეს იმ გლეხს... რეიზა და, არ ლაპარაკობენ მაგინი, ისთე, ტყუილა დახტიენ ზეწარზე, რომ დეილაპარაკონ, მაგინისას მაინც აფერს არ დევიჯერებ და რა ძალა მადგანა ახლა, არღანი ვუკრა და მათ მაგიერ ვილაპარაკოო...“

განცვიფრებას და აღშფოთებას ველარ მალავდა სოფელი, განრისხებული იყო ირგვლივ ყველა, დიდიცა და პატარაც და ვერაფერი რომ ვერ გაახერხეს, კაცი მიუგზავნეს თომას, გინდა თუ არა, მოდი ამ საღამოს კლუბში, ფულსაც მეტს გადაგიხდითო, მაგრამ უარი თქვა და ველარც გადაათქმევინეს...

თომამ პირველად მაშინ გამოხატა თურმე აშკარად და ხალხის თანდასწრებით ურწმუნობა, თან კი არც მორიდებია და არც შეშინებია კაციშვილისა, მას მერე დამუნჯებულიყო ეკრანიცა და ხალხიც, ხმას არავინ იღებდა, ემანდ რამე არ გამოგვეპაროსო და კომენტარებსაც აღარავინ ურთავდა ეკრანზე მომხდარ ამბებს, არღნის აკომპამენტზე ხომ ზედმატია სიტყვის ჩამოგდება...

თომამ კი ერთხელ და სამუდამოდ შეიძულა კინო, მერეც აღარ გაჰკარებია კლუბს, ხმოვანი ფილმები რომ გამოვიდა...

თვალნათლივ ახსენდებოდა ყოველივე იმ საღამოს აპოლოს და მიუხედავად იმისა, რომ კარგად ხვდებოდა, თომა იმთავითვე გამორჩეული ყოფილა თურმე ირგვლივ მყოფთაგან, არ შურდა მაინც ამჟერად მისი, როგორც უწინ სჩვეოდა ხოლმე, ახლა სხვა, გაცილებით უფრო დიდი საზრუნავ-საფიქრებელი გასჩენოდა: გეოგრაფიაზე ფიქრობდა, მოგონებებს მადაგასკარის კუნძულის შემოხაზულობა აეფართხალებინა ცხადად თვალწინ, უცინოდა სახე და აშკარაა, ის დღეც ახსენდებოდა, უმაღლესი შეფასება რომ მიიღო გეოგრაფიაში, მაშინდელ სიხარულს განიცდიდა ახლა ისევ, მასწავლებელმა რომ შეაქო და თანაკლასელთა განცვიფრებაც გამოიწვია...

სკოლაში შესვლის მერე გაიგო აპოლომ, ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევარსფეროების რუკა ყოფილა თურმე ის კედელზე გაკრული ქაღალდი, კინო რომ ეგონა. ასე და ამგვარად გადაეხლართა ერთიმეორეს აპოლოს მოგონებებში კინემატოგრაფის პირველი ნაბიჯები სოფლად და საოცნებო გეოგრაფია, ნახევარსფეროების რუკა თუ მადაგასკარის კუნძული... მართლაც და, დიდებულ გუნებაზე მომდგარიყო იმ ღირსშესანიშნავ საღამოს აპოლო, სჯეროდა, ველარ გაუძლებდა მოზღვავებულ ბედნიერებას და ხვალინდელ ნათელსა და მომხიბვლელ დღეებზე ოცნებობდა, ხოლო ნინუცა, რაღაი დარწმუნებულიყო, აწი გედეონი აღარ გამოჩნდება ეკრანზეო, რაღას იზამდა, მეტი ძალა და გამოსავალი რაკი აღარ იყო, ხვალამდე უნდა მოეთმინა და ახლა გაზეთები გამოეფინა ოთახში, საქმიანობდა ჩვეულებრივ მაშინაც, შვილის ჩაფიქრებულ ორეულებს ჩასჩურჩულებდა და ეალერსებოდა, დროდადრო სათნოდ აუელვარდებოდა თვალები და მეუღლეს გადახედავდა, თითქოს ამოცნობა ეწადა რაღაცისა, მნიშვნელოვანის და აუცილებლის, გრძნობდა იმ საღამოს დედაკაცი უჩვეულოდ რომ იყო გახარებული და აღელვებული აპოლო, მიზეზს კი ვერ ჩასწვდენოდა ქმრის ამგვარი შეცვლისა და ქალური ცნობისმოყვარეობა მისძალებოდა, აღარ აძლევდა საშველს...

აპოლოს კი არც გედეონისა და ნინუცას ულირსად მიაჩნდა თავი ამჯერად და შურის გრძნობაც ჩამოსცილებოდა ნაშიერისადმი, თან სამუდამოდაც, იცოდა, აწი აღარასოდეს დაასევდიანებდა შვილის რაიმე წარმატება და აღარც ის შეშურდებოდა, თომა რომ იყო გამორჩეული სხვათაგან, ეგ კი არა, დარწმუნებული გახლდათ, მალე სხვებს შეშურდებოდათ მისი, უპირველესად კი, ეჭვიც არ ებარებოდა, თომას, და იმ საღამოს მადლიერი იყო ნინუცასი, ტელევიზორის ყიდვა რომ აიჩემა, თუმცა არ გაუმხელია ქალისთვის ეს ამბავი და არც აგრძნობინებდა ოდესმე; ტელევიზორის დამსახურება გახლდათ ყოველივე, რაც შემდგომ უნდა მომხდარიყო, უახლოეს ხანში...

მშობლებიც გაიხსენა რამდენჯერმე აპოლომ და გული სიბრალულით შეეკუმშა, ძალზე ადრე გარდაიცვალნენ ის სულცხონებულნიო, გაიფიქრა, მადლიერი იყო ყველასი, ირგვლივ მყოფ ადამიანთა და ყოველივესი, რაც კი მომხდარიყო და თავს გადახდენოდა...

ნინუცასაც ემადლიერებოდა გუნებაში და გედეონსაც, თომას მადლიერიც გახლდათ, ადამიანისა, რომელიც მოსისხლე მტრად მიაჩნდა ყოველთვის, ბავშვობის წლებიდან მოყოლებული, ალბათ იმ დღიდანვე, არლანს რომ ატრიალებდა ხოლმე... თავიდან მხოლოდ ქვეშეცნეულად მიიჩნევდა მტრად, შინაგანი გუმანის კარნახით, მერე და მერე, რაც უფრო ემატებოდა ასაკი, შეგნებულად, თუმცა არ გაუმხელია არასდროს და სჯეროდა ახლა, კარგად მოქცეულიყო, არ ღირდა დაწვრილმანება...

იმ ღამით ჩვეულებრივზე უფრო მოგვიანებით დაწვნენ დასაძინებლად ნინუცა და აპოლო, შუაღამეს გადაცილებული იქნებოდა, მერე, ცოტაც და, სიბნელეში წყნარი ფშვინვა გაისმა ნინუცასი, ქალს ტკბილად ეძინა, აპოლო კი თვალგახელილი იწვა, კმაყოფილი და ბედნიერი, ძილი არ ეკარებოდა, ფიქრობდა, ყოველი უბრალო დეტალი იმისი ფიქრისა, მკაცრ ლოგიკას ემორჩილებოდა, ერთდროულად ყველა და ყველაფერი დასდგომოდა თვალწინ, შორეული და უფრო ახლო წარსულიც, აწმყოცა და განსაკუთრებით კი მომავალი და კიდევ ადამიანები, ახლობელნიცა და შორებელნიც, მიცვალებულებიცა და ცოცხლებიც... ბოლოს მილულა თვალი, მაგრამ ხეირიანად როდი სძინებია, წარამარა ეღვიძებოდა მიაყურადებდა სიბნელესა და ნინუცას სუნთქვას და ჯერ არგანცდილი სიმშვიდე ეუფლებოდა, ჩაეძინებოდა მერე ისევ და კვლავ ეგრე მეორდებოდა, სიზმრებსაც ნახულობდა იმ ღამით, ლამაზსა და ფერად-ფერადს, წარსულის ულამაზესი დღეები მეორდებოდა, ოდესღაც რომ არსებობდნენ, ბავშვობის ჟამს, მერე კი ცხოვრების ორომტრიალსა და უკუღმართობას რომ გაექრო უკვალოდ და ის დღეც მაშინდელი სიცხადით განმეორდა სიზმრად, ფრიადი რომ მიიღო გეოგრაფიაში — რუკასთან იდგა აპოლო და კუნძულ მადაგასკარს შესცქეროდა...

დილით კი უთენიაზე გაახილა თვალი, შემსუბუქებოდა სხეული, ძალ-ღონის უჩვეულო მოზღვავებასაც გრძნობდა აშკარად, სიზმარსიზმარ გასული ღამის შემდგომ...

ტანთ რომ ჩაიცვა, წვერი გაიპარსა, ნინუცას ეძინა ჯერ კიდევ და ფეხაკრეფით დადიოდა, კრძალვა მისძალებოდა იმ დილით ცოლისა...

მოგვიანებით გამოეღვიძა ნინუცას, თვალი გაახილა თუ არა, დაინახა, აპოლო საგარეოდ გამოწყობილიყო და სარკის წინ ტრიალებდა, იღიმებოდა თანაც, როგორც ჩანდა, თავის თავს უღიმოდა და ისიც შეამჩნია ქალმა, წვერი რომ გაეპარსა, ვერ მიხვედრილიყო, რას მოასწავებდა ქმრის ამდაგვარი საქმიანობა, რატომ არ გამაღვიძეო, უსაყვედურა და სწრაფად გადაიცვა ტანთ...

როგორც კი ისაუზმეს, აპოლო სარკესთან მივიდა ისევ, იტრიალა ერთხანობას და წავიდა, წასვლის წინ კი, საქმე მაქვს აუცილებელი და მალე მოვალო, დაიბარა.

ნინუცა, რახან გონს ვერ მოსულიყო, სად მიდიოდა კაცი, წყევლა-კრულვის გუნებაზე მოდგა, მაგრამ ვერ გაებედა ხმის ამოღება, რიდი მისცემოდა ქმრისა...

და შემდგომ კი მთელ დღეს ინერვიულა ქალმა, დაბორიალებდა აქეთ-იქით, ედებოდა ერთი კუნჭულიდან მეორეს გედეონის წერ[illegible] არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუკითხავს, როგორიცა სჩვეოდა ხოლმე, ეგეც ცოტაა, შვილი ერთხელაც არ გახსენებია მაშინ, მხოლოდ ქმარი დასდგომოდა თვალწინ უკვირდა, სარკის წინ რომ ტრიალებდა უთენიაზე, წუხანდელი ღამეც ახსენდებოდა, უცნაურად რომ იყო აღგზნებული და გამოცოცხლებული აპოლო და დარდობდა ახლა დედაკაცი არ უნდა გამეშვა არაფრით, ვიდრე არ მეტყოდა, სად მიდიოდაო...

დაძაბულად გაიარა დღემ, ჭიშკრისაკენ ეჭირა წარამარა თვალი ნინუცას და ბინდი რომ წამოეპარა არემარეს, მაშინღა ამოისუნთქა შვებით, როგორც იქნა, გამოჩნდა აპოლო, — გახალისებული მოაბიჯებდა შარაზე, ხელში კი რაღაც დახვეული ქაღალდები ეჭირა და როგორც კი ეზოში შემოდგა ფეხი, ნინუცას არ დაუყოვნებია, ჰკითხა:

— რაა, მაი, აპოლო, რა მეიტანე...

— რაია და რუკები, — საგანგებოდ დაბოხებული ხმით მიუგო აპოლომ და გაიღიმა მრავალმნიშვნელოვნად, თანაც ალერსიანი მზერა შეავლო ცოლს, გრძნობდა, გონს ვერ მოგებულიყო დედაკაცი, — უჰ, დავიღალე დღეს, ვახშამი გამიმზადე ერთი, თუ ქალი ხარ...

ნინუცა კი ვერაფერს მიმხვდარიყო, რა რუკები უნდა იყოსო, დარდად შემოსწოლოდა ეს ფიქრი, ამაოდ დაძაბულიყო, თან კი თავს ინუგეშებდა: „ალბათ საჭირო თუა, რაცხა რუკაა თუ ჯანდაბა, აბა, ამ ხნის კაცი ტყუილა ხომ არ გადაყრიდა ფულს... გაოცება კი აი ის იყო, ვახშმის შემდეგ რომ დარია ხელი ნინუცას: აპოლო იმ ქაღალდებს დიდის ამბითა და გულმოდგინებით აკრავდა კედლებზე, ახლა კი ვეღარ მოითმინა ქალმა, ჯერ გაიფიქრა — ტყუილა გადუყრია ფული, გამოჩერჩეტებულა ბერიკაცი და მაიაო, მერე კი წყევლის გუნებაზე მოდგა, ის იყო ქოქოლა უნდა მიეყარა, მოშაწოდე ლურსმანიო, აპოლომ უთხრა...

— რაა მაგენი, გამაგებიე, თუ კაცი ხარ, აპოლო, — წამოიწყო ნინუცამ, — რაის რუკებიო, რაიზაა საჭირო, მითხარი, თუ კაცი ხარ, თვარა ჩემი დამემართება მე..

კედლები კი ნაირფერად აჭრელებულიყო: რანაირ-რანაირი რუკა აღარ შეეძინა აპოლოს — პოლიტიკურიცა და ფიზიკურიც, მსოფლიოსიც და ცალკე ქვეყნებისა და კონტინენტებისაც, ზოოლოგიურიცა და კიდევ ბევრი სხვაც... საქმიანობას რომ მორჩა, როცა ყველა რუკა გააკრა კედელზე, იდგა ერთ ხანს ამაყად, თვალებში სიხარული ჩასდგომოდა, გამართულიყო წელში, ფართოდ გადაეშალა მხრები და ღრმად სუნთქავდა, მერე კი ნინუცას გადახედა და უმალვე რუკებს მოავლო მზერა, თვალს მოჰუტავდა, ხოლმე დროდადრო ნეტარების ბურუსში გახვეული, დინჯად მივიდოდა რუკებთან, ყოველ მათგანს ცალ-ცალკე გადაუსვამდა ხელს, ეფერებოდა თითქოს, შესცქეროდა რომელიმე ამორჩეულ წერტილს, ყველაზე დიდხანს კი მადაგასკარის კუნძულს, თითქოს რაღაც საოცრებას უმზერდა, რომლის შემჩნევა მის გარდა, კაციშვილს არ ძალუძდა დედამიწის ზურგზე. ჩურჩულებდა თანაც, ტუჩებს აცმაცუნებდა, თვალებში კი განცხრომა-სიამოვნება დასტყობოდა, სახეზეც ნეტარება ალბეშდეოდა..., შეჰყურებდა ნინუცა ქმარს, უარესად დაძაბულიყო ამჯერად, წეღან კი აპოლომ რომ აუხსნა ორიოდ სიტყვით რუკის დანიშნულება და ისიც, რა აუცილებელი და საჭირო რამ გახლავთ იგი განათლებული ადამიანისათვის, ვერაფერს მიხვდა ქალი, ჯერ იყო და, გაიფიქრა, ფულის ყადრი არ სცოდნია აპოლოსო, მაგრამ იმის სიტყვებს რომ ჩაუღრმავდა, განათლებული ხალხისთვისაა აუცილებელიო, გაუელვა: „გედეონს გამოადგება აი რუკები ალბათ, — და რიდი მიეძალა ქმრისა, — თადარიგიანი კაცია, ფულს ტყვილა რავა გაიმეტებდა..." მაგრამ გაოგნებული და შინაგანად დამუხტული იყო ნინუცა მაინც და იხსენებდა, სხვა ოჯახებსაც თუ ჰქონდა რუკები, ფიქრით თითქმის ყველა მეზობლის სახლი შემოიარა, დაკვირვებით იჭვრიტებოდა სამეზობლოს ყოველ ოთახსა თუ კუთხე-კუნჭულში, მაგრამ ვერ გაიხსენა, ენახა თუ არა სადმე მსგავსი რამ, ამის მერე კი თავისი სოფელიც დაუდგა თვალწინ, ქალიშვილობისჟამინდელი, თორემ გათხოვების შემდგომ იშვიათად თუ ჩავიდოდა იქა, სად ეცალა საამისოდ, ყოველი მოსახლე გაიხსენა თითქმის, ნაშინაც არ ენახა რუკა სადმე ნინუცას და ამჯერად აფორიაქებულ-გონარეული დედაკაცი უფრო მეტის რიდითა და კრძალვით შესცქეროდა ქმარს, რომელიც დინჯად და ღირსეულად დადიოდა ოთახში, ჯერაც არ ახსოვდა ნინუცას ამდაგვარი თავდაჯერებული ნაბიჯები და საქციელი ქმრისა, ყოველთვის აკლდა რწმენაცა და სიამაყეც, მაშინაც არ მოქცეულა ასე, როცა ახალდაქორწინებულნი იყვნენ... ისიც აღელვებდა ქალს, ყურადღების ღირსადაც რომ არ თვლიდა აპოლო და მართლაც ასე იყო: კაცი ახლა ცოლს ვერ ამჩნევდა, წეღან კი უნდოდა დაწვრილებით აეხსნა მისთვის რუკების დანიშნულება, წამოიწყო კიდეც საუბარი, მაგრამ იაზრა წამსვე, ნინუცა ვერაფერს რომ ვერ ხვდებოდა და არც შემცდარა, განაცხადა ქალმა, ასე რომ იყო და აპოლომ ლაპარაკი შესწყვიტა, უნუგეშოდ ჩაიქნია ხელი, რას გავაგებიებ ამ რეგვენს, დიდი გაუნათლებელი ვინმე ყოფილა, მე არაფერი ვიცოდი აქამდეო და ცოტა დარჩა, კინაღამ მიახალა კიდეც, რასაც ფიქრობდა, მაგრამ გაახსენდა დროზე, ქალს რომ არ აეჩემებია ტელევიზორის ყიდვა, თავად ვერ გაიხსენებდა რუკებსა და გეოგრ… ს და

ჯუმბერ ტიკარაძე

სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდსულოვნად აპატია გაუნათლებლობაცა და ისიც, ვერაფრით რომ ვერ გაეგო რუკების დანიშნულება... და, აი, ტელევიზორი ჩართო ბოლოს, ჯერ ისეთი არაფერი იყო, თავად რომ აინტერესებდა და უგულისყუროდ მისჩერებოდა ეკრანს, ხან ცოლსაც შეავლებდა მზერას და გულის ფანცქალით ელოდა, როდის დაიწყებოდა ახალი ამბები...

ხოლო ნინუცა, როგორც ყოველთვის, ტელეგადაცემების დაწყებისას, მოხიბლული იყო ახლაც, სათნო დედაკაცად ქცეულიყო, გედეონი გამოჩნდება საცააო, ფიქრობდა და ქმრისკენ ერთხელაც არ გაუხედავს, მას შემდგომ, რაც ტელევიზორი ჩართეს, მერე კი ველარ მოითმინა და ხმამაღლა განაცხადა, რასაც ფიქრობდა...

შეთრთოლდა აპოლო გედეონის ხსენებაზე, შეტოკდა, ძალუმად აუჩქროლდა სისხლი და იგრძნო, როგორ მონატრებოდა შვილი, რა იქნება, მართლაც გამოჩნდებოდესო, ნატრობდა და თვალწინ დასდგომოდა გედეონი, ჩაფიქრებული და დასევდიანებული, გაზეთებიდან რომ ანოიმზირებოდა, ისეთი, შვილის ნიჭიცა და უნარიც ახსენდებოდა, თანდათან ეუფლებოდა სიამაყე წამლეკ გრძნობას დამორჩილებოდა ამჯერად, შვილის სიყვარულმა და მონატრებამ რომ იცის საერთოდ, ის კი ერთხელაც არ გახსენებია, შვილისა რომ შურდა ხოლმე, ამგვარი რამ თითქოს არც არსებულა ოდესმე, ისე მივიწყებოდა და გუნებაში გადაწყვიტა, როგორც კი ტელეგადაცემები გასრულდებოდა, აუცილებლად დაეთვალიერებია გედეონისეული გაზეთები და იმისი წერილებიც გადაეკითხა..

ბედნიერი კაცი ბრძანდებოდა მაშინ აპოლო, იჯდა საკუთარ ოჯახში, მყუდროება და სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ, შესცქეროდა ეკრანს ტელევიზორისას, ჟამ-ჟამ ცოლსაც გადახედავდა, ოცნებობდა შვილზე, ნახვა მონატრებოდა იმისი და გულის ფანცქალით ელოდა ახალი ამბების დაწყებას, თანაც კი უამრავი რუკა ჰქონდა, ბედნიერებას კი, იმისი აზრით, სხვა არა უნდოდა რა, ის კი არ იცოდა, რომ უფრო დიდი ბედნიერება ელოდა წინ, შემდგომით შემდგომ გაცილებით უფრო ხალისიანი და მომხიბლველელი რომ გახდებოდა ცხოვრება...

ახალი ამბებიც დაიწყო მერე და ადგილზე აცქმუტდა აპოლო, ხოლო ნინუცა დაწყნარებული გამოიყურებოდა ახლა, აღარაფერი აინტერესებდა და კვლავ დაბრუნებოდა ყოველდღიურ წვრილმან ფიქრებსა თუ საზრუნავს; აპოლო კი ისე გადახხვაფერებულიყო, თვალი რომ მოეკრა ვინმე ნაცნობთაგანს, ალბათ ვერც იცნობდა — საზღვარგარეთის ამბებს გადმოსცემდა დიქტორი და როგორც კი ახსენებდა რომელიმე უცხო ქალაქსა თუ სახელმწიფოს, წამოხტებოდა უმალ აპოლო, რუკასთან მიიჭრებოდა გულამოვარდნილ-დაფეთებული და თუკი მიაგნებდა იმ სახელმწიფოსა და ქალაქს, რომელსაც ტელევიზორში ახსენებდნენ, ღიმილად იღვრებოდა, თუ ვერ იპოვიდა, შეეცვლებოდა უმალვე განწყობილება, აიმრიზებოდა, ამოიხვნეშებდა ერთს ღრმად, ნინუცა კი, ქმრის უცნაურობათა შემხედვარე, ცოტაც და, ჭკუაზე გადასცდებოდა ალბათ, მაგრამ ვერ გაებედა ხმის ამოღება, რიდით შესცქეროდა ქმარს, შიშითაც, აფორიაქებულიყო შინაგანად...

იმ საღამოს აპოლო უფრო იმედგაცრუებული დარჩა, ვიდრე ნასიამოვნები, საზღვარგარეთული ქვეყნებიდან და ქალაქებიდან, ტელევიზორში რომ ახსენეს, სამიოდეს თუ მიაგნო რუკაზე, დანარჩენი ვერ იპოვა და ტელეგადაცემათა გასრულების შემდგომ, ნაღველი დაუფლებოდა, არ ეგონა, ასე მცირე თუ იყო მისი გეოგრაფიული თვალსაწიერი.

იმ ღამით ღრმა და უშფოთველი ძილით ეძინა აპოლოს, მაგრამ სიზმრებს მაინც ნახულობდა, nაირ-ნაირ ლამაზ რუკებსა და ულამაზეს უცხო ქალაქებსა და სახელმწიფოებს ხედავდა ძილში, მეორე დილით კი ყველა სიზმარი ცხადად გაიიხსენა, სინამდვილეში არსებულსავით...

და მას შემდგომ ოთახში გამოიკეტა აპოლო, გარეთ საერთოდ აღარ გამოდიოდა, შესძულებოდა დღის სინათლე, ყოველდღიური საქმიანობაც გადაევიწყა, აუცილებელი რომ გახლავთ გლეხისთვის თუ სხვა რამ საზრუნავიცა და ადამიანებიც, ბოლთას სცემდა დილიდან შებინდებამდე ოთახში, ჩაჰკირკიტებდა რუკებს კმაყოფილი და ბედნიერი, ნინუცა დროდადრო თუ შეუჭვრეტდა, და როგორც კი მოჰკრავდა თვალს აპოლო, შეუღრენდა უმალ, ხელს ნუ მიშლიო და ქალიც მყის დაემსგავსებოდა დამფრთხალ-დაშინებულ ყვავს, ხმის ამოუღებლად გაიძურწებოდა და მერე მთელ დღეს ველარ ჩამოიშორებდა ნაღველს, ვერ ამოეცნო, რა ხდებოდა აპოლოს თავს — პირველ ხუთ დღეს იყო ასე, მერე კი შეეგუა თითქოს ნინუცა ქმრის უცნაურობებს და ჭამის დრო რომ მოატანდა, მხოლოდ მაშინ თუააკითხავდა. აპოლო კი, დრო რომ არ გაეფლანგა უქმად, იქვე დანაყრდებოდა, რუკებთან, უმადოდ ილოღნებოდა, ჭამას შეგაძულებდა ადამიანს, წამოხტებოდა ხანდახან, ფერწასული მიირბენდა რომელიმე რუკასთან, იდგა იქ, დასევდიანებული ხან, ხანაც ნეტარებას დამორჩილებული, ჭამის დროს ნინუცას არ იკარებდა ხოლმე ახლოს ხელს შემიშლიო, იმიზეზებდა, დედაკაცი კი ვერ მიმხვდარიყო ვერაფერს, არადა, მეზობლებისთვისაც ვერ გაემხილა სანაღვლო, ოჯახის ამბავს გარეთ არ გაიტანდა არაფრის დიდებით, გათხოვების პირველი დღეებიდანვე ამგვარად სჩვეოდა...

ულიმღამოდ, ერთფეროვნად და ნაღვლიანკაეშნიანად მიიზლაზნებოდა ნინუცას დღეები, იმის მერე, რაც რუკები შეეძინა აპოლოს, ქალს სევდამ დარია ხელი, შეურაცხყოფილადაც გრძნობდა თავს, არ ეგონა და ვერც წარმოიდგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდა ვერასდროს. უკანასკნელი უჟმური დღეები რომ არა, ახე თუ უყვარდა ქმარი, გედეონი იშვიათადღა თუ გაახსენდებოდა და მაშინაც გადაივიწყებდა უმალვე, ქმარზე ფიქრობდა ნიადაგ. გამუდმებულმა მწუხარებამ ნაოჭები მოუმრავლა სახეზე და უფრო უარესად ჩამოახმო, ძილითაც ცუდად ეძინა, აპოლოზე ფიქრი უფრთხობდა ძილს, იმას კი ეძინა არხეინად, დილამდე ერთხელაც არ შეიცვლიდა მხარს, ისე გადაექანცა გამუდმებულ კირკიტს რუკებისას....

ჩამოდნა და ჩამოხმა ათიოდ დღეში აპოლოც, ძილი კი ჰქონდა რიგიანი, მაგრამ მადა დაჰკარგვოდა ჰამისა, წაკიკნიდა ერთი ბეწოს და მორჩა, ამით კმაყოფილდებოდა, ხოლო დღენიადაგ ოთახში ყოფნამ და უჰაერობამ ფერი წაართვა სახისა, ნაავადმყოფარს დამსგავსებოდა, მაგრამ მაინც მადლიერი იყო ბედისა, რაკი დღითიდღე ეზრდებოდა და ულრმავდებოდა დონე გეოგრაფიული ცოდნისა.

სამიოდე დღე რომ გავიდა, მას შემდგომ, როგორც კი რუკებთან განმარტოვდა, უფრო იოლად პოულობდა იმ ქვეყნებსა თუ ქალაქებს, რომელთაც ტელევიზორში ახსენებდნენ და თავდაჯერებულობაც თანდათან ემატებოდა, გაამაყდა და გაამპარტავნდა კიდეც, დროდადრო, რუკებთან განმარტოებისას, წარსული თუ შეახსენებდა თავს, გული სტკიოდა უქმად გასული წლების გამო, მაგრამ წარსულისათვის დიდხანს ვერ იცლიდა...

თვეზე მეტი დრო გასულიყო იმ დღის მერე, რაც რუკები იყიდა და ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ გამოჩენილა გარეთ, მივიწყებოდა ყველა და ყველაფერი და, აი, მოხდა ის, რასაც ნატრობდა, ზეპირად იცოდა უკვე დედამიწის ყოველი კუთხე-კუნჭული, მთლად მივარდნილი მდინარეცა თუ უბრალო კუნძულიც და სადარდებელიც აღარაფერი ჰქონდა, ნამდვილი ბედნიერება, ადრე რომ არ განეცადა არასდროს, მხოლოდ ახლა მოსულიყო: როგორც კი ახსენებდა დიქტორი რომელიმე სახელმწიფოსა თუ ქალაქს, აპოლო მყის პოულობდა რუკაზე... სოფელში კი უმალვე გავარდა ხმა, აპოლოს უამრავი რუკა შეუძენიაო და განცვიფრდნენ გლეხები, ნეტავ რისთვის უნდაო, თავიდან ეს თქვეს მხოლოდ და მოთმინებით ალიჯურვნენ, დაელოდნენ, თავადვე გვეტყვის ყველაფერსო, მაგრამ გადიოდა დრო და აპოლო აღარა ჩანდა სამეზობლოში, კაციშვილს არ მოეკრა თვალი მისთვის კარგა ხანი იყო და მაშინ დაიწყეს მართლაც სერიოზული მსჯელობა: წარამარა ხსენება იყო სოფლად აპოლოსი, საგონებელს ჩავარდნილიყო დიდ-პატარა, ვერ ამოეცნოთ, რას მოახწავებდა იმისი ამგვარი საქციელი. მარტოოდენ თომა არ გარეულა მარაქაში. როგორც კი გაიგო აპოლოს ამბავი, თავისებურად ჩაიქნია ხელი და მოაყოლა: წასულია მაგის საქმე, დალუპა მისმა ბოროტმოქმედმა შვილმა, ვამბობდი ადრევე და არ მიჯერებდითო, ეგ იყო და ეგა, შემდგომ ერთხელაც აღარ უხსენებია თომას აპოლო, გადაივიწყა კიდეც ალბათ, ამქვეყნად რომ არსებობდა...

სოფელი კი ცნობისწადილს მინებებოდა, ერთი აპოლოს რუკები გვანახა, მეტი არაფერი გვინდაო, ნატრობდნენ, მაგრამ თავად როგორ მიაკითხავდნენ, ამგვარი საქციელი სამარცხვინოდ მიაჩნდათ იქაურებს. ისე კი იმედოვნებდნენ, ერთი დღეც იქნება და, ვიხილავთ აპოლოს რუკებსო... ბოლოს, როცა იმედი გადაეწურათ რუკების ხილვისა, ეშმაკობას მიმართეს, კაცი მიუგზავნეს, თითქოსდა შემთხვევით შეგევლოს, რაიმე საქმე მოიმიზეზეო, დაარიგეს.

მიადგა ისიც კარზე, მისი კბილა და ტოლსწორი იყო, ერთ მერხზე ისხდნენ სკოლაში და აპოლო ცას ეწია სიხარულით. ნასიამოვნები დაშორდა სტუმარი მასპინძელს, სოფლის დავალებაც შეასრულა პირნათლად და რუკებიც იხილა. მერე სხვებმაც მიაკითხეს აპოლოს, ცალ-ცალკე შეუვლიდნენ ხოლმე, რიგრიგობით და ყოველი მათგანი ისე იჭერდა თავს, შემთხვევით შეევლო თითქოს, ვითომც ბაიბურს არ იყვნენ, ზოგი რას იმიზეზებდა და ზოგი რას...

აღფრთოვანებული რჩებოდა ყველა აპოლოს განსწავლულობითაც და იმისი რუკებითაც. ხოლო ნინუცა უფრო მორიდებული და მოკრძალებული გახდა ქმართან ურთიერთობისას, ძველებური წყევლა რა საკადრისია, იმ ხნის ქალი წითლდებოდა კიდეც, როცა აპოლო ელაპარაკებოდა, ანდა უბრალოდაც რომ შესცქეროდა და ესაუბრებოდა ხოლმე, ისევ მობრუნებულიყო თითქოს გარდასულიდან ქალწულებრივი კდემამოსილება თუ კრძალვა-რიდი, რომლის არსებობა დროთა ვითარებაში გადავიწყებოდა კიდეც ნინუცას...

აპოლო კი დღის სინათლეს გაურბოდა ისევ, კვლავაც განაგრძობდა შინ ჯდომას და დიდის ამბითა და გულწრფელი სიხარულით ღებულობდა ხოლმე სტუმრად მისულ მეზობლებს; საუბარი კი რუკებსა და გეოგრაფიას შეეხებოდა უმეტესწილ, სტუმრები მოკრძალებით უსმენდნენ აპოლოს, რუკებთან რომ დამდგარიყო და უცხო ქვეყნებზე, ქალაქებზე, ზღვებსა და ოკეანეებზე, ტბებსა და მდინარეებზე, უდაბნოებსა და მაღალ მთებზე თუ კუნძულებსა და ნახევარკუნძულებზე ლაპარაკობდა გატაცებითა და ბოლო ხანებში რომ ქცეოდა ჩვევად, იმდაგვარი აღტყინებით...

ოღონდ ერთი რამ იყო, რაც, ცოტა არ იყოს, უხერხულობას უქმნიდა აპოლოს. თომა არ ჩანდა მომსვლელთა შორის და ისეთი პირი უჩანდა, საერთოდაც არ გამოჩნდებოდა, ხალხში კი უთქვამს, გამოშტერებულა აპოლო და მაგია, რაღა დროის მისი გეოგრაფია და რუკები იყო, თავის დროზე ვერ ჰქნა სიკეთე და ახლა, როცა გამობერუტურდა, რაღას იზამსო...

განრისხდა სოფელი ამის გაგონებაზე, იფიქრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს, როგორც ყოველთვის, ახლაც ჩვენს ჯინაზე იქცევა ახეო, აღშფოთდნენ საშინლად მამაკაცებიცა და დიაცებიც და ხშირად რომ ხდებოდა, ახლაც ისე აგინებდნენ და წყევლიდნენ, ზურგს უკან, რა თქმა უნდა, პირში თქმას როგორ გაუბედავდნენ, შიში და მორიდება ჰქონდათ თომასი. აპოლოსა და ნინუცას ყურამდე არ მიუღწევია თომას ნათქვამს, მოერიდნენ მეზობლები ცოლქმარსაც და თომასაც. აპოლო კი ყოველდღე ელოდა დიდის ამბით თომას გამოჩენას, ნიადაგ ქიშკრისკენ ეჭირა თვალი, და ნინუცა მიხვდა, რა დღეც ადგა კაცს და ერთხელაც ამგვარი რამ უთხრა:

— აბა, ახლა კაცია მაი ვითამ? — და დადუმდა, პასუხს დაელოდა, აპოლომ კი ამოიცნო უმალვე, ვიზეც ლაპარაკობდა ქალი, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, დაელოდა, უმჯობესია თქვას ბოლომდე, რაც სურსო. თან ცდილობდა, ცოლს არ შეემჩნია შეურაცხყოფილი რომ იყო თომას მოუსვლელობით, ხოლო ნინუცამ განაგრძო: — ყველამ შემოიარა თომაიე უკულმართის მეტმა...

— უჰ, რას ამბობ, — თქვა აპოლომ. — თომას დარდი მაქვს ახლა მე? არც გამხსენებია, ნინუცამ კი დიდებულად უწყოდა, გახსენება რა სათქმელია, როცა ნატვრად ჰქცეოდა თომას გამოჩენა აპოლოს, იმან კი ჩაიბურტყუნა: — რად მინდა ახლა მე თომაო...

გათენდა მერე ერთი დილაც, ჩვეულებრივი, მცხუნვარე, ისეთი, ხალხი რომ შეგუებოდა უკვე და სხვაგვარი ველარც წარმოედგინათ და აპოლომ თოხი გაიდო მხარზე, ყანისაკენ გასწია, ეს--იამოვნა ნინუცას ეს ამბავი, სოფელი კი, თვალი რომ მოჰკრა შარაზე მიმავალსა და მხარზე თოხგადებულ აპოლოს, განცვიფრდა, აღარ ეგონათ იქაურებს, კვლავაც თუ იხილავდნენ ოდესმე ყანაში აპოლოს, ის კი მიაბიჯებდა შარაზე, დილა მშვიდობისაო, ესალმებოდა მეზობლებს, აგაშენა ღმერთმაო, პასუხობდნენ ისინი მოკრძალებით, გრძნობდა აპოლო ცხადად მეზობელთა რიდსა და პატივისცემას, უხაროდა, იფერებდა დიდებულად მდგომარეობას და თომა დასდგომოდა თვალწინ: იმას ხომ არ მოექცევიან ასე. აჰ, არა და არა, პატივისცემის რა ღირსიაო... შემდგომ კი დიდხანს ველარ გაძლო ყანაში, როგორც კი დაიწყებდა მუშაობას, თოხს გაიქნევდა თუ არა, რუკები შეახსნებდა უმალვე თავს, ყოველი მათგანი აუფერადდებოდა თვალწინ და ღიმილი მოეფინებოდა სახეზე, ერთხანს ეყო ნებისყოფის სიმტკიცე, გაუძლო ცდუნებას, მაგრამ ველარ სძლია მერე და მერე მოძალებულ სურვილს რუკების ხილვისას, მიატოვა საქმე და შინისაკენ დაადგა გზას, მონატრებოდა რუკებთან დგომა და უცხო ქალაქებსა თუ სახელმწიფოებზე ოცნება. შინ რომ მივიდა, მხოლოდ მაშინღა მიხვდა, თოხი ყანაში დარჩენოდა თურმე, მაგრამ ხელი ჩაიქნია უდარდელად; ნინუცას კი ელდა ეცა, ქმარი რომ დაინახა, თანაც უთოხოდ, უნდოდა რაიმე ეთქვა, მაგრამ რუკები გაახსენდა ქალს და ხმა ველარ დასძრა, ეტყობოდა, ნინუცასაც შეჰყვარებოდა რუკები, თუმცა იმას ვერ მიმხვდარიყო ვერაფრით, რა დანიშნულება ჰქონდა საერთოდ, მით უმეტეს ის ვერ გაეგო, აპოლოს რისთვის ესაჭიროებოდა...

ხოლო აპოლო ოთახში გამოიკეტა ყანიდან მობრუნებისთანავე, თანაც ნატრობდა ნეტავ თომა გამოჩნდებოდეს დღესო, დარწმუნებული იყო, მიუხედავად იმისა, დიდი ურწმუნო და წყალწაღებული ვინმე რომ ბრძანდებოდა, როგორც კი იმდენ რუკას მოჰკრავდა თვალს, თავის სიცოცხლეში რომ არ ექნებოდა ნანახი არასდროს და აპოლოს განსწავლულობასაც იხილავდა, ვეღარ მოდგებოდა ქილიკისა თუ მასხრობის გუნებაზე, ეგ კი არადა, შურითაც დაიზაფრებოდა...

იმ საღამოს, ტელევიზორს რომ უსმინა ცოლქმარმა და დასაძინებლად ემზადებოდნენ, აპოლომ ნინუცას გათვითცნობიერება გადაწყვიტა გეოგრაფიაში, მაგრამ დილამდე არაფერი გაუმხელია და, როგორც ირიჟრაჟა, წუხანდელი გადაწყვეტილება გაახსენდა და მხიარულ გუნებაზე მოდგა, საუზმის შემდგომ კი ჩაფიქრებულმა დასცა ბოლთა, მერე ღიმილი მოეფინა სახეზე და ცოლს ურხთა:

— რა მოვიფიქრე, იცი, ნინუცა? მოდი, ბარემლა და შენც გასწავლი რუკას, — გულდასმით მისჩერებოდა ცოლს ამას რომ ამბობდა, როგორ იმოქმედებს ჩემი ნათქვამიო, — დიდი არაფერი უნდა, აგიხსნი და მიხვდები უცებ...

— რას ჩივი, აპოლო, — წამოიწყო ნინუცამ, შეცბუნებამ რომ გადაუარა, — რაღა დროის ჩემი რუკაა. ცალი ფეხი სამარეში მიდგანა...

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები

ზურაბ ჭავჭავაძე

# რა გვაცინებს?!

«Чем грубее и необразованнее человек, тем он более расположен смеяться всякой плоскости, хохотать всякому вздору... Если бы из «Тараса Бульбы» сделать драму, — я уверен, что в страшной сцене казни, когда старый казак на вопль сына: «Слышишь ли, батьку!» отвечает: «Слышу, сынку!», многие от души расхохотались бы... Постижение комического — вершина эстетического образования».

ბელინსკი

ჟურნალ „ცისკრის" 1980 წლის მე-11 ნომერში დაისტამბა ჯემალ აფციაურის უცნაური წერილი „კომიკურის ელემენტები უძველეს ქართულ პროზაში". უცნაურით — ვამბობთ, რადგან წერილი ფორმითაც და შინაარსითაც მრავალ, ჯერჯერობით მიუღებელ სიახლეს შეიცავს.

წერილის ავტორს მიზნად დაუსახავს ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, როგორც თავად ამბობს, „კომიკური პასაჟების" მოძიება. ის, ვინც დაინტერესდება ქართულ ლიტერატურაში სატირისა და იუმორის განვითარების გზების ძიებით, გვერდს ვერ აუვლის გამოჩენილი მეცნიერის — გრიგოლ კიკნაძის ამ საკითხისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ ნაშრომს — „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის". ამ თხზულებაში ავტორი იძლევა მითითებებს, თუ რომელი გზით და რა ხსით უნდა წარიმართოს უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლების კვლევა მათში კომიკურის ელემენტების აღმოსაჩენად:

„ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ, საზოგადოდ, კომიკური და, კერძოდ, სატირა კონკრეტულ-ისტორიული ვითარების გათვალისწინებას საჭიროებს... რაც თავის დროზე ჩვენი წინაპრების მიერ გააზრებული იყო, როგორც კომიკურ-სატირული, ახლა ჩვენზე შეიძლება უკვე აღარ ტოვებდეს ასეთ შთაბეჭდილებას. ასევე მოსალოდნელია, რომ... ის, რაც თავის დროზე კომიკურის შთაბეჭდილებას მაინცდამაინც არ ახდენდა, ახლა ჩვენ სწორედ „კომიკურის" სიამოვნებას გვგვრიდეს. ამასთანავე გასათვალისწინებელია, თუ რამდენად წარმართავდა თვით ავტორს კომიკურ-სატირული მიზანდასახულება. შეიძლება გარკვეული გამონათქვამი შემთხვევითია, და, მაშასადამე, ავტორისათვის ჯერ კიდევ არ არის ნათელი კომიზმის მხატვრული მნიშვნელობა". (გვ. 86).

ზედმეტიც კია იმის აღნიშვნა, რომ გამოჩენილი მეცნიერის მითითებები იმდენად ნათელი, ლაკონიური და, რაღა თქმა უნდა, სწორია, რომ მათი ვერ გაგება ან იგნორირება შეუძლებელია. განსახილველი წერილის ავტორმა კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ან ვერ გაიგო, ან ყურად არ იღო უძველეს ლიტერატურაში სატირულის ძიებისათვის ამოსავალი დებულებები. მას შემდეგ, რაც აყალიბებს კვლევის მეთოდოლოგიას, გრ. კიკნაძე იხილავს საკუთრივ აგიოგრაფიაში კომიკურ-სატირული სურათების არსებობის შესაძლებლობას და აღნიშნავს:

„ქართული ლიტერატურის ისეთ უძველეს ძეგლებში, როგორიცაა შუშანიკის წამება, აბოს წამება ან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ჩვენ ვერ ვამჩნევთ მოვლენათა ისეთ დასურათებას, რომელიც კომიზმის შექმნას ემსახურებოდეს. ერთი შეხედვით, თვით თემა გამორიცხავდა ასეთი ხერხების გამოყენებას, რამდენადაც მწერლის მიზანი იყო წმინდანთა ან გამოჩენილ სასულიერო პირთა დახასიათება. მაგრამ ამ თხზულებებში ვხვდებით ისეთ ადამია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნებსაც, რომელთა მოქმედების გაკიცხვას სატირული საშუალებებით წინ არაფერი ელობება. ასეთია ვარსქენი, აშოტ კურაპალატი და სხვა. მაგრამ ეს ჩვენი მწერლები მაინც არ იყენებენ სატირას და არც კომიზმის გამომწვევ რომელიმე ხერხს. ჩანს, ეს მწერლები ან ვერ გრძნობენ სატირული ხერხების ზემოქმედების ძალას, ანდა — რაც უფრო მოსალოდნელია — მათის აზრით, კომიკურ-სატირული ტონი შეუფერებელია ისეთი ფაქიზი და ამაღლებული თემისათვის, როგორიცაა სასულიერო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერა. როგორი ახსნაც არ უნდა მივცეთ ამ ფაქტს, ერთი ცხადია: ამ ძეგლებში ვერ ვპოულობთ ჩვენთვის საგულისხმო მასალას". (გვ. 86-87).

როგორც ვხედავთ, გრ. კიკნაძე საერთოდ გამორიცხავს ქართულ აგიოგრაფიაში კომიზმის არსებობას. ამიტომ აგიოგრაფიაში „კომიკური პასაჟების" პოვნის მსურველი ან უნდა დაეთანხმოს მეცნიერს, ანდა საწინააღმდეგო დაამტკიცოს.

გრ. კიკნაძის ნაშრომს წერილის ავტორიც იცნობს, ყოველ შემთხვევაში, ჟურნალის 7 გვერდზე მოთავსებულ წერილში ექვსჯერ ახდენს ამ ნაშრომის ციტირებას (თანაც, ყოველთვის დვაწლმოსილი მეცნიერის დებულებებისადმი უეჭველი დასტური ჩანს ხოლმე, თითქოს). მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი დასკვნები ძირეულად ეწინააღმდეგება დიდი მეცნიერის თვალსაზრისს. გავიხსენოთ გრ. კიკნაძის სიტყვები:

„ქართული ლიტერატურის ისეთ უძველეს ძეგლებში, როგორიცაა შუშანიკის წამება, აბოს წამება და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ჩვენ ვერ ვამჩნევთ მოვლენათა ისეთ დასურათებას, რომელიც კომიზმის შექმნას ემსახურებოდეს" (ხაზი ავტორისეულია).

როგორც ვხედავთ, მეცნიერი ხაზგასმით უარყოფს „შუშანიკის წამებაში" კომიკური სურათების არსებობას. ახლა ვნახოთ, როგორ „წაიკითხა" ეს ადგილი ჯ. აფციაურმა:

„აგიოგრაფები, რა თქმა უნდა, ერიდებიან სატირული, იუმორისტული სურათების დახატვას და სავსებით სწორად ასკვნის გ. კიკნაძე, რომ მათ თხზულებებში „ჩვენ ვერ ვამჩნევთ მოვლენათა ისეთ დასურათებას, რომელიც კომიზმის შექმნას ემსახურებოდეს".

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო საკმაო მასალას იძლევა... შუშანიკის წამება". (გვ. 148. ხაზი ჩემია — ზ. ჭ.). როგორც ვხედავთ, წერილის ავტორმა შეგნებულად გამოტოვა ციტირებული ფრაზის დასაწყისი (სადაც ნახსენები იყო „შუშანიკის წამება") და უშუალოდ „ციტატის" შემდეგ განაგრძო თავისი „იდეების" განვითარება საერთოდ ქართული აგიოგრაფიის და საკუთრივ კი „შუშანიკის წამების" შესახებ!

რა თქმა უნდა, მეცნიერების მიზანი ჭეშმარიტების დადგენაა და ჩვენც შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ თუნდაც უდიდეს მეცნიერთა ყველა დებულება კრიტიკის გარეშე, ბრმად მივიღოთ, მაგრამ სად გაგონილა ამგვარი „ციტირება"? თუ მოგვყავს მეცნიერის აზრი და მას „სავსებით ზუსტს" ვუწოდებთ, როგორღა ვამტკიცებთ სრულიად საწინააღმდეგოს?! მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ამგვარი ოინი მეტად ძნელად განსახორციელებელია, მაგრამ ის, რაც სხვისთვის წარმოუდგენელიც კი შეიძლება იყოს, წერილის ავტორისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს, მას ხელეწიფება ნებისმიერი ციტატიდან ნებისმიერი დასკვნის გამოტანა. აი, ერთი მაგალითიც — 158-ე გვერდზე მოყვანილი არჩილის ლექსი თავისივე „დასკვნით":

„მუხთალო, ცრუ, მტყუანო, ერთ წამსაც
დაუდგრომელო,
დაუნდობელო, მძრახველო, სულ იქი-აქა
მძრომელო,
ბრძენთ საძულარო, ყოველთა უცებთა
მწვე სანდომელო..."

სიტყვები — „ბრძენთ საძულარო" აშკარად გამოხატავს ცხოვრებასთან დამოკიდებულების რელიგიურ ასპექტს — თვით სოფელი კი არ არის ბოროტების წყარო, არამედ მისადმი უკონტროლო მიდგომა, სოფლის სიამით თავდაუჯერელი გატაცება, რაც საბოლოო ჯამში, ემსახურება ქრისტიანულ იდეოლოგიას." (რა ემსახურება ქრისტიანულ იდეოლოგიას — „სოფლისადმი უკონტროლო მიდგომა, სოფლის სიამით თავდაუჯერელი გატაცება"?!).

განა ეს ორი სიტყვა — „ბრძენთ საძულარი" — შეიძლება გამოხატავდეს ისეთ ვრცელ აზრს, როგორიცაა: „თვით სოფელი კი არ არის ბოროტების წყარო, არამედ მისადმი უკონტროლო მიდგომა, სოფლის სიამით თავდაუჯერელი გატაცება"?!

შესაძლებელია წერილის ავტორმა ვერ გაიგო სიტყვების — „ბრძენთ საძულარო" — მნიშვნელობა, მაგრამ მაშინ რატომღა არ დაფიქრდა იმაზედ, რომ, თუ არჩილს სურდა ეთქვა: „თვით სოფელი კი არ არის ბოროტების წყარო, არამედ მისადმი უკონტროლო მიდგომა, სოფლის სიამით თავდაუჯერელი გატაცებაო", იგი სოფელს აღარ უწოდებდა მუხთალს, ცრუს, მტყუანს, ერთ წამსაც დაუდგრომელს, დაუნდობელს, მძრახველს, სულ იქი-აქა მძრომელს, ბრძენთათვის საძულველს და ცერცეტთათვის საოცნებოს?! მართალია, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ წერილის ავტორისათვის გაუგებარია სიტყვები: „ბრძენთ საძულარო", „მძრახველო", „უცებთა მწვე სანდომელო", მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მან არ იცოდეს მნიშვნელობა ისეთი, ხალხში დღესაც ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთოდ გავრცელებული, სიტყვებისა, როგორიცაა: მუხთალი, ცრუ, მტყუანი, დაუნდობელი, ხულ იქი-აქა მძრომელი. ამიტომ, ვფიქრობთ, ობიექტური ანალიზის სურვილის შემთხვევაში წერილის ავტორი ადვილად მიხვდებოდა იმას, რომ მეფე-პოეტი საწუთროს „ამკობს“ იმგვარი სიტყვებით, რომელნიც, ფაქტიურად სიტყვაკაზმულ მწერლობაში დაშვებული მძაფრი გამოთქმების ზღვარს წარმოადგენენ და, ამგვარად, იდუმალებით მოცული სიტყვებიც — „ბრძენთ საძულართო“ სოფლის „რეაბილიტაციას“ არ უნდა შეიცავდეს!

არჩილის სტროფის ზემოთ განხილული „კომენტარი“ ჩვენის ღრმა რწმენით, არ წარმოადგენს გაუგებრობის შედეგს, არამედ ის არის ერთი მკაფიო მაგალითი იმ „სტილისა“, რომლითაც შეთხზულია მთელი წერილი — ავტორს მოჰყავს ციტატები, არავითარ ანგარიშს არ უწევს მათ შინაარსს და ცდილობს გამოიტანოს ისეთი დასკვნები, როგორიც მოესურვილება. დიახ, ცდილობს, რადგანაც ხშირად ვერც ახერხებს აზრის გადმოცემას.

განსახილველი წერილი შეიცავს მრავალ უახლეს იდეას (რომელთაც ქვემოთ, გზადაგზა მივაწვდით მკითხველს) ლიტერატურისმცოდნეობის სფეროში. ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ წერილის ავტორი უახლეს იდეებს (ნაწილს მაინც) უახლესი ენით გადმოგვცემს, ჩანს, იგი მიისწრაფის ქართული ენის რეფორმისაკენ. განსაკუთრებით ემტერება წერილის ავტორი ქართულ ენაში ნაცვალსახელების ხმარების დამკვიდრებულ ტრადიციას:

„ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ უძველესი ქართული პროზა არ არის მოკლებული კომიკურ პასაჟებს, თუმცა იგი (უძველესი ქართული პროზა?! — ზ. ჭ.) არ განიცდება როგორც ესთეტიკური ღირებულება და გამომდინარეობს იდეოლოგიური ბრძოლის სხვადასხვა ფორმიდან“. (გვ. 152).

„ხასიათის განვითარება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აგიოგრაფიულ ძეგლებში არა გვაქვს, რაც შეუძლებელს ხდის მათ მიმართ (აგიოგრაფიული ძეგლების მიმართ?! — ზ. ჭ.) კომიკური სიტუაციის შექმნას“. (გვ. 150).

იქნებ ჩვენი უმეცრების და ჩამორჩენილობის ბრალიცაა, მაგრამ ეს უახლესი ქართული რატომღაც არ გვესმის და, იქნებ სჯობდეს, სანამ ამგვარ სიახლეებს ყურს შევაჩვევდეთ, დღემდე მიღებული ქართულით განმარტებებიც დაერთოს ხოლმე?!

წერილში მრავლადაა ისეთი წინადადებებიც, რომლებიც, თითქოსდა, „ძველებურადაა“ შედგენილი, მაგრამ ავტორის თვალსაზრისის შეტყობას მაინც ვერ ვახერხებთ, რადგან იგი ხშირად გამოთქვამს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს. ისახავს რა მიზნად, განიხილოს „კომიკურის ელემენტები უძველეს ქართულ პროზაში“, წერილის ავტორი „განსაზღვრავს საკითხის დასმის მეთოდოლოგიურ მხარეს“:

„ჩვენ გვაინტერესებს, ძირითადად ის, თუ რა აღძრავდა ღიმილს, სიცილს აგიოგრაფთა თანამედროვეებში, სხვადასხვა სოციალური წრის, განსხვავებული იდეოლოგიური განწყობის ადამიანებში, რა ფორმებში ვლინდებოდა ეს კომიკური და არა ის, თუ რა არის მათში დღეს ჩვენთვის კომიზმის საგანი“. (გვ. 147).

— წერს თავიდან ავტორი, მაგრამ წერის პროცესში მან, როგორც შემდგომ არაერთხელ ვნახავთ, უგულებელყო თავისივე ამოსავალი დებულება, ხოლო ბოლოს სრულიად შეიცვალა აზრი „საკითხის დასმის მეთოდოლოგიური მხარის“ შესახებ და 158-ე გვერდზე გვიმტკიცებს:

„კომიკური პერსონაჟი, სიტუაცია, პასაჟი უნდა აღიქვას დაუნაწევრებლად. (!) კომიკურის წარმოსაჩენად უძველეს ქართულ პროზაში იგი უნდა გათავისუფლდეს(?!) საეკლესიო მსოფლმხედველობის შინაარსისაგან“.

რამ აიძულა ავტორი შეეცვალა „მეთოდოლოგია“? ჩვენი აზრით, აკვიატებულმა სურვილმა — აუცილებლად უნდა ეპოვნა (და თანაც ბლომად) „სასაცილო“ ეპიზოდები ქართულ აგიოგრაფიაში. „კომიკური პასაჟების“ შესახებ შემდგომ ვისაუბრებთ, ახლა კი დავუბრუნდეთ ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს. წერილის ავტორს 150-ე გვერდზე მოჰყავს გრ. კიკნაძის აზრი, რომელსაც „ეთანხმება და აზუსტებს“.

„მეცნიერებაში გამოთქმულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ქართული მხატვრული ლიტერატურის „აღორძინების პერიოდში“ (XVI-XVIII სს.) შეინიშნება „სოფლის“ ქცევა სატირის საგნად, გაკიცხვის ობიექტად, ხოლო ადრე გვხვდება რეალური ქვეყნის, ცხოვრების მხოლოდ მშრალი, ფილოსოფიური კრიტიკა, ჩვენ მხოლოდ დავაზუსტებდით ამ თავისთავად სწორ აზრს იმის დამატებით, რომ „აღორძინების პერიოდში“ დამკვიდრებული „სოფლის სამდურავი“ უდაოდ იმ შეხედულებების განვითარებაა, რომელიც გამოთქმულია აგიოგრაფთა მიერ „სოფელზე“, მის წარმავლობაზე, „მედინობაზე“. (ხაზი ჩემია — ზ. ჭ.).

მაგრამ უცნაური მეხსიერების წყალობით წერილის ავტორს მალევე ავიწყდება, რომ „მხოლოდ დააზუსტა ეს თავისთავად სწორი აზრი“ იმის შესახებ, რომ XVI ს-მდე „გვხვდება რეალური ქვეყნის, ცხოვრების მხოლოდ მშრალი, ფილოსოფიური კრიტიკა“ და 158-ე გვერდზე საწინააღმდეგოს ამტკიცებს:

„სოფლის კრიტიკა. საწინააღმდეგოდ გამოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმული შეხედულებისა, ჩვენი აზრით, სცილდება ქართულ აგიოგრაფიაში მის ფილოსოფიურ კრიტიკას და შინაგანად დაცინვის ნიუანსებით იმსჭვალება“. (ხაზი ჩემია — ზ. ჭ.).

147-ე გვერდზე წერილის ავტორს მოჰყავს გრ. კიკნაძის აზრი და ეთანხმება კიდეც მას:

„აგიოგრაფია შეგნებულად უვლის გვერდს იუმორისტულს, სატირულს, კომიკურს“.

მაგრამ ახევე მალე ავიწყდება და 158-ე გვერდზე, დასკვნის სახით, კურსივით ბეჭდავს:

„დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სატირა, როგორც ლიტერატურული ჟანრი,.... აგიოგრაფებს გააზრებული არ ჰქონდათ“. როგორც ვხედავთ, თუ 147-ე გვერდზე აგიოგრაფები შეგნებულად გვერდს უვლიდნენ სატირას, 158-ე გვერდზე მათ უკვე სატირა გააზრებული არ ჰქონდათ. იქვე ვკითხულობთ:

„უძველეს ქართულ პროზაში იგი (სატირა— ზ. ჭ.) კი არ ქმნის იდეოლოგიას, არამედ მისი ნიშნები გამომდინარეობს იდეოლოგიიდან. ეს არის მისი სპეციფიკა“

განა მხოლოდ „უძველეს ქართულ პროზაშია“ ასე? განა სატირას სადმე, როგორმე ან ოდესმე იდეოლოგია შეუქმნია?!

149-ე გვერდზე წერილის ავტორი განიხილავს ეპიზოდს „შუშანიკის წამებიდან“ და, სხვათა შორის, ასეთ აზრებს გამოთქვამს:

„იაკობი ფაქტს აღნიშნავს, თუ განგებ ქმნის კომიკურ სიტუაციას?... სად გაქრა აგიოგრაფთათვის მკაცრად განსაზღვრული მასალის შერჩევის პრინციპი?!... საბოლოო ჯამში კი (ამ ეპიზოდის დახატვით — ზ. ჭ.) ხდებოდა ქრისტიანული რწმენის კომპრომენტირება... ამ შემთხვევაშიც იაკობმა — მხატვარმა მეორე პლანზე გადასწია იაკობი — ქრისტიანობის იდეოლოგი“.

ოთხი გვერდის შემდეგ ავტორის მიერ კურსივით დაბეჭდილ დასკვნას ვკითხულობთ:

„არც ერთი დეტალი, პასაჟი არ არის დარჩენილი ქართულ აგიოგრაფიაში „იდეოლოგიის გარეთ“, ყველაფერი ქრისტიანული მსოფლმხედველობის დამკვიდრებასა და განმტკიცებას ემსახურება“. (გვ. 158).

როგორც ვხედავთ, აქაც, ისევე როგორც ზემომოყვანილ ეპიზოდებში, ავტორი თავის თავს ეპაექრება.

წერილის ავტორმა იცის, რომ აგიოგრაფიული ლიტერატურა რთული საკითხავია და ამიტომ თავიდანვე გვაძლევს საჭირო რჩევა-დარიგებებს, გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიკითხოთ აგიოგრაფიული ძეგლები, თან გვაფრთხილებს:

„თუ საკითხს ამ პლანში განვიხილავთ, აშკარად დავდგებით ისტორიული ანაქრონიზმის საშიშროების წინაშე და შეიძლება მთელი ქართული აგიოგრაფია, უძველესი ქართული ბელეტრისტიკა თავიდან ბოლომდე მძაფრი კომიზმის გამსჭვალულ მწერლობად წარმოგვიდგეს, რადგან იქ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სიცოცხლის, სილამაზის, ცხოვრების უარყოფის აპოლოგია, ფანტასტიკა, რომლებიც დღევანდელ მკითხველს მხოლოდ ირონიულ ღიმილს თუ მოჰგვრის.“ (გვ. 147, ხაზი ჩემია — ზ. ჭ.).

კიდევ კარგი, რომ გავიგეთ, თორემ დღემდე ქართულ აგიოგრაფიას ხულ სიცილ-კისკისით ვკითხულობდით. განა ისეთი რა უნდა დაემართოს ადამიანს, რომ „მთელი ქართული აგიოგრაფია თავიდან ბოლომდე მძაფრი კომიზმით გამსჭვალულ მწერლობად“ წარმოუდგეს?!

წერილის ავტორს აგიოგრაფიის კითხვისას უწარმოებია საინტერესო დაკვირვებები, რომლებსაც გულახდილად უზიარებს მკითხველსაც:

„სიცილი თუ ღიმილი ქართულ აგიოგრაფიაში, როგორც ვთქვით, გარკვეული იდეოლოგიური შინაარსით არის დატვირთული და არასოდეს არა აქვთ თვითმიზნური ხასიათი“. (გვ. 152, ხაზი ჩემია — ზ. ჭ.) წინადადება ყურადღებას იპყრობს ქართული ენისათვის „ახლებური“ ფორმითაც, მაგრამ ფორმას თითქმის მთლიანად ჩრდილავს შინაარსი — თურმე ნუ იტყვით, ქართული აგიოგრაფია მხოლოდ უაზრო სიცილისთვის არ ყოფილა შექმნილი. იქნებ ავტორმა დაგვისახელოს ლიტერატურის რომელიმე ჟანრი (თუნდაც კომიკური სიტუაციებით უფრო მდიდარი), რომლისთვისაც „სიცილი თუ ღიმილი“ „თვითმიზნური ხასიათისაა“?!

თუ წერილის სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ, ავტორის მიზანია „კომიკური ელემენტების“ მოძიება ქართულ აგიოგრაფიაში. ეს ამოცანა თავისებურადაა გადაჭრილი — ავტორი დაბეჯითებით ცდილობს გაგვაცინოს მაშინ, როდესაც გაცინება... ძნელია! თავად მკითხველმა განსაჯოს:

„გარეჯის უდაბნოს მოევლინა გველეშაპი. ლუკიანე შეშფოთდა, დაიმალა, დავითმა მას უსაყვედურა მცირედმორწმუნეობა. ამ შემთხვევაში კომიკურია ლუკიანეს საქციელი, რადგან თხზულების ავტორის მიერ (!) წარმოჩინდა დიდი კონტრასტი მის მიერ (!) ოფიციალურად აღიარებულ რწმენასა, მის ოფიციალურ იდეოლოგიასა და მისი საქციელის განმსაზღვრელ მოტივს, ამ შემთხვევაში სიცოცხლის სიყვარულს შორის.“ (გვ. 151, ხაზი ჩემია — ზ. ჭ.).

რა შუაშია „ოფიციალურად აღიარებული რწმენა, ოფიციალური იდეოლოგია“? კაცობრიობის ნახევარი სწორედ ოფიციალურად აღიარებდა ქრისტიანობას, მაგრამ ამას არ გამოუწვევია „სიცოცხლის სიყვარულის“ უარყოფა. ანდა, რა არის ამ ეპიზოდში კომიკური? განა ლუკიანე წმიდა გიორგი იყო, რომ გველეშაპი განეგმირა!?

ასეთივე „სასაცილო“ ადგილი მოჰყავს ავტორს „აბო თბილელის წამებიდან“:

„ამირა დარწმუნებულია თავისი მისიის წარმატებაში, ეჭვიც არ ეპარება, რომ ახლა ჯერ გაჯიუტდება, უარს როგორ იტყვის შეპირებულ დიდ სიმდიდრეზე, დაწინაურებაზე, ოქროზე, იგი ახლავე მოელის თანხმობას, მაგრამ ბოლოს გამოირკვევა, რომ... აბოს ისინი ისე არ მოუსმენია, როგორც იმ კედელს, რომელსაც ამირა ეყრდნობოდა. ეს ქმნის კომიკურ სიტუაციას." (გვ. 149). და... აბოს თავს მკვეთენ. რა კომიკურია, მკითხველო, არა?!

წერილის ავტორის მახვილ თვალს არ გამოეპარა ზოგი ისეთი „კომიკური პასაჟი", რომელიც, მისი აზრით, „არ ესადაგება აგიოგრაფიის იდეოლოგიურ სისტემას" და „გამპარვიათ ჩვენს აგიოგრაფებს" (ე. ი. ავტორს — გიორგი მთაწმიდელს და აგრეთვე მომდევნო საუკუნეების საეკლესიო მოღვაწეებს, რომლებიც უცვლელად იწერდნენ მთაწმიდელის „შეცდომას"). თავისი „აღმოჩენით" აშკარად კმაყოფილი ავტორი 150-ე გვერდზე გვამცნობს:

„აი, რას წერს გიორგი მთაწმიდელი ათონის ივერთა ლავრის წესდების ერთ-ერთი პუნქტის შესახებ: იოანე მსწრაფლ აღკვეთავდა ხოლმე „უკეთუ რაჲ მე მოვკლის მტერისა მიერ: ერთმანეთისა მიმართ ფიცხელი სიტყუა, გინა წუერთა დაგლეჯაჲ გინა მიმთხუევაჲ..." ეს და მსგავსი სურათები კომიკურად აღიქმებოდა მკითხველის მიერ, რადგან ერთმანეთთან წაკიდებული წვერდაგლეჯილი ბერების წარმოდგენა ვერ აღძრავდა მასში სხვანაირ განწყობილებას".

ცდება ავტორი, როდესაც კატეგორიულად ამტკიცებს, რომ „ეს და მსგავსი სურათები" მხოლოდ კომიკურად შეიძლება აღიქვას. ასეთმა სურათებმა მართლაც შეიძლება სიცილი გამოიწვიოს მკითხველში, მაგრამ შეიძლება აღძრას, აგრეთვე, სიბრალულის, გაკიცხვის, გაბრაზების, და სხვა მრავალი გრძნობა — მკითხველის სულიერი და ინტელექტუალური დონისდა მიხედვით.

აგიოგრაფიაში კომიკურის პოვნის აკვიატებული სურვილი წერილის ავტორს აიძულებს ხან კომიკურად წარმოგვიდგინოს კომიზმს მოკლებული ეპიზოდები, ხანაც თავად შეთხზას „სასაცილო ამბები". 150-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" არის ეპიზოდი, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ თავგამოდებით გარბიან ბერები, რათა მზის ჩასვლამდე, რაც შეიძლება, მეტი მამული შემოწერონ, რადგან ფეოდალი გიორგი ჩორჩანელი მათ ამ მიწას დაპირდა. მთავარს არ ეგონა, თუ რელიგიის მსახურები ესზომ დიდ სისწრაფეს და გამძლეობას გამოიჩენდნენ — მოხდა პირიქით, ამიტომ მთავრის ხალხი ბერებს „აყენებდა". ეს სურათი ზოგად კონტრასტს ქმნის იმ პასაჟთან, რომელიც მას წინ უსწრებს... ამ მომენტში გიორგი ჩორჩანელი უაღრესად ქველმოქმედ, ღრმად მორწმუნე, უბიწო ადამიანად მოჩანს, ბერები კი ტიპიურ წმინდანებად... მაგრამ მოქმედების განვითარების პროცესში ირკვევა სიტუაციის მოჩვენებითი, სპექტაკლური ხასიათი — შიშვლდება მთავრის, როგორც ფეოდალის, სოციალური ბუნება და ბერების ნამდვილი მიზანი — მოიპოვონ მატერიალური დოვლათი. კომიკურ სიტუაციაში მოექცა გიორგი ჩორჩანელი, კომიკურია ქანცგაცლილ ბერთა მხატვრული სახეებიც". (ხაზი ჩემია — ზ. ჭ.).

ეს ვრცელი ციტატა იმიტომ მოვიყვანეთ რომ ვაჩვენოთ მკითხველს, თუ როგორი ხერხებით ცდილობს წერილის ავტორი „კომიკური პასაჟების" შექმნას. კომიკური სიტუაციის დახატვა, სიცილის გამოწვევა აქ, უთუოდ, ავტორის თვითმიზანია, რადგანაც იგი არ ერიდება ფაქტების ფალსიფიკაციასაც კი, რის შედეგადაც, ნებსით თუ უნებლიეთ, წარმოუდგენელ დასკვნებს აკეთებს. წერილის ავტორის თვითმიზანი — ჩორჩანელი და ბერები სასაცილო მდგომარეობაში წარმოგვიდგინოს — თითქოსდა მიღწეულია: მან „გააშიშვლა მთავრის, როგორც ფეოდალის, სოციალური ბუნება და ბერების ნამდვილი მიზანი — მოიპოვონ მატერიალური დოვლათი". როგორც ვხედავთ, წერილის ავტორის მიხედვით, ჩორჩანელი უარყოფითი პიროვნებაა, იგი თვალთმაქცია, თავიდან შეპირდა ბერებს ადგილ-მამულს, შემდეგ კი დაენანა და თავის ხალხს ბერებს „აყენებინებდა". საინტერესოა, როგორ ახასიათებენ ჩორჩანელს სერაპიონ და ბასილი ზარზმელები? — „ვითარცა იობისთჳს წერილ არს" „ჭეშმარიტ, მართალ და უბრალო", ესევითარი ესე კაცი იყოფვოდა" („ჩვენი საუნჯე", ტ. I, გვ. 102). როგორც ვხედავთ, ბასილი ზარზმელი ჩორჩანელს ადარებს ბიბლიურ პერსონაჟს — იობს, აგიოგრაფისაგან მთავრის მეტად შექება, მართლაც რომ შეუძლებელია. ტექსტში ჩორჩანელი ყველგან (და არა მხოლოდ ვითომცდა „სიტუაციის სპექტაკლური ხასიათის გარკვევამდე") იხსენიება, როგორც „ღმრთის-მსახური გიორგი". იძულებულნი ვართ სიუჟეტი გავიხსენოთ: ჩორჩანელი თავად ეწვია ბერებს, თავად შესთავაზა ადგილ-მამული, თავად მისცა გამყოლად „ვინმე ჭაბუკი სახაკითა". მდინარის პირას ბერებს დახვდნენ „კაცნი უკეთურნი" და წინაღუდგნენ ბერების მსვლელობას. ეს ხალხი რომ ჩორჩანელის მიგზავნილი არ ყოფილა, წერილის ავტორმაც იცის, აკი თავად ამბობს, რომ ისინი იყვნენ ადამიანები, „რომლებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავისუფალი მეთემეობის ინსტიტუ-

ზურაბ ჭავჭავაძე
რა გვაცინებს?

ტი, უფლება ტყეზე, სამოვრებზე, წყალზე“, (გვ. 150), რომელთა თვალშიც, თითქოს „ბერების საქციელი და გაცრუებული მთავარი ირონიის და კომიზმის საგანი გახდებოდა“. (იქვე).

რაც შეეხება ჩორჩანელის მიერ მიცემულ გაშყოლს, „ჭაბუკი იგი აყენებდა მათ და რისხვით უთქუმიდა“ („ჩვენი საუნჯე“ ტ. I, გვ 107). მეორე შემთხვევაშიც (ტბახთან), როდესაც შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია ბერებსა და ადგილობრივ ხალხს შორის, „ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, ძლიერად წინააღუდგებოდა მათ“ („ჩვენი საუნჯე“ ტ. I, გვ. 109). რამდენადაც აგიოგრაფიული ძეგლის ორსავე ციტირებულ ადგილას თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს და ბასილი ზარზმელს კი (მავანთაგან განსხვავებით) პირის ნაცვალსახელების ხმარება არ უჭირს, ვალდებულნი ვართ (მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს) დავასკვნათ, რომ ბერებს „აყენებდა“ მთავრისადმი მტრულად განწყობილი ხალხი, ხოლო ჩორჩანელის ხალხი არათუ არ „აყენებდა“ არამედ ყოველმხრივ დახმარებასაც უწევდა სერაპიონს და მის მოწაფეებს. როდესაც ბერებმა ტერიტორია „შემოწირეს“, გიორგი ჩორჩანელი კვლავ თავად ეახლა „და შევრდომით მოიკითხნა იგინი“ („ჩვენი საუნჯე“, ტ. I, გვ. 112), შემდგომ ყოველმხრივ დაეხმარა ეკლესიის აგებაში და კვლავ „მისცნა ყოველნი საჴმარნი: ჴორები და კარაულები და რაოდენი უჴმდა სიმრავლესა ძმათასა... სოფლებნიცა მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი“ („ჩვენი საუნჯე“. ტ. I, გვ. 115). ჩორჩანელი სხვა ფეოდალებისათვის სამაგალითოც კი გამხდარა — მისი წაბაძულობით სხვებიც ბევრს სწირავდნენ მონასტერს. ასე ახასიათებს ჩორჩანელს აგიოგრაფი. თვად სერაპიონ ზარზმელმა, როდესაც თავის მოძღვართან — მიქაელთან წარსდგა, მოახსენა მიქაელს, თუ „ვითარ თანაშემწე მათდა იქმნა დიდი იგი მთავარი გიორგი ჩორჩანელი... განიხარა წმიდამან მან (მიქაელ — ზ. ჭ.) და მადლი მისცა ღმერთსა და აკურთხა კურთხეული იგი კაცი გიორგი ჩორჩანელი“ („ჩვენი საუნჯე“, ტ. I, გვ. 116).

— კი მაგრამ, თუკი სერაპიონ ზარზმელი, მისი მოძღვარი „დიდი მიქელ“ და ბასილი ზარზმელი ერთხმად ქება-დიდებას ასხამენ და ლოცვა-კურთხევას უთვლიან გიორგი ჩორჩანელს ღვთისმოსავობისა და გულუხვობისათვის, ჭ. აფციაური რატომღა ამტკიცებს მთავრის თვალთმაქცობას, უკეთ იცნობდა ჩორჩანელს, თუ მეტი გამჭრიახობა ახასიათებს — [illegible]რებს მკითხველი. ჩვენი აზრით, სწორედ მეორე მიზეზია — მართლაცდა, ჩორჩანელი [illegible] იყოს, რა ოსტატურად ჩამოგლიჯა ნიღაბი [illegible] სერაპიონ ზარზმელს და „გააშიშვლა მისი ნამდვილი მიზანი“!

ამ „გაშიშვლებით“ უთუოდ დაინტერესდებიან ქართული ლიტერატურის მკვლევარები — დღემდე ხომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთ შედევრად ითვლებოდა. როგორც ახლა ჩანს, საფუძვლიანად მცდარად. ნაწარმოების რომელ ღირსებებზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ის არათუ დასახული ამოცანის შესრულებას ვერ ახერხებს, არამედ მთავარ გმირს თვალთმაქცად და მომხვეჭელად წარმოგვიდგენს — თხზულებაში ხომ „მოქმედების განვითარების პროცესში ირკვევა სიტუაციის მოჩვენებითი, სპექტაკლური ხასიათი — შიშვლდება ბერების (სერაპიონ ზარზმელის და მისი ორი მოწაფის — ზ. ჭ.) ნამდვილი მიზანი — მოიპოვონ მატერიალური დოვლათი“. ამას გარდა, ბასილი ზარზმელს, როგორც ჩანს, თავი ვეღარ შეუკავებია და დაუხატავს „ქანცგაცლილ ბერთა (სერაპიონის და მისი ორი მოწაფის — ზ. ჭ.), მხატვრული სახეების კომიკური“ სურათი (ამ შემთხვევაში, ალბათ, ბასილი ზარზმელმა — მხატვარმა მეორე პლანზე გადასწია ბასილი ზარზმელი — ქრისტიანობის იდეოლოგი, რაც უნდა იყოს, სახეები მაინც მხატვრული გამოსვლია!).

მიუხედავად წერილის მცირე მოცულობისა (სულ 7 გვერდი), ავტორი არ შემოიფარგლა ცალკეული აგიოგრაფიული ძეგლების მიმოხილვით. მან საზოგადოდ ყველა ქართველი აგიოგრაფიც შეაფასა, რითაც თავისი წვლილი შეიტანა ქართულ მწერლობაში აგიოგრაფიის ადგილისა და მნიშვნელობის დადგენის საქმეში. აი, „კომიკური პასაჟების“ და საერთოდ წერილის დასკვნითი აკორდიც:

„აგიოგრაფს სურს ხალხის დარწმუნება, რომ წმინდანის ნებით მგელი მწყემსად დაუდგება სახედარს. პრაქტიკული კუთხით დანახული ეს სურათი კომიკურია. ხალხმა მკვეთრად გამიჯნა შესაძლებელი და სასურველი. ის, ვისი სურვილიც მეტი აღმოჩნდება მის შესაძლებლობებზე, თავისთავად იქცევა კომიზმის საგნად“. (გვ. 158, ხაზი ავტორისეულია).

ე. ი. „აგიოგრაფებს სურთ ხალხის დარწმუნება“ შეუძლებელში, მაგრამ „ხალხმა მკვეთრად გამიჯნა შესაძლებელი და სასურველი“, ამიტომ აგიოგრაფების სურვილი მეტი აღმოჩნდა მათ შესაძლებლობებზე და ᲐᲒᲘᲝᲒᲠᲐᲤᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲘᲥᲪᲜᲔᲜ ᲙᲝᲛᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲒᲜᲐᲓ!

რაღა გვეთქმის, რაღაც მეტისმეტად თავისებურად, მხიარულად უკითხავს წერილის ავტორს ჩვენი უძველესი ძეგლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადეუშ რუჟევიჩი

# შესაძლებელია მუზის შანტაჟი და რა მოაქვს ამას?

როცა დაღლილი და თავმობეზრებული მუზა პოეტზე ხელს ჩაიქნევს, მაშინ სიტყვები ქვიშასავით ცვივა და პოეტი ყბედად იქცევა. პოეტს იმდენხანს ბეზრდება მუზა, რომ იგი თავდავიწყებით ეშვება პოეტური ობერეკის[1] ფერხულში ან სხვა, უფრო თანამედროვე ან კლასიკურ ცეკვას ცეკვავს. ნეტა რატომ ჰგონია პოეტს, რომ მუზა დუმს, იგი კი ისევ ლაპარაკობს? როგორ უნდა ალაპარაკო, „ამღერო" მუზა? პროფესიონალმა პოეტმა მრავალი ხერხი იცის, როგორ აალაპარაკოს თავისი მუზა. როცა ნამდვილი სტიმული შემოაკლდება ხოლმე, ხელოვნურს მიმართება. ყალბი საშუალებებით ლამობს შთაბეროს სული მუზას, აღსავსეა ყალბი სიძულვილით, ხელოვნური შიშით, მოჩვენებითი სიყვარულით, მოგონილი აღტყინებით. ასე და ამრიგად, ცდილობს იგი გამოაღვიძოს მიძინებული მუზა და აიძულოს მისი ჯირკვლები უფრო ცხოვლად გამოჰყოს „სიმღერები" სიყვარულის, სიძულვილის, სიხარულის, აღტაცების სიმღერები. ეს მუზის თავისებური „მანტაჟია". პოეტი, მაგალითად, წარმოსახვის ძალით წარმოიდგენს საკუთარი სიკვდილის სურათს. შეაგონებს თავს, ხვალ საავტომობილო კატასტროფაში დავიღუპებით. რომელსაც ეს წარმოსახვითი „სიკვდილი" იმდენად ძლიერი გახდება, რომ შემოქმედს გარკვეული განწყობილება ექმნება, მაშინ მას უჩნდება იმის იმედი, ჩემმა სიტყვებმა წონა და მნიშვნელობა შეიძინაო. „ის, რასაც დღეს ვწერ, — ფიქრობს თაღლითი. — ბეჭედივით უნდა ჟღერს, სხვა სათქმელი აღარ დამრჩება". ასეთი სიტყვები კალამს (ან მუდმივ კალამს) სისხლის წვეთებივით, ტყვიის წვეთებივით უნდა მოწყდეს, პირწყალივით კი მოწვეთავს, კიდევ კარგი, თუ ჭუჭყიანი წყალივით მაინც მოედინება. როგორც ჩანს, მუზას ვერ მიახვედრებ, რომ ანდერძს ვწერთ და მეტს ვეღარ ვილაპარაკებთ. სავარაუდო სიკვდილი, არ ეხება მუზა-სიტყვას. სიტყვას ძალა რომ მისცეს, დინამიკა შესძინოს, გაანძრ-გამოანძრიოს, პოეზიის ზოგი ყალბისმქნელი (არიან ასეთებიც, ფულის ყალბისმქნელებისა არ იყოს!) ეგზალტაციას მიმართავს. ქმნის (თავისი წარმოდგენით) უკიდურეს სიტუაციას, თუმცა სინამდვილეში „საშუალო" სიტუაციაშია. ზის, წერს, სეირნობს, ღიზიანდება, ჭამს და ა. შ., შელამებულზე კი (ან ღამით) იძინებს. დილაზე იღვიძებს... რადგანაც ადამიანს უფრო ხშირად ეღვიძება, თუ ჯანსაღი ძილით დაიძინებს თავის ლოგინში.

პოეტები „ალინთებიან" რისხვით, სიძულვილით და პროპაგანდის მიერ შეთხზული ინფორმაციის საფუძველზე შეიძულებენ რომელიმე ინდივიდს, ხალხს, რასას... სწორედ ამის შედეგად იბადება ლექსი — მახვილი, ლექსი — სიძულვილის ამოძახილი. ხელოვნურად ნასაზრდოები ის სიძულვილი კი ყალბი სიძულვილია და ყალბ პოეზიას ბადებს. ხდება ხოლმე, როდესაც სიძულვილი სულს შთაბერავს ნამდვილ, დიდ პოეზიას. ვიცით ასეთი მაგალითები, მაგრამ ეს სიძულვილი სიყვარულით ნაშობია. წმინდა სიძულვილი უნაყოფოა, ხელოვნური სიძულვილი — მგზნებარე და ყალბი. მგზნებარე ხალხს მგზნებარე პოეზია შეეფერება. მგზნებარე პოეზიის დანიშნულება სიტყვებით პირის გამორეცხვაა, ლექსის მკითხველთა ოთხმოცდაათი პროცენტი სწორედ მგზნებარე ხალხია (ვლაპარაკობ პროფესიონალებზე, რადგანაც მოყვარულები და გრაფომანები ხშირად და მართლა იწვიან, მხოლოდ „ნიჭი" აკლიათ, ან იქნებ პოეზიის წერის ტექნიკა არ იციან?).

პოლონურიდან თარგმნა
გიორგი მაჭუტაძემ.

1 ობერეკი — პოლონური ხალხური ცეკვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გიორგიევსკის ტრაქტატი 200

გურამ მეტრეველი

# ხრესილის ეპოპეა

სრულდება საქართველოს რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატის დადების ორასი წლისთავი. საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი გმირული ბრძოლით იცავდა თავის მიწა-წყალს მაჰმადიანური სამყაროსაგან. მხოლოდ მაშინ დაისვენა ქართველობამ, როცა თავის დიდი ხნის მიზანს მიაღწია და ერთმორწმუნე რუსეთის სახით საიმედო მოკავშირე გაიჩინა.

გთავაზობთ ამ გმირული ბრძოლების ერთ-ერთ ეპიზოდს — ხრესილის ეპოპეას.

1757 წლის 14 დეკემბერს ოკრიბის ხეობაში, ხრესილის პატარა მინდორზე გამართულ დიდ ბრძოლას განსაკუთრებული ადგილი უკავია იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხრესილის გმირული ეპოპეა ყველაზე ნათელი ფურცელია იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მიერ ჩატარებული ბრძოლების ისტორიაში. ამ ბრძოლამ სათავე დაუდო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლას დასავლეთ საქართველოში, რასაც შედეგად მოჰყვა ოსმალო დამპყრობთა განდევნა იმერეთის ციხე-სიმაგრეებიდან.

ხრესილის ბრძოლამ იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ძველი თუ ახალი დროის ისტორიკოსთა შრომებში მეტ-ნაკლებად არის განხილული ამ მნიშვნელოვანი ბრძოლის ამბები. ვიდრე უშუალოდ ბრძოლის მიზეზებს, მსვლელობასა და შედეგებს განვიხილავდეთ, საჭიროა ვაჩვენოთ იმ პერიოდის იმერეთის სამეფოს საგარეო და საშინაო ურთიერთობანი, ის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რამაც გარდაუვალი გახადა თვით ეს ბრძოლა.

XVIII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ზეგავლენას განიცდიდა. თავდაცვის ძირითად ციხე-სიმაგრეებში (ქუთაისი, შორაპანი, ბაღდადი, ცუცხვათი, აგრეთვე შავიზღვისპირა ციხეები — გონია, ბათუმი, ფოთი, რუხი, ანაკლია, სოხუმი), ოსმალეთის სულთანის — მუსტაფა III მეციხოვნეები იდგნენ და კონტროლს უწევდნენ იმერეთის სამეფოს. იმერეთის სამეფო ნომინალურად ინარჩუნებდა შინაგან დამოუკიდებლობას, ოსმალური გადასახადი (საური, საუდიერო, სალიანი) კი ძალაში რჩებოდა.

სამეფოში თავი იჩინა სიძნელეებმა, რაც იმაში გამოიხატა, რომ გარეშე მტრებისა და თავადური რეაქციის ერთობლივი მოქმედების შედეგად დაუძლურებული ქვეყანა თანდათანობით კარგავდა დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების შენარჩუნების უნარს.

იმერეთის ციხე-სიმაგრეებში ოსმალო მეციხოვნეების ჩაყენებამ (1699 წლიდან) ნომინალურად შექმნა სამეფოს გაოსმალების პოლიტიკის პირობები. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა უპირატესად მეფე-მთავართა ტიტულატურაში („ხონთქრის ყმა", „მონა ხონთქრისა") და სათათრო ხარკში (საური, საუდიერო, სალიანი).

საჭირო იყო ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების აღდგენა-გაძლიერებისათვის. ამ ბრძოლაში ყველაზე ენერგიული მეფე სოლომონ I აღმოჩნდა.

პროგრესულად მოაზროვნე ჭაბუკი მეფის მიზანი იყო გაეერთიანებინა ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაქუცმაცებული იმერეთის სამეფო, შეექმნა მტკიცე ხელისუფლება და საბოლოოდ უკუეგდო ოსმალთა ბატონობა, რაც მთავარ დაბრკოლებად ითვლებოდა ცენტრალიზებული სამეფოს შექმნისა და განმტკიცების გზაზე.

ამ პერიოდში ოსმალეთი უზარმაზარ ტერიტორიებს ფლობდა ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. იგი კონტროლს უწევდა ყველა მნიშვნელოვან სავაჭრო და სტრატეგიულ პუნქტს აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის იმპერია მაინც არ წარმოადგენდა ერთიან მთლიან ერთეულს ქვეყნის ცალკეული ნაწილების ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებულობის გამო. და მაინც „ოსმალობა" მკვეთრად აუარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მართალია, დამპყრობლები ქართულ ფეოდალურ ურთიერთობას არ შეხებიან და ხელუხლებლად დატოვეს იგი, მაგრამ ოსმალური ხარკმა და საბატონო ბეგარამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მწარმოებელი კლასი — გლეხობა. ოსმალური გადასახადები მოსახლეობის ყველა ფენას შეეხო. ოსმალობა არ ცნობდა თარხანსა და აზატს, რომლებიც ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალნი იყვნენ სხვადასხვა გადასახადისაგან, ყველა და ყველაფერი დაბეგრილი იყო. ოსმალები საეკლესიო წოდებასაც შეეხნენ — დახარკეს საეკლესიო ქონება, ყმა-მამული, ხელს უწყობდნენ ტყვეებით ვაჭრობას და სხვ. არც საერო ფეოდალები იყვნენ მათი კმაყოფილნი, ყმამამულზედ შეწერილი ხარკის დროულად გადახდის პასუხისმგებლობა ოსმალეთის ხელისუფალთა წინაშე თავადებს ეკისრებოდათ. ეს მოვალეობა რაც დრო გადიოდა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. ასე, რომ საქართველოს მთელი ფეოდალური საზოგადოება ოსმალთა უკმაყოფილო იყო.

XVIII საუკუნის 50-იან წლებში იმერეთის სამეფოში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი მოხდა: სამეფო ტახტზე ახალგაზრდა, ენერგიული სოლომონ I-ის გამოჩენამ, ძალთა თანაფარდობა მკვეთრად შეცვალა სამეფო ხელისუფლების სასარგებლოდ. გულანის მინაწერი გვაუწყებს: „დიდად სახელოვანი და მრავალნაღვაწი იმერეთისათვის, რომელმან აოტნა უსჯულონი თათარნი და დაუმხვა შეთქმულებანი, სიმტკიცე და მემკვიდრეობანი მათნი, მეფე სულით კურთხეული ძე აქა მდებარისა მეფისა ალექსანდრეს, სოლომონ“.

ენერგიულმა მეფემ კარგად აუღო ალღო იმერეთის სამეფოს მიმდინარე საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებას. მისი სოციალურ-პოლიტიკური პლატფორმა იყო: 1. ბრძოლა „ტყვის სყიდვის“ აკრძალვისათვის; 2. იმერეთის ძირითადი ციხე-სიმაგრეებიდან ოსმალთა განდევნა; 3. საეკლესიო ყმების სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლება; 4. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, ურჩი თავადების ალაგმვა, სამეგრელოსა და გურიის სამთავროების შემომტკიცება და სხვ.

ძლიერი თავადების — არგვეთის მფლობელ ლევან აბაშიძისა და როსტომ რაჭის ერისთავის დასათრგუნავად საჭირო იყო საიმედო მოკავშირე, რომელიც მხარში ამოუდგებოდა მეფეს თავისი უახლოესი მიზნების განხორციელებისათვის. სამეფო დარბაზის რჩევით, სოლომონ I გაეყარა აფხაზთა თავადის ინალიშვილის ასულ თინათინს და ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის — ოტია დადიანის ასული — მარიამი. დადიანის დამოყვრებით იმერეთის მეფემ საიმედო მოკავშირე გაიჩინა.

მალე სოლომონ I-მა გურიის მთავარი მამია გურიელიც გაიერთგულა, ამით მან ნიადაგი გამოაცალა განდგომილ თავადებს — როსტომ რაჭის ერისთავსა და არგვეთის მფლობელ ლევან აბაშიძეს. მეფის ეს პოლიტიკა, რომელიც სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისაკენ იყო მიმართული, არ გამოჰპარვია ახალციხის ფაშა-ჰაჯი-აჰმედს. მან საიდუმლოდ აცნობა ოსმალეთის სულთანს — მუსტაფა III იმერეთის მეფის მოქმედება და მისი დასჯა მოითხოვა. ოსმალეთსა და იმერეთის სამეფოს შორის ურთიერთობა ძალზე გამწვავდა, ომი გარდაუვალი გახდა.

ამ პერიოდში საგარეო პოლიტიკის დარგში აღსანიშნავი იყო სოლომონ I-ის მცდელობა რუსეთთან კავშირის დასამყარებლად. ახალციხის ფაშას არც ეს მომენტი გამორჩა მხედველობიდან და ოსმალეთის სულთანი საბოლოოდ აამხედრა იმერეთის მეფის წინააღმდეგ. მოღალატე თავადებს — ლევან აბაშიძეს, როსტომ რაჭის ერისთავს და სხვებს ხელსაყრელი დრო დაუდგათ და ახალციხის ფაშას მიემხრნენ, დაიწყო ორმხრივი მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ხრესილის ბრძოლის განხილვისას საჭიროა გავაანალიზოთ მოწინააღმდეგეთა ლაშქრის რაოდენობა, მისი ხასიათი და მიმართულება.

ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელიც 1757 წლის დეკემბერში იმერეთის მეფის წინააღმდეგ დაიძრა, კოალიციური იყო. ამ ბრძოლაში ოსმალთა გარდა მონაწილეობდნენ აჭარის, არგვეთისა და რაჭის სათავადოთა რჩეული ლაშქრის ნაწილები, აგრეთვე ლეკთა დაქირავებული რაზმები. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერ № 252“-ში ვკითხულობთ: „აქ გაემარჯვა ხრესილზედ მეფე სოლომონს, დადიანი თან ახლდა; ახალციხისა და აჭარის ჯარი სულ იყო; ერისთავი (როსტომ რაჭის ერისთავი), აბაშიძე (ლევან აბაშიძე), წულუკიძე ოსმალთ ახლდნენ, გოლაფაშა დაირჩინეს, აბაშიძე მოკლეს, წულუკიძე დაიჭირეს, თათარი გაწყვიტეს“.

ხრესილის ბრძოლის საკითხს ვრცლად შეეხო ნიკო დადიანი. მისი აზრით, ოსმალთა შემოსვლა იმერეთში ლევან აბაშიძის ღალატის წყალობის შედეგად მოხდა, იგი წერდა: სოლომონ I-მა „დაამდაბლა სახლი თავადთა აბაშიძეთა, თუმცა იყო სახლისშვილი აბაშიძისა მეფე ესე, გარნა არა რიდა და წარვიდა პაპა მეფისა ამის ლეონ აბაშიძე ახალციხეს და მოიცა ძალი ოსმალთაგან და მოვიდა აბაშიძე იმერეთს დიდითა სერესკლებითა“ (ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 178).

როგორც ვხედავთ, დადიანის აზრით, სოლომონ I-ის პოლიტიკით განაწყენებულმა ლევან აბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიძემ დამხმარე ძალას მოუხმო შელახული პოზიციების აღსადგენად, თვითონ ეახლა ახალციხის ფაშას და წარმოუძღვა იქიდან ოსმალთა ლაშქარს სოლომონ I-ის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლევან აბაშიძის ახალციხეში ჩასვლის ფაქტს ადასტურებს აგრეთვე იტალიელი მისიონერი მონსინიორე ლეონე, იგი წერდა, რომ იმერეთიდან ახალციხეში ავიდა (იგულისხმება ლევან აბაშიძე)... ფაშას იმ დღეს დარბაზობა ჰქონდა. ფაშასა და ლევან აბაშიძეს შორის მოლაპარაკება გაიმართა, ლევანმა სთხოვა ფაშას დაეთმო მისთვის ორმოცი ათასი ჯარისკაცი და იგი მისი გენერლით (გოლაფაშა) შეიპყრობდა დისწულს[1] და ახალციხეში გამოუგზავნიდა. გასარკვევია საკითხი: ვინ უფრო აქტიურობდა სოლომონ I-ის წინააღმდეგ — ლევან აბაშიძე თუ როსტომ რაჭის ერისთავი? სოლომონ II 1805 წლის ანდერძის მიხედვით, როსტომ რაჭის ერისთავის ინიციატივა მეფის ღალატში, უეჭველია: მან „შეიერთა“ ლევან აბაშიძე ოსმალთა ლაშქარში და არა პირიქით.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ლევან აბაშიძეს ახალციხეში როსტომ რაჭის ერისთავიც ხლებია (შ. ბურჯანაძე და სხვ.), ეს მოსაზრება საეჭვოა. ჩვენი აზრით, სწორია ს. კაკაბაძის ვარაუდი (იტალიელი მისიონერი ლეონეც ამას ადასტურებს, იგი ხომ ამ ამბების მომსწრე და თვითმხილველია?), რომ როსტომ ერისთავი ლევან აბაშიძეს იმერეთის საზღვართან შეეგება. „იმერეთში გადმოსვლისას ოსმალეთის ლაშქარს მიერთო რაჭის ერისთავი და ზოგი სხვა იმერეთის თავადი და აზნაური თავისი კაცებით“ (ლეონე).

ხრესილის ბრძოლაში მტრის ბანაკში ლევან აბაშიძესა და როსტომ რაჭის ერისთავის გარდა მოხსენიებულნი არიან აზნაური წულუკიძე და გედევან აბაშიძე. პირველი, როგორც ჩანს, როსტომის ერთგულია, მეორე — ლევან აბაშიძის ვაჟიშვილია.

ამრიგად, ლევან აბაშიძე თავის ვაჟიშვილთან ერთად აქტიურად იბრძოდა სოლომონ I წინააღმდეგ, გამორიცხული არ უნდა იყოს ამ ბრძოლაში როსტომ რაჭის ერისთავის უფროსი ვაჟის — გიორგის მონაწილეობაც.

ოსმალთა ლაშქრის რაოდენობაზე ქართულ დოკუმენტურ წყაროებსა და საისტორიო ლიტერატურაში რაიმე მონაცემი არ ჩანს. არის მხოლოდ იმ დროის იტალიელ მისიონერ ლეონეს ცნობა, რომ ახალციხიდან წამოსულ ოსმალთა ორმოცათასიან ლაშქარს წინ გამოუძღვა ლევან აბაშიძე. თუ ამ ცნობას ვირწმუნებთ, გავითვალისწინებთ აგრეთვე იმერეთის საზღვარზე როსტომ რაჭის ერისთავის შეერთებას ოსმალთა ლაშქართან საერისთავო ლაშქრით, თვით ლევან აბაშიძის [illegible], მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხრესილის ბრძოლის დროს კოალიციურ ლაშქარში 40-45 ათასამდე კაცი მონაწილეობდა.

მეფის ჯარის რაოდენობაზე დოკუმენტურ წყაროებსა და საისტორიო ლიტერატურაში თითქმის არავითარი ცნობა არ არის დაცული. ყველა მკვლევარი ზოგადად განიხილავს ამ საკითხს, საჭირო კია ლაშქრის რაოდენობის დადგენა. ჩვენ შევეცადეთ ნაწილობრივ მაინც შეგვევსო ეს ხარვეზი. იტალიელი მისიონერი ლეონე გვაუწყებს: სოლომონ I „....ცხენზე შეჯდა და გამოვიდა რა ბრძოლის ველზე მცირერიცხოვანი რაზმით თავის მტერთან შესახვედრად, ისე განუმტკიცა მათ ხული თავისი დიდსულოვნებით, რომ მტრის დამორჩილება შეძლო“. როგორც ვხედავთ, ლეონე ლაშქრის რაოდენობას არ ასახელებს. დაახლოებით იგივეს გადმოგვცემს ნიკო დადიანი, მხოლოდ ერთი განსხვავებით, რომ ბრძოლის დაწყების წინ იმერთა უმრავლესობა ლევან აბაშიძეს მიემხრო, უმცირესობა სოლომონის მხარეზე აღმოჩნდა, იგი წერდა: „მეფემან შეიკრიბნა რამოდენიმე იმერთა, გარნა უმეტესი მიბირებული იყო აბაშიძის ლეონის მიმართ“ (ნ. დადიანი, გვ. 178).

ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: მეფის ლაშქრის ძირითად დამკვრელ ძალას წვრილი აზნაურობა და გლეხობა შეადგენდა — კომლზე თითო მოლაშქრე. იმ დროს სახელმწიფო გლეხების კომლთა რიცხვი 8 ათასზე მეტი იყო. თუ კომლზე თითო მოლაშქრეს ვიანგარიშებთ, მაშინ საკუთრივ მეფის ლაშქარი 8 ათას კაცამდე შეიძლებოდა ყოფილიყო. თუ დავუმატებთ მოკავშირეების (ოდიში, გურია, სამურზაყანო და სხვ.) ძალებსაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეფის გაერთიანებული ლაშქარი დაახლოებით 15-16 ათას კაცამდე იქნებოდა: ახლა კი ომის მსვლელობის შესახებ.

როგორც კი შეიტყო სოლომონ I-მა ოსმალეთის ომისათვის მზადება, სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი, მთელი იმერეთი დარაზმა, მოსახლეობა მთებში გახიზნა. მეფის ლაშქრის ძირითადი ბირთვი ოკრიბის ხეობაში, ხრესილის პატარა მინდორზე შეფენილ ტყის პირას დაბანაკდა. საწირეს მთის დასავლეთის შესაყართან ვიწრო გასასვლელი იყო. ხშირი ტყე კეტავდა ხეობას. სწორედ აქ უნდოდა სოლომონ I ოსმალთა ჯარის შემოტყუება და გენერალური ბრძოლის გამართვა.

ხრესილის ბრძოლაში სოლომონ I მიემხრნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები — ოტია დადიანი და მამია გურიელი. ოტიას მოხუცებულობის გამო თვითონ არ მიუღია ბრძოლაში მონაწილეობა. სამეგრელოს გაერთიანებულ ლაშქარს (მეგრელების გარდა მონაწილეობდნენ ლეჩხუმელები და აფხაზები) სათავეში ჩაუდგა ოტიას ვაჟიშვილი — კაცია დადიანი. კაციას ლაშქარს თავისი რაზმით

[1] მონსინიორე ლეონე ცდება. სოლომონ I ლევან აბაშიძის დისწული კი არა შვილიშვილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუერთდა. სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძე, „... და წამოვიდა კაცია სპითა ოდიშ-ლეჩხუმ-აფხაზთა“ (ნ. დადიანი, გვ. 178).

იმერეთის მეფემ ამ ომის დროს მეტად ორიგინალური ტაქტიკური გეგმა შეადგინა. მან ცხენოსანი ჯარი მოიერიშე რაზმებად, გუნდ-გუნდად დაყო (150-200; 250-300 კარგად შეიარაღებული მხედარი) და გზის პირას ტყეში ჩაასაფრა. „მეფე შეხვდა მტერს თარეშული ომით, პატარ-პატარა გუნდებად დაყოფილი იმერეთის მხედრობა ხან აქ დაეცემოდა თავს ოსმალთ ბანაკს, ხან იქ“ (ქართული ხალხური სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის რედაქციით, თბ., 1964, გვ. 164).

იტალიელი მისიონერი ლეონეს ცნობით, იმერლები კარგად იყენებდნენ ბუნებრივ პირობებს, მთის მიუვალ ადგილებში იტყუებდნენ მტერს და ადვილად ამარცხებდნენ მას. იგი წერდა: „იმერლების ძალა ტყესა და ბუჩქნარებში მდგომარეობს“. რა თქმა უნდა, იტალიელი მისიონერი აჭარბებს, მარტო ბუჩქებისა და ტყის ამარა ვერაფერს გახდები მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, გეოგრაფიულ პირობებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. იმერთა ბრძოლის შესახებ ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ოსმალო ისტორიკოსი ფუნდუკლულუ, იგი წერდა: „...მიუდგომელი ციცაბო უღელტეხილები გაამაგრეს, უზარმაზარი ხეებით და მორებით ჩაკეტეს მისასვლელები. სიმაგრეების უკან მეთოფენი განალაგეს და ამგვარად შეეცადნენ შეჩერებას[1].

პირველი შეტაკება ოსმალთა და ქართველ ლაშქარს შორის მოხდა ზეკარის უღელტეხილთან. სოლომონ I მეწინავე ცხენოსანმა რაზმმა ბრძოლით უკან დაიხია, მაგრამ შემდეგ, მოულოდნელად შემობრუნდა და ძლიერი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს თვით ზეკარში. შემდეგ ცხენოსანთა რაზმმა საბრძოლო პოზიცია (უფრო სწორად, საფარი) დათმო და ზეკარის ქვემოთ კაკასხიდთან (6 კმ. დაშორებით) გამაგრდა. მეორე დღეს, დილით, მცირე შეტაკების შემდეგ ცხენოსანმა რაზმმა ყოველგვარი პანიკის გარეშე უკან დაიხია და მოწინააღმდეგე მდინარე ყვირალას მოადგა, ოსმალთა ჯარი უბრძოლველად ქუთაისში შევიდა. ოსმალთა ჯარის სარდალი — გოლა-ფაშა ქუთაისში დარჩენას და გამაგრებას მოითხოვდა, შემდეგ კი ბრძოლის გაგრძელებას. მაგრამ ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი დაჟინებით არწმუნებდნენ სარდალს, რომ სოლომონ I დამარცხებულია და ბოლომდე შეუხვენებლივ ვხდითოთ. „ხდიე მეფეს, სანამ მირბის! მისი ერთგულები ახლა წელმოწყვეტილნი არიან“. მოღალატე თავადებს მეფის ლაშქარი დაღლილი და მცირე ეჩვენათ. ლევან აბაშიძისა და როსტომ რაჭის ერისთავის გეგმას მხარს უჭერდნენ სერასკირის ფაშები და ბეგები. ბოლოს ოსმალთა კოალიციური ჯარის სარდალი დაითანხმეს. მეორე დილით ოსმალთა მხედრიონი უკანდახეულ სოლომონ I ჯარს დაედევნა. ეს იყო ოსმალთა სარდლობის ტაქტიკური შეცდომა, რაც ძვირად დაუჯდათ.

ოსმალთა გაერთიანებული ლაშქარი გოდოგან-გელათის გზით ორპირში გადავიდა და უბრძოლველად მიუახლოვდა ხრესილის პატარა მინდორს. მტერი მახეში გაება, უკან დასახევი გზა მოჭრილი აღმოჩნდა. ხრესილის მთის ვიწრო ყელი სოლომონის ჯარის რჩეულმა მხედრობამ დაიკავა, ფეხოსანი ნაწილი კი საწირის აღმართზე განლაგდა. ამრიგად, სოლომონ I ტაქტიკური მოქმედებით აიძულა ოსმალთა ლაშქარი თავისთვის (სოლომონ I) ხელსაყრელ ადგილას — ხრესილის ველზე დაბანაკებულიყო.

1757 წლის 14 დეკემბერს, გამთენიისას, ოსმალთა და ქართველთ ლაშქარს შორის ხრესილის მინდორზე გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა.

სოლომონ I თავისი ამალით მთის ერთ შემაღლებულ გორაზე იდგა და იქიდან ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას. მტერმა შენიშნა მეფე და იერიში მიიტანა მაღლობისაკენ, ცხარე ბრძოლის შემდეგ ოსმალთა ჯარის ნაწილი მეფის გამაგრებულ ადგილს მიუახლოვდა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, ბრძოლაში ჩაება მეფეც. დავით ბატონიშვილის ცნობით, „...ესრედ მხნედ იყო მეფე, ვითარცა ლომი და განბძარნა რაოდენნიმე თურქნიცა, ხელითა თვისითა, და აგრეთვე ძმაცა მეფისა არჩილ ფრიად მამაცი და მხნე ბრძოლიყო, რომელსაცა იღლიით აღმოართუეს შეყინულნი სისხლნი, რომელ ეცა თურქთათს ესოდენი ხმალი“.

განსაცდელში ჩავარდნილ მეფეს დიდი დახმარება გაუწია სამურზაყანოელმა ხუტუნია შარვაშიძემ. მან საარაკო გმირობა გამოიჩინა. ცხარე ბრძოლის დროს მტერს შეუმჩნევლად ზურგიდან შემოუარა და მეფისაკენ მიმავალი მთის ვიწრო ბილიკი მოუჭრა. უთანასწორო ბრძოლაში ხუტუნიამ პირადად მოწინააღმდეგის 16 ჯარისკაცი იმსხვერპლა, მაგრამ თვითონაც სასიკვდილოდ დაიჭრა, სამაგიეროდ მეფე იხსნა „...ბრძლათა შორის ხრმლითა განჭკვეთა თექვსმეტი ოსმალნი და შემდგომად ოსმალთ რაზმთა შუაგულობასა მყოფი მოჰკლეს შარვაშიძე ხუტუნია“ (ნ. დადიანი, გვ. 178). ბრძოლის დამთავრების შემდეგ სოლო-

[1] ფუნდუკლულუ, „ნუსრეთ ნამე“ (გამარჯვების წიგნი, გამოუქვეყნებელი მასალა მოგვაწოდა ნ. შენგელიამ).

მონ I დიდი პატივით დაკრძალა ხუტუნია შარვაშიძე.

დღეს ეს ფაქტი საყურადღებოა იმითაც, თუ როგორ თანადგომით იბრძოდნენ ქართველი და აფხაზი ხალხები საერთო მტრის წინააღმდეგ.

იტალიელი მისიონერ ლეონეს ცნობით, სოლომონ I „სიხხლიანი სასაკლაო გაუმართა თურქების ჯარს, თავისი ბიძა ლეონი ხმლით ორად გააპო (ე. ი. ლეონეს ცნობის მიხედვით, სოლომონ I პირადად მოუკლავს თავისი პაპა — ლევან აბაშიძე), გენერალი (გოლა-ღაშა) დაატყვევა“. რამდენიმე დღის შემდეგ „ყველა თურქი ვინც ტყვედ ჩაიგდო ხელში, უმაღლესი კლდიდან ძირს გადმოჰყარა“. ეს იყო სოლომონ I პირველი სახელოვანი გამარჯვება, გამარჯვებულს აურაცხელი სამხედრო ნადავლი (ალაფი) დარჩა — ფულის, საქონლის, ცხენების და სხვა სახით.

ოსმალთა ჯარი დამარცხდა, ვინც ცოცხალი გადარჩა ტყვედ დანებდა იმერთა მეფეს. ლევან აბაშიძე, როგორც აღვნიშნეთ, ამ ბრძოლაში დაიღუპა, მისი შვილი გედევან აბაშიძე დაატყვევეს, რომელსაც შემდეგ მეფის ბრძანებით თვალები დათხარეს. „...შეიპყრეს აბაშიძე გედევან და მოჰგვარეს მეფესა და შემდგომან დასწვა თუალნი მეფემან“ (ნ. დადიანი, გვ. 178), როსტომ რაჭის ერისთავმა გაქცევით უშველა თავს. გამარჯვებული იმერთა ჯარი მეფის ირგვლივ შეგროვდა, პირველად გამარჯვება მეფეს ცოლისძმამ სამეგრელოს მთავარმა — კაცია დადიანმა მიულოცა, შემდეგ გურიის მთავარი — მამია გურიელი მიესალმა. ფეოდალურ საქართველოში არსებული წესის მიხედვით, დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად სამგლოვიარო პარაკლისი გადაიხადეს.

ხრესილთან გამარჯვების შემდეგ სოლომონ I ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა ყურადღებას იქცევს ქართლის მეფის თეიმურაზ II წერილი, იგი იმერეთის მეფეს წერდა: „საქართველოს მეფე თეიმურაზ ჩვენთვის... საიმედევნოს... ყოვლის სიკეთის მქონებელს ძმას, ბატონს იმერეთის მეფეს მრავალსა და აურაცხელს, მათის სახელოვანის, კაის თავის საკადრის მოკითხვას და სიხარულის წადირებას მოგახსენებ“.

ხრესილის ბრძოლაში სოლომონ I გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის მეფის შემდგომი ღონისძიებების რეალიზაციისათვის. ხრესილთან გამართული ბრძოლა არსებითად დასავლეთ საქართველოს მეფემთავართა პირველი დიდი და სერიოზული გამოსვლა იყო ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ. ხრესილთან ოსმალთა ლაშქრის განადგურებით იმერეთის მეფე, გურიისა და ოდიშის მთავრები სერიოზულად დაუპირისპირდნენ ოსმალთა მომძლავრებას და კიდევ უფრო გააქტიურეს მათ წინააღმდეგ ბრძოლა. გარდა ამისა, ხრესილის ბრძოლით დასაბამი მიეცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლას დასავლეთ საქართველოში, რამაც განაპირობა ოსმალთა თანდათანობითი განდევნა იმერეთის ციხე-სიმაგრეებიდან. ეს არის სწორედ ამ ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მეცნიერები „ცისკარში"

გელა გამყრელიძე

# საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიიდან

არქეოლოგიას, როგორც მეცნიერების წარმოქმნას, წინ უძღოდა დიდი მონაკვეთი, როცა მისი არსებობა მხოლოდ ანტიკვარული ნივთების მოპოვებით შემოისაზღვრებოდა. ამგვარი ნივთების შეგროვებას და მათ კოლექციონირებას კი დიდი ხნის ისტორია აქვს. ანტიკვარულ ნივთებს, ძველ სიმბოლოებს თუ განძეულობას მაშინ ძირითადად თავს უყრიდნენ სამეფო სასახლეებში და მონასტრებში.

სიძველეებისადმი ინტერესს საკმაოდ კარგა ხანია იჩენენ, მაგრამ ამ ძველი ნივთების შესწავლისა და მათი ისტორიასთან დაკავშირების [illegible] მცდელობით გვიან მოხდა. სიძველეებით [illegible] მდიდარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ბუნებრივია, დიდი ხნის წინათ გაუჩნდათ მათდამი ინტერესი. ჯერ კიდევ ახ. წ. II საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ფაზისში, ჰქონიათ სიძველეთა საცავი — მუზეუმის მსგავსი დაწესებულება, რომელსაც ათვალიერებინებდნენ ქალაქში ჩამოსულ უცხოელებს (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო II, 1961, თბ., გვ. 39). შემდგომ საუკუნეებში ძველი, უნიკალური ნივთების საცავი საქართველოს ხელისუფალთა კარზეც იყო. ეს საცავები, ალბათ, მეჭურჭლეთუხუცესის გამგებლობაში შედიოდა (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1966, გვ. 86). სულხან-საბა ორბელიანი რომის მუზეუმის დათვალიერებისას იხსენებს, რომ ამგვარი ნივთების საცავი მას უნახავს მეფე ვახტანგ VI კარზე, „სალაროში" (ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში 1658-1725, 1940, გვ. 87-88). საცავ-სალარო თბილისში, სადაც სამეფო ხაზინასთან ერთად ინახებოდა მიწაში ნაპოვნი ნივთებიც, კერძოდ, ძველი მონეტები და იარაღ-საჭურველი, იხსენებს თეიმურაზ ბაგრატიონიც — „სხვათა და სხვათა ჟამთა შინა იპოვნნეს მკვდარნი ეს საზედ დაფლულნი სხვათა და სხვათა ადგილთა შინა ივერიისათა, რომელითაცა ჩვეულებანი ძველთა ქართლოსიანთანი უწყებულ არიან და არათუ მხოლოდ ძველთა ჟამთა ახალთაცა ამათ საუკუნეთა იპოვნნეს რაოდენნიმე მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა კერპთ მსახურებისა ჟამსა შინა დაფლულნი მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი, და რომელნიმე რკინისა საჭურველთაგანნი დამთობილნი განუხრწნელად იცვებოდეს სალაროსა შინა მეფის ირაკლისასა..." (თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, პეტერბურგი, 1848, გვ. 52). იგი იქვე დასძენს, რომ, სამწუხაროდ, 1795 წელს სპარსელების მიერ საქართველოს დედაქალაქის თბილისის აღება-დანგრევისას მეფის სასახლე და მასთან ერთად ეს საცავიც დაურბევიათ და გაუძარცვავთ. ვინ იცის, ამ შემოსევის დროს საუკუნეობით ნაგროვი როგორი სიძველეები დაიღუპა.

ზემოთ თქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ არქეოლოგიას, როგორც მეცნიერებას, დიდი ხნის ისტორია აქვს. პირიქით, ის მეცნიერების ერთ-ერთი ახალგაზრდა დარგია, თუმცა მისი წარმოშობა-განვითარების ისტორია თავისი ფესვებით საუკუნეების მიღმა იკარგება.

XIX საუკუნემდე საქართველოში სიძველეთა შესწავლას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. შემოგვრჩა მხოლოდ კანტი-კუნტი ცნობები ზოგიერთი ძეგლის შესახებ. ეს ცნობები საინტერესოა თავისი აღწერილობითი-ფიქსაციური ხასიათით, რადგან ზოგიერთი ძეგლი შემდგომში ან სულ განადგურდა, ან ძლიერ დაზიანდა და სახე იცვალა.

XIX საუკუნის საქართველოში სიძველეთა შესწავლა შედარებით უფრო სისტემურ ხასიათს იღებს. ჯერ კიდევ 1887 წელს საქართველოში, სტატისტიკურმა კომიტეტმა მიაქცია ყურადღება ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვის საქმეს და ამისათვის შეადგინა სპეციალური მითითება. ეს მითითება გაავრცელეს სახელმწიფო დაწესებულებებში. მასში ყურადღება ყორღანების ან მსგავსი სიძველეების გამოვლინება-აღნუსხვაზე იყო გამახვილებული. (საარქივო დოკუმენტები გამოაქვეყნა ა. იოსელიანმა — ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 369-409). ამ ინსტრუქციის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ ნ. ი. ფალავანდიშვილი, მ. ე. ქილაშვილი, რომლებიც სტატისტიკურ კომიტეტში მსახურობდნენ.

მართალია, სტატისტიკურ კომიტეტს არ უწარმოებია გათხრები და არც რაიმე მეცნიერული დასკვნები გამოუტანია (რადგან ეს არ შედიოდა მის ფუნქციებში), მან მხოლოდ გარკვეული როლი შეასრულა ძეგლთა აღნუსხვა-დაცვაში. მაგრამ მარტო აღნუსხვა-დაცვით სიძველეთა შესწავლის საქმე წინ ვერ წაიწევდა. ამიტომ XIX საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს სიძველეთა უფრო ფართო, მრავალმხრივი შესწავლისათვის საჭირო გახდა გათხრების დაწყება.

პირველი გათხრა, რომელიც მეცნიერულ მიზნებს ისახავდა, ჩატარდა 1852 წლის ზაფხულში; ქ. გორიდან დაახლოებით თხუთმეტიოდე კილომეტრზე დაცილებულ ნაქალაქარ უფლისციხეში. აქ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს არქეოლოგიის პიონერი დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთხუცესიშვილი, სამწუხაროდ, დ. მეღვინეთხუცესიშვილის შესახებ ძალზე ცოტა ცნობებია შემონახული, რაც ძნელებს ამ პიროვნებაზე სრული წარმოდგენის შექმნას. მისი თანამედროვეების აზრით, „დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ნიჭიერი კაცი იყო და საქართველოს ისტორიის დიდი მცოდნე და ალმაცერხინებელი; იგი, სადაც-კი შეეძლო, ყველგან, ცდილობდა საქართველოს ისტორიის სასარგებლოდ" („საქართველოს კალენდარი", ტფ. 1895, გვ. 491). მაღალ შეფასებას აძლევს დ. მეღვინეთხუცესიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსეც, რომელიც ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს მის სიბეჯითეს და იმ დახმარებას, რომელიც მისგან მიიღო (Brosset m., Rapports, III. გვ. 52).

დ. მეღვინეთხუცესიშვილმა აღწერა და შეისწავლა მრავალი საყურადღებო ძველი ძეგლი, შეაგროვა და შთამომავლობას დაუტოვა არა ერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი თუ ნივთი. მან მოიარა და ისტორიულ-არქეოლოგიურად შეისწავლა ქართლი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა და სხვ. მ. ბროსესადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში დ. მეღვინეთხუცესიშვილი აღნიშნავს; „მე მსურს რაც საქართველოში ძველი ეკლესიაა, თუ მონასტერი, ჯვარი, ხატი და რაზედაც ძველი წარწერილობაა, ყველა აღვწერო თვითოეული და ნაწერიც ეგრეთ გარდმოვიღო" (ხანთაძე შ., დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, კრებ. საისტორიო მოამბე, № 6, თბ., 1952, წერილი № 2). იგი მოხსენებებისათვის, რომლებსაც გზავნიდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, 1849 წელს დააჯილდოვეს აკადემიის ქების სიგელით.

დ. მეღვინეთხუცესიშვილი მსახურობდა ქ. გორის სასამართლოში, რაც მას ხელს უშლიდა სამეცნიერო მუშაობის ფართოდ გაშლაში. ამიტომ 1851 წელს იგი გორიდან გადადის ქ. თბილისში მთავარმართებლის კანცელარიაში სამუშაოდ, სადაც სამეცნიერო მოღვაწეობისთვის უფრო მეტი დრო რჩებოდა და მატერიალურადაც უკეთ იყო უზრუნველყოფილი. აქ მას, სხვა საქმეებთან ერთად, დაავალეს მოეწყო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა აღეწერა და შეესწავლა ისტორიული სიძველეები. სამწუხაროდ, ამ ექსპედიციებს მთავრობისაგან დაფინანსება-დახმარება მალე შეუწყდა. ამიტომ დ. მეღვინეთხუცესიშვილი სამუშაოდ ისევ ქ. გორის სასამართლოს კანცელარიაში დაბრუნდა. ამის შემდეგ დ. მეღვინეთხუცესიშვილი რამდენამდე ჩამოსცილდა ისტორიულ-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა სარბიელს. იგი გარდაიცვალა 1878 წელს და დასაფლავებულია გორთან, სოფ. ხიდისთავში. დ. მეღვინეთუხუცესიშვილის ნაწერებიდან ჩვენამდე მოაღწია ისტორიული ხასიათის რამდენიმე ნაშრომმა, ერთმა-ორმა პიესამ და ლექსებმა.

1852 წლის ზაფხულში დ. მეღვინეთხუცესიშვილმა მთავრობისაგან მიიღო გარკვეული თანხა და შეუდგა უფლისციხის გათხრას. მას თბილისიდან მოუწვევია მხატვარი და შეუძენია სათანადო ალჭურვილობა ძეგლის გათხრა-ფიქსაციისათვის. არქეოლოგიური გათხრების დროს დ. მეღვინეთხუცესიშვილი აწარმოებდა საველე დღიურს. როგორც ჩანს, იგი აპირებდა უფლისციხის გათხრების შედეგების გამოქვეყნებას. სამწუხაროდ, გათხრების შედეგების გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. ამიტომ ამ გათხრების შესახებ წარმოდგენის შექმნა ძირითადად „Кавказъ"-ში (1852, № 43, 68, 70) დაბეჭდილი მოკლე ანგარიშების მიხედვით გვიწევს.

უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლა დ. მეღვინეთხუცესიშვილს ზედაპირული დაზვერვებით დაუწყია — აუგეგმია ნაგებობები, რამდენიმე წარწერა აღმოუჩენია და გადმოუწერია, ამისათვის მას მოუხდა მაღლა, ფრიალო კლდეებში ნაკვეთი ნახევრად ჩანგრეული ნაგებობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ნახვა, რაც არც თუ უსაფრთხო იყო მისთვის.

დ. მეღვინეთხუცესიშვილს პირველად უფლისციხის დიდი დარბაზის გათხრა დაუწყია. გაუთხრია. დაახლოებით ერთი მეტრი სიღრმის თხრილი; აქ აღმოუჩენია ხვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. დიდი დარბაზის გვერდზე ოთახში დადასტურებულა ქვევრები. მისი აზრით, დიდი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარჩინებული პირის სასახლეს წარმოადგენდა. დ. მეღვინეთხუცესიშვილს შეუსწავლია უფლისციხის შესახებ არსებული ყველანაირი ცნობა; კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონისა და ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები უფლისციხის შესახებ და ადგილობრივი მაცხოვრებლების ფოლკლორული გადმოცემები. იგი ერთმანეთს ადარებს უფლისციხისა და ვარძიის კლდეში ნაკვეთ ნაგებობებს. უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლის დროს დ. მეღვინეთხუცესიშვილს გაუთხრია სამარხებიც.

XIX საუკუნის შუა წლებისათვის საქართველოში 1832 წლის შეთქმულებას მოყოლილ რეპრესიების შედეგად ჩამკვდარი კულტურული ცხოვრება რამდენადმე გამოცოცხლდა. დაარსდა სამეცნიერო საზოგადოებები; გაიხსნა მუზეუმი, ბიბლიოთეკა, დაიწყო პერიოდული გამოცემების დასტამბვა, სადაც სამეცნიერო სტატიებიც იბეჭდებოდა და სხვ. ამ პერიოდულ გამოცემებში ხშირ-ხშირად ნახმარ სიტყვა „არქეოლოგია“-ში საკმაოდ ფართო, ბევრის მომცველ მნიშვნელობას დებდნენ, იგი ფრიად მოდურ სიტყვად იქცა. გამოქვეყნებულ წერილებში არქეოლოგიური მასალის შესწავლა და ფიქსირება ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამ მასალის აღწერა უმეტესად ჩართულია ან არეულ-გადახლართულია საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მონაცემებთან.

სიტყვა „არქეოლოგიაში“ მაშინ ძირითადად იგულისხმებოდა ყოველგვარ სიძველეთა (წიგნების, ეკლესია-მონასტრების, ხატების, ეპიგრაფიკული ძეგლების და სხვ.) აღწერა-შესწავლა, ხოლო მიწისქვეშა ძეგლების მიკვლევას კი უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან იმ დროს არქეოლოგია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, როგორც მეცნიერება დღევანდელი მნიშვნელობით.

ერთ-ერთი პირველი საზოგადოება, რომელმაც რამდენადმე მიაქცია ყურადღება საქართველოს სიძველეებს, იყო საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება. მისი განყოფილება 1850 წელს დაარსდა თბილისში. პირველსავე სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად აღინიშნა, რომ ამ საზოგადოებამ უნდა შექმნას მუზეუმი და არქივი. მუზეუმი გაიხსნა 1852 წლის გაზაფხულზე. მისი იმდროინდელი ადგილსამყოფელი იყო დღევანდელი ალ. ჭავჭავაძის და ალ. გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში მდგომი სახლი (ალ. ჭავჭავაძის ქუჩა, № 5). ეს იყო პირველი მუზეუმი მაშინდელ კავკასიაში. თბილისში დაარსებული მუზეუმი შედგებოდა ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და ისტორიული განყოფილებებისაგან. 1854 წლისათვის კავკასიის მუზეუმი უკვე 3300 ექსპონატს ითვლიდა. მუზეუმის საისტორიო-არქეოლოგიური კოლექციები შეავსო მიწის წიაღში აღმოჩენილმა ბევრმა ექსპონატმა.

1863 წელს გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმი დაიშალა. მისი კოლექციები გადაეცა თბილისში ახლად გახსნილ კავკასიის მუზეუმს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გ. რადე (გუსტავ რადე — გერმანელი ბუნებისმეტყველი; დაიბადა ქ. დანციგში (გდანსკი) და იქვე მიიღო განათლება. 1863 წელს იგი პირველად ჩამოვიდა საქართველოში; ერთხანს მუშაობდა თბილისის ობსერვატორიაში, მერე იმოგზაურა მდ. ენგურის, რიონის და ცხენისწყლის ხეობებში და აწარმოვა ბიოლოგიურ-გეოგრაფიული კვლევა. იგი საქართველოში დარჩა საცხოვრებლად. გარდაიცვალა 1903 წ. თბილისში. 1891 წელს მან გამოსცა კავკასიის მუზეუმის ისტორია). ამ მუზეუმსაც, ისევე როგორც მის წინამორბედს, უფრო ეთნოგრაფიულ-საბუნებისმეტყველო ხასიათი ჰქონდა. მაგრამ აქ არც ისტორია-არქეოლოგია იყო დავიწყებული. შემდგომში კავკასიის მუზეუმის საფუძველზე დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი აღმოცენდა.

1867 წელს მცხეთაში (ახლანდელ სადგურ ზაჰესთან, სარკინიგზო ხიდის მახლობლად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე) გზის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ახ. წ. 75 წელს ამოკვეთილი ქვათლილი წარწერით (ჯერ კიდევ 1844 წელს პ. იოსელიანი თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა, რომ მცხეთაში არის ბევრი ნანგრევი, რომელიც ჯერ არავის შეუსწავლიათ). შემდგომ წლებში მცხეთაშივე, სამთავროს ველზე და ბებრისციხის მიდამოებში — ისევ შემთხვევით — აღმოჩნდა, უძველესი სამარხები. ამ აღმოჩენებმა გამოიწვია მთავრობის დაინტერესება მცხეთით და 1871 წელს თბილისში მცხოვრებ ავსტრიელ ნატურალისტს ფრიდრიხ სამუელის ძე ბაიერნს (1817-1886 წ.წ.) სთხოვეს სამთავროს მინდორზე გათხრების წარმოება (ფ. ბაიერნი 1849 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა კავკასიაში. მან გარკვეული ამაგი დასდო კავკასიის მუზეუმს, განსაკუთრებით მის საბუნებისმეტყველო განყოფილებას. 1859 წ. არარატის მთის ძირას აღმოაჩინა კავკასიაში პირველად ურარტული ლურსმული წარწერები; არქეოლოგიური დაზვერვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ჩაატარა ყაზბეგში, ურბნისში და სხვ). აქ გაითხარა ქვის ფილებისაგან შემდგარი სამარხები; ამოღებულ იქნა კერამიკა, ლითონის იარაღები, სამკაულები და სხვ. ხსენებულმა ნივთებმა შემდეგ კავკასიის მუზეუმის ფონდები შეავსო.

მცხეთის ამ არქეოლოგიური აღმოჩენების შემდეგ კავკასიისადმი და, კერძოდ, საქართველოსადმი ისტორიკოს-არქეოლოგთა ინტერესი კიდევ უფრო იზრდება. ამიტომ 1872 წელს თბილისში შეიქმნა კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტი, რომელსაც ისტორიულ-არქეოლოგიური სამუშაოების კოორდინაცია უნდა მოეხდინა კავკასიაში. მალე ეს კომიტეტი შეერწყა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებას".

„კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების" დაარსებას წინ უძღოდა გარკვეული სამზადისი. კერძოდ, 1878 წელს ჟურნალ „ცისკარში" (1878 № 3-4) გამოქვეყნდა დ. ბაქრაძის სტატია, რომლითაც ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა მის საზოგადოებრივ...

ბი ჩაატარა ყაზბეგში, ურბნისში და სხვ).

შო არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივებს. სტატიის სათაურია „შესახებ კავკაზიის არქეოლოგიის მოსიყვარულე საზოგადოებისა, რომლის დაფუძნებასაც აპირებენ ტფილისში". დასაწყისში საუბარია საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის რეგიონის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობაზე; ამ მხარის გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის; შეფასებულია ისტორიული ძეგლების წარწერების ადგილი ქვეყნის წარსულის შესწავლაში. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ არქეოლოგიას ჩვენთანაც მიექცა ყურადღება და გადაწყვეტილია არქეოლოგიური საზოგადოების შექმნა. დ. ბაქრაძე შეშფოთებული აღნიშნავს, რომ ხალხი ძველი ნანგრევების ქვებს ხმარობს სამშენებლო მასალად და ამით ზიანს აყენებს ძეგლებს („ცისკარი", ტფ. 1878, № 3-4).

ამ საპროგრამო სტატიის ავტორი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე (1826-1890 წ. წ.) „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური მოღვაწე იყო. მას თავის დროზე რეკომენდაცია გაუწია და სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლაში ხელი შეუწყო პირველმა ქართველმა არქეოლოგმა დ. მელვინეთხუცესიშვილმა, რომელმაც იგი ცნობილ ფრანგ ქართველოლოგ მ. ბროსეს წარუდგინა.

დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობის ერთ-ერთ მთავარ გზად საქართველოს ისტორიის წყაროებისა და მასალების ძიებას თვლიდა. მას, სრულიად სამართლიანად, მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიისათვის მასალების შეგროვება ძირითადად ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემწეობით უნდა მომხდარიყო. ამიტომ დ. ბაქრაძე აწარმოებდა კვლევა-ძიებას სვანეთში, აჭარაში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, აფხაზეთში, სამეგრელოში, საინგილოში და სხვ.

ეს ისტორიულ-არქეოლოგიური მოგზაურობები დ. ბაქრაძის მიერ შემუშავებული საერთო გეგმის ნაწილს შეადგენდა. მისი საერთო დიდი მიზანი მთლიანად საქართველოს სიძველეების შესწავლა იყო. ამ მიზნის მიღწევა, ბუნებრივია, მარტო ერთი მეცნიერის ძალებს აღემატებოდა. ამიტომ საჭირო შეიქმნა გარკვეული სამეცნიერო ძალების გაერთიანება. ამ დროისათვის საქართველოში მოღვაწე სამეცნიერო ძალები კარგა ხნის განმავლობაში არაორგანიზებულად, მაგრამ მაინც დიდი გულისყურით კრებდნენ და სწავლობდნენ საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან მასალებს. ამიტომ იყო, რომ არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების დაარსების იდეას მოწინავე საზოგადოება სიხარულით და აღტაცებით შეხვდა. დაინტერესებულ წრეებში უკვე საკმაოდ პოპულარობა ჰქონდათ მოპოვებული ცნობილი ქართველი მოღვაწეების — პ. იოსელიანის, ს. ბარათაშვილის, რ. ერისთავის, დ. ყიფიანის, გ. ორბელიანის, დ. ბაქრაძის და სხვათა საქმიანობას.

1878 წლის 28 მარტს დამტკიცდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების წესდება. დაადგინეს, რომ ეს საზოგადოება დაარსდებოდა ქ. თბილისში და მისი მიზანი იქნებოდა ძველი ნაგებობებისა და, საერთოდ, სიძველეთა გადარჩენა დანგრევა-განადგურებისაგან. საზოგადოებას შეძლებისდაგვარად უნდა შეეძინა სიძველეები მოსახლეობისაგან, თვითონაც მოეპოვებინა მასალები და ყოველივე ეს მეცნიერულად შეესწავლა. საზოგადოების წესდებაში აღნიშნულია, რომ ის მოაწყობს სპეციალურ ექსპედიციებს და აწარმოებს გათხრებს. საზოგადოება იმდენად მონდომებული იყო სიძველეთა არქეოლოგიური შესწავლა ინტენსიურად ჩატარებულიყო, რომ ამ საქმისადმი ინტერესის მქონე პირთ ფულადი პრემიების და ქების სიგელების მიცემას პირდებოდა. წესდებაში აღნიშნული იყო, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა გადავიდოდა საზოგადოების მუზეუმის ხელში. შემდგომში ეს მუზეუმი შეუერთდა კავკასიის მუზეუმს.

საზოგადოებას მთავრობისაგან მიეცა შრომების ბეჭდვის უფლება. ამგვარად, თბილისში გამოიცა 1875 წელს საზოგადოების პირველი წიგნი, რომელსაც რედაქტორობდნენ დ. ბაქრაძე და ა. ბერჟე. წიგნში დაიბეჭდა საზოგადოების კრების ოქმები და სამეცნიერო სტატიები. საზოგადოება არსებობდა საწევროების, საქველმოქმედო შემოწირულებათა ხარჯზე და დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა. სწორედ ამ ხელმოკლეობის გამო საზოგადოებამ ვერ მოახერხა თავისი მოღვაწეობის ფართოდ გაშლა. მას არქე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლოგიური გათხრები თითქმის არ უწარმოებია და შემთხვევით ძირითადად მიწის ზედა ბანის მოხსნის დროს აღმოჩენილი ძეგლების აღწერა-პუბლიკაციით; გამოიცა საზოგადოების შრომების სულ ორი კრებული. (Записки общества любителей Кавказской археологии, кн. I, Тифлисъ, 1975; кн. II, Тифлисъ, 1877, შემდეგ ამ. შემოკლებით ЗОЛКА). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების დამსახურება ქ. თბილისში რუსეთის მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის ჩატარების საქმეში. კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოება თბილისში არქეოლოგთა ამ ყრილობის ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო.

არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთ შეკრებაზე მოხსენებით გამოსულმა დ. ბაქრაძემ წინ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმე; ყურადღება გაამახვილა მომავალი გათხრების ობიექტებზე და იმაზე, თუ სად უნდა მოველოდეთ უკეთეს შედეგებს. დ. ბაქრაძემ წამოაყენა წინადადება, რომ ამ ეტაპზე უპირატესად შესწავლილიყო კავკასიის ადრეული ეპოქები, რადგან მათ შესახებ ყველაზე უფრო ცოტა ინფორმაცია ჰქონდათ. ძველ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით წინ მოიყვანა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ძველი ბერძნული კოლონიზაციის ისტორიული მიმოხილვა. შემდეგ იგი საგანგებოდ აღნიშნავს ორ პუნქტს — მცხეთასა და ვაშნარს. ამ პუნქტებში, მისი აზრით, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ძალიან ნაყოფიერი და საქართველოს ისტორიისათვის ბევრის მომცემი იქნებოდა. 1874 წელს დ. ბაქრაძეს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად სოფ. ვაშნართან (გურიაში) ჩაუტარებია არქეოლოგიური დაზვერვები. გათხრების შედეგად მოუპოვებია კერამიკის, მინის, რკინის და ბრინჯაოს ნივთების ნატეხები. მას აქვე უნახია ნაგებობის ნაშთები; კერძოდ, მარმარილოს სვეტის ნაწილები, აგური, კრამიტი, დ. ბაქრაძის აზრით, ვაშნარის აგური მცხეთისას ჰგავს. (ЗОЛКА, кн. I, с. 185). დ. ბაქრაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ცდილობდა საქართველოს ისტორიის კვლევისას გამოეყენებინა ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ. 1889, გვ. 88).

კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება დ. ბაქრაძის აქტიური მონაწილეობით აღნუსხავდა და უყურადღებოდ არ ტოვებდა კავკასიის ტერიტორიაზე შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენათა თითქმის არცერთ ფაქტს.

მცხეთის შემდეგ, იმ პერიოდში, არქეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე დიდი ინტერესი ყაზბეგის უძველესმა ნივთებმა გამოიწვია. ამ პუნქტმა და მისმა მიმდებარე ტერიტორიამ უკვე XIX ს. სამოციანი წლებიდან მიიქცია სიძველეების მკვლევართა ყურადღება შემთხვევით ნაპოვნი ძველი ნივთებით, რომლებიც გაფანტულია და ამჟამად ინახება მოსკოვის ისტორიული მუზეუმის, ლენინგრადის ერმიტაჟისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში.

დაბა ყაზბეგში, ახლანდელი ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის გვერდით, სახლის საძირკვლის თხრისას უპოვნიათ ბრინჯაოს ნივთები —საკინძები, სამაჯურები და სხვ. ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით ყაზბეგში ჩამოვიდა გ. ფილიმონოვი, რომელმაც 1877 წელს, ამ ნივთების აღმოჩენის ადგილის აღმოსავლეთით გაჭრა თხრილი. განათხარში აღმოჩნდა ქვები და მასში აზელილი სველი ნიადაგი. აქ დადასტურდა საყურე, ოქროს ბალთა, პასტის მძივები, ბრინჯაოს ჯაჭვის ნაწყვეტები, ვერცხლის თასი, სპილენძის ხიტულა, სულ ორასამდე სხვადასხვა ნივთი. გ. ფილიმონოვს მუშაობისას შემოაღამდა და უმეთვალყურეოდ დატოვა გათხრების ადგილი, რომელიც მეორე დილას გაძარცული დახვდა (Сб. Антропологическая выставка об-ва любителей естествознания, т. II. М., 1879, с. 26-33). შემდგომ ამ გატაცებული ნივთების ნაწილი ლენინგრადის და მოსკოვის ზემოთ ხსენებულ მუზეუმებში მოხვდა.

ამავე ადგილის მომიჯნავე ფართობი 1878 წელს გათხარა ფ. ბაიერნმა. აქ ნესტიან, სველ ნიადაგში აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები და რკინის შუბისპირები. ფ. ბაიერნმა ყაზბეგის გარდა არქეოლოგიურად დაზვერა მდ. სნოს ხეობაც.

1879 წელს ყაზბეგში ჩასულა ცნობილი რუსი არქეოლოგი ა. ს. უვაროვი, რომელსაც ფ. ბაიერნის მიერ გათხრილი მონაკვეთის სამხრეთით გაჭრილ საცდელ თხრილში აღმოუჩენია სამი სამარხი. აქ უპოვიათ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის ნივთები.

ერთ-ერთი საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი, რომელმაც ადრევე, კერძოდ, 1876 წელს მიიქცია ძველი ისტორიით დაინტერესებულ პირთა ყურადღება, არის ვანი (მდებარეობს მდ. სულორის და მდ. რიონის შესართავის მახლობლად). 1876 წელს გაზეთ „დროებაში". (1876, № 52) აღნიშნულია სოფ. საჩინოში (ვანი) აზვლედიანების გორაზე სამარხებისა და ოქროს სხვადასხვა ნივთების ხშირი აღმოჩენის ფაქტები.

1880 წელს მწერალს და საზოგადო მოღვაწეს გიორგი წერეთელს (1842-1900 წწ.) ვანში ნაპოვნი ნივთების შესახებ ინფორმაცია მიუწოდებია მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადე-

ბელი კომიტეტისათვის. ერთჯერადად ამის შედეგიც იყო ალბათ ის, რომ 1889 წელს ვანში ახვლედიანების გორაზე არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით მცირე გათხრები ჩაატარა მხარეთმცოდნე ა. სტოიანოვმა (ა. სტოიანოვი წარმოშობით ბულგარელი იყო. მსახურობდა ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ ბათუმის გიმნაზიაში; ეწეოდა მხარეთმცოდნეობით მოღვაწეობასაც. მან შეისწავლა ბაგრატის ტაძარი და შემდგომ სვანეთში ჩაიწერა ფოლკლორული გადმოცემები. ვანში მის მიერ ჩატარებული გათხრების შესახებ ცნობა იხ. გაზეთ «Кавказъ» — 1889, VII, 21, № 161). მას აქ გაუთხრია რამდენიმე სამარხი, უპოვნია ლითონის ნივთები და კერამიკის ნაშთები.

ვ. წერეთელს 1878-80-იან წლებში არქეოლოგიური დაზვერვები ჩაუტარებია მდ. ყვირილას ხეობაში; ციხე მოდინახესთან უნახია სამარხების ნაშთები; შორაპნის ციხესთან უნახია თიხის ძველი წყალსადენის ნაშთები. ქ. ქუთაისში მდ. რიონის ნაპირთან ახლანდელი წითელი ხიდის ახლოს აღმოჩნდა ძველი აბანო; ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთით შემთხვევით უნახიათ დარღვეული სამარხის ნაშთები. სოფ. ციხისძირთან კვირიკეს გორაზე მშენებლობის დროს უპოვნიათ მარმარილოს სარკოფაგი წარწერით. 1880 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე სოფ. ჰოგნართან (ადგილი ნასაჭვარევი) აღმოჩნდა ორი ძველი ნამოსახლარი გორა. აქ დადასტურდა კერამიკული ნაწარმი ლითონის იარაღი — ცულები, დანები, ისრის პირები, სამაჯურები და სხვ. (Протоколы подготовительного комитета V арх. съезда, Моск., 1882, с. 125, 333—340, ქვემოთ იხ. შემოკლებით ППКАС V).

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქ. სოხუმის ერთ-ერთ სკოლაში ყოფილა მცირე არქეოლოგიურ-მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი, რომელიც შემდეგ ომის საფრთხესთან დაკავშირებით ქვეყნის შიდა რაიონებში გადაუტანიათ.

დაახლოებით ამავე დროს ქ. სოხუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ნატურალისტ-ზოოლოგი და მხარეთმცოდნე ვ. ი. ჩერნიავსკი, რომელსაც პირველს ჩაუტარებია აფხაზეთის ზედაპირული მხარეთმცოდნეობითი გამოკვლევა. უნახია ბიჭვინტა, ინკიტის ტბის სანაპირო: მდ. წებელდის ხეობა; ქ. სოხუმის სანაპირო. თვითონ ვ. ჩერნიავსკის ამ პუნქტებში გათხრები არ უწარმოებია (ППКАС V, с. 14—29).

1886 წელს ვ. ი. სიზოვს ქ. სოხუმში ახლანდელი რუსთაველის ბაღის დასავლეთ ნაწილში ჩაუტარებია პატარა მასშტაბის გათხრები, განათხარში აღმოჩნდა კერამიკის ნაშთები, მათ შორის ამფორის, შავ და წითელლაკიანი ჭურჭლის ნატეხები (Сб. Материалы по арх. Кавказа, вып. II, Моск., 1889, с. 10—39).

1880 წელს სოფ. დიღომთან, იქ სადაც დიღმის წყალი უერთდება მდ. მტკვარს, მცირე გათხრები აწარმოვა ჟურნალისტმა ა. [illegible] ამ ადგილზე ნაპოვნ სიძველეებს ჯერ კიდევ 1866 წელს მიუქცევია ყურადღება. ნანახი ნივთების მიხედვით ფ. ბაიერნს გამოუთქვამს აზრი, რომ ისინი სამთავროს სამარხების მონაპოვარს ჰგავდა. ხსენებულ ტერიტორიაზე გაითხარა თერთმეტი სამარხი. მათში ძირითადად აღმოჩნდა ვერცხლის სამკაულები და თიხის ჭურჭელი. არცერთ სამარხში იარაღი არ დადასტურებულა. (ППКАС V, с. 498—501).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოებების წინაშე ერთ-ერთმა პირველმა წამოჭრა საკითხი ქ. თბილისში არქეოლოგიური ყრილობის ჩატარების შესახებ. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ცნობილმა არქეოლოგმა, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ ა. ს. უვაროვმა. ჩამოყალიბდა მოსამზადებელ-საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის მუშაობასაც ხელს უწყობდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“.

1878 წელს ქ. თბილისში აირჩიეს ყრილობის მომწყობი ადგილობრივი საორგანიზაციო-მოსამზადებელი კომიტეტი დ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით. კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია — მას უნდა შეეკრიბა მასალები კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის და ენების შესახებ. არქეოლოგიური ყრილობისათვის ეს მზადება ძლიერი ბიძგი იყო საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერების, კერძოდ, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ენათმეცნიერების განვითარების საქმეში.

მეხუთე არქეოლოგიური ყრილობა გაიხსნა ქ. თბილისში 1881 წლის 8 სექტემბერს 13 საათზე, ახლანდელ პიონერთა სასახლის შენობაში, ხოლო დაიხურა 21 სექტემბერს. ყრილობამ ქალაქში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მას ესწრებოდა 850-მდე კაცი, რომელთაც ჰქონდათ სპეციალური საშვები და სამკერდე ნიშნები. ყრილობა დაიყო რვა განყოფილება-სექციად — პირველყოფილი საზოგადოების ძეგლები; წარმართული და კლასიკური ხანის ძეგლები; ქრისტიანული ხანის ძეგლები; აღმოსავლეთის სიძველეები (მუსულმანური ძეგლები); ხელოვნების და მხატვრობის ძეგლები; ენისა და დამწერლობის ძეგლები; ლინგვისტიკა; ისტორიული გეოგრაფია და ეთნოგრაფია; სექციების სხდომებზე სულ წაკითხულ იქნა 81 მოხსენება. ყრილობის მეცნიერ-თავმჯდომარედ აირჩიეს ა. ს. უვაროვი. კონკრეტულად საქართველოს ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით ყრილობაზე საინტერესო იყო მხოლოდ მცირე არქეოლოგიური მოხსენება-ინფორმაცია ყაზბეგში და მდ. რიონის გაყოლებაზე მდებარე არქეოლოგიური ძეგლების შესახებ (ძირითადად ქუთაისი). მომხსენებლებს საუბარი ჰქონდათ ყრი-

ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის წინ ამ პუნქტებში სპეციალურად ჩატარებულ არქეოლოგიურ დაზვერვებზე. საყურადღებოა რომ ამ ყრილობაზე, უკვე მეორედ, წამოიჭრა საკითხი კავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური აღმოჩენების რუკის შედგენის თაობაზე (სამწუხაროდ, შემდგომში ეს ჩანაფიქრი არ განხორციელებულა). ყრილობის სტუმრებისთვის სპეციალურად მოეწყო არქეოლოგიური ნივთების გამოფენა; ამასთანავე, გაიახლეს კავკასიის მუზეუმის ექსპოზიციები.

სახელი „არქეოლოგიური" მეხუთე არქეოლოგიური ყრილობისათვის ფრიად პირობითია, რადგან მისი მუშაობის დროს სხვა მეცნიერებები უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, ვიდრე არქეოლოგია. თვით ყრილობა კავკასიაში საერთოდ ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი იყო; მაგრამ საკუთრივ საქართველოს არქეოლოგიის შესწავლისათვის, საერთოდ არქეოლოგიური კვლევაძიების გაუმჯობესებისათვის, მისი, როგორც მეცნიერების წინსვლისათვის თითქმის არაფერი გაკეთებულა. ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, რომ მეხუთე არქეოლოგიურ ყრილობაზე „...რატომღაც არც ძვიერნი გამოჩენილა, არც მისი მცხეთას ნამუშევარი და საერთოდ არც ჩვენში წარმოებული თხრის შედეგები". იქვე — „საერთოდ, როგორც უკვე ვთქვი, გათხრითი არქეოლოგია ძალიან მცირედი იყო წარმოდგენილი თბილისის ყრილობაზე" (თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაშრომები, ტომი I, თბ., 1968, გვ. 363-369).

ყრილობის შემდეგ 1881 წელს „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება" უსახსრობის გამო დაიშალა. 1881 წლის 28 ნოემბერს ამ საზოგადოების ყოფილი წევრები გაერთიანდნენ „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებაში". ამ ახალი საზოგადოების წესდების მიხედვით გაფართოვდა მისი მოღვაწეობის არე. საზოგადოებას უნდა შეესწავლა კავკასიის ისტორია, უპირატესად მისი ისტორიის წერილობითი და ნივთიერი წყაროები (Устав Кавказского общества истории и археологии, Тифлисъ, 1881).

ახალი საზოგადოების დაარსების ინიციატორი იყო სახელმოხვეჭილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, რომელიც 1886 წლამდე ხელმძღვანელობდა მას, 1881-1885 წლების განმავლობაში მოხერხდა ნაშრომების ორი ტომის გამოცემა. მათში აღნიშნული ძეგლებიდან დღევანდელი არქეოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე პუნქტი, სადაც მოუპოვებიათ ზედაპირული არქეოლოგიური მასალა, ესენია ახალციხე, სოხუმი, ახალი ათონი, ხუცუბანი, ანაკოფია და სხვ. მალე საზოგადოების შრომების მეორე კრებულის გამოსვლის შემდეგ, „კავკასიის ისტორიის და არქეოლოგიის საზოგადოება" მისი წინამორბედივით, უსახსრობის გამო დაიშალა. საზოგადოებას არქეოლოგიური გათხრები თითქმის არ უწარმოებია.

მიუხედავად ამ საზოგადოების დაშლისა, საქართველოს სიძველეებისადმი ინტერესი მაინც არ კლებულობდა. ამას მოწმობს ტროისა და მიკენის აღმომჩენის და გამთხრელის ჰენრიხ შლიმანის დაინტერესება საქართველოს შავიზღვისპირეთით (ძველი კოლხეთი) საბერძნეთის ისტორიასთან კავშირში (არგონავტების, ოქროს საწმისისათვის კოლხეთში ჩამოსვლის ამბავი). ჰ. შლიმანს 1888 წელს არქეოლოგიური კომისიისათვის საქართველოში გათხრების ჩატარების ნებართვა უთხოვია, მაგრამ მისთვის უარი უთქვამთ. (Бич О., Новые материалы о Шлимане, ВДИ, 1947, № 2, с. 183).

XIX საუკუნის ბოლოსათვის, რევოლუციური განწყობილებების გააქტიურებასთან დაკავშირებით, მთავრობის მიერ იხურებოდა ყოველგვარი საზოგადოებები, სადაც კი შეიძლებოდა ადამიანების თავმოყრა და კამათი. ამან კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების გარკვეული ჩაკვდომაც გამოიწვია. ამ მხრივ მხოლოდ 1889 წელი გამოირჩევა, როცა მცხეთის სიძველეებმა ისევ მიიქცია ყურადღება. უძველესი ნივთები იმჟამად ბაგინეთთან აღმოჩნდა. ბაგინეთში ნივთების აღმოჩენის ფაქტს ყურადღება მიაქციეს ილია ჭავჭავაძემ და დიმიტრი ბაქრაძემ. ამ უკანასკნელს ხნოვანების გამო თვითონ აღარ შეეძლო თხრის მეთვალყურეობა და თავზე დადგომა; ამიტომ გათხრების წარმოება ბაგინეთში დაავალა ექ. თაყაიშვილს და დათიკო ქუთათელაძეს (დ. ქუთათელაძე ექ. თაყაიშვილის თანატოლი და ამხანაგი იყო; სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე; შერე კერძოდ რეპეტიტორობდა თბილისში. მცხეთის ბაგინეთის გათხრების შემდეგ არქეოლოგიურ საქმიანობას აღარ დაბრუნებია. მისი ანგარიშები ბაგინეთის გათხრების შესახებ დიდხანს გამოუქვეყნებელი იყო. დაიბეჭდა მხოლოდ კრებ. ექ. თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 117-119).

ბაგინეთთან მუშაობა სულ სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხოლო შემდეგ უსახსრობის გამო შეწყდა. გათხრები, ხანმოკლეობის მიუხედავად, საინტერესო და საყურადღებო გამოდგა. გაითხარა ნაგებობა, სადაც დადასტურდა სამი სხვადასხვა ხანის ფენა. ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩნდა ქვათლილები, ალიზი, მარმარილოს ნატეხები, მინისა და თიხის ჭურჭ-

ლის ნაშთები, ხაილენძის ცული. ნაგებობის შემორჩენილ კედელზე გამოხატული ყოფილა ქალის თავი (მასალა ინახება საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმში). ბაგინეთში მუშაობა ერთ-ერთი პირველი არქეოლოგიური გათხრა იყო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართველოლოგიის სწორუპოვარი მკვლევარი და დიდი მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი (1868–1953 წწ).

მცხეთის ამ გათხრებიდან მოყოლებული საქართველოში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას სათავეში უდგება ექ. თაყაიშვილი. მცხეთის არქეოლოგიურ შესწავლას ექ. თაყაიშვილი მერეც უბრუნდება, კერძოდ, სადგურ მცხეთის დასავლეთით, არმაზისხევის მახლობლად თხრის სამარხებს.

1894 წელს ექ. თაყაიშვილი საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის თხოვნით და ხელშეწყობით (რომლის წევრ-თანამშრომელიც ის იყო) იწყებს არქეოლოგიურ გათხრებს ვორნაკთან, დებედის ხეობაში (ახლა სოფ. აკნერთან, სომხეთის სსრ), მან აქ გათხარა ორმოცამდე სამარხი, რომელთა ერთი ნაწილი ბრინჯაოს ხანის დასასრულს, ხოლო მეორე — რკინის ფართოდ ათვისების პერიოდისა აღმოჩნდა.

1896 წელს ექ. თაყაიშვილი, ისევ არქეოლოგიური კომისიის ხელშეწყობით, მცირე არქეოლოგიურ გათხრებს ატარებს მდ. სულორის ხეობაში, ვანში და მის შესახებ გვთავაზობს რამდენიმე საყურადღებო მოსაზრებას. იგი ვანის არქეოლოგიური დაზვერვის შედეგს განიხილავს ისტორიულ ფონზე (ითვალისწინებს აგრეთვე აქ წინა წლებში ნაპოვნ მასალას) და უკვე ამ დროს აღნიშნავს, რომ აქ ვანის გორაზე ძველი, კოლხური ნაქალაქარის ნაშთებთან უნდა გვქონდეს საქმე; იგი უცხოური ნაწარმის და მონეტების მიხედვით ვარაუდობს, რომ ეს ნაქალაქარი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალთან მდებარეობდა; ხოლო ნაქალაქარზე ნაპოვნი ოქროს სამკაულები ადგილობრივი წარმოებისა იყო, რადგან აქვე მდ. სულორის შენაკად საქვაბიას ღელის ქვიშა გარკვეული რაოდენობით შეიცავს ოქროს. (Известия Кавказского историко-археологического института, т. II, Ленинград, 1927, с. 108—110).

1898 წელს ექ. თაყაიშვილს დასავლეთ საქართველოშივე სოფ. საჯავახოსთან (მდ. რიონის მარცხენა მხარეს — ახლა სამტრედიის რაიონში) და სოფ. ხუცუბანთან (მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირზე — ახლა ქობულეთის რაიონში) ჩაუტარებია არქეოლოგიური დაზვერვები, სოფ. ხუცუბნის შემთხვევითმა არქეოლოგიურმა საპოვნებმა ჯერ კიდევ 1879 წელს მიიქცია ყურადღება, რამაც გამოიწვია ამ პუნქტმა ექ. თაყაიშვილის ინტერესი. დასახელებულ პუნქტში ექ. თაყაიშვილს აღმოუჩენია კერამიკის ნაშთები და ლითონის რამდენიმე ნივთი. სოფ. საჯავახოს დრანდა-ღელეს არქეოლოგიური დაზვერვისას აღმოჩნდა დიდი რაოდენობის კერამიკის ნატეხები, რის მიხედვითაც ექ. თაყაიშვილი აქ კერამიკული სახელოსნოს არსებობას ვარაუდობს (ხუცუბანში, ვანში, საჯავახოში და ვორნაკში აღმოჩენილი ნივთები გაიგზავნა „ერმიტაჟში"— (თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ, 1968, გვ. 375.).

1901 წელს თბილისში გაიხსნა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომლის დამაარსებელ წევრთა შორის იყო ექ. თაყაიშვილი. იგი 1903 წლიდან 1918 წლამდე ამ განყოფილების მდივანი იყო. (Уставъ Кавказского отделения Московского арх. общества, Тифлис, 1902). გათხრითი არქეოლოგიისათვის საზოგადოებამ უსახსრობის გამო ვერაფერი გააკეთა. ის ძირითადად (ამ ტიპის სხვა საზოგადოებებივით მიწისზედა ძეგლების — ეკლესია-მონასტრები, წარწერები და სხვ.) შესწავლით და გამოქვეყნებით შემოისაზღვრა.

1902 წელს არქეოლოგიური თვალსაზრისით ყურადღება მიიქცია სოფ. ბორმა მდ. ბორიმელას მარჯვენა ნაპირზე. აქ ადგილობრივი მცხოვრებლები მიწის ხვნის დროს შემთხვევით წააწყდნენ მდიდრულ სამარხებს, სადაც აღმოჩნდა ოქროს და ვერცხლის სამკაულები, ჭურჭელი (განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის თასი საკურთხეველთან მდგომი ცხენის გამოსახულებით და წარწერით), მონეტები (რომაული და პართული) და სხვ. სოფ. ბორში შემთხვევით ნაპოვნი ძვირფასი ნივთები შეისყიდა „ერმიტაჟის" მუზეუმმა (ახლაც იქ ინახება).

1908 წელს მდ. ქსნის ხეობაში სოფ. საძეგურთან (ახლა ლენინგორის რაიონშია) მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით იპოვნეს მდიდრული ნივთები, რომლებიც ცნობილია „ახალგორის განძის" სახელით. სამწუხაროდ, ეს ძვირფასი ნივთები დაიტაცეს კერძო პირებმა, რომლებისგანაც შემდეგ ექ. თაყაიშვილს ნაწილი შეუგროვებია და კავკასიის მუზეუმისათვის შეუძენია. ესენია ოქროს საყურეები, კისრის რკალები, სასაფეთქლეები, სამაჯურები, გომბეშოების გამოსახულებიანი ყელსაბამი, ბეჭდები, ვერცხლის ფიალები, ცხენის აღკაზმულობა და სხვ.

ექ. თაყაიშვილი, რომელიც ამ დროს ახლად დაარსებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ედგა სათავეში, ცდილობდა საქართვე-

ლოს მიწის წიაღში შემთხვევით ნაპოვნი არც-ერთი ნივთი არ გამოპარვოდა მხედველობიდან, რათა ისინი საზოგადოების ან კავკასიის მუზეუმისთვის შეეძინა.

საქართველოში არქეოლოგიის განვითარების იმ ეტაპზე ექ. თაყაიშვილმა პირველმა გამოთქვა ზოგიერთი ფრიად საყურადღებო მოსაზრება. ესენია არქეოლოგიური მონაპოვრის გააზრებისას ადგილობრივი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ფაქტების მოშველიების აუცილებლობა; მოსაზრებები ვანის ნაქალაქარის შესახებ (იხ. ზემოთ); ოქროს და სხვა ლითონის იარაღის და სამკაულების ადგილობრივი წარმოშობის შესახებ (ადრე თითქმის ყველა ლამაზ, პეწიან ნივთს უცხოურად თვლიდნენ); მიუთითა აუცილებლად შესასწავლი ძეგლები — ვანში, საჩხერეში, თრიალეთ-წალკაში, ბაგინეთში და სხვ.

1918 წელს ცნობილმა ენათმეცნიერმა ნიკო მარმა (ნ. ი. მარი (1864-1934 წწ) გათხრებს აწარმოებდა ძირითადად სომხეთში — ყოჩნაყი. ანი. ის და ექ. თაყაიშვილი დაახლოვდნენ ჯერ კიდევ ქუთაისში სწავლისას — იხ. ექ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I. თბ. 1968, გვ 364-365). ექ. თაყაიშვილი მოიწვია მის მიერ თბილისში ახლად დაარსებულ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში (ეს ინსტიტუტი ფართო პროფილის დაწესებულება იყო). ნ. მარის პეტერბურგში ხშირად ყოფნის გამო ინსტიტუტს ფაქტიურად ექ. თაყაიშვილი უძღვებოდა, ამავე პერიოდში ექ. თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ადგენს არქეოლოგიის კურსის პროგრამას და იწყებს კიდეც ამ კურსის კითხვას (1921 წლამდე).

აქ მთავრდება ქართული არქეოლოგიის განვითარების პირველი ეტაპი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხელოვნება

ჯემალ ქარჩხაძე

## ფანტაზია საკვირველ ფენომენზე

როდესაც რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატებს დაათვალიერებთ, ისე დაათვალიერეთ, რომ ერთი ნახევარი საათი მაინც შემოინახოთ. დათვალიერებას რომ მოათავებთ, თქვენსა და ნახატებს შორის დამყარდება ის პირველი და ჯერ კიდევ ზერელე ემოციური დამოკიდებულება, რომელიც გონებაში მჟღავნდება მაღალფარდოვან სიტყვებად: „დიდებული", „განსაცვიფრებელი", „ფანტასტიკური". ეს ჯერჯერობით პათეტიკაა და არა ზიარება. მაგრამ თქვენ ნახევარი საათი კიდევ გაქვთ: წინდახედულად შემონახული ნახევარი საათი. ეს ნახევარი საათი გაატარეთ ერთ რომელიმე ნახატთან. საქმე ის კი არ არის, რომ აქ უამრავ ისეთ ფიგურას, დეტალს, ხაზს, ფერს იპოვით, რომელიც აქამდე არ შეგიმჩნევიათ და რომელიც არა მარტო ამ კონკრეტულ ნახატს, არამედ რუსუდანის მთელ შემოქმედებას ახალ შუქს ჰფენს; არა, საქმე ისაა, რომ ამ ნახევარი საათის განმავლობაში რაღაც ისეთი, რაც არც ხაზის მოქნილობასა და სისუფთავეშია, არც უაღრეს პლასტიურობაში, არც კომპოზიციის რთულ ჰარმონიაში, არც უნატიფეს ტექნიკაში, არც ნახატის სხვა რომელიმე განზომილებაში, რაც კი სიტყვით შეიძლება გადმოიცეს, რაღაც ისეთი, რაც მთელ ნახატშია და არც ერთ მის შემადგენელ ნაწილში არაა, იდუმალი არხებით შემოვა თქვენში. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენ რუსუდან ფეტვიაშვილის შემოქმედებას ეზიარეთ.

და კიდევ ერთი: ნუ შეხედავთ ამ ნახატებს, როგორც „ნორჩი შემოქმედის" ნახელავს, რადგან ეს გამოთქმა ყოვლად უადგილო და უსაფუძვლო კომპრომისულობის გრძნობას გაგიჩენთ და თქვენვე შეგიშლით ხელს.

რუსუდან ფეტვიაშვილი...

თოთხმეტი წლის გოგონა, ყველაზე უფროსი ხუთ და-ძმას შორის, მეშვიდე კლასის მოსწავლე (ბოლო ხანებში რუსუდანზე ბევრს ლაპარაკობენ და როგორც წესი, სიტყვა მოსწავლის წინ ყოველთვის სვამენ სიტყვა „წარჩინებულს". ეს საერთო სენია და მარტო რუსუდანს არ ეხება. ჩვენი გაუცნობიერებელი და ხშირად დაუფიქრებელი მაქსიმალიზმი უეჭველად მოითხოვს, რომ, თუკი ბავშვი რამეთი გამორჩეულია, იგი „წარჩინებულიც" უნდა იყოს, და ამგვარ მაქსიმალიზმს გამოდევნებული ტყუილის თქმასაც არ ვერიდებით. მართალია, ამ შემთხვევაში დიდ ტყუილთან არა გვაქვს საქმე, რადგან რუსუდანი მართლა კარგად სწავლობს, მაგრამ ამას არავითარი კავშირი არა აქვს მის ნახატებთან. იმის გამო არ ხატავს კარგად, რომ კარგად სწავლობს, და არც იმის გამო სწავლობს კარგად, რომ კარგად ხატავს).

რა შეიძლება ითქვას რუსუდანზე? ვთქვათ შეხვდით თოთხმეტი წლის გოგონას, გამოელაპარაკეთ, დააკვირდით, ახლო გაიცანით, მაგრამ არ იცით, იგი თუ ამ საოცარი ნახატების ავტორია. რა შთაბეჭდილება დაგრჩებათ? როგორც თითქმის ყველა თოთხმეტი წლის ბავშვი, რომანტიკოსია. როგორც თითქმის ყველა თოთხმეტი წლის გოგონა, გატაცებულია სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანებით. ცნობისმოყვარეა, აქვს მძაფრად განვითარებული სამართლიანობის გრძნობა (სიმართლისათვის, ანუ იმისთვის, რაც თავად სიმართლედ მიაჩნია, შეუძლია კბილებით იბრძოლოს) საუბარში და, საერთოდ, ურთიერთობაში ამყოლია, ლაღი, თავისუფალი, უყვარს ამხანაგებში ყოფნა და ზოგჯერ ბავშვის ცელქი სიამოვნებით კინკლაობს და-ძმებთან. საბოლოოდ თუ თქვენ მის დახასიათებას გთხოვენ, იტყვით, რომ ეს არის გონიერი, ზრდილი, ცოცხალი და მოძრავი, ხალისიანი, მომხიბლავი გოგონა, მაგრამ აზრადაც არ მოგივათ მასში ვუნდერკინდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიმე თვისებას დაუწყოთ ძებნა. ნახატი ჯერჯერობით სხვა რამეა. იგი ოდესმე ალბათ პიროვნების ორგანული ნაწილი გახდება და მაშინ რუსუდანს ვეღარ წარმოიდგენთ მისი შემოქმედების გარეშე, ახლა კი, ხანამ პიროვნება ჩამოყალიბების პროცესშია, რუსუდანს არავითარი შეღავათი არ სურს და მხოლოდ საერთო-ადამიანური საშუალებებით ამკვიდრებს საკუთარ თავს. ურთიერთობაში არათუ არ ცდილობს ხელსაყრელ ფონად გამოიყენოს თავისი ნიჭი, თავისი საკვირველი ნახატები, არამედ თითქოს უარყოფს კიდეც გაუცნობიერებლად ამ ნახატებს, რათა თქვენზე გავლენა არ იქონიოს და ამის მიხედვით არ განსაზღვროთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება. და ამ უარყოფით უარიყოფა ის უსიამოვნო დანალექიც, რომელიც ჩვენდაუნებურად შემოჰყვება ცნობიერებაში სიტყვა „ვუნდერკინდს".

ხშირად კითხულობენ: როდის დაიწყო რუსუდანმა ხატვა? ადამიანის ცნობისმოყვარეობა ამ კითხვის გარეშე ვერ ძლებს. მაგრამ ეს ლიტონი კითხვაა. ცოტა უფრო სწორადაც რომ დავსვათ ეს კითხვა (ვთქვათ ასე: როდის დაიწყო რუსუდანმა ხატვა ჩვენთვის?), მკვიდრი ნიადაგი მაინც არ ექნება. ყველაფერი შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. უფრო adრეც შეეძლო დაეწყო ხატვა და უფრო გვიანაც, იმისდა მიხედვით, თუ როდის ჩაუვარდებოდა ხელში ფანქარი და ქაღალდი, ეს ორი ჯადოსნური ნივთი, როდესაც ფანქარი და ქაღალდი ერთად ნახა, როდესაც ფანქარი ქაღალდს გაუსვა და ხაზი გაავლო, რომელიღაც უცნობი გრძნობით იგრძნო, რომ ამ ხაზს რაღაც შინაგანი, რაღაც უაღრესად არსებითი გამოჰყვა, ამ ხაზს სულის კვალი და სურნელი დაეტყო. და რუსუდანი მიხვდა, რომ იგი შემოქმედია. მას შემდეგ ხატავს და ხატავს. ხატავს ისე, რომ ორ კვირაზე ხანგრძლივი პაუზა, მე მგონია, არასოდეს ჰქონია. ესაა მხოლოდ, რომ ფანქარი ჯერ კალმით შეიცვალა, ამ რამდენიმე წლის წინ კი — ფუნჯით.

როდესაც ნახატი კედელზე ჰკიდია, მის შესახებ სპეციალისტმა უნდა ილაპარაკოს. და თუ ავიღებთ შიშველ ფაქტს, ფაქტს კავშირების გარეშე, სპეციალისტი იტყვის კიდეც სათქმელს, მაგრამ თუ ფაქტს კავშირებთან ერთად შევხედავთ, გამოჩნდება, რომ ეს იმდენად რთული და კომპლექსური ფენომენია, რომლის ახსნა და ცნობიერების სინათლეზე გამოტანა საეჭვოა რომელიმე ერთი დარგის სპეციალისტმა შეძლოს. დღეს ამ ფენომენზე ბევრს ლაპარაკობენ და მომავალში ეჭვი არაა მეტს ილაპარაკებენ. ახლა რუსუდანი თოთხმეტი წლისაა, უკვე შედარებით ბევრი რამ უნახავს, შედარებით ბევრი რამ წაუკითხავს და შედარებით ბევრი რამ იცის, ამიტომ მის ნახატებში ჩადებული ცოდნა შესაძლებელია იმდენად აღარ გვაკვირვებდეს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამგვარი ცოდნა რუსუდანის ნახატებში თავიდანვე იდო, ლამის დასაწყისიდან, ასეთ შემთხვევაში კი აზრი იძულებულია კითხვის ნიშნად იქცეს.

ადამიანი თურმე ჩანასახის მდგომარეობაში სახეობრივი ევოლუციის ყველა ეტაპს გაივლის და, სანამ საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდეს, მინიატურულად აღადგენს ცოცხალი ორგანიზმის მთელ ისტორიას. რუსუდანის ნახატში ალბათ შეგვიძლია დავინახოთ თავად ნახატის განვითარების ისტორია მოყოლებული კლდის მხატვრობის მოუქნელი, გულუბრყვილო ხაზიდან. პარალელი იქნებ ნაძალადევი და ფორმალური მოგეჩვენოთ, მაგრამ მე პარალელის აზრს ვხედავ არა მარტო ნახატის ევოლუციაში, არამედ (უფრო მეტადაც კი) თემის მარადიულობაშიც. ადამიანის ფსიქიკა ან არ იცვლება, ან ძალიან ნელა იცვლება. ხელოვნება ზღაპრიდან ამოვიდა და არსებითად არც არასოდეს დაშორებია ზღაპარს. ზღაპარი ყოველთვის იყო მისი ცენტრი და გულისგული. როგორც ცთომილი დედავარსკვლავს, ისე უვლის ხელოვნება ირგვლივ ზღაპარს და, ვინ იცის, თეორიულად შესაძლებელიც კია ზუსტად გამოითვალოს მისი ორბიტა, მისი დროისმიერი აპოგეა და პერიგეა. ხელოვნება ხან უახლოვდება დედავარსკვლავს, ხან შორდება, მაგრამ აპოგეაშიც და პერიგეაშიც არსებითად იგია, მისი ანარეკლი, იგივე ფენომენი. ძირითადი თემა არ იცვლება, იცვლება მხოლოდ ფორმა, იცვლება გამოსახვის საშუალებანი, იცვლება ტექნიკა. ტექნიკა სრულყოფისაკენ მიდის.

ზღაპარი უწინარეს ყოვლისა გლობალური განზოგადებაა. ეს თვისება, რომელიც რუსუდანის ნახატისათვის არსებითია, აქ მოიცავს როგორც სივრცისმიერ, ისე დროისმიერ კოორდინატებსაც (დააკვირდით რუსუდანის ფიგურებს, აქ ყველაფერს შეხვდებით, ძველი ეგვიპტიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ქართულ ფრესკამდე). რუსუდანი ეპიკოსია და მრავალპლანიან ზღაპარს თხზავს სიკეთესა და ბოროტებაზე. და აქ ხელოვნება იმდენად ახლო დგას პირველყოფილ მოდელთან, რომ თავად იქცევა მოდელად. შესაძლებელია ეს ის შემთხვევაა, როცა ცთომილი მინიმალურ მანძილზე ჩაუვლის დედავარსკვლავს. ყოველ შემთხვევაში კავშირი პირველ იმპულსსა და შემოქმედებას შორის აქ ღრმად არსისმიერია, იგი ამოსავალი წერტილისაკენ მიისწრაფის და მნახველს მისივე წარსულის უძველეს შრეებზე მიუთითებს.

ფაქტიურად რუსუდანის მთელი შემოქმედება ერთი ზღაპარია (აქ მხედველობაში არა მაქვს ყოფით თემებზე შექმნილი რამდენიმე ნახატი). მაგრამ ეს ზღაპარი რთულია და მრავალმხრივი (mრავალსახოვანი); შესაძლებელია ამოუწურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიც. ამიტომ ახალი ნახატის ნახვისას გრჩებათ შთაბეჭდილება, თითქოს ეს ყველაფერი წინა ნახატშიც ნახეთ. ეს წამიერი შთაბეჭდილებაა, მერე თანდათან რწმუნდებით, რომ ეს სიუჟეტური განვითარების სხვა სტადიაა, ფორმის გამოვლენის სხვა კუთხე, დამოკიდებულებათა სხვა ხასიათი, ასე ვთქვათ, ზღაპრის სხვა ეპიზოდი. ზღაპარში კომპოზიციურად (ალბათ აზრობრივადაც) ცენტრალური ფიგურაა ერთგვარი მარადიული ურჩხული (ნახატები, სადაც ურჩხული არაა, ჩემი აზრით ურჩხულიანი ნახატების ფრაგმენტებია). ზოგ ნახატში მას „დევი“ უფრო შეეფერება სახელად, ზოგში — „გოლიათი“. დანარჩენი ყველაფერი, რაც ხდება, მის ირგვლივ ხდება და სიუჟეტურად და კომპოზიციურად ხან მჭიდრო კავშირით, ხანაც მოუხელთებელი ძაფით მასთანაა დაკავშირებული. „სიუჟეტი“ აქ პირობითი ცნებაა. დაბეჯითებით შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ სიკეთისა და ბოროტების რთულ ურთიერთობაზე. სიტყვა „ურთიერთობა“ შემთხვევითი არ არის. „დაპირისპირება“ და მით უმეტეს, „ბრძოლა“ სქემის გამარტივება იქნებოდა (თუმცა დაპირისპირებასაც მრავლად ნახავთ ამ ნახატებში და ბრძოლასაც). რუსუდანს ჰქონდა ერთი პერიოდი, როცა სიტყვა „დაპირისპირება“ სიკეთისა და ბოროტების ურთიერთობის აღსანიშნავად უფრო შესაძლებელი სიტყვა იქნებოდა. თუმცა ჩემი აზრით აქაც საქმე გვქონდა არა დაპირისპირებასთან, არამედ გამიჯვნასთან. რუსუდანმა სცადა გაემიჯნა სიკეთე და ბოროტება. ამ მიზნით ერთი ხანობა ქაღალდის ზედა ნახევარზე ხატავდა იმას, რასაც პირობითად შეიძლება ეწოდოს სიკეთე, ქვედა ნახევარზე იმას, რასაც პირობითად შეიძლება ეწოდოს ბოროტება. მერე ეს მიჯნა მოიშალა. თითქოს ექსპერიმენტმა არ გაამართლაო, მომდევნო ნახატებში ფორმალური ხაზით გათიშული ორი სამყარო კვლავ ერთმანეთში შევიდა (და მგონი ამით ორივემ უკეთ იგრძნო თავი). ძნელი სათქმელია, რა მოხდა, რა დასკვნა გამოიტანა ინტუიციამ: ის, რომ ადრეა სიკეთისა და ბოროტების გაცალკევება, თუ ის, რომ საერთოდ ასეთი გაცალკევება ხელოვნური აქტია. ყოველ შემთხვევაში ახლა ისინი ერთ სამყაროში ცხოვრობენ და საერთო კომპოზიციაში არიან დეტალ-დეტალ განლაგებული ურჩხულის ირგვლივ, როგორც ფორმის, ასევე სიუჟეტის თვალსაზრისით ურჩხული ნაირ-ნაირია. ზოგჯერ ეს არის სტიქიური ძალა, ირაციონალური ბუნება, დაუოკებელი ენერგია, უაზრო ბოროტება, ხანდახან ურჩხულის სახეზე და გამომეტყველებაში აზრი ჩნდება, ზოგიერთ ნახატში თითქოს ყოვლისმხილველი და ყოვლისმცოდნეა. შესაძლებელია, ეს განვითარების ეტაპებია, შესაძლებელია, მხატვრული კვლევა იმისა, თუ როდის უფრო დიდია და საშიში ბოროტება. თუმცა „საშიში“ შეფარდებითი ცნებაა. ავტორის აქტიური და მყარი პოზიცია სხვათა შორის მკაფიოდ მჟღავნდება იმაშიც, რომ ხშირად ურჩხულის მსახურებს, რომლებიც სიკეთის დასათრგუნავად არიან მოწოდებული, ეშმაკის ატრიბუტებთან ერთად ანგელოზის ატრიბუტებიც აქვთ. ზოგჯერ თავად ურჩხულსაც ასხია ფრთები. და ეს ხაზს უსვამს ავტორის დამოკიდებულებას თავისი გმირის მიმართ. ეს დამოკიდებულება სიბრალულია და არა სიძულვილი. აქ ბოროტება, როგორც აბსოლუტური და დამოუკიდებელი საწყისი, უარყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მისი შემზარავი საქმიანობის შედეგი. სწორედ ეს არის ნიშანდობლივი. რუსუდანი მაშინ უარყოფს ბოროტებას, როცა ეს უკანასკნელი მკვიდრად და შეურყევლად ზის სამეფო ტახტზე. რუსუდანი მრავალ საშინელებას ხატავს. ბოროტების მსახურები ნაირ-ნაირი საშუალებებით, უნატიფესი მეთოდებით და სადისტური კმაყოფილებით აწამებენ სიკეთეს. შესაძლოა ერთი შეხედვისას ამაში პესიმიზმი დაინახოთ, მაგრამ, ზერელე შთაბეჭდილება რომ გაივლის და ნახატის ყველა კომპონენტი თავის ნამდვილ ადგილს დაიკავებს, წინა პლანზე წამოიწევს სიკეთის მძლავრი ნაკადი (ფორმის თვალსაზრისით ეს არის აბსოლუტურისა და იდეალურის ზღვარს მიტანებული სილამაზე), რომელიც შინაგანი სხივებით განმსჭვალავს მთელ კომპოზიციას. და გონებაში უნებურად ჩნდება სიტყვები: „და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“; სიტყვები, რომლებიც რუსუდანის განათლებისათვის ჯერჯერობით უცნობია.

ამგვარად ფილოსოფიურად სიკეთე და ბოროტება გაუთიშავია, ერთ სიბრტყეზე დევს, ერთ გარსშია მოქცეული, ერთ განზომილებაში, ერთი ისე შეუმჩნევლად გადადის მეორეში, რომ შესაძლებელია სულაც ერთი და იმავე კატეგორიის სხვადასხვა ასპექტთან გვქონდეს საქმე. ეს ფორმისა და ატრიბუტების ერთიანობაში იჩენს თავს. ქაღალდზე მათი გრაფიკული გამოცალკევება სავსებით პირობითი რამ არის და მისი მიზანი როგორც ჩანს საწყისის უკეთ შეცნობაა. შეცნობა გათვალნათლივების მეშვეობით.

რუსუდანი საშლელს არც მაშინ ხმარობდა, როცა ფანქრით ხატავდა. უამრავი ხაზიდან იგი ყოველთვის შეუცდომლად ირჩევს იმ ერთადერთს, რომელიც ყველაზე მეტყველია, ყველაზე მოქნილი, ყველაზე ზუსტი და ყველაზე პოეტური. შეიძლება ქაღალდი შემთხვევით დაითხვაროს, ან ტუში დაესხას, ან საღებავიანი ხელი მოხვდეს, მაგრამ შეუძლებელია, ხაზი ისეთი არ გამოვიდეს, როგორიც საჭიროა. მე მინახავს, როგორ ხატავდა რუსუდანი (ახლა სხვების თანდასწრებით უკვე იშვიათად ხატავს): უბრალოდ, თითქოს არხეინად, თითქოს უყურადღებოდაც კი. თან გელაპარა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კებოდათ, თან ხატავდა. ხშირად არც კი უყურებდა ნახატს და რჩებოდა ბუნდოვანი შთაბეჭდილება, რომ გესაუბრებოდათ რუსუდანი — ბავშვი, ცნობისმოყვარე, გულუბრყვილო, წუთში რომ ათას „რატომ“-ს შეგეკითხებათ და თან მიამიტური ეშმაკობით ელოდება, რომ რომელიმე „რატომ“-ს იქნებ ვერც უპასუხოთ, ხოლო მეორე რუსუდანი, რუსუდანი-შემოქმედი, მხოლოდ ხელშია და ამ ხელის მოძრაობას წარმართავს. ეს, ასე ვთქვეთ, „მხატვრული შთაბეჭდილებაა“ არის მეორე შთაბეჭდილება, რომელიც შესაძლოა, უფრო რეალისტურია. საქმე ის გახლავთ, რომ რუსუდანს კომპოზიცია არასოდეს არა აქვს წინასწარ მოფიქრებული, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაცნობიერებული არა აქვს, თორემ კომპოზიცია მზადაა, ზღაპარი აგებულია, ნახატი იქ, სადაც იგი იქმნება, სანამ ქაღალდზე გადავიდოდეს, მკვეთრად ვიზუალურია, და როცა რუსუდანი სახატავად დაჯდება და წინ ფურცელს დაიდებს, ზღაპარი ამ ფურცელზე პროეცირდება. ამის შემდეგ ხატვა უფრო ტექნიკური მხარეა და ფირის გამჟღავნებას ჰგავს. ამიტომ ირჩევს შეუმცდარად ერთადერთ ხაზს, ამიტომ არ სჭირდება ვარიანტები. უბრალოდ, იმას, რაც უკვე არსებობს ქაღალდზე, ფუნჯს აყოლებს, რათა მისთვის თვალნათლივი ჩვენთვისაც თვალნათლივი გახდეს. ამის გამოა, რომ დამთავრებულ ნახატში კორექტივების შეტანა საჭირო აღარ არის. ხოლო, თუ ხატვის დროს ხელი შემთხვევით აუცდება და იმ ერთადერთი, ნამდვილი ხაზის მაგივრად სხვა ხაზს გაავლებს, ამ მექანიკური შეცდომის შედეგად გვრჩება დაუმთავრებელი სურათი, პატარა ჩანახატი, ესკიზი, სავარჯიშო, ან, რაც გნებავთ, ის დაარქვით.

ამ შეუმცდარობასა და ერთადერთობას ემყარება პლასტიკის სიზუსტე და სახიერება. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, როცა ხატვის ტექნიკა ჩანასახის სტადიაში იყო, რუსუდანის ნახატი სწორედ მეტყველი პლასტიკით, ზუსტი, მკაფიო, უჩვეულოდ ცხადი და დამახასიათებელი მოძრაობით იქცევდა ყურადღებას. პერსონაჟები პლასტიკის ენით გელაპარაკებოდნენ და თავიანთი შინაგანი სამყაროს ამბავს, თავიანთ სულიერ თავგადასავალს ნათლად და გასაგებად გიამბობდნენ.

ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით რუსუდანის ნახატი თითქოს უზადო და სრულყოფილია, მაგრამ ეს მოჩვენებითი შთაბეჭდილებაა. აქამდეც არაერთხელ თქმულა ეს სიტყვები „უზადო“ და „სრულყოფილი“, რუსუდანს კი ორი დღის შემდეგ ახალი ზღაპარი დაუხატავს და დაუმტკიცებია, რომ, ის, რაც სრულყოფილი გვეგონა, თურმე მხოლოდ მორიგი ეტაპი ყოფილა.

რუსუდანს დასრულებული ნახატი უყვარს, ზის და გულმოდგინედ, მოხუცი პროფესორის პედანტურობით ახვევს და აგვირისტებს ყველა დეტალს. ნახატში ყველაფერი უნდა იყოს ნათელი, მკაფიო, ცხადი, უალრესად ცხადი. ბევრს არ ესმის რუსუდანის ნახატები და ამიტომ ეს ნათქვამი შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოთ, მაგრამ არაფერი პარადოქსული ამაში არ არის, უბრალოდ, დაწვრილმანებულ გაცნობიერებას არ უნდა ვითხოვდეთ და იმის პრეტენზია არ უნდა გვქონდეს, რომ ყველაფერი ჩვენი ინდივიდუალური ლოგიკის შაბლონში ჩაეტევა. რუსუდანი, ჩემი აზრით, იმდენად ზუსტად ხატავს, იმდენად დეტალურად, ისეთ თითქოსდა უმნიშვნელო ნიუანსებსაც კი არ ტოვებს უყურადღებოდ, რომ მე ამაში ნატურალიზმს ვხედავ. ოღონდ ეს არის ზღაპრის ნატურალიზმი, ასე ვთქვათ, რომანტიკული ნატურალიზმი, როდესაც შესრულება ნატურალისტურია, მაგრამ თავად ნატურა არ არის ნატურალისტური. ასეთი შეხამება რუსუდანის ნახატში ქმნის იმ უალრესსა და არამიწიერ პოეზიას, რომელიც ყველაზე აშკარად (თუმცა, იქ სხვა საშუალებებითაა მიღწეული) ძველი ეგვიპტის კედლის მხატვრობასა და ქანდაკებაში ჩანს.

ადამიანის ერთი უმთავრესი და ამავე დროს, ღრმად ბუნებრივი მიდრეკილება არის გაუგებრის ამოხსნა, შეუცნობლის შეცნობა. ამიტომ რუსუდან ფეტვიაშვილის საკვირველ ფენომენზე დიდხანს იქნება ლაპარაკი. ასეთ რთულ ფენომენს ეჭვი არაა, საფუძველიც რთული და მრავალწახნაგოვანი აქვს. დასკვნების გაკეთებაზე, რა თქმა უნდა, პრეტენზიას ვერ გამოვაცხადებ, მე უბრალოდ, იმათ რიგში ვარ, ვისაც ამოხსნა სურს. ეს კი არის, რომ ამ რთული საფუძვლის ერთი მნიშვნელოვანი წახნაგი გენეალოგიური ხაზიცაა. რუსუდანი შემოქმედთა ოჯახში დაიბადა. მამა მხატვარია, მოქანდაკე დედა — პოეტი და დრამატურგი. ეს ფორმალური მონაცემებია, მაგრამ თუ ამ მონაცემებს ყურადღებით მოვჩხრიკავთ, უფრო არსებითსა და მნიშვნელოვან იმპულსებს ვიპოვით. კერძოდ, მამის გენეალოგიურ ხაზში მკაფიოდ შეიმჩნევა მიწის ძალა, მკვიდრი, შეურყეველი ბუნებრიობა, მძლავრი ანტეოსური საწყისი. როცა ვახტანგ ფეტვიაშვილი, რუსუდანის მამა, ხეზე მუშაობს, ანუ იმას აკეთებს, რაც მისი დიდი სიყვარული და შინაგანი მოთხოვნილებაა, აშკარად ჩანს ლაღი ბუნება, ბუნებისეული ხელოვნება და ხელოვნების ბუნებრიობა. ვახტანგ ფეტვიაშვილსაც ზღაპარი უყვარს და ზღაპარს აქანდაკებს ხეში. მისი ზღაპარი მიწიერია, მკვრივი, მასიური, ხელშესახები, და ისეთივე მყარი, ისეთივე ფესვგადგმული, როგორც ის ხე, რომელშიაც ეს ზღაპარი იკვეთება. დედის მხრით გენეალოგიური

ეროვნული

შტო მკვეთრად განსხვავებულია. მრავალი თაობის მანძილზე ეს იყო სასულიერო წოდება, რომლის მემკვიდრეობითი ჩარხი სხვაგვარად მუშაობდა და სხვა ტიპის მოდელს ქმნიდა. როდესაც რუსუდანის ფენომენზე ვლაპარაკობთ, ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელი სახე არის მისი ბაბუა, თუ არ ვცდები, პირველი რგოლი მას შემდეგ, რაც სასულიერო წოდების ჯაჭვი დასრულდა. ეს პირველი ერისკაცი გარეგნულად უაღრესად კოლორიტული ფიგურაა (სცადეთ და ისე ჩაუარეთ გვერდით, რომ არ შეჩერდეთ და თვალი არ გააყოლოთ), შინაგანად ღრმად არტისტული ნატურა. რეალურობის გრძნობას მოკლებული, თავისი არსით შემოქმედი (როცა რაიმეს გიყვებათ და აზვიადებს, კი არ ტყუის, არამედ ქმნის). ფარული რომანტიკოსი და მაღლა-მაღლა მაცქერალი, როდესაც უცნობს უნდა მიმართოს, ასე მიმართავს: „უფლისწულო!“ მისთვის ქვეყნიერება უფლისწულებითაა დასახლებული, ოღონდ ეს კია, რომ ამ უფლისწულებს ცოტა ირონიით უყურებს, თითქოს იცის, რომ მათი უფლისწულობა თავად მოიგონა და მერე თავადვე დაიჯერა. მაგრამ ეს ირონია არის არა ცივი, მკაცრი და ნიშნისმოგები, არამედ მშვიდი, უწყინარი და იმდენად უდისტანციო, რომ წამსვე თვითირონიაში გადადის. მთლიანობაში ყოველივე ეს, გარეგნული დახვეწილობა, შინაგანი სწრაფვა (ცოტა უმისამართო) რომანტიკული სილამაზისაკენ, დაუოკებელი არტისტულობა გიქმნით ქაოტური, მოუწესრიგებელი ესთეტიზმის შთაბეჭდილებას, ეს ორი გენეალოგიური ნაკადი — ანტეოსური საწყისის მიწიერი ზღაპარი ერთის მხრივ და არტისტული, განყენებული ესთეტიზმი (რომელიც შეიძლება უაილდისეულ ზღაპარს შევადაროთ), რუსუდანის პიროვნულმა, გენეალოგიისაგან დამოუკიდებელმა არსმა შესართავში ჰარმონიად შეკრა და შეანივთა. ასე მესმის მე რუსუდანის შემოქმედების ერთი წახნაგი — წმინდა, ნათელი, მაღალი მშვენიერება, რომელიც მიწაზეა და დიდი მიწიერი ძალითაა დამუხტული.

როდესაც ხატვას იწყებს, რუსუდანმა ალბათ იცის რას ხატავს, მაგრამ ამ ცოდნას, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ ერთი განზომილება აქვს — ვიზუალური, ამიტომ მისი სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. როცა დაამთავრებს, როცა პროცესის ჯადოსნური წრიდან გამოვა, ზღაპარი უკვე ქაღალდზეა; რუსუდანი ამ დროს ისეთივე მაყურებელია, როგორც ჩვენ და იმდენივე იცის, რამდენიც ჩვენ. ან უფრო ნაკლები, რადგან ჩვენ დიდები ვართ და ჩვენი გამოცდილების მეშვეობით უფრო მეტი შეგვიძლია ამოვიკითხოთ ნახატიდან. ამ მხრივ ზოგჯერ საქმე კურიოზამდეც მიდის. რუსუდანს აქვს ერთი ნახატი, რომელსაც „გასეირნება“ ჰქვია (დასათაურება პირობითია, რუსუდანს არ ეკუთვნის და მხოლოდ ტექნიკურ-დოკუმენტაციურმა [illegible] გამოიწვია; იგი არათუ სანდო არ არის, ხშირად ხელის შემშლელიცაა, ამიტომ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ). ეს არის ჩიტისთავიანი ურჩხული დიდი, გამობზეკილი მუცლითა და უაზრო, გამოთაყვანებული მზერით. შეხედავთ თუ არა, აშკარაა, რომ ურჩხულმა წამი-წამზე უნდა იმშობიაროს. მშობიარობის წინ, მისი ისედაც ნაკლული გონებრივი ენერგია, სულ მთლად დაიშრიტა. ამიტომაც აქვს ასეთი სულელური, ასეთი ცარიელი გამომეტყველება. სიუჟეტი შეიძლება ძნელი წასაკითხი იყოს, მაგრამ მშობიარობის მოლოდინი იმდენად აშკარაა, რომ აქ სხვა ვარაუდი გამორიცხულია. და რაოდენ მოულოდნელი იყო ასეთ დროს რუსუდანის მიამიტური განცხადება, ფეხმძიმედ კი არაა, გოგრა გადაყლაპაო! დღესაც არ ვიცი, მართლა ასე ფიქრობდა, თუ ტყუილად გვითხრა. ტყუილის თქმას რა რჯიდა — ასე უფროსები ატყუებენ ბავშვებს.

ხანდახან, როცა გაუგებრის ახსნის სურვილი დაუძლეველია, ჩვენდაუნებურად ვტყუით ხოლმე. რუსუდანის ნახატებში დროდადრო თავს იჩენს რომელიმე კონკრეტული ეპოქის, ან კონკრეტული ცივილიზაციის სტილი — დამახასიათებელი ხაზი, დამახასიათებელი ფიგურა. ახსნის, ან უფრო სწორად, ლოგიკურ შაბლონში მოქცევის შეუკავებელ სურვილს ასეთ დროს არაერთხელ უთქვამს: ნახა და მიბაძა. ამგვარი ახსნა ეჭვი არაა, იოლია და კარგი. მისი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ მართალი არაა. მე კარგად ვიცი, რომ რუსუდანმა მას შემდეგ ნახა ძველეგვიპტური მხატვრობის ილუსტრაციები, რაც მის საკუთარ ნახატში ეგვიპტური ხაზები გაჩნდა. ახსნა ძნელია, მაგრამ ამან საქმის გაიოლებისაკენ არ უნდა გვიბიძგოს. ბოლოსდაბოლოს, თუნდაც ანატომიის ის ცოდნა, რაც ხუთი-ექვსი წლის წინანდელ ნახატებში ჩანს, რუსუდანს დღესაც არა აქვს.

რუსუდანის შემოქმედება ღრმა და მკვიდრი კავშირითაა დაკავშირებული ეროვნულ კულტურასთან. მაგრამ ეს ალბათ, ცალკე საუბრის თემაა, აქ მხოლოდ ზოგადად შეიძლება მივუთითოთ იმ ფესვისმიერ ნათესაობაზე, რომელსაც რუსუდანის ნახატი ამჟღავნებს ქართული ხალხური სიმღერის რთულ ჰარმონიასთან, ქართული ხალხური ლექსის სადა გამომსახველობასთან, გალაკტიონის პოეზიის რაფინირებულ არტისტიზმთან...

რუსუდანმა ჯერ არ იცის, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მძლავრი და ყველაზე ნათელი გენია ცოდნას ადამიანში იმთავითვე მოცემულის გახსენებად თვლიდა, ხოლო შემოქმედება გაუცნობიერებელ, წმინდა ინტუიციურ პროცესად მიაჩნდა. თუმცა კულტურის ისტორიამ არაერთი ისეთი მაგალითი მოგვცა, როცა შემოქმედებაში არაცნობიერს ცნობიერი სჭარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბობს. დღეს მაინც სადავო აღარ არის, რომ ინტუიცია ქმნის, გონება კი აწესრიგებს, რაც შეეხება ცოდნას, როგორც გახსენებას, ამგვარი ვარაუდი მეცნიერულად არაა დასაბუთებული, მაგრამ რატომ უნდა ნიშნავდეს ეს მაინცდამაინც იმას, რომ პლატონი ცდება, და არა იმას, რომ ექსპერიმენტულ მეცნიერებას ჯერ კიდევ შორი გზა აქვს გასავლელი, სანამ პლატონს მიაღწევდეს?

რუსუდანი ხატავს და, როგორც ზღაპარშია, ვინც წლობით იზრდება, ის საათობით იზრდება. ზღაპარი სრულყოფისაკენ მიდის. ამ სრულყოფის გზაზე ორი ხაზია — ერთი ფორმაა, მეორე — სიუჟეტი და აზრი. ფორმის განვითარება ნათელია, ჰარმონიული, ფორმა დიდი სისწრაფით იხვეწება და ესთეტიკური ზემოქმედების ძალა დღითიდღე ემატება, აზრობრივად განვითარება უფრო არაერთგვაროვანია. ზღაპრის ცენტრალური ფიგურა, რომელიც ადრეულ პერიოდში მართალია, ცოტა მხიარული, მაგრამ არსებითად ნეიტრალურია, მერე და მერე ნებას იძენს, დამოკიდებულებები უჩნდება. სწორედ, ეს დამოკიდებულებებია არაერთგვაროვანი. განვითარების ერთი ხაზი მას არა აქვს, თუმცა ცხოვრებაც ასეთია: არაერთგვაროვანი, ფეთქებადი, იმპულსური. პროგნოზირება შეუძლებელია. ვერავინ იტყვის, როდის გადაიხრება სასწორი სიკეთის მხარეს და როდის ბოროტების მხარეს. ამიტომ რუსუდანის პირველყოფილი გოლიათი ხან უწყინარ დევად გვევლინება, ხან ბოროტ ურჩხულად; ხან ცბიერება სჭარბობს მასში, ხან სიმშვიდე, ხან უგუნურება. მაგრამ ყოველთვისა აქვს უზარმაზარი ძალა, უზარმაზარი ენერგია, რომელიც თუ ყველაფერს არ განსაზღვრავს ყოველ შემთხვევაში, მისი გავლენის ძალა ყველაფერს წვდება. ოღონდ, როგორიც არ უნდა იყოს ეს ძალა, რა ხიფათიც არ უნდა ემუქრებოდეს ზღაპარს, სილამაზე, რომელიც ხელოვნებაში სიკეთის მუხტის მატარებელი არასოდეს არ ილუპება.

ასე მგონია, ადრე თუ გვიან ეს ზღაპარი დასრულდება და რუსუდანი ახალი ზღაპრის კარიბჭეს შეაღებს. როგორი იქნება ეს ახალი ზღაპარი?

ეს ხვალის საქმეა. დღეს კი გვაქვს რუსუდანის ოცნება, ჯადოსნური საჩუქარი, ფაქიზი, მშვენიერი შემოქმედება, როცა ამ შემოქმედებას დაათვალიერებთ, ისე დაათვალიერეთ რომ, ნახევარი საათი მაინც შემოინახოთ. ეს ნახევარი საათი ერთ რომელიმე ნახატთან გაატარეთ, დადექით და უყურეთ. სულ მალე ნახავთ, როგორ გაიხსნება უხილავი არხები, როგორ შემოვა თქვენს არსებაში და როგორ იელვებს დიდი სინათლე და დიდი სიცხადე — კათარზისის წამიერი, მოუხელთებელი, მაგრამ ძლიერი განცდა, ეს კათარზისი არ არის. ეს არის კათარზისის მოთხოვნილება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელოვნების მიზანი მიღწეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

# რუსუდან ფეტვიაშვილი

ინგმარ ბერგმანი თავის წერილში „მხატვრის ოცნებები“ ამბობს: „არსებობენ მხატვრები, რომელთაც არასდროს სჭერიათ ხელში ფუნჯი, მაგრამ მათ ძალუძთ დახუჭონ თვალები და ქუთუთოებქვეშ ხელოვნების მშვენიერი ნაწარმოებები შექმნან“. ეს პარადოქსული, ოდნავი სკეპსისით განზავებული აზრი იმ მადლმოსილ ადამიანთა მიმართ არის ნათქვამი, რომლებიც საგანთა მიღმა მდებარე სინამდვილეს ჭვრეტენ. თავისთავად ეს აზრი ნიშანდობლივია, თუმცა ძალზე ზოგადი შინაარსის შემცველი: მართლაც არსებობენ დიდი სულიერი პოტენციის და უჩვეულო წარმოსახვის ადამიანები, რომელთაც ძალუძთ „იხილონ“ ის, რაც ცხოვრების ზედაპირზე არ ძევს, რაც არათუ ძნელადშესამჩნევია ჩვეულებრივი თვალისათვის, არამედ საერთოდ უხილავია, და მაინც, იმას არ ჰქვია მხატვარი, ვისაც ერთხელაც არ სჭერია ფუნჯი ხელში.

მხატვარია რუსუდან ფეტვიაშვილი.

ვისაც უნახავს ამ თოთხმეტი წლის გოგონას ქმნილებები, კიდევ ერთხელ დარწმუნდება: მხატვრობა უაღრესად ინტიმური, უჩვეულოდ პირადული შთაბეჭდილებების და გრძნობების გამოხატვაა.

რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრები პირველად ამ რამდენიმე წლის წინ ვიხილეთ. მაშინ მხატვარი შვიდი წლის იყო. ეს ნახატები ბავშვურია და ამასთანავე განმაცვიფრებლად არაბავშვურიცაა. ერთი მხრივ ბავშვურია და, თუ შეიძლება ითქვას, უცილობელი ბავშვური სიწრფელით, უშუალობით, აღფრთოვანებით და აღმაფრენით არის აღბეჭდილი (ამას უნდა ესწრაფვოდეს ზრდასრული მხატვარიც) და ამავე დროს მოკლებულია ყოველგვარ ბავშვურ გულუბრყვილობას, აუმღვრევლობას, უხიფათობას და ღიმილისმომგვრელ უწყინარობას.

ბავშვის შემოქმედების შემფასებელი ყოველთვის ზრდასრული ადამიანია. სწორედ ჩვენი თვალსაზრისით არის საინტერესო, ყურადღების ღირსი და მიმზიდველი ნებისმიერი ბავშვური ფანტაზიის ხელუყოფლობა, უტყუარი სიწრფელე, დაუფარავად გამოხატული სიცრუეც და სიმართლეც. და მაინც რა არის ის არსებითი და თანამდევი მიზეზი თუ ნიშანი, რომელიც ხელოვნების ამ ჩანასახური მდგომარეობისადმი ჩვენში უწყინარ ირონიას, კეთილგანწყობას და ხშირ შემთხვევაში, ცხოველ ინტერესს აღძრავს? ალბათ ის, რომ ბავშვების წარმოსახვაში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, ჩამოყალიბებული და გარკვეული საგანთა ადგილი და წესრიგი, ნიშანი და ელფერი, ამიტომ მათსავე პეიზაჟებში თუ ნატურმორტებში უცნაურად თანამეზობლობენ, ჩვენთვის ნაცნობი და უეჭველი, ყოველდღიური და ყოფითი ატრიბუტები: საგნები, ადამიანები და ცხოველები. ამგვარი „არცოდნა“, რა-და თქმა უნდა, თანაგრძნობის სურვილს, მოწონებას და ამასთანავე იმ აზრსაც იმსახურებს, რომ ბავშვური ხელოვნება განუმეორებელია და მას დამოუკიდებელი არსებობის უფლება აქვს.

სავსებით საპირისპირო შთაბეჭდილებას ბადებს რუსუდან ფეტვიაშვილის გამოფენა.

ეს გამოფენა ერთგვარი შეჯამებაა, თავმოყრა მხატვარი გოგონას ნაღვაწისა. აქ წარმოდგენილია გრაფიკული ნამუშევრები ოთხი წლიდან (შესრულებულია ფანქრით) თოთხმეტ წლამდე (შავი და ფერადი ტუში).

პირველი შთაბეჭდილება ამგვარია: განიარაღებული ხარ, რადგან შენს თვალწინაა მძვინვარე და თავბრუდამხვევი ფანტაზიის ცხოველმყოფელი აღნაბეჭდება ინსტიქტურად, ქვეშეცნეული ძალის კარნახით ეძიებ ნაცნობს, ყოფითთან შემხებ წერტილს, უეჭველს და სარწმუნოს. ეძიებ იმ ყოფით გარემოს თუ ატმოსფეროს, რომლის წიაღშიც შესაძლებელი იყო წარმოსახვის ამგვარი აღზევება, ზეიმი, დღესასწაული. ერთი სიტყვით, ეძიებ კონტაქტს ყოფით რეალობასთან და ხელმოცარული რჩები, რადგან როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, აქ არ არის ტრადიციული ჟანრული სახესხვაობები, არ არის ნატურმორტები და პეიზაჟები, არც ილუსტრაციებია და არც თვალშისაცემი რემინისცენციები. აქ ფანტაზია უაღრესად დინამიურ, თავბრუდამხვევად მოძრავ. გაშმაგებულ სურათებს ქმნის, რომელთაც არა აქვთ დასაბამი და დასასრული.

ჩვენს ცნობიერებაში იჭრება სავსებით ახალი ქვეყანა, რომელსაც არსებობის საკუთარი კანონები გააჩნია.

შვიდ წლამდე შესრულებულ გრაფიკულ ნამუშევრებში დინამიკური, მუდმივცვალებადი, ექსპრესიული ფიგურების სიმრავლე ჭარბობს. უაღრესად მგრძნობიარე, ფაქიზი ფანტაზიის წარმონაქმნები: დევები, ურჩხულები, გიგანტური ცხოველები და გოლიათები გამუდმებით ინაცვლებენ ადგილს. ეს ნახატები ფანქრითაა შესრულებული და ყოფითი დეტალები ბუნებრივად, უმტკივნეულოდ ერწყმის ფანტაზიის სასწაულებრივ წარმონაქმნებს: „წამოწოლილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოლიათი", „შეუვარებული გოლიათი", „ორი გოლიათი", „სამი გოლიათი"... ჩვეულებრივი, ყოველდღიურობის რიტმით აღბეჭდილი „ამბები" და „მოქმედებები" გოლიათებში ხდება. გოლიათების სხეული არის ის სამოქმედო სივრცე, სადაც ოჯახური სცენები თამაშდება. მშვიდად საუბრობენ მოსწავლეები ანდა სკოლისაკენ მიეშურებიან და სხვა. აქვეა მხატვრისათვის ნიშნეული მძაფრი და კონტრასტული შტრიხებით შესრულებული, ყოფის ამსახველი, უშუალო შთაბეჭდილებით ნაკარნახევი სურათები. ამ სურათებშიც კი ოდნავადაც არ იგრძნობა სწრაფვა გარემომცველი საგნების ზუსტი, ნატურალისტური ასახვისაკენ. პირიქით, დაუშრეტელი, ულევი ფანტაზია აქ საგნებით და თემატიკით შემოსაზღვრულ ნახატებშიც ვერ იოკებს თავს და ისევე თავისუფლად მოძრაობს, როგორც გოლიათების სამყოფელში. ამგვარ ნახატთა რიცხვს ეკუთვნის „თეატრი". თეატრის ანტურაჟი, დეკორაციები, ნიღბები და შიშველი ფიგურები ერთმანეთს ერწყმიან და საგანთა და ადამიანთა ეს გალერეა იმ ვნებათა ჭიდილის, მწვავე დრამატიზმის და პოეტური ცხოველმყოფელობის შთაბეჭდილებას ქმნის, რომელიც ოდითგანვე სუფევდა და სუფევს თეატრში.

ჩვენი აზრით, შვიდ წლამდე შესრულებულ ნახატებში უკვე მონიშნულია ის სამყარო, რომელიც მომდევნო წლებში უფრო სრულყოფილ და დასრულებულ სახეს იძენს. თუკი აქამდე ფიგურების პლასტიკას, ფიგურათა მოძრაობის რიტმს და კომპოზიციათა ექსპრესიულ ხასიათს ენიჭებოდა უპირატესობა, ახლა თანაბარი სიძლიერით მონაცვლეობენ დინამიკური და სტატიკური ფიგურები, მოვლენები, ვითარებები, ხასიათები. ე. ი. გამომსახველობითი საშუალებების დახვეწასთან ერთად, სტატიკურმა მომენტმა შეიძინა მნიშვნელობა, ძალზე მრავლისმეტყველი გახდა ყოველი შტრიხი, ხაზი, მონაკვეთი, დეტალი. მხატვარმა შეიძინა ნიუანსების გადმოცემის უნარი, ამეტყველდა ფერი, დაიბადა პოეტური მინიატურები, სადაც ნადირობის და სეირნობის სცენებია აღწერილი. მაგრამ მინიატურებთან ერთად, რაკილა დეტალზე გამახვილდა ყურადღება, „მსხვილი პლანით" შესრულებული ნახატებიც გაჩნდა. ერთ-ერთი მათგანია „დარბევა".

ფართოფორმატიან ფურცელზე უზარმაზარი, უცნაური ცხოველია გამოსახული. ცხენისებურ სხეულზე სამი თავი წამოზრდია — ერთ-ერთ თავზე ბოროტად უელავს ადამიანური გამომეტყველება. ცხოველი ფეხოსნების ჯგუფს შესევია და არბევს.

ამ პრეისტორიული გიგანტის ყოველი ნაკვთი, ხრტილოვანი სხეულის ყოველი წამონაზარდი— უკანა ტერფები, წინა ფლოქვები, ტალღისებურად გადაწეული თავი თუ წინ დაზნექილი თავები, მძიმე, შეუყოვნებელი მოძრაობის შთაბეჭდილებას ტოვებენ. თითქოს ყოველი შემოტევისას გიგანტს ტანი ეძგიბება და მრისხანედ აქანავებს ჰაერში თავებს. ეს არც მითოლოგიური პერსონაჟია, არც რომელიმე წიგნის ანდა ზღაპრის გმირი, რადგან მსგავსი ფენომენი არ არსებულა ამ ნახატის შექმნამდე. და საერთოდ რუსუდან ფეტვიაშვილი არ არის, თუ შეიძლება ითქვას, მწიგნობრული ცოდნით აღჭურვილი, მხატვარი. მისი უშრეტი ფანტაზია, უმრავლეს შემთხვევაში, ვერ ეთვისება უკვე არსებულ მოდელებს, არქეტიპებს, თემებს და ვარიაციებს, ვერ ეთვისება, რადგან თავადვე თხზავს მითებს და ზღაპრულ სიუჟეტებს, რომლებიც იბადებიან, იქცევიან სურათად და შემდეგ მხატვრის მეხსიერებიდანაც ქრებიან.

„მრავალფიგურიანი კომპოზიცია" სკრუპულოზური ნამუშევარია. ამ სურათში ზედმიწევნით სიზუსტით და სინატიფით არის კალმით ჩახატული თვითეული ეშმაკის, ცხოველის თუ ადამიანის ფიგურა. ნახატი ერთგვარი „მიკროსკოპული" პრინციპით არის შექმნილი. თუ ახლოს მიიტან თვალს ნათლად და მკაფიოდ წარმოგიდგება თვითეული, ძალზე მეტყველი სახე და სხეული, საკმარისია ოდნავ მოაცილო, მოწყვიტო მზერა ამ მრავალფიგურიანი კომპოზიციის პერსონაჟებს და ადამიანური ყოფიერების ამსახველი პანორამა წარმოსდგება შენს თვალწინ. ეს არის „მიკროსამყარო", ადამიანური ვნებებით, ჭიდილებით, პირველყოფილი კავშირებით, ტკივილებით და ცდუნებებით დატვირთული. აქ ერთმანეთს ასამარებენ, სჯიან და მოძღვრავენ ადამიანები, ეშმაკები და ურჩხულები.

რუსუდან ფეტვიაშვილი არც ერთ ნახატში არ ესწრაფვის შიშველი, ემოციისაგან განძარცული ოსტატობის დემონსტრირებას. მხატვრის ყოველი ნამუშევარი უეჭველი შთაგონების მძაფრი ანაბეჭდია.

კიდევ მრავალი ნახატის განხილვა შეიძლება, შეიძლება უსასრულოდ ისაუბრო ამ მხატვარზე, მაგრამ ეს თემა ამოუწურავია და თუ რაიმეს თქმა გსურს, სჯობს თქვა არსებითზე და ნიშანდობლივზე, რადგან რუსუდან ფეტვიაშვილის ფანტაზიის და საერთოდ ნიჭის ბუნება ისევე მოუხელთებელია განსახილველად, როგორც მისი ქმნილებები.

და მაინც, როდესაც ფიქრობ ამ თოთხმეტი წლის გოგონას შემოქმედებაზე, მის განვლილ გზაზე და მისი მხატვრული ნიჭიერების ნიშანდობლივ მხარეებზე — გებადება კანონიერი სურვილი: ახსნა, გაარკვიო, გაიგო, ჩაწვდე, რას ნიშნავს ფანტაზიის ეს შეუზღუდველი მოძრაობა, სვლები, ზიგზაგები. მინიშნებები, გინდა ამოიკითხო აზრი, მკვიდრად რომ ძევს ამ პირველქმნილებაში, მთლიანობაში და დაუსრულებლობაში, და შეიძლება გაგახსენდეს ერთი ფილოსოფოსის ნათქვამი: „ყოველი ბავშვი კაცობრიობის ბავშვობის საიდუმლოს ეზიარება". რუსუდან ფეტვიაშვილმა ჩვენც გვაზიარა ამ დიდ საიდუმლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო ამბები სამყაროში

შალვა საბაშვილი

## ვინ აწყობს „პლანეტების პარადს?“

### 1. ბუნების უჩვეულო მოვლენა

უკვე რამდენიმე წელია მთელი მსოფლიო ცნობისმოყვარეობით ადევნებს თვალს ციურ მნათობთა მსვლელობას. მეტიც, ეს ცნობისმოყვარეობა თანდათან შეშფოთებაში გადაიზარდა, ბოლო ხანებში კი ლამის პანიკად იქცა. ლაპარაკობდნენ ბუნების არაჩვეულებრივ მოვლენაზე, რომელსაც ფანტასტიური ძალის მიწისძვრები და წყალდიდობანი უნდა მოჰყვეს. ზოგიერთი თეოლოგი ვარსკვლავთა აალებასა და მზის ჩაქრობასაც წინასწარმეტყველებდა.

ციური მნათობებისადმი ყურადღების გამოვლინება გასაკვირი არაა. გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ ზეცის გრანდიოზული სამყარო ადამიანთა ამგვარი ყურადღების ღირსი მხოლოდ ასეთ განსაკუთრებულ პირობებში გახდება ხოლმე. ე. წ. „მშვიდობიანობის პირობებში“ ადამიანები უაღრესად „მიწიერი“ პრობლემებით არიან დაკავებული. ამის შედეგია ის საოცარი ბუნდოვანება და გაურკვევლობა სამყაროს აგებულების პრობლემებში, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სუფევს. ადამიანთა უმრავლესობამ ცოტა რამ იცის დედამიწის გარემომცველ სივრცეზე. არც სურს იცოდეს. და საჭირო ხდება „მფრინავი თეფშების“ გამოჩენა, ან კოსმოსური ცივილიზაციის სავარაუდო მინიშნება, უზარმაზარ ასტეროიდთან ან კომეტასთან შეჯახების საფრთხე (სხვათა შორის, ჰალეის კომეტა ისევ გვიახლოვდება და 1986 წელს გაივლის დედამიწის ახლოს), რათა გაგვახსენდეს ციური სამყარო და ვიკითხოთ: რა მანძილზეა პლანეტები, მზე, ვარსკვლავები? რა სიჩქარე აქვთ? როგორია მათი მასები? მოქმედებენ თუ არა დედამიწაზე, მის კლიმატზე? და ა. შ.

„პლანეტების პარადი“ კი რეალური მოვლენაა, და დროდადრო მართლაც ხდება. თუმცა რაიმე სერიოზული ზეგავლენის მოხდენა დედამიწის ბედ-იღბალზე ამ მოვლენას არ შეუძლია (ამას ისტორიაც მოწმობს), ჩვენ მაინც გვინდა მკითხველებს მოკლედ, მაგრამ ნათლად განვუმარტოთ მისი არსი.

### 2. მარადიული ცეცხლის გარშემო

ყველაზე ბუნებრივი იქნება ჯერ აღვწეროთ დედამიწის უახლოესი შემოგარენი, ის კოსმოსური გარემო, რომელშიც გვიხდება ცხოვრება. ოღონდ სიტყვა „უახლოესი“ პირობითად ვიხმარეთ — სამყაროს მასშტაბებთან მიმართებაში. ვგულისხმობთ კი იმ პლანეტური სისტემის აღწერას, რომლის „ბურჯი“ მზეა, დედამიწა კი — რიგითი წევრი. ეს ვრცელი სისტემა შეიცავს ცხრა დიდ პლანეტას და მათ თანამგზავრებს, ასეულ ათასობით მცირე პლანეტას, კომეტებს, მეტეორულ სხეულებს და სხვ. ეს სხეულები მიმოფანტულია უზარმაზარ სფეროში, რომლის გადასერვას უჩქარესი თანამედროვე თვითმფრინავი მილიონ წელიწადს მოანდომებდა. ამ გრანდიოზული სისტემის ცენტრშია მზე — 5 მილიარდი წლის წინათ ანთებული უზარმაზარი კოცონი, რომელიც განუკითხავად მბრძანებლობს ამ სივრცეში და ყველა ზემოჩამოთვლილ სხეულს, დედამიწის ჩათვლით, თავის გარშემო ატრიალებს...

დედამიწის ფორმა სფეროს უახლოვდება. მისი დიამეტრი (სიგანე) 12800 კმ-ია, გარშემოწერილობა კი 40000 კმ. მისი ეკვატორის ფეხით შემოვლას შეუსვენებლად მგზავრი 1 წელიწადს, თვითმფრინავი — დაახლოებით 1 დღე-ღამეს, ხელოვნური თანამგზავრი კი 90 წუთს მოუნდებოდა. დედამიწის ნივთიერების რაოდენობა (მასა) სამოცი მილიარდჯერ მილიარდი ტონაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისტემის ბურჯი — მზე — რალას წარმოადგენს?

ესაა უზარმაზარი ცეცხლოვანი ხფერო, რომელიც 109-ჯერ განიერია დედამიწაზე. მასში მილიონზე მეტი დედამიწა ჩაეტევა! მზის გარე ფენები 6000 გრადუსამდეა გახურებული, ამიტომ მასში ყველა ნივთიერება — რკინისა და სხვა ლითონების ჩათვლით — ორთქლადქცეულია. სიღრმეში ტემპერატურა სულ უფრო იზრდება, ბირთვში 20 მილიონამდე გრადუსია და იქ თერმობირთვული რეაქციებით გამოიყოფა უზარმაზარი სხივური ენერგია, რომელიც ათასობით წელს უნდება ზედაპირზე გამოსვლას და სხივდება სივრცეში. რადგან მზე ძალიან შორსაა (150 მილიონი კმ), იქედან დედამიწა თითქმის წერტილივით ჩანს, მას ცის უმნიშვნელო ნაწილი უკავია, ამიტომ, მზის სრული ენერგიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, ერთ მეათმილიარდედზე ნაკლები, მიიმართება დედამიწისაკენ. ჩვენ რომ ამ ენერგიის გამოყენება შეგვეძლოს, დედამიწა ენერგიით ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნებოდა და არ დაგვჭირდებოდა არც ქვანახშირის, არც ნავთის, არც აირის, არც სხვა ახალ წყაროთა ძიება...

დასასრულ ისიც ვთქვათ, რომ ნივთიერების რაოდენობით მზე 888000-ჯერ აღემატება დედამიწას.

მზის სიდიდის წარმოსადგენად ასეთი კითხვა დავსვათ: რამდენად აიწევს დედამიწაზე ტემპერატურა, მზემ რომ დედამიწასა და მთვარეს შორის, ზუსტად შუა წერტილში გაიაროს? ეს კითხვა ბევრს წამოაგებს ხოლმე ანკესზე: ყველა ვერ გაიაზრებს იმ ფანტასტიკურ რეალობას, რომ მზე ვერ გაივლის დედამიწასა და მთვარეს შორის, რადგან მისი სიგანე თითქმის ოთხჯერ მეტია დედამიწიდან მთვარემდე მანძილზე (ე. ი. 880000 კმ-ზე).

და კიდევ ერთი: მზის სისტემის ყველა დანარჩენი სხეულის მასა, ერთად აღებული, 750-ჯერ ნაკლებია მზისაზე! ამიტომ იმყოფებიან ისინი მზის გრავიტაციულ ტყვეობაში და ვერც მიატოვებენ მას.

## 3. დედამიწა და მისი „და-ძმები“

ახლა პლანეტების შესახებ, რომელთა პარადზეც აგერ უკვე რამდენიმე წელია ლაპარაკობენ.

სანამ ტელესკოპს გამოიგონებდა, ადამიანი 6 პლანეტას იცნობდა — მერკურს, ვენერას, მარსს, იუპიტერს, სატურნს და... დედამიწას. იცნობდა მათ უკვე 5000 წელზე მეტია — ვარსკვლავებისაგან ისინი უწესრიგო მოძრაობით გამოარჩია. პლანეტათა მოძრაობის ხილული სურათი ძალიან რთულია, რადგან ჩვენ მას მოძრავი დედამიწიდან ვუმზერთ. იმის დადგენას, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები მზეს უვლიან გარს, ათასწლეულები დასჭირდა, თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ ასე ფიქრობდა ძველი საბერძნეთის ზოგი სწავლულიც, მაგ. არისტარქე სამოსელი (ძვ. წ. V ს).

ტელესკოპის გამოგონების შემდეგ აღმოჩნდა კიდევ სამი პლანეტა — ურანი, ნეპტუნი და პლუტონი. მერკური მზიდან საშუალოდ 58 მლნ კმ-ზეა, ვენერა — 108 მლნ კმ-ზე. ესენი ე. წ. შიდა პლანეტებია — მათი ორბიტები დედამიწის ორბიტის შიგნითაა. დანარჩენი პლანეტები გარე პლანეტებია და მათი ორბიტები მოიცავს დედამიწისას. კერძოდ, მარსი მზიდან თითქმის ორჯერ უფრო შორსაა, ვიდრე დედამიწა, იუპიტერი 5-ჯერ, სატურნი 10-ჯერ, ურანი 19-ჯერ, ნეპტუნი — 30-ჯერ, პლუტონი კი 38-ჯერ. პლუტონიდან მზე ვარსკვლავივით წერტილად მოჩანს, მისი სხივების ნაკადი კი 1600-ჯერ სუსტია, ვიდრე დედამიწაზე...

პლანეტებისათვის დედამიწის და-ძმები შემთხვევით არ გვიწოდებია. მიაჩნიათ, რომ ეს სხეულები დედამიწასთან ერთად წარმოიშვნენ კოსმოსური ღრუბლის შეკუმშვისა და ფრაგმენტირების პროცესში — დაახლოებით 5 მილიარდი წლის წინ.

დავახასიათოთ პლანეტების ზომები და მასები. მერკურის რადიუსი დედამიწის რადიუსის 38 პროცენტია, მასა — დედამიწის მასის 5 პროცენტი. ვენერა რადიუსით და მასით დედამიწას უახლოვდება. მარსი — დედამიწაზე ორჯერ ნაკლებია დიამეტრით, მასით — 10-ჯერ.

იუპიტერი ყველაზე გიგანტი პლანეტაა, რადიუსით 11-ჯერ ჭარბობს დედამიწას, მასით 318-ჯერ, მოცულობით 1316-ჯერ.

სატურნიც გიგანტია — დიამეტრი 60000 კმ-ია, 9,5-ჯერ მეტი დედამიწისაზე, მოცულობა 755 დედამიწისოდენა, მასა — 95-ჯერ მეტი დედამიწისაზე.

ურანი თითქმის 44-ჯერ მეტია დედამიწაზე რადიუსით, მოცულობით 52-ჯერ, მასით 14-ჯერ.

ნეპტუნი — დიამეტრით 4-ჯერ ჭარბობს დედამიწას, მასით 17-ჯერ.

პლუტონი ოთხჯერ პატარაა დედამიწაზე, მასით კი მისი მხოლოდ ერთი მეხუთასედი ნაწილია!

როგორც ვხედავთ, მერკური, მარსი და პლუტონი ჯუჯებია დედამიწასთან შედარებით, ვენერა უახლოვდება დედამიწას (რადიუსი 95 პროცენტია, მასა 81 პროცენტი), იუპიტერი, სატურნი, ურანი და ნეპტუნი კი გიგანტი პლანეტებია.

## 4. მსოფლიო მიზიდულობა — კანონმდებელი მზის სისტემაში

ჩავუკვირდეთ დედამიწის მაგალითს: საათში ას რვა ათასი კილომეტრის სიჩქარით (30 კმ/წმ) მიჰქრის იგი და, თითქოს ფანტასტიკური ჯაჭვით იყოს მზეზე მიბმული, უზარმაზარ წრეზე შემოუვლის მნათობს 1 წელიწადში. რა მოაბრუნებს მას, რატომ არ გაუსხლტება მზეს და არ გაიჭრება მსოფლიო სივრცეში?

მხოლოდ და მხოლოდ — მზის მიზიდულობა! ოღონდ საკმარისია დედამიწის სიჩქარე სულ 50 პროცენტით გაიზარდოს (ე. ი. გახდეს 42 კმ/წმ), და მაშინ უკვე ველარც მზე შეაკავებს მას, იგი გასხლტება და ინერციით იმოძრავებს სივრცეში სხვა ვარსკვლავებისკენ.

მეორე მხრივ, დედამიწამ რომ შეწყვიტოს ორბიტაზე მოძრაობა, იგი მზეზე ვარდნას დაიწყებს, დაეცემა მას სულ რაღაც 2 თვეში და ჩაიკარგება მასში.

როგორც ხედავთ, ძირითადი კანონმდებელი მზის სისტემაში მსოფლიო მიზიდულობაა. ასევეა უფრო დიდ სისტემებშიც.

ასტრონომებმა დაადგინეს: 200 მილიარდამდე ვარსკვლავი ჩვენს გალაქტიკას ქმნის. მზე გარემოიქცევა გალაქტიკის ცენტრის ირგვლივ და ერთ სრულ ბრუნს 250 მილიონ წელს ანდომებს. ამ გზაზე იგი საათში 800000 კილომეტრის სისწრაფით გარბის (დედამიწა-მთვარის მანძილი 30 წუთში! თბილისი-მოსკოვის გზა 10 წამში!), და წარიტაცებს დედამიწასა და სხვა პლანეტებს. მთელ მზის სისტემას. მიზიდულობა რომ შეწყდეს, მთელ თავის სისტემას იგი უმალვე გზაში მიმოფანტავდა.

მიზიდულობის კანონი ი. ნიუტონმა დაადგინა სამი საუკუნის წინ. იგი ღაღადებს: „ნებისმიერი ორი მატერიალური სხეული ერთმანეთს იზიდავს ძალით, რომელიც ამ სხეულთა მასების ნამრავლის პირდაპირპროპორციულია და მათ შორის მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია“.

ამ კანონის შესაბამისად, მზის ირგვლივ სივრცეში, თითქმის 2 სინათლის წლის რადიუსით, მზის გრავიტაცია მეუფებს. სხვა ვარსკვლავებს — საკუთარი მიზიდულობის სფეროები აქვს. დედამიწის ირგვლივ. დაახლოებით 250000 კმ რადიუსით, დედამიწის გრავიტაციაა გაბატონებული და ა. შ.

მზის გრავიტაცია აიძულებს პლანეტებს გარს უარონ მას სხვადასხვა მანძილებზე. ამრიგად, მათი ორბიტები ერთმანეთისაგან იზოლირებულია (მხოლოდ პლუტონის ორბიტა, დიდი გაწელილობის გამო, ჰკვეთს ნეპტუნისას) და ამით გამორიცხულია ყოველგვარი შეჯახებანი. ასევე საკუთარი ორბიტები აქვთ ვარსკვლავებს გალაქტიკაში, პლანეტების თანამგზავრებს და ა. შ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო მიზიდულობას წესრიგი შეაქვს ურიცხვ ციურ სისტემებში.

## 5. ზემოქმედებენ პლანეტები დედამიწაზე?

ცხადია, მიზიდულობის ძალა პლანეტებსაც აქვთ. ე. ი. ისინიც იზიდავენ დედამიწას. ამ მოვლენას შეუძლია გამოიწვიოს ისეთივე მოქცევები, როგორსაც მთვარე იწვევს. შევაფასოთ ამ მოვლენის მასშტაბი.

მთვარის მოქცევის არსი ისაა, რომ მთვარე დედამიწის მისკენ მიქცეულ ნაწილს, როგორც ახლო მყოფს, უფრო მეტი ძალით იზიდავს, ვიდრე მისგან უფრო შორს მყოფ, დედამიწის უხილავ ნაწილს. ამიტომ მსოფლიო ოკეანე სფეროს ნაცვლად ელიფსოიდის ფორმას იღებს — წაგრძელდება დედამიწა —მთვარის შემაერთებელი ხაზის გასწვრივ. ამიტომ ოკეანე ზოგან მაღლა იწევს (მოქცევა), ზოგან კი დაბლა (მიქცევა). მოქცევის სიმაღლე ღია ოკეანეში 1 მეტრს აღწევს, ხმელეთში ღრმად შეჭრილ წყლებში კი ათეულ მეტრს აჭარბებს. დედამიწის ბრუნვის გამო კი ოკეანის ყოველ წერტილში მიქცევა და მოქცევა პერიოდულად მონაცვლეობენ. ისიც უნდა ითქვას, რომ სიმაღლის ასე კლება-მატება მყარ დედამიწასაც ახასიათებს და ატმოსფეროსაც.

მოქცევითი ძალის სიდიდე უფრო სწრაფად იკლებს მანძილის ზრდისას, ვიდრე თვით მიზიდულობის ძალა. ამიტომ, თუმცა მზე დედამიწას 160-ჯერ უფრო მეტი ძალით იზიდავს, ვიდრე მთვარე, მაინც იგი უფრო სუსტ მოქცევებს იწვევს, მზისეული მოქცევითი ტალღის სიმაღლე სულ 40 სანტიმეტრია!

ზემოთ ითქვა, პლანეტების მასა მზისაზე გაცილებით ნაკლებიაო. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელო იქნება მათ მიერ გამოწვეული მოქცევითი ძალებიც. მაგალითად, ყველაზე დიდი პლანეტა, იუპიტერი, ჯერ ერთი, მზეზე 1000-ჯერ მაინც მსუბუქია, მეორეც, საშუალოდ, მზესთან შედარებით ჩვენგან 5-ჯერ მაინც შორსაა. გამოთვლა იძლევა, რომ იგი 125 ათასჯერ სუსტ მოქცევებს გამოიწვევს დედამიწაზე, ვიდრე მზე — მისი მოქცევითი ტალღის სიმაღლე მილიმეტრის მეასედიც კი არ იქნება. მეორე მაგალითი — ვენერა, რომელიც ყველა პლანეტაზე უფრო ახლოს მოდის ჩვენთან — 42 მლნ კმ-ზე. მისი მასა 408 ათასჯერ ნაკლებია მზისაზე, და საბოლოოდ მისგან გამოწვეული მოქცევები დაახლოებით 10000-ჯერ სუსტია მზისაზე, ე. ი. ნაკლებია მილიმეტრის მეათედზე.

„პლანეტების პარადის“ თეორეტიკოსებმა „წარღვნის“ დაახლოებით შემდეგი მექანიზმი წამოაყენეს. რადგანაც ყველა პლანეტა მზეს ერთ მხარეს მოექცევა, მათი მიზიდულობა შეიკრიბება და ისინი მზეზე გამოიწვევენ გაძლი-

ერებულ მოქცევებს. ეს გააქტიურებს მზეს, გამოიწვევს მისი ნივთიერების გაზშირებულ ამოფრქვევებს. ეს ნივთიერება მოაღწევს დედამიწის ატმოსფერომდე და მასთან ურთიერთმოქმედების შედეგად შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი ცვლილებები: პოლარული ციალის გაძლიერება, რადიო და ტელეკავშირის დარღვევები, მაგნიტური ქარიშხლები, კლიმატის მკვეთრი გაუარესება, წყალდიდობანი, დედამიწის ბრუნვის სიჩქარის ცვლილება და ამასთან დაკავშირებული დამანგრეველი მიწისძვრები.

მაგრამ ზემონათქვამიდან მკითხველი უკვე უნდა მიხვდეს, რომ პლანეტათა თუნდაც შეჯამებული მოქცევითი ტალღა მზეზე ძალიან მცირეა, მილიმეტრის რიგისა. მაგრამ ეს ხომ არაფერია მეცნიერთათვის ცნობილი მზის რადიუსის საკუთარ რხევებთან შედარებით, რომლებიც რამდენიმე კილომეტრს უდრის! მაშასადამე, პლანეტების „პარადის“ ეფექტი სულ მცირე დანამატი გამოდის!

ზემოთმოყვანილი პროგნოზი კი იმიტომ ტოვებდა დამაჯერებელ შთაბეჭდილებას, რომ მზისეულ ამოფრქვევებს მართლაც შეუძლიათ გამოიწვიონ ყველა ზემოთჩამოთვლილი ეფექტი — თუმცა არა იმ მასშტაბით. მზე ძალზე რთული ობიექტია. მასზე წარმოიშობა უზარმაზარი ლაქები — ძაბრისებური წარმონაქმნები, რომელთა ზომა ზოგჯერ დედამიწის ზომებს აღემატება. მზე გამოტყორცნის პროტუბერანცებს, რომელთა მასა მილიონობით ტონაა, სიჩქარე კი ზოგჯერ წამში 700 კმ-ს აღემატება. ამ ნივთიერების ნაწილი მზეს სამუდამოდ ტოვებს და იფანტება პლანეტათშორის სივრცეში. მზის გარემომცველი ფენა, ე. წ. „გვირგვინი“ მილიონ გრადუსამდეა გახურებული და მისგან განუწყვეტლივ გამოედინება სწრაფადმოძრავი მატერია, ე. წ. „მზისიერი ქარი“, რომელიც დედამიწის ატმოსფეროშიც აღწევს. ხშირად ხდება ე. წ. პროტონული ამოფრქვევები და სხვ. ყოველივე ამას მზის აქტიურობას უწოდებენ და მისი სიმძლავრე საშუალოდ 11-წლიანი პერიოდით იცვლება. თანდათანობით შეისწავლება ამ აქტიურობის კავშირი დედამიწის ბიოსფეროსთან და ზოგადი კანონზომიერებებიც გამოიკვეთა. მაგალითად, შეიმჩნევა ზოგიერთი დაავადების გაძლიერება მზის მაქსიმალური აქტიურობისას. უახლოესი მაქსიმუმი ეს ესაა გავიარეთ (მინიმუმი იყო 1976 წელს). რადგანაც მზე ისედაც აქტიური მნათობია, ლაპარაკობენ მხოლოდ ამ აქტიურობის შესაძლო გაძლიერებაზე პლანეტების „პარადის“ დროს. პრინციპულად, ასეთი გაძლიერება ნამდვილად შესაძლებელია, მხოლოდ საქმე ისაა, რომ იგი უმნიშვნელო იქნება.

## 6. რატომ ხდება „პლანეტების პარადი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა პლანეტების მოძრაობის საკითხს დავუბრუნდეთ. როგორც ითქვა, ისინი ყველანი მზის ირგვლივ ტრიალებენ, დაახლოებით ერთ სიბრტყეში. მაგრამ უმრავლეს შემთხვევებში მზის სხვადასხვა მხარეს არიან მოფანტულნი. რატომღა უნდა დადგნენ ხანდახან ერთ სწორ ხაზზე?

გამარტივებული ანალოგია: წუთის, წამისა და საათის ისრები საერთო ცენტრის ირგვლივ ტრიალებენ. ოღონდ სხვადასხვა სიჩქარით. წამის ისარი ციფერბლატის შემორბენას 1 წუთს უნდება, წუთის ისარი 1 საათს, საათის ისარი კი 12 საათს. ამის გამო წამის ისარი ხშირად ეწევა წუთისას, წუთის ისარი კი წამისას, ოღონდ შედარებით იშვიათად. ამის გამო ზოგჯერ სამივე ისარი „წამიერად“ ერთ სწორ ხაზზე ლაგდება. ისრების მოძრაობის გამო ეს „შეერთების“ სურათი მალე ირღვევა.

მზე და პლანეტებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც საათი. მზე ცენტრშია, პლანეტები კი პირობითად ისრების ბოლოებად წარმოვიდგინოთ. ეს „საათი“ კეპლერის კანონებს ემორჩილება, რაც იმაში გამოიხატება, რომ რაც უფრო შორსაა პლანეტა მზისაგან, მით უფრო ნელა მოძრაობს იგი. ჩვენს „საათზე“ მერკურის „ისარი“ ცას (საათის ციფერბლატს!) სამ თვეში შემოუვლის (88 დღე), ვენერასი — 7 თვენახევარში (225 დღე), დედამიწისა — 1 წელიწადში, მარსისა — თითქმის 2 წელიწადში (687 დღე), იუპიტერისა — 12 წელიწადში, სატურნისა — 29,5 წელიწადში. ყველაზე ზანტი კი ურანის (84 წელი), ნეპტუნის (165 წელი) და პლუტონის (248 წელი) ისრებია. როგორც ვხედავთ, სანამ პლუტონი ერთხელ შემოუვლის მზეს, მერკური 1000-ჯერ ასწრებს შემორბენას, დედამიწა — 250-ჯერ, იუპიტერი 20-ჯერ და ა. შ. ამის გამო პლანეტათა განლაგება განუწყვეტლივ იცვლება. მაგალითად, მერკური ყოველ ოთხ თვეში ერთხელ (116 დღე) ეწევა და უსწრებს დედამიწას. მაშასადამე ყოველ ოთხ თვეში ერთხელ მზე, დედამიწა და მერკური ერთ ხაზზე გამწკრივდება. ვუწოდოთ ამას „მცირე პარადი“. ვენერა კი ყოველ 584 დღეში ერთხელ ეწევა დედამიწას — გვაქვს მეორე „მცირე პარადი“. თავის მხრივ დედამიწა ეწევა შორეულ პლანეტებს: ყოველ 780 დღეში მარსს, 399 დღეში — იუპიტერს, 378 დღეში — სატურნს, 370 დღეში — ურანს, 369 დღეში — ნეპტუნს, ხოლო ყოველ 367 დღეში — პლუტონს. როგორც ხედავთ, პატარ-პატარა „პარადები“ ყოველ წელსაა. შედარებით იშვიათად გაძლიერებული „პარადებიც“ „იმართება“, როცა

გვქვათ, სამი ან ოთხი პლანეტა მოექცევა მზესთან ერთ ხაზზე. თუ რამდენად იშვიათად, ამაზე წარმოდგენას იმით მივიღებთ, რომ მარტო ნეპტუნისა და პლუტონის მზესთან ერთ ხაზზე მოხვედრა მხოლოდ საშუალოდ 5 საუკუნეში ხდება (ამ დროში პლუტონი ორ სრულ ბრუნს აკეთებს, ნეპტუნი კი სამს), ურანი კი 28 ასეთი შემთხვევიდან ერთხელ ახერხებს მათ მიუერთდეს. მაშ, მზე-ურან-ნეპტუნ-პლუტონის „პარადი" დაახლოებით 14 ათას წელიწადში ერთხელ მოხდება. უფრო მეტი პლანეტის გამწკრივება კი — გაცილებით უფრო იშვიათად.

მიუხედავად ამისა, შედარებით ხშირი იქნება შემთხვევები, როცა პლანეტები მზიდან ცალ მხარეს მოექცევიან, თუმცა ერთ წრფეზე არა, მაგრამ საკმაოდ ვიწრო კონუსის შიგნით. ამ შემთხვევაშიც მზეზე პლანეტათა საერთო ზემოქმედება გაიზრდება. სწორედ ეს ხდება მიმდინარე პერიოდში.

## 7. როგორილაა სინამდვილე?

რამდენიმე წლის წინათ ასტრონომიულ ლიტერატურაში გამოქვეყნდა მოსაზრება, რომ 1982 წლის მაისის შუა რიცხვებში დიდი პლანეტები მზიდან ერთ მხარეს, ერთ წრფეზე განლაგდებიან. შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სინამდვილეში პლანეტები მხოლოდ 105-გრადუსიანი კონუსის შიგნით მოექცევიან, მათ შორის დიდი პლანეტები — 80-გრადუსიან კონუსში.

ვნახოთ, როგორია სურათი.




ნახ. 1. მზისა და პლანეტების ურთიერთგანლაგება 1982 წ. 11 იანვარს.

პირველ რიგში აღვნიშნოთ, რომ 5 ბოლო პლანეტა (იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი), როგორც ყველაზე ნელამბრუნავნი, ყველაზე ნელაცვლად კონუსს შექმნიან. ვუწოდოთ მას მეორადი კონუსი. 1977 წელს და უფრო ადრე ეს კონუსი 180°-მდე იყო გაშლილი, შემდეგ შემცირება დაიწყო. 1979 წლის იანვარში 135° გახდა, 1980 წლის იანვარში — 110°, 1981 წლის დასაწყისში კი 80°. 1982 წლის ბოლოს ეს კუთხე 60°-მდე შემცირდება. მერე კი თითქმის უცვლელი დარჩება 1984 წლის მარტის შუა რიცხვებამდე (59°). ამის შემდეგ იუპიტერი გამოდის კონუსის აღმოსავლეთ მხარეს და სწრაფად აფართოებს მას: უკვე 1984 წლის დეკემბრისთვის — 80°-მდე. 1985 წლის ბოლოს 110°-მდე და ა. შ. აქედან გამოდის, რომ ყველა პლანეტის მჭიდრო დაახლოება მხოლოდ 1980-1985 წლებშია შესაძლებელი.

ახლა უკვე პლანეტათა სრული თავმოყრის („პარადის") გასაანგარიშებლად, სწრაფადმბრუნავი, მზესთან ახლომყოფი პლანეტებიც გავითვალისწინოთ.

დახედეთ ნახ. 1-ს. მასზე გამოსახულია 9 პლანეტის მდებარეობა პირობით სიბრტყეში (ცის ეკვატორზე) მზის მიმართ 1982 წლის 11 იანვარს. როგორც ვხედავთ, პლანეტები მზის ყველა მხარესაა, მაგრამ მერკური, დედამიწა, ვენერა და მარსი მიემართებიან მეორადი კონუსისაკენ, სადაც ამ დროს უკვე არის 5 ბოლო პლანეტა. 26 იანვარს სრული კონუსის ხსნილი 171°-მდე შემცირდა, 31 იანვარს — 139°-მდე, 10 თებერვალს — 124°-მდე 2 მარტს —104°-მდე, 11 მარტს კი იყო უდიდესი დაახლოება— 95° (ნახ. 2). ამ დღეს ვენერა ახალი შესულა




ნახ. 2. მზისა და პლანეტების ურთიერთგანლაგება 1982 წ. 11 მარტს.

მეორად კონუსში, მერკური — ადრე შევიდა და უკვე გამოდის, დედამიწა და მარსი — მიახლოებულია მეორად კონუსთან. ამის შე-

მდეგ მერკური გამოდის მეორადი კონუსიდან და საერთო კუთხე იზრდება: 17 მარტს 160°-მდე, 1 აპრილს 141°მდე და ა. შ. მაგრამ ჩანს, რომ როცა მერკური ხელახლა დაუახლოვდება მეორად კონუსს და შევა მასში, კვლავ შეიძლება მჭიდრო მიახლოება მოხდეს ყველა პლანეტისა. მართლაც, აპრილის მეორე ნახევარში საერთო კონუსი კვლავ დავიწროვდა: 1 მაისს 144°მდე, 11 მაისს 114°-მდე, 15 მაისს 106° იყო, 16 მაისს 105°, და ეს იყო მეორე მინიმუმი (ეს სურათი მოცემულია ნახ. 3-ზე. როგორც ვხედავთ, ვენერა ახალი გამოსულია კონუსიდან, მერკური — ახალი შესული. კონუსი იმიტომ ვიწროვდებოდა, რომ მერკური ეწეოდა ვენერას. ამის შემდეგ კონუსის უკანა მხარეს ნელამოძრავი სატურნი დარჩება, წინ კი სწრაფადმოძრავი ვენერა გადის და აფართოებს სრულ კონუსს: 21 მაისს 102°-მდე, 31 მაისს — 128°-მდე, 20 ივნისს 160°-მდე და ა. შ. ამრიგად, პლანეტები თანდათანობით განიფანტებიან, რასაკვირველია, ყველა ეს მონაცემი ასტრონომთათვის წინასწარ ცნობილი იყო.




ნახ. 3. მზისა და პლანეტების ურთიერთგანლაგება 1982 წ. 16 მაისს.

როგორც ვნახეთ, გამწკრივება არ გამოვიდა, მაგრამ მჭიდრო მიახლოება კი წელს ორჯერ იყო — 11 მარტს და 16 მაისს. ამასთან მარტში საერთო კონუსის გაშლის კუთხე უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მაისში, მაგრამ მოსახლეობის შეშფოთებული მოლოდინი მაინც მაისისკენ იყო მიმართული. ეს თავდაპირველი პუბლიკაციის ინერცია იყო.

პლანეტათა მიერ აღძრული დიდი ინტერესის გათვალისწინებით მე მოთმინებით და ყურადღებით გავადევნე თვალი მათ მოძრაობას ჩავლილ და მომავალ უახლოეს წლებში, ლენინგრადის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული წელიწდეულების საშუალებით. გამოირკვა, რომ 1981 წელს პლანეტების შეჯგუფება არ მომხდარა, შარშანწინ, 1980 წელს კი მოხდა. თანაც ორჯერ. პირველი თავმოყრა დაიწყო მარტში. 26 მარტს სრული კონუსის გაშლის კუთხე 126°-იყო, 5 აპრილს— 110°, შემდეგ კი გაიზარდა. ამის მერე მერკურიმ მოასწრო შემობრუნება და 20 მაისს კვლავ შევიდა მეორად კონუსში, რითაც საერთო კუთხე 98°-მდე შემცირდა. ეს მინიმუმი გაგრძელდა 12 ივნისამდე, სანამ მერკური გამოვიდოდა მეორადი კონუსიდან.

ამრიგად, შარშანწინ პლანეტათა ორი „პარადი" ყოფილა — 5 აპრილს და 29 მაისიდან 12 ივნისამდე. ამასთან მეორე თავმოყრა წლევანდელ მაისისაზე უფრო მჭიდრო იყო, თანაც მთელ ორ კვირას გაგრძელდა! ეს მოვლენა კი არავის შეგვიმჩნევია რეალურად.

მომავალ, 1983 წელს პლანეტები არ დაახლოვდებიან. 1984 წელს კი ისევ ორი პარადი გვექნება, უფრო ნაკლებად საგრძნობი, ვიდრე წლევანდელი. პირველი იქნება 1984 წლის 14 თებერვალს, 124°-იანი, თუმცა უნდა ითქვას, რომ დედამიწის გარდა ყველა დანარჩენი 8 პლანეტა სულ 80°-იან კონუსში მოექცევა. მათ შორის 4 გიგანტი პლანეტა — ყველაზე მეტად — 49°-ით დაახლოვდება. შემდეგ პლანეტათა საერთო კონუსი გაიშლება, აგვისტოში კი „მცირე პარადები" იქნება: 18 აგვისტოს 138°-იანი, თანაც დედამიწის გარდა ყველა პლანეტა 110°-იან კონუსში იქნება, 28 აგვისტოს კი 131°-იანი, თანაც დედამიწისა და მერკურის გარდა ყველა პლანეტა 87°-იან კონუსში იქნება თავმოყრილი. იმედი გვაქვს, რომ ეს „პარადებიც" უექსცესებოდ ჩაივლის .

ზოგი ფიქრობს, რომ მთავარია არა ყველა პლანეტის, არამედ სწორედ გიგანტი პლანეტების მჭიდრო დაახლოება, ამიტომ ეფექტი 1984 წლამდე გაიზრდებაო. ეს უკვე ილუზიაა. ამ პლანეტებიდან ყველა იუპიტერზე შორსაა და თანაც მასზე მცირემასიანებია. მზეზე სატურნი 24-ჯერ სუსტ მოქცევებს იწვევს, ვიდრე იუპიტერი, ურანი — 1500-ჯერ მცირეს, ნეპტუნი — კიდევ უფრო ნაკლებს, მაშასადამე, მზე — დედამიწა-იუპიტერ-ურან-სატურნ-ნეპტუნის „პარადი" თითქმის ისეთივე იქნება, როგორც მარტო მზე-დედამიწა-იუპიტერისა, რომელიც (ეს რამდენიმე ათასი წლის წინაც იცოდნენ), თითქმის ყოველ წელს (399 დღეში ერთხელ) ხდება და არაფერს ისეთს არ იწვევს.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არაა აუცილებელი პლანეტების მზიდან ერთ მხარეს თავმოყრა — მოქცევები ისეთივე იქნება, თუ ისინი თუნდაც მზის სხვადასხვა მხარეს, ოღონდ ერთ წრფეზე მოექცევიან. ამ მხრივ, მზე-დედამიწა-იუპიტერის გამწკრივება უკვე წელიწადში ორჯერ მოხდება, და ზემოგანხილულ პლანეტათა საერთო შეჯგუფებებს შეიძლება ზოგი „ორმხრივი" თავმოყრაც დაემატოს, მაგრამ ისინი კიდევ უფრო მცირეეფექტურნი იქნება და არ ღირს მათზე ყურადღების გამახვილება.

**რა მოხდება 1984 წლის შემდეგ?**

1984 წლის ბოლოს პლანეტები მზის თითქმის ყველა მხარეს მოიფანტება, შემდეგ წელსაც ეს სურათი არ დაირღვევა, მერე კი ჯერ იუპიტერის, შემდეგ კი სატურნის წყალობით თვით დიდ პლანეტათა მიერ შექმნილი მეორადი კონუსიც გაიშლება, ასე რომ პარადისმოყვარულებს უკვე საუკუნეზე მეტის მოცდა მოუწევთ.

ასეთია სურათი. ვფიქრობთ, ჯერ-ჯერობით დედამიწას ციდან საფრთხე არ მოელის.

**ჩვენი მისამართი:** თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-48-75.

გადაეცა ასაწყობად 15. 06. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 08. 82 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. №1545. უე 05659. ტირაჟი 52.900.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

ნ. 40/154

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ